საქართველოს ეროვნული მუზეუმის

მოამბე

V

(50-B)

თბილისი
2014

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე
V
(50-B)

საქართველოს მუზეუმის

მოამბე

ტომი I.

(1920—1922).

BULLETIN DU MUSÉUM DE GÉORGIE

t. I.

(1920—1922).

ტფილისი.
უ. ს. ს. ს. პოლიგრაფკანცელარიის მე 3 სტამბა.
1922.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის

მ ო ა მ ბ ე

V
(50-B)

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია

გამოდის 1920 წლიდან

BULLETIN

of the

Georgian National Museum

V
(50-B)

Series of Social Science

Issued since 1920

თბილისი 2014 Tbilisi

უაკ(UDC)069(479.22)(051.2)
902+903+737+736.2+39+904+93/94+930.27+7
ს-323
G-37

სარედაქციო კოლეგია: დავით ლორთქიფანიძე, ზურაბ თვალჭრელიძე, ნოდარ ბახტაძე, თეიმურაზ ბერიძე, ნანა ბურჭულაძე, იულონ გაგოშიძე, დარეჯან კაჭარავა, დავით ლომიტაშვილი, გიორგი მარსაგიშვილი, დავით მინდორაშვილი, ელდარ ნადირაძე, ზაზა სხირტლაძე, ნოდარ შოშიტაშვილი, მედეა წოწელია, ოთარ ჯაფარიძე

Editorial Board: David Lordkipanidze, Zurab Tvalchrelidze, Nodar Bakhtadze, Teimuraz Beridze, Nana Burchuladze, Iulon Gagoshidze, Darejan Kacharava, David Lomitashvili, Giorgi Marsagishvili, David Mindorashvili, Eldar Nadiradze, Zaza Skhirtladze, Nodar Shoshitashvili, Medea Tsotselia, Otar Japaridze

სარედაქციო კოლეგია: დიმიტრი ახვლედიანი, გულნარა ბარათაშვილი, მარინე ბოკუჩავა, ნანა გოგელია, რევაზ დავლიანიძე, ნათია დემურიშვილი, თამილა კაპანაძე, ეკატერინე კიკნაძე, ირინა კოშორიძე, იზოლდა მელიქიშვილი, მამუკა ქაფიანიძე, თემურ შარიქაძე, მედეა შეროზია, ოთარ ჩიქოვანი, ციალა ღვაბერიძე, ვახტანგ ცინცაძე

Review Committee: Dimitri Akhvlediani, Gulnara Baratashvili, Marine Bokuchava, Nana Gogelia, Revaz Davlianidze, Natia Demurishvili, Tamila Kapanadze, Ekaterine Kiknadze, Irina Koshoridze, Izolda Meliqishvili, Mamuka Qapianidze, Temur Shariqadze, Medea Sherozia, Otar Chiqovani, Tsiala Ghvaberidze, Vakhtang Cincadze

რედაქტორი: ზურაბ თვალჭრელიძე
Editor-in-chef: Zurab Tvalchrelidze

პასუხისმგებელი მდივანი: მედეა წოწელია
Executive secretary: Medea Tsotselia

ISSN 1512-1895

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2014
Georgian National Museum, 2014

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბის წინამდებარე ტომი წარმოადგენს საქართველოს მუზეუმის მოამბის (1920-1935 წწ), საქარ-თველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის (საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია – B, 1936-1944 წწ) და სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის (საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია – B, 1947-2004 წწ) ტრადიციული, სერიული გამოცემების გაგრძელებას – საზოგადოებრივი მეცნიერების მიმართულებით.

ტომში წარმოდგენილია ნაშრომები ისტორიის, არქეოლოგიის, ნუმიზმატიკის, გლიპტიკის, ეთნოგრაფია/ეთნოლოგიის, ხელოვნების ისტორიისა და სამუზეუმო საქმის შესახებ, რომლებშიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი საკითხებია განხილული.

ტომს ერთვის საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2014 წლის ქრონიკა.

The present volume of the Bulletin of the Georgian National Museum is continuation of the traditional, social sciences serial, publications of the Bulletin of the Georgian Museum (1920-1935), the Bulletin of the Georgian State Museum (series of social sciences – B, 1936-1944) and the Bulletin of the Simon Janashia Georgian State Museum (series of social sciences – B, 1947-2004).

The volume presents papers dealing with history, archaeology, numismatics, gliptics, ethnography/ethnology, art history and about Museum activities issues in which the main aspects of Georgian cultural heritage are discussed.

The issue is supplied with 2014 year chronicle of the Georgian National Museum.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბის წინამდებარე ტომი ეძღვნება აკადემიკოს ანდრია აფაქიძის დაბადებიდან 100 წლისთავს

The present issue of the Bulletin of the Georgian National Museum is dedicated to the 100 birthday of Academician Andria Apakidze

ანდრია აფაქიძე – 100

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი არქეოლოგი ანდრია მელიტონის ძე აფაქიძე დაიბადა 1914 წლის 3 სექტემბერს საქართველოს უმშვენიერეს კუთხეში, სამეგრელოში, სოფელ ზანაში, ტრადიციულ არისტოკრატიულ ოჯახში. ოთხი წლისაც არ იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა და ოჯახის მართვის სიმძიმე დედამ იტვირთა. ის მუხლჩაუხრელად შრომობდა, რათა შვილებისთვის შესაფერისი განათლება მიეცა. 1932 წელს ანდრია აფაქიძემ დაამთავრა ახალსენაკის (იმ დროისათვის ქ. ცხაკაია) პედაგოგიური ტექნიკუმი და იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ნიჭიერმა ახალგაზრდამ მალე მიიპყრო თავისი პროფესორ-მასწავლებლების – სიმონ ჯანაშიას და გიორგი ნიორაძის ყურდღება. ამ დროს საქართველოში გიორგი ნიორაძის გარდა, რომელმაც განათლება გერმანიაში მიიღო, პროფესიონალი არქეოლოგები თითქმის არ არსებობდნენ. მათი მომზადება იტვირთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი პროგრამით. ანდრია აფაქიძე გახლდათ არქეოლოგიის კათედრის პირველი ასპირანტი, ანუ, როგორც მაშინ იტყოდნენ, „დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად“. მან სრულად გაამართლა თავისი დიდი მასწავლებლების – სიმონ ჯანაშიას და გიორგი ნიორაძის იმედი. ბატონმა ანდრიამ 1941 წლის 21 მაისს ძველი თაობის არქეოლოგთა შორის პირველმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები“. მან ასევე ქართველ არქეოლოგთაგან პირველმა მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ანდრია აფაქიძის მიერ გათხრილი გვიანბრინჯაოს ხანის უნიკალური არქეოლოგიური მასალის საფუძველზე დაწერილ მის მონოგრაფიას დღემდე არ დაუკარგავს სამეცნიერო ღირებულება. სამწუხაროდ, მთელი არქეოლოგიური მასალა თბილისის ცნობილი წყალდიდობისას, XX ს-ის 50-იან წლებში, განადგურდა, ამიტომ აუცილებელია თსუ ბიბლიოთეკაში დაცული დისერტაციის გამოქვეყნება. 1937-1941 წწ-ში ბატონი ანდრია აფაქიძე უნივერსიტეტის ასპირანტი გახლდათ. კითხულობდა ლექციებს არქეოლოგიაში (მათ შორის, წინა აზიის არქეოლოგიის კურსს). უნივერსიტეტში დაცულია ასპირანტ ანდრია აფაქიძის პირადი საქმე, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა მას სწავლა და საარსებო საშუალების მოპოვება. არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს მისი აღმზრდელების – სიმონ ჯანაშიას და გიორგი ნიორაძის მზრუნველობა ხელმოკლე ასპირანტის მიმართ. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის № 958 ბრძანებით, 1935 წლის შემოდგომაზე თბილისში დაარსდა თბილისის არქეოლოგიური-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის დირექტორად დაინიშნა გიორგი ნიორაძე, შემდგომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ეს გახლდათ პირველი ეროვნული სპეციალიზებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც ახდენდა სპეციალისტების თავმოყრას და მათი მეშვეობით საქართველოს წარსულის არქეოლოგიური მასალების, არტეფაქტების შუქზე შესწავლას. მას უფლება ეძლეოდა საქართველოში ეწარმოებინა არქეოლოგიური გათხრები. არ-

ქივმა შემოგვინახა გიორგი ნიორაძის 1935 წლის 1/X-ით დათარიღებული წერილი, რომელშიც ის თხოვს განათლების მაშინდელ სახალხო კომისარ აკ. თათარიშვილს, ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 1 დეკემბრიდან მიეღო ანდრია აფაქიძე. თხოვნა დაკმაყოფილდა, რამაც უზრუნველყო ახალგაზრდა მეცნიერი საარსებო საშუალებით. მისი დახურვის შემდგომ ს. ჯანაშიამ ა. აფაქიძე ახალ შექმნილი კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების – ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკად გადაიყვანა. აქედან იწყება ბატონ ანდრია აფაქიძის სვლა მეცნიერების მწვერვალებისაკენ. ომგადახდილი ახალგაზრდა კაცი ინიშნება მეტად დიდი, ეროვნული მნიშვნელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად. ბატონი ანდრია აფაქიძე მას სათავეში ათზე მეტი წლის განმავლობაში (1943-1953 წწ.) ედგა. თუ რა დიდ დროს უთმობდა ის მუზეუმს, ჩანს მისი, ახლახან თსუ-ში გამოსული მისი ბიბლიოგრაფიიდან. ამ წლებში მან მხოლოდ რამოდენიმე არქეოლოგიური პუბლიკაციის გამოქვეყნება შესძლო. ხელმძღვანელობდა „დიდი მცხეთის“ არქეოლოგიური ექსპედიციების სხვადასხვა უბანს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს პერიოდი იყო ქართული არქეოლოგიის ოქროს ხანა. იგი ხელმძღვანელობდა არმაზციხე-ბაგინეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელიც დიდი არქეოლოგიური აღმოჩენებით აღინიშნა. 1936-1946 წწ-ში მცხეთაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებს მიეძღვნა ანდრია აფაქიძის, გიორგი გობეჯიშვილის, ალექსანდრე კალანდაძისა და გიორგი ლომთათიძის კოლექტიური მონოგრაფიის კაპიტალური ტომი – მცხეთა I (1955), რომელმაც მსოფლიო არქეოლოგიური საზოდაგოების ყურადღება მიიპყრო. ამ პუბლიკაციამ სათავე დაუდო მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამეცნიერო ანგარიშების მთელ სერიას, რომელიც 1978-1996 წწ-ში გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ. ის ჩვენი მეცნიერების ძვირფასი შენაძენია, ისევე, როგორც პირადად ბატონ ანდრიას მრავალწლიანი შრომის შედეგი, ჩვენსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში კარგად ცნობილი მონოგრაფია – „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“ (1963). ამ გამოკვლევისათვის აკადემიკოს ს. ჯანაშიას პრემია მიენიჭა. საყოველთაო აღიარება მოიპოვა ბატონ ანდრია აფაქიძის კვლევამ აფხაზეთში, კერძოდ, „დიდი პიტიუნტის“ გათხრებმა ბიჭვინთაში. გამოიცა მისი გამოკვლევებისა და გათხრების სამეცნიერო ანგარიშების სამი შთამბეჭდავი ტომი. ისინი ჩვენი არქეოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია, ისევე როგორც ბატონ ანდრიას ნაშრომები, მიძღვნილი ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) ქალაქების ლოკალიზაციისადმი. ის გახლდათ ასევე პირველი არქეოლოგი აკადემიკოსი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. ამასთან დაკავშირებით ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“ (1994. №1), რომელიც სამწუხაროდ, აღარ გამოდის, წერდა: „განგებამ ბატონ ანდრიას პირველობა დააკისრა“. ის გახლდათ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს – „საქართველოს არქეოლოგიის”ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორი (1980). მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის დამაარსებელი (გიორგი ნიორაძის სახელობის ინსტიტუტი დღეს აღარ არსებობს. საჭიროა საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა იზრუნოს მის აღდგენაზე). მან დიდი ამაგი დასდო ახალგაზრდა არქეოლოგთა მომზადებას საქართველოში. მისი თაოსნობით დაინერგა კომპიუტერული სისტემები არქეოლოგიის დარგში, საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა არქეოლოგიის საინ-ფორმაციო ცენტრი.

მისი ძალისხმევით, 2000 წელს, მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო იქ დაცული ქართული სიძველეების, მათ შორის ცნობილი „ყაზ-ბეგის განძის“ გამოფენა. დაიბეჭდა გამოფენის კატალოგი — «Сакартвело (Грузия) культура-история ». ГИМ. მის წინასიტყვაობაში აკად. ა. აფაქიძე აღნიშნავდა თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა „უცხოეთში დაცულ ქართულ კულტურულ-ისტორიულ ფასეულობათა შესწავლის ამ პროექტს და ერ-თობლივ ექპედიციებს“.

აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ღვაწლი ქართველოლოგიაში განუზომე-ლია. მისი შრომა სათანადოდ შეაფასა ჩვენმა ქვეყანამ. ის იყო საქართ-ველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რამდენიმე ორდენისა და სა-ბრძოლომედლის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, შესანიშნავი შვილებისა და შვილიშვილების მამა და ბაბუა. რაოდენ სიმბოლურია, რომ 2005 წელს, მას საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთის წმინდა მიწაზე, სამთავროს მონასტრის ეზოში, მიუჩინეს საუკუნო განსასვენებელი. მცხეთის შესწავლას ხომ მან მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა.

გ. ლორთქიფანიძე
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 10-37
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 10-37

არქეოლოგია

გიორგი გოგოჭური*, ირმა ბერძენიშვილი**

*საქართველოს ეროვნულიო მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
დ. უზნაძის 14, 0102 თბილისი, საქართველო
ელფოსტა: giorgigogochuri@yahoo.com

**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
არქეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
ა. პოლიტკოვსკაიას 9, 0186 თბილისი, საქართველო
ელფოსტა: irmab@mail.com

ტახის/ღორის კულტი ქართულ არქეოლოგიასა და ეთნოკულტურაში

შესავალი

არქეოლოგიური გათხრების დროს არქეოლოგი ხშირად ისეთ არტეფაქტებს ნახულობს, რომელთა დანიშნულების ახსნა-გააზრებაც საკმაოდ პრობლემურია. ამგვარი „თავსატეხი" აღმოჩნდა ჩვენთვის რამდენიმე წლის წინ მარნეულის ტერიტორიაზე, მრავალფენიან ძეგლზე, გათხრილი შინაური ცხოველებისთვის საგანგებოდ გამართული სამარხი. ავტორების მიზანია სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება მიაპყროს მსგავსი ფაქტებისკენ და ქვემოთ განხილული კონკრეტული მოვლენის საკუთარი ინტერპრეტაცია შესთავაზონ.

2011 წლის ზაფხულში, სოფელ ილმაზლოს სიახლოვეს, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ახალმშენებლობის ზონაში, გამოვლინდა მრავალფენიანი ნამოსახლარი.

ნამოსახლარის კულტურული ფენები განეკუთვნება შვიდ სხვადასხვა ეპოქას. ჯერჯერობით ყველაზე ადრეულია ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანის არქეოლოგიური ობიექტები, რომლებიც წარმოდგენილია საკურთხევლითა და სამეურნე ორმოთი; შემდეგია ადრერკინის ხანის ერთი სამარხი; მას კი ქრონოლოგიურად მოსდევს ელინისტური ეპოქის სამარხები და ორმოები. ქრისტეს შობის შემდგომი ეპოქის ძეგლებია II-III სს-ის სასახლის ნაშთები, ადრეული შუა საუკუნეების (VI-VII სს.) სამარხები და გვიანი შუა საუკუნეების ორი სამშენებლო დონე [გოგოჭური გ., კალანდაძე ნ. 2013: 21]. ნამოსახლარზე გამოვლენილი სასახლის გეგმარებისა და სამშენებლო ტექნიკის შესწავლის შედეგად გამოითქვა აზრი, რომ, შესაძლოა, აქ გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში რომელიმე პოლიტიკური ერთეულის, კერძოდ კი, გარდაბნის, ანუ ხუნანის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ცენტრი უნდა ყოფილიყო [გოგოჭური გ., კალანადაძე ნ. 2013: 19].

საინტერესოა სოფლის დღევანდელი სახელის – ილმაზლოს ეტიმოლოგია. ხომ არ უკავშირდება ის აქ არსებული ძველი ქართული დასახლების სახელწოდებას? ილმაზლო თურქულ სიტყვა – Ylmaz–ისგანაა ნაწარმოები და უშიშარს, შეუდრეკელს ნიშნავს. ფაქტობრივად, იმავე მნიშვნელობისაა მეორე სიტყვაც – Ylmazhk, რომელიც თურქულად სიმამაცის, გმირობის აღმნიშვნელია [თურქულ-ქართული ლექსიკონი. 2001: 1489]. მხედველობაში თუ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში მოსული და დასახლებული უცხო ტომის ხალხი ადგილობრივ ტოპონიმებს თავის ენაზე თარგმნიდა, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს ძველი ქართული ტოპონიმის თურქულ თარგმანთან. მით უმეტეს, რომ საქართველოს ბევრ რეგიონში მოიძებნება ისეთი ციხესიმაგრე და თავდაცვითი ნაგებობა, რომელთა ეპითეტებად გამოიყენება უშიშარი და შეუდრეკელი. თუ დავუშვებთ, რომ შეუდრეკელი ან შეუპოვარი ამ დასახლების გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ეპითეტია, მაშინ აქ აუცილებლად ციხის, თავდაცვითი ნაგებობის, ციტადელის არსებობა უნდა ვივარაუდოთ. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, თუ როგორ თარგმნიდნენ ტოპონიმს თავიანთ ენაზე საქართველოს მეზობელი ხალხები, მაგალითად, თურქული წყაროები ხუნანს თოფრახ-კალად, ანუ მტვრის ციხედ მოიხსენიებდნენ, რადგან ის ალიზის აგურით იყო ნაგები [მუსხელიშვილი დ. 1977: 158]. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნამოსახლარი, თავდაცვის თვალსაზრისით, გამართულია არცთუ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილზე. მას ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მტკვარი ჩამოუდის. მომხვდურისათვის ის, ცხადია, ბუნებრივი ბარიერი იყო. ნასახლარი დაუცველია სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან. ჩვენი ვარაუდით, მას ამ მონაკვეთზე გალავანი უნდა ჰქონოდა. ნამოსახლარზე ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარების შემთხვევაში ბევრ საინტერესო კითხვას შეიძლება გაეცეს პასუხი.

კვლევის საგანი

ნამოსახლარზე გამოვლენილ არქეოლოგიურ ობექტთაგან ამჯერად ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ ერთ სამარხზე, რომელშიც დაკრძალული აღმოჩნდა ორი ტახი. რიყის ქვისგან შედგენილი სამარხის ოთხკუთხა ყრილი მიწის ზედაპირიდან 0,40 მ-ის სიღრმეზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ იყო დამხრობილი (სურ. 1, 2). ქვაყრილი დასავლეთ ნაწილში უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე აღმოსავლეთ მხარეს. ქვაყრილის ზომები 2,30X1,50 მ. სამარხი ორმოს შევსებაში აღმოჩნდა რკინისა და ელინისტური ხანების თიხის ჭურჭლის უსახური ფრაგმენტები. ქვაყრილის აღების შემდეგ დასავლეთ მონაკვეთში გამოიკვეთა ორმოს კონტური, რომლის დიამეტრი აღწევდა 1,40 მ-ს. მასში დაკრძალული იყო ორი ტახი (სურ. 3). ისინი მოწესრიგებულად იყვნენ დასვენებულნი მარცხენა და მარჯვენა გვერდებზე ერთიმეორის პარალელურად, სხვადასხვა მხარეს მიმართული თავებით (სურ. 4). ორმოში გულაღმა იდო კუს ჯავშანიც. ტახების სამარხში არქეოლოგიური მასალა არ დადასტურებულა. ბუნებრივია, გაჩნდა ლოგიკური კითხვა: რასთან გვაქვს საქმე, რა რიტუალი

შესრულდა სამარხის გამართვამდე და რატომ გაუმართეს საგანგებო სამარხი შინაურ ცხოველებს? ტახების სამარხი შეიძლება მიგვეჩნია რაიმე დაავადების შედეგად დახოცილი ცხოველების სამარხად, რომ არა ორმოში მათი მოწესრიგებული განლაგება. აბსოლუტურად მოწესრიგებულია ორივე ცხოველის ჩონჩხი. სამარხში აღმოჩენილი ჩონჩხები ძალიან ჰგვანან თანამედროვე გარეული ღორების (ტახების) ჩონჩხებს, თუმცა, ისინი ბევრად უფრო პატარები არიან და ამ მხრივ უფრო ადგილობრივ, შინაურ, კახური ჯიშის ღორებს ემსგავსებიან [1].

ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს ცხოველის საგანგებო მსხვერპლშეწირვასა და მათს სარიტუალო დაკრძალვასთან. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს არაერთი არქეოლოგიური აღმოჩენა, სადაც დადასტურებულია ტახების/ღორების მსხვერპლად შეწირვა და მათი დაკრძალვა. ამ აზრს განამტკიცებს ტახის/ღორის გამოსახულებიანი დიდძალი არქეოლოგიური მონაპოვარიც, რომლებიც დამზადებულია ოქროს, ბრინჯაოს, ვერცხლისა და თიხისაგან; და, რაღა თქმა უნდა, ქართულ ეთნოკულტურაში დღემდე შემორჩენილი ღორის კულტთან დაკავშირებულ სხვადასხვა რიტუალი და წეს-ჩვეულება.

სამარხის თარიღი

ტახების სამარხის გამართვის დროის განსაზღვრა საკმაოდ პრობლემურია.ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნამოსახლარი მრავალფენიანი ძეგლია და, აქედან გამომდინარე, ტახების სამარხის რომელიმე კულტურული ფენისათვის მიკუთვნება გაგვიჭირდება. როგორც უკვე ითქვა, სამარხის შევსებაში აღმოჩნდა რკინისა და ელინისტური ხანების თიხის ჭურჭლის რამდენიმე უსახური ნატეხი. ისინი ნამდვილად ვერ გამოდგება სამარხის ასაკის დასადგენად. სავარაუდოდ, სამარხი უნდა გაემართათ ელინისტური ხანის მომდევნო პერიოდში ან საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ. ცნობილია, რომ პირველი ქრისტიანები დიდი ხნის განმავლობაში მიმართავდნენ სისხლიან მსხვერპლშეწირვას[2] , რომლის რემინისცენციები საქართველოში დღემდეა შემორჩენილი.

როგორ ხდებოდა მსხვერპლშეწირვა

ნამოსახლარ შეუპოვარზე აღმოჩენილი ტახების სამარხზე საუბრისას, ბუნებრივია, მრავალი კითხვა ჩნდება. მათ შორის, ჩვენი აზრით, მთავარი კითხვებია: რომელი ღვთაების სახელზე განხორციელდა მსხვერპლშეწირვა და როგორ შესრულდა ის, მაშინ, როდესაც ჩონჩხები არაა დანა-

[1] ოსტეოლოგიური მასალა შეისწავლა და დასკვნები მოგვაწოდა ბატონმა ოლეგ ბენდუქიძემ†.

[2] მაგალითად, შეიძლება მოვიხმოთ VI ს-ის კარგად ცნობილი ფაქტი სისხლიანი მსხვერპლშეწირვისა – აია სოფიის ტაძრის კურთხევა კონსტანტინოპოლში 537 წლის 22 დეკემბერს, როდესაც უამრავი ცხოველი დაიკლა: 1000 ხარი, 6000 ცხვარი, 600 ირემი, 1000 ღორი, 10 000 მამალი და ქათამი. დღეობა 6 იანვრამდე გაგრძელებულა [Барабанов Н. 2004: 89-113].

წევრებელი? პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა გადაჭრით შეუძლებელია. მეორე საკითხიც არაა ადვილი გადასაწყვეტი. თუმცა, ისტორიულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, შესაძლებლად მიგვაჩნია გარკვეული ვარაუდის გამოთქმა. ვგულისხმობთ ცხოველების ცემით დახოცვას, როგორც ამას აკეთებდნენ, მაგალითად, კაპადოკიელი მოგვები. ამ ფაქტთან დაკავშირებით არსებობს სტრაბონის ცნობები იმის თაობაზე, თუ როგორ სწირავდნენ სპარსელები მსხვერპლს ტაძრებში. სტრაბონი წერს, რომ კაპადოკიაში, სადაც მოგვთა ტომი ურიცხვია (მათ ასევე უწოდებენ ცეცხლის ამანთებლებს), მრავალი ტაძარია სპარსთა ღმერთებისა. ისინი არ სწირავენ მსხვერპლს დანის გამოყენებით, არამედ ხის ნაპობ მორებს ურტყამენ ცხოველს მოკვდინებამდე ისე, როგორც ჩაქუჩებს [Страбон. 2004: 475. XV-III-15]. ამ ფაქტთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს სვანეთში არსებული ტრადიცია, რომლის მიხედვით მიცვალებულის ცხენი გახეთქვამდე/სიკვდილამდე უნდა ეჭენებინა მხედარს. სვანეთში, როდესაც ვინმე გარდაიცვლებოდა, დასაფლავების დღეს მის ცხენს საუკეთესოდ შეკაზმავდნენ და პატრონის კუბოსთან დააყენებდნენ, ხოლო გასვენების დროს ამ ცხენზე ახალგაზრდა სვანი შეჯდებოდა და მას სამგლოვიარო პროცესიის წინ აქეთ-იქით დააქროლებდა. მხცოვანი სვანების გადმოცემით, ადრე ცხენს ჭენებით ისე მოქანცავდნენ, რომ ბოლოს ის დაეცემოდა და კვდებოდა. ამგვარად, ცხენი, სვანების რწმენით, თავის პატრონთან ერთად საიქიოში მიდიოდა [ბარდაველიძე 1953: 67].

არქეოლოგიაში რთული და თითქმის შეუძლებელია რიტუალის რეკონსტრუქცია. ნამოსახლარზე გათხრილი ტახების სამარხის სახით საქმე გვაქვს მხოლოდ რიტუალის შედეგთან – საღვთო მსხვერპლთან. ჩანს, რომ ტახები, როგორც საღვთო ცხოველები, წინასწარ, საგანგებოდ, იყვნენ შერჩეულნი ან გაზრდილნი რომელიმე ღვთაების სახელზე.

ნ. ბარაბანოვი ერთ-ერთ ნაშრომში, რომელიც საღვთო მსხვერპლშეწირვის არსის ახსნას ეძღვნება, წერს, რომ სისხლიანი მსხვერპლშეწირვის დროს ორი უკიდურესობა ერთიანდება. ერთი მხრივ, გვაქვს უბიწო, უსუსური და წმინდა მსხვერპლი, მეორე მხრივ კი – უხეში, მომაკვდინებელი ძალა [Барабанов Н. 2004: 89-113]. მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული ვ. ბურკერტს. ის წერს, რომ ღმერთის არსებობას მორწმუნე ყველაზე მძაფრად არა ლოცვაში, სიმღერასა თუ ცეკვაში, არამედ ცულის მომაკვდინებელი დარტყმით, სისხლის ნაკადითა და ცეცხლზე დამწვარი შეწირული ცხოველის ნახვით განიცდის. მსხვერპლის მოკვდინება – ესაა ძირითადი განცდა ცხოველის „სიწმინდისა" [Барабанов Н. 2004: 89-113].

ღორების/ტახების მსხვერპლად შეწირვის საინტერესო ფაქტია დადასტურებული ედი-ქილისას (დღევანდელი სოფ. საყდრიონი წალკაში) ნამოსახლარზე არსებულ სამსხვერპლოსთან, რომელიც ძვ. წ. III-I სს-ით თარიღდება. ღორის ერთი სრული ჩონჩხი მოთავსებული იყო ბაქნისებურ შემაღლებაზე, ხოლო მეორე – იქვე არსებულ ჩაღრმავებაში (სურ. 5). ორივე ცხოველთან გამოვლინდა (სურ. 6) თიხის მოზრდილი მძივ-საკიდები [ნარიმანიშვილი გ., დავლიანიძე რ. ... 2011: 118, 120]. ყელის არეში თიხის საკიდების აღმოჩენა ამ ცხოველების საკრალურობასა და საკულტო მნიშვნელობას უნდა უსვამდეს ხაზს. მსგავსი მაგალითების დასახელება საქა-

რთველოს ეთნოგრაფიული ყოფიდან მრავლად შეიძლება. საქართველოს მთიან რეგიონებში გვიანობამდე შემორჩენილი იყო შინაური პირუტყვის, ძირითადად, სახარე ხბოს სალოცავის სახელზე გაზრდის – გასახელების ტრადიცია. ცხოველი წინასწარ დათქმულ დრომდე (სამი, ხუთი, შვიდი და ა.შ. წელი) იზრდებოდა და მხოლოდ მერე სწირავდნენ. არ შეიძლებოდა ასეთი პირუტყვის გაყიდვა, გაჩუქება. ნადირი თუ შეჭამდა, პატრონს მის ნაცვლად სხვა უნდა დაეყენებინა. ქურდი თუ გაიგებდა, რომ საღვთო ცხოველთან ჰქონდა საქმე, ხელს არ დააკარებდა. ასევე დიდი ყურადღებით ზრდიდნენ ე.წ. ჯვარის ხარებს. მათ ყელზე ჰკიდებდნენ მცირე ზომის ზარებს, რაც მათ დანარჩენი პირუტყვისგან გამოარჩევდა. ამ ხარებით ხდებოდა ჯვარის მამულების მოხვნა და სხვა საჯვარო საქმეების კეთება. პირუტყვის შენახვასა და მოვლა-პატრონობის ვალდებულება მორიგეობით გადადიოდა სალოცავის მოხელე-დასტურებზე. ანალოგიური ტრადიცია დასტურდება სვანეთშიც. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს საქართველოს ამ რეგიონში ერთ-ერთი რელიგიური დღესასწაულის– ფუსდა ფანი ლითუალ-ის არსებობა, რაც უფლის ხარის დაბადების დღეობას ნიშნავს [სოხაძე ა. 1964: 15]. საღვთო საკლავს, როგორც ჩანს, დიდი პატივით ეპყრობოდნენ სპარსეთშიც. შესაწირავი ზვარაკი გამორჩეულად შემკობილი უნდა ყოფილიყო. იგი გვირგვინით შემოსილი მიჰყავდათ სამსხვერპლოსთან [Страбон. 2004: 474, XV-III-13].

ქართულ ეთნოგრაფიაში ერთმანეთისაგან გამიჯნულია სამსხვერპლო და შეწირული ცხოველები. თუმცა, ხშირად სამსხვერპლო და შეწირული ერთი და იგივე ცხოველი იყო. სამსხვერპლო ცხოველს მსხვერპლად მიყვანის დროს შესაბამისი ჯვარის ან ღვთაების სახელზე ლოცვა-ვედრებით დაკლავდნენ, შესაწირავ ცხოველს კი ღვთაებას შეუსახელებდნენ [3] შეწირვის თავისებური წესით, რის შემდგომ იგი წმინდა ცხოველად ითვლებოდა მსხვერპლად შეწირვამდე [ბარდაველიძე ვ. 1953: 124-125]. ხარს ან კურატს ყელზე შებმული უნდა ჰქონოდა ზარი. გარდა ზარისა, რქებზე ახვევდენ ბაირაღებს. მსხვერპლის შეწირვის შემდეგ ნივთები, როგორც წესი, ყოველთვის სალოცავში რჩებოდა. ხშირად ამ ნივთებს დროშებზე შესაბმელად იყენებდნენ.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენების მშენებლობისას თეთრიწყაროს ტერიტორიაზე, გათხრილ ძვ.წ. IV-III სს-ის სხალთის სამაროვანზე, თითქმის ყველა სამარხთან, აღმოჩენილია ღორის ძვლები, როგორც სამარხთან გამართული აღაპის ნაშთი [ნიკოლაიშვილი ვ., შატბერაშვილი ვ. 2010: 432-433].

გოჭების მსხვერპლად შეწირვის ფაქტი დადასტურებულია არადეთის ორგორაზე. IV-VI სს-ის ფენაში გათხრილია საგანგებოდ დაკრძალული, ალბათ, მსხვერპლად შეწირული, ძუძუთა გოჭების ჩონჩხები. ი. გაგოშიძის აზრით, IV-VI სს-ში აქ წინარექრისტიანული კულტმსახურების მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა არსებულიყო [გაგოშიძე ი. 1999: 58].

---

[3] აქ ავტორს ეს ტერმინი არასწორ კონტექსტში აქვს გამოყენებული. შესახელება (შეუსახელა) ითქმება მაშინ, როდესაც ჯვარის მსახური – ხუცესი საკლავის დაკვლისას ტექსტს მოკლედ წარმოთქვამს, ანუ სრულყოფილად არ ატარებს რიტუალს, ან ხუცესის ნაცვლად სხვა, რიგითი, ადამიანი კლავს საკლავს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს ტერმინი გასახელება, ცხოველის დაწინდვა ამა თუ იმ ღვთაების სახელზე.

ადამიანი და პირუტყვი

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, საქართველოში გარეული ცხოველების გრაფიკული ნახატები პალეოლითური ეპოქიდანაა ცნობილი, რაც ცხოველების მიმართ თაყვანისცემის (ტოტემიზმის) უტყუარი ნიშანი უნდა იყოს. ადამიანის დამოკიდებულება ცხოველის მიმართ მისი მოშინაურების შემდეგაც დიდად არ იცვლება. შინაური ცხოველი ადამიანისათვის არაა მხოლოდ საარსებო, საკვები საშუალება. ცხოველი შუამავალია ადამიანსა და უზენაესს შორის. ადამიანი შინაური ცხოველის მეშვეობით, მსხვერპლშეწირვით, ახერხებს ურთიერთობას უფალთან. თავის მხრივ, ღვთაებებიც მფარველობენ შინაურ ცხოველებს და მათ ნაყოფიერებისა და გამრავლების უნარს ანიჭებენ [მაკალათია მ. 1985: 130]. საქონელი, ცხადია, ადამიანის სარჩოა, მისი ცხოვრების სახსარი, – წერს ზ. კიკნაძე და დასძენს, რომ ის შეიძლება უფრო მეტიც იყოს, ვიდრე საზრდო. საკულტო აზრით, პირველადი მასში სწორედ ისაა, რაც საზრდოზე მეტია [კიკნაძე ზ. 2009].

ზ. კიკნაძე ერთ-ერთ წერილში ეხება სამსხვერპლო შინაური პირუტყვისა და მისი პატრონის ურთიერთობის საზრისს. იგი აღნიშნავს, რომ ადამიანს თავისი არსებობის განმავლობაში ორი სახის პირუტყვთან უხდება ურთიერთობა: შინაურსა და გარეულთან. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი სახის პირუტყვს ათვინიერებს, იშინაურებს, ხედნის, სხვა კი რჩება მოუთვინიერებელი, ველური, უცხო. შინაური ცხოველი პატრონის მორჩილია, „პატრონყმურ" ურთიერთობაშია ჩაბმული ადამიანთან. პირუტყვი ემსახურება თავის პატრონს, პატრონი კი იცავს მას. პატრონი პასუხისმგებელია პირუტყვის სიმრთელეზე, ის კი მის სამსახურშია ჩამდგარი. ადამიანი და პირუტყვი სხვადასხვაგვარად ემსახურებიან ერთმანეთს [კიკნაძე ზ. 2002: 215-216].

ადამიანს ცხოველი უტილიტარული მიზნით, მხოლოდ თავის გამოსაკვებად ან სამეურნეო საჭიროებისათვის არ მოუშინაურებია. როგორც მესაქონლე ტომების პრაქტიკა მოწმობს, პირუტყვი მხოლოდ რელიგიურ, საოჯახო თუ საგვარეულო დღესასწაულებზე იკვლება, ანუ პირუტყვს მსხვერპლად სწირავენ მფარველ ღვთაებას. დაუშვებელია საქონლის დაკვლა, უბრალოდ, შესაჭმელად, მსხვერპლშეწირვის რიტუალის გარეშე. ამ დროს პირუტყვი მხსნელად ევლინება ადამიანს. იგი იწირება თავისი პატრონის სიცოცხლის გადასარჩენად. საერთოდ, ის მსხვერპლი ითვლება საუკეთესოდ და ამართლებს მსხვერპლშეწირვის საზრისს და ჩაითვლება შეწირულად, რომელიც ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე და მორჩილად უშვერს ქედს მახვილს [კიკნაძე ზ. 2002: 216-217]. ვფიქრობთ ზემოთ მოხმობილი ნააზრევი ყველა ეპოქის საზოგადოებისთვის იყო მისაღები და არქეოლოგიურ ობიექტებზე დადასტურებელი უძველესი მსხვერპლშეწირვებიც მსგავსი შინაარსის უნდა ყოფილიყო.

ღორის კულტი ქართულ არქეოლოგიაში

საქართველოში გარეული ტახის ძვლოვანი მასალა დადასტურებულია პალეოლითური ხანის მუსტიერული მღვიმური სადგომების ფაუნისტურ

მასალაში [ჯანელიძე ჭ. 1991: 67-68]. მუსტიეს ეპოქაში გარეული ტახის ეშვები ამულეტებადაც გამოყიენებოდა. ტახის მოშინაურება შესაძლებელი გახდა მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ადამიანი გადავიდა მწარმოებლურ მეურნეობაზე. მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ არუხლოს ნამოსახლარზე (ძვ. წ. VI-V ათასწლეულები) გამოვლენილი ოსტეოლოგიური მასალა. შინაურ ცხოველთაგან პირველ ადგილზეა (44 %) წვრილფეხა საქონელი (ცხვარი და თხა), მეორე ადგილი უჭირავს მსხვილფეხა საქონელს (33 %), ხოლო მესამე ადგილზეა შინაური ღორი (23.5%)[4] [Векуа А. 1984: 95].

საქართველოში ტახის/ღორის კულტის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს მცირე პლასტიკური ფიგურებისა თუ გრაფიკული გამოსახულებების გამოჩენა. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ღორის/გოჭის ყველაზე ადრეული ფიგურა აღმოჩენილია წიწამურის შუაბრინჯაოს ხანის №13 გორასამარხში (ძვ.წ. XVIIIს.). იგი ეგვიპტური ცისფერი ფაიანსისგანაა დამზადებული [Садрадзе В. 1993: 56, 66. Таб. 37-5].

ვანის ნაქალაქარის სამსხვერპლო მოედანზე, რომელიც ძვ. წ. VIII-VII სს-ით თარიღდება, თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა სხვადასხვა ცხოველის ტერაკოტული ქანდაკებები. მათ შორისაა ორმხრივპროტომიანი ოთხფეხა ფიგურები. ამ ფიგურებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ღორის გამოსახულებიანი პროტომები [ლორთქიფანიძე ოთ. 1995: 6. ტაბ. 66-2,4].

ტახის/ღორის გამოსახულება გვხვდება ძვ.წ. VIII-VII სს-ის ბრინჯაოს გრავირებულ სარტყლებზე წარმოდგენილ ე.წ. წმინდა ნადირობის სცენებში (თლია, სამარხი №76; სამთავროში – სამარხი №276; საგარეჯოში – სამარხი №5) [ხიდაშელი მ. 1982: ტაბ. IX, I, XVII].

ტახის ბრინჯაოს მცირე ფიგურა აღმოჩნდა ძვ. წ. VI-V სს-ით დათარიღებულ ნარეკვავის №41 სამარხში. ფიგურა შტანდარტია, რომელიც ხის ტარზე უნდა ყოფილიყო დამაგრებული. ქანდაკება ღორის ექსპრესიული გამოსახულებაა. კუდი და ყურები აპრეხილი აქვს (სურ. 8). უკანა ფეხები მოხრილია და თითქოს მოძრავია. ზურგი შუაში გახვრეტილია და ხვრელის ორივე მხარეს უნაგირისებური ჩაღრმავება გააჩნია, რაც შტანდარტზე ტარის მყარად დამაგრებას უწყობდა ხელს [აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ....1999: 111, 115. ტაბ. XXXIV453]. ტახის გამოსახულებიანი შტანდარტი, ალბათ, კულტის მსახურის კუთვნილება იყო და მისი სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ნიშანი-ინსიგნია. სამარხეული კომპლექსში მრავალრიცხოვან ინვენტართან ერთად აღმოჩნდა მცირე ზომის ოქროს ნივთები (საკიდები, საყურეები და მძივები).

ტახის კულტზე მეტყველებს ვანის ნაქალაქარსა და მის ნეკროპოლში აღმოჩენილი ტახის გამოსახულებიანი ოქროსა და ვერცხლის არა ერთი ბრწყინვალე ნაკეთობა[5] (სურ. 9-13). ვანის კომპლექსები, სადაც ეს

---

[4] არუხლოს ნამოსახლარზე 2005-2006 წლებში ჩატარებული არქეოზოოლოგიური გამოკვლევების შედეგად შინაური ცხოველების ოსტეოლოგიური მასალა შემდეგი პროცენტული მონაცემებითაა წარმოდგენილი: ცხვარი/თხა – 66%, მსხვილფეხა საქონელი – 20%, ღორი – 14% [ჰანზენი ს., მირცხულავა გ. 2013: 36].

[5] ვანის №11 სამარხში აღმოჩენილია ტახის გამოსახულებიანი რამდენიმე ნივთი: ოქროს დიადემა ტახისა და ლომის ბრძოლის სცენით; ოქროს სამაჯურები ტახის გამოსახულებით; ბრინჯაოს სარწყულის გრავირებული სახურავი, შემკული ტახის, მამლის, ნიამორისა და

ნივთებია აღმოჩენილი, ძვ.წ. V-III სს-ით თარიღდება. ჩვენთვის საინტერესო ნივთთა შორის, მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, აღსანიშნავია ოქროს სამაჯურები ტახების გამოსახულებებით და ოქროს დიადემა ლომებისა და ტახების ბრძოლის სცენით (სურ. 9-12).

ოთ. ლორთქიფანიძე თავის ნაშრომებში არაერთგზის ეხება აღნიშნულ ოქროს ნაკეთობებს და იძლევა მათს სტილისტურ ანალიზსა და მეცნიერულ შეფასებას. მისი აზრით, ვანის სამაჯურების ტახების გამოსახულებანი რამდენადმე უახლოვდება ირანისა და მცირე აზიის ტერიტორიებზე ბრინჯაოს ტახების ცნობილ გამოსახულებებს, თუმცა, განსხვავებასაც ხედავს; კონკრეტულად კი, ზოგიერთი დეტალის (ყურის, ჯაგრის) გადმოცემასა და გრაფიკულ-დეკორატიული სტილის თავისებურებებს. რაც შეეხება ოქროს დიადემას (ძვ.წ. V ს-ის დასასრული – IV ს-ის დასაწყისი), რომელზედაც ლომებისა და ტახის შერკინებაა გადმოცემული, ოთ. ლორთქიფანიძე იონიურ-ბერძნული ხელოვნების გავლენით შექმნილად მიიჩნევს [ლორთქიფანიძე ოთ. 1972:14, იხ. შენიშვნა 39]. იგი წერს: „ვანის დიადემებზე ასახულია ძველი აღმოსავლეთისა და აგრეთვე, ბერძნულ ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული მოტივი ცხოველთა ბრძოლისა, რომელსაც კოლხეთშიც უთუოდ გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ვანის დიადემის ავტორი, როგორც ჩანს, აღზრდილი იყო ძველაღმოსავლურ მხატვრულ ტრადიციებზე, მაგრამ კარგად იცნობდა აგრეთვე გვიანარქაული ხანის ბერძნული ხელოვნების წარმოსახვით პრინციპებს" [ლორთქიფანიძე ოთ. 1995: 12-13].

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: დიადემაზე ასახულ სიუჟეტში ხომ არაა გადმოცემული ბერძნული და ირანული კულტების დაპირისპირება, ანუ იდეოლოგიური ბრძოლა? ოქრომჭედელი, რომელმაც ეს ბრწყინვალე ნიმუშები შექმნა, არა მარტო დიდოსტატია თავისი საქმისა, არამედ ბრწყინვალე მცოდნეც ბერძნული და აქემენიდური რელიგიებისა, რომელთა გავლენის სფეროშიც იყო მოქცეული იმდროინდელი საქართველოს ტერიტორია და ქართველური ტომები. ვანის დიადემაზე ლომისა და ტახის ბრძოლის სცენით (სურ. 12), ჩვენი აზრით, დასავლურ (ბერძული) და აღმოსავლურ (სპარსულ) რელიგიათა ჭიდილის ამსახველი სიუჟეტია გადმოცემული. ლომი ბერძნულ სამყაროს განასახიერებს, ტახი კი – სპარსულს; ზოროასტრიზმში ტახი ხომ ღვთაება მითრას ერთ-ერთი წმინდა ცხოველია. ბერძნული და აქემენიდური ელემენტების სინთეზზე საუბრობს ვ. ლიჩელი, როცა ის განიხილავს ვანის ნაქალაქარის არქიტექტურულ დეტალს – ფრიზს [ლიჩელი ვ. 2010: 33]. ჩანს, ეს სინთეზი ვლინდება, როგორც არქიტექტურაში, ისე კულტურის სხვა სფეროშიც. აქ ერთმანეთთან სამი სხვადასხვა კულტურულ-ეთნიკური სამყაროს (ირანი,

---

მგლის ფიგურებით [ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ. ...1972: სურ. 225]; № 3 სამარხში, რომელშიც დაკრძალული ყოფილა ქალი, აღმოჩნდა ვერცხლის ფიალა, რომლის ფსკერზე წარმოდგენილია წრეზე მოძრავი ოთხი ცხოველი – ტახი, ირემი, მგელი და ლომი. ტახისა და ირმის შუაში მზეა ამოტვიფრული. გამთხრელის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ქალი, შესაძლოა, კულტის მსახური ყოფილიყო [ხოშტარია ნ. 1972: 89; Хоштариа Н. 1979: 125];. ტახის გამოსახულებიანი ოქროს ფირფიტები აღმოჩნდა №16 სამარხში [კაჭარავა დ., მჟავანაძე ზ. 1986: სურ. 10-1]; №19 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს საბეჭდავი ბეჭედი ფარაკზე ტახის გამოსახულებით; №24 სამარხის კომპლექსში ნაპოვნ ბრინჯაოს სარწყულს სახელურის ქვედა ბოლო შემკული აქვს ტახის გამოსახულებიანი ფირფიტებით.

საბერძნეთი, იბერია-კოლხეთი) ტრადიციებია შერწყმული. ამიტომ ჭირს ზოგჯერ იმის გარჩევა, თუ რა არის ადგილობრივი და რა — შემოტანილი.

კოლხეთში აღმოჩენილი ოქროს სამაჯურების კვლევას საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა არქეოლოგმა ან. ჭყონიამ. იგი განიხილავს ტახის გამოსახულებიან სამაჯურებსაც. მისი აზრით, ვანში აღმოჩენილ სამაჯურებზე აქემენიდური ხელოვნების გავლენა არ გამოიხატება მხოლოდ ფორმასა და იკონოგრაფიულ ნიშნებში. აქემენიდურ სამყაროში ამ სახის სამაჯურებს, როგორც ჩანს, მინიჭებული ჰქონდათ ინსიგნიის ფუნქცია [ჭყონია ან. 2013: 120]. ვეთანხმებით რა ავტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, დავამატებთ, რომ მსგავსი იკონოგრაფიით (ტახი, ცხენი, ირემი, ბომონი და ა.შ.) შემკული ნივთების ფლობა არა მარტო სოციალური სტატუსის მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო, არამედ ისეთივე შინაარსის მატარებელი, როგორიცაა ქრისტიანისათვის ჯვარი. ალბათ, ამის დასტური უნდა იყოს კოლხეთისა და ქართლის დიდებულთა სამარხებში მითრას კულტთან დაკავშირებული სიმბოლიკით გაჯერებული ნივთების სიმრავლეც.

მცხეთაში, არმაზისხევის №6 სამარხში, აღმოჩენილია ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუში — ტახი-საკიდი (სურ. 19), რომელიც ცხოველის მინიატიურულ ქანდაკებაა. ის გამოყენებული უნდა ყოფილიყო ავგაროზად. ამ საკიდის ფუნქცია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ტახის კავშირს რელიგიურ კულტთან და მის სიმბოლურ დანიშნულებას [აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. ... 1955: 70. ტაბ. VI, სურ. 3; ტაბ. XVI, სურ. 36].

საინტერესო მასალა აღმოჩნდა ახალი ჟინვალისა და არაგვისპირის სამარხებში. ტახზე ნადირობის სცენაა გამოსახული არაგვისპირის გვიანანტიკური ხანის №13 სამარხის ვერცხლის სურაზე (II-III სს.). ნიშანდობლივია, რომ ამავე სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის პინაკი, რომლის ფსკერზე ამოტვიფრულია ზოროასტრული ბომონი და მის წინ მდგარი ტორშემართული ცხენი [რამიშვილი რ. 1975: 12].

ტახის იკონოგრაფიულ გამოსახულებებს ვხვდებით ვერცხლის სხვადასხვა ჭურჭელზე. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ვანის №3 სამარხის კომპლექსში აღმოჩნდა ვერცხლის ფიალა, რომლის ფსკერზე წარმოდგენილია რიტუალური სცენა, წრეზე მოძრავი ოთხი ცხოველი: ტახი, ირემი, მგელი და ლომი (სურ. 13); ტახისა და ირმის შუაში მზეა გამოსახული [Хоштариа Н. 1979: 202]; ტახის, როგორც წმინდა ცხოველის, შესახებ მნიშვნელოვანი არგუმენტია ვანის №19 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს საბეჭდავი ბეჭედი, რომლის ფარაკზე ტახის ფიგურაა გამოსახული (სურ. 9). ამ საბაჭდავი ბეჭედის პატრონი, ალბათ, ხელისუფლების წარმომადგენელი ან ტაძრის მსახური იყო.

საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილ სამაროვნებზე ნაპოვნია ვერცხლის პინაკები, რომელთა ფსკერზე რელიგიურ-რიტუალური სიუჟეტებია მოცემული. ზღუდერის №2 ხის სარკოფაგში აღმოჩენილი პინაკის ფსკერზე გამოსახულია (სურ. 14) მოოქრული ძაღლი და ტახი [ნემსაძე გ. 1969: ტაბ. III-2]. დანარჩენ პინაკებზე (6 ცალი) ბომონი და მასთან მდგარი ცხენებია ამოტვიფრული (არმაზისხევი — №3 სამარხი; ზღუდერი — №№1, 2 სარკოფაგები; არაგვისპირი — №13 სამარხი;). მსგავსი ტიპის ჭურჭელი სარიტუალო დანიშნულების იყო, ვინაიდან უქრობელი ცეცხლი

– ათაშდანი და მასთან მდგომი ცხენი ირანის სახელმწიფოებრივ-რელიგიურ სიმბოლოებადაა მიჩნეული [ნემსაძე გ. 1979: 59].

ტახის თავის გამოსახულებაა ჩასმული ჭერემის სასანური ვერცხლის თასის ძირზე, რომლის კორპუსი მთლიანად დაფარულია რელიეფური მცენარეული ორნამენტით (სურ. 20).

არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება ტახის გამოსახულებიანი თიხის რიტონები. ჩვენთვის ორი ასეთი რიტონია ცნობილი. ერთი ვანის ნაქალაქარზეა აღმოჩენილი (სურ. 15), მეორე კი – ქსანში (სურ. 16).

ტახის/ღორის მცირე სკულპტურები ცნობილია აგრეთვე სვანეთიდან (ძვ.წ. I ათასწლეული – ახ.წ. I-IV სს.). მესტიის მუზეუმში დაცულია ღორის თიხის ფიგურის თავის ფრაგმენტი (სურ. 17). ის საკმაოდ სქემატურია, ხასიათდება გრძელი დინგითა და აცქვეტილი დიდი ყურით (მეორე მოტეხილია). უშგულის მუზეუმში კი ინახება ტახის/ღორის თავის ბრინჯაოს საკიდი (სურ. 18). სვანეთში ღორის კულტის არსებობა ეთნოლოგიური მასალის მიხედვითაც დასტურდება.

ტახის/ღორის კულტის არსებობას ადასტურებს, უმთავრესად, ბავშვების სამარხებში აღმოჩენილი გოჭის ფალანგები, რომლებიც გახვრეტილია და მათ, როგორც ჩანს, ავგაროზებად იყენებდნენ. სამარხები დათარიღებულია ძვ. წ. XI-IX სს-ით; VIII-VII სს-ითა და VII-VI სს-ით [აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. ... 1999: 23, 40, 64-65; 93. ტაბ. IV-68; ტაბ. XI-142; ტაბ. XX-255; ტაბ. XXVII-371; ნიკოლაიშვილი ვ., გავაშელი ე. 2007: 38-40. ტაბ. IX-890]. საინტერესოა, რომ ავგაროზებად გოჭის ფალანგების გამოყენების ფაქტები ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც დასტურდება. ამაზე ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

მოხმობილი მასალის მიხედვით, ჩანს, რომ ტახის/ღორის კულტი საქართველოში უფრო მასობრივად ანტიკური ხანიდან მკვიდრდება, იმ დროიდან, როცა საქართველოსა და აქემენიდურ ირანს შორის ურთიერთობა აქტიურ ფაზაში შედის, ზოროასტრიზმი კი ქართველთა რელიგიურ პრაქტიკაში მძლავრად იკიდებს ფეხს.

ტახის/ღორის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული ტახებისა და ღორის თიხის მცირე ზომის ფიგურები (28 ცალი) ყობანური კულტურის ძეგლებიდან (სურ. 7). ისინი აღმოჩენილია ძვ.წ. X-VII სს-ის ნამოსახლარებსა და სამარხებში. ტახები გადმოცემულია ძლიერი ტანით, მოკლე დინგითა და რელიეფური, ჯაგარაშლილი ზურგით, რაც ხაზს უსვამს ცხოველის ფიზიკურ სიძლიერეს [Козенкова В. 1982: 70. таб. XIII–12-14].

ჩვენი მიზანი არაა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ტახის/ღორის ყველა ფიგურის განხილვა. ვფიქრობთ, მოხმობილი მასალა საკმარისად გვიქმნის წარმოდგენას ძველ ქართულ ყოფაში ღორის კულტის არსებობაზე. ტახის კულტი გავრცელებული იყო მთელ მსოფლიოში. მას ვხვდებით დასავლეთ ევროპის არქეოლოგიურ კულტურებშიც. ტახი ძლიერების სიმბოლო იყო. იქაური ფიგურები, ძირითადად, მასიურია, რაც ცხოველის ფიზიკურ სიძლიერეს უსვამს ხაზს (სურ. 21, 22).

ღორის კულტი ქართულ ეთნოკულტურაში

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ფართოდ გავრცელებული ღორის კულტი, როგორც დავინახეთ, სათავეს პრეისტორიული წარსულიდან იღებს და დღემდეა შემორჩენილი. ღორის კულტი საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ჩანს გავრცელებული. ქართული მასალის მიხედვით, ღორი წარმოჩენილია მრავალმხრივ დადებით ცხოველად. ისაა სიუხვის, ბედნიერების, სიკეთისა და ავი სულებისგან დამცველი. ვ. ბარდაველიძეს 1927 წელს შიდა ქართლში ჩამოსახლებული მთიულებისგან ჩაუწერია საინტერესო მასალა. იგი წერს, რომ ავი სულების საწინააღმდეგო საშუალებად მთიულებს აკვანზე ჩამოკიდებული აქვთ სხვადასხვა ამულეტი: სათვალავი მძივი (ოპალი, ავი თვალის წინააღმდეგ), ღორის კბილი, ყური და დინგი. ვ. ბარდაველიძე ხაზს უსვამს ღორის მიმართ ქართველი მთიელების დამოკიდებულებას. იგი შენიშნავს: „მაშინ, როდესაც საზოგადოდ მთიელი ღორს სახლში არ იყენებს, მის ხორცს საჭმელად არ ეკარება, ღორის კბილი, ყური და დინგი ძლიერ საშუალებად მიაჩნია ავი სულების წინააღმდეგ და ამულეტად ხმარობს ბავშვის აკვანზე სხვა ამულეტებთან ერთად“. მკვლევარი მთიულების კიდევ ერთ ჩვეულებაზე საუბრობს: „მთიელები, როდესაც მიწაში ძველ ფულს ან სხვა რაიმე განძს იპოვნიან, აუცილებლად ჯერ ღორს დაასუნთქვინებენ – ავი ქარი გაქრებაო, და შემდეგ ნივთს ხელში აიღებენ“ [ბარდაველიძე-ლომია ვ. 1928: 273].

ღორის დინგის გაფეტიშება-გაკერპების ფაქტი დამოწმებული აქვს ეთნოგრაფ კ. კახიანსაც. მას ეს ჩვეულება დაუდასტურებია 1969 წელს ქსნის ხეობაში, სოფელ პავლიანთ კარში. ღორი იკვლებოდა დეკემბერში. მას გაფუფქავდნენ, მეორე დღეს თავს გაასუფთავებდნენ, გატრუსავდნენ და შემდეგ მოჭრიდნენ დინგს, რომელსაც გასახმობად ბოძზე დაკიდებდნენ. თუ ეჩქარებოდათ, 15 დღემდე ტოვებდნენ, ზოგჯერ კი ერთ წლამდეც რჩებოდა. ბავშვი რომ დაიბადებოდა, დინგს აკვნის თავზე, ბავშვის თავის მხარეს, დაკიდებდნენ. ხალხის რწმენით, ღორის დინგი ბავშვს ავ ქარს ააცილებდა და ბავშვი წესიერი გაიზრდებოდა. ღორის დინგს კარებზეც კიდებდნენ. ადამიანი თუ უდროო დროს მივიდოდა, ანუ დაღამების შემდეგ, მას ავი ქარი არ შეჰყვებოდა შინ [კახიანი კ., სოხაძე ა. 1972: 182]. ამრიგად, ღორის დინგი ითვლებოდა ავი ქარის დამაფრთხობელ, გამდევნ, დამთრგუნავ ძალად. ავი ქარი მიჩნეული იყო მავნე სულად.

საინტერესოა, რომ ღორის ჯაგარსაც სამკურნალო ეფექტს მიაწერდნენ. ქვემო რაჭაში კანის დაავადების ერთ სახეობას ეწოდებოდა საბაგირე. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მას ერქვა ღორთმგროვალა. ეს დაავადება, ძირითადად, ბავშვებს ემართებოდათ. ავადმყოფს გამოაყრიდა წითლად და იცოდა ქავილი. ხალხის რწმენით, ავადმყოფი თუ არ გაგორდებოდა საღორის წინ ან საღორეში, ის არ მორჩებოდა. ბავშვი ამ დროს წელს ზემოთ შიშველი უნდა ყოფილიყო. ზოგჯერ ავადმყოფებს ღორის ჯაგარსაც უსვამდნენ. აღსანიშნავია, რომ რაჭულ საბოსლო რიტუალში ღორის ქონს იყენებდნენ პირუტყვის მიმართ მაგიური დანიშნულებით. სოფ. სორში ბოსლობის დღეობის დროს ოჯახის უფროსი ღორის ქონით უპოხავდა საქონელს რქებსა და კისერს. ეს ქმედება ტარდებოდა პირუტყვის ავი სულებისაგან მისი დაცვის მიზნით [კახიანი კ., სოხაძე ა. 1972: 187].

ამრიგად, როგორც ირკვევა, ღორის დინგს, ეშვს, ქონსა და ჯაგარსაც კი მაგიური მნიშვნელობა მიეწერებოდა. ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საქართველოში ღორის დინგის გამოყენება არ იყო იზოლირებული მოვლენა. იგი შედიოდა ღორის კულტთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა რთულ კომპლექსში.

კახეთში, ნეკრესის ეკლესიაში, ღორის მსხვერპლად შეწირვა შილდელების მიერ ტრადიციად დამკვიდრებული ანომალია იყო და მას წარმართულ წეს-ჩვეულებად მიიჩნევდნენ. აღნიშნული მოვლენის უფრო ფართოდ კვლევისას ირკვევა, რომ ღორის მსხვერპლად შეწირვა ზამთრისა და საგაზაფხულო ციკლის დღეობებს უკავშირდებოდა, რომლებშიც ტახს, ღორსა და გოჭს, როგორც შესაწირავ ცხოველებს, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა [აბაკელია ნ. 1997: 80].

ქართულ დღეობათა კალენდარულ ციკლში ტახის/ღორის სიმბოლოს მთავარი ადგილი ეკავა. როგორც ცნობილია, შობის წინა საღამოსა და შობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ახალი წლის დასაწყისს და, შესაბამისად, იგი დატვირთული იყო მრავალფეროვანი მაგიური ხასიათის წეს-ჩვეულებებით, რომლებიც, ძირითადად, მიმართული იყო ნაყოფიერების გასაზრდელად, ჯანმრთელობის განსამტკიცებლად, ავი სულების დასაძლევად და, საერთოდ, კეთილდღეობით სავსე მომავლის უზრუნველსაყოფად [აბაკელია ნ. 1997: 79].

სამეგრელოში სამსხვერპლო ღორის მონაწილეობით ტარდებოდა ხეხუნჯობის რიტუალი, რომელიც 31 დეკემბერს იმართებოდა და დაკავშირებული იყო მჭედლობასთან. ამ დღის აუცილებელი შესაწირავი ცხოველი ღორი იყო. აღსანიშნავია, რომ რიტუალი აუცილებლად სამჭედლოში ჩაფლულ ღვინით სავსე ქვევრებთან უნდა გამართულიყო [აბაკელია ნ. 1997: 81-82].

მსგავსი რიტუალი დასტურდება ბზიფის ხეობის აფხაზებთან ახალი წლის დღესასწაულზე, რომელიც სამჭედლოს ღვთაება შაშვისთანაა დაკავშირებული. იგი ხეჩხუამად იწოდება. ამ სიტყვის ეტიმოლოგია ნ. ჯანაშიამ მეგრულის საფუძველზე აღადგინა და თვლიდა, რომ ის ღეჯ-ხვამიდან მომდინარეობდა, რაც ნიშნავს ღორით ლოცვას. იმავე დღეობას სვანეთში (ლაშხეთში) შუშხვამ ეწოდება. ამ ტერმინში (შუშხვამ) ისევ მეორდება მეგრული სიტყვა ხვამა (ლოცვა) [აბაკელია ნ. 1997: 85].

მოხმობილ მასალაში ღორი ოჯახში, სამჭედლოსა და საღორესთან შესრულებულ რიტუალებში ფიგურირებს. ზოგჯერ ის მარანთანაცაა დაკავშირებული, მაგალითად, გურიის სოფლებში ახალ წელს — კალანდის საღამოს შემდეგი რიტუალი სრულდებოდა: შებინდებისას სახლის უფროსი ოჯახის წევრებს დედაბუდიანად მარნისკენ გაუძღვებოდა. ანთებული სანთლებით შევიდოდნენ მარანში, თან მიიტანდნენ ხაჭაპურით, ღორის თავითა და ღვინიანი დოქით გაწყობილ გობს. ოჯახის უფროსი შუა მარანში, ჭურის თავზე, დადგამდა გობს და ზედ სანთლებს დაამაგრებდა. ამის შემდეგ გობს სამჯერ წაღმა შემოატრიალებდა და დაილოცებოდა, სასმისით ღვინოს დალევდა, ხაჭაპურსა და ღორის ხორცს დააყოლებდა. მერე დანარჩენებიც ასევე დაილოცებოდნენ. ამას მოჰყვებოდა აგუნას გადაძახილი. რიტუალის წამყვან-შემსრულებელი თან ამ დროს საწნახელს ღორის თავს ურტყამდა [აბაკელია ნ. 1997: 89-90].

სამეგრელოში ღორი მირსობის/ნირსობის დღეობაზე იწირებოდა. მირსობა დღეს, ხუთშაბათს, ოჯახის უფროსი მამაკაცი ღორს უკანა ფეხებზე მოჰკიდებდა ხელს, კერის გარშემო შემოატარებდა რამდენიმეჯერ და წარმოთქვამდა ლოცვას: „დღევანდელი მირსობის მობრძანებავ! მე და ჩემ ცოლს და შვილებს ბედი მიეცი: ბედნიერად ამყოფე, ყოველი ავი და ბოროტისაგან გააგდე; ყოველი ცუდი გზისგან, წყლისგან შენ დაიფარე, შენი სახელი დალოცვილი". ლოცვის დასასრულს ღორს დაკლავდნენ [აბაკელია ნ. 1997: 92-93]. ზედმეტი არ იქნება, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ოდიშის გერბსა და დროშაზე გამოსახულია ტახი, რომელსაც ფეხებით დროშა უჭირავს.

ღორისა თუ გოჭების ფალანგებისა და კოჭების ამულეტებად გამოყენების ფაქტები დადასტურებულია მესხეთ-ჯავახეთში. ბავშვს ავი რომ არ დამართოდა, აკვანზე კიდებდნენ ჩანჩხურას, რომელშიც ასხმული ყოფილა: თვალის გრივი ოროჯი (ღვინჭილა), აყიყი (წითელი მძივია. ზედ გამოსახულია ნახევარმთვარე და ვარსკვლავები), თევზის ლაყუჩი, ღორის კოჭები და სხვ. [მაკალათია ს. 1938: 98-99]. ღორის კოჭებისა თუ ფალანგების ბავშვის აკვანზე ჩამოკიდება და ავგაროზებად გამოყენება პირდაპირი გაგრძელება უნდა იყოს იმ ტრადიციისა, როდესაც ბავშვებს სამარხებში ატანდნენ ღორის გახვრეტილსა და ამულეტებად გამოყენებულ ფალანგებს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ამის შესახებ იხ. ზემოთ).

ღორის კულტი უკანასკნელ დრომდე ევროპაშიც ყოფილა შემორჩენილი. გერმანიასა და ინგლისში წესად ჰქონიათ საშობაო სადილზე მიერთმიათ ტახის შემკული თავი, რომელიც იყო ზამთრის ლუნარული მონსტრი და იკვლებოდა ზამთრის მზებუდობის დროს. უბრალო ხალხი გერმანიაში შობა ღამეს საღორეში იძინებდა ბედ-იღბლის განმსაზღვრელი წინასწარმეტყველური სიზმრის სანახავად. ადგილობრივთა რწმენით, ახალი მზე საღორეში იბადებოდა [აბაკელია ნ. 1997: 105-106].

ამრიგად, ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ტახი/ღორი მოიაზრება ოჯახის სიუხვის, სიმდიდრის, ხვავისა და ბარაქის მომტან სიმბოლოდ. რიტუალების ჩატარების დროს ღორი ფიგურირებს ისეთ წმინდა ადგილებთან, როგორებიცაა კერა, მარანი და სამჭედლო, რაც ხაზს უსვამს ამ ცხოველის საკრალურობასა და წმინდა, სამსხვერპლო ხასიათს. ზოგჯერ ღორი გვევლინება ავი სულებისგან დამცველად და ამა თუ იმ დაავადების მშველელადაც. ქართული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ტახი/ღორი არ ასოცირდება ბოროტი და უხეში ძალის არსებასთან. ის წარმოგვიდგება ოჯახის მფარველად, ღვთაებასთან წილნაყარ შინაურ ცხოველად, რომელსაც მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია.

მითრას კულტი

ტახის/ღორის კულტის კვლევას მივყავართ ზოროასტრული რელიგიის განშტოება მითრაიზმთან. როგორც ცნობილია, ტახის გარდა, ღვთაება მითრას წმინდა ცხოველებია: ხარი, ცხენი, ძაღლი, გველი, ყორანი და მამალი. მითრას წმინდა ცხოველებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ტახს, რომელიც მითრას მხარდამხარ ებრძოდა ბოროტებას, რისთვისაც წარმატებით იყენებდა თავის ბასრ ეშვებს [მშვილდაძე მ. 2003: 97-99].

უძველესი ცნობები მითრას შესახებ დაცულია ინდოელთა „რიგ-ვედა"-ში, სადაც ის მოხსენებულია მთავარ ღვთაება – ვარუნასთან ერთად. მითრა-ვარუნა ნათლისა და ბრწყინვალე ცის ღვთაებად იყო აღიარებული. ის სიკეთისა და სიცოცხლის წყაროდაც ითვლებოდა. უფრო ვრცელი ცნობებია დაცული მითრას შესახებ „ავესტა"-ში, სადაც მითრას მიჰრ ეწოდება, რომელიც ნათელს ან სინათლეს ნიშნავს და მუდამ მთავარ ღვთაება – აჰურა-მაზდასთან ერთად იხსენიება [მაკალათია ს. 1927: 179-180].

მითრაიზმი, როგორც ძველი ზოროასტრიზმიდან წარმოშობილი სპარსული კულტი, ბაბილონური სამღვდელოების, მცირეაზიური ლოკალური კულტების, ბერძნული ხელოვნებისა და ფილოსოფიის გავლენით მოდიფიცირდა. მითრაიზმის ღრმად გამოხატულმა დუალისტურმა პრინციპმა გავლენა მოახდინა საბერძნეთისა და რომის რელიგიურ ცხოვრებაზე, იუდაიზმსა და ქრისტიანობაზე [ქურციკიძე შ. 1993: 161].

მსოფლიოში მითრას კულტის გავრცელებას ხელი შეუწყო რომის იმპერიამ. რომაულ მითრაიზმში ორი ძირითადი მიმართულება გამოიყოფა: სამხედრო მითრაიზმი, რომელიც ყვაოდა დუნაიდან ადრიანეს კედლის გასწვრივ და ურბანული მითრაიზმი, რომლის დამადასტურებელი სალოცავები უხვადაა შემორჩენილი ოსტიაში, რომსა და იმპერიის სხვა ქალაქებში [Laeuchli S. 1968: 74-75]. რომში, რომელიც მითრაიზმის დედაქალაქი იყო, დაახლოებით 700-მდე მითრეუმის არსებობა ივარაუდება [Luther H. Martin. 1989: 2-3].

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია სასახლეები და ტაძრები, რომლებიც აქემენიდური სამშენებლო ტრადიციის გავლენითაა აშენებული. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ცეცხლის ტაძარი ციხიაგორასა და უფლისციხეში [ყიფიანი გ. 2000: 35-40; 52-53]; სასახლე და ცეცხლის ტაძარი დედოფლის მინდორზე [გაგოშიძე ი. 1978: 64, 73]; ზოროასტრული კოშკურა – ცეცხლის ტაძარი სამადლოსა და ვანში [Гагошидзе Ю. 1979: 52; ყიფიანი გ. 2000: 9]; ცეცხლის ტაძარი ღართისკარში [ხიმშიაშვილი კ. 2001]; ზოროასტრული სამლოცველო და სამსხვერპლო ბომონი დიღმისთავში [მირცხულავა გ., სონღულაშვილი ი. 2007: 120].

ცეცხლის ტაძრების, სალოცავების, საკურთხევლების არსებობა დადასტურებულია აგრეთვე ქართულ წერილობით წყაროებში („შუშანიკის წამება", „ევსტატი მცხეთელის წამება", „მოქცევაჲ ქართლისაჲ", „ქართლის ცხოვრება", „რაჟდენის ცხოვრება" და სხვ.). „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ვახტანგ გორგასალმა და მისმა მეუღლემ რაჟდენის ნეშტი წრომიდან ნიქოზში გადაასვენეს და იქ ეკლესია ააგებინეს „საგზებელსა თანა ცეცხლისასა" [დუნდუა თ., სილაგაძე ნ. 2010: 74].

ქუთაისში, კარსნისხევში, სამთავროსა და ურბნისში აღმოჩენილია ძვირფასი ქვები (გემები), რომლებზედაც მითრა-მხედარია გამოსახული, იმგვარი, როგორც ქალაქ ტრაპეზუნტის III ს-ის მონეტებზე (მითრა ქ. ტრაპეზუნტის მთავარი ღვთაება იყო). სპეციალისტები ამ გემებს IV ს-ით ათარიღებენ და ადგილობრივ პროდუქტად მიიჩნევენ [დუნდუა გ. 1968: 19; დუნდუა გ. 1977: 336].

IV-VI სს-ში ქართლში (უმეტესად, მცხეთაში, თბილისსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში) ირანული, ზოროასტრული, მოსახლეობა ცხოვრობდა. ამის

გამო ჩვენი ქვეყნის რუკა ირანული წარმოშობის მრავალი ტოპონიმით (მაგ., მოგვთაკარი, სოღდებილი და სხვ.) გამდიდრდა [დუნდუა თ., სილაგაძე ნ. 2010: 74].

ი. გაგოშიძის მოსაზრებით, ელინისტური ხანის ქართველ დიდგვაროვანთა წრე მაზდეანურ რელიგიას აღიარებდა [Гагошидзе Ю. 1979: 52]. სამეფო კარისა და დიდგვაროვანთა მრწამსის დამადასტურებელ არგუმენტად გამოდგება ირანული საკულტო დანიშნულების ნივთების სიმრავლე წარჩინებულთა სამარხებში. ვერცხლის პინაკები მარადიული ცეცხლის საკურთხევლითა და მათ წინ მდგარი ცხენებით (ერთგანაა მხოლოდ ტახი და ძაღლი); სამარხებში არსებული ბრინჯაოს საცეცხლურები – ბომონი, ასევე საცეცხლურად გამოყენებული ხარის ბრინჯაოს თავი და ა.შ. [ნემსაძე გ. 1969: ტაბ. III-1]. ნიშანდობლივია, რომ ხშირად სარიტუალო დანიშნულების ნივთებთან ერთად (პინაკები, თასები, ფიალები) გვხვდება ბეჭდები ინტალიოთი, რომლებზეც გამოსახულია მითრა თავისი ატრიბუტებით. ამ ნივთების კონცენტრირება წარჩინებულთა სამარხებში, სავარაუდოდ, იბერია-კოლხეთის დიდგვაროვანთა ფენის რწმენა-წარმოდგენებს უნდა ასახავდეს.

კუს ჯავშანი – შემთხვევითობა თუ კულტის ნიშანი

საინტერესოა სამარხში კუს ჯავშანის აღმოჩენის ფაქტი. სამარხში მისი მოხვედრის საკითხი სადავოა და მასზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია.

კუს ჯავშანი აღმოჩენილია აზერბაიჯანში, მინგეჩაურის №4 ყორღანში, რომლის სიღრმე ყრილიანად დაახლოებით 7-8 მეტრს აღწევდა, ყრილის სიმაღლე – სამ მეტრს, კამერის სიღრმე კი 5 მ-ს უდრიდა. დასაკრძალავ კამერაში (ზომა: 17x6 მ) დაკრძალული იყო მამაკაცი მარჯვენა გვერდზე, მოხრილად, სამარხში აღმოჩნდა ექვსი ცხენი, აქლემი, რამდენიმე შინაური ცხოველისა და კუს ძვლები [Асланов Г. М., Ваидов Р. И., ... 1959: 108-109]. გარემოებათა გამო, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ კუ ამ სიღრმემდე ჩამძვრალიყო.

ქართულ არქეოლოგიაში სამარხებში კუს ჯავშნის აღმოჩენა შემთხვევითობადაა მიჩნეული, ანუ კუ თვითონ უნდა ჩამძვრალიყო სამარხში და იქ ჩარჩენილიყო. რა თქმა უნდა, ეს აზრი ლოგიკას მოკლებული არაა და შეიძლება მას დაეთანხმო, თუმცა, ერთი გარემოება ეჭვს აღძრავს. ესაა საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი, შილდის სამლოცველოზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ე.წ. კუს საკიდები (სურ. 24). ძეგლზე მოპოვებული მასალისა და მისი ანალოგების მიხედვით სამლოცველო ძვ. წ. XIV-XII სს-ითაა დათარიღებული [მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ. 1984: 3. ტაბ. XVII-XVIII]. ამ ასაკით შილდის მთელი მასალის დათარიღებასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული აზრიც. ანალოგიური საკიდები ცნობილია სომხეთის გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლებიდან. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მსგავსი საკიდები მხოლოდ გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ცენტრალურა-მიერკავკასიური კულტურისთვისაა დამახასითებელი [ფიცხელაური კ.

2005:89. ტაბ. XXII, XXXI, XXXII, LXVIII, CLXXXII]. ცნობილია ბრინჯაოსგან ჩამოსხმული კუს საკმაოდ რეალისტური ფიგურა ბრილიდან[6] (სურ. 23). მას არქეოლოგიური კონტექსტი არ ახლავს და მისი თარიღი (ძვ.წ. VIII–VI სს.) პირობითია. ბოლოს კი,საიუველირო ოქრომჭედლობის უბრწყინვალესი ნიმუში - კუს საკიდებიანი ყელსაბამი ვანის №11 სამარხიდან (სურ. 25). ძნელად დასაჯერებელია, რომ ოქრომჭედელს კუს საკიდების დამზადების იდეა სპონტანურად გასჩენოდა.

ყელსაბამის შემკულობის ხასიათი და გამოყენებული ტექნიკური ხერხები დამახასიათებელია კოლხური ოქრომჭედლობისათვის. უჩვეულოა მხოლოდ კუს ინკრუსტირებული თვალები, რაც აქემენიდური ირანის საიუველირო ხელოვნების გავლენას მიეწერება. ყელსაბამის საკიდების გამოსახულებების მნიშვნელობაც, — წერს ან. ჭყონია — ადგილობრივი წარმომავლობისაა და, როგორც ჩანს, ძველი კოლხეთის რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება. ჯერჯერობით ძნელი გასარკვევია, რა ფუნქცია ეკისრებოდა კუს გამოსახულებას ძველი კოლხების რელიგიურ აზროვნებაში [ჭყონია ა. 1981. 36-37]. კუს გამოსახულებიანი არტეფაქტების გამოჩენა, ჩვენი აზრით, კუს კულტის არსებობაზე უნდა მიანიშნებდეს.

კავკასიისათვის კუს კულტი ძალზე უჩვეულო ჩანს, თუმცა, ის საკმაოდ გავრცელებულია აღმოსავლეთის ქვეყნებში. კუ უძველესი სიმბოლოა. იგი განასახიერებს წესრიგს, სიბრძნეს, სამყაროს, სიმტკიცეს, სტაბილურობას, ნაყოფიერებას, უბიწობას, იცავს ავი თვალისგან და მოაქვს ბედნიერება. ჩინეთში კუ დრაკონთან, ფენიქსსა და მარტორქასთან ერთად წმინდა ცხოველად ითვლება. ის განასახიერებს წყლის სტიქიას, ყინ-ის პრინციპს, ჩრდილოეთ რეგიონსა და შავ ფერს, ანუ თავდაპირველი ქაოსის ფერს. კუ ასევე ცნობილია როგორც შავი მებრძოლი, ანუ სიძლიერის, გამძლეობისა და უკვდავების სიმბოლო. დრაკონი და კუს ჯავშანი იყო დაუმარცხებელი სიძლიერის სიმბოლო იმპერიის ჯარში, რადგან დრაკონი კუს ჯავშანს ვერ ტეხს, კუ კი დრაკონს ვერ მიწვდება. ხშირად კუ წეროსთან ერთად გამოისახება, როგორც ხანგრძლივი ცხოვრების სიმბოლო. იგი ზურგით ატარებს სამყაროს, მისი ოთხი ფეხი კი დედამიწის ოთხ მხარეს აღნიშნავს [Cooper J. 1986: 159].

ჰინდუიზმში კუ ჩრდილოეთის ვარსკვლავია, კასიაპა; პირველი ცოცხალი არსება; სამყაროს დასაწყისი; ყოვლისშემძლე ღმერთ ვიშნუს ინკარნაცია; წყლის ძალა. მდედრი კუ, რომლის ზურგზეც მამრი სპილოა გამოსახული, განასახიერებს შემოქმედის ძალას. ბერძნებსა და რომაელებთან კუ ქალური საწყისია, წყლის ნაყოფიერება, აფროდიტეს/ვენერას ატრიბუტი, აგრეთვე ჰერმეს/მერკურის აღმნიშვნელი, რომელიც კუს ჯავშნისგან ლირას ამზადებდა. ქრისტიანულ რელიგიაში კუ განასახიერებს სისადავეს ქორწინებაში. თუმცა, ადრეულ ქრისტიანულ ხელოვნებაში კუ ბოროტების სიმბოლო იყო [Cooper J. 1986: 159]. კუს კულტი ამიერკავკასიაში აღმოსავლეთიდან უნდა გავრცელებულიყო.

---

[6] ეს ფიგურა სამუზეუმო დავთარში, რატომღაც, მოხსენიებულია გომბეშოს ფიგურად, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმებით.

დასკვნა

არქეოლოგიური და ეთნოგრაფული მასალის მიმოხილვის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ნამოსახლარ შეუპოვარზე გათხრილი ტახებისა და კუს სამარხი სარიტუალო მიზნებისთვის გამართული სამარხი უნდა იყოს და იმდროინდელი საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებს ასახავს. ტახის/ღორის კულტი, როგორც ჩანს, უფრო აქტუალური ხდება საქართველოში ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე, მაშინ, როდესაც აქ მძლავრად იკიდებს ფეხს ზოროასტრიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობა – მითრაიზმი.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების რელიგიურმა მეხსიერებამ ღორის კულტი და მასთან დაკავშირებული რიტუალები დღემდე შემოინახა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ საქართველოში ტახის/ღორის კულტის გავრცელება მხოლოდ ზოროასტრიზმსა და მითრას კულტს დავუკავშიროთ. ჩანს, ღორის კულტი მანამდეც არსებობდა საქართველოში, რაზეც მეტყველებს აქემენიდური ხანის წინმსწრები არქეოლოგიური მასალა, მაგრამ აქემენიდურ სამყაროსთან იბერიისა და კოლხეთის მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურსა და კულტურულ-რელიგიურ ურთიერთობებს განსაკუთრებით უნდა შეეწყო ხელი ტახის/ღორის კულტის გაძლიერებისთვის.

ARCHAEOLOGY

George Gogochuri*, Irma Berdzenishvili**

*Otar Lordkipanidze Archaeological Center of the Georgian National Museum
D. Uznadze str. 14, 0102 Tbilisi, Georgia
Email: giorgigogochuri@yahoo.com

** Archaeological Research Institute at Sokhumi State University
Ana Politkovskaia 9, 0186 Tbilisi, Georgia
Email: irmab@mail.com

Boar/Pig Cult in Georgian Archaeology and Ethnic Culture

Summary

During 2011, archaeologists discovered a multilayered settlement with features belonging to seven different archaeological periods, in village Ilmazlo (Maurneuli municipality), in an area affected by construction on the right embankment of the river Mtkvari,

According to recent data the oldest features, which comprised an altar and a storage pit, date back to the 3rd millennium BC. The second layer is represented by a single grave of the early Iron Age period. Layers three to five comprised graves and pits of the Hellenistic period, palace remains from the 2nd-3rd centuries AD, and graves of the Early Middle Ages (6th-7th centuries). Layers six and seven contained the remains of a building construction dated back to the Late Middle Ages. During the Late Roman and Early Middle Ages this region belonged to Gardabani province, to the so-called Khunani principality (Saeristavo).

This report aims to discuss only one grave containing remains of two boars which were discovered between the 3rd and 5th layers. Both boars were buried in an orderly manner, parallel to each other, on the right and left sides of the grave (Fig. 3-4). A tortoise was buried alongside one of the boars. Due to the careful and deliberate positioning of these animals within the burial pit we should consider this to be an act of ritual animal sacrifice. This viewpoint can be justified by archaeological finds such as sacrificed boar/pig graves and archaeological artifacts depicting boar/pig made of gold, bronze, silver and clay (Fig. 7-22). The most significant aspect is that rituals and practices related to boar/pig cult are still performed in Georgian ethno culture to the present day.

It is difficult to determine the age of the boar and tortoise graves. Presumably it should be dated back to the time after the Hellenistic period, or after spreading Christianity throughout Georgia.

The ritual sacrifice of pigs/boars is known from Edi-kilisa (viliage Sakdrioni, Tsalka municipality) settlement and it dates back to the 3rd-1st centuries BC. Large clay bead pendants were discovered (Fig. 5-6) nearby the animal remains.

Pig bones were discovered in large quantities in Skhalta (Tetritskaro municipality) cemetery and they date back to the 4th-3rd centuries BC. These finds indicate to the fact that by almost every grave, a funeral repast meal was consumed. Pig ritual sacrifice is known from Aradeti Orgora (Kareli municipality). In layers dating back to the 4th-6th centuries AD buried suckling pigs were discovered. These pigs were presumably sacrificed.

The oldest known example of a pig figure was found in Tsitsamuri (Mtskheta municipality) in burial mound 13 and it dates back to the Middle Bronze Age (the 18th c. BC). Pig figure is made of blue Egyptian faience. Another pig figure found in Vani settlement (Vani municipality in west Georgia) altar square dates back to the 8th-7th centuries BC.

A boar/pig is depicted on bronze engraved belts, in the scenes of "holy hunting" (Tlia _ grave 76-[350]; Samtavro _ grave 276 and Sagarejo _ grave 5). These belts to the 8th-7th centuries BC.

A small bronze figure of a boar was discovered in Narekvavi (Mtskheta municipality) grave 41 and it dates back to the 6th-5th centuries BC (Fig. 8). The figure would originally have been fixed on a wooden handle and used as a standard. The standard belonged to a 'Cult Servant' and would have defined the owner's social status.

Existence of a boar cult is well justified by splendid gold and silver jewelry depicting boars from Vani settlement and cemetery, dated to the 5th-3th centuries BC (Fig. 19).

A brilliant example of the goldsmith's craftsmanship is known from Mtskheta - Armaziskhevi grave 6,a boar-pendant which might have been used as a talisman (Fig. 19).

Possessions decorated with similar iconography (such as a boar, horse, deer, altar, etc.) pointed not only to social status, but also to their owners' beliefs. Graves of nobles located in Kartli and Colchis contained plenty of grave goods related to Mithra and decorated with symbols of this cult.

Pig cult was spread all over Georgia. According to the ethnographical data, a pig was a positive animal and a symbol of abundance and wealth. Pigs were used in rituals and ceremonies in holy places including a fire-place, wine cellar and forge. This emphasizes holy and sacrificial character of this animal. In some cases, a pig is believed to have power for protecting from evil spirits and cure some diseases.

Boar/pig cult research has brought us to branch of Zoroastrian religion _ Mithraism. The list of holy/sacrificial animals of God Mithra is not limited to a boar, but also includes an ox, horse, dog, snake, crow and rooster.

Zoroastrianism was spread throughout the territory of Georgia during the Achaemenidian period of time (6th- 4th centuries BC). This fact is evident by discovery of fire temples and altars in Tsikhiagora, Uplistsikhe, Dedoplis Mindori, Samadlo, Vani, Gartiskari, and Digmistavi. Nobles from Iberia-Colchis time, presumably, were practicing Zoroastrian religion. A large number of cult objects originating from Iran have been found in graves of the royal family and nobles. They indicate to their faith and beliefs. Such objects include: silver ceremonial bowls - in the center of one bowl an eternal fire altar with horse(s) in front of it is depicted and in the other one a boar and dog, bronze censers - among them an ox bronze head was used as a Censer; Finger rings with intaglio - depicting Mithras and his attributes.

The presence of a tortoise shell in the burial pit can be explained either by an accidental case or as a specifically performed ritual. Some small artifacts with tortoise depictions have been discovered during a number of archaeological excavations, which give credence to the idea of ritual. For example, bronze tortoise pendants from Shilda sanctuary dated back to the 14th-12th centuries BC (Fig. 24). Similar pendants are known from the Late Bronze Age Armenian archaeological sites. A very realistically depicted tortoise figure is known from Brili (8th-6th centuries BC) (Fig. 23). Finally, a brilliant example of the goldsmith's craftsmanship is a fine necklace with tortoise pendants from Vani grave 11 (Fig. 25). Existence of these objects could be explained by the existence of a tortoise cult, which came to the Caucasion region from the East.

According to the archaeological and ethnographical data, with this animal burial pit we should consider animal ritual sacrifice, which demonstrates beliefs of the society living there. Boar/pig cult became more active on the eve of BC and AD, when Mithraism was widely spread throughout Georgia.

It is worth noting that a pig cult related rituals are still carried out in Georgia to the present day. Pig cult should have existed in Georgia before Zoroastrianism and Mithraism was spread there.It is proved by archaeological data proceeding the Achaemenid period of time. After tight political, economic, cultural and religious communications with the Achaemenid world a bore/pig cult was spread widely throughout Iberia-Colchis.

ბიბლიოგრაფია

აბაკელია ნ. 1997: *სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში*. თბილისი.

აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. 1955: *მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.* ტ. I. გვ. 1-253. თბილისი (რედ. გ. ჩუბინაშვილი).

აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., სიხარულიძე ა., გუნაშვილი გ., გავაშელი ე., ღლონტი ნ., კაპანაძე მ. 1999: *ნარეკვავი*. I. თბილისი.

ბარდაველიძე-ლომია ვ. 1928: ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში. *სსმმ.* ტ. IV. გვ. 235-278. ტიფლისი (რედ. ალ. ჯანელიძე).

ბარდაველიძე ვ. 1953: *ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები*. თბილისი.

გაგოშიძე ი. 1978: დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის 1976-77 წწ-ის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. *სსმაე.* ტ. VI. გვ. 62-77. თბილისი (რედ. ალ. ჯავახიშვილი)

გაგოშიძე ი. 1999: ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების ისტორიისათვის. *სსმმ.* 43-B. გვ. 57-67. თბილისი (რედ. ჭილაშვილი).

გოგოჭური გ., კალანდაძე ნ. 2013: მნიშვნელოვანი აღმოჩენები მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. *სსმმ.* IV (49-B). გვ. 18-66. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

დუნდუა გ. 1968: *რას მოგვითხრობენ ძველი მონეტები*. თბილისი.

დუნდუა გ. 1977: ერთხელ კიდევ ტრაპეზუნტის მონეტების იკონოგრაფიის შესახებ. *დიდი პიტიუნტი*. ტ. II. გვ. 343-346. თბილისი.

დუნდუა თ., სილაგაძე ნ. 2010: *მითრა საქართველოში*. თბილისი.

***თურქულ-ქართული ლექსიკონი*. 2001:** ტ. II. თბილისი.

კახიანი კ., სოხაძე ა. 1972: ქართველთა წარმართული რელიგიის ერთი საკითხის შესახებ. *მაცნე*. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №3. გვ. 182-195. თბილისი (რედ. გ. მელიქიშვილი).

კაჭარავა დ., მჟავანაძე ზ. 1986: ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. *ვანი*. ტ. VIII. გვ. 9-33. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

კიკნაძე ზ. 2002: „ხანში ირემი მოვიდა". *„ოჩხარი". ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიურ-ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი.* გვ. 214-221. თბილისი (რედ. დ. მუსხელიშვილი).

კიკნაძე ზ. 2009: *ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები).* თბილისი.

ლიჩელი ვ. 2010: კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები ცენტრალურ ამიერკავკასიაში (გრაკლიანი გორა). *Academia*. ტ. 1. გვ. 25-38. თბილისი (რედ. მ. ბულია).

ლიჩელი ვ. 2011: სამარხეული ინვენტარი აწყურიდან. *ინტერდისციპლინარული არქეოლოგია.* I. გვ. 25-57. თბილისი (რედ. ვ. ლიჩელი).

ლორთქიფანიძე ოთ. 1972: ვანის ნაქალაქარი. *ვანი.* ტ. I. გვ. 7-42. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

ლორთქიფანიძე ოთ. 1995: *ვანი „ოქრომრავალი" კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი.* თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ან. 1972: არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. *ვანი.* ტ. I. გვ. 198-242. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ. 1986: *შილდის სამლოცველო.* თბილისი.

მაკალათია ს. 1927: ღვთაება მითრას კულტი საქართველოში. *სსმმ.* ტ. III. გვ. 179-194. ტფილისი (რედ. ალ. ჯანელიძე).

მაკალათია ს. 1938: *მესხეთ-ჯავახეთი.* თბილისი.

მაკალათია მ. 1985: *მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.* თბილისი.

მირცხულავა გ. სონღულაშვილი ი. 2007: დიღმისთავის წინაქრისტიანული სამლოცველო. *იბერია-კოლხეთი.* 3. გვ. 120-130. თბილისი (რედ. გ. გამყრელიძე).

მუსხელიშვილი დ. 1977: *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I.* თბილისი.

მშვილდაძე მ. 2003: *აღმოსავლური რელიგიები და რომის იმპერია I-III საუკუნეებში. სადოქტორო დისერტაცია.* თბილისი.

ნარიმანიშვილი გ., დავლიანიძე რ., მურვანიძე ბ., კვაჭაძე მ., შანშაშვილი ნ. 2011: არქეოლოგიური გათხრები სოფ. საყდრიონში. *ძიებანი.* №20. გვ. 118-132. თბილისი (რედ. გ. კვირკველია).

ნემსაძე გ. 1979: ავჭალის ვერცხლის თასი. *სსმმ.* XXXXIV_B. გვ. 55-63. თბილისი (რედ.ლ. ჭილაშვილი).

ნემსაძე გ. 1969: ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. *სსმაე.* გვ. 45-57. თბილისი (რედ. ალ. ჯავახიშვილი).

ნიკოლაიშვილი ვ., გავაშელი ე. 2007: *ნარეკვავის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი.

ნიკოლაიშვილი ვ., შატბერაშვილი ვ. 2010: სხალთის ნამოსახლარი და სამაროვანი. *ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში.* გვ. 432-433. თბილისი (რედ. გ. გამყრელიძე).

რამიშვილი რ. 1975: ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში. *ძეგლის მეგობარი.* №39. გვ. 7-15. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

სოხაძე ა. 1964: *ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან.* თბილისი.

ფიცხელაური კ. 2005: *ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ. წ. XIV-XIII სს.* თბილისი.

ქურციკიძე შ. 1993: *ზოროასტრიზმის გადმონაშთები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ტრადიციულ ყოფასა და კულტურაში. საკანდიდატო დისერტაცია.* თბილისი.

ყიფიანი გ. 2000: *კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები.* თბილისი.

ჭყონია ან. 1981: ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. *ვანი.* ტ. VI. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

ჭყონია ან. 2013: ძველი კოლხეთის კონტაქტები აქემენიდურ სამყაროსთან (ოქროს სამაჯურები). *იბერია-კოლხეთი.* №9. გვ. 117-122. თბილისი (რედ. გ. გამყრელიძე).

ხიდაშელი. მ. 1982: *ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები).* თბილისი.

ხიმშიაშვილი კ. 2001: იბერიის სატაძრო არქიტექტურის შესახებ. *არქიტექტურული მემკვიდრეობა.* ტ. I. გვ. 1-40. თბილისი (რედ. კ. ხიმშიაშვილი, დ. ხოშტარია).

ხოშტარია ნ. 1972: ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. *ვანი.* ტ. I. გვ. 81-95. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

ჯანელიძე ჭ. 1991: საქართველოს ბუნებრივი გარემო ქვის ხანაში. *საქართველოს არქეოლოგია.* ტ. I. თბილისი (რედ-ბი: ნ. ბერძენიშვილი, დ. თუშაბარამიშვილი).

ჰანზენი ს., მირცხულავა გ. 2013: *ადრესამიწათმოქმედო კულტურა სამხრეთ კავკასიაში. არუხლოს გორაზე 2005-2011 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში.* თბილისი

Асланов Г. М., Ваидов Р. И., Ионе Г. И. 1959: *Древний Мингечаур (эпохаэнеолитаибронзы).* Баку.

Барабанов Н. Д. 2004: Благочестивые заклания. Традиции публичных жертвоприношений византийском приходском православии. *Византийский временник*. № 63(88). сс. 89-113. Москва (ред. С. П. Карпов).

Векуа А. К. 1984: Животный мир Восточной Грузии в эпоху энеолита по материалам поселения Арухло (VI-IV тыс.до н.э.). *Человек и её окружающая среда.* сс. 91-122. Тбилиси (ред. Т. Чубинишвили).

Гагошидзе Ю . М. 1979: Самадло. Твилиси.

Козенкова В. И. 1982: Типология и хронологическая классификация предметов кобанской культуры, восточный вариант. *Археология СССР.* В2-5. сс. 5-176. Москва (ред. Н. Л. Членова).

Садрадзе В. 1993: *Археологические памятники «Мцхета великой» эпохи средней бронзы. Вопросы хронологии и периодизации памятников Шида -Картли*. Тбилиси.

Страбон. 2004: *География в семнадцати книгах*. Москва.

Хоштариа Н. В. 1979: О раскопках навершине холмав 1947-1959 гг. *ვანი.* ტ. IV. გვ. 115-134. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

Cooper J. C. 1986: *Lexikon alter Symbole*. Leipzig.

Luther H. Martin. 1989: Roman Mithraismand Christianity. *Numen*. vol. 36. pp. 2-15 Leiden E. J. Brill

Laeuchli S. 1968: Urban Mithraism. *The Biblical Archaeologist*. vol. 31. No. 3. pp. 73-99. Published by THE AMERICAN SCHOOLS OF ORIENTAL RESEARCH, Yerusalim and Bagdad, Room 102,6 Divinity Avenue, Cambridge, Mass.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ილმაზლოს ტახებიანი სამარხი. გათხრების პროცესი
სურ. 2. ილმაზლოს ტახებიანი სამარხი. გათხრების პროცესი
სურ. 3. ილმაზლოს ტახებიანი სამარხი
სურ. 4. ილმაზლოს ტახებიანი სამარხი
სურ. 5. შეწირული გოჭების ნაშთები ედიქილისას ნამოსახლარიდან
სურ. 6. ედიქილისას ნამოსახლარზე შეწირული გოჭების თიხის მძივ-საკიდები
სურ. 7. ღორის სკულპტურები ჩრდილოეთ კავკასიიდან (მ. კოზენკოვას მიხედვით)
სურ. 8. ტახის მცირე ფიგურა ნარეკვავის სამაროვნიდან
სურ. 9. ვერცხლის ბეჭედი-საბეჭდავი ტახის გამოსახულებით. ვანი. სამარხი 19
სურ.10. ოქროს სამაჯურები ტახის გამოსახულებით. ვანი. სამარხი №11
სურ.11. ოქროს ფირფიტები ტახის გამოსახულებით. ვანი. სამარხი №16
სურ.12. ოქროს დიადემა ტახისა და ლომების შერკინების სცენით. ვანი. სამარხი №11
სურ.13. ვერცხლის პინაკი. ვანი. სამარხი №3
სურ.14. ვერცხლის პინაკი. ზღუდერი. სარკოფაგი №2
სურ.15. თიხის რიტონი ტახის გამოსახულებით. ვანი
სურ.16. რიტონის ფრაგმენტი ტახის გამოსახულებით ქსანის არქელოგიური ბაზიდან
სურ.17. ღორის სკულპტურის ფრაგმენტი მესტიის მუზეუმიდან
სურ.18. ღორის თავის გამოსახულებიანი საკიდი უშგულის მუზეუმიდან
სურ. 19. ოქროს საკიდი ტახის გამოსახულებით არმაზისხევიდან. სამარხი №6
სურ. 20. სასანური თასი ჭერემიდან
სურ. 21. ტახი სკულპტურა ლინკოლნშირიდან (ბრიტანეთი)
სურ. 22. ოქროს ტახის სკულპტურა ხომილა მოჰილადან (უკრაინა). სკვითური ხელოვნების ნიმუში
სურ. 23. საკიდი კუს გამოსახულებით ბრილიდან
სურ. 24. საკიდები კუს გამოსახულებით შილდის სამლოცველოდან
სურ. 25. ოქროს ყელსაბამი ვანიდან. სამარხი №11

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Boar grave from Ilmazlo (Georgia), excavation process
Fig. 2. Boar grave from Ilmazlo (Georgia), excavation process
Fig. 3. Boar grave from Ilmazlo (Georgia)
Fig. 4. Boar grave from Ilmazlo (Georgia)
Fig. 5. Sacrificed pigs from Edi-kilisa settlement (Georgia)
Fig. 6. Sacrificed pigs clay pendants from Edi-kilisa settlement (Georgia)
Fig. 7. Boar sculptures from North Caucasus, according to M. Kozenkova
Fig. 8. Boar bronze sculpture from Narekvavi cemetery (Georgia)
Fig. 9. Silver seal with boar depiction from Vani (Georgia), grave 19
Fig. 10. Gold bracelets with boar depiction from Vani (Georgia), grave 11
Fig. 11. Gold folium with boar depiction from Vani (Georgia), grave 16
Fig. 12. Gold diadem depicting lion and boar fight from Vani (Georgia), grave 11
Fig. 13. Silver plate from Vani (Georgia), grave 3
Fig. 14. Silver plate from Zguderi (Georgia), sarcophagus 2
Fig. 15. Boar shape clay vessel from Vani (Georgia)
Fig. 16. Fragment of boar shape clay vessel from Ksani (Georgia)
Fig. 17. Pig sculpture fragment from Mestia museum (Georgia)
Fig. 18. Pig head pendant from Ushguli museum (Georgia)
Fig. 19. Gold boar pendant from Armaziskhevi (Georgia), grave 6
Fig. 20. Sassanian vessel from Cheremi (Georgia)
Fig. 21. Boar sculpture from Lincolnshire (Great Britain)
Fig. 22. Gold boar sculpture from Khomila Mohila (Ukraine), Scythian art
Fig. 23. Tortoise pendant from Brili (Georgia)
Fig. 24. Tortoise pendants from Shilda sanctuary (Georgia)
Fig. 25. Tortoise gold necklace from Vani (Georgia), grave 11

სურ. 1 **Fig.**

სურ. 2 **Fig.**

სურ. 3 **Fig.**

სურ. 4 **Fig.**

სურ. 5 **Fig.**

სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**

სურ. 8 **Fig.**

სურ. 9 **Fig.**

სურ. 10 **Fig.**

სურ.11 **Fig.**

სურ. 12 **Fig.**

სურ.13 **Fig.**

სურ. 14 **Fig.**

სურ.15 **Fig.**

სურ. 16 **Fig.**

სურ. 17 **Fig.**

სურ. 18 **Fig.**

სურ. 19 **Fig.**

სურ. 20 **Fig.**

სურ. 21 Fig.

სურ. 22 Fig.

სურ. 23 Fig.

სურ. 24 Fig.

სურ. 25 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 38-51
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 38-51

არქეოლოგია

ნინო ჩხარტიშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nino.chkhartishvili.1@iliauni.edu.ge

ბრინჯაოს მრგვალი ბალთები

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა ცნობილი ბრინჯაოს მრგვალი ბალთები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სტილურად ჭვირული ოთხკუთხა ბალთების ჯგუფს განეკუთვნებიან, მათი ცალკე შესწავლა არავის უცდია.

განვიხილავ ამ ტიპის სამ ბალთას შიდა ქართლიდან (სოფ-ბი: იკოთი, ქლივანა), რომლებიც ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის ძირითად ფონდში. თითოეული მრგვალი ბალთა (საინვ. №№ 9-25:4, 9-60:3, 80-975:2) შემთხვევითი მონაპოვრის სახითაა ცნობილი.

სოფ. იკოთში მიწის თხრის დროს აღმოჩენილი ბრინჯაოს მრგვალი ბალთა მუზეუმს გადმოსცა სიძველეთა დაცვის კომიტეტმა 1925 წლის 16 აპრილს (საინვ. №9-25:4). მრგვალი ბალთა შემოსაზღვრულია (1,4 სმ სიგანის) ბრტყელი ღეროთი. ზედაპირზე მონაცვლეობით გასდევს სწორი და დაკეჭნილი ზოლები. წრის შუა, ცარიელ, სივრცეში ჩასმულია ცხენის ამობურცული გამოსახულება პროფილით. თავდახრილი ცხენი თავით მიმართულია მარჯვნივ. სახეზე შეიმჩნევა თვალისა და ცხვირის ნაკვთები. ცხენის ყური და კუდი დატანილია ბალთის ჩარჩოს ზედაპირზე. ცხოველის ოთხივე სწორი ფეხი ირიბადაა დადგმული, მათგან ორი ერწყმის ბალთის წრიული რკალის ზედაპირს, ხოლო უკანა ორი მოტეხილია, თუმცა, სავარაუდოდ, იმავე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო. ბალთის შიდა, ცარიელი, სივრცის შესავსებად ცხენს მხარის არეში მიუყვება (0,6 სმ-ის სიგანის) ღერაკი, რომელზეც დატანილია დაკეჭნილი ზოლები. ცხენის ფიგურის ზედა მხარეს, ბრტყელი (0,6 სმ სიგანის), ტრაპეციის ფორმის ყუნწია, რომელსაც ნაჭდევები აქვს. ყუნწის ძირში მოთავსებულია ხარის თავის სკულპტურული გამოსახულება. სახის ნაკვთები მოდელირებული არაა. რქოსანი ცხოველის თავი სამკუთხა ფორმისაა. რქები გადმოცემულია მოღუნული, წნული ღეროებით, რომლებიც გადადის ყუნწის მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე. ხარის თავის ასეთივე გამოსახულებები დასმულია ბალთის ჩარჩოზე, ცხენის სახისა და გავის არეში. ბალთის ქვედა ნაწილი მოტეხილია. ამიტომ არ იკვეთება მეოთხე ხარის თავი და

ყუნწი, თუმცა, ცხენი უნდა ყოფილიყო მოქცეული ოთხ, ერთმანეთის საპირისპიროდ დასმულ, ხარის თავს შუა. ამ ბალთაზე შებმულია 8-ებრი რგოლებისაგან შედგენილი ძეწკვი. ბალთის უკანა მხარეს დაბალი ზურგია. მას გაუყვება ირგვლივი კიდე. შემორჩენილი ბალთის H — 7 სმ, D — 6 სმ, წრის სისქე — 0,2 სმ (სურ. 1).

ამ მრგვალ ბალთასთან ერთად აღმოჩენილია ჭვირული ოთხკუთხა ბალთაც (საინვ. №9-25:1). შემორჩენილია სამი ფრაგმენტი. მათი ზედაპირი შემკულია ორი ზოლით გაყოფილი სამი ფრიზით. განაპირა ფრიზებზე დატანილია გაშლილი, რელიეფური და ზენარი ხვიებისაგან შედგენილი სახე. შუაში კი, ერთმანეთის თავზე, განლაგებულია დედალი დუგმის ფორმის ნაკვთები. თითოეულ კუთხეში მოთავსებულია კონუსური მაღალი კოპი, რომელსაც ძირზე შემოუყვება ორმაგი რელიეფური ზოლი. ბალთის ცენტრალური ელემენტია მარცხნივ მიმართული ცხენის გამოსახულება პროფილით. შემორჩენილია ფიგურის მხოლოდ მკერდის ნაწილი. ტანი მოდელირებულია, მკერდსა და გავაზეც გამოსახულია კონცენტრული წრეები შუაში კოპით. ცხენის თავზე ორი ნახევარწრიული მოსართავია, რომლებიც ირმის ნახევარმთვარისებრი რქებითაა მიღებული. რკალები გადმოცემულია ორი ბრტყელი ღეროთი, რომლებიც შემკულია ასევე ორი დაკეჭნილი ზოლითა და ხაზით. მარცხენა მოსართავზე ცხენის ყურია დასმული, რომლის კონტურიც დაკეჭნილია. კონტური შემოუყვება ცხენის სხეულსაც. ცხოველის მოკლე კისერი, რომელიც შემკულია რელიეფური და დაკეჭნილი ზოლებით, თავისკენ თანდათან ვიწროვდება. თავდახრილი ცხენის თვალი გადმოცემულია მრგვალი, ნაპირებშესქელებული ნაჩვრეტით. პირში ამოდებული აქვს ლაგამი და თავზე წვრილზოლიანი ლაგმის მოსართავი გასდევს. ცხენის მოკლე ფეხები ბოლოვდება ჩლიქებით, რომლებიც მოკლე და ვერტიკალური სახეებითაა წარმოდგენილი, ისე რომ, თათის შთაბეჭდილებას ტოვებს. მარცხენა ფეხთან ღერაკია, ჭდეული ზოლით დაფარული. ფიგურის გასწვრივ ჩასმულია თავმობრუნებული და ხახადაღებული ძაღლის გამოსახულება. თვალები გადმოცემულია ჩაჩვრეტილი კოპით. ფეხები წარმოდგენილია სხვადასხვა ზომითა და ფორმით. ერთ-ერთს გასდევს სადა ხაზი, დანარჩენი კი ღეროსებრია. ძაღლს კუდი დაბლა აქვს დაშვებული და ბოლოვდება სპირალურად დახვეული ბრტყელი ნაკვთით. ბალთის უკანა მხარეს, კიდეებზე, გაუყვება ბორტისებრი შემაღლება, მარცხენა კიდეზე დასმულია კავი (2,3 სმ). აღსანიშნავია, რომ შემორჩენილი სამი კოპის შიდა ნაწილები ამოვსებულია მკვრივი ნივთიერებით, რაც კოპების ფირფიტებს იცავს დაზიანებისგან და მდგრადობას მატებს. ბალთის L — 14,5 სმ, კოპის H — 2,7 სმ (სურ. 2).

სავარაუდოა, რომ ამ ბალთის შემადგენელი ნაწილია ფრინველის გამოსახულება, რომელიც მუზეუმის საინვენტარო წიგნში ცალკე ნომრითაა (საინვ. №9-25:3) გატარებული. იგი კომპოზიციურად შეესაბამება აღნიშნულ ბალთას (სურ. 3). არსებობს მსგავსი ტიპის ბალთები, მაგ., ბრიტანეთში დაცულ ბრინჯაოს ბალთაზე, რომლის აღმოჩენის ადგილი უცნობია, ზუსტად ასეთი ფრინველის გამოსახულებაა დატანილი [ხიდაშელი მ. 1972: 102].

ამ კოლექციასვე ეკუთვნის ჭვირული ბალთის ფრაგმენტი (საინვ. №9-25:2). მასზე გამოსახულია მაღალი (3,5 სმ), კონუსისებრი კოპი, რომელსაც ძირზე შემოუყვება წნული და სადა ზოლი. ფრაგმენტზე დატანილია ორნამენტი, საიდანაც ჩანს, რომ ჩარჩო დაფარული იყო დუგმის ფორმის ნაკვთებით. ნატეხს უკანა მხარეს შემოუყვება მაღალი (0,4 სმ) კიდე (სურ. 4).

გარდა ამისა, ამ კოლექციაში შედის ბრინჯაოს ნახევარსფერული ზანზალაკი (საინვ. № 9-25:5. სურ. 5), უმბონი (საინვ. № 9-25:6. სურ. 6), ოთხკუთხა ფორმის აბზინდა (საინვ. № 9-25:7. სურ. 7), მრგვალი ფირფიტისაგან დამზადებული ბალთა (საინვ. № 9-25:8. სურ. 8). უნდა აღნიშნოს, რომ მათი აღმოჩენის პირობები უცნობია. ამიტომ რთულია საუბარი იმის შესახებ, შედის თუ არა ეს ნივთები ერთ კომპლექსში.

სოფ. ქლივანაში აღმოჩენილი მრგვალი ბალთა (საინვ. №9-60:3) წრიული, ბრტყელი (0,8 სმ სიგანის) ნივთია. ჩარჩოზე მონაცვლეობით გამოსახულია სწორი და დაკეჭნილი რელიეფური ზოლები. წრის შიდა სივრცე გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი, ბრტყელი (0,4 სმ სიგანის) ღერაკებით ოთხ ნაწილად. მათზე გამოსახულია ისეთივე ნაჭდევებით დასერილი ზოლი, როგორიც ბალთის ჩარჩოზე. ღერაკების ბოლოებსა და მათი გადაკვეთის ადგილზე დასმულია ხარის თავის (0,7 სმ სიგანის) სკულპტურული გამოსახულება ანფასით. ხარის თავები სამკუთხა ფორმისაა. სახე მოდელირებული არაა. რქები წნულია და მიძერწილია ბალთის სიბრტყეზე. ბალთა დაზიანებულია და მისი ზედა ნაწილი მოტეხილია. ამიტომ შემორჩენილია მხოლოდ ოთხი ხარის თავის გამოსახულება. ბალთის ქვედა ნაწილში ბრტყელი (0,4 სმ სიგანის), ტრაპეციის ფორმის ყუნწია. მის ორივე მხარეს მცირე ზომის (0,7x0,5 სმ) სამკუთხა მარყუჟებია. ერთი გატეხილია. ბალთის შიდა, ცარიელი, სივრცის შესავსებად, ღერაკების გადაკვეთის ადგილიდან ბალთის ზედაპირისაკენ მიმართულია დუგმის ფორმის გამოსახულებები, რომლებიც სპირალურად ბოლოვდება მრგვალი ნაკვთის შიდა მხარეს. შემორჩენილია მხოლოდ მარჯვენა მხარეს არსებული დუგმები. ბალთა ძლიერ დაზიანებულია და გაცვეთილია. შემორჩენილი ბალთის H – 6 სმ, D – 5,5 სმ (სურ. 9).

ამ მრგვალ ბალთასთან ერთად ფიგურირებს ოთხკუთხა ჭვირული ბალთა (საინვ. № 9-60:1), რომელსაც შემოუყვება (2 სმ სიგანის) ბრტყელი ჩარჩო. ზედაპირი დაფარულია სწორი, დაკეჭნილი და რელიეფური ზოლებით. ბალთის თითოეულ კუთხეში დასმულია კონუსის ფორმის მაღალი კოპი (2,4 სმ), რომელსაც ძირზე შემოუყვება ორმაგი რელიეფური ზოლი. კოპების შიდა, ცარიელ, ღრმულებში შეიმჩნევა მკვრივი ნივთიერების კვალი, რომლითაც, სავარაუდოდ, ამოვსებული იყო. ჩარჩოს მარჯვენა და ქვედა მხარე გახვრეტილია. პირველი ნახვრეტი კავს დაბლაა, მეორე კი კოპებს შუაა მოქცეული. კომპოზიციის ცენტრალური ნაწილია მარცხნივ მიმართული ცხენის გამოსახულება პროფილით. ცხენის სხეული ამობურცულია. წელში ოდნავაა შევიწროებული. მკერდსა და გავაზე გამოსახულია კონცენტრული წრეები. თავდახრილი ცხენის სახის ნაკვთებისაგან შეიმჩნევა მხოლოდ მკვეთრად დასმული, ბრტყელი, კოპისებრი თვალი. ცხენს ყურები არა აქვს. თავზე მიუყვება რკალისებურად მოხრილი, წნული ღეროსაგან შედგენილი, მოსართავი. მარჯვენა რკალის ბოლო ერწყმის

ცხენის მასიურსა და მოკლე კისერს. ცხენის სტილიზებული, მოკლე ფეხები ბოლოვდება ფლოქვებით და მიბჯენილია ჩარჩოს შიდა კონტურზე. ბალთის მარჯვენა, ზედა, კუთხეში ჩასმულია ხარის სკულპტურული გამოსახულება: ტანი-პროფილით, თავი- ანფასით. მისი რქები ღეროსებრია და ბოლოებში მოხრილი. ხარს სახე მოდელირებული არა აქვს. თავი სამკუთხა ფორმისაა (1,9 სმ). „მოძრავი" ხარის ფეხები სქემატურადაა გამოსახული და დასმულია ცხენის კისრისა და გავის არეში. ხარის კუდი რელიეფური ზოლითაა გაჭრილი და ბოლოვდება ბრტყელი, სპირალურად დახვეული, ნაკვთით, რომელიც ებჯინება ზედა ჩარჩოს შიდა მხარეს. ხარის თავი ჩარჩოს რელიეფიდანაა გამოსული და დასმულია მის ზედაპირზე. ცხენს წელის არეში სიცარიელის შესავსებად აქვს ბოლოებდახვეული დუგმა, რომელიც ერთი ბოლოთი ერწყმის ხარის მკერდს. ხახადაღებული ცხენის მკერდის წინ ჩასმულია დაკლაკნილი გველის ფიგურა, რომელიც კოპთან ბოლოვდება ბრტყელი, სპირალურად დახვეული, ნაკვთით. ცხენის წელისა და მხარის გადაბმის ადგილზე მოქცეულია ფრინველის სქემატური გამოსახულება, რომელიც ნისკარტით მიბჯენილია ცხოველის უკანა მხარის ნაწილზე. სახე მოდელირებული არა აქვს. ფრთები დაშვებულია ბალთის ჩარჩოსკენ. კუდის ნაწილი მოტეხილია. შემორჩენილია მხოლოდ მარცხენა მხარე, რომელიც ერწყმის ფრთას. ბალთის უკანა მხარეს ბორტისებრი დაბალი ზურგია, რომელზეც ერთმანეთის საპირისპიროდ, ჩარჩოს მარჯვენა და მარცხენა ნაწილებში, ორი კავია დასმული. ბალთის ზომაა 14X13 სმ (სურ. 10).

ასევე ამ კოლეციას ეკუთვნის ბრინჯაოს საკიდი (საინვ. №9-60:2), რომელიც ბრტყელი (7 სმ სიგანის) ნახევარსფეროსებრი ნაკვთია. ზედა ნაწილში მოთავსებულია წნული ორნამენტით შემკული მარყუჟი, რომლის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მიბჯენილია სპირალურად დახვეული ღეროები. მათი ერთი მხარე საკიდის გარე კედელზეა დასმული. ჩარჩო მთლიანად წნული ორნამენტითაა შესრულებული და შემდგარია ორი ღეროსებრი რკალისაგან. ზედა რკალს კონტურად გაუყვება შეწყვილებული და შვიდი სპირალური ორნამენტი. ჩარჩოს ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია თავდახრილი ცხენის სქემატური გამოსახულება, სახით მიმართული მარჯვენა მხარეს. ყური ჩარჩოს მეორე, შიდა, რკალზეა დასმული. ცხენის სახე და ტანი მოდელირებული არაა. ფიგურა დაღარულია ზოლებად. კუდი არა აქვს გამოსახული. საკიდის ქვედა ღეროს გაუყვება რვა, ერთმანეთთან მჭიდროდ დასმული ყუნწი, რომლებზედაც შებმულია მრგვალგანიკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული სხვადასხვა ზომის S-ებრი რგოლები. მათგან სრულად შემორჩენილია მხოლოდ ოთხი მათგანი, რომელთა ბოლოებზეც შებმულია ზანზალაკები. საკიდის H — 8 სმ (სურ. 11).

სოფ. იკოთში 1975 წელს შემთხვევით ადამიანის ჩონჩხთან ერთად აღმოჩნდა არქეოლოგიური ნივთები:.

ბრინჯაოს ბალთა (საინვ. №80-975:2), რომელიც ბრტყელი (1 სმ სიგანის), წრიული ნაკვთია. მისი ზედაპირი შემკულია ორი დაკეჭნილი ზოლით, რომელთა შორისაც მოქცეულია ორი სწორი და რელიეფური ხაზი. წრის შიდა სივრცე გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი, ბრტყელი (0,6 სმ სიგანის)

ღერაკებით ოთხ ნაწილად. ღერაკებზე გამოსახულია რელიეფური ზოლები. მათს ბოლოებსა და გადაკვეთის ადგილზე დასმულია ხარის თავის სკულპტურული გამოსახულება ანფასში. ხუთი სტილიზებული ხარის თავის რქები მოთავსებულია წრიულ სიბრტყეზე ისე, რომ ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად სამი ხარის თავი იკითხება. ხარის თავი სამკუთხა ფორმისაა, სახე არაა მოდელირებული. რქები გადმოცემულია გრძელი და წნული ღეროებით, რომლებიც მთავრდება სპირალურად დახვეული ბრტყელი ნაკვთით. ბალთის უკანა მხარეს დაბალი ზურგია, რომელსაც შემოუყვება კიდისებრი რკალი. ბალთას ერთმანეთის საპირისპიროდ აქვს ბრტყელი (0,6 სმ სიგანის), სამკუთხა ყუნწი. წრის H – 10 სმ, D – 6,3 სმ, ჩარჩოს სისქე – 0,2 სმ, ხარის თავის სიგანე – 1,7 სმ (სურ. 12).

ამავე კოლექციაში შედის ოთხკუთხა ჭვირული ბრინჯაოს ბალთის (საინვ. №80-975:1) ორი ფრაგმენტი, რომელთაც შემოუყვება (2,5 სმ სიგანის) ბრტყელი ჩარჩო. ბალთის ზედაპირი შემკულია ორი ფრიზით გაყოფილი ერთი სადა ზოლით. განაპირა ფრიზებზე დატანილია ირიბად დახრილი, ერთმანეთზე მჭიდროდ მიბჯენილი, ზენარი ხვიები. მარცხენა, ქვედა, კუთხეში დასმულია კონუსის ფორმის მაღალი კოპი (3,5 სმ), რომელიც ამოვსებულია შავი ნივთიერებით, რაც კოპის სიმყარეს განაპირობებდა. ბალთის შუაში ჩასმულია ხახადაღებული ცხენის გამოსახულება მარცხენა პროფილით. გავასა და მკერდზე გამოსახულია წრეში ჩასმული სვასტიკის ფორმის ნაკვთები. ცხოველს სქელი და მოკლე კისერი აქვს, რომელიც შემკულია რელიეფური და დაკეჭნილი ზოლებით. თვალი გადმოცემულია მრგვალი ნაჩვრეტით. ხახადაღებულ პირში აქვს ლაგამი, რომლის მოსართავი თავზეც გასდევს. ცხენის ყური წაწვეტებულია და დასმულია ჩარჩოს ზედაპირზე. ცხენის ფეხები ბოლოვდება ჩლიქებით. ბალთის მარჯვენა, ზედა, კუთხეში ჩასმულია ხარის სკულპტურული გამოსახულება (ტანი) პროფილით, ხოლო თავი-ანფასით. ,,მოძრავი'' ხარის ორივე ფეხი სქემატურადაა გამოსახული. ხარის სამკუთხა თავი ბალთის შიდა სივრცის რელიეფიდანაა გამოსული და შვერილით ჩარჩოზეა დასმული. რქები გადმოცემულია ხვეული ღეროებით, რომლებიც ბოლოვდება ჩარჩოს ზედაპირზე. ცხენის წინა ფეხებიდან თავამდე სივრცეში ჩასმულია ძაღლის გამოსახულება ვერტიკალურად. ფეხები არ ჩანს. იგი მიბჯენილია ცხენის წინა მხარისა და ფეხის კონტურზე. სახე მოდელირებული არა აქვს. ძაღლის კუდი ბოლოვდება დახვეული ნაკვთით და ერწყმის ცხენის წინა ფეხს. ცხენის მუცლის ქვეშ მოთავსებულია კვიცის სკულპტურული გამოსახულება მარჯვენა პროფილით. სახე მოდელირებული არა აქვს. თვალი გადმოცემულია ნაპირებშესქელებული ნაჩვრეტით. სამკუთხა ყური ცხენის წელის ზედაპირზეა მოქცეული. სწორი ფეხები ბოლოვდება ჩლიქებით და ეყრდნობა ჩარჩოს შიდა კონტურს. ხახადაღებულ კვიცს მიბჯენილი აქვს წნული ღეროსაგან შედგენილი სახე, რომლის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ასეთივე მოკლე ღერაკებია. ერთი ერწყმის ცხენის უკანა ფეხს, მეორე კი კვიცის წინა ფეხთანაა.

ჩარჩოს მარცხენა ნაწილში მოთავსებულია კავი, რომელიც წარმოდგენილია ძირისაკენ განიერი (1,2 სმ), ხოლო ბოლოსაკენ შევიწროებული (0,5 სმ) ფირფიტის ნაკვთით. შემორჩენილი ბალთის ზომა – 12,5x14,8 სმ, კავის L – 2,5 სმ (სურ. 13).

ამ კოლექციასვე ეკუთვნის: ბრინჯაოს სამკუთხა საკიდი (საინვ. №80-975:3. სურ. 14), ოთხკუთხა ზარი (საინვ. №80-975:4. სურ. 15), ოთხკუთხა ზარაკი (საინვ. №80-975:5. სურ. 16) ვერცხლის ფიბულის რკალი (საინვ. №80-975:6. სურ. 17), ვერცხლისვე ბეჭდის ფრაგმენტი (საინვ. №80-975:7. სურ. 18); ბრინჯაოს ნივთები: საკიდის ფრაგმენტი, ჭვირული ბალთის კონუსი, თხელი ფირფიტისაგან დამზადებული ზარაკი და ფიბულის სამი ენა (საინვ. №80-975:8. სურ. 19); მძივები: სარდიონის, გიშრის, ძვლისა და მინისებური პასტის (საინვ. №80-975:9. სურ. 20).

ქრონოლოგიის დასაზუსტებლად სამკაული ერთ-ერთი უფრო საიმედოა, რადგან მისი უმეტესი ნაწილი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ხშირად იცვლის ფორმას, ჩნდება ახალ-ახალი ტიპები [აფხაზავა ნ. 1979: 3].

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა მრგვალი ბალთის (საინვ. №80-975:2) თანმხლები ფიბულის სამი ენა (საინვ. №80-975:8), რომლებიც ტიპურია სტირფაზის სამაროვნის №23 სამარხში აღმოჩენილი ფიბულისა. ეს უკანასკნელი დათარიღებულია ახ. წ. II-III სს-ით [აფხაზავა ნ. 1979: 125. ტაბ. I]. მსგავსი ფიბულის ტიპები ფართოდ არაა გავრცელებული და კონკრეტულ კულტურასა და თარიღთანაა დაკავშირებული. ამრიგად, ლოგიკურია მრგვალი ბალთების ქრონოლოგიური ჩარჩოებიც ამ საზღვრებში ექცეოდეს.

საინტერესოა მრგვალ ბალთებზე არსებული ხარის თავის გამოსახულებები. უძველესი დროიდან ფართოდ იყო გავრცელებული ცხოველსახოვანი მოტივები, რომლებიც არა მხოლოდ ნივთის მოსართავი, არამედ ღრმა სიმბოლური აზრის მქონეც იყო. შეიძლება ითქვას, რომ ხარის გამოსახულებათა სიხშირე და გავრცელების ფართო არეალი მოწმობს, რომ ადამიანები მასში ღვთაებრივ ძალას ხედავდნენ.

ხარი, როგორც ამბივალენტური სიმბოლო, გამოხატავდა მამრობით საწყისს, დოვლათს, სამეუფეო ძალას, მიწას, ამავე დროს, ის ,,მთვარის ცხოველის- ქალღვთაებისათვის გამოიყენებოდა" [Cooper. Y. C. 1986: 185].

ძველ რელიგიებში ხარი მთვარის ღვთაებას განასახიერებს. ხარის რქების მსგავსებამ ნახევარმთვარესთან, მისმა სიძლიერემ, როგორც ჩანს, განაპირობა მისი დაკავშირება მთვარის ღვთაებასთან [კიკვიძე ი. 1976: 171].

ხარის კულტს ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებში უდიდესი ადგილი უჭირავს. ის ქრისტიანულ რელიგიას მემკვიდრეობით გადმოეცა წარმართობიდან. ქრისტიანული სამლოცველოსთვის ირმის რქებთან ერთად ხარის რქებიც თითქმის განუშორებელი საგანი იყო [გობეჯიშვილი გ. 1942: 256].

მრგვალი ბალთების ანალოგიური არტეფაქტები აღმოჩენილია შიდა ქართლში, ხოლო ერთი-ჩრდილოეთ კავკასიაში (სოფ. რუთხა).

სოფ. იკოთში გამოვლენილი ბრინჯაოს ბალთა (საინვ. №9-25:4) გამოქვეყნებული აქვს ბ. ტეხოვს. იგი ახსენებს მხოლოდ ბალთის აღმოჩენის ადგილს [Техов Б. 2006: 512. рис. 27].

ზემოთ განხილული ბრინჯაოს ბალთების შესახებ აზრი აქვს გამოთქმული მ. ხიდაშელსაც. იგი ბრინჯაოს ჭვირული ოთხკუთხა ბალთების (სა-

ინვ. №№9-25:1 და 9-25:2) ფრაგმენტებთან ერთად ეხება ზემოთ ხსენებულ მრგვალ ბალთებსაც [ხიდაშელი მ. 1972: 111].

ბრინჯაოს მრგვალი ბალთის (საინვ. №9-60:3) ანალოგი აღმოჩენილია ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, რუთხაში (სურ. 21). [Уварова П. 1900: 240, 247].

გარდა ამისა, ბ. ტეხოვს გამოქვეყნებული აქვს მრგვალი ბრინჯაოს ბალთის (საინვ. №9-60:3) მსგავსი ბალთა, რომელიც ნაპოვნია არჯინარაგში (შიდა ქართლი). ტაბულაზე ჩანს, რომ ტრაპეციის ფორმის ყუნწთან არსებულ მცირე ზომის მარყუჟებზე, შებმულია S-ებრი ძეწკვი, რომლის ბოლოები რგოლითაა შეერთებული. მასზე ჩამოკიდებულია ოთხკუთხა ზარაკი და ოვალური ფორმის ჭვირული ზანზალაკი, რომელიც დამზადებულია ოთხი წნული ღეროსაგან და კოპით ბოლოვდება (სურ. 22). ასეთივე ბალთა აღმოჩენილია სტირფაზის სამაროვანზე, თუმცა, აქ მრგვალი ბალთა ძეწკვის გარეშეა (სურ. 23). [Техов Б. 2006: 473].

ასეთივე მრგვალი ბალთა აღმოჩენილია სოფ. ერედაში (მცხეთის რაიონი), რომელიც დაცულია სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში (გიემ. საინვ. 8134/26). მუზეუმში ამ ბალთასთან ერთად სოფ. ერედიდან 60-მდე ნივთი ინახება (სურ. 24). ცნობების მიხედვით, კოლექციონერმა შეგროვებული ნივთები მუზეუმს გადასცა. აქედან გამომდინარე, ზემოთ ნახსენები მრგვალი ბალთის აღმოჩენის ვითარებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. იგი მსგავსია არჯინარაგში აღმოჩენილი ბალთისა. ორივეზე ძეწკვებია შებმული.

სავარაუდოდ, რომ მარყუჟებზე შებმული ძეწკვები მოსართავად გამოიყენებოდა, ისევე, როგორც ეს არჯინარაგში აღმოჩენილი მრგვალი ბალთის შემთხვევაშია. დანარჩენი მრგვალი ბალთები, როგორებიცაა (საინვ. №80-975:2) და სოფ. რუთხაში აღმოჩენილი ბალთა, მარყუჟების გარეშეა. როგორც ჩანს, მოსართავი ზოგჯერ კეთდებოდა, ზოგჯერ კი კომპოზიციურად არ გამოიყენებოდა.

საინტერესოა, რა ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა ხარისთავიან მრგვალ ბალთებს. იგი განსხვავდება ოთხკუთხა ჭვირული ბალთებისაგან. კერძოდ, ის არც სარტყლის ბალთაა და არც თავდაცვითი ფუნქციის მატარებელი [ყიფიანი გ. 2000: 83]. მრგვალი ბალთების ზომები, ერთმანეთის საპირისპიროდ განლაგებული ყუნწები, მარყუჟები და მათზე შებმული ძეწკვები გვაფიქრებინებს, რომ იგი ხანდახან რიტუალში მონაწილე ნივთის ფუნქციას ასრულებდა, ზოგჯერ კი სამოსის მოსართავად გამოიყენებოდა.

მრგვალი ბალთები, ისევე როგორც ოთხკუთხა ჭვირული ბალთები, ცვილის დაკარგვის ტექნიკითაა დამზადებული, თუმცა, თუ დავაკვირდებით ბალთაზე განლაგებულ ხარის თავებს, იგი მირჩილულია და დასმულია წრის ზედაპირზე. ასეთივე სურათია ოთხკუთხა ჭვირული ბალთების შემთხვევაშიც. ამასვე აღნიშნავს ბ. კუფტინი [Куфтин Б. 1941: 26-29]. იგი ეყრდნობა ტ. ივანოვსკაიას შეხედულებას და ერთმანეთს ადარებს სოფ. იკოთში აღმოჩენილ მრგვალ ბალთასა (საინვ. №9-25:4) და ოთხკუთხა ჭვირულ ბალთას, რომლის ჩარჩოზეც დასმულია ხარის თავის

ასეთივე გამოსახულება ანფასით. ორივე ბალთის გამოსახულება ერთნაირი სტილითაა დამზადებული და თითოეულზე ხარის თავი მოგვიანებითაა მირჩილული [Ивановская Т. 1928: 11-27]

მრგვალი ბალთები მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. კვლევის ამ ეტაპზე ჩანს, რომ ბალთების გავრცელების ცენტრი შიდა ქართლია. შესაძლებელია, მომავალმა სამეცნიერო კვლევებმა ამ საკითხში კორეტივების შეტანა მოითხოვოს.

მრგვალი ბალთები ოთხკუთხა ჭვირული ბალთების გავრცელების მიწურულს ჩნდება, მართალია, მათი ერთად აღმოჩენის ფაქტი დადასტურებულია, თუმცა, ოთხკუთხა ბალთების არსებობის ადრეულ პერიოდში, ეს არ ჩანს. შეიძლება ამის გამო რამდენადმე შეიცვალოს ოთხკუთხა ჭვირული ბალთების ქრონოლოგიური ჩარჩოები.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ბალთები მზადდებოდა განსაზღვრული ფენისათვის, მაშინ, როცა გაჩნდა მოთხოვნა შეექმნათ კომპოზიციურად, ფუნქციურად და შინაარსობრივად ნაკლებად დატვირთული ბალთები. შეიძლება ითქვას, რომ მრგვალი ბალთები ოთხკუთხა ჭვირული ბალთების გამარტივებული ვარიანტებია.

ARCHAEOLOGY

Nino Chkhartishvili

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: nino.chkhartishvili.1@iliauni.edu.ge

Round Bronze Buckles

Summary

Round bronze buckles are less well-known in scientific literature despite the fact that they belong to stylistically rectangular group of bronze buckles, no one has ever studied them separately.

I am going to discuss three of these types of artifacts from Shida Kartli (from villages Ikoti and Klivana) which are kept in the main depository of the Simon Janashia Georgian National Museum (№№ 9-25:4, 9-60:3, 80-975:2). Each round buckle was found together with rectangular buckles and was an accidental finding.

It should be noted that there is a little number of round buckles which were

found for today and they had not a wide area of spearding. This phase of the research shows that the center of production of round buckles was Shida Kartli. This assumption was approved by the analogies which I found in the Georgian and foreign literature.

Ox heads are typical for bronze round buckles which are on the surface of the circle. It is worth of mentioning that they are found in rectangular bronze buckles and they are made by the same manufacturing technology.

The function of ox-headed round buckles is worth of interest. They are quite different from rectangular ones. They were neither belt buckles nor had any protective function. Sizes of round buckles, their opposite side eyelets, loops and tied on them chains give us supposition that they, in some cases, had the function of ritual objects and sometimes they were used as a decoration of garments.

The date of round buckles is the same as the last period of spreading of rectangular buckles (1st-2nd centuries AD). Though there is a scientific proof of rectangular buckles findings together with round ones in the early period, such fact has not been stated.

It is possible that buckles were produced for definite class people when there was demand on less compositional, functional and complex buckles.

ბიბლიოგრაფია

აფხაზავა ნ. 1975: *ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა.* თბილისი.

გობეჯიშვილი გ. 1942: *ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები.* ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი.

კიკვიძე ი. 1976: *მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში.* თბილისი.

ყიფიანი გ. 2000: ბრინჯაოს ჭვირულ ბალთათა ატრიბუციის საკითხები. *კავკასიის მაცნე.* №1. გვ. 80-91. თბილისი (რედ. ვ. კიკილაშვილი).

ხიდაშელი მ. 1972: *ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში.* თბილისი.

Ивановская Т. 1928: *Кавказские бронзовые поясные пряжки. Мистецтвознавство.* Харьков.

Куфтин Б. 1941: *Археологические раскопки в Триалети.* I. Тбилиси.

Техов Б. 2006: *Археология южной части Осетии*. Владикавказ.

Уварова П. С. 1900: Магильники Северного Кавказа. *МАК. VIII*. таб. CIII. Москва.

Cooper. Y. C. 1986: *LEXIKON ALTER SYMBOLE*. Leipzig.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. მრგვალი ბალთა. ბრინჯაო. სოფ. იკოთი

სურ. 2. ოთხკუთხა ბალთა. ბრინჯაო. სოფ. იკოთი

სურ. 3. ოთხკუთხა ბალთის ფრაგმენტი. ბრინჯაო. ჩიტის გამოსახულება. სოფ. იკოთი

სურ. 4. ოთხკუთხა ბალთის კუთხის ფრაგმენტი. ბრინჯაო. სოფ. იკოთი

სურ. 5. ზარი. ბრინჯაო. სოფ. იკოთი

სურ. 6. უმბონი. ბრინჯაო. სოფ. იკოთი

სურ. 7. ოთხკუთხა ფორმის აბზინდა. ბრინჯაო. სოფ. იკოთი

სურ. 8. ბალთა. ბრინჯაო. სოფ. იკოთი

სურ. 9. მრგვალი ბალთა. ბრინჯაო. სოფ. ქლივანა

სურ. 10. ოთხკუთხა ბალთა. ბრინჯაო. სოფ. ქლივანა

სურ. 11. საკიდი. ბრინჯაო. სოფ. ქლივანა

სურ. 12. მრგვალი ბალთა. ბრინჯაო. სოფ. იკოთი

სურ. 13. ოთხკუთხა ბალთა. ბრინჯაო. სოფ. იკოთი

სურ. 14. სამკუთხა ფორმის საკიდი. ბრინჯაო. სოფ. იკოთი

სურ. 15. ოთხკუთხა ზარი. ბრინჯაო. სოფ. იკოთი

სურ. 16. ოთხკუთხა ზარაკი. ბრინჯაო. სოფ. იკოთი

სურ. 17. ფიბულის რკალი. ვერცხლი. სოფ. იკოთი

სურ. 18. ბეჭდის ფრაგმენტები. ვერცხლი. სოფ. იკოთი

სურ. 19. ნივთები ბრინჯაოსი: საკიდის ფრაგმენტი, ჭვირული ბალთის კონუსი, თხელი ფირფიტისაგან დამზადებული ზარაკი და ფიბულის სამი ცალი ენა. სოფ. იკოთი

სურ. 20. მძივები: სარდიონი, გიშერი, ძვალი და მინისებური პასტა. სოფ. იკოთი

სურ. 21. მრგვალი ბალთა. ბრინჯაო. სოფ. რუთხა

სურ. 22. მრგვალი ბალთა. ბრინჯაო. არჯინარაგი

სურ. 22. მრგვალი ბალთა. ბრინჯაო. სტირფაზის სამაროვანი

სურ. 24. მრგვალი ბალთა. ბრინჯაო. სოფ. ერედა

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Bronze round buckle. Village Ikoti
Fig. 2. Bronze rectangular buckle. Village Ikoti
Fig. 3. Part of bronze rectangular buckle, bird's figure. Village Ikoti
Fig. 4. Part of bronze rectangular buckle. Village Ikoti
Fig. 5. Bronze bell. Village Ikoti
Fig. 6. Bronze buckle. Village Ikoti
Fig. 7. Bronze rectangular buckle. Village Ikoti
Fig. 8. Bronze buckle. Village Ikoti
Fig. 9. Bronze round buckle. Village Qlivana
Fig. 10. Bronze rectangular buckle. Village Qlivana
Fig. 11. Bronze pendant. Village Qlivana
Fig. 12. Bronze round buckle. Village Ikoti
Fig. 13. Bronze rectangular buckle. Village Ikoti
Fig. 14. Bronze pendant. Village Ikoti
Fig. 15. Bronze bell. Village Ikoti
Fig. 16. Bronze bell. Village Ikoti
Fig. 17. Part of silver fibulae. Village Ikoti
Fig. 18. Part of silver ring. Village Ikoti
Fig. 19. Bronze items: pendant, bell and parts of fibulae. Village Ikoti
Fig. 20. Beads of Sardionic, agate, bone and glass. Village Ikoti
Fig. 21. Bronze round buckle. Village Rutkha
Fig. 22. Bronze round buckle. Arjinaragi
Fig. 23. Bronze round buckle. Stipazi necropolis
Fig. 24. Bronze round buckle. Village Ereda

სურ. 1 **Fig.**

სურ. 2 **Fig.**

სურ. 3 **Fig.**

სურ. 4 **Fig.**

სურ. 5 **Fig.**

სურ. 6 **Fig.**

სურ. 7 **Fig.**

სურ. 8 **Fig.**

სურ. 9 **Fig.**

სურ. 10 **Fig.**

სურ. 11 **Fig.**

სურ. 12 **Fig.**

სურ. 13 **Fig.**

სურ. 14 **Fig.**

სურ. 17 **Fig.**

სურ. 18 **Fig.**

სურ. 15 **Fig.** სურ. 16 **Fig.**

სურ. 19 **Fig.**

სურ. 20 **Fig.**



სურ. 21 **Fig.**



სურ. 23 **Fig.**

სურ. 24 **Fig.**

სურ. 22 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 52-66
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 52-66

არქეოლოგია

დავით ლომიტაშვილი*, ნინო ქებულაძე*,
ნიკოლოზ მურღულია*, ანა თვარაძე*

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: dlomitashvili@gmail.com; nino.kebuladze@yahoo.com;
nikomurgulia@yahoo.com; anotvaradze@yahoo.com

ახალი აღმოჩენა ნოქალაქევიდან

XX ს-ის 80-იან წლებში ნოქალაქევის ნაქალაქარზე პირველად გამოვლინდა ძვ.წ. VIII-VII სს-ის ფენები. ექსპედიციამ ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ სექტორში, ე.წ. გალავნებშორისში, VII უბანზე (უბნის უფროსი დ. ლომიტაშვილი), მიაკვლია ფენას, რომელშიც აღმოჩნდა ძვ.წ. VIII-VII სს-ის კერამიკის ჭურჭელი, ორმხრივპროტომიანი ზოომორფული ფიგურების ფრაგმენტები, ნახევრადძვირფასი მინერალების, მძივებისა და მცირე მეტალურგიული სახელოსნოს ნაშთი [ლომიტაშვილი დ. 2003: 47-105].

აღნიშნული ფენის არქეოლოგიური მასალის შესწავლას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა. მათში დეტალურადაა განხილული ნოქალაქევის ძვ.წ. VIII-VII სს-ის ფენებში დაფიქსირებული კომპლექსები – საწარმო-ნამოსახლარი, სარიტუალო მოედანი, მძივებისა და მცირე მეტალურგიული სახელოსნო, საოქრომჭედლო საქმესთან დაკავშირებული ნივთები და სხვ. იქვე მოცემულია პირველადი დასკვნები აღნიშნული ფენებისა და მონაპოვრების წარმომავლობისა და სემანტიკის შესახებ [ლომიტაშვილი დ. 1993; ლომიტაშვილი დ. 2003; ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ. 1999; Ломиташвили Д., Кебуладзе Н. 2000; Кебуладзе Н., Месхидзе Э. 2004; Lomitashvili D., Kebuladze N... 2013].

2006-2007 წლებში ქართულ-შვეიცარიული პროექტის ფარგლებში, გალავნებშორისში გაჭრილ № 1 თხრილში კვლავ გამოვლინდა ძვ.წ. VIII-VII სს-ის ფენები, მათში კი - ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ადგილობრივი წარმოების კერამიკის ჭურჭლის ფრაგმენტები, ნახევრადძვირფასი მინერალები ნედლეულის სახით, ნახევარფაბრიკატები, მძივები, საქშენი მილის ფრაგმენტები და ორმხრივპროტომიანი ზოომორფული ფიგურების ნატეხები.

2001 წლიდან ნოქალაქევის ნაქალაქარზე არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებს ქართულ-ინგლისური ერთობლივი საერთაშორისო ექსპედიცია. მასში ქართველ სპეციალისტებსა და სტუდენტებთან ერთად მონაწილეობენ ბრიტანეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები და არქეოლოგები.

ექსპედიცია გათხრებს მე-14 სეზონია აწარმოებს A თხრილზე, რომელიც მდებარეობს ნაქალაქარის ქვედა ტერასის (ტაბ. I). აღმოსავლეთ სექტორში, ჭიშკრის ჩრდილო-დასავლეთით, გალავნების შიდა ტერიტორიაზე (უბნის სუპერვაიზერები: ნ. მურღულია; ქეით გრანტი). 2001 წლიდან ამ თხრილზე შესწავლილ იქნა ადრე შუა საუკუნეების, ელინისტური და ადრეანტიკური პერიოდების ფენები [Everill P., Armour N... 2014: 25-42]. 2013 წლის სეზონზე ნაწილობრივ გაითხარა და გამოვლინდა ძვ.წ. VIII-VII სს-ის კულტურული ფენა, კერამიკის ჭურჭლის ფრაგმენტები (დერგები, სასმისები, დოქები და სხვ.), მძივების დასამზადებლად საჭირო სარდიონის ნედლეული, ორმხრივპროტომიანი ზოომორფული ფიგურების ფრაგმენტები და სხვა საყოფაცხოვრებო, სამეურნეო თუ სარიტუალო ნივთები.

ფენა

2010 წელს თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში გამოვლინდა ძალზე ფრაგმენტირებული კირქვებისაგან შემდგარი ფენა, რომელიც, ძირითადად, ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალას შეიცავდა. 2011-2012 წლების სეზონებზე წარმოებულმა კვლევა-ძიებამ კი ფენის სამხრეთი გაგრძელებაც გამოაჩინა. თხრილის მონაკვეთზე ფენა მოიცავდა დაახლოებით 3 მ X 11 მ (33 მ^2) ფართობს. პირველივე სეზონზე (2010 წ.) აღნიშნულ ფენაში აღმოჩნდა ზოომორფული ფიგურის თავისა და კისრის მონაკვეთი. თავიდანვე გაჩნდა ეჭვი, რომ ფენა ადრეანტიკური ხანის საწყის პერიოდს (ძვ.წ. VI ს-ს) მიეკუთვნებოდა, რადგან იქ ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებული ზოომორფული ფიგურის ფრაგმენტი იქნა მოპოვებული. როგორც ცნობილია, ნოქალაქევის ნაქალაქარზე ცხოვრება უწყვეტად გრძელდებოდა ძვ.წ. VIII ს-დან ძვ.წ. I ს-მდე და, შესაბამისად, იქ სხვადასხვა პერიოდის ფენების ზუსტი გამიჯვნა რთულია. 2011-2012 წლებში წარმოებულმა გათხრებმა ჩვენი მოსაზრება დაადასტურა. ამ ორი სეზონის განმავლობაშიც ფენაში, უმეტესად, ადრეანტიკური ხანის კერამიკის მასალა გამოვლინდა, თუმცა, ასევე ჩნდებოდა წინარეანტიკური ხანის არტეფაქტებიც. სულ 2010-2012 წლების სეზონებზე აღნიშნულ ფენაში ორმხრივპროტომიანი ზოომორფული ფიგურების (თავის, ყურის, რქის, დრუნჩის, ფეხისა და ტორსის) ორ ათეულზე მეტი ფრაგმენტი აღმოჩნდა.

ამ ფენის შესწავლა 2013 წლის სეზონზეც გაგრძელდა. ჭარბი ნალექების გამო, მართალია, თხრილზე მხოლოდ 6-7 დღე ვიმუშავეთ, მაგრამ ფენის შესწავლამ მაინც შთამბეჭდავი შედეგები აჩვენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ იმატა ფენის დაღრმავებასთან ერთად როგორც ზოომორფული ფიგურების, ისე მათი თანადროული (ძვ.წ. VIII-VII სს.) კერამიკის ჭურჭლის რაოდენობამ, მაინც ვერ ვიტყვით, რომ საქმე ახალ ფენასთან გვაქვს, რადგან ფენის სტრუქტურა, შემცველობა, ფერი და სიმკვრივე 2010 წლიდან 2013 წლამდე, ფაქტობრივად, არ შეცვლილა და იგივე მახასიათებლები აქვს. შესაბამისად, მისი ქვედა ჰორიზონტის ცალკე ფენად გამოყოფა მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ.

კერამიკის ჭურჭელი

როგორც უკვე აღინიშნა, 2013 წლის სეზონზე აღნიშნული ფენიდან დიდი რაოდენობით კერამიკის ჭურჭელი ამოვიდა. მათი უმრავლესობა ადგილობრივი წარმოებისაა. გამოიყოფა დერგების, ქოთნების, დოქების, კოჭობებისა და სასმისების ჯგუფები. მათგან ნაწილი ადრეანტიკური ხანისაა და შედარებით მცირე რაოდენობითა წარმოდგენილი. უმრავლესობა ძვ.წ. VIII-VII სს-ის ან უფრო ადრეული პერიოდის კერამიკაა (ტაბ. II) – შავად, ჩალისფრად და წითლად გამომწვარი თიხა, ბრტყელი ძირებით, კვარცის მინარევებით, მცირედ გადაწეული პირით, ხაზოვანი, რომბისებური, წიწვოვანი და ტალღოვანი ორნამენტებით.

ადრეანტიკური ხანის კერამიკისაგან გამოსარჩევია ლეგა შეფერილობის პირ გადაშლილი დერგების ფრაგმენტები. ზოგიერთს ყელზე კონცენტრულ-ხაზოვანი ორნამენტი შემოუყვება (საინვ.№ 12-974:6175), ზოგიც სადაა (საინვ.№ 12-974:6176). ასეთი დერგები ფართოდაა გავრცელებული მთელ კოლხეთში.

ცალკე უნდა აღინიშნოს დიდი ზომის დერგის პირ-გვერდის ფრაგმენტი (საინვ.№ 12-974:6169), რომელსაც შიდა კეცი ღია ჩალისფერი აქვს, ხოლო გარედან მუქ ჩალისფრადაა გამომწვარი. მას სადა, სქელი პირი აქვს, ოდნავ გარეთ გადაწეული, ხოლო ტანზე ვერტიკალური ქედები აქვს დატანილი. თიხა დიდი რაოდენობით შეიცავს თეთრ მინარევებს.

ასევე საინტერესო ეგზემპლარია მცირე ზომის, შავად და ლეგად გამომწვარი ქოთნების გარეთ გადახრილი პირის ფრაგმენტები (საინვ. № 12-974:6170/6171). ტანზე შემოუყვებათ კონცენტრული ხაზები. ორივე თხელკედლაა.

რუხად გამომწვარი სასმისის ერთ ეგზემპლარს (საინვ. № 12-974:6177), რომელსაც მეტად ვიწრო (D – 2 სმ) ფეხი აქვს, ტანზე ემჩნევა მიძერწილი სახელურის კვალიც. თიხა დიდი რაოდენობის თეთრ მინარევს შეიცავს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ჭურჭლის ერთი ყურის ფრაგმენტი (საინვ. № 12-974: 6173), რუხი შეფერილობის, ოვალურგანივკვეთიანი. ე.წ. ზოომორფული ტიპის, რომელსაც აშკარად გამოკვეთილი რქები და დინგი აქვს (ტაბ. IV-3).

მძივების წარმოება. ნედლეული

2010-2013 წლების სეზონებზე აღმოჩენილ ფენაში 50 ერთეულამდე სარდიონის ნატეხი, ნახევარფაბრიკატი და მძივი გამოვლინდა. ნოქალაქევის ძვ.წ. VIII-VII სს-ის ფენებიდან არაერთხელ ამოვიდა სარდიონისა და სხვა (კაჟი, აქატი, იასპი, კვარცი) მინერალების ნედლეული, ასევე მძივებისათვის განკუთვნილი სახეხ-საპრიალებელი ქვებიც [ლომიტაშვილი დ. 2003: 51-63], რაც იქ მძივების დამამზადებელი სახელოსნოს არსებობაზე მიუთითებს. მსგავსი არქეოლოგიური მასალაა მოპოვებული მუხურჩისა და ოჩხომურის თანადროულ ძეგლებზე [აფაქიძე ჯ. 1985: 60-68; ლომიტაშვილი დ. 2003: 54]. სამწუხაროდ, ნოქალაქევში დღემდე არაა მიკვლეული ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამაროვანი ამ მზა პროდუქციის კონცენტრაციით. შესაბამისად აქ, ძირითადად, დიდი რაოდენობის ნედლეული დასტურდება.

ზოომორფული ფიგურები

2013 წლის სეზონზე აღნიშნულ ფენასა და მის მომიჯნავე ფართობზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ორმხრივპროტომიანი ზოომორფული ფიგურების ფრაგმენტები (ტაბ. III-1-3). ამ ეტაპზე გამოყოფილია დაახლოებით 20-მდე ცალკეული ფიგურის ნაწილი (საინვ.№№ 12-974: 6183, 6185-6187). ძირითადად, წარმოდგენილია ფიგურების რქები და ფეხები. ასევე გვხვდება ტორსის, თავისა და დინგის ფრაგმენტები (ტაბ. IV-1). ფიგურები სხვადასხვა შეფერილობისაა. არის ღია და მუქ ყავისფრად, წითლად და ჩალისფრად არათანაბრად გამომწვარი კეცებიც. ყველა დიდი რაოდენობით შეიცავს თეთრ მინარევებს. თვალები და ნესტოები გამოხატულია მცირე ზომის ნახვრეტებით, წრიული დინგი გაყოფილია ჰორიზონტალური ხაზით (ტაბ. IV-2), რომელშიც სავარცხლისებური იარაღით კბილები აქვს გამოყვანილი (საინვ.№ 12-974:6207). ერთ-ერთ ეგზემპლარს (საინვ.№ 12-974:6186) თავზე ნახევარწრიული ნიმბი ადგას (ტაბ. III-1; V-1). ერთს კი (საინვ.№ 12-974:6185) ტორსის ნაწილი წიწვოვანი ორნამენტით აქვს დაფარული (ტაბ. III-2; V-3). ცალკე გამოსარჩევია ერთი ფიგურის თავისა და ტორსის ნაწილი (საინვ.№ 12-974:6187), რომელსაც კისერი რელიეფური დანაძერწებით შესრულებული ყელსაბამით (უღელი?) აქვს შემკობილი (ტაბ. III-3; V-2). სულ შემორჩენილია 7 დანაძერწი, თუმცა, სავარაუდოდ, ფიგურას 9 ან 10 დანაძერწი უნდა ჰქონოდა (ნაწილი აცვენილია). აღსანიშნავია, რომ 1983 წლიდან ნოქალაქევში მოპოვებული რამდენიმე ათეული ეგზემპლარიდან მსგავსი ტიპები (ნიმბიანი და ყელსაბამიანი) აქამდე ცნობილი არ იყო. თუმცა, ანალოგიური ფიგურები გვხვდება ვანის ნაქალაქარზე [Lordkipanidse . 1995: 5, 9].

მიუხედავად იმისა, რომ ორმხრივპროტომიანი ფიგურების აღმოჩენასა და კვლევას არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, დღეისათვის უკვე არსებობს მოსაზრებები ამ კულტურის წარმოშობის, კოლხეთში მოხვედრისა და, ზოგადად, მისი რაობის შესახებ.

ორმხრივპროტომიანი, ოთხფეხა ფიგურები სრულიად უჩვეულოა დღემდე ცნობილ კოლხურ ზოომორფულ გამოსახულებათა შორის. მსგავსი გამოსახულებანი ძველ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში უკვე ძვ.წ. III-II ათასწლეულებშია ცნობილი, მაგრამ, როგორც ოთ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, აქ საქმე გვაქვს სრულიად ჩამოყალიბებულ იკონოგრაფიულ ტიპთან – ოთხფეხა, ორმხრივპროტომიან ფიგურებთან [ლორთქიფანიძე ოთ. 1995: 7]. თუ რომელი კულტურის გავლენით შეიქმნა ის კოლხეთში, დღემდე ეს საკითხი მხოლოდ ვარაუდების დონეზე რჩება. მეცნიერთა ნაწილი მას აღმოსავლურ სამყაროს უკავშირებს და ლურისტანული კულტურის წრისკენ იხრებიან (თუმცა, თავად ლურისტანული ბრინჯაოს საკიდების უმრავლესობა უპასპორტოა და, შესაბამისად, აქედან გამომდინარე, დასკვნების გაკეთება შეუძლებელია). ამავე დროს, ამგვარი გამოსახულებანი ფართოდაა გავრცელებული ბერძნულ სამყაროში და მათი გამოჩენა გვიანდელ გეომეტრიულ ხანას მიეკუთვნება. მათი მრავალრიცხოვანი ნიმუშები ცნობილია ოლიმპოდან, დელფოდან, ათენიდან [ლორთქიფანიძე ოთ. 1995: 7].

ნოქალაქევში დღემდე მოპოვებული ზოომორფული ფიგურების კვლევამ აჩვენა, რომ ღრუ და მასიურ ტორსიან ნაკეთობათა რაოდენობა თითქმის თანაბარია. ნოქალაქევის აღმოჩენებიდან გამომდინარე, მიჩნეულია, რომ ღრუტორსიანი – მდედრი, ხოლო მასიურტორსიანი მამრი ღვთაებაა. ნოქალაქევის მონაპოვარში რამდენიმე სახეობაა ცხოველებისა, რომლებიც წყვილად – მდედრი და მამრი ეგზემპლარებითაა წარმოდგენილი.

საკულტო მოედნის მონაპოვარში დადასტურებულია ირემი, ცხენი, ხარი, გველი, თევზი, ზოგი სკულპტურისა და ზოგიც სკულპტურაზე შესრულებული დეკორის სახით. ვფიქრობთ, რიტუალის განვითარების პიკი ფიგურების დამსხვრევის პროცესი იყო. თუ ჩვენი ეს მოსაზრება მართებულია, ფიგურების ერთი კორპუსის ორივე მხარეს თითო, ორ-ორი ან სამ-სამი თავით დასრულება, ერთი მხრივ, მოკვდავ- აღდგენადობის, მეორე მხრივ, ნაყოფიერებისა და მესამეც, წილად-რაოდენობრიობის ძალზე ფართოდ გავრცელებული ტრადიციებით უნდა აიხსნას [ლომიტაშვილი დ. 2003: 78-106; ლომიტაშვილი დ., ქებულაძე. ნ... 2013: 214-218].

რესტავრირებულმა ფიგურებმა სამეცნიერო წრეებში ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, იკონოგრაფიული გამოსახულებით ისინი სრულიად ახალი, უცნობი, კულტურის კუთვნილებაა და რომლებიც პარალელს, ჯერჯერობით, მხოლოდ ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ფიგურებთან პოულობენ.

უეჭველია, ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, ფიგურები ადგილზე იყო დამზადებული თუ მზა პროდუქციის შემოტანასთან გვაქვს საქმე. ამ მიმართულებით კვლევების დასაწყებად სოფ. ნოქალაქევის რამდენიმე უბანში (ლეგაგუე, ლებაღათურიე, ტეხურის ნაპირას) მოძიებულ იქნა თიხის გამოსავლები. აღებული იქნა საკვლევი ნიმუშების შედარება კი შემდგომ, ფიგურების თიხასთან მოხდება.

ნოქალაქევის ფიგურებისა და მოძიებული თიხების კვლევები ჯერ კიდევ მიმდინარეობს. კვლევებისათვის სხვადასხვა მეთოდის: მიკროსკოპულის, რენტგენოსტრუქტურულილ, ქიმიურისა და სპექტრულის გამოყენებაა დაგეგმილი:.

ამ ეტაპისათვის სპექტრული ანალიზებით მიღებული მონაცემების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ნოქალაქევის ტერიტორიაზე მოძიებულ თიხის ნიმუშებსა და საკვლევ ფიგურებში არსებული მიკროელემენტების შედგენილობა თითქმის იდენტურია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფიგურები ადგილობრივი ნაწარმია.

ვფიქრობთ, 2013 წლის სეზონზე ნოქალაქევში ზოომორფული ფიგურების 20 ერთეულამდე ფრაგმენტის გამოვლენა ახალი ეტაპის დასაწყისია აღნიშნული სამეცნიერო საკითხის კვლევის საქმეში.

სხვა ნივთები

2013 წლის სეზონზე აღნიშნულ მონაკვეთზე კერამიკის ჭურჭელსა და ზოომორფული ფიგურების დამსხვრეულ ფრაგმენტებთან ერთად აღმოჩნდა ნაგლის პირის ჩასართავი (საინვ.№ 12-974: 6179), რაც, ცხადია, იმ დროისათვის ნოქალაქევში სოფლის მეურნეობის გარკვეულ ხვედრით წილზე უნდა მეტყველებდეს.

განსაკუთრებით გამოსარჩევია ამავე ფენაში აღმოჩენილი თიხის მცირე ზომის (D – 4 სმ), მრგვალი ნივთი (საინვ.№ 12-974: 6184). ესაა მოყავისფრო-ვარდისფრად გამოწვარი, მასიური ნივთი, რომელიც, ერთი შეხედვით ბურთის შთაბეჭდილებას ტოვებს. მას ზედაპირი მთლიანად მრგვალი ნაჭდევებით, ირიბი ხაზებითა და ნემსისებრი იარაღით დატანილი წერტილებით შექმნილი სიმბოლოებით აქვს დაფარული (ტაბ. IV-4).

ჩვენს ხელთ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული არტეფაქტის ანალოგის მოძიებისას კავკასიის არქეოლოგიურ მასალას შორის მისი იდენტური ნივთი არ აღმოჩნდა. თუმცა, ვიზუალურად ის ძალიან წააგავს ძველი მესოპოტამიური კულტურისთვის დამახასიათებელ ნივთს, რომელსაც დამწერლობის გამოგონებამდე საკმაოდ დიდი დატვირთვა ჰქონდა შუმერებისათვის.

როგორც ცნობილია, შუმერები დიდი წარმატებით მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას. ბუნებრივია, საჭირო იყო მათი ქონების აღწერა, პირუტყვის, საზრდოსა და სხვადასხვა დანიშნულების ნივთის აღნუსხვა. დამწერლობის არარსებობის გამო მათ კომერციული ოპერაციების ჩასატარებლად დაიწყეს თიხის ნივთების გამოყენება, რომლებიც გარკვეული რაოდენობით იქნა აღმოჩენილი მესოპოტამიის ტერიტორიაზე და რომელთა უადრესი ნიმუშები თარიღდება ძვ.წ. 8000 წლით [http://www.usu.edu].

ზემოთ ხსენებული ნივთები სამეცნიერო ლიტერატურაში თიხის სიმბოლოების სახელითაა ცნობილი. მეცნიერთა ვარაუდით, სწორედ ეს სიმბოლოები იყო თიხის ფილებზე შესრულებული სოლისებური (ლურსმული) დამწერლობის უშუალო წინამორბედი. ამ სიმბოლოების ზომა მერყეობს 1-3 სანტიმეტრამდე. მრავალფეროვანია მათი ფორმა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია სფეროსებრი, კონუსისებრი, დისკოსებრი, ცილინდრული და სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის თიხის სიმბოლოები. ისინი მრავალფეროვანია დიზაინის თვალსაზრისითაც. ყველაზე ადრეულ ფენებში აღმოჩენილი ნიმუშები უბრალო და მარტივი დეკორითაა შემკული, მოგვიანო პერიოდით დათარიღებულ ფენებში ნაპოვნი ცალები კი უფრო ორნამენტირებულია. ბუნებრივია, თითოეულს თავისი დატვირთვა, დანიშნულება ჰქონდა. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ სხვადასხვა ფორმის სიმბოლოები სხვადასხვა ობიექტია, როგორებიცაა პირუტყვი, მარცვლეული, სითხე და ვაჭრობის სხვა ერთეულები [Woods Ch. 2012: 3]. არსებული სიმბოლოებით შესაძლებელი იყო სესხის ან გარკვეული გადასახადის წარმოდგენა.

მესოპოტამიაში ქალაქებისა და, შესაბამისად, აღსაწერი ქონების ზრდასთან ერთად სავაჭრო საქმის კონტროლის უფრო მეტად დახვეწილი

მექანიზმების შემუშავება და ორგანიზება გახდა საჭირო. დაახლოებით ძვ.წ. 3500 წლისათვის, ვაჭრობის თანმდევი არასასურველი ეკონომიკური ინსინუაციების თავიდან აცილების მიზნით, შუმერებს გაუჩნდათ თიხის სიმბოლოების ე.წ. კონვერტში მოთავსების იდეა და მათი დალუქვა. ამისათვის მათ სიმბოლოები მოათავსეს თიხის ღრუიან ბურთში, რომელსაც შემდეგ სიმტკიცისათვის გამოწვავდნენ [http://www.academia.edu]. ამგვარი ბურთი დამოწმებული და სანდო დოკუმენტი იყო. მისი შინაარსის, ანუ შიგთავსის გარკვევა ბურთის გატეხვის გარეშე შეუძლებელი იყო. ეს იყო შეტყობინების მსგავსი ნივთი. მაგალითად, როდესაც ერთი პიროვნება მეორესთან აწარმოებდა რაიმე სახის სავაჭრო გარიგებას, გასაგზავნ საქონელს თან ატანდა თიხის დალუქულ ბურთს მასში ჩადებული სიმბოლოთი. როდესაც ნივთი დანიშნულების ადგილზე მივიდოდა, ადრესატი ხსნიდა მას და ითვლიდა მასში არსებულ სიმბოლოებს იმაში დასარწმუნებლად, რომ მან ნავაჭრის სწორი ოდენობა მიიღო. გარკვეული დროის შემდეგ მესოპოტამიელებმა სიმბოლოების გამოსახვა თიხის ბურთის ზედაპირზე დაიწყეს მის გამოწვამდე (ტაბ. IV-5). ბევრი მკვლევარი თვლის, რომ სწორედ ასე დაიწყო თიხაზე წერა.

ნოქალაქევში აღმოჩენილი ეგზემპლარი, შესაძლოა, სწორედ ამ უკანასკნელის ანალოგი იყოს. საინტერესოა ნივთის აღმოჩენის ტოპოგრაფია – ის სარიტუალო დანიშნულების ზოომორფული ფიგურების ფრაგმენტებთან ერთად გამოვლინდა. ასევე ანგარიშგასაწევია დიდი ქრონოლოგიური სხვაობა მესოპოტამიასა და ნოქალაქევში ნაპოვნ ცალებს შორის. აღნიშნული ბურთები შუამდინარეთში ძვ.წ. 3300 წლის შემდეგ აღარ ჩნდება, ხოლო ნოქალაქევში ის კარგად სტრატიფიცირებულ ძვ.წ. VIII-VII სს-ის ფენაშია აღმოჩენილი. ეს სრულიად ახალი და ჯერჯერობით გადაუჭრელი თემაა. მისი შესწავლა და კვლევა მხოლოდ ახლა იწყება. ამიტომ მასთან დაკავშირებით დღეს რაიმეს გადაჭრით თქმა და დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ვიმედოვნებთ, რომ მომავალი სეზონების გათხრები და აღმოჩენები, მათი დეტალური აღწერა და ანალიზი უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის არა მარტო თიხის ბურთის დანიშნულებაზე, არამედ სხვა გამოვლენილი მასალის სამეცნიერო მნიშვნელობაზე კოლხეთის არქეოლოგიის კვლევისათვის.

David Lomitashvili*, Nino Kebuladze*,
Nikoloz Murgulia*, Ana Tvaradze*

*The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: dlomitashvili@gmail.com; nino.kebuladze@yahoo.com;
nikomurgulia@yahoo.com; anotvaradze@yahoo.com

New Discovery from Nokalakevi

Summary

The joint English-Georgian international expedition has been working in Nokalakevi site since 2001. The Georgian and British students and specialists take part in the excavations.

Expedition excavates Trench A, which is situated in the east part of the lower town, near the eastern gate, inside of fortified walls. The Early Medieval, Hellenistic and Early Antique cultural layers have been discovered and investigated since 2001 in Trench A. The 8th-7th centuries BC cultural layer has been partly excavated and investigated in the 2013 year season. Fragments of pottery (pot; drinking vessels and etc.), fragments of zoomorphic figurines, and other finds were displayed in the denoted layer. Among them should be notably chosen a little round formed ceramic thing which at the first glance seems to be a ball. Visually it looks like an artefact that is very typical for ancient Mesopotamian culture that had communication purpose in trade relations before invention of a written language.

Detailed review and analyses of rich archaeological material discovered by archaeological excavations during the abovementioned season is represented in the article as well as scientific importance for the research of Colchis archaeology.

ბიბლიოგრაფია

აფაქიძე ჯ. 1985: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ახალი ძეგლი ცენტრალური კოლხეთიდან. *ძეგლის მეგობარი.* №70. გვ. 60-68. თბილისი (რედ. ი. ციციშვილი).

ლომიტაშვილი დ. 1993: სტრატიგრაფია ნოქალაქევის ნაქალაქარზე (VII უბნის მიხედვით). *ნოქალაქევი–არქეოპოლისი.* III გვ. 167-177. თბილისი (რედ. პ. ზაქარაია).

ლომიტაშვილი დ. 2003: *ცენტრალური კოლხეთი ძვ.წ. VIII – ახ.წ. VI სს. (ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.* თბილისი.

ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ. 1999: სალესები თუ ძვირფასი ლითონების სასინჯი ქვები. *ძეგლის მეგობარი.* №4 (107). გვ. 15-19. თბილისი (რედ. ი. ციციშვილი).

ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ., თვარაძე ა., ქოლვინი ი. 2011: ნოქალაქევი I – ორმხრივპროტომიანი ზოომორფული ფიგურების კულტურა. *სემმ.* ტ. II (46-B). გვ. 116-135. თბილისი (რედ. ზ. თვარჭრელიძე).

ლორთქიფანიძე ოთ. 1995: ვანი. „ოქრო მრავალი“ კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი. *Sonderdruck aus Iahrbuch des Romisch – Germanischen zentralmuseums. Mains. 42. Iahrgang.*

Кебуладзе Н; Месхидзе Э. 2004: О реставрации и консервации двухпротомных зооморфных фигур из Цихегоджи-Археополиса. Консервація і реставрація кераміки. *Український Керамологичний журнал.* 2-3 (Ukrainian ceramological journal). с. 59-61. Опішне.

Ломиташвили Д., Кебуладзе Н. 2000: Златокузнечное дело в Колхиде VIII-VII вв. до н.э. /по материалам Нокалакевского городища/. *Актуальные проблемы изучения гуманитарных наук. славянский университет.* вып. III. с. 72-79. Баку.

Everill P., Armour N., Lomitashvili D., Murgulia N., Grant K., Neil B., Slater A. 2014: AGEN Trench A Results: 2001-2010. Nokalakevi•Tsikhegoji•Archaeopolis. Archaeological excavations 2001–2010. *Anglo-Georgian Expedition to Nokalakevi.* pp. 25-42. Oxford (ed. P. Everill).

Lomitashvili D., Kebuladze N., Tvaradze A., Colvin I. 2013: Nokalakevi in the 8th-7th centuries B.C. (The 1st period of development). *იბერია-კოლხეთი.* № 9. გვ. 212-223. თბილისი (რედ. გ. გამყრელიძე).

Lordkipanidse O. 1995: Uber Zwei Funde Aus Vani. *Archaologischer Anzeiger.* 1995. ss. 41-52. Walter De Gruyter-Berlin-New York.

Woods Ch. 2012: Early Writing and Administrative Practice in The Ancient Near East (New Technology and the study of Clay Envelopes from Choga Mish). *News & Notes.* # 215. pp. 3-8. Chicago (ed. Amy Weber).

http://www.usu.edu/markdamen/ (Damen M. The Origins and Invention of Writing). http://www.academia.edu/1262083/1_2_3...Numeracy_and_Mathematics_in_Ancient_Mesopotamia _ (Karen-Nejat Numeracy and Mathematics in Ancient Mesopotamia).

ილუსტრაციების აღწერილობა

ტაბ. I
ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასის გეგმა თხრილების დართვით
ტაბ. II
2013 წელს გამოვლენილი კერამიკის ჭურჭლის ნახაზები
ტაბ. III
სურ. 1. ზოომორფული ფიგურა in-situ მდგომარეობაში
სურ. 2. ზოომორფული ფიგურა in-situ მდგომარეობაში
სურ. 3. ზოომორფული ფიგურა in-situ მდგომარეობაში
ტაბ. IV
სურ. 1. 2013 წელს გამოვლენილი ზოომორფული ფიგურების ფრაგმენტები
სურ. 2. ზოომორფული ფიგურის დინგის ფრაგმენტი
სურ. 3. ჭურჭლის ზოომორფული ტიპის ყურის ფრაგმენტი
სურ. 4. თიხის ბურთი ნოქალაქევიდან
სურ. 5. შუმერული თიხის ბურთი სუზადან (შუშადან). ირანი. დაახ. ძვ.წ. 3300 წ.
ტაბ. V
სურ. 1. ზოომორფული ფიგურა
სურ. 2. ზოომორფული ფიგურა
სურ. 3. ზოომორფული ფიგურა

LIST OF ILLUSTRATIONS

Tab. I
Plan of the lower part of the Nokalakevi site showing trenches
Tab. II
Drawings of the ceramic material found in 2013
Tab. III
Fig. 1. Zoomorphic figurine (12-974:6186), in-situ
Fig. 2. Zoomorphic figurine (12-974:6185), in-situ
Fig. 3. Zoomorphic figurine (12-974:6187), in-situ
Tab. IV
Fig. 1. Fragments of zoomorphic figurines found in 2013
Fig. 2. Fragment of snout of the zoomorphic f igurine (12-974:6207)
Fig. 3. Fragment of zoomorphic handle of the ceramic vessel (12-974:6173)
Fig. 4. Clay ball from Nokalakevi
Fig. 5. Sumerian clay ball from Susa (Iran), about 3300 BC.
Tab. V
Fig. 1. Zoomorphic figurine (12-974:6186)
Fig. 2. Zoomorphic figurine (12-974:6187)
Fig. 3. Zoomorphic figurine (12-974:6185)

ტაბ. I Tab.


Wall
Building
Standing Building
Pebble beach
Road or Path
Fence
Trench
Station
R. Tekhuri
200
180
170
160
150
140
130
110
B ᲝᲮᲠᲝᲛᲪᲝ
A ᲝᲮᲠᲝᲛᲪᲝ
ᲝᲮᲠᲝᲛᲪᲝ №1


0 4
12-974:6169
0 2
12-974:6170
0 2
12-974:6171
0 2
12-974:6174
0 1
12-974:6177
0 2
12-974:6175
0 2
12-974:6176
0 2
12-974:6176
0 2
12-974:6180
0 1
12-974:6191
0 1
12-974:6181
0 2
12-974:6188
0 2
12-974:6196
0 2
12-974:6195

ტაბ. III Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

1
12-974:6183
0
5
10
15
2
12-974:6207
0
5
3
0
5
4
12-974:6184
0
5
10
5

ტაბ. V Tab.


1
12-974:6186
0 5 10
0 5 10 15
2
12-974:6187
3
12-974:6185
0 5 10 15
0 5 10 15

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 67-76
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 67-76

არქეოლოგია

ნანა მათიაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
დ. უზნაძის ქ. № 14, 0102, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nana.matiashvili@gmail.com

კოლხური თეთრის ელინისტურ ხანაში მიმოქცევის საკითხისათვის

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შემდგომი ეპოქა საყოველთაოდ სავაჭრო ურთიერთობათა აღმავლობითაა გამორჩეული. ამ ეპოქას უკავშირებენ ახალი სავაჭრო მაგისტრალების ათვისებას, სავაჭრო და საწარმოო ცენტრების აღმოცენებას, ფულადი მიმოქცევის გაცხოველებას.

კოლხეთშიც აღნიშნული ხანა სავაჭრო ურთიერთობათა განსაკუთრებული აღმავლობით აღინიშნა. არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალის მიხედვით, იმპორტული ნაწარმი, კერძოდ, ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული ატიკური სუფრის ჭურჭელი, ქიოსური და თასოსური ამფორები, ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრისა და ძვ.წ. II ს-ის შუა ხანების პერგამონული, სინოპური, როდოსული, იტალიკური ნაწარმი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ძეგლზე: **სოხუმსა და მის შემოგარენში** [კალანდაძე ალ. 1954; Трапш М. 1955:219-232; Трапш М. 1958:185-208; Шервашидзе А., Соловьев Л. 1960: 172-190; Шамба Г. 1980:23-41], **ოჩამჩირეში** [მათიაშვილი ნ. 1977: 111]; **რიონის აუზში არსებულ დასახლებებზე** (მიქელაძე თ. 1978: 75-78; პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2001: 107-118); **ქობულეთ-ფიჭვნარში** [კახიძე ა., ვაშაკიძე ნ. 1977: 37-39; ვაშაკიძე ნ,. კახიძე ა., 1979: 73-78]; **ვანსა და მის მიმდებარე ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე** [ფუთურიძე რ. 1976: 64-77; თოლორდავა ვ. 1976: 68-90; კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ოთ. ... 1979: 7-37; მათიაშვილი ნ. 1983: 51-75; Кигурадзе Н. 1972: 51. таб. II, XI, XVII; ლიჩელი ვ. 1991: 20], იმპორტული ნაწარმის გარკვეული რაოდენობა დადასტურებულია **ნოქალაქევსა** [გვინჩიძე გ. 1979: 152-160] და **სუფსა-ნატანების აუზში** [ვაშაკიძე ნ. 1985:83-85].

მნიშვნელოვანი აღმავლობაა სავარაუდო შიდა სავაჭრო ურთიერთობებშიც, რადგან მხოლოდ შიდა ბაზრის ფუნქციონირებითა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო ხასიათით შეიძლება აიხსნას ადგილობრივი კერამიკის ტარის მრავალ საწარმოო ცენტრში წარმოება და მისი გავრცელება როგორც სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებში, ისე სასოფლო-სამეურნეო დასახლებებსა და სამაროვნებზე: დაფნარში [Кигурадзе Н. 1972:30], დაბლაგომში [Куфтин Б. 1950: 84-89], ფარცხმასა [ვაშაკიძე ნ. 1985:74], ფარცხანაყანევში [Иващенко М. 1951].

სავაჭრო ურთიერთობათა გაფართოებითა და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობით უნდა იყოს განპირობებული მონუმენტური საზოგადოებრივი ნაგებობის მშენებლობა ვანსა [ლორთქიფანიძე ო. 2002: 215-231] და ეშერაში [Шамба Г. 1980:5-12], ახალი დასახლების დაფუძნება რიონის აუზში, ვანის ნაქალაქარის მიმდებარე ტერიტორიაზე [ლიჩელი ვ. 1991] და, როგორც მ. ინაძე ვარაუდობს, პიტიუნტის დაარსებაც [ინაძე მ. 1963: 131]. აღმშენებლობითი საქმიანობის საყოველთაო ხასიათზე მიგვანიშნებს ციხე-გოჯის, დიმნისა და შორაპნის მშენებლობის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ შემონახული ცნობაც [ქართლის ცხოვრება. 1942:17].

ამდენად, არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალის მიხედვით, ელინისტური ხანის კოლხეთში როგორც საგარეო, ისე საშინაო ვაჭრობის გამრავალფეროვნება და გაფართოება შეინიშნება. ამასთანავე, აღნიშნულ ხანაში იმპორტული ნაწარმის ზომიერი გავრცელება და სავაჭრო ურთიერთობებში გარკვეული სტაბილიზაციაც დასტურდება [მათიაშვილი ნ. 2005:67-70].

სავაჭრო ურთიერთობათა აღმავლობა, თავის მხრივ, ფულადი მიმოქცევის გაცხოველებასა და, შესაბამისად, გაცვლის ეკვივალენტის, ანუ ფულის არსებობას გულისხმობს. თუმცა ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მონეტების შესწავლის საფუძველზე გ. დუნდუასა და გ. ლორთქიფანიძეს განსხვავებული მოსაზრება აქვთ გამოთქმული. ისინი ძვ.წ. III-II სს-ში ვანის ქალაქის ფულადი მეურნეობის სუსტ განვითარებას ვარაუდობენ, რასაც ნაქალაქარზე აღნიშნული ხანის უცხოური მონეტების გაქრობით ასაბუთებენ [დუნდუა გ., ლორთქიფანიძე გ. 1977:122]. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ უცხოური მონეტები ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნითა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით დათარიღებულ მდიდრულ სამარხებშია აღმოჩენილი [თოლორდავა ვ. 1986: 83; ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ. ... 1972: 203, 208], ხოლო ძვ.წ III ს-ის დასასრულისა და ძვ.წ. II სს-ის სამარხები ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი არაა, უცხოური მონეტების გაქრობა, შესაძლოა, აღნიშნული პერიოდის სამარხების „გაქრობასთან” იყოს დაკავშირებული. სავაჭრო ურთიერთობათა აღმავლობაზე, ფულადი მიმოქცევის გაცხოველებასა და უცხოური მონეტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე კი ძვ.წ. II ს-ის დასაწყისში ბასილეოს აკეს მიერ ლისიმაქეს სტატერის მინაბაძის მოჭრაც მიგვანიშნებს [Капанадзе Д. 1949:168].

უცხოური მონეტების არეალი, როგორც ცნობილია, დიდი მასშტაბის სავაჭრო ოპერაციებით შემოიფარგლებოდა. რაც შეეხება შიდა ბაზრის ფუნქციონირებისათვის საჭირო მცირე ნომინალებს, ეს საკითხი ბოლომდე გარკვეული არაა, რადგან მკვლევრები წინარეელინისტურ ხანაში ამ ფუნქციის მატარებელი კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტას ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან, ინტერლოკალური მონეტის მიმოქცევაში შემოსვლისთანავე, ვარაუდობენ [Куфтин Б. 1950:58; Голенко К., Капанадзе Д. 1966:37]. კოლხური თეთრის ამგვარი დათარიღება კი ლოკალური მონეტის ინტერლოკალურით ჩანაცვლებას გულისხმობს, რაც არარეალურია და არც არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება. ამდენად, კ. გოლენკოსა და დ. კაპანაძის მიერ აღნიშნულ მოსაზრებაში მოგვიანებით შეტანილი კორექტივი კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტის შემდეგ მისი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმოქცევისა და ეპიზოდური ემისიის

შესახებ [Голенко К., Капанадзе Д. 1966: 47] უკეთ ასახავს არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მიღებულ მონაცემებს[1].

ამ მონაცემთაგან, უწინარესად, აღსანიშნავია ვანის ძვ.წ. III სს-ით დათარიღებული № 15 სამარხი, რომელშიც ალექსანდრე მაკედონელისა და ფილიპე III-ის ოქროს სტატერებთან ერთად ორი კოლხური თეთრიცაა აღმოჩენილი [თოლორდავა ვ. 1986: 89], რაც აღნიშნული მონეტების ერთდროულად ფუნქციონირებზე მეტყველებს. სხვა მონაცემებით, კერძოდ კი, ნოქალაქევში ძვ.წ. ქვევრსამარხში კოლხური თეთრის აღმოჩენის ფაქტით, ძვ.წ. II ს-ში მისი მიმოქცევაც დასტურდება [გვინჩიძე გ. 1979: 155]. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე ს. შამბას მიერ გამოქვეყნებული, სოხუმის მუზეუმში დაცული, ოთხი კოლხური თეთრის, ასევე მის მიერვე ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებული და როდოსულად განსაზღვრული მონეტისაგან შედგენილი განძიც [Шамба С. 1987: 10][2].

კოლხური თეთრის გვიანელინისტურ ხანაში მიმოქცევის შესაძლებლობის ვარაუდის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვანის ნაქალაქარის გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის გათვალისწინება, რადგან ამ ძეგლზე კოლხური თეთრი კარგად დათარიღებულ კულტურულ ფენებშია დადასტურებული.

1980 წლამდე აღმოჩენილი და გ.დუნდუასა და გ. ლორთქიფანიძის მიერ გამოქვეყნებული 40 მონეტიდან 12 კერძო პირებისგანაა შეძენილი, 16 მომდინარეობს სამარხებდან, 12 კი — კულტურული ფენებიდან. ავტორების მიერ ყველა ძვ.წ. IV-III სს-თაა დათარიღებული [Дундуа Г., Лордкипанидзе Г. 1983: 42-48], თუმცა, კულტურული ფენებიდან მომდინარე მონეტებიდან ექვსი ძვ.წ. III-II სს-ის ფენას უკავშირდება, ექვსი კი ნაქალაქარის ნგრევის ფენებში ძვ.წ. I ს-ის მიწურულის მასალასთან ერთადაა დადასტურებული.

1980 წლის შემდგომ აღმოჩენილი მონეტები გამოუქვეყნებელია. მათი უმრავლესობაც (დაახლოებით 100 ერთეული) სამარხებიდან მომდინარეობს. 9 მონეტა კი გვიანელინისტური ხანის ფენებში პონტოს საქალაქო მონეტებთან ერთადაა აღმოჩენილი. ყველა მათგანზე, ძვ.წ. III-II სს-ის კომპლექსებიდან მომდინარე ცალებისაგან განსხვავებით, ასოვანი ნიშნებია დატანილი (ტაბ. I). ასოებს MO/SO-დ კითხულობენ, მაგრამ ხარის კისერთან დატანილი წრიული გამოსახულება, შესაძლოა, არა O-მიკრონი, არამედ ხარის საკიდია და მონეტაზე მხოლოდ ერთი ასო — M/Σ-ია დატანილი (ტაბ. I4).

ანალოგიური ნიშნების მქონე მონეტები ვანის ქვეყანაში შემავალ სხვა ძეგლებზეც, კერძოდ, დაფნარის XIII, XXVIII და დაბლაგომის XXV-XXVI სამარხებშიცაა აღმოჩენილი [Кигурадзе Н. 1972: 25, 33; თოლორდავა ვ. 1980: 15]. აღნიშნული სამარხები გამთხრელების მიერ ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნითაა დათარიღებული, რაც ასოებიანი მონეტების ემისიის ადრეელინიტური

[1] აღსანიშნავია, რომ ე. პახომოვი მცირე ნომინალების მიმოქცევას ძვ.წ. II ს-ის ჩათვლით ვარაუდობდა [Пахомов Е.1910: 8].

[2] კოლხური თეთრის შემცველი გვიანელინისტური ხანის სხვა კომპლექსთაგან შეიძლება დასახელდეს ფარცხანაყანევის ის სამარხებიც, რომლებშიც ძვ.წ. II ს-ით დათარიღებული ქუსლიანი ჯამებია აღმოჩენილი [Иващенко М. 1951]. ძვ.წ. II ს-ს შეიძლება მიეკუთვნოს აგრეთვე გვიანელინისტური ხანისათვის დამახასიათებელ ქვევრებში გამართული ფარცხმის №16 [ვაშაკიძე ნ. 1985: 39/და დაფნარის № 4 და № 11 სამარხებიც [Кигурадзе Н. 1972: 17, 22].

ხანიდან დაწყების ვარაუდის საფუძველს იძლევა. თუმცა, გამორიცხული არაა, რომ აღნიშნული სამარხები შედარებით მოგვიანო ხანას მიეკუთვნოს[3], რადგან მონეტებზე დატანილი ქალაქების სახელების აღნიშვნებად განსაზღვრული ასოები, მცირეაზიური პარალელების გათვალისწინებით [Периханян А. 1959:150], ქალაქების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების, ანუ მითრიდატე ევპატორის მმართველობის შემდგომაა სავარაუდო. თუ აღნიშნული სამარხების თარიღი ზუსტია, ვანის ნაქალაქარზე დადასტურებული მონეტები შეიძლება მიეკუთვნოს კ. გოლენკოსა და დ. კაპანაძის მიერ ნავარაუდებ ეპიზოდურ ემისიას, რომელიც, აღმოჩენის პირობების გათვალისწინებით, გვიანელინისტურ ხანაში უნდა განხორციელებულიყო.

MO /ΣO ასოებიანი მონეტები კოლხეთის სხვა პუნქტებში: ქობულეთი-ფიჭვნარში, ფარცხმაში, ფარცხანაყანევში აღმოჩენილი არაა. ისინი მხოლოდ ლეჩხუმის, ერგეთისა და ბარღების განძებში სხვა ასოების მქონე მონეტებთან ერთადაა დაფიქსირებული [ლორთქიფანიძე გ., გერაძე გ. 2005: 14, 25], რაც განძის აღმოჩენის ადგილთან მათი დაკავშირების საფუძველს არ იძლევა. ვანში, დაბლაგომსა და დაფნარში აღმოჩენილი ცალები კი არქეოლოგიურ კომპლექსებშია დადასტურებული და, ამდენად, აღნიშნულ ძეგლებთანაა დაკავშირებული. ეს გარემოება კი კოლხური თეთრის აღნიშნულ სახეობას ლოკალურ ხასიათს ანიჭებს და გარკვეული ტერიტორიული ერთეულის – ვანის ქვეყნის ადმინისტრაციული ცენტრის შიდაეკონომიკური საჭიროებით განპირობებულ ემისიად განსაზღვრის საფუძველს იძლევა.

არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, ელინისტურ ხანაში აღნიშნული ტერიტორიული ერთეულის რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრი ვანთან არსებული დასახლება უნდა ყოფილიყო, რომელიც, ისევე როგორც მცირეაზიური სატაძრო ცენტრები[4], პოლისის ტიპის სატაძრო ქალაქად ჩანს გადაქცეული [მათიაშვილი ნ. 2005:88,89]. ვანის დასახლების პოლისის ტიპის სატაძრო ქალაქად გადაქცევის შესაძლებლობას გარკვეულწილად მხარს უჭერს ნაქალაქარზე აღმოჩენილი და თ. ყაუხჩიშვილის მიერ წაკითხული ბერძნულენოვანი წარწერა, რომელიც მკვლევრის მიერ ბჭობის (βυλειον) შედეგად მიღებულ სატაძრო-საკანონმდებლო დოკუმენტადაა განსაზღვრული [ყაუხჩიშვილი თ. 1987: 131-143] და, ამდენად, პოლისური თვითმმართველობის მნიშვნელოვანი ელემენტის – სახალხო კრებისა თუ უხუცესთა საბჭოს არსებობის ვარაუდის საფუძველს იძლევა.

აღნიშნული მონეტების ვანთან არსებულ ნაქალაქართან დაკავშირებას მხარს უჭერს მონეტებზე დატანილი ასოების ბ. კუფტინისეული ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც ხარის თავის სწორ პოზიციაში დაყენებისას, იკითხება შებრუნებულ Σ-ად, რაც უცხო არაა ბერძნული დამწერლობისათვის, ისევე, როგორც M-ის Σ -ით ჩანაცვლება. ამგვარი ჩანაცვლება ბ. კუფტინს დადასტურებული აქვს იტალიკურ ქალაქ სიბარისის არქაულ მონეტებზე, რომლებ-

[3] ბ. კუფტინი, დრაკონის თავიანი სამაჯურების საფუძველზე დაბლაგომის სამარხებს ძვ.წ. VI-V სს-ით ათარიღებდა [Куфтин Б. 1950: 58]. ვ. თოლორდავამ ამ დათარიღებაში კორექტივი შეიტანა და ისინი ძვ.წ. IV-III სს-ს მიაკუთვნა [თოლორდავა ვ. 1980:15].

[4] ელინისტურ ხანაში დიდი თეოკრატიული გაერთიანებების საკულტო ცენტრების პოლისის ტიპის სატაძრო ქალაქებად ტრანსფორმაცია მცირე აზიაში თითქმის საყოველთაო ხასიათს ატარებდა, რაც საკულტო გაერთიანებებისა და პოლისური სისტემის შიდა ორგანიზაციის მსგავსებით განპირობებულ მოვლენადაა მიჩნეული [Периханян А. 1959: 151; ინაძე მ. 1976: 136-144].

ზედაც Sybaris ნაცვლად იკითხება Mybaris-ი [Куфтин Б. 1950: 58]. გარდა ამისა, მისი ვარაუდი კოლხურ თეთრზე დატანილი ასოების ქალაქების სახელწოდების საწყის ასოებად განსაზღვრის შესახებ [Куфтин Б. 1950: 58][5]. იმის საფუძველს იძლევა, რომ Σ თუ SO ლიტერები პლინიუსთან მოხსენიებულსა და ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ წარწერაში ნახსენებ სურიუმის, ანუ ვანის ნაქალაქარის ძველი სახელწოდების საწყის ასოებად მივიჩნიოთ და, შესაბამისად, ვანის ნაქალაქარზე ზარაფხანის არსებობა ვივარაუდოთ.

ვანთან არსებული ქალაქის მიერ ემისიის განხორციელების შესაძლებლობის ვარაუდის საფუძველს იძლევა ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, სარიტუალო ღარის ფსკერზე, 2003 წელს აღმოჩენილი და უშუალოდ მონეტის მოჭრასთან დაკავშირებული მასალა: ვერცხლისა და ბრინჯაოს სხმული ღერაკები [ზოდები], ბრინჯაოს გუნდები და ვარსკვლავ/ლოტოსის გამოსახულებიანი ბრინჯაოსგულიანი და ვერცხლის თხელი ფენით დაფარული ანონიმური მონეტა, რომელიც 1,3 გრ-ს იწონის და 70% ბრინჯაოსა და 30% ვერცხლს შეიცავს, ანუ ბრინჯაოს წილი მასში დაახლოებით 0,72/0,82 გრ-ია. ზემოთ ნახსენები ბრინჯაოს გუნდების წონა 0,72/1,3 გრ-ს შორის მერყეობს [ტაბ. II].

მონეტის მოჭრასთან აღნიშნული გუნდებისა და ზოდების დაკავშირების იდეა ათენის აგორაზე, ჰეფასტიონში, ძველი ზარაფხანის ადგილთან, აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოდისა და მცირე ზომის გუნდების ს. მეთუშის მიერ მონეტების ნამზადებად განსაზღვრის შემდეგ გაჩნდა [Mattush C.C. 1982: 20]. სწორედ ამ პუბლიკაციამ განაპირობა მანამდე ჩემთვის გაურკვეველი საგნების სამონეტო საქმიანობასთან დაკავშირება. თუმცა, მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა, აღმოჩენის პირობების გათვალისწინებით, ეჭვს არ იწვევდა.

ვანის ქალაქის მიერ მონეტის მოჭრის შესაძლებლობას მხარს უჭერს რამდენიმე წლის წინ გ. დუნდუასა და გ. ლორთქიფანიძის მიერ ვარსკვლავისა და ლოტოსის გამოსახულებიანი ანონიმური მონეტის სავარაუდო ემისატორად ვანის ქალაქის მიჩნევაც [დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006: 73-86].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ვანთან არსებული ქალაქის მიერ ვარსკვლავ/ლოტოსის გამოსახულებიან მონეტასთან ერთად ეპიზოდურად კოლხური თეთრის ემისიაც ხორციელდებოდა და ნაქალაქარის არსებობის ბოლო ეტაპზე ანონიმურ მონეტებთან ერთად მიმოიქცეოდა. ამ მონეტების ემისიის საჭიროება, როგორც ჩანს, გარკვეულწილად განაპირობა არისტარქეს მმართველობის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის მცირე ხნით გამოცოცხლებამ [მათიაშვილი ნ. 2005: 71-74] და მითრიდატეს მმართველობის დასრულების შემდეგ მთელ შავიზღვისპირეთში შექმნილმა სამონეტო კრიზისმა. აღსანიშნავია, რომ ამ კრიზისით აქვს ახსნილი კ. გოლენკოს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მითრიდატეს საქალაქო მონეტების ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმოქცევა [Голенко К. 1962:50].

[5] აღნიშნული მოსაზრება მ. ინაძესაც აქვს გაზიარებული [Инадзе М. 1968: 170].

Nana Matiashvili

The Georgian National Museum
Otar Lordripanidze of Archaeological Reserch Centre
14 D. Uznadze St., 1002, Tbilisi, Georgia
E-mail: nana.matiashvili@gmail.com

For Circulation of Colchian Tetri in the Hellenistic Period

Summary

Numismatists presume that emission of Colchian tetri which circulated in Colchis internal market in the pre-Hellenistic period, was discontinued in the end of the 4th century BC. The reason of which was appearance of interlocal coinage. However, K. Golenko and D. Kapanadze did not excluded the possibility of circulation and its episodic emission for a long time.

In Vani city-site small facevalue Colchian tetri, were discovered both in burial grounds of the 4th -3rd centuries BC, as well as in the Late Hellenistic layers together with the foreign coins.

Some pieces found in the layers of the late Hellenistic period have letters which according to B. Kuftin's opinion, might be defined as ΣO, i.e., as the first letters of the ancient name of Vani and conformably, emission of these coins is may be associated with this city-site.

Silver and bronze cast bars (rods) discovered with small bronze pieces at the late Hellenistic temple complex, in consideration of analogous items from the Athenian Agora can be admitted as the evidence of possibility of coin production and emission of the named coin at Vani city-site.

This presumption is supported by Dundua's and G. Lortkipanidze's supposition about eligible emission of depiction of anonymous coins with star/ lotus in this city-site.

Based on the aforementioned, the emission of coinage in Vani can be considered as one of the episodes presumed by k. Golenko and D. Kapanadze.

ბიბლიოგრაფია

გვინჩიძე გ. 1979: ნოქალაქევის ქვევრსამარხები. *მაცნე.* 2. გვ. 152-160. თბილისი (რედ. გ. მელიქიშვილი).

გვინჩიძე გ. 1988: *ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის.* თბილისი.

დუნდუა გ., ლორთქიფანიძე გ. 1977: მონეტები ვანიდან. *ვანი.* III. გვ. 119-152. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006: ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი.

ვაშაკიძე ნ., კახიძე ა. 1978: ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1975წ. განხორციელებული საველე კვლევა-ძიების შედეგები. *სდსძ.* VII. გვ. 42-58. თბილისი (რედ. დ. ხახუტაიშვილი)

ვაშაკიძე ნ. 1985: ზემო ფარცხმის სამაროვანი. *სდსძ.* XIII. გვ. 23-116 (რედ. დ.ხახუტაიშვილი)

თოლორდავა ვ. 1976: მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან. *ვანი.* II. გვ. 68-90. სურ. 112-114. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

თოლორდავა ვ. 1980: *დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში.* თბილისი.

თოლორდავა ვ. 1986: ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდი (1975-1979 წწ. გათხრების შედეგები). *ვანი.* VIII. გვ. 52-78. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

ინაძე მ. 1963: ანტიკური ხანის კოლხური ქალაქები (დიოსკურია-სებასტოპოლისი, ბიჭვინტა). *სმასმმ.* IV. გვ. 125-150. თბილისი (რედ. ან. ბოჭორიშვილი).

ინაძე მ. 1976: მცირე აზიის სატაძრო ქალაქების წარმოქმნა-განვითარების საკითხისათვის სტრაბონის ცნობების მიხედვით. *აკად. ივ.ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული.* გვ. 136-144. თბილისი (რედ. გ. მელიქიშვილი).

კალანდაძე ა. 1954: *სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი.

კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., ყიფიანი გ. 1979: არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედატერასაზე. 1970-1977 წწ. *ვანი.* IV. გვ. 7-37. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

კახიძე ა., ვაშაკიძე ნ. 1977: ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები (რეზიუმე რუსულ ენაზე). *სდსძ.* VI. 25-53. თბილისი (რედ. დ. ხახუტაიშვილი)

ლიჩელი ვ. 1991: *ძველი ვანი (სამეურნეო უბანი).* თბილისი.

ლორთქიფანიძე გ., გერაძე გ. 2005: *კოლხური თეთრი. კულტუროლოგიური ასპექტი.* თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. 1972: არქეოლოგიური გათხრები ვანში. 1969 წ. *ვანი.* I. გვ. 198-242. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

ლორთქიფანიძე ოთ. 2002: *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან.* თბილისი.

მათიაშვილი ნ. 1977: *ძვ.წ. III-I სს-ის. კოლხეთის ქალაქების ეკონომიკის ისტორიიდან.* თბილისი.

მათიაშვილი ნ. 1983: ძვ.წ. III-II სს-ის მხატვრული და შავლაკიანი კერამიკა. *ვანი.* VII. გვ. 51-75. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

მათიაშვილი ნ. 2005: *ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები.* თბილისი.

მიქელაძე თ. 1978: *რიონის ქვემო წელის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი.

პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2007: რიონ-ჩოლოქის ორმდინარეთის არქეოლოგიური ძეგლები. *გურია.* V. გვ. 40-51. თბილისი (რედ. ვ. სადრაძე).

ფუთურიძე რ. 1986: ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის სამხ-რეთ-დასავლეთი ნაწილის არქეოლოგიური გათხრები. *ვანი.* VIII. გვ. 34-51. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

ქართლის ცხოვრება. 1942: ანა დედოფლისეული ნუსხა ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი.

ყაუხჩიშვილი თ. 1987: ვანის ბერძნული წარწერა. *წყაროთმცოდნეობა.* VII. გვ. 131-143. თბილისი (რედ. რ. გორდეზიანი).

Голенко К. 1962: К датировке некоторых монет Херсонеса. *НЭ.* III. 1962. с. 49-55. Москва (ред. Д. Шелов).

Голенко К., Капанадзе Д. 1966: Четыре клада колхидок. *НЭ.* с. 31-61. Москва (ред. Д. Шелов).

Дундуа Г., Лордкипанидзе Г. 1983: *Денежное обращение центральной Колхиды в V-I до н.э.*Тбилиси (ред. А. Апакидзе).

Инадзе М. 1968: *Причерноморские города древней Колхиды*. Тбилиси.

Иващенко М. 1951: Кувшинный могильник в западной Грузии. *СА.* XIII. с. 320-330. Москва (ред. М. Артаманов).

Капанадзе Д. 1949: О древнейших золотых монетах Грузии. *ВДИ.* 3. Москва (ред. В. Авдиев).

Кигурадзе Н. 1972: *Дапнарский могильник*. Тбилиси.

Куфтин Б. 1950: *Материалы к археологии Колхиды.* II. Тбилиси.

Пахомов Е. 1910: *Монеты Грузии*. Санкт-Петербург.

Периханян А. 1959: *Храмовые объединения Малой Азии и Армении в IV в. до н.э.-III в.н.э.* Москва.

Трапш М. 1955: Археологические раскопки в окрестностях Сухуми. *ТАИЯЛИ.* XXVI. с. 219-232. Сухуми (ред. Г. Дзидзария).

Трапш М. 1958: Археологические раскопки в окрестностях Сухуми. *ТАИЯЛИ.* XXIX. с. 184-201. Сухуми (ред. Х. Бгашба).

Шамба С. 1987: *Монетное обращение на территории Абхазии V в.до н.э.-XIII в.н.э.* Тбилиси.

Шамба Г. 1980: *Эшерское городище.* Тбилиси.

Шервашидзе Д., Соловьев Л. 1960: Исследования древнего Севастополиса. *СА*. с. 3, 188 (ред. А. Арциховский).

Mattush C. C. 1982: *Excavations of Athenian Agora. Bronze workers in the Athenian Agora*, American School of Classical Studies at Athens. Picture books. Athens.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I

∑-ნიშნიანი კოლხური თეთრი: 1-3 — ვანიდან, 4, 5 — დაბლაგომიდან, 6 — დაფნარიდან, 7-9 — ვარსკვლავ/ლოტოსის გამოსახულებიანი მონეტები

ტაბ. II

სურ. 1. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ვერცხლისა და ბრინჯაოს სხმული ღერაკები და ბრინჯაოს მცირე ზომის გუნდები (სავარაუდოდ, მონეტის ნამზადები)

სურ. 2. ბრინჯაოს ზოდი და მისგან ჩამოჭრილი მონეტის ნამზადები ათენის აგორიდან

LIST OF ILLUSTRATIONS

Tab. I

Colchian tetri with ∑ — mark from: 1-3 Vani, 4, 5 — Dablagomi, 6 — Dapnari and 7-9 —Star/lotus coins from Vani

Tab. II.

Fig. 1. Silver and bronze tags and bronze little-sized balls (possibly coin product) from Vani

Fig. 2. Bronze rod and disks cut off from this rod to produce, coins from Athenian agora

ტაბ. I Tab.

ტაბ. II Tab.



საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 77-94
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 77-94

არქეოლოგია

ნაზი ხუნდაძე*, ლალი ახალაია**

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: n.xundadze@yahoo.com

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
ათონელის ქ. 27, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: Laliakhalaia@gmail.com

უფლისციხის სარკისებურზედაპირიანი ჭურჭელი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის უფლისციხის ფონდში დაცულია სხვადასხვა წელს უფლისციხეში ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული მრავალფეროვანი მასალა. აქ გამოვლენილ წინაანტიკურისა და ანტიკური ხანების კერამიკას, როგორც აღმოსავლეთქართული კულტურის ერთ-ერთ განმსაზღვრელს, მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო დავით ხახუტაიშვილმა თავის ნაშრომებში: უფლისციხე. I და უფლისციხე. II. იგი უფლისციხეს განიხილავს კერამიკის წარმოების მნიშვნელოვან ცენტრად. ასევე გამოთქვამს მოსაზრებებს უფლისციხური კერამიკის ტექნოლოგიის საკითხებზე. უფლისციხის შიდა ქალაქისა და მიმდებარე ძეგლების გათხრებისას მოპოვებული არქეოლოგიური მასალის უმრავლესობა ელინისტური ხანის კერამიკული ნაწარმია. ამ პერიოდის კერამიკის ჭურჭელს აერთიანებს საერთო ნიშანი – თიხის ცომის განსაკუთრებით მაღალი ხარისხი.

ტექნოლოგიისა და შემკობის ხერხების მიხედვით გამოიყოფა ჭურჭლის რამდენიმე ჯგუფი:

1. წითელკეციანი, წითლად შეღებილი და მოხატული;
2. თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული;
3. შავი და მუქკეციანი, შავპრიალა, ე.წ. სარკისებურზედაპირიანი.

ამ სტატიის მიზანია უფლისციხის შავპრიალა, სარკისებურზედაპირიანი ჭურჭლის კატალოგიზაცია და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. ესაა ძალიან კარგად განლექილი თიხისგან, ჩარხზე დამზადებული, მუქკეციანი კერამიკის დიდი და მრავალფეროვანი ჯგუფი შესანიშნავად გაპრიალებული შავი ან ნაცრისფერი ზედაპირით. ის არაფრით ჩამოუვარდება ანტიკური კერამიკის ნიმუშებს. მისი ტექნოლოგიური თავისებურება[1] უფლებას გვაძლევს

[1] ამ სახის კერამიკის ტექნოლოგიის საკითხები დაწვრილებით განხილულია დ. ხახუტაიშვილის ნაშრომში უფლისციხე. II. 1970: 100-103. თბ., ამავე საკითხს შეეხნენ: Гагошидзе Ю. Самадло. 1979: 86. Тб., ლ. ჭილაშვილი. 1964. ნაქალაქარი ურბნისი. გვ. 37. თბ.

ცალკე გამოვყოთ სხვადასხვა ფორმის კერამიკა. ამასთან, ტექნოლოგიურად, ტიპოლოგიურად და ფორმის მხრივ სარკისებურზედაპირიანი ჭურჭლის ეს ჯგუფი განსხვავებულია ქართლის ტერიტორიაზე მანამდე ცნობილი კერამიკის ჭურჭლისაგან.

უფლისციხეში აღმოჩენილია სარკისებურზედაპირიანი ჭურჭლის სხვადასხვა სახეობა:

1. დიდი ზომის ჭურჭელი

1. ქვევრის ტიპის ჭურჭლის პირ-ყელისა და კედლის ნატეხები (ტაბ. I–1-8).

2. დერგის პირ-ყელის ფრაგმენტები (ტაბ. I–9-11). ისინი შემკულია რელიეფური ირგვლივი და შვეული ქედებით, ნაჭდევებითა და წნევით გამოყვანილი სხვადასხვა სახის სხივებით.

3. ქილის პირ-გვერდის ნატეხები სადა და შემკული ამოღარული ტეხილი დეკორით (ტაბ. I–12,13). ამგვარი ფრაგმენტები დათარიღებულია ძვ.წ. IV-II სს-ით [ხახუტაიშვილი დ. 1970: ტაბ. XXVIII-2, 3; XXIX-4; XXX-2, 3, 6].

2. დოქები და ხელადები

1. ხელადებისა და დოქების მთლიანი ცალები, ასევე პირ-ყელისა და მუცლის ფრაგმენტები (ტაბ. II–1-11). ისინი ფორმით იდენტურია ელინისტური ხანის იბერიაში კარგად ცნობილი წითელკეციანი, წითლად მოხატული ამ სახეობის ჭურჭლისა მკვეთრად გადაშლილი პირით, ვიწრო, მაღალი ან საშუალო სიმაღლის ყელით, მომრგვალებული მხრით, მუცლითა და ბრტყელი ძირით. მრგვალგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო უშუალოდ პირს უერთდება. დოქები და ხელადების ნაწილი თარიღდება ძვ.წ. III-I სს-ით [ხახუტაიშვილი დ. 1970: ტაბ. XXVIII-4, 6; XXIX-7], ნაწილი კ – ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით [ნიკოლაიშვილი ბ. 2006: 69-73].

საინტერესოა შიდა ქალაქში, ხევში, ე.წ. განძთან ერთად აღმოჩენილი მინიატურული შავპრიალა, სარკისებურზედაპირიანი ორი დოქი. ერთი შემკულია ვერტიკალური ქედებითა და მათ შორის წნეხვით შესრულებული ზოლებით, რომლებიც წიწვების იმიტაციას ქმნის. მისი H – 6,1 სმ, მუცლის – 4,3 სმ, ძირის D – 2,8 სმ, პირის გვირგვინის D – 3 სმ (ტაბ. III–5). მეორე დოქს აკლია პირი, ყელი და ყური. შემორჩენილი H – 5,5 სმ. შემკულია ვერტიკალური, წნეხვით გამოყვანილი ირიბი კანელურებით (ტაბ. III–4). მათ ანალოგები არ მოეპოვებათ, მაგრამ ისინი თანხმლები ნივთებით კარგად თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ით [ხახუტაიშვილი დ. 1989: 25-27; სანიკიძე თ. 1987: 25-28; ყიფიანი გ. 2000: 75-76]. ამდენად, შესაძლებელია უფლისციხეში სარკისებურზედაპირიანი ჭურჭლის გავრცელების საწყის თარიღად ძვ.წ. III ს. მივიჩნიოთ.

2. სფერულ-კონუსური ხელადები, შავპრიალა, უყურო, ყელიანი, პირგადმოშლილი. მათ სამეცნიერო ლიტერატურაში ქოცოების (პატარა ზომის ქვევრების) სახელით მოიხსენიებენ. გვხვდება სადა, ასევე ნაპრიალები ზოლებით შემკული ცალები. ერთ-ერთს მხარზე შემოუყვება ნაჭდევი წერტილებით შესრულებული ზოლები და ტეხილი ხაზები, რომლებიც სამკუთხედებს ქმნიან (ტაბ. II-15-18). უფლისციხეში მოპოვებული ქოცოების ნაწილი ძვ.წ. IV-II სს-ით თარიღდება, ნაწილი - ძვ.წ. II-I სს-ით [ხახუტაიშვილი დ. 1964: ხახუტაიშვილი დ. 1970; ახალაია ლ., ნიკოლაიშვილი ბ. 1987; ნიკოლაიშვილი ბ. 2006: 69-73].

3. ქოთნები, კოჭობები

სარკისებურზედაპირიანი ჭურჭლის ეს სახეობა (ტაბ. II–12-14) ყველაზე მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი. ძირითადად, გვხვდება სამარხებში. ადგილ ბამბების № 12 ორმოსამარხში მესამე მიცვალებულთან მოპოვებულია კოჭობი (ტაბ. II–12), თიხის, მოშავო-მონაცრისფრო, კარგად გაპრიალებული. პირის გვირგვინი – მომრგვალებული, ყელი – დაბალი, მუცელი – გამობერილი, ძირი – ბრტყელი. თარიღდება ადრეელინისტური ხანით [ხუნდაძე ნ. 2000. 97]. № 24 სამარხში კი აღმოჩნდა მოშავო – მონაცრისფრო, სარკისებურად გაპრიალებული კოჭობი (ტაბ. II–14). პირგაშლილი, სფერულტანიანი, ბრტყელძირიანი. მრგვალგანივკვეთიანი ყური მხარსა და მუცელზეა დამაგრებული. მისი H – 32 მმ, პირის D – 35 მმ, ძირის D – 24 მმ. სამარხის სავარაუდო თარიღად ძვ.წ. II-I სს. მიჩნეული [ნიკოლაიშვილი ბ. 2006: 70].

4. სარიტუალო ჭურჭელი

უფლისციხის ნაქალაქარსა და მის შემოგარენში აღმოჩნდა შავი და ლეგა, კარგად გაპრიალებული თიხის საკულტო დანიშნულების ნივთები, რომლებიც შეიძლება უნიკალურ ცალებად ჩაითვალოს. ესენია რიტონები და რიტონისმაგვარი ჭურჭელი. რიტონი (ბერძნული rhyton<rheo–მოვედინები) ძველებური სასმისია (ჩვეულებრივ, იხმარებოდა ღვინისათვის). მას ჰქონდა რქის ფორმა და ქვედა, ვიწრო, ნაწილში ხვრელი. ამზადებდნენ ლითონის, თიხისა და რქისაგან. ამკობდნენ რელიეფითა და გრავიურით. ძველი ბერძნული რიტონი ფართოტანიანი, მოკლე ჭურჭელია, რომლის დაბოლოება შემკულია ცხოველის გამოსახულებით. აზიურ რიტონს აქვს მოგრძო ტანი, ძირზე კი — ცხოველის ან ადამიანის მსგავსი არსების რელიეფური გამოსახულება. ცნობილია, რომ ნამდვილ რიტონად ითვლება რქის ფორმის ის ჭურჭელი, რომელსაც გამჭოლი ნახვრეტი აქვს [Власова Е. 1999: 65-67]. არსებობს აზრი, რომ რიტონი, პირობითად, შეიძლება ეწოდოს ნებისმიერი მასალისგან დამზადებულ ყველა იმ ჭურჭელს, რომელსაც, ზოგადად, რქის ფორმა აქვს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ზოომორფული სახე. რიტონის დანიშნულების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. არსებობს მოსაზრება მისი პრაქტიკული დანიშნულებისა და, ამასთანავე, საკულტო-სარიტუალო ხასიათის რამდენიმე ფუნქციის შესახებ: რიტონი სიმბოლოა სისხლით მსხვერპლშეწირვისა და ასევე ორ სამყაროს შორის კავშირისა: ის მონაწილეობს გარდაცვლილთა და ქთონურ ღვთაებათათვის სითხის შეწირვის რიტუალში. სამარხეულ კომპლექსში მოპოვებული რიტონი კი უკავშირდება რიტუალს, რომლის მეშვეობითაც გამოიხატება პიროვნული უკვდავების იმედი [Hoffmann H. 1989:131-166].

უფლისციხესა და მის შემოგარენში გამოვლენილი ელინისტური ხანის რიტონები სხვადასხვა ფორმისა და შემკულობისაა. გამოიყოფა ორი ჯგუფი: ნამდვილი რიტონები და რიტონისმაგვარი ჭურჭელი [ხუნდაძე ნ. 2010: 61-68].

ნამდვილი რიტონები

უფლისციხის შემოგარენში, ბამბების ნამოსახლარზე, აღმოჩნდა 25 სმ-ის სიგრძის თიხის, შავლეგა, გაპრიალებული, საკისებურზედაპირიანი ყანწ-

რიტონი (ტაბ. III-12), მოხრილი რქის ფორმის, ბოლოში გამჭოლი ნახვრეტით. პირის, გვერდისა და ყურის ფრაგმენტი მოტეხილია. გადაშლილ პირს ქვემოთ შემოუყვება ხუთი ღარი, რომლებიც შემოსაზღვრულია სოლისებური ირიბი ნაჭდევებით. ასეთივე ნაჭდევების სამი მწკრივი შემოუყვება ყანწს ქვედა ნაწილში. შემორჩენილი ყურის ნაწილი და გვერდი შემკულია ვერტიკალური, წიწვოვანი ხის ტოტისმაგვარი ნაჭდევი ორნამენტით, რომელსაც სიცოცხლის ხის სიმბოლური დატვირთვა აქვს. ტანი ქვემოთ მოხრილია და მთავრდება ვერძის თავის გამოსახულებით. ყანწი შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ რიტონად, რადგან მას აქვს რქის ფორმა და გამჭოლი ნახვრეტი. ყანწ-რიტონი თავისი ნიშნებით – მოხრილობა, ღარები ყელის ირგვლივ, ცხოველის წინა ნაწილის გამოსახულება, სადგარის უქონლობა – სიახლოვეს ავლენს ირანული სამყაროს რიტონებთან. რიტონის ბოლოში არსებული ხვრელი და შემკულობაში მისი სიმბოლური დატვირთვები (ხის ტოტი – სიცოცხლის ხე, ვერძის თავი კარგად ჩახვეული რქებით – ვერძი-ერკემალი, ანუ გენეტიკურად საუკეთესო თვისებების მქონე მწარმოებელი ცხვარი 1,5 წლიდან 7-8 წლამდე, გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ეს ყანწი ჩავთვალოთ ნაყოფიერებისა და გამრავლების რიტუალთან დაკავშირებულ ნივთად. მისი ფუნქცია კი განვიხილოთ ორ სამყაროს შორის კავშირის სიმბოლოდ. იგი ადგილობრივი ნაწარმია და დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. მის თარიღად შეგვიძლია მივიჩნიოთ ძვ.წ. II ს. და I ს-ის პირველი ნახევარი.

დასადგმელ რიტონს უნდა მივაკუთვნოთ ბამბების № 12 ორმოსამარხში აღმოჩენილი შავად, კარგად გაპრიალებული თიხის სასმისი (ტაბ. III-13), რომელიც ბრტყელძირიანი თევზის ფიგურაა. ტანის შუა ნაწილი – ფოსოსებური ნაჭდევებით, ფარფლები, კუდი, ტანის ზედა და ქვედა ნაწილი კი პარალელური ღარებითაა შემკული. ზურგზე დაუყვება ნაჭდევი წიწვოვანი ორნამენტი. ტუჩის ქვედა ძირში აქვს წვრილი ხვრელი, რომლიდანაც სასმელს სვამდნენ, ზურგზე კი – შედარებით ფართო ხვრელი, საიდანაც ჭურჭელში ისხმებოდა სარიტუალო სითხე. ადვილი შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სასმისი გამოიყენებოდა განაყოფიერებასთან დაკავშირებული რიტუალის შესასრულებლად. როგორც ცნობილია, "წყლის ფაფად ყოფიერი დედამიწის შესაქმეში (საშვილოსნოში) ჩამოთესილ და განაყოფიერებულ ადამიანს, ფაუნას და ფლორას თევზის სახე და ფორმა აქვს ..... თანამედროვე ეტაპზე დედაკაცის საშვილოსნოში ჩასახულ პატარა ადამიანს (ზიგოტას) თევზის სახე აქვს, ანუ გენეტიკური ინფორმაციის სახეს იმეორებს" [მირიან ქართველი. 6-7]. ამდენად, შესაძლებელია სასმისს თევზის ფორმის გამო, განაყოფიერება-გამრავლებისა და, ამასთან, როგორც სამარხეული კომპლექსის ნაწილს, პიროვნული უკვდავების იმედის გამოხატვის საკულტო დანიშნულება ჰქონოდა.

რიტონისმაგვარი ჭურჭელი

ნაქალაქარზე აღმოჩენილ რიტონისმაგვარ, კარგად გაპრიალებულ, შავკეციან, თიხის ტოლჩის ფრაგმენტს დ. ხახუტაიშვილი ათარიღებს ძვ.წ. III-II სს-ით. მას აქვს ქოთნის ფორმა და ორმაგი ზოომორფული ყური. გარედან შემკულია რომელიღაც ფრთოსანი ცხოველის (დათვი?) გამოსახულებით.

ამავე პერიოდისაა თიხის ჭურჭლის სარკისებურზედაპირიანი გვერდის ფრაგმენტები რომლებიც შემკულია გარეული თხის, ირმის, სპილოს თავ-ის რელიეფური გამოსახულებებით.

სარიტუალო ჭურჭლის ნაწილი უნდა იყოს ბამბების ნამოსახლარზე გა-მოვლენილი ხარის თავ-ყელის (შიგნიდან ფუყე) შავპრიალა თიხის ფიგუ-რა. დ. ხახუტაიშვილი მას ძვ.წ. IV-III სს-ით ათარიღებს [ხახუტაიშვილი დ. 1989; ხუნდაძე ნ. 2010: 61-68. სურ. 65].

ნაქალაქარზე ნაპოვნია თიხის მათარის ფრაგმენტი. მისი კარგად გაპრიალებული, სარკისებური ზედაპირი, ყურზე დაძერწილი ვერძის ძლიერ ჩახვეული რქები მაფიქრებინებს, რომ მას სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა.

ელინისტური ხანის სარიტუალო დანიშნულების ჭურჭელს მიეკუ-თვნება ნაქალაქარზე მოპოვებული ოთხკუთხაბაკოიანი, ლეგა, ორმხრივ გაპრიალებული ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები (5 ც.). დ. ხახუტაიშ-ვილი მას ათარიღებს ძვ.წ. IV-II სს-ით (ტაბ. III. სურ.1). ასეთი ტიპის ჭურჭე-ლი პირველად აღმოჩნდა უფლისციხეში. იგი შემდეგი წლების გათხრების დროსაც იქნა მოპოვებული. მისი საკულტო დანიშნულება განისაზღვრა კავთისხევის ციხიაგორის სამლოცველოს გათხრის დროს. საკურთხევ-ელში ჩადგმული იყო ნაცრით სავსე იმავე ფორმის სამი ჭურჭელი. მათ ბრტყელი ძირი აქვთ (ცქიტიშვილი გ. 2003: 17). 1984 წელს ასეთივე სიტუ-აცია დადასტურდა სამადლოს მიწებზე გათხრილ სამლოცველოშიც, სად-აც ასევე სამი ასეთი ჭურჭელი გამოვლინდა [Гагошидзе Ю. 1979: таб. XIV-1] გ. ნარიმანაშვილის აზრით, „ორ შემთხვევაში სამი ერთნაირი ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტი, როგორც ჩანს, გარკვეულ კანონზომიერებაზე უნდა მიუთითებდეს. ალბათ სამი ჭურჭელი ერთ კომპლექსს წარმოადგენს“. ის ამ სახის ჭურჭელს III-IV ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. III ს. — ძვ. წ. I ს-ის პირველი ნახევარი) მიიჩნევს გავრცელებულად [ნარიმაშვილი გ. 1988].

ამრიგად, უფლისციხესა და მის შემოგარენზე აღმოჩენილი ყველა ჭურ-ჭელი სარიტუალო დანიშნულებისაა და დამზადებულია კარგად განლექილი ადგილობრივი თიხისაგან. მათი თარიღი განისაზღვრება ძვ.წ. III ს. — ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით. უფლისციხეში გამოვლენილი სარიტუალო ჭურჭ-ლის ერთი ჯგუფი დაწვრილებითაა შესწავლილი და გამოქვეყნებული [ხუნ-დაძე ნ. 2010: 61-68].

აქვე მინდა გამოვთქვა მოსაზრება უფლისციხეში, ე.წ. ხევში, აღმო-ჩენილი ინვენტარის შესახებ, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია სამეფო სახელოსნოდ [ხახუტაიშვილი დ. 1989]; საგანძურად [სანიკიძე თ. 1989: 25-28. ილ. 29-32]; კლდოვან სამარხად, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის დასასრულით თარიღდება [ყიფიანი გ. 2000: 74-95]. ვფიქრობ, რომ აქ აღმოჩენილი ნივთები სარიტუალო დანიშნულების უნდა ყოფილიყო (ტაბ. III—3-7). შიდა ქალაქში გამოვლენილია სხვადასხვა ჭურჭლის რამ-დენიმე ნატეხი, რომელთაც ასევე სარიტუალო დანიშნულება უნდა ჰქონო-და (ტაბ. III—8-10).

5. ჯამები, ფიალები

უფლისციხის ელინისტური ხანის სარკისებურზედაპირიანი ჭურჭლის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯამები და ფიალებია, რომელთაც, ამ ნაშრომის ძირ-

ითადი მიზნიდან გამომდინარე, განვიხილავთ უფრო დაწვრილებით ტიპებისა და ვარიანტების მიხედვით.

I ტიპი

პირველ ტიპში გაერთიანებულია გადაშლილპირიანი ჯამები. მათი განმსაზღვრელი ნიშანია პირის პროფილირებული კიდე, ანუ გვირგვინი. თითქმის ყველა ნიმუშისათვის დამახასიათებელია ის, რომ პირის გვირგვინი ჭურჭლის კედლის ნაპირებიდან გადაცილებულია როგორც გარე, ისე შიდაპირის მხარეზე. მისი ზედა სიბრტყე წიბოთი ორ არათანაბარ წახნაგად იყოფა. თავის მხრივ, თითოეული ამ წახნაგის პროფილი და ერთმანეთთან მიმართება სხვადასხვა ვარიაციას იძლევა. კალთის პროფილის ცვლილება კი საშუალებას გვაძლევს პირველი ტიპის ჯამებს შორის რამდენიმე ვარიანტი გამოვყოთ. ა). ამ ვარიანტში ვაერთიანებთ იმ ჯამებს, რომელთა კალთას ირგვლივ მკვეთრი ქედები შემოუყვება და რითაც იქმნება კალთის ტეხილი პროფილი (კონტური). (ტაბ. IV–1, 2); ბ). ის ნიმუშები, რომელთაც კალთის შუა ნაწილის ან მხარის ირგვლივ ერთი ქედი შემოუყვება: (ტაბ. IV – 3, 4); გ). ამ ჯგუფში გაერთიანებულია ის ნიმუშები, რომელთა კალთის პროფილი გამობერილია (ტაბ. IV-5). პირველი ტიპის ყველა ჯგუფის ჯამებისათვის დამახასიათებელია წრიულქუსლიანი ძირი, რომლის H – მერყეობს 0,8 სმ-სა და 2,1 სმ-ს, ხოლო D – 8 სმ-სა და 11 სმ-ს შორის, პირის D – 17 სმ-სა და 25 სმ-ს შორის. ამ ტიპის ჯამების დიდ ნაწილს ფსკერზე აქვთ წრიული ჩაღრმავება (ისე, როგორც ბერძნულ სათევზე ლანგრებს). აღნიშნული ტიპოლოგიური ჯგუფის ჯამების დამახასიათებელი თავისებურებაა მათი შიდაპირის შემკობა წნევით გამოყვანილი სხივანა ორნამენტით. ესაა ფსკერიდან პირისაკენ რადიალურად მიმართული სოლისებური, სამკუთხა ან, იშვიათად, სწორხაზოვანი სახეები. ზოგჯერ ძირზე, გარედან, დატანილია წნევითვე გამოყვანილი ჯვარედინი ხაზები, სხივები ან ვარსკვლავი (ტაბ. IV-2). იშვიათად კალთის გარე ზედაპირზე გვხვდება ორნამენტი ნაპრიალები ზოლების სახით. ამ ჯგუფის ჯამების პარალელური მასალა გამოვლენილია შიდა ქართლის ელინისტური ხანის სხვადასხვა ძეგლზე. უბრწყინვალესი ნიმუშებია აღმოჩენილი უფლისციხის ნაქალაქარზე დარეცხილ კულტურულ ფენებში, ბამბების ნამოსახლარსა და ყათლანიხევის მარცხენა სამოსახლოს №1 ორმოსამარხში. დ. ხახუტაიშვილი მათს პირველ გამოჩენას ქართლსა და, კერძოდ, უფლისციხეში ძვ.წ. III ს-ში ვარაუდობს და, ზოგადად, ძვ.წ. III-II სს-ით ათარიღებს [ხახუტაიშვილი დ. 1964: ტაბ. I-4, XIII-7; ხახუტაიშვილი დ. 1970: ტაბ. XXXVI]. ასეთივე ჯამები აღმოჩნდა დიდუბეში 1930-31 წწ-ში, მექანიკური ქარხნის მშენებლობის დროს, ზემო ავჭალაში [ქორიძე დ. 1958: 48-49. ტაბ. X – 1-3, 5.], ურბნისის ნაქალაქარზე, ელინისტური ხანის ნაგებობების ნანგრევებსა [ჭილაშვილი ლ. 1964: 37-38. სურ.11.] და სამაროვანზე. მათ გამთხრელები ძვ.წ. IV-III და III-II სს-ით ათარიღებენ. ანალოგიური მასალა გამოვლინდა ნასტაკისის კულტურულ ფენებსა და სამაროვანზე [ნარიმანაშვილი გ. 1988: 96], კავთისხევის ციხიაგორის კულტურულ ფენებში, რომლებიც უშუალოდ ფარავდა ძვ.წ. IV-III სს-ის ტაძარს [Цкитишвили Г. 1977: 87-92]. ასეთივე სიტუაციაა დადასტურებული დედოფლის მინდორზე [ნარიმანაშვილი გ. 1988].

კავთისხევის ციხიაგორა და ნასტაკისის ველზე[2] [ნარიმანაშვილი გ. 1988: 97]

[2] ნასტაკისის ველზე საინტერესო სტრატიგრაფია დაფიქსირდა. გაითხარა სამლოცველო, რომელიც იქ აღმოჩენილი მასალის მიხედვით ძვ.წ. III—II სს–ით თარიღდება. სამლოცველოს

დაფიქსირებული სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით, ჩვენ მიერ I ტიპოლოგიურ ჯგუფში გაერთიანებული ჯამები თუ ვაზები ძვ.წ. II ს – ძვ.წ. I ს–ის პირველი ნახევრით თარიღდება.

II ტიპი

ამ ტიპში გაერთიანებული შავად ნაპრიალები (ე.წ. პირმოყრილი) ჯამებისათვის დამახასიათებელია შიგნით გადახრილი, შეთხელებული პირის კიდე, მომრგვალებული კალთა. ძირის მიხედვით გამოიყოფა ორი ვარიანტი:

ა) წრიულქუსლიანი ჯამები (ტაბ. IV-6).

ბ) უქუსლო, ბრტყელძირიანი ჯამები (ტაბ. IV-7). ამ ტიპის ჯამების პირის – მერყეობს 13-19 სმ-ს შორის, ქუსლის – 6-9 სმ-ს, ქუსლის კი 1-1,6 სმ-ს შორის. ხშირად მათი შიდაპირი შემკულია წნევით გამოყვანილი სხივანა ორნამენტით. მეორე ტიპის ორივე ვარიანტის შავპრიალა ჯამები მრავლადაა აღმოჩენილი უფლისციხეში, როგორც ნაქალაქარზე, ასევე ბამბების ნამოსახლარზე. დ. ხახუტაიშვილი შენიშნავს, რომ ამ ფორმის ჭურჭელი გვხვდება წითელკეციანიც და მათ ათარიღებს ძვ.წ. III-II სს-ით [ხახუტაიშვილი დ. 1970: 85. ტაბ. III; ტაბ. XIV–1-2; ტაბ. XIV– 2, 3, 6-7; ტაბ. XXXV– 6, 9; XXXIX – 8, 9, 53]. ურბნისის ნაქალაქარზე ისინი აღმოჩენილია I ტიპის ჯამებთან ერთად [ჭილაშვილი ლ. 1964: 37. სურ. 12, 13, 18]. არის ურბნისის სამაროვანზეც. II ტიპის ა) ვარიანტის ანალოგიური ჯამები აღმოჩენილია დიდუბესა და ზემო ავჭალაში [ქორიძე დ. 1958: 48-49. ტაბ. X – 1, 2, 5, 7, 8]; კავთისხევში, ე.წ. დაჭრილების სამაროვანზე (სამარხი № 26), დათარიღებული, ზოგადად, ძვ. წ. IV-III სს-ით [ნაკაიძე ნ. 1980: 40. ტაბ. XI-5]. ი. გაგოშიძის მიერ ძვ. წ. I ს-ით დათარიღებულ ნერონ-დერესის სამაროვანზე (სამარხი №№ 1, 7) [გაგოშიძე ი. 1982: 27. ტაბ I, III]. ამ ტიპის ჯამის ერთ ერთი ნიმუში ცნობილია სამადლოს ნაქალაქარის ზედა ელინისტური ფენიდან [Гагошидзе Ю. 1979: 76. ტაბ. XII. №45]. ვანის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში აღმოჩენილია განხილული ტიპის ა) ვარიანტის მსგავსი ანტიკური და მცირეაზიური შავლაკიანი ჯამები. ამ უკანასკნელებს კუთხოვანი ქუსლი აქვთ. ისინი ძვ. წ. III-II სს-თარიღდება [მათიაშვილი ნ. 1983: 68-69. ტაბ. 0-295, 301, 312]. და ბოლოს, კატალოგიზებულია ჭურჭლის ძირ-ქუსლის ფრაგმენტები (29 ც.), რომელთა მიკუთვნება ჯამების გარკვეული ტიპისათვის არ ხერხდება. მათი ფსკერი, როგორც წესი, შემკულია წნევით გამოყვანილი სხივანა ორნამენტით.

III ტიპი

მესამე ტიპში შედის გადაშლილპირიანი ჯამების ერთი ჯგუფი, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ფიალებს უწოდებენ. სამწუხაროდ, ისინი მხოლოდ პირ-გვერდის ნატეხებითაა წარმოდგენილი. მთლიანი პროფილის აღდგენა არ ხერხდება. მათთვის დამახასიათებელია სადა, გადაშლილი პირის კიდე, მკვეთრად გამობერილი და პროფილირებული კალთა. ამ ტიპის ჭურჭლის შიდა ზედაპირი შემკულია წნეხვით გამოყვანილი სხივანა სახეებით (ტაბ. III-8-9). ფიალები, როგორც ცნობილია,

---

ტერიტორიაზე რამდენიმე სამარხი გაითხარა. ერთ-ერთი სამარხი, რომელიც ამ ტიპის ჯამს შეიცავდა, ჩაშვებული იყო მის ჩრდილოეთ კედელში. ნასტაკისის სამაროვანზე, ძირითადად, შავად გაპრიალებული ჭურჭელია დადასტურებული და ისინი თანმხლები იმპორტული მასალითა და მონეტებით (№5 სამარხში შავად გაპრიალებულ სასმისთან ერთად აღმოჩნდა მითრიდატე I–ის მონეტა 171-138წწ.) ძვ.წ. II ს.-I ს–ის პირველი ნახევრით თარიღდება.

აქემენიდურ-ადრეანტიკური და ელინისტური ხანების საზეიმო-სარიტუალო სუფრისა და კულტმსახურების აუცილებელი კომპონენტი იყო. საქართველოში ფიალები პირველად ჯერ კიდევ ურარტულ ხანაში ჩნდება. მალევე დაიწყო მათი ადგილობრივად დამზადება. ძვ. წ. IV-III სს-ის ძეგლებზე3, ძირითადად, გავრცელებულია წითელკეციანი, წითლად შეღებილი ფიალები, რომელთა საუკეთესო ცალები სამადლოს ნაქალაქარზეა აღმოჩენილი. სამადლოზევეა მოპოვებული შავპრიალა ფიალის ერთი ეგზემპლარი [Гагошидзе Ю. 1979: 82. ტაბ. XII-№76]. შავპრიალა ფიალები ცნობილია უფლისციხიდანაც [ხახუტაიშვილი დ. 1970: 73. ტაბ XXXIX-6]. საყურადღებოა შიდა ქალაქში განძთან ერთად აღმოჩენილი მინიატიურული, შავადნაპრიალები ფიალა (ტაბ. III-7). იგი მინაბაძია ძვ.წ. IV-III სს-ის ატიკური მაღალყელიანი, პირგადაშლილი, ძირმომრგვალებული შავლაქიანი ფიალებისა, ე.წ. გნათიის სტილისა. თავის მხრივ, ეს ფიალები აქემენიდური ლითონის ჭურჭლის ფორმას იმეორებს. პერსეპოლისში, დარიოსის ტაჯარას რელიეფებზე კილიკიელებს სწორედ ამ ფორმის ფიალები უპყრიათ ხელთ [ყიფიანი გ. 2000: 75; Sarre Fr., Herzfeld E. 1910: s. 49. Abb. 14].

IV ტიპი

ცალკე ტიპში უნდა გაერთიანდეს ორი ჭურჭელი (თასები?), რომლებიც მხოლოდ კორპუსის ქვედა ნაწილითაა წარმოდგენილი. ამიტომ ვერ დგინდება მათი პირების პროფილი და დახრილობა, მაგრამ ქუსლთა თავისებური გაფორმება ცალკე ტიპად მათი გამოყოფის საშუალებას იძლევა. ამ ჭურჭლის კალთა უფრო ვერტიკალურადაა აზიდული, ვიდრე წინა სამი ტიპის ჯამებისა, წრიული ქუსლის კორპუსთან შეერთების ადგილას რელიეფული რგოლი შემოუყვება, გარე ზედაპირი ორნამენტირებულია ირიბი ნაჭდევებითა და პარალელური, ვერტიკალური ღარებით. საინტერესოა, რომ, ზემოთ აღწერილი ჭურჭლისგან განსხვავებით, მათი შიდაპირი მიმართულია ფსკერისკენ, თვით ფსკერი კი თითქმის დაუმუშავებელია. როგორც ჩანს, ღრმა ჭურჭელი უნდა ყოფილიყო (თასები?) (ტაბ. IV-10). ანალოგიური ჭურჭელი საქართველოში გამოქვეყნებულ მასალაში არ იძებნება. შესაძლოა, ადრე თუ გვიან გამოჩნდეს მათი პარალელური მასალა.

V ტიპი

აქვე განვიხილავთ სუფრის შავპრიალა კერამიკის ჭურჭლის კიდევ ერთ ტიპს – ღრმა, პირგაშლილ ჯამებს ჰორიზონტალურად გადაწეული პირის კიდით, მომრგვალებული კალთითა და ბრტყელი ძირით. ასეთი ღრმა, პირგაშლილი ჯამები აღმოჩნდა ბამბების ნამოსახლარზე. დ. ხახუტაიშვილი აღნიშნავს, რომ ფორმით ისინი იმეორებენ ძვ.წ. III-II სს-ის ბერძნულ წითელლაკიან ჭურჭელს [ხახუტაიშვილი დ.1970: 53. ტაბ. XIV–3, 4]. თითქმის ამავე ტიპის ანტიკური შავლაკიანი თასებია აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარზე და ისინი, ზოგადად, ძვ.წ. III-II სს-ით თარიღდება [მათიაშვილი ნ. 1983: 72. ტაბ. 33-331, 333]. რაც შეეხება ჩვენ მიერ კლასიფიცირებულ ჯამების ქრონოლოგიასა და წარმომავლობას, იკვეთება ასეთი სურათი: როგორც უკვე აღინიშნა, უფლისციხის ელინისტური ხანის შავპრიალა კერამიკა გამოირჩევა მაღა-

[3] კამარახევის სამაროვანი, დაჭრილების სამაროვანი, თეთრიწყაროს სამაროვანი, მცხეთა, უფლისციხე, სამადლო და სხვ.

ლი ტექნოლოგიური თვისებებით. თიხის ჭურჭლის გაპრიალება ამ დროს სრულყოფილებამდეა მიყვანილი. დ. ხახუტაიშვილის აზრით, სამეთუნეო ხელოვნების ეს ბრწყინვალე ნიმუშები ადგილობრივი ნაწარმია, თუმცა, (ახალი, ზოგჯერ, ნარევი) ფორმის მხრივ შეინიშნება ბერძნულ-მცირეაზიური კერამიკის გავლენის ნიშნები. მკვლევარი ასახელებს I ტიპის ჯამების სავარაუდოსა და შორეულ პროტოტიპებს[4], რომლებსაც ჩვენი ნიმუშები დახვეწილობითა და დამუშავების ხარისხით ბევრად აღემატება. მისი შეხედულებით, ეს ნიმუშები, ძირითადად, შავიზღვისპირეთის საწარმოო ცენტრებში, ზემოაღწერილი მათი ფორმები კი მაღალგანვითარებული იბერიული და ანტიკური მეურნეობის ურთიერთშეხვედრის შედეგად იქმნებოდა [ხახუტაიშვილი დ. 1970: 52]. ამასთან, დ. ხახუტაიშვილი ხაზს უსვამს მცირეაზიურ და ბერძნულ სამყაროთა მიღწევებს, სადაც ამგვარი კერამიკა ადრევეა გავრცელებული, იბერია კი საშუამავლო ვაჭრობის გზით ეცნობოდა[5] მას [ლორთქიფანიძე ოთ. 1968: 54]. ი. გაგოშიძე ელინისტურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში შავპრიალა კერამიკის უეცარ გამოჩენას ანატოლიასთან, კერძოდ, ფრიგიასთან კონტაქტებით ხსნის, სადაც მისი წარმოება ცნობილია ადრეული პერიოდიდან გვიანელინისტური ხანის ჩათვლით. ამასთან, გვახსენებს, რომ შავპრიალა ჭურჭელი ითვლება „ტიპურ ფრიგიულად“ და ისინი ქართლში განვითარდა (ჩვენ მიერ I ტიპოლოგიურ ჯგუფში გაერთიანებული ვაზების მსგავსი) სამადლოზე აღმოჩენილი წითელკეციანი, გაპრიალებული, მაღალქუსლიანი და პროფილირებულპირიანი ვაზებისგან. თუმცა, თვით სამადლოს წითელპრიალა ვაზების უშუალო წინამორბედი სახეობა საქართველოში არაა აღმოჩენილი [Гагошидзе Ю. 1979: 86]. სამადლოს ზედა ელინისტურ ფენაში აღმოჩენილ II ტიპის ჯამის ვარიანტის ერთადერთ ეგზემპლარს კი ი. გაგოშიძე აღმოსავლეთ საქართველოში შავპრიალა კერამიკის ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშად თვლის. ის, ამავე დროს, შესაძლებლად თვლის, წრიულქუსლიანი, პირმოყრილი (ჩვენი კლასიფიკაციით, II ტიპის ა) ვარიანტი) ჯამების უშუალო წინაპრად მიჩნეულ იქნას პროფილირებული, პირისგვირგვინიანი, წრიულქუსლიანი ბრწყინვალე ვაზები, რომელთა გავრცელებასაც საქართველოში ძვ. წ. II ს-ის II ნახევარში ვარაუდობს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ი. გაგოშიძეს მიაჩნია, რომ მსგავსი (ჩვენი კლასიფიკაციით, II ტიპის ა) ვარიანტის) ჯამები საქართველოში ფართოდაა გავრცელებული გვიანელინისტურსა და შედარებით გვიანდელ ძეგლებზე [Гагошидзе Ю. 1979: 85]. პირმოყრილი, ბრტყელძირა ჯამები საქართველოში პირველად ძვ. წ. VI-V სს-ის ძეგლებზე გვხვდება. გენეტიკურად ისინი ურარტულ ნიმუშებს უკავშირდება, ამასთან, გარკვეულად ემსგავსება აქემენიდური ირანიდან მომდინარე ანალოგიურ ჯამებს [Гагошидзе Ю. 1979: 85]. II ჯგუფის ბ) ვარიანტის ჯამები

[4] ადრიდანვე (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი) იცნობს სამხრეთი კავკასია და ანატოლია ფეხიან ვაზებს: ანატოლია, კარმირ-ბლურო. წითელკეციანი, გაპრიალებული ფიალა დამღით (ტუშპის სახელოსნო); სალიშარის ბორცვის მე-5 ფენა. ფეხიანი ფიალა, რომელიც ღია ყავისფერი საღებავითაა დაფარული და აქვს ჯვრის ფორმის დამღა. შემდეგ ისინი ვრცელდება ურარტუსა და ირანში, ხოლო ძვ. წ. VI-I სს-ის სომხეთში დადასტურებულია დაახლოებით ამ ფორმის ქვის ჭურჭელი (გარნი, არმავირი, გეჰარდი, აწევანი და სხვ.)

[5] როგორც ცნობილია, ელინიზმის ხანაში ამიერკავკასიის ქვეყნებსა და, მათ შორის, ქართლის ტერიტორიაზე გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის ერთ-ერთი სავაჭრო გზა, რომელიც ამიერკავკასიის ქვეყნებს შუა აზიასა და ინდოეთთან აკავშირებდა. სწორედ ამ გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე მდებარეობს უფლისციხე და სხვა ძეგლები მტკვრის ხეობაში.

ფორმით ზუსტად იმეორებენ ადრეელინისტური ხანის წითელკეციან, წითლად შეღებილ ჯამებს. გ. ნარიმანაშვილმა მოგვცა კერამიკის ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. მისეული ქრონოლოგიური კლასიფიკაციით (რომელიც ეყრდნობა სამადლოს, კავთისხევის ციხიაგორას, ნასტაკისისა და დედოფლის მინდვრის სტრატიგრაფიულ მონაცემებს), შავპრიალა კერამიკა (ჩვენი კლასიფიკაციით, I ტიპის ჯამები) ერთიანდება IV ქრონოლოგიურ (ძვ.წ. II-I სს-ის პირველი ნახევარი) ჯგუფში [ნარიმანაშვილი გ. 1988: 96.]. ცხადია, მკვლევარი შეეხო ამ სახის კერამიკის წარმომავლობასაც. შემოგვთავაზა შემდეგი აზრი: ასეთი კერამიკის გაჩენა ქართლში ქრონოლოგიურად სომხეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთში ასეთი კერამიკა თითქმის არაა, მისი გავრცელება ქართლში მაინც არტაშეს I-ის დაპყრობით პოლიტიკას უკავშირდება. კერძოდ, არტაშეს I თითქმის გამეფებისთანავე (ძვ. წ. 180 წ.) იბერიას აჭრის ხორძენეს, გოგარენესა და პარიადრეს. ეს ტერიტორიები კი, როგორც დღეისათვისაა მიჩნეული, მტკვრის ზემო წელზე, ანატოლიაში, უნდა ყოფილიყო. გ. ნარიმანაშვილი თვლის, სწორედ აქედან გადმოსახლებული ქართველი ტომების (მოსხების) ნაწილის მიერ უნდა იყოს შემოტანილი შავპრიალა, სარკისებურზედაპირიანი კერამიკა. მით უფრო, რომ იგი ითვლება ტიპურ ფრიგიულად და ანატოლიაში გვიანელინისტურ ხანაშიც გვხვდება [ნარიმანაშვილი გ. 1988: 5]. დღეისთვის საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ქართლში ძვ.წ. III-I სს-ში დადასტურებული მატერიალური კულტურის ზოგიერთი ელემენტი გენეტიკურად ძვ.წ. V-IV სს-ში ამავე ტერიტორიაზე მოსახლეთა მატერიალურ კულტურასთანაა დაკავშირებული (იგულისხმება ქვევრები, დოქები, სამაჯურების ერთი — ზურგშეზნექილი ჯგუფი). ასევე წინა პერიოდთანაა დაკავშირებული ჭურჭლის შეღებვისა და მოხატვის წესი. ჩვენ მიერ განხილულ ჯამთაგან II ტიპის ჯამები სწორედ ფორმით ემსგავსება ყველაზე მეტად უფლისციხესა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ელინისტური ხანის ძეგლებზე გამოვლენილ წითელკეციან, წითლად შეღებილ ჯამებს. I ტიპოლოგიური ჯგუფის ჯამები და თასებიც არც ფორმით, არც ტექნოლოგიით არ უკავშირდება არათუ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ადრეანტიკური და ადრეელინისტური ხანის კერამიკული ნაწარმის არც ერთ სახეობას. ამდენად, მისაღებია გ. ნარიმანაშვილის მოსაზრება ამ ტექნოლოგიის ჭურჭლის, კერძოდ კი, I ტიპის ჯამების (თუ ვაზების) გამოჩენა ავხსნათ ახალი ეთნიკური ელემენტის შემოსვლით. ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ჯგუფი ამ ჭურჭლისა (ალბათ, მაინც საუკეთესო ნიმუშები) იმპორტულად უნდა მივიჩნიოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტიპის ჯამების შიდაპირი, როგორც წესი, შემკულია წნევით გამოყვანილი მრავალქიმიანი ვარსკვლავით, რადიალურად განლაგებული ფართო სხივებით ან ზოლებით. ზოგიერთი ნიმუშის პირიც შემკულია ასეთივე ტექნიკით შესრულებული გადაჭდობილი, ჯვრული ზოლებით ან სხივანა ორნამენტული სახეებით. ეჭვგარეშეა, რომ ამ გამოსახულებებს უსათუოდ, ჰქონდა სიმბოლური დატვირთვა. დ. ხახუტაიშვილის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯვრის (მზის სიმბოლოს) გამოსახვა შეიძლება შესაბამისი ეპოქის რწმენას უკავშირდებოდეს და ამგვარი სიმბოლოს მქონე ჭურჭელი შიდა ქალაქში არსებული წარმართული ტაძრის კუთვნილი ყოფილიყო [ხახუტაიშვილი დ. 1964: 37]. უფლისციხის მიდამოებში, ყათლანიხევის

ბორცვზე, 1958-61 წწ-ში სამლოცველოს გათხრების დროს[6] გამოვლინდა წარმართული ტაძრის კუთვნილი თიხის ჭურჭლის დიდი კომპლექსი, მათ შორის, ჯამები და ვაზები. ვანის ნაქალაქარზე, კარიბჭესთან გამართულ სამლოცველოში, აღმოჩნდა თიხის უამრავი ჭურჭელი [ლორთქიფანიძე ოთ. 1972: 29]. საქართველოში ხატის კუთვნილი ჭურჭლის არსებობა ეთნოგრაფიული მონაცემებითაცაა დადასტურებული [ბარდაველიძე ვ. 2006].

დღეს უფლისციხის ნაქალაქარის ფუნქცია სავსებით დამაჯერებლად განსაზღვრულია როგორც სატაძრო ქალაქისა – მზის ქალაქისა [სანიკიძე თ. 1987: 2002].

სარკისებურზედაპირიანი ჭურჭლის უმრავლესობა უფლისციხეში გამოვლენილია იქ, სადაც სამლოცველო ტაძრებია (შიდა ქალაქი, ყათლანიხევი). ძალიან ცოტაა აღმოჩენილი სხვა ნამოსახლარებზე.

ჩვენ მიერ განხილული სარკისებურზედაპირიანი ჭურჭლის სიმრავლე, თიხის, გამორჩეულად მაღალი ხარისხი, ფორმათა დახვეწილობა, ჯამების ერთნაირად შემკობა და სხვა ზემოთ მოხმობილი ნიშნები გვაფიქრებინებს, რომ ეს არაა ჩვეულებრივი, ყოველდღიურად სახმარი და ის უფლისციხესა და მის შემოგარენში არსებული მრავალი ტაძრისთვის განკუთვნილი ჭურჭელი იყო. მისი გავრცელების პერიოდი ძვ.წ. III ს – ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით შემოიფარგლება.

ARCHAEOLOGY

Nazi Khundadze*, Lali Akhalaia**

*The Georgian National Museum Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1. L. Gudiashvili str. 1, 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: n.xundadze@yahoo.com

**National Agency for Cultural Heritage
27 Atoneli str. 0105, Tbilisi, Georgia.
E-mail: Laliakhalaia7@gmail.com

Smooth Surfaced Vessels from Uplistsikhe

summary

Various material procured by archaeological expeditions during different years are kept in Uplistsikhe fund of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts. Among them is a large group of ceramic articles, which is united under a

[6] სამლოცველოში აღმოჩნდა ხარის თავის გამოსახულებით შემკული საკურთხეველი და სვასტიკიანი საბეჭდავი, რომელიც მზის სიმბოლოებიცაა.

common sign . These vessels are like ancient ceramic artifacts. This technological side allows us to study separately the ceramic material, which combines different forms. The aim of this article is catalogization of Uplistsikhe "Smooth surfaced" vessels and their typological classification.

"Smooth surfaced" vessels are represented in many forms:

Big – sized pitcher-shaped vessels and fragments of wall jars which are decorated with reliefs around and vertical ridges, and pressure-hatched different ornaments.

Jugs and pots are represented as in whole so in fragments. Their forms are similar to well known red painted vessels of Hellenistic period Iberia. Spherical-conical jugs are also examined.

Jugs and crucibles are restricted in a few number.

Ritual vessels have been studied and published.

Jugs and bowls were found in a sufficient number. Five types were picked up. Consequently, each type is represented in several versions.

The great majority of the so-called "smooth surfaced" vessels were found in Upliscikhe in the preying _ places temples. Very few were found in the other places.

They are plates and dishes which were well-polished with black or grey surfaces.They are so called "Smooth surfaced" vessels which were made of settled clay on a machine – tool.

The multiplity of discussed "Smooth surfaced" vessels, their peculiarity – high quality clay, refinement of forms, decorations on bowls and other abovementioned samples suggest that these vessels were not used in every day life. They were special ones and were intended for use in many churches which existed and functioned in Uplistsikhe. Today function of the site of antiant town has been defined as a temple (the sun) town. The spreading date of found in Uplitsikhe "Smooth surfaced" plates and dishes dates back to the 3rd c BC – the first half of the 1st c AD.

ბიბლიოგრაფია

ახალაია ლ., ნიკოლაიშვილი ბ., სანიკიძე თ., ხუნდაძე ნ., 1987: ელინისტური ხანის სამოსახლო უფლისციხის მიდამოებში (ჩანახას მიწა). *სხმსს (მთ).* გვ. 3-20. თბილისი (რედ. თ. სანიკიძე).

ბარდაველიძე ვ. 2006: *ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარ-ბარ).* თბილისი.

გაგოშიძე ი. 1982: *თრიალეთის სამაროვნები.* თბილისი.

ლორთქიფანიძე ო. 1968: *ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო.* თბილისი.

ლორთქიფანიძე ო. 1972: *ვანის ნაქალაქარი. ვანი. I* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

მათიაშვილი ნ. 1983: *ძვ.წ. III-II სს-ის შავლაკიანი კერამიკა ვანიდან. ვანი. VII. გვ. 60-75.* თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

მირიან ქართველი. *პრომეთეს ცეცხლი (ქრისტეს კვართი).* თბილისი.

ნაკაიძე ნ. 1980: *კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები.* II. თბილისი (რედ. გ. ცქიტიშვილი).

ნარიმანაშვილი გ. 1988: *ძვ.წ. V-I სს-ის ქართლის კერამიკა (სადისერტაციო ნაშრომი).* თბილისი.

ნიკოლაიშვილი ბ. 2006: გვიანელინისტური ხანის სამარხები ბამბებიდან. *აჟ.* IV. *გვ. 69-73.* თბილისი (რედ. გ. მახარაძე).

სანიკიძე თ. 1987: *უფლისციხე.* თბილისი.

სანიკიძე თ. 2002: *უფლისციხე.* თბილისი.

ქორიძე დ. 1958: *თბილისის არქეოლოგიური ძეგლები.* II. თბილისი.

ცქიტიშვილი. 2003. *ციხიაგორა.* თბილისი.

ჭილაშვილი ლ. 1964: *ნაქალაქარი ურბნისი.* თბილისი.

ხახუტაიშვილი დ. 1964: *უფლისციხე.* I. თბილისი (რედ. შ. ამირანაშვილი).

ხახუტაიშვილი დ. 1970: *უფლისციხე.* II. თბილისი (რედ. შ. ამირანაშვილი).

ხახუტაიშვილი დ. 1989: *უფლისციხე. ქალაქი კლდეში.* თბილისი.

ყიფიანი გ: 2000: უფლისციხის კლდოვანი სამარხის ინვენტარი. *აჟ.* I. გვ. 74-95. თბილისი (რედ. ზ. ბრაგვაძე).

ხუნდაძე ნ: 2010: საკულტო-სარიტუალო ჭურჭელი უფლისციხიდან. *აჟ. V. გვ. 61-68.* თბილისი (რედ. გ. მახარაძე).

ხუნდაძე ნ. 2000: ბამბების სამარხთა თარიღისათვის. *აჟ.* I. გვ. 96-102. თბილისი (რედ. ზ. ბრაგვაძე).

Гагошидзе Ю. 1979: *Самадло.* Тбилиси (ред. В. А. Леквинадзе).

Власова Е. Ю. 1999: *Сосуды в форме рога из Сумибратных и Уляпских курганов.* შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IV საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი. 1999 წ. 20-23 სექტემბერი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. „ძიებანის“ დამატებანი.

Цкитишвили Г. 1977: *Результати работ на «Цихиа-гора» (1971-1974 гг.). КСИА.* 151. *с.* 87-93

Offmann Herbert. 1989: *Rhyta and Kantharoi in Greek Ritual.* Greek Vases in the J. Paul Getty Museum. vol. 4. Los Angel.

Sarre Fr., Herzfeld E. Jranishe Felsrelief. B. 1910: *s. 49. Abb.*14.

ილუსტრაციების აღწერილობა

ტაბ. I
სურ. 1-8. ქვევრის ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტები
სურ. 9-11. დერგის კედლის ნატეხები
სურ.12-13. ქილის ფრაგმენტები
ტაბ. II
სურ. 1-8. დოქები და ხელადები
სურ. 9-11. დოქებისა და ხელადების მუცლის ფრაგმენტები
სურ. 12-14. ქოთნები, კოჭობები
სურ. 15-18. სფერულკონუსური ხელადები (ქოცოები)
ტაბ. III
სურ. 1-13. სარიტუალო ჭურჭელი
ტაბ. IV
სურ. 1-10. სხვადასხვა ტიპის ჯამი

LIST OF ILLUSTRATIONS

Tab. I
Fig. 1-8. Fragments of pitcher like vessel
Fig. 9-11. Pieces of a jug
Fig. 12-13. Jar fragments
Tab. II
Fig. 1-8. Pitchers and jugs
Fig. 9-11. Abdominal fragments of jugs
Fig. 12-14. Pots, crucibles
Fig. 15-18. Spherical cone _ shaped jugs (Qoco)
Tab. III
Fig. 1-11. Ritual vessels
Tab. IV
Fig. 1-10. Different types of dishes

სურ. 1 **Fig.**

სურ. 2 **Fig.**

სურ. 3 **Fig.**

სურ. 4 **Fig.**

სურ. 5 **Fig.**

სურ. 6 **Fig.**

სურ. 7 **Fig.**

სურ. 8 **Fig.**

სურ. 9 **Fig.**

სურ. 10 **Fig.**

სურ. 11 **Fig.**

სურ. 12 **Fig.**

სურ. 13 **Fig.**

ტაბ. II Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

სურ. 11 Fig.

სურ. 12 Fig.

სურ. 13 Fig.

სურ. 14 Fig.

სურ. 15 Fig.

სურ. 16 Fig.

სურ. 17 Fig.

სურ. 18 Fig.

სურ. 1 **Fig.**

სურ. 3 **Fig.**

სურ. 4 **Fig.**

სურ. 5 **Fig.**

სურ. 6 **Fig.**

სურ. 7 **Fig.**

სურ. 8 **Fig.**

სურ. 9 **Fig.**

სურ. 10 **Fig.**

სურ. 11 **Fig.**

სურ. 12 **Fig.**

სურ. 13 **Fig.**

ტაბ. IV Tab.

I ტიპი

ა) ვარიანტი



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

ბ) ვარიანტი



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.

II ტიპი

ა) ვარიანტი



ბ) ვარიანტი



III ტიპი

ა) ვარიანტი

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 95-116
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 95-116

არქეოლოგია

ბესიკ ლორთქიფანიძე*, ნიკოლოზ მურღულია*

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: beso_lort@yahoo.com
nikomurgulia@yahoo.com

სვანეთი ბიზანტია-სასანიანთა სპარსეთის ურთიერთობაში V-VI საუკუნეებში

სამხრეთი კავკასია ან, სხვაგვარად, ამიერკავკასია, როგორც მას XIX-XX სს-ში მოიხსენიებდნენ, საუკუნეების განმავლობაში იმპერიებისა თუ დიდი სახელმწიფოების ინტერესების სფეროში ხვდებოდა. რეგიონის სხვადასხვა ქვეყნის მიმართ ეს ინტერესები ზოგჯერ მსგავსი, ზოგჯერ კი განსხვავებული იყო. ამ წერილში შევეცდებით გავაანალიზოთ ბიზანტიის იმპერიისა და სასანიანთა სპარსეთის დამოკიდებულება დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის — სვანეთის მიმართ V-VI სს-ში. სვანეთი დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთით, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, მდებარეობს. ახ. წ-ის I ს-ის დასასრულს ძველი კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე რამდენიმე სამეფო წარმოიქმნა, რომელთა შორის ყველაზე ძლიერი იყო ეგრისი, იგივე ლაზიკა, როგორც მას ჯერ რომაელები და შემდეგ კი ბიზანტიელები უწოდებდნენ. IV ს-ში ეგრისმა დასავლეთ საქართველოს სხვა სამეფოები — აფშილეთი, აბაზგია და სანიგეთი შეიერთა და მთელი დასავლეთი საქართველო გააერთიანა. ეს სახელმწიფო ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ — კავკასიონის ქედიდან და გაგრა-ბიჭვინთიდან მდ. ჭოროხამდე, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ — ლიხის ქედიდან შავ ზღვამდე გადაიჭიმა. VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია მირინელი ეგრისსა და ეგრისელებზე წერდა: „ძლიერ და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით; როგორც მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზით და სიქველით" [აგათია სქოლასტიკოსი. 1936: 50-51]. დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა სვანეთიც, რომელსაც საკუთარი მთავარი ჰყავდა. ეგრისისა და სვანეთის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ გადმოგვცემენ ბიზანტიური

წერილობითი წყაროები. VI ს-ის მემატიანე პროკოპი კესარიელი წერდა: „ამათ შემდეგ მოდის სკვიმნია და სვანია, ეს ტომები ლაზთა ქვეშევრდომები არიან. იქაურ მცხოვრებლებს მთავრებად ჰყავთ თვისტომთაგანი, ხოლო როდესაც მთავარს აღსასრულის დღე მიადგება, მათ ჩვეულებრივ მეორე მთავარი ენიშნება ლაზთა მეფის მიერ“ [პროკოპი კესარიელი. 1965ა: 126-127]. ლაზეთის სვანეთთან, ასევე დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან – სკვიმნიასა და აფშილეთთან ურთიერთობის ფორმების შესახებ კიდევ უფრო სრულ ინფორმაციას გვაწვდის ასევე VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრე. იგი ეყრდნობოდა ბიზანტიის ოფიციალურ დოკუმენტებს ბიზანტია-სპარსეთის 562 წლის საზავო მოლაპარაკებების შესახებ. ეს დოკუმენტები ბიზანტიის იმპერატორის ერთ-ერთ ელჩს, პეტრეს, ჩაუწერია. მოლაპარაკებების დროს სვანეთის საკითხი განხილვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი გამხდარა.ამ დროს სვანეთი სპარსელების ხელში იყო. ბიზანტიელი ელჩის, პეტრეს, არგუმენტაციით, სპარსელების მიერ მიტაცებული სვანეთი ბიზანტიას უნდა დაბრუნებოდა, რადგან, ვინც გამგებელს, ანუ ლაზიკას ფლობდა, მისი ხელქვეითი – სვანეთიც მისი უნდა ყოფილიყო. ის სპარს ელჩებს უმტკიცებდა – ლაზებიც და სვანებიც არ უარყოფდნენ, რომ მანამდე სვანეთის მმართველებს ლაზთა მეფეები ნიშნავდნენ [მენანდრე პროტიქტორი. 1936: 219-220]. თავისი სიმართლის დასადასტურებლად ბიზანტიის ელჩს სპარსეთის შაჰისთვის, ხოსრო I ანუშირვანისთვის (531-579 წწ.), შესაბამისი საბუთებიც წარუდგენია. „პეტრემ უპასუხა: „მე სრულიადაც არ დავაყოვნებ და აგიხსნი ნამდვილ ვითარებას. ლაზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკო სიაში, და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ რამესაც, ხოლო როდესაც სვანთა მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. ამავე დროს ის წერილობით აცნობებდა რომაელთა თვითმპყრობელს მომხდარი ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები, ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი უნდა ყოფილიყო. ეს იყო ძალაში ჩვენი მეფის თეოდოსის დროიდან ვიდრე თქვენი პაპის პეროზისა და ჩვენი მეფის ლეონის დრომდე. შემდეგ პეტრემ ქლამიდიდან გამოიღო წინ ერთი წიგნაკი, სადაც ერთი-მეორეზე ცალ-ცალკე ნაჩვენები იყვნენ ლაზთა მეფეები, რომლებსაც გაუხელისუფლებიათ სვანი სარდლები. ამ საბუთის ძალა ასეთი იყო, თუმცა გამოთქმები იქ ასეთი არ იყო: „ესენი არიან ლაზთა მეფეები, რომლებსაც სვანებს დაუყენეს ბატონიშვილები, იმ დროიდან, როდესაც რომაელთა ძალაუფლება ეპყრა თეოდოსის და სპარსელთა უარანს ვიდრე თვითმპყრობელ ლეონამდე და პეროზამდე“ [მენანდრე პროტიქტორი. 1936: 224-225]. პროკოპი კესარიელის ინფორმაციის თანახმად, ანალოგიური ურთიერთობა იყო ლაზეთსა და სკვიმნიას (ახლანდელი რაჭა-ლეჩხუმი) შორის. რაც შეეხება აფშილეთს, მმართველს აქაც ეგრისის მეფე ნიშნავდა, მაგრამ არა ადგილობრივთაგან, როგორც ხდებოდა სვანეთისა და სკვიმნიის შემთხვევაში, არამედ საკუთარი ნება-სურვილით რომელიმე ლაზ წარჩინებულთაგან [პროკოპი კესარიელი. 1965ა: 126, 162-165]. როგორც მენანდრეს ცნობიდან ჩანს,

სვანების დამოკიდებულება ლაზთა მეფეზე მმართველის დანიშვნასა და ხარკის ხდაში გამოიხატებოდა. სვანები მეფეს უგზავნიდნენ თაფლს, ტყავებსა და სხვა რამეებსაც, რომლებიც არაა დაკონკრეტებული. თუმცა, როგორც ჩანს, ლაზთა მეფეს გარკვეული ვალდებულებებიც ჰქონდა. იმავე მენანდრეს ცნობით, ლაზები სვანებს პურით ამარაგებდნენ. სწორედ იმის გამო, რომ 552 წელს მეფე გუბაზ II-მ სვანებს პური აღარ გაუგზავნა, ისინი მას განუდგნენ და სპარსელებს დაემორჩილნენ [მენანდრე პროტიქტორი. 1936: 214]. მნიშვნელოვანია, გავერკვეთ, თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა სვანეთის ლაზეთისადმი ასეთი დამოკიდებულება. მენანდრეს ზემოთ მოხმობილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ისტორიკოსების უმრავლესობა თვლის, რომ ეგრისისა და სვანეთის ეს დამოკიდებულება, ანუ სვანეთის მთავრის ეგრისის მეფის მიერ დამტკიცება და სვანების მიერ ხარკის ხდა, უნდა ჩამოყალიბებულიყო IV ს-ის ბოლო მეოთხედში, იმ დროს, როდესაც რომის იმპერატორი იყო თეოდოსი I (379-395 წწ.), ხოლო სპარსეთის შაჰი იყო ბაჰრამ IV (388-399 წწ.), ე. ი. 388-395 წწ-ს შორის [ყაუხჩიშვილი ს. 1936: 225; ჯანაშია ს. 1949: 255-256; Меликишвили Г. 1959: 386; ლომოური ნ. 1968: 71; ლეთოდიანი დ. 2003: 67-71; მუსხელიშვილი დ. 2003: 102-103]. თუმცა, თავად ამ წყაროს გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი მეორე ვარიანტსაც უშვებდა, რომ, შესაძლოა, ეს მომხდარიყო ბიზანტიის იმპერატორ თეოდოსი II-ისა (408-450 წწ.) და სპარსეთის შაჰ ბაჰრამ V-ის (420-438 წწ.) დროს, ანუ 420-438 წწ-ს შორის [ყაუხჩიშვილი ს. 1936: 225]. რაც შეეხება ასეთი ურთიერთობის დასასრულს, ყველა თანხმდება, რომ ეს უნდა მომხდარიყო ბიზანტიის იმპერატორ ლეონ I-ისა (457-474 წწ.) და ირანის შაჰ პეროზის (459-484 წწ.) დროს, ანუ 459-474 წწ-ს შორის. ამ დროს შეძლო სვანეთმა ლაზეთის ბატონობისგან თავის დაღწევა. რა ისტორიულმა მოვლენებმა გამოიწვია სვანეთისა და ეგრისის ურთიერთობის ცვლილება V ს-ის 60-70-იან წლებში? ამ კითხვის პასუხი ბიზანტიურსა და ქართულ წერილობით წყაროებში შეიძლება ვიპოვოთ. V ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პრისკე პანიონელი გადმოგვცემს, რომ ლეონ I-ის დროს, კონსტანტინოპოლში ხანძრისა დ იქ ეგრისის მეფე გუბაზ I-ის ჩასვლის შემდგომ, სვანები განდგნენ და ლაზებსა და ბიზანტიელებს მათთან ბრძოლა მოუწიათ. ამ ბრძოლების დროს სვანებს იბერები და სპარსელები ეხმარებოდნენ. ბიზანტიელებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ არ დაეკარგათ სვანეთის ციხეები, თუმცა, როგორც ჩანს, თავად სვანები მათ აღარ ემორჩილებოდნენ [პრისკე პანიონელი. 1965: 261-262]. კონსტანტინოპოლის ხანძარი გაჩნდა 465 წელს, ანუ სვანეთის ეს აჯანყება ეგრისელთა და ბიზანტიელთა წინააღმდეგ 465-474 წლებს შორის, ანუ ხანძრიდან ლეონ I-ის მეფობის დასასრულამდე უნდა მომხდარიყო. დაახლოებით იმავე პერიოდის შესახებ, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის XI ს-ის ქართველი მემატიანე ჯუანშერი. მისი ცნობით, ქართლის (იბერიის) მეფე ვახტანგ I გორგასალმა V ს-ის 60-იან წლებში ილაშქრა დასავლეთ საქართველოში, ანუ ეგრისში, დაიპყრო ეს ქვეყანა და გააერთიანა საქართველო [ჯუანშერი. 1955: 156-157]. საქართველოს გაერთიანების ფაქტს სხვა ისტორიული წყაროები არ ადასტურებენ და სამეცნიერო ლიტერატურაშიც ამ ცნობას სკეპტიკურად უყურებენ, თუმცა, იბერების დასავლეთ საქართველოში, კონკრეტულად

სვანების დასახმარებლად, ლაშქრობა იმავე პრისკეს ცნობით დასტურდება. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ქართველი მეცნიერი თვლის, რომ სწორედ ამ დროს სვანები დაემორჩილნენ იბერიის მეფე ვახტანგ I გორგასალს [Меликишвили Г. 1959: 386]. ეს კი, შესაბამისად, ნიშნავდა სპარსელების დაქვემდებარებაში გადასვლას, რადგან ამ დროს იბერიის მეფე სპარსელების ვასალი იყო. ქართული წყარო ვახტანგ I-ის მიერ დასავლეთ საქართველოში მოწყობილი ლაშქრობის ძალიან საინტერესო მარშრუტს გვთავაზობს [ჯუანშერი. 1955: 157]. ის შედგა ბიზანტიაში ლეონ I-ის იმპერატორობის დროს და ვახტანგის ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობის შემდეგ, ანუ V ს-ის 60-იანი წლების II ნახევარში. ჩრდილოეთ კავკასიაში წარმატებული ლაშქრობის შემდეგ ვახტანგმა თავისი არმიის ნაწილი, ასევე მოკავშირე სპარსელთა ლაშქარი დარიალის კარით იბერიაში დააბრუნა, დანარჩენი ჯარით კი აფხაზეთში გადავიდა და დასავლეთი საქართველო დალაშქრა. რატომ არ გადავიდა ვახტანგი დასავლეთ საქართველოში უფრო მარტივი, პირდაპირი გზით და აირჩია ჩრდილოეთიდან შემოვლა და კავკასიონის ქედის რთული უღელტეხილების გავლა? ლოგიკურად ამას მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება გაეცეს. იბერების ჯარის პირდაპირ დასავლეთ საქართველოში გადასვლა ნიშნავდა სპარსეთ-ბიზანტიის ომის განახლებას. ამ დროს კი მათ შორის მშვიდობა სუფევდა და არც ერთს არ აძლევდა ხელს მისი დარღვევა. ამასთან, ორივე დიდი სახელმწიფო ომს აწარმოებდა მომთაბარე ტომებთან: სპარსელები – ჰუნ-ეფტალიტებთან შუა აზიაში, ხოლო ბიზანტიელები – გუთებსა და ჰუნებთან ევროპაში. შესაბამისად, ვახტანგს ლაშქრობის ასეთი მარშრუტის მოწყობის შემდგომ შეეძლო ემართლა თავი, რომ ის სწორედ კავკასიონის ქედთან მოსაზღვრე იმ ტომების დასახმარებლად გაემართა, რომლებიც ლაზთა მეფეს აუმხედრდნენ. ასეთები კი ამ დროს, უწინარესად, სვანები იყვნენ. სვანეთის იბერიაზე, შესაბამისად, სპარსეთზე დამოკიდებულება, როგორც ჩანს, დიდხანს არ გაგრძელებულა. ამაზე მიუთითებს იუსტინიანე I-ის XXXI ნოველისა და პროკოპი კესარიელის ცნობა, რომელიც ლაზიკაში 542 წელს სპარსეთ-ბიზანტიის 20-წლიან დაპირისპირებამდე პერიოდსა და ომის პირველ ხანებს აგვიწერს. ომისწინა პერიოდის ამსახველ ვითარებას უნდა გადმოგვცემდეს იუსტინიანეს XXXI ნოველა: „შემდეგ მოდის ჭანთა ტომი, მხოლოდ ახლა ჩვენი მეფობის დროს რომაელთა მიერაა დაპყრობილი; მასაც აქვს უკვე ქალაქად ქცეული ადგილები, მომავალშიც ექნება სხვები. ამ ქვეყნის შემდეგ დამკვიდრებული არიან სხვა ტომებიც: სუანები, სკვიმნები, აფსილები, აბაზგები და სხვა, ღვთის შეწევნით, ჩვენი მეგობარი ტომები“ [იუსტინიანე. 1965: 36-37]. რაც შეეხება პროკოპი კესარიელის ცნობას, ის აშკარად მიუთითებს, რომ ომის დაწყებამდე, ანუ 542 წლისთვის, სვანეთის სტატუსი იგივეა, როგორიც ის პეროზის სპარსეთსა და ლეონ I-ის ბიზანტიაში იმპერატორობამდე იყო, ანუ სვანებს მთავრებს ლაზეთის მეფეები უწესებდნენ. აქ ისმის კითხვა, როდის დაუბრუნდა სვანეთი ლაზიკას? ამ კითხვას პასუხი რომ გაეცეს, აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ ის საგარეო პოლიტიკური ვითარება, რომელიც შეიქმნა IV-VI სს-ის დასავლეთ საქართველოში. 387 წლის ზავით, რომელიც დაიდო სპარსეთსა და რომის იმპერიას შორის, დასავლეთი საქართველო, ლაზიკა, რომს ერგო. ბიზანტიელების (395 წლიდან რომი

ორად გაიყო და აღმოსავლეთ რომის იმპერიას ბიზანტია ეწოდა) ბატონობა თავიდან, ძირითადად, ლაზიკის მეფეების დამტკიცებაში გამოიხატებოდა. სამაგიეროდ, ლაზიკის მეფეები უზრუნველყოფდნენ კავკასიონის ქედიდან გადმოსასვლელებისა და, შესაბამისად, იმპერიის ტერიტორიების ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე მეომარი ტომების თავდასხმებისგან დაცვას. თუმცა, დროთა განმავლობაში ბიზანტიის იმპერატორები ცდილობდნენ გაემკაცრებინათ პოლიტიკა და ლაზიკის საშინაო საქმეებში ერეოდნენ. ბიზანტიური წყაროებიდან ჩანს, რომ ამას ლაზიკის მეფეები არ ეგუებოდნენ. ისინი ცდილობდნენ გამოეყენებინათ დაპირისპირება სპარსეთ-ბიზანტიას შორის და ხშირად დასახმარებლად ირანის შაჰსაც მიმართავდნენ. ასე მოიქცა V ს-ის შუა ხანებში გუბაზ I, რომელიც ბიზანტიელებს აუჯანყდა, თუმცა, მოგვიანებით იძულებული გახდა კვლავ ბიზანტიელებს დამორჩილებოდა [პრისკე პანიონელი. 1965: 254-256]. ლაზიკის მეფეები შემდეგაც ირჩევენ პროსპარსულ ორიენტაციას. 523 წლის ამბების აღწერისას VI-VII სს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე მალალა წერს: „იუსტინეს მეფობის დროს ლაზთა მეფე წათი გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს. სპარსელთა მეფე იყო კოადი, რომელიც ოდესღაც თვით წათის, ლაზთა მეფის, მეგობრად ითვლებოდა და ამ კოადის სამეფოს ქვეშევრდომი იყო; ამიტომაც იყო, რომ, როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა ახალ მეფეს, მაგრამ უთუოდ ლაზთა ტომიდან. ლაზთა ეს მეფე გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე, რადგან ეშინოდა ვაი თუ სპარსელთა მეფე კოადმა მეფედ არ დამამტკიცოსო, მსხვერპლსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა. ხოლო, როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა: გაქრისტიანებულმა წათიმ შეირთო რომაელი ქალი, პატრიკიოს ნომეს ქალიშვილი, სახელად ვალერიანე“ [იოანე მალალა. 1936: 263-264]. იგივე ამბავი გადმოცემული აქვთ VII ს-ის ბიზანტიელ უცნობ ავტორს მის მიერ შედგენილ „პასქალურ ქრონიკაში“ [პასქალური ქრონიკა. 1941: 11-13] და VIII-IX სს-ის ბიზანტიელ ქრონისტ თეოფანეს [თეოფანე ჟამთააღმწერელი. 1941: 77-78]. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ლაზეთი V ს-ის II ნახევარში ან VI ს-ის დასაწყისში სპარსეთის ქვეშევრდომი გახდა. ამაზევე მეტყველებს პროკოპი კესარიელის ერთი ცნობაც. აღწერს რა სპარსეთის მეფე კავადისა (488-531 წწ.) და ბიზანტიის იმპერატორ იუსტინე I-ის (518-527 წწ.) დროს დაწყებულ საზავო მოლაპარაკებებს, მოჰყავს სპარსელთა ელჩის, სეოსის, სიტყვები: „კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ეწოდება, ძველითგანვე, სპარსელთა ქვეშევრდომი იყო და რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ“ [პროკოპი კესარიელი. 1965ბ: 47-48]. როდის გახდა ლაზიკის მეფე სპარსელების ქვეშევრდომი? კავადის სპარსეთში გამეფებამდე ეს გამორიცხული იყო, რადგან პეროზის მეფობის დროს სპარსელებს არ ეცალათ - შუა აზიაში ბრძოლები ჰქონდათ ჰუნებთან. თავად პეროზიც ამ ბრძოლებს შეეწირა. მისი მემკვიდრე ბალაშის (ვალაშის) დროს (484-488 წწ.) სპარსეთში არეულობა იყო, თან ეს შაჰი ბიზანტიასთან მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრე იყო. მისი ვაჟის, კავადის, გამეფების შემდეგ სპარსეთი გაძლიერდა. მართალია, 496 წელს კავადი ტახტიდან

ძმამ, ჯამასპიმ, ჩამოაგდო, მაგრამ 499 წელს ის ისევ ავიდა ტახტზე და ქვეყანა გააძლიერა. მეტიც, ბიზანტია-სპარსეთის 502-506 წწ-ის ომი ირანისთვის წარმატებული აღმოჩნდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ბიზანტია V-VI სს-ის მიჯნაზე მდ. დუნაის მხარიდან სლავური ტომების თავდასხმის გამო საკმაოდ დასუსტდა. სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს იყო შესაძლებელი ლაზიკის მეფის სპარსეთის ქვეშევრდომობაში გადასვლა. რატომ დავუთმეთ ამდენი ადგილი ლაზიკა-სპარსეთის ურთიერთობებს? ჩვენი აზრით, ლაზიკის მეფის სპარსეთის შაჰისადმი მორჩილების საფასური მის მიერ მთელ დასავლეთ საქართველოზე, მათ შორის, სვანეთზე კონტროლის აღიარება იქნებოდა. თითქოს ეს ვარაუდი წარმოუდგენელია სპარსეთისა და ლაზიკის მასშტაბების შედარების შემდეგ (სპარსეთი, უდავოდ, ლაზიკაზე ბევრად ძლიერი ქვეყანა იყო და ლაზიკის მეფის მიერ რაიმე პირობის წარდგენა თითქოს წარმოუდგენელია). თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სპარსელებს რეალურად დასავლეთ საქართველოში ამ დროს არ ულაშქრიათ და ლაზიკის მეფის მიერ პროსპარსული ორიენტაციის აღება ნებაყოფლობითი ნაბიჯი იყო, მის მიერ რაიმე პირობების წამოყენება სავსებით მოსალოდნელი იქნებოდა. სავარაუდოდ, სპარსეთის შაჰისთვის ლაზიკის მეფის მის მხარეზე გადასვლა ბევრად ღირებული იქნებოდა, ვიდრე ამ ქვეყნის მხოლოდ ერთ-ერთი ოლქის – სვანეთის მის დაქვემდებარებაში ყოფნა. ჩვენი აზრით, სწორედ ამ დროს, ლაზიკის მეფეების მიერ სპარსეთისადმი მორჩილების გამოცხადების მომენტში, უნდა აღმდგარიყო ის დამოკიდებულება სვანეთსა და ლაზიკას შორის, რაზეც პროკოპი მოგვითხრობს. ლაზიკის მეფის მიერ სპარსეთისადმი მორჩილების გამოცხადება რომ უმნიშვნელოვანესი იყო, ამაზე მეტყველებენ ბიზანტიური წყაროების მონაცემები. პროკოპი კესარიელი VI ს-ის შუა ხანების ამბების აღწერისას წერს: „მას (სპარსეთის შაჰს ხოსრო I-ს) ხომ ღირშესანიშნავ მოპოვებად მიაჩნდა, კოლხიდის ქვეყანა მტკიცე საკუთრებად ჰქონოდა მითვისებული, რადგან, მისი აზრით, სპარსეთის ძალაუფლებას ეს დიდს სარგებელს მოუტანდა; იბერიაც ხომ მომავალში უშიშრად ეპყრებოდა, რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი, განდგომის შემთხვევაში, თავს გადაირჩენდნენ... აგრეთვე ლაზიკის მეზობლად მოსახლე ჰუნებისგანაც სპარსელთა სახელმწიფო სამუდამოდ დაურბეველი იქნებოდა, ხოლო გაცილებით უფრო ადვილად მიუსევდა იმათ რომაელთა სახელმწიფოს, როცა კი ეს მისთვის სასურველი იქნებოდა: კავკასიაში მოსახლე ბარბაროსთათვის ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხარი. ყველაზე უფრო კი, მას იმედი ჰქონდა, ლაზიკის მხრით გაძლიერება სპარსელებისთვის იმით იქნებოდა სასარგებლო, რომ იქიდან შეტევით ისინი ადვილად შესძლებდნენ თავს დასხმოდნენ, ხმელეთითაც და ზღვითაც, ეგრეთწოდებულ ევქსინის პონტოზე მდებარე სოფლებს, დაემორჩილებინათ კაპადოკიელები, მათი მოსაზღვრე გალატიელები და ბითვინიელები, და მოულოდნელად დაეპყროთ ბიზანტიელები ისე, რომ მათ არავინ წინააღმდეგობას არ გაუწევდა. ამიტომ უნდოდა ხოსროს ლაზიკის შემოერთება“ [პროკოპი კესარიელი. 1965ბ: 92-95]. იბერებისთვის ლაზიკა რომ ნამდვილად თავშესაფარი იყო სპარსელების წინააღმდეგ აჯანყების დროს, კარგად ჩანს სომხური წყაროს მონაცემებით. V ს-ის სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარპეცი

მოგვითხრობს, რომ სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებულმა იბერიის მეფე ვახტანგ I გორგასალმა V ს-ის 80-იან წლებში, დამარცხების შემდეგ, თავი სწორედ ეგერთა ქვეყანას, ანუ ლაზიკას შეაფარა [ჯანაშია ნ. 1962: 264]. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ, სავარაუდოდ სპარსეთის შაჰი აღუდგენდა ლაზთა მეფეს სვანთა მთავრის დანიშვნისა და სვანეთზე ბატონობის უფლებას, ოღონდ, ის მის მხარეს გადასულიყო. ანალოგიური ვითარება უნდა შექმნილიყო 523 წელს ლაზთა მეფის ბიზანტიის მხარეს გადასვლის შემდგომაც, რადგან ბიზანტიის იმპერატორისთვისაც ლაზიკის ფლობა ძალიან ფასეული იყო. 542 წლისთვის ლაზიკის მეფე გუბაზ II კვლავ სპარსეთის მოკავშირე გახდა, რაც ბიზანტიელების კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის გამო მოხდა. ლაზიკის მეფის პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილების მიზეზების შესახებ პროკოპი კესარიელი სპარსეთის შაჰთან გაგზავნილ ლაზ ელჩებს ათქმევინებს: „ჩვენს მეფეს ხომ მეფობის გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს: მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია“ [პროკოპი კესარიელი. 1965ბ: 77]. თუმცა, სპარსელების მიერ მისი მკვლელობის მცდელობის გამო მალე გუბაზი კვლავ ბიზანტიელთა მხარეს გადავიდა და სიკვდილამდე, 554 წლამდე, მათს მხარეს იყო და ებრძოდა სპარსელებს. სვანეთისა და ლაზიკის ურთიერთდამოკიდებულება არ შეცვლილა 552 წლამდე, როდესაც სვანები კვლავ განუდგნენ ლაზთა მეფეს. მენანდრე გადმოგვცემს: „როდესაც სვანებს წათი წინამძღოლობდა, ერთი რომაელი, დეიტატე იქ მყოფ რომაულ ჯარებს მეთაურობდა; სვანების ქვეყანაში სხვა რომაელებიც ცხოვრობდნენ. მას შემდეგ, რაც ლაზთა მეფესა და იმ დროს იქ მოსარდლე რომაელ მარტინეს შორის რაღაც მტრობა ჩამოვარდა, ამის გამო კოლხმა აღარ გაუგზავნა სვანებს ჩვეულებრივი სურსათი: ჩვეულებრივ პური მათ კოლხთა მეფისგან ეგზავნებოდათ. ამიტომ სვანებმა, იმაზე გაჯავრებულებმა, რომ მათ მოუსპეს დაწესებული დახმარება, შეუთვალეს სპარსელებს, რომ, თუ ისინი იქ მივიდოდნენ, სვანეთს მათ ჩააბარებდნენ. ამავე დროს დეისატეს და რომაელთა რაზმების სხვა წინამძღოლებს უთხრეს: ამბობენ, რომ აუარებელი სპარსელი მოდის სვანების წინააღმდეგ, მათთან შესაბრძოლებლად ჩვენ ძალა არ შეგვწევს. იფიქრეთ იმაზე, თუ რა უფრო სასარგებლო იქნება და იქ მყოფ რომაელი რაზმებითურთ მიდიელთა ჯარს დანებდით. ასეთი სივერაგე რომ იხმარეს სვანებმა და საჩუქრების საშუალებით რომ მიიმხრეს რაზმების მეთაურები, განდევნეს კიდევაც თავისი ქვეყნიდან რომაელთა ჯარი. სპარსელები კი მალე მოვიდნენ და აიღეს სვანეთი“ [მენანდრე პროტიქტორი. 1936: 214-215]. ამ ცნობიდან ისე გამოდის, რომ ლაზთა მეფემ სურსათი აღარ გაუგზავნა სვანებს და ისინიც განუდგნენ როგორც ლაზებს, ასევე ბიზანტიელებს. თუმცა, ამ ცნობას უფრო აზუსტებს პროკოპი კესარიელი. 552 წელს სპარსელთა სარდალი მერმეროე, რომლის ხელში იყო მოხირისის მხარე და, შესაბამისად, ქუთაისის ციხე, ცდილობდა უქიმერიონის ციხის ხელში ჩაგდებასაც. პროკოპი წერს: „ქუთაისის მახლობლად კი არის ერთი მეტად მაგარი ციხე, სახელად უქიმერიონი; აქ ჰყავდათ ლაზებს კარგი მცველი რაზმი. ამ ციხის დაცვაში მონაწილეობას ღებულობდა რამდენიმე რომაელი ჯარისკაციც — აი, აქ დაბანაკდა მერმეროე მთელი თავისი

ჯარით. კოლხიდის საუკეთესო ნაწილი მას ეპყრა და მოწინააღმდეგეებს დაბრკოლებას უქმნიდა, რომ უქიმერიონის ციხეში სურსათი მიეწოდებინათ, ან სვანეთსა და ეგრეთწოდებულ სკვიმნიაში ევლოთ; თუმცა ეს ქვეყანა მათი ქვეშევრდომი იყო, ვინაიდან, მოწინააღმდეგე რომ მოხირისში იჯდა, ლაზებსა და რომაელებს ამ ქვეყნისაკენ გზა მოჭრილი აღმოაჩნდათ“ [პროკოპი კესარიელი. 1965ა: 196-197]. მალე უქიმერიონის ციხეც მერმეროეს ხელში გადავიდა. პროკოპის ცნობით, სპარსელების მიერ მოსყიდულმა ლაზმა თეოფობიმ მოახერხა მოეტყუებინა უქიმერიონის ციხეში მდგარი ლაზთა და ბიზანტიელთა ჯარების მეთაურები და უვნებლობის პირობით ციხესიმაგრე დაათმობინა. მერმეროემ უბრძოლველად დაიკავა უქიმერიონი, რაც, წყროების მონაცემებით, ფაქტობრივად, სვანეთისა და სკვიმნიის ხელში ჩაგდებასაც ნიშნავდა. როგორც პროკოპი წერს: „ასე ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა უქიმერიონის ციხე და მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიკეს. მაგრამ მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სკვიმნიაც და სვანიაც, და, ამრიგად, მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწა-წყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს“ [პროკოპი კესარიელი. 1965ა: 202-205]. როგორც ხედავთ, მენანდრესა და პროკოპის მონათხრობში ბევრია საერთო. თუმცა, მენანდრე თუ სვანეთის დაკარგვას მათი მეთაურების ღალატს აბრალებს, პროკოპი სურსათის ნაკლებობასა და შიმშილზე ამახვილებს ყურადღებას. არაა გამორიცხული, რომ ორივეს მონათხრობში სიმართლის მარცვალი იყოს და როგორც შიმშილი, ასევე სვანი დიდებულების პროსპარსული ორიენტაცია იყო სპარსელების მხარეს სვანების გადასვლის მიზეზი. ასევე წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ უქიმერიონის ციხის დაკარგვა და სვანეთისკენ მიმავალი გზების გადაკეტვა, ფაქტობრივად, ერთი და იგივე იყო. თუმცა, ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ.

სვანეთის საკითხი უმნიშვნელოვანესი გახდა სპარსეთ-ბიზანტიის საზავო მოლაპარაკებების დროს VI ს-ის შუა ხანებში. შეიძლება ითქვას, რომ სპარსეთსა და ბიზანტიას შორის 562 წლის ზავის დადებისას გადაუჭრელი მხოლოდ სვანეთის პრობლემა დარჩა. მოლაპარაკების შეუძლებლობის გამო, ბიზანტიელმა და სპარსელმა ელჩებმა გადაწყვიტეს გადაედოთ მოლაპარაკება და ეს საკითხი თავად სპარსეთის შაჰ ხოსრო I-თან განეხილათ [მენანდრე პროტიქტორი. 1936: 213-216]. ამ მოლაპარაკებების დროს ბიზანტიის ელჩმა პეტრემ ირანის შაჰი გააფრთხილა, რომ ამ პრობლემას შეიძლება ახალი ომი გამოეწვია. თუმცა, ვერანაირი არგუმენტით შაჰი დათმობაზე ვერ წაიყვანა და სვანეთი სპარსელების ხელში დარჩა [მენანდრე პროტიქტორი. 1936: 221-222]. სვანეთის საკითხი კვლავ წამოწია იუსტინიანეს მემკვიდრემ, ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინე II-მ (565-578 წწ.). ის მზად იყო სვანეთის გამოსასყიდად ფულიც კი გადაეხადა. ამაზე სპარსთა მეფეც თითქოს თანახმა იყო, მაგრამ, მენენდრეს ცნობით, სპარსელებმა ისეთი მიუღებელი წინადადებები წამოაყენეს, რომ ბიზანტიელები იძულებულნი გახდნენ სვანეთზე დროებით უარი ეთქვათ [მენანდრე პროტიქტორი. 1936: 228-231]. თუმცა, ამ მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა. თეოფილაქტე სიმოკატას ცნობით, 586 წლისთვის მთელ ლაზიკაში მშვიდობა სუფევდა და „ფაზისის წყალსაც აღარ ამღვრევდა სისხლი; მისი მშვიდობიანი მდინარება სიწყნარის ბრწყინვალებით რწყავდა კოლხეთს და მიდიელ მოსახლეს არსად არ აჭაჭანებდა” [თეოფილაქტე სიმოკა-

ტა. 1941: 20]. ამ წყაროდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ დროს სვანეთიც, რომელსაც ბიზანტიელი ავტორები ლაზიკის ნაწილად აღიქვამდნენ, კვლავ ბიზანტიელთა ხელში იყო. როდის მოხდა სვანეთის კვლავ ბიზანტიის ხელში გადასვლა? წყაროების მონაცემებით, იუსტინე II-ის გაიმპერატორობიდან შვიდი წლის განმავლობაში სპარსეთსა და ბიზანტიას შორის მშვიდობა სუფევდა. სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა ზემოთ ნახსენები მოლაპარაკებები სვანეთთან დაკავშირებით. 572 წელს დაიწყო აჯანყება სომხეთსა და იბერიაში. აჯანყებულებმა დაამარცხეს სპარსელები. იმავე წელს განახლდა ომი სპარსეთსა და ბიზანტიას შორის. 576 წლისთვის, მენანდრეს ცნობით, იბერიისა და პერსარმენიის ნაწილი ბიზანტიელთა ხელში გადავიდა [მენანდრე პროტიქტორი. 1936: 238-239]. აქედან ვასკვნით, რომ იმ დროს, როდესაც სამხრეთ კავკასიის ცენტრალურმა დ აღმოსავლეთმა ნაწილებმა სპარსეთის ბატონობას თავი დააღწია, ლოგიკურია, რომ სვანეთიც, ანუ დასავლეთ საქართველოს კუთხე, კვლავ ბიზანტიის ხელში გადავიდოდა. სპარსელების მიერ სვანეთის დაკარგვაზე მეტყველებს თეოფილაქტე სიმოკატასა და თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობები, სადაც ისინი მოგვითხრობენ სპარსელი სარდლის, ბაჰრამ ჩუბინის, ლაშქრობაზე სვანეთში. თეოფილაქტე სიმოკატა ამ ფაქტს 589-590 წწ-ით ათარიღებს, ხოლო თეოფანე – 588 წლით. თეოფილაქტე მოგვითხრობს, რომ კეისარ მავრიკი-ტიბერიუსის (582-602 წწ.) იმპერატორობის მერვე წელს, ანუ 589-590 წელს, სპარსეთის შაჰ ჰორმიზდ IV-ის (579-590 წწ.) სარდალმა ბაჰრამმა თურქებზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა და ამის შემდეგ სვანეთშიც წარმატებას მიაღწია. თუმცა, მალევე ბერძენმა სარდალმა რომანოზმა დაიბრუნა დასავლეთი საქართველო და ალბანეთისკენ კონტრშეტევა განახორციელა [თეოფილაქტე სიმოკატა. 1941: 21-26]. თეოფანე ჟამთააღმწერელი კი წერს: „ჰორმიზდამ სარდლად ბარამი დანიშნა და დიდძალი ჯარით სვანეთის წინააღმდეგ გაგზავნა. ბარამი მოულოდნელდ დაეცა მას, მის შემდეგ რაც თურქები სპარსელების მიერ იქნენ დამარცხებული, იმდენად გაძლიერდა ჰორმიზდა, რომ თურქებისგან ორმოცი ათას ოქროს ღებულობდა ხარკს, თუმცა წინათ თვითონ უხდიდა თურქებს იმავე რაოდენობას. ბარამმა ამ ომში დიდი სახელი მოიხვეჭა; ის, რომ მდინარე არაქსზე დაბანაკდა და, მავრიკიმ რომ ეს გაიგო, რომანოზი დანიშნა სტრატეგოსად და სვანეთში გაგზვნა ჯარით. რომანოზი მივიდა ლაზიკეში და მდინარე ფაზისზე რომ იყო, ალბანიის წინააღმდეგ დაბანაკდა“ [თეოფანე ჟამთააღმწერელი. 1941: 88]. ცნობიდან ჩანს, რომ სპარსელებმა 588 წელს დროებით დაიბრუნეს სვანეთი, მაგრამ მალევე დაკარგეს და ის კვლავ ბიზანტიელთა მფლობელობაში გადავიდა. თეოფილაქტე სიმოკატა წერს: „მეფე ჯავრობდა სპარსელთა ჯარზე და სიკვდილით ემუქრებოდა ბაბილონურ ჯარებს იმ დამარცხებათა გამო, რომელიც შეემთხვათ მათ სვანეთში“ [თეოფილაქტე სიმოკატა. 1941: 33].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო სვანეთი ბიზანტიისა და სპარსეთისთვის. რატომ იყო ასე მნიშვნელოვანი სვანეთის ფლობა? როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სვანეთი სამხრეთ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთით, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, მდებარეობდა. ის ბუნებრივი ზღუდე იყო ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები მეომარი ტომების შესაკავებლად.

ამავე დროს, ორივე ქვეყანას შეეძლო დაექირავებინა ჩრდილოკავკასიელი მეომრები. ძალიან საინტერესო ცნობა აქვს მენანდრეს. ის სპარსეთის შაჰ ხოსროს ათქმევინებს: „მხოლოდ გაგვეგონა, მერმეროე რომ გვითითებდა ჩვენ, რომ ეს უმნიშვნელო ქვეყანაა და არ არის დავის ღირსი, არც სამეფო ლაშქრობის საქმეაო; ეს ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობსო, ჰყავს მთავარი დ ამ ქვეყანაზე სკვითები გადიანო“ [მენანდრე პროტიქტორი. 1936: 221-222]. ამ სიტყვების თქმის დროს ხოსრო, რა თქმა უნდა, თვალთმაქცობდა და შეგნებულად აკნინებდა სვანეთის მნიშვნელობას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ საზავო მოლაპარაკებების დროს როგორი თავგამოდებით არ თმობდნენ სპარსელები სვანეთს. აქვე უნდა დავამატოთ, რომ ხოსრო მაინც ვერ მალავს სვანეთის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, როცა საუბრობს სკვითებზე (ჩრდილოკავკასიელებზე), რომლებიც სვანეთის გავლით შემოდიან სამხრეთ კავკასიაში. ამის გარდა, სვანეთის ფლობისას ის მნიშვნელოვანი პლაცდარმი გახდებოდა სპარსეთისთვის ლაზეთის შიდა რეგიონების წინააღმდეგ. ამიტომ ბიზანტიელებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო სვანეთის ფლობა, რადგან იქიდან მთელ ლაზეთს სპარსელებისგან საშიშროება დაემუქრებოდა. მენანდრეს სიტყვებით: „იუსტინე მეფემ მიანდო იოანეს, რომ, თუ სპარსელები მოისურვებდნენ, გადაეცათ ეს ქვეყანა, ეთქვა, რომ ის თანახმა არის, ვინაიდან სვანეთი, მართალია, ღირშესანიშნავი არ იყო, მაგრამ ის მაინც თავისი მოხერხებული მდებარეობით მეტად სასარგებლო იყო რომაელთა ხელისუფლებისთვის, რათა ამ გზით მოზღვავებულ სპარსელებს კოლხეთის საზღვრები არ აეოხრებინათ“ [მენანდრე პროტიქტორი. 1936: 228-229]. ძალიან მნიშვნელოვნად გვეჩვენება გუბაზ II-ის მკვლელ რუსტიკეს სიტყვები, საიდანაც მინიშნებით ჩანს, რომ ამბოხის შემთხვევაში ლაზთა მეფეს სვანეთში, ისევე როგორც იბერიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში, მოკავშირე ეგულებოდა [აგათია სქოლასტიკოსი. 1936: 147].

VI ს-ის II ნახევრიდან ზემოთ ნახსენებმა ჩრდილოეთ კავკასიიდან სვანეთზე გადმომავალმა გზამ ახალი მნიშვნელოვანი სავაჭრო ფუნქცია შეიძინა. IV-VI სს-ში მსოფლიო ვაჭრობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა აბრეშუმით ვაჭრობას. ბიზანტიელებს აბრეშუმი ირანის გავლით შესდიოდათ ჩინეთიდან და ინდოეთიდან. ბიზანტიელებს სურდათ სპარსელებზე ასეთი დამოკიდებულებისგან გათავისუფლება. ამიტომ აბრეშუმის ჭიის კულტურის გავრცელებაც კი დაიწყეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო გახდა თურქების სახელმწიფოსთან ეკონომიკური კავშირის დამყარება [თეოფანე ბიზანტიელი. 1936: 253-256]. 569 წლისთვის ჩინეთის ჩრდილოეთით მომთაბარე თურქმა ტომებმა შეძლეს ჩრდილოეთ ჩინეთის სამეფოს დაპყრობა, შემდეგ კი შუა აზიაში გაანადგურეს ეფტალიტები, რომლებიც აკონტროლებდნენ აბრეშუმით ვაჭრობის ერთ-ერთ დიდ ცენტრს – სოგდიანას. ამ დაპყრობების შედეგად თურქების ხელში გადავიდა „დიდი აბრეშუმის გზის“ უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც ჩრდილოეთ ჩინეთიდან შუა აზიაში (სოგდიანაში), შემდეგ კი სპარსეთისა და ბიზანტიის გავლით ევროპაში მიემართებოდა. აბრეშუმით ვაჭრობა იმ დროისთვის შეიძლება ოქროთი და ძვირფასი ქვებით ვაჭრობას გავუტოლოთ. ამიტომ მას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნებისმიერი ქვეყნისთვის, მათ შორის, სასანიანთა სპარსეთისა და ბიზან-

ტიისთვის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებში ამ ვაჭრობას თავისებურებებიც ახასიათებდა. იმის გამო, რომ ჩინეთიდან და სოგდიანიდან აბრეშუმი ჯერ ირანში შედიოდა, ირანის შაჰები ფასებს აკონტროლებდნენ. კერძოდ, ისინი განსაზღვრავდნენ, თუ რა ფასად გაეყიდათ ბიზანტიაში აბრეშუმი. ამის მიუხედავად, ბიზანტიელებისთვის მაინც მომგებიანი რჩებოდა აბრეშუმით ვაჭრობა, რადგან ისინი როგორც შუამავლები მას ევროპაში კიდევ უფრო ძვირად ყიდდნენ. მეტიც, კიდევ უფრო მეტის გაყიდვა შეეძლოთ, მაგრამ სპარსელები ყველანაირად უშლიდნენ ხელს აბრეშუმის დიდი რაოდენობით ბიზანტიაში შეტანას. თითქოს პარადოქსია. ამით ხომ ისინი შემოსავალს იკლებდნენ. თუმცა, თუ სხვა მხარიდან შევხედავთ, საქონლის რაოდენობის ზრდა და მეტი აბრეშუმის შეტანა ბიზანტიაში ნიშნავდა ამ ქვეყნის, რომელიც აბრეშუმით ვაჭრობაში ერთადერთი შუამავალი იყო ევროპისთვის, შემოსავლის გაზრდას. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას მისცემდა ბიზანტიის იმპერატორს მეტი ჯარი დაექირავებინა, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში სწორედ სასანური სპარსეთის წინააღმდეგ გამოიყენებდა. ყოველივე ამის გამო, სპარსეთის სასიცოცხლო ინტერესებში შედიოდა, არ დაეშვა აბრეშუმით ვაჭრობის ზრდა [Диль Ш. 1908: 543]. ამას, რა თქმა უნდა, ბიზანტია არ ურიგდებოდა, რომელიც რამდენჯერმე შეეცადა აბრეშუმით ვაჭრობაში თავი დაეღწია სასანური ირანის გავლენისთვის. 531-532 წლებში იუსტინიანე I ეთიოპიელი ვაჭრების მეშვეობით შეეცადა ინდოეთის ოკეანის გავლითა და სპარსეთის გვერდის ავლით იემენსა და არაბეთის ნახევრკუნძულზე, აქედან კი ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ სირია-პალესტინაში შემოეტანა აბრეშუმი. თუმცა, ამ საქმეში მარცხი განიცადა. ინდოეთის პორტებში სპარსელების გავლენა ძალიან დიდი იყო. მათ სავაჭრო გარიგებებს ხელი შეუშალეს. ამიტომ ამ გზით ბიზანტიაში მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის აბრეშუმი შევიდა [Пигулевская Н. 1947: 198]. 570 წელს ხოსრო I-მა იემენი დაიპყრო და ეს გზაც გადაუკეტა ბიზანტიელებს. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ასპარეზზე ახალი მოთამაშე – თურქთა სახაკნო. ამ სახელმწიფოს ჩინეთიდან დიდი რაოდენობით აბრეშუმი შეჰქონდა ხარკის სახით. გარდა ამისა, დაპყრობილი სოგდიანა განთქმული იყო აბრეშუმის წარმოებითა და საშუამავლო ვაჭრობით. სწორედ სოგდიანელმა ვაჭრებმა უბიძგეს თურქთა ხაკანს, ელჩობა გაეგზავნა თავის მოკავშირე ირანის შაჰთან (ჰუნ-ეფტალიტების წინააღმდეგ ომში თურქები და სპარსელები ბუნებრივი მოკავშირეები იყვნენ). სოგდიანელებს აინტერესებდათ აბრეშუმით ვაჭრობის მასშტაბებისა და რაოდენობის გაზრდა. ელჩად გაიგზავნა სოგდიანელთა ყველაზე პატივცემული ადამიანი მანიაქი. მან ხოსრო I-ს შესთავაზა, არ დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ შუამავლობით და თავადაც მიეღო მონაწილეობა ამ ვაჭრობაში, შეესყიდა აბრეშუმის ნაწილი, რომელიც შემდგომ ბიზანტიასა და ევროპაში გაიყიდებოდა. ამით შეიძლება სოგდიანელებსა და თურქებს აბრეშუმის ფასში წაეგოთ, სამაგიეროდ, რაოდენობის ზრდით ბევრად მეტს მოიგებდნენ. ხოსრო ამ გარიგებაზე ვერ წავიდოდა, რადგან ამით ის ბიზანტიელების გაძლიერებას შეუწყობდა ხელს. ამავე დროს, მას ხელს არ აძლევდა მოკავშირე თურქების განაწყენებაც. ამიტომ მან შუალედური გადაწყვეტილება მიიღო. ჩამოტანილი აბრეშუმი თავად შეისყიდა და იმის

გამო, რომ ამ აბრეშუმს შიდა ბაზარზე ვერ გაყიდდა მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითუნარიანობის გამო, ელჩების თვალწინ დაწვა. ამით მან სოგდიანელებსა და თურქებს უჩვენა, რომ აბრეშუმით ვაჭრობაში ცვლილებები არ მოხდებოდა [Пигулевская Н. 1947: 209]. უკან დაბრუნებულმა მანიაქმა დაარწმუნა თურქთა ხაკანი, რომ სპარსეთთან ურთიერთობა გაეწყვიტა და ბიზანტიასთან დაეწყო პირდაპირი მოლაპარაკებები. ხაკანის დავალებით მანიაქი ელჩად გაემგზავრა კონსტანტინოპოლში. მას დაევალა იმპერატორ იუსტინე II-თან დაედო არა მარტო სავაჭრო ხელშეკრულება, არამედ გაება პოლიტიკური კავშირი სპარსეთის წინააღმდეგ. იმავდროულად, ხაკანმა გადაწყვიტა ელაშქრა სპარსეთში, რისი საბაბიც მალე გამოინახა. სპარსელები ადრეულ წლებში ხარკს უხდიდნენ ჰუნ-ეფტალიტებს. ხაკანმა, რომელმაც ეფტალიტები გაანადგურა, სპარსელებს მოსთხოვა, ეს ხარკი მისთვის გადაეხადათ. ხოსრო I, რა თქმა უნდა, ამას არ დათანხმდა და 569 წელს თურქებმა ლაშქრობა წამოიწყეს. თუმცა, ეს ლაშქრობა წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან მათ ვერ დაძლიეს სპარსელების მიერ ჯერ კიდევ ეფტალიტების წინააღმდეგ აგებული სიმაგრეები. თურქთა ასეთი აქტიურობის გამო, ხოსრო I-მა თავდაცვითი ღონისძიებები განახორციელა სამხრეთ კავკასიაშიც, კერძოდ, ხელახლა გაამაგრა დარუბანდი და იქ 5 000 სპარსელი მეომრისთვის სპეციალური სამხედრო დასახლება შექმნა [Новосельцев А. 1990: 85-86]. ეს ღონისძიებები აუცილებელი იყო იმიტომ, რომ 569-571 წლებში თურქებმა ჩრდილოეთი კავკასია დაიკავეს და სასანიანთა ირანს აქედანაც დაუმეზობლდნენ. ამით, ფაქტობრივად, გაიჭრა გზა ჩრდილოეთ კავკასიის გავლით ლაზიკისკენ, საიდანაც ბიზანტიაში აბრეშუმის შეტანა შეიძლებოდა. ხაკანის ელჩი სოგდიანელი მანიაქი სწორედ ჩრდილოეთი კავკასიიდან კავკასიონის ქედის გავლით ჩავიდა კონსტანტინოპოლში. ბიზანტიაში ელჩი დიდი პატივით მიიღეს. მანიაქი ბიზანტიელებს შეუთანხმდა, ჩრდილოეთის გზით, კავკასიონის ქედის გავლით, აბრეშუმი შეეტანათ ლაზიკაში და შემდეგ საზღვაო გზით გადაეზიდათ კონსტანტინოპოლსა და სხვა ბიზანტიურ სავაჭრო ცენტრებში. თურქთა შუამავალი უკანაც იმავე გზით დაბრუნდა და ბიზანტიელებმა მას ელჩობა გააყოლეს ზემაქე კილიკიელის მეთაურობით. უკან დაბრუნებულ ზემაქეს თურქთა ხაკანმა საკუთარი ელჩები და აბრეშუმით დატვირთული ვაჭრები გამოაყოლა: „ალანიაში რომ მოვიდნენ, მათ (რომაელებს) უნდოდათ, მათთან მყოფ თურქებთან ერთად, ალანიის წინამძღოლ საროდისთან მისვლა; საროდიმ ზემაქე და მისი მხლებლები კეთილგანწყობილად მიიღო, ხოლო თურქთა ელჩების შესახებ თქვა, რომ მათ არ შეუშვებდა თავისთან, თუ ისინი იარაღს არ აიყრიდნენ. ასე რომ, მათ დავა ჰქონდათ სამი დღის განმავლობაში, და ზემაქე შუაკაცად იყო მოდავეთა შორის. ბოლოს, თურქებმა აიყარეს იარაღი, როგორც ეს საროდის უნდოდა, და წარდგნენ მასთან. საროდიმ ურჩია ზემაქესა და მის კაცებს არ წასულიყვნენ მისიმიანთა ქვეყანაზე მიმავალი გზით, რადგან სვანეთის მახლობლად სპარსელები არიან ჩასაფრებულიო. შინ დაბრუნება უმჯობესია ეგრეთ წოდებული დარინის გზითო. ეს რომ გაიგო ზემაქემ, მისიმიანთა ქვეყანაში გაგზავნა ათი მებარგე, აბრეშუმით დატვირთული, რომელთაც შეცდომაში უნდა შეეყვანათ სპარსელები, თითქოს აბრეშუმი წინასწარ იყო გამოგზავნილი, და

ისინი დაწინაურდნენ; აქედან სპარსელებს უნდ ეფიქრათ, რომ მეორე დღეს ზემაქეც მოვიდოდა. მებარგენი წავიდნენ, ხოლო ზემაქე დარინის გზით მივიდა აფსილიაში: მისიმიანთა გზა მან უარყო, დასტოვა ის მარცხნივ: ამ გზით საფიქრებელი იყო, რომ თავს დაესხმოდნენ სპარსელები. მოვიდა როგატორიონში, შემდეგ ევქსინის პონტომდე და მერე ნავებით მდინარე ფაზისამდე, შემდეგ ტრაპეზუნტში. აქედან სახელმწიფო ცხენებით ბიზანტიონში მოვიდა მეფესთან“ [მენანდრე პროტიქტორი. 1936: 236-237]. როგორც ცნობიდან ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიიდან ლაზეთსა და შემდეგ ბიზანტიაში მიმავალი გზის ერთ-ერთი ძირითადი მარშრუტი სვანეთზე გადიოდა. სვანეთის ხელში ჩაგდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ბიზანტიისთვის, რადგან იქ მყოფი სპარსელები ხელს უშლიდნენ აბრეშუმის უსაფრთხო გადაადგილებას ბიზანტიისკენ. ამიტომ, როგორც ზემოთ ვივარაუდეთ, სწორედ 70-იან წლების დასაწყისში უნდა დაებრუნებინა ბიზანტიას სვანეთი. 576 წლიდან ურთიერთობა დაიძაბა სახაკნოსა და ბიზანტიას შორის, რაც 576-583 წლების ბიზანტია-თურქების ომში გადაიზარდა. ამ ომის დროს თურქებმა შეძლეს ბოსფორის აღება. როგორც ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, სწორედ ამ დროს შეეცადა ხაკანი ბიზანტიისკენ გზის გაჭრას, რაც აფხაზეთის გზით კოლხეთში (ლაზიკაში) უშედეგო ლაშქრობაში გამოიხატა. თუმცა, ეს საკითხი ცალკე კვლევას მოითხოვს და აქ მასზე არ შევჩერდებით [Гумилёв Л. 1967: 106-107].

ჩრდილოეთ კავკასიიდან ლაზიკაში შემომავალი უღელტეხილები ძალიან კარგად უნდა ყოფილიყო დაცული. სხვადასხვა ბიზანტიელი ავტორის ცნობებზე დაყრდნობით, ს. ყაუხჩიშვილმა საფუძვლიანად განიხილა ამ მარშრუტების შესაძლო ვარიანტები [ყაუხჩიშვილი ს. 1936: 206-208]. იოანე ეპიფანელის ცნობით, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინე II-ის კარზე მოსული თურქი ელჩების მარშრუტი ალანთა ქვეყანაზე გადიოდა. ამიტომ სპარსელები შეეცადნენ, მოესყიდათ ალანები, რათა მათ ხელი შეეშალათ ბიზანტიელ დესპანებთან ერთად მიმავალი თურქი ელჩებისთვის უკან დაბრუნებაში [იოანე ეპიფანიელი. 1936: 199]. როგორც ზემოთ ვნახეთ, უკან მობრუნებული ბიზანტიელი ელჩის, ზემაქეს, მარშრუტს აგვიწერს მენანდრე. მენანდრეს ეს ცნობა, სადაც ის საუბრობს იმ საფრთხეზე, რომელიც მისიმიელთა ქვეყანაზე გამავალ გზაზე ელოდებოდათ ბიზანტიელებსა და თურქებს, ზემოთ უკვე განვიხილეთ. ამ ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ შუა აზიიდან მომავალ აბრეშუმით დატვირთულ თურქ ვაჭრებს იმ გზაზე უნდა გაევლოთ, რომლის უსაფრთხოება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ვის ხელში იყო სვანეთი. სვანეთი კი ამ დროს სპარსელების ხელში იყო. ისინი უსაფრთდებოდნენ ვაჭრებს, რათა არ დაეშვათ აბრეშუმის ჯერ ლაზიკაში, ხოლო შემდეგ ბიზანტიაში მოხვედრა. მოსალოდნელია, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან შემომავალი მარშრუტის მთელ პერიმეტრს ციხესიმაგრეების ჯაჭვი იცავდა. მათგან წყაროებში სულ რამდენიმე იხსენიება. აგათია იხსენიებს ბუქლოოსის ციხეს, რომელიც ალანთა ქვეყნის საზღვარზე - მისიმიანეთში მდებარეობდა. ცნობიდან ჩანს, რომ მისიმიელებს ძალიან ეშინოდათ, რომ ეს ციხე ბიზანტიელებს ალანებისთვის არ გადაეცათ. აგათიას ცნობით, ალანებისთვის ციხის გადაცემის შემთხვევაში, ბუქლოოსის ციხეში შეიკრიბებოდნენ ბიზანტიელთაგან

ფულის მისაღებად მოსული, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა წარმომადგენლები და ბიზანტიელები ამ ნაბიჯით თავიდან აიცილებდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში საკმაოდ რთული გადასასვლელებით გადასვლას (ამ ფულს, ალბათ, ორი მიზნით არიგებდნენ: ჯერ ერთი, ამით მშვიდობას ყიდულობდნენ და მეომარი ტომების თავდასხმებს თავიდან იცილებდნენ, და მეორე, საჭიროების შემთხვევაში, მეომრებს ქირაობდნენ). აგათიას ცნობით, სწორედ მისიმიელთა შიში ამ ციხის ალანებისთვის გადაცემის თაობაზე გახდა 555 წელს მათი აჯანყების ერთ-ერთი მიზეზი, რის შედეგად მათ დახოცეს ბიზანტიელი სტრატეგოსი სოტერიქე და მისი ორი ვაჟი [აგათია სქოლასტიკოსი. 1936: 85-90]. იგივე ციხე, ოღონდ ბუკოლუსის სახელით, იხსენიება თეოდოსი განგრელთან დაცულ ანასტასი აპოკრისიარის ჩანაწერებსა და თავად თეოდოსის მოგონებებში. საინტერესოა, რომ თხზულების ბერძნულ ვარიანტში ეს ციხე ალანთა ქვეყნის საზღვრებშია მოქცეული, ხოლო ლათინურ ვერსიაში — მისიმიელთა ქვეყანაში. როგორც ჩანს, ეს იყო სასაზღვრო ციხე, რომელიც ზოგჯერ ალანების, ზოგჯერ კი მისიმიელთა ხელში გადადიოდა. თეოდოსისა და ანასტასი აპოკრისიარის თხზულებებში ალანიის მახლობლად იხსენიებიან ლაზიკაში მდებარე სქიომარის (სქურის?), აბაზგიის მახლობლად მდებარე სკოტორის, ასევე სვანიდის (სვანეთის), აფსილეთისა და მისიმიელთა მხარეში მდებარე ფუსტას ციხეები [თეოდოსი განგრელი. 1941: 44-52].

მისიმიელთა მხარეში აგათია იხსენიებს ძახარის ციხესაც, რომელსაც სიმტკიცისა და დაუძლევლობის გამო რკინის ციხესაც უწოდებდნენ. აგათია მოგვითხრობს, რომ 555 წლის აჯანყების შემდეგ მისიმიელებს ყველა ციხე მიუტოვებიათ და აქ გამაგრებულან. მიუდგომელი ყოფილა არა მხოლოდ ციხე, არამედ მისიმიელთა საცხოვრებელი ადგილიც. ის ციხის გარეთ იყო განლაგებული და მასთან მხოლოდ ერთი ვიწრო გზა მიდიოდა. ამავე დროს, ეს ციხე ძალიან ახლოს ყოფილა აფსილეთთან [აგათია სქოლასტიკოსი. 1936: 62-174]. თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობით, აფსილეთში ან აფსილეთთან ახლოს (სამწუხაროდ, კონტექსტიდან კარგად არ ჩანს), ალანიიდან შემომავალ გზაზე იდგა რკინის ციხე, საიდანაც უკვე შიდა გზა შავ ზღვამდე მიდიოდა [თეოფანე ჟამთააღმწერელი. 1941: 106-114]. VIII ს-ის 30-იან წლებში, დასავლეთ საქართველოში არაბთა ლაშქრობის დროს, სწორედ ამ ციხეს აფარებდა თავს ადრე აფსილეთის მმართველ, ხოლო ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ლაზიკის პატრიკიოს მარიანეს ძე ევსტათი. თუმცა, არაბმა სარდალმა სულეიმან ისამის ძემ აიღო ეს ციხე და ევსტათი დაატყვევა [თეოფანე ჟამთააღმწერელი. 1941: 115]. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან დასავლეთ საქართველოში შემომავალი ძირითადი მაგისტრალი ალანიიდან მისიმიელთა მხარეში შემოდიოდა და ეს გზა ციხეებით საკმაოდ იყო გამაგრებული. ასევე წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ, სვანეთის ფლობის შემთხვევაში, შეიძლებოდა ამ მარშრუტის ადვილად გაკონტროლება. თუმცა, როგორც ჩანს, არსებობდა აფსილეთში შემომავალი სხვა შემოვლითი გზაც, საიდანაც ჯერ შავ ზღვამდე, შემდეგ კი სანაპიროს გაყოლებით მდ. ფაზისამდე მიხვიდოდით.

როგორც უკვე აღინიშნა, IV-VI სს-ის განმავლობაში სვანეთი ხან ემორჩილებოდა ეგრისის მმართველებს, ხანაც მათგან დამოუკიდებლობას

ინარჩუნებდა. ასეთი არამდგრადი პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, განსახილველ პერიოდში (V-VI სს.) ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სვანეთიდან ეგრისში/ლაზიკაში გადმომავალი გზების კონტროლსა და მათს დაცვას. მაშინ, როდესაც სვანეთი ეგრისს ემორჩილებოდა, ჩრდილოეთ კავკასიიდან სვანეთში, შემდგომ კი სვანეთიდან ეგრისის ცენტრალურ ნაწილებში მომავალი გზის სრულ კონტროლს, ცხადია, ეგრისის მმართველები ახორციელებდნენ. ამ გზების ფლობა ეგრისისათვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანა იყო: 1. სწორედ ამ მიმართულებიდან იყო მოსალოდნელი ჩრდილოკავკასიელი მომთაბარე ტომების თავდასხმები. შესაბამისად, ამ გზების სათანადოდ ჩაკეტვა და გაკონტროლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ეგრისის, არამედ მთელი მახლობელი აღმოსავლეთისა და რომის/ბიზანტიის აღმოსავლეთი პროვინციების უსაფრთხოებისათვის. 2. როგორც უკვე აღინიშნა, ამ გზებით ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვაჭრობა და მის ერთ მონაკვეთზე (ჩრდილოეთი კავკასია – შავი ზღვა) კონტროლის დაწესება ეგრისისათვის, ეკონომიკური თვალსაზრისით, მომგებიანი იყო.

იმ შემთხვევებში, როდესაც ეგრისი კარგავდა კონტროლს სვანეთზე, მათ შორის არსებული გზების დაცვა და კონტროლი არანაკლებ მნიშვნელოვანი ხდებოდა ეგრისისა და ბიზანტიისათვის. სვანებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ მარბიელი ლაშქრობების მოწყობა მათთან დაპირისპირებულ ეგრისის ცენტრალურ ნაწილებზე (დედაქალაქი არქეოპოლისი, მოხირისი და მათი "ქვეყნები"). ასეთივე წარმატებით შეეძლოთ მათ ჩრდილოეთ კავკასიიდან სვანეთში არსებული გადმოსასვლელების გახსნა და მომთაბარე ტომების ეგრისის მიმართულებით გატარება. ამასთანავე, მაშინ, როდესაც სვანეთს სპარსელები და იბერიელები აკონტროლებდნენ, სვანეთიდან ეგრისისკენ არსებული გადმოსასვლელების ჩაკეტვა ლაზებისა და ბიზანტიელებისათვის კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა. აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებების პარალელურად სპარსეთს შეეძლო ჩრდილოეთი ფრონტის გახსნაც და ეგრის-ბიზანტიის ჯარების ზურგში მოქცევა, რითიც თავისთავად დიდ პრობლემებს შეუქმნიდა მოწინააღმდეგეს. გამომდინარე აქედან, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ლაზებს სვანეთ-ეგრისის დამაკავშირებელი გზები და მათი განშტოებები საგანგებოდ ჰქონდათ გამაგრებული სიმაგრეთა მთელი ჯაჭვით.

სვანეთიდან ეგრისში რამდენიმე მნიშვნელოვანი გადმოსასვლელი არსებობდა:

ერთ-ერთი – დღევანდელი ლენტეხი-ცაგერი-წყალტუბო-ქუთაისის პარალელურად სვანეთიდან რაჭა-ლეჩხუმისა და მდ. ცხენისწყლის გავლით მოხირისის ქვეყანაში მიემართებოდა (სურ. 2). ეს გზა ორად იყოფოდა სოფ. გელავერში (ხონის მუნიციპალიტეტი. GPS კოორდინატები: N42°26′13.05″, E42°34′11.26″). ერთი ხონის გავლით მიემართება ქუთაისისკენ, ხოლო მეორე სამხრეთ-დასავლეთით მდ. ცხენისწყლის ხეობას მიჰყვება (სურ 1). ამ გზაზე, სოფ. დიდღვაბუნაში, გამოვლენილია სიმაგრე, რომელიც IV-VI სს-ით თარიღდება და, საფიქრებელია, რომ მისი დან-

იშნულება ხეობაზე გადმომავალი გზის კონტროლი იყო (GPS კოორ-დინატები: N42°25′34.51″, E42°30′35.14″). მასთან ახლოს კი, სოფ. ხიდში, შემორჩენილია ბამბუას ხიდის ნაშთები (N42°25′7.20″, E42°29′31.44″), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში დასავლეთ საქართველოში პომპეუსის ლაშქრობასთანაა დაკავშირებული [ბერძენიშვილი ნ. 1975: 461; Ган К. 1907: 12-143).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლენტეხიდან ცაგერის გავლით კიდევ ერთი გზა მიემართება ქუთაისისაკენ, ცაგერიდან ერთი გზა სამხრეთ-დასავლეთით — წყალტუბოსაკენ, ხოლო მეორე სამხრეთ-აღმოსავლეთით გრძელდება და სოფ. ორბელთან უერთდება მდ. ლაჯანურის ხეობას, რომელიც, თავის მხრივ, 9 კმ-ის გავლის შემდეგ მდ. რიონს ერთვის. ამის შემდეგ გზა მდ. რიონის ხეობით მიემართება ქუთაისამდე. ამ ხაზზე IV-VI სს-ის სიმაგრეები დღემდე გამოვლენილი არაა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ თავად ქუთაისის ციხე აშენებულია იმ ადგილას, სადაც მდ. რიონი ვიწრო ხეობიდან გაშლილ ადგილებზე გამოდის. ამ ციხის ერთ-ერთი დანიშნულება სწორედ ჩრდილოეთიდან მომავალი გზის გაკონტროლება და დაცვა უნდა ყოფილიყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამავე გზაზე უნდა ყოფილიყო უქიმერიონის ძლიერი სიმაგრე, რომლის ზუსტი ლოკალიზება, სამწუხაროდ, დღემდე არ მომხდარა.

ჩვენი აზრით, სვანეთ-ეგრისის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი გზები დღევანდელი სამეგრელოს მთიან რეგიონებზე (წალენჯიხა, ჩხოროწყუ) გადიოდა (სურ. 3). დღეს მესტიასთან სამანქანო გზით დაკავშირება ხდება ქალაქ ჯვარიდან (GPS კოორდინატები: N42°42′55.45″, E42 3′13.64″), რომელიც სამეგრელო-აფხაზეთი-სვანეთის ადმინისტრაციული საზღვრების გადაკვეთაზე მდებარეობს. ეს გზა მდ. ენგურის ხეობის პარალელურად მიემართება მესტიისაკენ. ჯვარში აღმოჩენილია შუა საუკუნეების სიმაგრის ნაშთები [ქსე. 1987: 558], თუმცა, მისი ზუსტი ქრონოლოგია გარკვეული არაა. სამაგიეროდ, არაერთი სიმაგრეა გამოვლენილი ენგურის ხეობის პარალელელურ ხეობებში: მდ. ტეხურის ხეობიდან გამოსასვლელს კურზუსა (კოორდინატები: N42 34.779 E42 16.623) და ნაფიჩხოვოს (კოორდინატები: N42 36.119 E42 16.303) სიმაგრეები იცავდნენ, მდ. ხობისწყლის ხეობიდან გამოსასვლელი ოსინდალეს ციხიდან (კოორდინატები: N42 37.461 E42 12.919) კონტროლდებოდა, ხოლო მდ. ჭანისწყლის ხეობაში გამოვლენილია სქურის ციხე (კოორდინატები: N42 40.604 E42 08.835) ამ მდინარეზე გადმომავალ გზას აკონტროლებდა. შესაბამისად, ეგრისის ქედზე არსებული გადმოსასვლელებით სვანეთიდან ეგრისის ცენტრალურ ნაწილებში მოხვედრა ამ ხეობებისა და იქ მდებარე სიმაგრეების გავლის გარეშე შეუძლებელი თუ არა, რთული ნამდვილად იქნებოდა (სურ. 3).

ასევე გამართული სასიმაგრო ხაზი არსებობდა კოდორის ქედზე, სადაც სვანეთიდან ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებში არსებულ გადმოსასვლელებს სათანჯოს, წარჩესა და რეკას ხეობები ამაგრებდნენ. ცალკე გამაგრების ხაზი არსებობდა მდ. კოდორის ხეობაზე, რომელიც, როგორც ჩანს, უმთავრესი სავაჭრო არტერია იყო ჩრდილოეთ კავკასია — სვანეთ — შავ ზღვას შორის. ამ ხეობაზე გადმომავალი გზის დამცავი მთა-

ვარი სიმაგრე ბიზანტიური წერილობითი წყაროების წიბილე/წიბილიუმი, დღევანდელი, წებელდა იყო. წებელდასთან ერთად კოდორის ხეობაზე გადმომავალ გზას ერთდროულად რამდენიმე – გერზეულის, შაპკის, ზედა იურევკის, ახისტის, ბატისა და ფსკალის ძლიერი სიმაგრეები იცავდა. ზემოთ ჩამოთვლილი სიმაგრეები (ნაფიჩხოვო და კურზუდან წებელდამდე) ქმნიდნენ ერთიან თავდაცვით სისტემას, რომელიც ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი სექტორის გამაგრებას ემსახურებოდა და სწორედ ჩრდილოეთიდან (ჩრდილოეთი კავკასია, სვანეთი) მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად, იმავდროულად, მშვიდობიანობის დროს ამ გადმოსასვლელებზე მოძრავი ვაჭრებისა და საქონლის უსაფრთხო გადაადგილების მიზნით იყო შექმნილი (სურ. 3).

ამრიგად, საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ V-VI სს-ში სვანეთი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა ბიზანტია-სპარსეთის როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობებში. VII ს-ის 20-იანი წლებიდან ჩრდილოეთიდან მომავალმა სავაჭრო გზამ და, შესაბამისად, სვანეთმა ნაწილობრივ დაკარგა ის მნიშვნელობა, რაც VI ს-ის 60-იანი წლებიდან ჰქონდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ხაზარებმა ბიზანტიელების დახმარებით შეძლეს სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის – ალბანეთისა და იბერიის დაკავება და ამის შემდეგ მათ იქ მდებარე დარუბანდისა და დარიალის უფრო მოხერხებული უღელტეხილებით სარგებლობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, უფრო გვიანდელი წყაროების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სვანეთს ბოლომდე არ დაუკარგავს ის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, რაც მას ადრეულ შუა საუკუნეებში ჰქონდა.

Besik Lortkifanidze*, Nikoloz Murgulia*

*The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: beso_lort@yahoo.com
nikomurgulia@yahoo.com

Svaneti in Relationship with Byzantium and Sassanian Iran in the 5th-6th cc

Summary

The South Caucasus or Transcaucasia, as it used to be mentioned in the 19th-20th centuries, was in the area of interests of various empires and states. The interests of the empires sometimes were similar and sometimes different. The current work represents the overview of the interests of East Roman (Byzantine – since 4th c. AD) empire and Sassanian Iran on the West Georgian province Svaneti in the 5th-6th centuries AD. Svaneti is situated in the north border of Georgia south of the Caucasian mountains. Several little kingdoms arose on the territory of Colchis in the end of the 1st century AD. The most powerful among them was Egrisi Kingdom (Lazika, as it was called by the Romans and Byzantines). Egrisi annexed the other kingdoms - Apsilia, Abasgia and Sanigia and united the whole of Western Georgia (Fig.1). That state was bordered by North Caucasus and Gagra-Pitsunda region from the North, Likhni gorge from the east, Meskheti and Shavsheti gorges and river Chorokhi basin from the south and by the Black Sea from the west.

The article examines the importance of Svaneti from the military and trade point of views. Written sources and historical,geographic and archaeological researches, that were carried out recently, illustrate the place and role of Svaneti in the geopolitical map of the 5th-6th centuries south Caucasia.

The article observes existed interrelations among Svaneti, Lazica, Byzantium and Sasanian Iran. The importance of Svaneti from the military and trade point of view is overviewed too. Analysis of written sources and the latest historical-geographical researches represent the place and role of Svaneti on the 5th-6th centuries geopolitical map of the south Caucasia.

ბიბლიოგრაფია

აგათია სქოლასტიკოსი. 1936: *გეორგიკა.* III. გვ. 23-187. თბილისი (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

ბერძენიშვილი ნ. 1975: *საქართველოს ისტორიის საკითხები.* ტ. VIII. თბილისი.

თეოდოსი განგრელი. 1941: *გეორგიკა.* IV. ნაკვ. I. გვ. 38-56. თბილისი (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

თეოფანე ბიზანტიელი. 1936: *გეორგიკა.* III. გვ. 252-259. თბილისი (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

თეოფანე ჟამთააღმწერელი. 1941: *გეორგიკა.* IV. ნაკვ. I. გვ. 70-117. თბილისი (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

თეოფილაქტე სიმოკატა. 1941: *გეორგიკა.* IV. ნაკვ. I. გვ. 17-37. თბილისი (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

იოანე ეპიფანიელი. 1936: *გეორგიკა.* III. გვ. 195-201. თბილისი (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

იოანე მალალა. 1936: *გეორგიკა.* II. გვ. 260-271. თბილისი (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

იუსტინიანე. 1965: *ნოველები. გეორგიკა.* II. გვ. 30-37. თბილისი (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

ლეთოდიანი დ. 2003: დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან V-VI საუკუნეებში. *ძიებანი.* გვ. 67-71. თბილისი (რედ. რ. მეტრეველი).

ლომოური ნ. 1968: *ეგრისის სამეფოს ისტორია.* თბილისი.

მენანდრე პროტიქტორი. 1936: *გეორგიკა.* III. გვ. 202-251. თბილისი (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

მუსხელიშვილი დ. 2003: *საქართველო IV-VIII საუკუნეებში.* თბილისი.

პასქალური ქრონიკა. 1941: *გეორგიკა.* IV. ნაკვ. I. გვ. 5-16. თბილისი (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

პრისკე პანიონელი. 1965: *გეორგიკა.* I. გვ. 249-263. თბილისი (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

პროკოპი კესარიელი. De Bello Gothico. 1965ა: *გეორგიკა.* II. გვ. 118-212. თბილისი (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

პროკოპი კესარიელი. De Bello Persico. 1965ბ: *გეორგიკა.* II. გვ. 43-117. თბილისი (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1987: *ქალაქი ჯვარი.* ტ. 11. თბილისი.

ყაუხჩიშვილი ს. 1936: *გეორგიკა.* III. თბილისი.

ჯანაშია ნ. 1962: *ლაზარ ფარპეცის ცნობები საქრთველოს შესახებ.* თბილისი.

ჯანაშია ს. 1949: *საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები.* I. გვ. 131-296. თბილისი.

ჯუანშერი. 1955: *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება.* ტ. I. თბილისი.

Ган К. 1907: *Экскурсия в Накалакеви летом 1903 г., Известия Кавк. отделения импер. московского археол. об-вю, вып*. II. с. 12-143. Москва.

Гумилёв Л. 1967: *Древние тюрки*. Москва.

Диль Ш. 1908: *Юстиниан и византийская цивилизация в VI в*. Санкт-Петербург.

Меликишвили Г. 1959: *К Истории Древней Грузии*. Тбилиси.

Новосельцев А. 1990: *Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа*. Москва.

Пигулевская Н. 1947: *Византийская дипломатия и торговля щелком. Византийский временник.* т. I. XXVI. с. 184-214. Москва (ред. коллегия: академик Б. Д. Греков, академик Е. А. Косминский).

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. საქართველო V-VI სსაუკუნეებში

სურ. 2. Google Earth სურათი: სვანეთიდან ქუთაისისაკენ გამავალი გზები

სურ. 3. Google Earth სურათი: სვანეთიდან სამეგრელოსკენ, აფხაზეთისა და შავი ზღვის სანაპიროსკენ გამავალი გზები

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Georgia in the 5th-6th cc.

Fig. 2. Google Earth Image: Roads from Svaneti to Kutaisi

Fig. 3. Google Earth Image: Roads from Svaneti to Samegrelo, Abkhazia and the Black Sea coast


V-VI
ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲒᲝᲠᲘᲡ
ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲒᲝᲠᲘᲡ
ᲨᲘᲠᲜᲘᲡᲘ
ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ
ᲬᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ
ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ
ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ
ᲡᲘᲛᲐᲰᲘᲡ
ᲓᲘᲓᲘ

სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 117-127
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 117-127

არქეოლოგია

გიორგი მახარაძე*, დავით ბერიკაშვილი*

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. №1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: maxaradze_maxaradze@yahoo.com;
d.berikashvili@yahoo.com

არქეოლოგიური გათხრები თხოთის მთაზე

თხოთის წმ. ნინოს სახელობის ეკლესია მდებარეობს მდ. მტკვრისა და მუხრანის ველის წყალგამყოფ ქედზე, სოფ. აღაიანიდან 2 კმ-ის დაცილებით (ტაბ. I-1). ,,ქართლის ცხოვრების" თანახმად, მეფე მირიანმა სწორედ აქ იწამა ,,ნინოს ღმერთი", მოგვიანებით კი აღმართა ჯვარი [ქართლის ცხოვრება. 1995: 109]. ამდენად, თხოთის მთასთან დაკავშირებულია საქართველოს ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება.

თხოთის ეკლესიამ არ მოაღწია ჩვენამდე პირვანდელი სახით. ხელოვნების ისტორიკოს ქ. აბაშიძის მიერ ჩატარებული სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნით, ტაძარი, თავდაპირველად, თავისუფალი ჯვრის ტიპის უნდა ყოფილიყო და მხოლოდ მოგვიანებით, როგორც რ. შმერლინგი და ვ. ბარნაველი ფიქრობდნენ, X ს-ში, არაბთა ხალიფატის დასუსტების შემდეგ, იგი აღუდგენიათ როგორც დარბაზული ეკლესია, რისთვისაც ამოქოლეს მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავები, ხოლო იატაკის დონე ასწიეს 50-60 სმ-ით. ვარაუდობენ, რომ ჯვარგუმბათიანი ტაძრის მშენებლობა საერთოდ დაუსრულებელი დარჩა, ე. ი. თავისი არსებობის პირველ ქრონოლოგიურ ეტაპზე ეკლესია არ ფუნქციონირებდა [Шмерлинг Р., Барнавели В. 1963: 158] .

არქეოლოგიური გათხრების დროის ეკლესიის ინტერიერში 60-70 სმ სისქის ნანგრევი ფენის შესწავლისას აღმოჩნდა ტაძრის გუმბათის არქიტექტურული დეტალი – ჩუქურთმებით გამშვენებული ლილვი და გუმბათის გადახურვისთვის საჭირო ტრაპეციის ფორმის კრამიტები (ტაბ. I-2; ტაბ. II-1) [გაგოშიძე ი. 1975: 64-65]. ჯვარგუმბათიანი ტაძრის კედლების გასწვრივ და საკურთხეველთან მოხერხდა კირით მოლესილი იატაკის დონეების პრეპარირება, ხოლო სამხრეთ მკლავთან გაიწმინდა 30-35 სმ დიამეტრის ორმო ხის ძელის ნაშთებით, რომლებიც აქ ადრე აღმართული ხის ჯვრის ნაწილი უნდა იყოს. როგორც ჩანს, ჯვარი არ იდგა ეკლესიის ცენტრში, თუმცა, ექცეოდა გუმბათქვეშა სივრცეში (ტაბ. II-2).

სტრატიგრაფიულად გამოიკვეთა შემდეგი სურათი: თავდაპირველად, დაიგო რიყის წვრილი ქვით შედგენილი ქვაფენილი, რომელიც გადაილესა კირხსნარით. გარკვეული პერიოდის შემდეგ იატაკი, სულ ცოტა, ორჯერ

შეუკეთებიათ, რაც დაადასტურა პრეპარაციის შედეგად მიკვლეულმა კირით მოლესილმა ორმა დონემ (ტაბ. III-1). მსგავსად მოლესილი იატაკები ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოავლინა სამთავისის ბაზილიკასა და ალავერდის დარბაზულ ეკლესიაში, სადაც კირხსნარი ასევე რიყის ქვის ფენილზე იყო გადალესილი. როგორც ჩანს, ეს ხერხი ფართოდ გამოიყენებოდა ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს საკულტო ნაგებობების მშენებლობისას.

ტაძრის ინტერიერში, საკურთხეველთან, 10-12 სმ სტერილური შრის ქვევით, ნანგრევი ფენის აღების შემდეგ გამოჩნდა უფრო ძველი (თავდაპირველი) იატაკის დონე, სადაც გაიწმინდა კიდევ ერთი ორმო, მაგრამ ძელის ნაშთების გარეშე. ამის გამო ამ ორმოს მიჩნევა ხის ჯვრის ჩასამაგრებელ ფოსოდ, საეჭვოა. იატაკის სწორედ ეს დონე უნდა მიეკუთვნოს ტაძრის ფუნქციონირების საწყის პერიოდს – VII ს-ს (ტაბ. III-2).

რ. შმერლინგისა და ვ. ბარნაველის აზრით, თხოთის წმ. ნინოს სახელობის ეკლესიას ყველაზე ახლო პარალელები ეძებნება სამწევრისთან, რომელიც VII ს-ის პირველი მესამედით თარიღდება [Шмерлинг Р., Барнавели В. 1963: 161]. უფრო გვიანდელია ჯვარგუმბათიანი ტაძრის იატაკის ზედა დონეები, რომლებიც სტერილური შრითაა გამიჯნული. როგორც აღინიშნა, ამ ეტაპზე გამოიკვეთა ერთმანეთზე დაგებული ორი იატაკი შუალედური შეკეთებების კვალით, რაც მიუთითებს საკულტო ნაგებობის დიდი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებაზე. ეკლესიის ინტერიერში ქ. აბაშიძის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, X ს-ში თხოთის წმ. ნინოს სახელობის ეკლესია კვლავ აღადგინეს როგორც ჯვარგუმბათიანი ტაძარი და მხოლოდ III ქრონოლოგიურ ეტაპზე მოხდა მისი გადაკეთება დარბაზულ ეკლესიად. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი იატაკების სტრატიგრაფია ამყარებს ამ მოსაზრებას, თუმცა, გადაკეთებები არ შეხებია საკურთხეველს. მისი დონე უცვლელი დარჩა ეკლესიის არსებობის განმავლობაში. თავისუფალი ჯვრის ტიპის ტაძარში საკურთხეველი იატაკიდან 60-62 სმ-ით იყო ამაღლებული. ამიტომ საჭირო გახდა კირხსნარით გადალესილი სამსაფეხურიანი ამბიონის მოწყობა (ტაბ.II-2; ტაბ. III-1). დარბაზულ ეკლესიაში სხვაობა იატაკის დონესა და საკურთხეველს შორის იყო მხოლოდ 20 სმ. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ მაღალი საკურთხეველი (60 სმ) იყო სამთავისის ბაზილიკაშიც (VII-VIII სს.).

ტაძრის ინტერიერში ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ, როდის დაინგრა ტაძარი, რადგან ნანგრევ ფენაში ერთადაა წარმოდგენილი როგორც ადრეული, ასევე განვითარებული შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ინტერიერში სამშენებლო ნარჩენებსა და იატაკის გადარჩენილ მონაკვეთებს არ ემჩნევა ხანძრის კვალი. საფიქრებელია, რომ ეკლესია დაინგრა მიწისძვრის ან სხვა ბუნებრივი მოვლენის შედეგად. რაც შეეხება ეკლესიის გადაკეთებისა თუ შეკეთების თარიღს, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ კრამიტზე ამოკაწრული წარწერის მიხედვით, ეს სამუშაოები ჩაუტარებია და ეკლესია გადაუხურავს ქართლის ეპისკოპოს გიორგის, რაც მიუთითებს ბაგრატ IV-ის მეფობის (1027-1072 წწ.) ხანაზე [გაგოშიძე გ. 2012: 100].

საინტერესო შედეგები მოგვცა იატაკის ქვეშ მდებარე ფენის გათხრებმა. ეკლესიის ცენტრალურ ნაწილში გაიწმინდა ქვაყრილი. საკურთხეველში ტრაპეზის ქვა დადგმული აღმოჩნდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ორიენტირებულ, 180 სმ სიგრძისა და 95 სმ სიგანის, რიყის ქვის მშრალი წყობით ნაშენი არხის მაგვარ კონსტრუქციაზე (ტაბ. III-2; ტაბ. IV-1). იგი ძალიან ჰგავდა სამარხს. თუმცა, საგულდაგულო პრეპარაციის მიუხედავად, აქ არ აღმოჩნდა არქეოლოგიური მასალა ან ძვლების ნარჩენები, განსხვავებით ქვაყრილისგან, სადაც გამოვლინდა თიხის ჭურჭლის საკმაოდ ბევრი ფრაგმენტი, მათ შორის, ნარინჯისფერი დოქების რამდენიმე ნატეხი (ტაბ. IV-2), რომლებსაც დამათარიღებელი მნიშვნელობა აქვს.

ამგვარი კერამიკა ფართოდაა გავრცელებული ზემო იმერეთის (მოდინახე, ჯიეთი, წინსოფელი, რგანი) გვიანანტიკური ხანის სამაროვნებზე [სონღულაშვილი ხ. 2006: 74]. მათი ზედა ქრონოლოგიური მიჯნა V ს-ის დასაწყისით შემოიფარგლება. სამარხების ერთი ჯგუფი მოდინახეზე IV ს-ის მეორე ნახევრის მონეტებითაა დათარიღებული [ნადირაძე ჯ. 1975: 43]. ამიტომ არქეოლოგებისთვის ნარინჯისფერი, ნაპრიალები ზედაპირის მქონე, მსხლისებურკორპუსიანი დოქები საკმაოდ მყარი რეპერია. მიუხედავად იმისა, რომ ქვაყრილისა და არხისებური კონსტრუქციის დანიშნულება დაუდგენელი დარჩა, ეს ფენა შეიძლება დაუკავშირდეს მეფე მირიანის ეპოქასა და ადგილს, სადაც IV ს-ში აღმართეს ჯვარი.

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, დედოფლის გორაზე, ელიას მთაზე დედოფლის წყაროში (ი. გაგოშიძის გათხრები), ალავერდის V კულტურული ფენაში (ქვედა სამშენებლო ჰორიზონტი), ურბნისსა და ჭერემში ნარინჯისფერი კერამიკა გამოვლინდა გაცილებით გვიანდელ – VI-VIII სს-ის ნამოსახლარ ფენებში [ჭილაშვილი ლ. 1964: 133; მამაიაშვილი ნ.2004: 129-131; მახარაძე გ., ბერიკაშვილი დ., ლომთაძე გ., მახარაძე ზ. 2009-2010]. ასეთ შემთხვევაში, თხოთის ქვედა ფენა შეიძლება დაუკავშირდეს ჯვარგუმბათიანი ეკლესიის მშენებლობის პერიოდს, რაც მეტყველებს ძეგლის აგების ყველაზე ადრეული თარიღის დამადასტურებელია – VII ს-ის პირველი მესამედის სასარგებლოდ (აღსანიშნავია, რომ თხოთზე აღმოჩენილი რელიეფის ფრაგმენტს ცხოველების გამოსახულებებით არქაული იერსახე გააჩნია (ტაბ. V-1). ამავე თარიღის დამადასტურებელია ბ. კუდავას მიერ თხოთის ეკლესიასთან შემთხვევით აღმოჩენილი წარწერის ფრაგმენტი (ტაბ. V-2; ტაბ. VI-1,2). [გაგოშიძე გ. 2012: 101).

ტაძრის გარშემო წარმოებული სამუშაოების დროს აღმოჩენილი სამარხების უმრავლესობა ტაძრის ცოკოლს ზემოთ გამოვლინდა და, ცხადია, მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება. ეს იყო ქვაყუთები, კრამიტსამარხები და ჩვეულებრივი ორმოსამარხები (ტაბ. VII-1). ყველა სამარხი ინდივიდუალური იყო, დაკრძალვის წესი – ქრისტიანული. მიცვალებული დაკრძალული იყო თავით დასავლეთისკენ, გულხელდაკრეფილად, გაშოტილად. მხოლოდ ერთ, ცოკოლის დონეზე გამოვლენილ სამარხში აღმოჩნდა ინვენტარი: ბრინჯაოს ფუყე სამაჯური და სარდიონის მძივი (ტაბ. VII-2, 3).

ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთი მეტრის დაცილებით, გაი-

წმინდა მცირე ზომის სენაკი (2×1,5 მ) (ტაბ. VIII-1). მისი იატაკი შეესაბამება წმინდა ნინოს ტაძრის იატაკის დონეს. სენაკის სამხრეთ კედელთან აღმოჩნდა ჩვილი ბავშვებისათვის განკუთვნილი მომცრო ზომის ქვაყუთები. მათ შორის ერთი დაკრძალული იყო თავით დასავლეთისკენ, მარცხენა გვერდზე და მოხრილად (ტაბ. III-2). ადრექრისტიანულ ხანაში ამგვარად დაკრძალულთა სამარხები კარაგადაა ცნობილი როგორც ქართლიდან [გაგოშიძე ი. 1975: 144, 154; აფხაზავა ნ. 1988: 47], ისე მომიჯნავე, ზემო იმერეთიდან [კაპანაძე ნ. 2006: 91] და ისინი V-VI სს-ით თარიღდება.

ვფიქრობთ, რომ თხოთის მთაზე გათხრილი მცირე ნაგებობა არ უნდა იყოს ეკლესიაზე ძველი, სტრატიგრაფიული მონაცემებიდან გამომდინარე კი, შესაძლოა, მის თანადროულადაც ჩაითვალოს.

ARCHAEOLOGY

George Makharadze*, David Berikashvili*

The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St. 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: maxaradze_maxaradze@yahoo.com
d.berikashvili@yahoo.com

Archaeolgoical Excavations Conducted on Tkhoti Mountain St. Nino's Church

Summary

Tkhoti St. Nino church is located in Kaspi district, on watershed ridge of Mukhrani valley, in 2 km from Agaiani village. According to the ,``Live of Kartli`` (``Kartlis Tskhovreba``) it was the place where King Mirian believed in ``Nino's God`` and erected there a cross. Thus, extremely important event of the history of Georgia is connected with Tkhoti Mountain – announcement of Christianity as state religion of Georgia.

Archaeological materials revealed on Tkhoti Mountain and stratigraphy of the monument confirmed probable date of the church – the 7th century. On the initial phase of its existence and after its restoration in the 10th c. it operated as free cross-type church – Croix libre. It was reconstructed into a hall type church only on the third stage.

ბიბლიოგრაფია

აფხაზავა ნ. 1988: *ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში.* თბილისი (რედ. ლ. ჭილაშვილი).

გაგოშიძე ი. 1975: *სამადლოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. IV.* თბილისი.

გაგოშიძე გ. 2012: თხოთის მთის წმინდა ნინოს ეკლესიის ქართული ეპიგრაფიკის ახლადაღმოჩენილი ნიმუშები. *„ძველი ხელოვნება დღეს". №3.* გვ. 100-102. თბილისი (რედ. ნ. ვაჩეიშვილი).

კაპანაძე ნ. 2006: საჩხერის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი. *არქეოლოგიური ჟურნალი.* ტ IV. გვ. 91-100. თბილისი (რედ. გ. მახარაძე).

მამაიაშვილი ნ. 2004: *ქალაქი ჭერემი.* თბილისი.

ნადირაძე ჯ. 1975: *ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი (რედ. ოთ. ჯაფარიძე).

სონღულაშვილი ხ. 2006: ჯიეთის სამაროვანი. *არქეოლოგიური ჟურნალი. ტ. IV.* **გვ. 74-84**. თბილისი (რედ. გ. მახარაძე).

***ქართლის ცხოვრება.* 1995:** ტ. I. თბილისი.

ჭილაშვილი ლ. 1964: *ნაქალაქარი ურბნისი.* თბილისი.

Шмерлинг Р., Барнавели В. 1963: *Храм Нино-Цминда на горе Тхоти. მოამბე.* №6. გვ. 58-61. თბილისი (რედ. ნ.მუსხელიშვილი და სხვ.)

ილუსტრაციების აღწერილობა

ტაბ. I

სურ. 1. თხოთის მთის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია

სურ. 2. გათხრების შედეგად მოპოვებული გუმბათის არქიტექტურული დეტალი

ტაბ. II

სურ. 1. ტაძრის გუმბათის გადახურვის კრამიტი

სურ. 2. წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის ინტერიერის სტრატიგრაფიული ჭრილი. ხედი ჩრდილოეთით

ტაბ. III

სურ. 1. ქვაყრილი და VI-VII სს-ის იატაკის დონეები

სურ. 2. წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრების გეგმა

ტაბ. IV

სურ. 1. საკურთხეველი და მის ქვეშ გამოვლენილი ქვის მშრალი წყობით ნაშენი არხისმაგვარი კონსტრუქცია

სურ. 2. ნარინჯისფერი დოქის ფრაგმენტი

ტაბ. V
სურ. 1. ფრაგმენტი ცხოველთა რელიეფური გამოსახულებებით
სურ. 2. თხოთის მთაზე ნაპოვნი წარწერიანი ქვის ფრაგმენტი
ტაბ. VI
სურ. 1, 2. თხოთის მთაზე აღმოჩენილი წარწერიანი კრამიტები
ტაბ. VII
სურ. 1. ტაძრის აღმოსავლეთით გამოვლენილი სამარხები
სურ. 2, 3. სამარხებში აღმოჩენილი სამაჯური და სარდიონის მძივი
ტაბ. VIII
სურ. 1. ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოვლენილი კელიის ნაშთი

LIST OF ILLUSTRATIONS

Tab. I
Fig. 1. St. Nino's church on the Tkhoti mountain
Fig. 2. Architectural details of dome from the excavation of St. Nino's church
Tab. II
Fig. 1. Roof tile of the dome of St. Nino's church
Fig. 2. View of northern section in the interior of St. Nino's church
Tab. III
Fig. 1. Concentrated stones and floor levels of the 6th-7th centuries in the interior of the church
Fig. 2. Archaeological plan of the site
Tab. IV
Fig. 1. Altar and the roof type stone structure under it
Fig. 2. Fragment of orange colored polished jug
Tab. V
Fig. 1. Fragment of the stone with animals stone relief
Fig. 2. Stone with Georgian Asomtavruli inscriptions
Tab. VI
Fig. 1, 2. Roof tiles with old Georgian inscriptions
Tab. VII
Fig. 1. Graves in the east side of the St. Ninos's church
Fig. 2. Bracelet and beads from graves
Tab. VIII
Fig. 1. Ruins of the cellar in the north-east from St. Ninos's church

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

ტაბ. II Tab.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

ტაბ. III Tab.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

ტაბ. IV Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

ტაბ. V Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

ტაბ. VI Tab.



სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

ტაბ. VII Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 **Fig.**

სურ. 3 **Fig.**

ტაბ. VIII **Tab.**

სურ. 1 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 128-158
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 128-158

არქეოლოგია

ზურაბ თვალჭრელიძე*, ნოდარ ბახტაძე, ჯიმშერ ჩხვიმიანი**, თენგიზ მეშველიანი****

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0115, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: ztvalchrelidze@museum.ge
**საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0115, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nodarbakh@yahoo.com
juansher@live.com
tengizmeshveliani@gmail.com

ქვემო ქართლში მიკვლეული შუა საუკუნეების ქართული საცხოვრებლის უცნობი სახეობა

შესავალი

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2004 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებარე ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთის ორმოცდამეცამეტე კმ-ზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯანდარის მახლობლად, ამჟამად ნარლი დარას (ბროწეულის ხევი) სახელწოდებით ცნობილ ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ნამოსახლარის შემადგენელი ნაგებობების ერთი კომპლექსის ნაშთები შეისწავლა (სურ. 1)[1]. უნდა ითქვას, რომ ამ სამოსახლო კომპლექსის შემადგენელი სათავსების გამოვლენა მხოლოდ არასრულად შევძელით, ვინაიდან, სამწუხაროდ, მიწის ზედაპირიდან მეტად ძნელად შესამჩნევი ამ სამოსახლოს ნაწილი მილსადენის თხრილის გაჭრისას განადგურდა. არქეოლოგიური კვლევის დაწყებამდე მშენებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მხოლოდ ამ დარღვეული კულტურული ფენებიდან ამოღებულ მიწაში მათ მიერ მოძიებული არტეფაქტების განსაზღვრული რაოდენობა გადმოგვცეს. ამ ნივთებს, ძირითადად კერამიკის ნაკეთობათა ფრაგმენტებს, მრავლად გააჩნიათ პირდაპირი პარალელები განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ განათხარ ძეგლებზე აღმოჩენილ ნაწარმთან. ამდენად, არქეოლოგიური გათხრების

[1] საველე არქეოლოგიურ სამუშაოებში მონაწილეობდნენ მუზეუმის თანამშრომლები: თ. მეშველიანი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ზ. თვალჭრელიძე, დ. ლომიტაშვილი, ნ. აფხაზავა †, ს. ბურდილაძე †, დ. ჟვანია, ლ. ფანცხავა, ე. ქორიძე, მ. ჯალაბაძე, ნ. ჯაყელი, გ. კილაძე (პალეონტოლოგი) და ა. გოგიაშვილი (ეთნოლოგი). ძეგლის არქიტექტურულ ფიქსაციასა და სახელოვნებათმცოდნეო კვლევას უძღვებოდა ნ. ბახტაძე.

შედეგად აღნიშნული კომპლექსის ფუნქციურ-ტიპოლოგიური თავისებურებების გარკვევამდე, მისი შექმნისა და გამოყენების ეპოქის თაობაზე ჩვენ უკვე გაგვაჩნდა წინასწარი მოსაზრება.

არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებიდან სულ მალე, ნაგებობათა თუნდაც ნაკლულად წარმოჩენილი სივრცობრივ-გეგმარებითი ელემენტებიდან გამომდინარე, აგრეთვე მათში აღმოჩენილი არტეფაქტების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური შეფასებისა და სტრატიგრაფიული განფენის ანალიზის საფუძველზე, სავსებით ნათელი გახდა, რომ ეს კომპლექსი განვითარებული შუა საუკუნეების საცხოვრისების ერთობლიობა იყო. ის კონსტრუქციული აღნაგობით საკმაოდ განსხვავდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე არქეოლოგიურად გამოვლენილი ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლებისგან.

წინასწარ აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამ კომპლექსის არქეოლოგიური კვლევის დროს სტრატიგრაფიულად მხოლოდ ერთი სამშენებლო ფაზა გამოვლინდა, მოსახლეთა უწყვეტი ბინადრობის კვალით. ცხოვრება, როგორც ჩანს, მთელ სოფელთან ერთად ამ საცხოვრებლის დარბევით, გადაწვითა და დანგრევით დასრულებულა. სხვადასხვა სათავსის იატაკებზე მიკვლეული ნივთიერი მასალის მიხედვით, ამ ძეგლის ფუნქციონირებას XI-XIII სს-ში ვვარაუდობთ, მისი წყობიდან გამოსვლა კი XIII ს-ის პირველ ნახევარშივე უნდა მომხდარიყო, სავარაუდოდ, საქართველოში მონღოლ დამპყრობელთა ერთ-ერთი გამანადგურებელი ლაშქრობის დროს[2].

ძეგლის ხუროთმოძღვრული დახასიათება და ანალიზი

ამ ნაშრომში ყურადღება აღნიშნული ძეგლის ორიგინალურ კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე გვსურს გავამახვილოთ. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, დიფერენცირებულად წარმოვადგენთ, გამოვლენილ ნაგებობათა სახელდობრ რა კონსტრუქციული დეტალები მიგვაჩნია აქა-

[2] 2012 წელს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ, კვლავ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებელი კომპანიის დაკვეთით, კიდევ რამდენიმე თხრილი გაავლო ნასოფლარ ნარლი დარას განაპირა ტერიტორიაზე. სამწუხაროდ, არ გამართლდა ჩვენი და ახალი ექსპედიციის წევრთა იმედები, რომ 2004 წელს გამოვლენილი ნასახლარების ანალოგიური საცხოვრებლები ამჯერადაც აღმოჩნდებოდა და ფაქტობრივი მასალით შეივსებოდა თავდაპირველი, ნაკლული წარმოდგენა ამ ნასოფლარზე დადასტურებული საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობათა ხასიათის შესახებ – გავლებულ თხრილებში მხოლოდ ორი სამეურნეო ორმო, თონე და ნაგებობათა ორიოდე ისეთი ნაშთი დაფიქსირდა, რომელთა მიხედვით შეუძლებელია საბინადროთა ხუროთმოძღვრულ თავისებურებათა შესახებ მსჯელობა. აქვე დავძენთ, რომ ამ სამუშაოების შედეგად გამოვლენილი ნივთიერი მასალა ზოგადი ტიპოლოგიით ჩვენ მიერ გათხრილ კომპლექსში დადასტურებული არტეფაქტების მსგავსია, თუმცა, ამ აღმოჩენათა საფუძველზე, ნასოფლარზე ცხოვრების შეწყვეტის დროდ XIV საუკუნის დასასრულია მიჩნეული [მინდორაშვილი დ. 2013: 217-231].

მდე არქეოლოგიურად თუ ეთნოგრაფიულად დაფიქსირებული ქართული ტრადიციული საცხოვრისისათვის ტიპურად თუ უჩვეულოდ.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნამოსახლარის გადარჩენილ ფართობზე მიწურის[3] ტიპის რამდენიმე სათავსის მეტ-ნაკლები სისრულით შემონახული ნაწილები გამოვლინდა (სურ. 2, 3, 4, 5). ეს სივრცეები, როგორც ჩანდა, თავდაპირველადვე მთლიანად, სახურავამდე, მიწის ქანში იყო ჩაჭრილი რაიმე სახის დამატებითი კედლების გარეშე. ეს ვარაუდი შემდეგ არგუმენტებს ემყარება: 1. ოთახების პერიმეტრების გაყოლებაზე ქვის კედლების მცირედი ნაშთიც კი არ დაფიქსირებულა; ესეც არ იყოს, მიწისზედა ქვის კედლები პირდაპირ მიწისქვეშა სივრცის ნაპირზე რომ ყოფილიყო ამოყვანილი, ეს მალევე გამოიწვევდა მათ ნგრევას: შემთხვევითი როდია, რომ სამხრეთ კავკასიაში აქამდე ეთნოგრაფიულად ცნობილი, მიწაში ნაწილობრივ ჩაჭრილი საცხოვრებელი თუ სამეურნეო სათავსების კედლების როგორც მიწისქვეშა, ისე მიწისზედა ნაწილები, როგორც წესი, ერთი და იმავე საშენი მასალის წყობითაა ამოყვანილი [Сумбадзе Л. 1984: 86-111]. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, გამორიცხავს აქ ნახევრად მიწური, მიწის ზემოთ ჩვეულებრივად ნაგები კედლებით შემოსაზღვრული საცხოვრებლის არსებობას; 2. თითოეული სათავსის იატაკის დონე გათხრებისას მიწის ყამირი დედაქანის საწყისი დონიდან დაახლოებით 1,5 მ სიღრმეზე ფიქსირდება. დაზუსტებული მონაცემებით, აღნიშნული ტერიტორია, თუ გაცილებით ადრევე არა, XX ს-ის II ნახევრის განმავლობაში მაინც, სასოფლო-სამეურნეო მიზნით ღრმად იხვნებოდა; შესაბამისად, სათავსების შემომსაზღვრავი მიწის კედლების ზედა ნაწილები ამ აგრარული საქმიანობისას დაზიანდებოდა (ეს კარგად ჩანს IV სათავსის დასავლეთ კედელში – აქ გამოკვეთილ თახჩებს ზედა შემომსაზღვრავი ნაწილები „წაცლილი“ აქვს). ესეც არ იყოს, ამ საცხოვრებლების მოწყობის ხანაშივე, დედაქან-

[3] „მიწური სახლი“ ძველი ქართული ტერმინოლოგიით მხოლოდ მიწაში მოწყობილ საცხოვრებელ ან სამეურნეო სივრცეებს აღნიშნავდა. მაგ., XIX ს-ის ცნობილი ლექსიკოგრაფი დ. ჩუბინაშვილი სიტყვა „მიწურს“ ასე განმარტავდა: „სოფლელთ სახლი მიწაში“ [ჩუბინაშვილი დ. 1887:766].დაახლოებით XX ს-ის დასაწყისიდან თანამედროვე ქართულ მეტყველებასა და ზოგიერთ სამეცნიერო ნაშრომშიც ამ ტერმინის კიდევ ერთი მნიშვნელობა დამკვიდრდა – მიწურ სახლებს უწოდებენ მიწის ზედაპირზე ქვის კედლებით ნაშენ ერდო-გვირგვინიან, მიწატკეპნილი ბანით გადახურულ ძველებურ ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობებსაც. ასეთი გაიგივება, რა თქმა უნდა, არასწორია: როგორც ჩანს, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ უკვე იმხანად ნამდვილ მიწურებში საქართველოს სოფლების მოსახლეობა პრაქტიკულად აღარ ბინადრობდა. სამაგიეროდ, ჯერ კიდევ აქტიურად გამოიყენებოდა მიწის ბანით გადახურული და მიწის იატაკიანი, დამჯდარი პროპორციების, ხშირად მიწის ფერდობში ნაწილობრივ შეჭრილი, ქვის ნაგებობანი, რომლებიც ვიზუალურად მიწურის ასოციაციას იწვევდა; არადა, ეს ვითომცდა „მიწური“ სახლები, კონსტრუქციული თუ ესთეტიკური თვალსაზრისით, არცთუ იშვიათად ქართული ტრადიციული ქვის საცხოვრებლების ბრწყინვალედ გადაწყვეტილი ნიმუშებია – მათ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა „დარბაზებად“ მოიხსენიებდა, ანუ დიდებულთა სამყოფლებს ადარებდა.

ში სივრცეების ჩაჭრამდე, მათ მაღლა მიწის ჰუმუსოვანი ნიადაგიც ხომ ექნებოდათ ასაღები; ამდენად, საცხოვრებლების მოწყობისას ამ სათავსთა კიდეებში მიწის ჩაჭრა დამატებით კიდევ 50 სმ-მდე სიღრმეზე უნდა ვივარაუდოთ, რაც დაახლოებით 2 მ-ს აღწევს. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: წინასწარვე სავარაუდო იყო და გათხრების შედეგად გამოვლენილმა მატერიალურმა ნაშთებმაც დაადასტურა, რომ საცხოვრებელი კომპლექსის შემადგენელ ყოველ სათავსს, განურჩევლად მათი დანიშნულებისა, ხის კონსტრუქციებზე დაყრდნობილი მიწურისვე სახურავი გააჩნდა (დაწვრილებით იხ. ქვემოთ). დიდია ალბათობა იმისაც, რომ ასე თუ ისე მნიშვნელოვან ყოველ ოთახს ჭერში თუნდაც პრიმიტიული გვირგვინისებრი კონსტრუქციები და ერდოები ჰქონოდა დატანებული — ლოგიკურადაც და ქართული თუ მახლობელი რეგიონების მსგავსი აღნაგობის საცხოვრებლების კვლევის შედეგების გათვალისწინებით [Чубинашвили Г. 1970: 17-32; ჩიქოვანი თ. 1967: 12-42; ჩიტაია გ. 1997: 187-195 და სხვ.], გამორიცხულია, რომ ამ მიწურკედლებიან საცხოვრებელ სივრცეებს განათებისა და ვენტილაციის სხვა, ალტერნატიული წყაროები ჰქონოდა. შესაბამისად, ამ მიწურ სათავსთა კედლებისპირა სიმაღლეს — 2 მ-ს სახურავის ხის ჰორიზონტული კონსტრუქციების მიწისგან იზოლაციისთვის საჭირო ქვის თუნდაც თითო წყობის და მათზე გადახურვის მზიდი, გრძივი კოჭების სავარაუდო სიმაღლესაც თუ დავუმატებთ, გამოდის, რომ აღნიშნულ მიწურ ოთახთა სიმაღლე კედლებთან 2,5 მ-ს აღწევდა; რაც შეეხება ცენტრალურ, გვირგვინული კონსტრუქციების ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე პრიმიტიული სახეობებით გადახურვის ადგილებს, სათავსების სიმაღლე აქ, დიდი ალბათობით, 3 მ-ს საკმაოდ გადააჭარბებდა. ამრიგად, ვგონებთ, ცხადია, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი საცხოვრებელი კომპლექსის ოთახები მთლიანად მიწური იყო და არა ნაწილობრივ თუ სანახევროდ მიწაში ჩაჭრილი.

ამ სათავსების „სრულ“ მიწურულ აღნაგობას ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ წარმოვაჩინოთ მათი განსხვავება არქეოლოგიური ძეგლებიდან თუ ეთნოგრაფიული მასალებიდან დღემდე ცნობილი ქართული ბანიანი საცხოვრისებისგან. რელიეფების კლდოვანი ან მკვრივი, ყამირმიწიანი აგებულების დაფერდებებში სანახევროდ შეჭრილი ხალხური დარბაზები აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს არც ერთი პროვინციისთვის არაა უცხო — ისინი მრავლადაა დადასტურებული როგორც შუა საუკუნეების არქეოლოგიურად შესწავლილ ნასოფლარებზე, ისე 1-2 სს-ის წინანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში (აღარაფერს ვამბობთ მთლიანად, გვირგვინ-ერდოიანად, კლდეში ნაკვეთ სახლებზე, რომლებიც ჯერჯერობით თი-

თო-ოროლა ნიმუშის სახითაა დაფიქსირებული საქართველოში [ბახტაძე ნ. 1997: 32-33]. ძირითადი განსხვავება ამ „ნახევრად მიწურ“ და ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილ „ერთიანად მიწურ“ დარბაზებს შორის არსებითია – ფერდობებში ზურგებით შეჭრილი დარბაზების მიწის ქვეშ მოქცეულ ნაწილებს უმეტესწილად ქვის წყობიანი კედლები გააჩნიათ [Сумбадзе Л. 1984: 220-222]; მათი ასეთი აღნაგობა, განსხვავებით ნარლი დარას მიწური დარბაზებისგან, იძულებითი ეკონომიურობითა და საშენი მასალის დეფიციტით არაა განპირობებული (თუმცა, გვხვდება ე.წ. კომბინირებული ვარიაციებიც. მაგალითად, ცნობილი დარბაზი ჭაჭკარიდან, რომლის ძირითადი მოცულობა მყარი აგებულების ფერდობშია გამოკვეთილი და ქვის კედლებს იქ დიდწილად ინტერიერის მოპირკეთების ფუნქციაღა გააჩნია [Сумбадзе Л. 1984: таб. 47]).

ჩვენ მიერ არქეოლოგიურად შესწავლილ ძეგლზე კარგად დაფიქსირდა განვითარებულ შუა საუკუნეებში ქვემო ქართლსა თუ ზოგადად აღმოსავლეთ საქართველოში საკმაოდ გავრცელებულ ამ ტიპის მიწურ დარბაზთა კიდევ არაერთი კონსტრუქციული თავისებურება, აგრეთვე მათში ბინადართა ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საქმიანობის დეტალები.

ძეგლზე გამოვლენილ სამშენებლო-კონსტრუქციულ ხერხთაგან გამოვყოფთ რამდენიმე არსებით მომენტს. მაგალითად, ყოველი სათავსის კედლების გასწვრივ, მათთან მიჯრით, განსაზღვრული ინტერვალით აღმოჩენილი წრიული მოხაზულობის, მეტ-ნაკლებად განსხვავებული დიამეტრის ორმოები და ზოგიერთში შემორჩენილი დანახშირებული ხის კვალი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს ფოსოები მიწური კედლებისა და სახურავის კონსტრუქციების საყრდენ-გასამაგრებელი ხის მრგვლოვანი კვეთის ბოძების (წვრილი მორების) მყარად დასაფიქსირებელი ბუდეებია (სურ. 2, 3, 4, 5); ანუ, მათში ჩამაგრებულ დგარებს ორმაგი დანიშნულება გააჩნდათ: სათავსთა მიწის კედლების ზედაპირების ჩამოშლის შეჩერება და გადახურვის ხის კონსტრუქციების ვერტიკალურად ქვემოთ მიმართული სიმძიმის ძალებისადმი მდგრადობის შენარჩუნება (მით უმეტეს, რომ ამ კერძო შემთხვევაში, გადახურვის მზიდი კოჭები კიდეებში ქვის მტკიცე კედლებს კი არ ეყრდნობოდა, არამედ გაცილებით ადვილად შლად გრუნტს). შესაძლოა, ამავე მიზეზის გამო, აღნიშნული ხის ვერტიკალური დგარებიც და ცენტრალური საყრდენებიც (პირობითად დედაბოძები) ლპობის საშიშროებისაგან დამცავ, პირდაპირ იატაკზე დაწყობილ ქვის „ბალიშებს“ კი არ ეყრდნობა (ისევე, როგორც ჩვენთვის ეთნოგრაფიული სინამდვილიდან ცნობილ ქვის ბანიან სახლებში), არამედ საკმაოდ ღრმა ორმოებშია ჩამაგრებული და

საყრდენი ქვის ბალიშებიც ამ ორმოების ფსკერზეა დატანებული.

მილსადენის თხრილის სამხრეთით არასრულად შემორჩენილი I სივრცე (სურ. 4), როგორც ჩანს, სანიტარიული და თბოიზოლაციური თვალსაზრისით განსაკუთრებით კეთილმოწყობილი, საცხოვრებელი დანიშნულების სათავსის ნაწილია, რადგან შიგნიდან ბზენარევი გაჯის ბათქაშით ყოფილა მოლესილი. ზოგიერთ ადგილზე გრუნტის კედლების ვერტიკალურად ჩაჭრისას გაჩენილი უნებლიე შეზნექილობანი შელესვამდე კირის ხსნარით შეკავშირებული წვრილი ქვის წყობებით ამოუვსიათ. სათავსის თიხატკეპნილი იატაკიც მოკირწყლული (მოლესილი) ყოფილა სანიტარიული მიზნით. ამ სათავსის სამხრეთი კედელი განსხვავებული კონსტრუქციისაა – ის რიყის სხვადასხვა ზომის, ძირითადად, მომცრო ქვებითა და კირის ხსნარით ნაგები, კირითვე შელესილი ტიხარია, რომლის საშუალებითაც დიდი მიწური სივრცე ოთახებადაა გაყოფილი.

I სათავსის იატაკის სხვადასხვა ფართობზე დაფიქსირდა განსხვავებული დიამეტრის წრიული ფოსოები, რომელთაგანაც ყველაზე მოზრდილები სახურავის ხის კონსტრუქციების საყრდენი დამხმარე ვერტიკალური ბოძების ჩასამაგრებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სათავსის ამ ნაწილში არ გამოვლენილა განსაკუთრებით მძლავრი ვერტიკალური საყრდენი ბოძის ნაშთი ან იატაკში მისი ჩასამაგრებელი ფოსო, რომელიც ამ ოთახის გადახურვის კონსტრუქციის დედაბოძად შეიძლებოდა მიგვეჩნია. გამორიცხული არაა, რომ ამ ოთახის ცენტრალურ, მშენებელთაგან დაზიანებულ, ნაწილში ყოფილიყო შემონახული დედაბოძის იატაკში ჩასამაგრებელი ბუდე და, შესაძლოა, თვით ამ ვერტიკალური ხის კონსტრუქციის ფრაგმენტებიც. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამ სათავსის ჩრდილო-დასავლეთ კიდეში, იატაკის დონეზე, აღმოჩნდა კატასტროფისა და თანმდევი ხანძრის დროს სახურავის ხის კონსტრუქციებიდან ჩამოშლილი, დანახშირებული კოჭების ერთობლიობა. ისინი ადგილზე ერთმანეთზე ურთიერთმართობულად გადაჭდობილად ყოფილა დამაგრებული. გადახურვის კოჭების ასეთი ურთიერთმიმართება ალბათ იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ისინი ამ სათავსის ჭერში მოწყობილი, ტრადიციული ქართული დარბაზული საცხოვრებლისთვის ძალზე დამახასიათებელი, მართკუთხა, პარალელურგვერდებიანი, გვირგვინული გადახურვის კონსტრუქციის ფრაგმენტებია [Сумбадзе Л. 1984: 141-5, рис. 4].

ამ სათავსის იატაკში, სამხრეთის კედლიდან დაახლოებით 2 მ-ის დაშორებით, ჩაჭრილი აღმოჩნდა სამი მოზრდილი ხაროს – დაახლოებით 40-დან 80 სმ-მდე დიამეტრისა და 1 მ-მდე სიღრმის ნაშთები. ხაროების

კედლები მთლიანად მოლესილი ყოფილა კირნარევი გაჯით. ამ ხაროების დანიშნულება ნათელია – ისინი, უთუოდ, კვების პროდუქტების მარაგის შესანახი საცავები იქნებოდა. მათი შელესილობის არაჰიდროიზოლაციური სტრუქტურა გამორიცხავს ამ ორმოების წყლის რეზერვუარებად გამოყენებას.

I სათავსის სამხრეთის ტიხრული კედლის აღმოსავლეთ ბოლოში დატანებული ღიობით შედიოდნენ II ოთახში. ეს სათავსი, აგრეთვე კედლების გაყოლებაზე ბოძებითაა გაწყობილი და გაჯით შელესილი. ამიტომ ისიც საცხოვრებელი დანიშნულებისა უნდა იყოს. მის იატაკზე მხოლოდ სახურავის ხის კონსტრუქციების დასამაგრებელი ვერტიკალური დგარების ჩასამაგრებელი ორმოები დაფიქსირდა, სურსათის შესანახი ხაროები და სხვა საყოფაცხოვრებო მოწყობილობების ნაშთები კი არ გამოვლენილა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მის იატაკზე, I ოთახისგან განსხვავებით, სურსათის შესანახი დერგებისა და სამზარეულო ჭურჭლის ფრაგმენტებიც არ აღმოჩენილა. სწორედ ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ ამ ოთახს განსხვავებული ფუნქცია, მაგალითად, საძინებლის დანიშნულება გააჩნდა.

რაც შეეხება III სათავსს, მისი ინტერიერის კედლები არც სადგარი ბოძებით ყოფილა გამაგრებული და არც გაჯით შელესილი; შესაბამისად, პირველივე შეხედვით, ეს მოზრდილი, მაგრამ სანიტარიული თვალსაზრისით გაცილებით კეთილმოუწყობელი სივრცე უფრო დამხმარე-სამეურნეო სათავსის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამ მოსაზრებას თითქოს ის გარემოებაც ეთანხმება, რომ აღნიშნული სივრციდან დასავლეთით შეჭრილ უბეში შეგროვებული და დალაგებული შეშის კვალიც დადასტურდა. სავარაუდოდ, აქ შეშის მარაგის საცავთან, ე.წ. საჩეხთან უნდა გვქონდეს საქმე. ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა, თუ რა დანიშნულებით შეიძლებოდა გამოეყენებინათ ამ სივრცის ძირითადი ნაწილი. თუ ქართული ხალხური დარბაზული ტიპის სამოსახლო კომპლექსთაგან ცნობილ ეთნოგრაფიულ პარალელებს მოვიშველიებთ, მაგალითად, სამცხეჯავახური, თრიალეთური დარბაზოვნების გეგმარებას [ჩიქოვანი თ. 1967: 76, 91], შესაძლოა ამ ვრცელ სათავსში გლეხური მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის – საქონლის სადგომის, ბოსლის ნიშნები ვივარაუდოთ. უმთავრესი მსგავსება ისაა, რომ, ჩვეულებრივ, ქვით ნაგებ დარბაზოვნებში საქონლის სადგომები, ე.წ. ახორები საცხოვრებელ დარბაზებზე დიდი ფართობისაა, ახასიათებს წაგრძელებული ფორმა და დარბაზოვნის საცხოვრებელ სექტორებთან საკმაოდ ახლოსაა განლაგებული. საყურადღებოა, რომ ნარლი დარას კომპლექსის გათხრისას სწორედ ამ პირობით ბოსელთან

დაფიქსირდა ჩასასვლელი პანდუსი მიწის ზედაპირიდან: საქონლის მიწურ ბოსელში ჩასასვლელ-ამოსასვლელ გზას ხომ, უთუოდ, დახრილი სიბრტყის სახე უნდა ჰქონოდა.

ცხადია, მიწურ საცხოვრებელში მხოლოდ ადამიანთა ჩასასვლელად საფეხურიანი კიბის გამართვა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა. სავარაუდოდ, ასეთი საფეხუროვანი ჩასასვლელები ამ კომპლექსის ამჟამად განადგურებულ ნაწილში იქნებოდა მოწყობილი, კედლებთან ახლოს, მიწური სივრცეების გარეთ ან უშუალოდ მათ, საზღვრებში (შესაძლოა, მათ ბანურ სახურავში დატანებული „ლუკის“ სახეც ჰქონოდათ). აქვე უნდა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ საქართველოს მეზობელ რეგიონებში დადასტურებულ უძველეს ერდოიან მიწურ საცხოვრებლებში სწორედ საქონლის ჩასასვლელად ეწყობოდა ნაკლებად დახრილი პანდუსები, თორემ ადამიანები მიწურ ოთახებში მოსახვედრად ზოგჯერ დარბაზოვნის ერთ-ერთ განაპირა ერდოზე მიდგმული კიბით სარგებლობდნენ [ჩიქოვანი თ. 1967: 218]. იყენებდნენ თუ არა ნარლი დარას მიწური დარბაზოვნების ბინადარნი გარე სამყაროსთან ასეთი კავშირის საშუალებას, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია.

IV სათავსი რამდენადმე განსხვავებული კონსტრუქციით ხასიათდება. მისი მიწური კედლები, მართალია, საყრდენი ბოძებითვეა გამაგრებული, მაგრამ კედლები აქ შებათქაშებული არ ყოფილა. ნაცვლად ამისა, როგორც ჩანს, მიწის ჩამოშლის შესაჩერებლად კედლები ხის ნედლი ტოტებით წნული ლასტებით იყო დაფარული (ამ სანიტარიული დანიშნულების წნული მოწყობილობების დანახშირებულ კვალს კედლების მახლობლად მრავლად მივაკვლიეთ). იატაკი ამ სათავსში თიხით ყოფილა მოტკეპნილი, რითაც ეს ოთახი აგრეთვე განსხვავდება მოკირწყლულ იატაკიანი I და II სათავსებისგან. ზედ იატაკზე, წაქცეულ პოზიციაში, დაფიქსირდა მძლავრი, მრგვალი კვეთის (30 სმ-მდე დიამეტრის) დანახშირებული ბოძი, დიდი ალბათობით – დედაბოძი; იქვე აღმოჩნდა მის ზედა ნაწილზე დასამაგრებელი მოწყობილობა – თავხე, რომელიც ქართულ ხალხურ ხუროთმოძღვრებაში ჭერის სამაგრი გრძივი კოჭიდან ბოძზე სიმძიმის გადასანაწილებლად გამოიყენებოდა [ჩიქოვანი თ. 1967: 56]. განათებისა და ვენტილაციის სხვა წყარო ვერც ამ მიწურ სათავსს ექნებოდა. ამიტომ, ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ დედაბოძსა და პერიმეტრზე განლაგებულ კარკასის ბოძებზე დაყრდნობილ ბანური გადახურვის კონსტრუქციაში მოხერხებული ერდოც იქნებოდა გათვალისწინებული. ეთნოგრაფიულად დადასტურებული ტრადიციული ქართლური დარბაზების გეგმარებისა [Чубинашвили Г. 1970: 24, 27, 29] და ამავე კომპლექსის I სათავსში აღმო-

ჩენილი გვირგვინული გადახურვის ფრაგმენტების გათვალისწინებით, უსაფუძვლო არ იქნება წარმოვიდგინოთ, რომ ამ სათავსის განადგურებულ ფართობზე მეორე დედაბოძიც იყო აღმართული; ამ ორ დედაბოძზე გადებულ დირეებზე, დიდი ალბათობით, საფეხურებიანი გვირგვინიც იქნებოდა მოწყობილი, თუნდაც, მეზობელი სათავსის ანალოგიურად მართკუთხა, პარალელურად დაწყობილი კოჭებით (სურ. 6). ამავე სათავსის იატაკზე, სხვადასხვა ადგილზე, დაფიქსირდა აღნიშნულ ცენტრალურ სადგარ ბოძზე გაცილებით ნაკლები სისქის მრგვლოვანი კვეთის ძელების ფრაგმენტები, აგრეთვე დანახშირებული ხის ფიჩხისებრი ტოტებისა და ვაზის ლერწის (წალმის) მრავლობითი ნაშთები. შესაბამისად, კვლავ ეთნოგრაფიული პარალელების მოშველიებით, სავარაუდოა, რომ ამ სათავსშიც ვერტიკალურ დედაბოძსა და თავხეზე დაყრდნობილ ცენტრალურ ძელზე (დირეზე) მიჯრით დალაგებულ ფიცრებზე თიხატკეპნილის მოწყობამდე დაწყობილი იქნებოდა წვრილი ტოტებისა და ვაზის ლერწის კონები [ჩიტაია გ. 1997: 190].

დედაბოძის დასავლეთით, იატაკის დონეზე ოდნავ მაღლა, შემოიხაზა წრიულთან მიახლოებული ფორმის, ადგილზე კარგად გამომწვარი თიხის კერის კონტურები. მასში ნაცრის მძლავრი ფენა დადასტურდა, რაც ხანგრძლივად დანთებულ ცეცხლზე მეტყველებს. ამ დარბაზის სამხრეთ-დასავლეთი კედლის ზუსტად შუა ნაწილში შეჭრილი იყო ინტერიერისკენ ვიწრო ღიობით გახსნილი, წრიული მოხაზულობის, დაახლოებით 60 სმ დიამეტრიანი ნიშა, რომლის ძირიც სათავსის იატაკიდან 1 მ-მდე ყოფილა ჩაღრმავებული მიწაში. ჩვენი აზრით, ეს მოწყობილობა საცხოვრებლის ბინადართა მოსახმარი კვების პროდუქტების გრილად შენახვისთვის განკუთვნილი საკუჭნაოა. მსგავსი საკუჭნაოები მრავლადაა დაფიქსირებული სამხრეთ საქართველოს ტრადიციულ საცხოვრებლებში და მას სპეციალური სახელით — „საციოთი“ მოიხსენიებდნენ [გაფრინდაშვილი გ. 1957: 18]. ამ ოთახის სამხრეთ-დასავლეთ კედელში შეჭრილი ყოფილა მართკუთხა მოხაზულობისა და საკმაოდ ტევადი ორი თახჩა (წალო), რომლებიც, დიდი ალბათობით, ხის თარაზული ტიხრებით თაროებად იყო დაყოფილი და საცხოვრებლის ბინადართა საყოფაცხოვრებო ნივთების შესანახად გამოიყენებოდა.

ჩვენი აზრით, ამ მიწურ დარბაზთა განხილული ფუნქციური დანაწევრება, ცხოვრების სავარაუდო საყოფაცხოვრებო-სანიტარიული პირობები და მოხერხებული დამხმარე მოწყობილობები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ მიწურთა ბინადარი მოსახლეობა სულაც არ ყოფილა განსაკუთრებულად დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები. თუმცა, იმ

დაშვებას, რომ ასეთ საცხოვრებლებს უკიდურესად ღატაკი, დესოციალიზებული მოსახლეობა აფარებდა თავს, ის არგუმენტებიც აბათილებს, რომ კომპლექსში დაფიქსირებულია მიწათმოქმედი კომლის შესატყვისი ბიოფაქტები და არტეფაქტები, აგრეთვე საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთების ისეთივე ხარისხისა და ასორტიმენტის ნაწარმი, რაც აღმოსავლეთ საქართველოს მრავალ, ყველა ნიშნით ეკონომიკურად საკმაოდ დაწინაურებული სოფლის მეურნე მოსახლეობის საბინადროებშია დადასტურებული არქეოლოგიური გათხრებისას.

ნასოფლარ ნარლი დარაზე ცხოვრების ქრონოლოგიური ფაზების განსაზღვრა არქეოლოგიურად მოპოვებული არტეფაქტების მიხედვით

ნასოფლარ ნარლი დარას ამ საცხოვრებელი კომპლექსის მილსადენის მშენებელთაგან ხელუხლებელი, უძრავი ფენების გათხრებისას საყოფაცხოვრებო ნივთიერი მასალა (უმთავრესად, კერამიკის ნაკეთობების ფრაგმენტები), როგორც წესი, მოპოვებულია მხოლოდ 2 სტრატიგრაფიულ მდგომარეობაში: ა) აღნიშნული საცხოვრებელი თუ სამეურნეო სათავსების იატაკების ჰორიზონტებზე, ნაცრისა და ნახანძრალი ნახშირის მეტ-ნაკლებად შემცველი მიწის ფენის ქვედა შრეებში; ბ) ამავე სათავსთა ფუნქციონირებისას მათ იატაკში მოწყობილ, სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ორმოების ფსკერზე. გათხრების შედეგად არ დადასტურებულა იმაზე მიმანიშნებელი არც ერთი ფაქტი, რომ ამ კომპლექსში რაიმე მიზეზის გამო ცხოვრება შეწყდა და დროის განსაზღვრული ინტერვალის შემდეგ იგივე სათავსები ხელმეორედ გამოიყენეს საცხოვრებლად. გათხრებისას კომპლექსის სათავსებში არც მათ ბინადართა ცხოვრების უწყვეტი პერიოდის განმავლობაში ჩატარებული რამდენადმე მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციების კვალი დადასტურებულა. მაგალითად, მიწური კედლების მოლესილობის რამდენჯერმე აღდგენა, სამეურნეო ხაროების გაუქმება, ტიხრების გადაადგილება და ა.შ. ამრიგად, ჩვენ მიერ შესწავლილი საცხოვრისების კომპლექსი ცალსახად ერთი ქრონოლოგიური ფენიანი ძეგლია. შესაბამისად, განათხარ ფართობებზე in situ მდგომარეობაში ნივთები მხოლოდ ორი ვითარების შედეგად იყო შემორჩენილი: 1. ცხოვრების მიმდინარეობის დროს წყობიდან გამოსული ნივთების ფრაგმენტების იატაკის მოტკეპნილობებსა და სამეურნეო ორმოებში შემთხვევით მოხვედრის წყალობით; 2. მტრის მიერ სოფლის აკლებისას ამ სამოსახლოში მომხდურისათვის წინააღმდეგობის გაწევის დროს, ჩვეულებრივ თახჩებსა და სხვა სპეციალურ ადგილებში განლაგებული ნივთების დაზიანებისა და იატაკზე მიმოფანტვის შედეგად, რასაც, საბოლოოდ, საცხოვრისის

გადაწვა, სახურავის ჩამოქცევა და არტეფაქტების ჩვენ წინაშე წარმოჩენილი სახით დაფიქსირება მოჰყვა[4].

ცხადია, უნდა ვივარაუდოთ, რომ, თავდაპირველად, ამ ორგვარ სტრატიგრაფიულ ვითარებაში უნდა ყოფილიყო განფენილი ჩვენ ხელთ არსებული ნივთიერი მასალის ის ნაწილიც, რომელიც ექსკავატორით ამოღებული მიწის აღრეულ ფენებში შეგროვდა მილსადენის მშენებელთაგან ან მოგვიანებით, უძრავი არქეოლოგიური ფენების გათხრების დაწყებამდე, ჩვენ მიერვე (ამჯერად უკვე ზუსტი, თუმცა, პრაქტიკულად აღარაფრის მომცემი კოორდინატული ფიქსაციით).

ვნახოთ, როგორ განისაზღვრა ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად ნასოფლარ ნარლი დარას ამ საცხოვრებელი კომპლექსის როგორც უძრავი, ისე აღრეული კულტურული ფენებიდან მოპოვებული, აღნიშნული ერთფაზიანი ცხოვრების განმავლობაში მოხმარებული ნივთიერი მასალა ქართულ მეცნიერებაში დღეს დამკვიდრებული კლასიფიკაციის მიხედვით. წარმოვადგენთ აღნიშნულ სათავსებში მიკვლეულ ყველაზე ტიპურ ან განსაკუთრებით საყურადღებო ნაკეთობების აღწერა-ჩამონათვალს ჩვენი დაკვირვებითურთ მათი ფუნქციური და ქრონოლოგიური კუთვნილების შესახებ.

ამ საცხოვრებელი კომპლექსის არქეოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალა, უმთავრესად, თიხის ნაწარმია. ეს ნაკეთობანი მოუჭიქავი და მოჭიქული ჭურჭლითაა წარმოდგენილი. ისევე, როგორც განვითარებული შუა საუკუნეების არქეოლოგიურად შესწავლილ ყველა სამოსახლოზე, მოუჭიქავი თიხის ნაწარმი გაცილებით ჭარბობს მოჭიქულს. თავის მხრივ, მოუჭიქავი კერამიკა მოიცავს როგორც უბრალო, ფერადკეციანი და რუხკეციანი სამზარეულო ჭურჭლის, ისე წერნაქით დაფარული, შეღებილი და მოხატული სუფრის ჭურჭლის ფრაგმენტებს. უბრალო, ფერადკეციანი ჭურჭელი სხვადასხვა დანიშნულების, ფორმისა და ზომის ნიმუშებითაა წარმოდგენილი. ესენია: ქვევრების, ქოცოების, დერგების, ქოთნების, ჩაფების, დოქების, ხელადების, ჯამების, თასების, ჭრაქებისა და სხვა დანიშნულების ჭურჭლის მეტ-ნაკლები სის-

[4] უნდა ითქვას, რომ ძეგლის გათხრისას მტრის მიერ ამ სოფლის მოულოდნელად დარბევა-გადაწვაზე მიმანიშნებელი შემდეგი გარემოებაც გამოიკვეთა: დაახლოებით იატაკის დონეზე, დანახშირებული ხის კონსტრუქციებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების ფრაგმენტების გარემოცვაში, ადამიანის ნეშტის ნაწილებიც აღმოჩნდა, ოღონდ გაბნეულად. მაგ., თავის ქალები, ბარძაყისა და წვივის ძვლები ერთმანეთისგან მოშორებით დაფიქსირდა. ეს ადამიანები, სავარაუდოდ, თავდაცვითი ბრძოლის დროს დაუხოცავთ; მთელ ამ მხარეში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ დაუმარხავი გვამები სახლების ბანებზე საკმაო ხანს დარჩენილა ჩაკეცილ მდგომარეობაში და ჩონჩხებად ქცეულა. მხოლოდ განსაზღვრული დროის შემდეგ, გადამწვარი და მიტოვებული სახლების სახურავების ჩამოქცევისას, მოხვდა მათი ნაწილები იატაკზე და ამიტომაც მიმოიფანტა.

რულით შემორჩენილი ნიმუშები და ფრაგმენტები.

კომპლექსის განათხარ ნაწილში მოპოვებული ქვევრები და ქოცოები საშუალო და მომცრო ზომის ყოფილა (დიდი ქვევრებით გაწყობილი მარანი ამ მიწათმოქმედ, უთუოდ, მევენახეობითაც დაკავებულ კომლს, ალბათ, დანამდვილებით გააჩნდა, მაგრამ ის, შესაძლოა, ამავე კომპლექსის ხელუხლებელ ფართობშია მოქცეული ან საცხოვრებლისგან დამოუკიდებლად, მაგ., ვენახის მახლობლად იყო მოწყობილი). გვხვდება როგორც სადა, ისე ჰორიზონტალური, რელიეფური რგოლებით შემკული ეგზემპლარების ფრაგმენტები (ტაბ. I). ამ ტიპის ქვევრებს პარალელები ეძებნება განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს მრავალი არქეოლოგიური ძეგლის განათხარ მასალაში (დმანისი, გუდარეხი და სხვ.) [ჯაფარიძე ვ. 1956: 17-18; მუსხელიშვილი ლ., ხიდაშელი შ., ... 1954: 98], რის საფუძველზეც ისინი XI-XIII სს-ით თარიღდება.

შესწავლილ ძეგლზე მიკვლეული ქოთნები, ძირითადად, ყავისფერკეციანია, განიერპირიანი, დაბალყელიანი და განიერმუცლიანი (ტაბ. II). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აქ დამჯდარი პროპორციის რამდენიმე ნიმუშით წარმოდგენილი ქვაბქოთნები, რომლებსაც მუცლის ზედა ნაწილსა და ყელზე წვრილი, რელიეფური, პარალელური ზოლები შემოუყვება; მათ ყელსა და მუცელზე წყვილი ყურია მიძერწილი, რომელთა ზედა ნაწილი რელიეფურად აზიდული, „კვირტისებრი“ ორნამენტითაა შემკული (ტაბ. II-3, 7, 8).ამ ტიპის ნაკეთობათა დამზადება-მოხმარება საქართველოში XII-XIII სს-ში ფართოდ იყო გავრცელებული [ბახტაძე ნ. 2007: 149].

კომპლექსის სხვადასხვა სათავსის იატაკის დონეზე აღმოჩნდა სითხის ჩასასხმელი თიხის ჭურჭლის – დოქების ფრაგმენტები. ისინი ყავისფრად ან მოწითალოდაა გამომწვარი, აქვთ კვერცხისებრი მუცელი, ვიწრო, მაღალი ყელი; შესქელებულ ტუჩთან და მუცელზე მიძერწილია ოვალურ-განივკვეთიანი ყურები (ტაბ. III-3, 4, 5). აქვე აღმოჩნდა ვიწრო, დაბალყელიანი და მოზრდილი ჩაფის ნაწილები (ტაბ. III-6). ამ ნაკეთობებსაც მრავალი ანალოგი მოეძებნა XII-XIII სს-ის ქართული არქეოლოგიური ძეგლების მასალებიდან [ჯაფარიძე ვ. 1956; ჭილაშვილი ლ. 1975; ლომთათიძე გ. 1988 და სხვ.]

განსაკუთრებით საყურადღებოა მიწური საცხოვრებელი კომპლექსის II სათავსის იატაკზე აღმოჩენილი ღია მოყავისფროდ გამომწვარი კერამიკის ნაკეთობა (საინვ. №5-2014/120), რომელსაც პირდაპირი ფუნქციურ-ტიპოლოგიური ანალოგი საქართველოში მოპოვებულ შუა საუკუნეების ცნობილი თიხის ნაწარმთან არ გააჩნია (ტაბ. III-1). ეს ძირისკენ წაკვეთილი, წაგრძელებული, სფეროსებური, უხეშად განლექილკეციანი

თიხისგან დამზადებული ნივთი სანახევროდ სამეთუნეო მორგვზე ყოფილა ამოყვანილი ჯამისებურად, ზედა „ნახევარსფერო“ კი ხელითაა ნაძერწი არცთუ განაფული ხელით და გუმბათისებურადაა შეუღლებული ქვედა ნაწილთან. საბოლოოდ კი, გამოწვამდე, ამ ყოველი მხრიდან დახშულ გარსზე ზემოდან სახელური მიუძერწავთ, მუცელზე დიდი წრიული ღიობი ამოუკვეთავთ, მოპირდაპირე მხარეზე კი – 5 წვრილი ნახვრეტი. აღნიშნული ნივთის აღნაგობიდან გამომდინარე, ნათელი იყო, რომ იგი კვების პროდუქტების თუ სასმლის შენახვა-მოხმარებისთვის ან დამზადებისთვის არ იყო განკუთვნილი, თუმცა, მისი დანიშნულება, თავდაპირველად, მსჯელობის საგანი გახდა. საბოლოოდ, პრობლემა იმ მოსაზრების სასარგებლოდ გადაწყდა, რომ თიხის ეს ნაკეთობა ფარანია. ფართო, წრიული ღიობიდან მასში, ალბათ, სანთელს ან მომცრო ჭრაქს დგამდნენ, რომელიც ამავე ღიობიდან გამოსცემდა მიმართულ ნათებას; შესაბამისად, ზედა სახელური ფარნის ხელით გადასატანად იყო გამიზნული, ხოლო ბრტყელი, ოდნავ ქუსლისებურად პროფილირებული, ძირი კი – დადგმულ მდგომარეობაში გასანათებლად და შესანახად. ამ ნივთის აღნიშნული ფუნქციის ვერსიაზე შეჩერებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ მას ანალოგები მოეძებნა განვითარებული შუა საუკუნეების ბიზანტიურ საყოფაცხოვრებო მოწყობილობებთან [Von Harnac K.A. 1993: 146. pic. 1, 2, 3].

ნამოსახლარზე აღმოჩენილი მოუჭიქავი კერამიკული ნაწარმიდან, დამზადების ოსტატობიდან გამომდინარე, გამოვყოფთ მუქ ყავისფრად გამომწვარი თიხისგან დამზადებულ ქვაბ-ქოთნის ხუფსაც (საინვ. №5-2014/138; ტაბ. III-2). დისკოსებური ფორმის ნივთის განაპირა სიბრტყეებს კონცენტრული, რელიეფური წრეებით შემკული ზედაპირი აქვს. ეს თიხის დისკო ცენტრში ქვემოდან შეზნექილია, რაც ზედაპირზე კონუსისებურად შევიწროებული და ბოლოში ცილინდრისებურად გაფართოებული სახელურის სახეს იღებს. ამ ტიპის ჭურჭლის სახურავებს ანალოგი ეძებნება, აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე რაიონის XII-XIII სს-ის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ძეგლების მასალებში [ბახტაძე ნ. 1992: 43, ტაბ. XII-4, 5; თვალჭრელიძე ზ. 2010: ტაბ VI].

კომპლექსის არქეოლოგიური შესწავლისას მივაკვლიეთ მოჭიქული თიხის ნაწარმის თითქმის ყველა იმ ძირითად ტიპოლოგიურ სახეობათა ნიმუშებს, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში აღმოჩნდა XI-XIII სს-ის საქართველოს ნაქალაქარების, ნასოფლარებისა და ნამონასტრალების გათხრისას. აღმოჩენილი მოჭიქული თიხის ნაწარმი, ძირითადად, მეტ-ნაკლებად კარგად განლექილი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, რამდენადმე განსხვავებული ფორმებისა და ტექ-

ნიკით შემკული ჯამების ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი.

წარმოვადგენთ ზოგიერთ მათგანს:

1. *ჯამის ძირისა და პირ-გვერდის ფრაგმენტი* (საინვ. №5-2014/145) — წითელკეციანი, კარგად განლექილი თიხის, ჩაღარული ბაკოთი და გამოყვანილი, ბორბლისებრი ქუსლით. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია გეომეტრიული ორნამენტი — მარყუჟები და პარალელური ხაზები. მოჭიქულია ღვიძლისფრად (ტაბ. IV-12). მსგავსი ნიმუშები აღმოჩენილია საქართველოსა და ამიერკავკასიის ზოგიერთი სხვა რეგიონის განვითარებული შუა საუკუნის არქეოლოგიურ ძეგლებზე. თარიღდება XI-XII სს-ით [მიწიშვილი მ. 1969: ტაბ. XVI-1; Kalandarian A. 1996: pl. 94-4].

2. *ჯამის ძირ-ქუსლის ფრაგმენტი* (საინვ. №5-2014/142) — წითლკეციანი, კარგად განლექილი თიხის, გამოყვანილი, ბორბლისებრი ქუსლით. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მარტივი, ბადისებრი ორნამენტი. მოჭიქულია ცისფრად. ანალოგები თარიღდება XI-XII სს-ით [მაისურაძე მ. 1953: 31-96].

3. *თიხის ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტები* (მოხერხდა აღნიშნული ჯამის, საინვ. №5-2014/1, ნაწილობრივი რესტავრაცია და თეორიული რეკონსტრუქცია — ტაბ. IV-11). ჯამისთვის დამახასიათებელია: მოწითალო-მოვარდისფრო კეცი, ჰორიზონტულად გადაშლილი ბაკო, ქიმსა და კალთას შორის გლუვი გადასვლა; თეთრად ანგობირებული შიდაპირის ქვედა რეგისტრში ამოკაწრვის ხერხით გამოყვანილია მცენარეული ორნამენტი — ოთხ ფოთოლს შორის არსებული არეები შევსებულია რტოყლორტოვანი მოტივებით; ბაკო შემკულია ამოკაწრული, მწვანედ და ყავისფრად შეფერილი სამკუთხედებით; მხატვრული სახეების ფონები შექმნილია რეზერვაციის ხერხით; ქიმი შემკულია ამოკაწრულ პარალელურ ხაზებს შორის მოქცეული ბადისებური სარტყელით. ჯამის შიდაპირზე გადავლებულია უფერო ჭიქური.

ჯამს პირდაპირი ანალოგები განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ განათხარ მასალებში ვერ მოეძებნა. სამაგიეროდ, როგორც პირ-გვერდის პროფილით, ისე შიდაპირის ორნამენტის ხასიათით, მას საკმაოდ მახლობელი პარალელები გააჩნია XII-XIII სს-ის ჩრდილოეთ და ცენტრალური ირანის, აგრეთვე აღმოსავლეთ კავკასიის (აზერბაიჯანის) მხატვრულ კერამიკაში: ამ ისლამურ ქვეყნებში დამზადებულ თიხის მოჭიქულ ჯამთა ერთ ნაწილს ზუსტად ასეთი — მკვეთრად შვერილი ბაკოები აქვს (როგორც ჩანს, ლითონის ჯამების მინაბაძი თემაა). მათი შიდაპირების შემკულობაში დომინირებს ცენტრიდანული ფართო ფოთლების სიმეტრიული წნული, დარჩენილი არეები კი წვრილად დეტალიზებული მცენა-

რეული ან გეომეტრიული სახეებითაა შევსებული [İbrahimov F., Ferhadoğlu K. 2002: 27,33]. ნარლი დარას მიწური საცხოვრებლის იატაკზე აღმოჩენილ ამ ჯამის მხატვრულ მოტივთაგან კიდევ ერთს – შიდაპირზე შემოყოლებულ წვრილი ბადისებრი ორნამენტის ზოლს ამავე ფორმისა და პერიოდის, მაგრამ ფრინველის გამოსახულებიან ირანულ ჯამზე ვხვდებით [Watson O. 2004: 265]. ამრიგად, დიდია ალბათობა იმისა, რომ ჩვენს ძეგლზე აღმოჩენილი ჯამი იმპორტული ნაწარმი ან ადგილობრივ საქალაქო კერამიკის საწარმოში დამზადებული უცხოური ნაკეთობის მინაბაძი იყოს.

4. რამდენიმე ნიმუშითაა წარმოდგენილი *თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე მრავალფერად მოხატული და უფერო ჭიქურით დაფარული ჯამების ფრაგმენტები.* მათთვის დამახასიათებელია: ბრტყელი ან ჩაზნექილი ბაკო, ამოღარული ქუსლი, განსხვავებული ორნამენტი და შემკულობა. ერთ-ერთი ჯამის (საინვ. №5-2014/148) თეთრად ანგობირებულ შიდაპირებზე ამოკაწვრის ხერხით გამოყვანილია ფრინველის გამოსახულება – შემორჩენილია მკერდის, ფრთისა და ყელის ნაწილები. გამოსახულება შემკულია მწვანე, ყავისფერი და ყვითელი საღებავებით. გადავლებულია კრიალა ჭიქური (ტაბ. IV-10). ზუსტად ამავე ტექნიკითა და სტილით შესრულებული ფრინველის გამოსახულებიანი მოჭიქული თიხის ჯამები მრავლადაა დადასტურებული განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ და მეზობელი რეგიონების არქეოლოგიურ ძეგლებზე; თარიღდება XII-XIII სს-ებით [მიწიშვილი მ. 1969: ტაბ XXVIII-XXIX; მისურაძე ზ. 1953: 29; ჯაფარიძე ვ. 1956: 28; ბახტაძე ნ. 2013: სურ. 96-104; Ibrahimov F., Ferhadoğlu K. 2002: 32; Якобсон А. 1950: таб. XXVI და სხვ.].

5. შესწავლილი კომპლექსის საცხოვრებელი სათავსების იატაკებზე მოპოვებული მოჭიქული თიხის ნაწარმთაგან აგრეთვე გამოსაყოფია საკმაოდ კარგად შემონახული, თეთრად ანგობირებული, ცისფრად (საინვ. №5-2014:2) და მწვანედ (საინვ. №5-2014:137) მოჭიქული სამარილეები (ტაბ. IV-1, 9), რომლებიც, პარალელების მიხედვით, თარიღდება XII-XIII სს-ით [ბახტაძე ნ. 2013: 65; მიწიშვილი მ. 1969: ტაბ. LVI-1; ლომთათიძე გ. 1989: ტაბ. XXXIX-1 და სხვ.].

ნასახლარის გათხრისას იატაკის დონეზე აღმოჩნდა მინის სამაჯურის ფრაგმენტები, რომლებიც პარალელური მასალის მიხედვით, XI-XIII სს-ით თარიღდება [ჭილაშვილი ლ. 1991: ტაბ. LXX]. აქვე აღმოჩენილი რკინის დაზიანებულ და უსახურ ნივთთაგან, ერთი ვაზის სასხლავი დანის ფრაგმენტი უნდა იყოს. მსგავსი ნაკეთობანი დადასტურებულია ქვემო ქართლის შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლზე და XI-XIII სს-ით თარიღდება

[ბახტაძე ნ. 1991: ტაბ. XVI-6,7].

აღნიშნული ძეგლის არქეოლოგიური კვლევისას ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა ფაიანსის ნაკეთობათა ნიმუშები, რაც კიდევ ერთი არგუმენტია იმ მოსაზრების დასადასტურებლად, რომ ამ საცხოვრისში არცთუ წარჩინებული სოციალური ფენების წარმომადგენლები ბინადრობდნენ.

ამ საცხოვრებელ კომპლექსში მოხმარებული კერამიკა მხოლოდ იმ კატეგორიის ნაკეთობებს მოიცავს, რომლებიც შუა საუკუნეების საქართველოს და ზოგჯერ მეზობელი ქვეყნების არქეოლოგიურად შესწავლილი მრავალი მასალის ანალიზის მიხედვით, მეცნიერთა მიერ თითქმის დარწმუნებით XI-XIII სს-ით თარიღდება. ეს მონაპოვარი არ მოიცავს მოუჭიქავი თუ მოჭიქული ნაწარმის იმ ტიპურ სახეობებს, რომლებიც ზოგიერთი ქართველი არქეოლოგისა და ჩვენ მიერაც საკმაოდ არგუმენტირებულადაა მიჩნეული XIV ს-ის საქართველოში ეკონომიკისა და, შესაბამისად, ხელოსნური წარმოების მეთოდების დაქვეითების შედეგად გაჩენილი ტექნოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური დეკადანსის ამსახველ პროდუქციად. მაგალითად, ამ მასალაში სრულიად არ გვხვდება მოჭიქული ჯამები, რომლებიც სტილისტურად ზემოთ აღწერილი ნიმუშების ზოგად ტრადიციას აგრძელებს, მაგრამ რატომღაც ჭიქურის მეტად თხელი ფენითაა დაფარული, რომელიც დროთა განმავლობაში ძნელად შესამჩნევიც კი ხდებოდა. ლ. ჭილაშვილმა ამგვარ ნაწარმს „მოჭიქული კერამიკის მინაბაძები“ უწოდა და ისინი XIV ს-ით დაათარიღა [ჭილაშვილი ლ. 1975: 28]. ჩვენი დაკვირვებითაც, ასეთი ნაწარმი მხატვრული სტილისა და ტექნოლოგიის განსაზღვრული დეგრადაციით გამოირჩევა: როგორც ჩანს, XIV ს-ში, საქართველოში ეკონომიკისა და კულტურის დაქვეითების გამო ამ ტიპის მოჭიქული ჭურჭლის ხარისხი არა მხოლოდ ტექნოლოგიური თვალსაზრისით დაეცა, არამედ მათ შესამკობად გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებიც გაუბრალოვდა – ამ ხანის საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული მოხატული, გამჭვირვალედ მოჭიქული ჯამების ორნამენტულ-სიუჟეტური მოტივები და ფერადოვანი გამა გაღარიბდა. მაგალითად, ასეთი ჯამებიდან გაქრა ცხოველისა და ფრინველის გამოსახულებები, სამაგიეროდ, გაიზარდა მხოლოდ ერთი, ძირითადად, მწვანე ფერის, არცთუ რთული უჯრედოვან-გეომეტრიული და რტოყლორტოვანი ორნამენტით გაფორმებული ნაწარმის ხვედრითი წილი. ეს მოვლენა არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწრაფი მონასმით ცხოველ-ფრინველთა სტილიზებულ გამოსახვას გაცილებით საფუძვლიანი პროფესიული მომზადება სჭირდება, ვიდრე პარალელური შტრიხებით უჯრედების, წერტილოვანი ან, თუნდაც, მცენარეული მოტი-

ვების გამოყვანას.

ნარლი დარას ჩვენ მიერ შესწავლილ ნასახლარებზე არ აღმოჩენილა XIV ს-ისთვის დამახასიათებელი მოუჭიქავი კერამიკის არც ერთი სახეობა. ისინი ჯერჯერობით არ დასტურდება XIII ს-ის სხვა ძეგლებზეც. ასეთია, მაგალითად, უქუსლო, ბრტყელძირიანი ჯამები, რომელთა კალთისა და ვერტიკალური ქიმის შეერთების ადგილზე კუთხე და გარეთ ოდნავ შვერილი წიბო იქმნება [ბახტაძე ნ. 1991: 42, 43], წერნაქით შეღებილი დოქები და ჭინჭილები, რომელთა ზედაპირებიც ე.წ. თევზიფხური (წიწვოვანი) ან ტალღოვანი და პარალელურსარტყლიანი, ნაკაწრი ორნამენტითაა შემკული [ბახტაძე ნ. 2007: 151][5].

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ნასოფლარ ნარლი დარას განადგურებისა და მასში ცხოვრების შეწყვეტის პერიოდად XIII საუკუნე ვივარაუდოთ და არა XIV ს-ის უკანასკნელი მეოთხედი. აქ, დიდი ალბათობით, საქმე უნდა გვქონდეს საქართველოში მონღოლ დამპყრობელთა 1236-1240 წლების გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგთან. ისტორიული წყაროებიდან კარგადაა ცნობილი, რომ ამ პერიოდში ქვემო ქართლის ეს რეგიონიც ძლიერ დაზარალდა – დამპყრობლებმა მრავალი დასახლებული პუნქტი მიწასთან გაასწორეს [ქართლის ცხოვრება. 1959: 187]. არ უნდა გამოირიცხოს ისიც, რომ ამ ნასოფლარის გაჩანაგება ხორეზმელთა 1226 წლის ლაშქრობას უკავშირდებოდეს – ჯალალ ად-დინის ურდოებმა იმხანად ამ პუნქტის მიმდებარე მხარეებიც მოაოხრეს [ქართლის ცხოვრება. 1959: 178-183].

ამრიგად, მოპოვებული ნივთიერი მასალის ანალიზი იმაზე მეტყველებს, რომ ნარლი დარას ამ მიწური დარბაზებით განაშენიანებული სამოსახლოს შექმნა და ფუნქციონირება, საქართველოს პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობის ხანას უკავშირდება და არა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მკვეთრი დაქვეითების პერიოდს XIV-XV სს-თა მიჯნაზე.

ნასოფლარ ნარლი დარას შესწავლილ მიწურ საცხოვრისთა ადგილი ქართული საერო ხუროთმოძღვრების ისტორიაში

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ისტორიული ეპოქების, განსაკუთრებით კი, შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებულ საცხოვრებელ ნაგებობათა ფუნქციური სისტემატიზაციისას უმნიშვნელოვანესი

[5] უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელი სტილის მოუჭიქავი ჭურჭელი (ე.წ. გვერდწიბოიანი ჯამები და წიწვოვანი ორნამენტით შემკული დოქები) რამდენადმე სახეცვლილი სახით საქართველოში შემდგომაც, მთელი გვიანი შუა საუკუნეების განმავლობაში მზადდებოდა. ამიტომ ზოგიერთმა მკვლევარმა ისინი ერთიანად გვიანდელ ნაწარმად მიიჩნია.

როლი ენიჭება მათ ანალიზს იმავე ეთნიკური ჯგუფების ეთნოგრაფიულ ყოფაში დაფიქსირებული ანალოგების ფონზე. ისიც ცნობილია, თუ რატომაა ამგვარი შედარებები აუცილებელი: ამა თუ იმ ისტორიული საზოგადოების მიერ გამოყენებული საყოფაცხოვრებო თუ სამეურნეო ნაგებობების ზოგადი კონსტრუქცია ხშირად საკმაო ქრონოლოგიური კონსერვატიულობით ხასიათდება; არცთუ იშვიათად, მათი გეგმარება თუ ცალკეული ხუროთმოძღვრული დეტალი საუკუნეების განმავლობაში უმნიშვნელოდ იცვლება. ეს დებულება მეტადრე შუა საუკუნეების მოსახლეობის არცთუ დაწინაურებული სოციალური ფენის წარმომადგენელთა საცხოვრებლებზე ვრცელდება. მმართველი არისტოკრატიის ცხოვრების წესი გაცილებით მეტადაა დამოკიდებული საგარეო პოლიტიკურ კონიუნქტურაზე.

განსხვავებულ ისტორიულ ეპოქებში საქართველოში გავრცელებული, არქეოლოგიური მეთოდებით გამოვლენილი ცალკეული საცხოვრებლის ტიპებისა და ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებული ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშების პირდაპირ მემკვიდრეობით კავშირზე სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი რამ დაწერილა. ქართველ ეთნოლოგთა და ხუროთმოძღვრების ისტორიკოსთა ნაღვაწში რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ერთ-ერთი პოპულარული თემა გახლდათ ევრაზიის კონტინენტსა და, კერძოდ, სამხრეთ კავკასიის მრავალ რეგიონში გავრცელებული ერდოიან-გვირგვინიანი გადახურვების გამოყენებით მოწყობილი საცხოვრისების გენეზისი და განვითარების გზები, მათი ტიპოლოგიური სახესხვაობები დროსა და გეოგრაფიულ სივრცეში [ჩუბინაშვილი გ. 1924-27; Сумбадзе Л. 1984; ჩიქოვანი თ. 1967; ჩიტაია გ. 1997; ყიფიანი გ. 2002 და სხვ.]. თუმცა, ამ საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე ნაკლებად სწორედ ზემოთ წარმოდგენილ ტიპზე, გვირგვინისებური კონსტრუქციებით გადახურულ მიწურ საცხოვრებლებზეა გამახვილებული ყურადღება — სრულიად ბუნებრივი „მიზიდულობის“ გამო, ქართველ ეთნოგრაფთა და ხელოვნებათმცოდნეთა რამდენიმე თაობის წარმომადგენლებს აქცენტი უფრო დარბაზული ტიპის სახლების მაღალმხატვრულ შედევრებზე, ხალხური ხუროთმოძღვრების ეტალონურსა თუ საეტაპო ნიმუშებზე გადაჰქონდათ, შედარებით მოკრძალებული ეკონომიკური შესაძლებლობის მოსახლეობის მიწურის ტიპის საცხოვრებელები კი ჩრდილში მოექცა.

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების მკვლევრებისთვის შესანიშნავადაა ცნობილი, რომ XIX ს-სა და XX ს-ის პირველ ნახევარში, კავკასიასა და წინა აზიის ქვეყნებში მოსახლეობის ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი სწორედ რომ ერდოთი გაწყობილი ბანებით გადახურულ პრიმიტიულ მი-

წურებში ბინადრობდა [ჩიქოვანი თ. 1967: 22; Сумбадзе Л. 1984: 111-123], მაგრამ თვით საქართველოში მათ ასეთი საცხოვრისის ტიპი არ დაუფიქსირებიათ. რა თქმა უნდა, თავისუფლად შეგვეძლო წარმოგვედგინა, რომ შუა საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს მიწათმოქმედი მოსახლეობის ამგვარ საცხოვრებლებში ბინადრობის ჩვენ მიერ არქეოლოგიურად დადასტურებული ტრადიცია XIX ს-ში სრულიად აღარ იყო შემონახული, მაგრამ ამ ვერსიის საწინააღმდეგოდ მეტყველებს შემდეგი ფაქტი: ჩვენ მოვიძიეთ XIX ს-ის აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოველდღიური ყოფის საკმაოდ დეტალურად ამსახველი ეპიზოდები მხატვრული ლიტერატურიდან, რომლებიც ცალსახად ეთნოგრაფიული დოკუმენტაციის ტოლფასია. კერძოდ, ცნობილი ქართველი რეალისტი მწერლის, ნიკო ლომოურის მოთხრობებში ჩართულია რამდენიმე მონაკვეთი, სადაც ქართლში XIX ს-ის მეორე ნახევარში მცხოვრები გლეხების საცხოვრებლების ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ტიპს, მშენებლობის თანამიმდევრობას და იქ ბინადრობის ავ-კარგს მიმოიხილავს: „...აქაურ გლეხობას ... მიუკრუნჩხავთ ერთმანეთზედ თავიანთი ღრმად ჩათხრილი მიწური სახლები...“ [ლომოური ნ. 1960ბ: 220].

„...სახლისთვის მასალა სრულიად არა გვქონდა-რა. ღმერთმა უშველოს ჩვენებურებს! ...შეგროვდნენ კომლზე კაცი და თავიანთი ურმებით მოგვიზიდეს ბოძები, თავხეები და ჭერი... შემდეგ გვიშველეს მათ გათლასა და გასწორებაზე. ...ამოვთხარეთ მიწა, ჩავსხით ბოძები, დავუწყეთ თავხეები და დავხურეთ ჭერი; ეს დახურული მიწური გავყავით შუაზე ლასტით: ერთი ნახევარი დავამზადეთ ჩვენთვის, მეორე – საქონლისთვის. შემდეგ ძველი დარბაზიდან გადავზიდეთ იქ, რაც კი რამ გვებადა...“.

„სჩანდა, რომ ამ წელს ზამთარი მალე გვეწვეოდა, იქნებოდა სუსხიანი... ჩვენი ახალი მიწური კი სრულებით არ იყო ამისთვის მომზადებული. ჩვენ არ გვქონდა არც ალიზი, არც ფიცრები, და ქვიტკირზე ვინღა იფიქრებდა, რომ ნოტიო, შიშველი მიწის კედლები დაგვეფარა და ამ გვარად აგვეშორებინა მათი ცუდი გავლენა ჩვენს ჯანმრთელობაზე“ [ლომოური ნ. 1960ა: 176, 177].

თუკი აღწერილ სიტუაციას ჩვენ მიერ ნასოფლარ ნარლი დარაზე დაფიქსირებულ მიწურ საცხოვრისს შევადარებთ, დავინახავთ, რომ განათხარი ძეგლის შუა საუკუნეების ბინადრებს, XIX ს-ის ღარიბი გლეხებისგან განსხვავებით, „შიშველი მიწის“ კედლები ნესტისგან დასაცავად ზოგან ალიზით, ზოგან კი ქვიტკირით დაუფარავთ (I სათავსი); მეორე მხრივ, IV სათავსში, ანუ ჩვენ მიერ დადასტურებული ატრიბუციით (დედაბოძი,

შუაცეცხლი, საყოფაცხოვრებო ნივთების შესანახი თახჩები და სხვ.), დანამდვილებით დარბაზული ტიპის საცხოვრებელში, კედლები მხოლოდ ლასტებით დაუფარავთ; ეს საშუალება კედლებიდან მიწის პერიოდულ ჩამოფშვნას თუ შეაკავებდა, ანუ სანიტარიული ხასიათისაა, სათავსში ნესტის გავრცელებას კი დიდად ვერ შეუშლიდა ხელს; თუ რა უნდა ყოფილიყო აღნიშნული სათავსების ინტერიერების კედლების განსხვავებული ხერხით „მოპირკეთების" მიზეზი, ძნელი სათქმელია; გამორიცხული არაა, რომ ამ სათავსში სწორედ კერიიდან, ანუ დროის ხანგრძლივი მონაკვეთების განმავლობაში დანთებული შუაცეცხლიდან მომდინარე სითბოს ნაკადი ყოფილიყო აქ ნესტის გამანეიტრალებელი უმთავრესი ფაქტორი. მეორე მხრივ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ აღნიშნული დარბაზული ოთახი და ალიზით ნალესი სათავსები ერთმანეთის მეზობლად მოწყობილი, მაგრამ სხვადასხვა ოჯახის საცხოვრებელი მიწურების ჯგუფთა ნაწილებია. ამდენად, მათი ბინადრების მიერ იმჟამად გავრცელებულ მეთოდთაგან სხვადასხვა ხერხით ჩატარებული კეთილმოწყობითი სამუშაოების არჩევანიც ამითაა გამოწვეული. ამრიგად, რამდენადაც უნდა ცვლიდეს ეს ფაქტი სტერეოტიპულ წარმოდგენას საშუალო შეძლების ქართველ მიწათმოქმედთა ყოფაცხოვრების სტილზე განვითარებულ შუა საუკუნეებიდან თითქმის XX სს-მდე, ვგონებთ, ჩვენი არქეოლოგიური კვლევის წარმოდგენილი შედეგების გათვალისწინებით, დადასტურებულ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, ისევე როგორც ევრაზიის კონტინენტის თითქმის ყველა ქვეყანაში, სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმხანად მიწურ სახლებში ბინადრობდა.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ ქვემო ქართლშივე, ამ ნასოფლარიდან სულ 15-ოდე კმ-ით დაშორებულ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე XX ს-ის 80-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგად დაფიქსირდა მთელი წყება კლდეში ნაკვეთი სოფლებისა, რომლებშიც ეთნიკურად ქართველი, აგრეთვე მიწათმოქმედებით დაკავებული მოსახლეობა ბინადრობდა მთელი განვითარებული შუა საუკუნეების განმავლობაში [ბახტაძე ნ. 2007: 141-157]. გარეგნულად, ერთი შეხედვით, ამგვარი უსახური სცხოვრისების მასობრივად გავრცელების ჰიპოთეზამ შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკურ-კულტურულად ფრიად დაწინაურების ხანაში, გამოიწვია ზოგიერთი ქართველი მეცნიერის სკეფსისი. თუმცა, მატერიალურმა არგუმენტებმა ასეთი ეჭვი გაფანტა: გათხრების დროს დაფიქსირებულმა არქეოლოგიურმა სურათმა ცალსახად წარმოაჩინა ამ ტიპის საცხოვრებლების პოპულარობა აბსოლუტურად იმავე სოციალური სტატუსის მქონე მოსახლეობის ფენებში, რომ-

ლებიც კლდეში ნაკვეთი სახლების პარალელურად „ჩვეულებრივ“, ქვით ნაგები საცხოვრებლებით განაშენიანებულ სოფლებში ბინადრობდენ. საბოლოოდ, როდესაც კარგად განისაზღვრა ასეთ ქვაბოვან, ანუ თავისი არსით მიწურთან მეტად ახლოს მყოფ საცხოვრებელში ბინადრობის ყოფითი დეტალები, გამოირკვა, რომ მათ მცხოვრებლებს ობიექტურად სულაც არ უნდა ეგრძნოთ დიდი დისკომფორტი ტალახის ხსნარზე ქვით ნაგები დარბაზების ბინადარ კომლებთან შედარებით – გამოქვაბული საცხოვრისები საკმაოდ მშრალი, „ზაფხულ გრილი და ზამთარ თბილი იყო“, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ გამძლეობაზე – თუკი ქვის სახლებს ბანის რეგულარული ტკეპნა-შეკეთება სჭირდება და რამდენიმე ათწლეულში ერთხელ გადახურვის ხის კონსტრუქციების გამოცვლაც კი, კლდის სახლები პრაქტიკულად მუდმივია.

რა თქმა უნდა, მიწური სახლები ქვისა და კლდეში ნაკვეთ სახლებს სიმყარით ვერ გაუტოლდება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული დარბაზული საცხოვრებლები, უმეტესად, თითქმის სანახევროდ მაინც იყო შეჭრილი იმ ფერდობების მიწის ქანში, რომელზედაც ტერასულად იყო განაშენიანებული სოფლების დიდი ნაწილი. აქ მართებული იქნება, გავიხსენოთ XIX ს-სა და XX ს-ის პირველ ნახევარში ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების არქიტექტურის ისტორიკოსთა წრეებში ფრიად პოპულარული თეორია ამიერკავკასიასა და, ზოგადად, ევრაზიის ვრცელ რეგიონებში ისტორიულად გავრცელებული მიწურბანიან-ერდოიანი საცხოვრებელი დარბაზების გენეზისის თაობაზე; ამ ჰიპოტეზის მიხედვით, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ეთნოგრაფიულად დადასტურებული მიწურბანიანი, ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლები, განურჩევლად მათი ნაირსახეობებისა, პირველყოფილი ადამიანების ბუნებრივი გამოქვაბული საცხოვრისების ხანგრძლივი ევოლუციური ტრანსფორმაციის ნაყოფია [Сумбадзе Л. 1984: 172-178; Агабабиян Р. 1945: 30; Ильина М. 1951: 3]. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ათწლეულების არქიტექტურის ისტორიკოსების მიერ აღნიშნული საკითხისადმი ამგვარი უცნაური ევოლუციონისტური მიდგომა უარყოფილია: მართლაცდა, ლოგიკურად სწორედ რომ გამოქვაბულში მცხოვრებ ადამიანებს ყველაზე ნაკლებად უნდა გაუჩნდეთ სივრცის ხის გვირგვინიანი სახურავით გადახურვის „იდეა“ – მათ საბინადროს შესანიშნავი ჰიდრო და თბოიზოლატორი, ქვის ბუნებრივი, მასიური სახურავი გააჩნია. სამაგიეროდ, კედლებსა თუ მიწურ სივრცეზე დალაგებულ ხის მორებზე ტკეპნილი მიწით გადახურვის მოწყობა, პრაქტიკულად ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა მიწურში დასახლების სურვილის მქონე როგორც პირველი „ჰომო სა-

პიენსებისათვის“, ისე ყველა იმ შემდგომი ისტორიული ცივილიზაციების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც მეტ-ნაკლებად კონტინენტურთან მიახლოებულ კლიმატურ ზონებში იყვნენ განსახლებულნი (ანუ, მათ გარდა, რომლებსაც წნული კედლებითა და ფოთლოვან-მცენარეული სახურავით გამართული „ფაცხები“ აკმაყოფილებდა). შესაბამისად, თუკი მიწურ-ერდოიანი სახლებისა და, კონკრეტულად, გვირგვინული წყობებით გადახურული ქართული დარბაზების უძველესი პროტოტიპების ძიებას დავიწყებთ, ასეთებად უპირველესად, სწორედ რომ მიწურკედლებიანი საცხოვრებლები უნდა მივიჩნიოთ. მართლაც, ნიშანდობლივია, რომ მიწურკედლებიანი, მიწის ბანითვე გადახურული სახლების მშენებლობის ტრადიციამ ევრაზიის მატერიკის ტერიტორიის დიდი ნაწილი უძველესი დროიდან ლამის ახ.წ. XIII-XIX სს-ების ჩათვლით მოიცვა [Сумбадзе Л. 1984: 111-123] და მხოლოდ ეკონომიკური აღმავლობის კვალობაზე იქცა ანაქრონიზმად.

ასეთი ტიპის საცხოვრებლები უცხო არ იყო საქართველოს უშუალო მეზობელი რეგიონებისთვისაც, მაგ., ანატოლიის ნახევარკუნძულზე, მუკრინის პროვინციაში, ირანში (ურმიაში) XX ს-ის I ნახევარშიც კი ჯერ კიდევ იყენებდნენ მიწურ სახლებს ბანურ-ერდოიანი გადახურვით (თუმცა, იმხანად ასეთ საცხოვრებლებში უკვე მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიკურად ყველაზე ჩამორჩენილი ეთნიკური ჯგუფები, ნახევრად მომთაბარე ქურთი ტომები ბინადრობდნენ) [ჩიქოვანი თ. 1967: 22]. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ XIX ს-ის მეორე ნახევარი იყო ის გარდატეხის ხანა, როცა როგორც წინა და ცენტრალურ აზიაში, ისე ამიერკავკასიაში სოფლების რიგითი მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ უარი თქვა პრიმიტიულ მიწურ საცხოვრებლებზე და მათაც მანამდე შედარებით შეძლებული მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ, ქვით ან ალიზით ნაგებ, მიწურბანიან საცხოვრებლებში დაიდეს ბინა[6]. მეორე მხრივ, რადგან საქართველოში XIX ს-ის მე-2 ნახევარში ასეთი საცხოვრებლები თუნდაც გამონაკლისის სახით ჯერ კიდევ გამოიყენებოდა, ეს თითქმის პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ შუა საუკუნეებში, თუნდაც ქართული სახელმწიფოს აღმავლობის ხანაში, ამგვარი სახლებით განაშენიანებული სოფლები, ქვითა და ხით ნაგები საცხოვრებლების პარალელურად, ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა.

ამრიგად, ნასოფლარ ნარლი დარაში მიკვლეული ეს ძეგლები უნდა

[6] სწორედ ამ ქრონოლოგიურ ფაზას ასახავს, ჩვენ მიერ გამოვლენილი, ხოლო შიდა ქართლში ეთნოგრაფიულად დადასტურებული მიწური დარბაზების არსებობა. ამ ცნობის ავტორი, ხალხოსანი მწერალი ნ. ლომოური ხომ თავის მოთხრობებში უმეტესწილად მოსახლეობის ყველაზე დუხჭირი ფენების ყოფას აღწერდა.

განვიხილოთ როგორც ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ფართოდ დამკვიდრებული ხალხური ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე, მრავალფეროვანი ნიმუშების პროტოტიპები. მართალია, საქართველოს ტერიტორიაზე ერდოიან-გვირგვინიანი ტიპის გადახურვის კონსტრუქციების ჩანასახოვანი ნიმუშები გაცილებით ადრეულ ეპოქებშიცაა დადასტურებული [Джавахишвили А. 1973: 78,123], მაგრამ ეს უკანასკნელი აღმოჩენა კიდევ ერთხელ თვალნათლივ ადასტურებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს არაერთ მხარეში დარბაზული საცხოვრებლის თემის ნაირგვარი ვარიაციები მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მუდამ აქტუალური იყო და მას სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები ხშირად უალტერნატივო თემად აღიქვამდნენ.

ARCHAEOLOGY

Zurab Tvalchrelidze*, Nodar Bakhtadze, Jimsher Chkhvimiani**, Tengiz Meshveliani****

* Georgian National Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: ztvalchrelidze@museum.ge

** The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: nodarbakh@yahoo.com
juansher@live.com
tengizmeshveliani@gmail.com

An Unknown Type of Georgian Middle Ages Dwelling Found in Kvemo Kartli

In 2004 archaeological works were performed by an the Georgian National Museum archaeological expedition near village Djandara, Marneuli Municipality on the territory, known nowadays under the name of "Narlidara" and situated on the 50th km of the Baku-Tbilisi-Djeikhan oil-pipe-line section. The archaeological expedition studied the Middle Ages dwelling complex, though the research was incomplete as a part of the complex was damaged due to carelessness of the pipe-line builders.

Architectural peculiarity of this monument is that all constituent parts of this monument were cut wholly in the earth till the roof. The following constructions typical for mud-hut buildings were registered in the interior of each space - along the walls there were support pillars thrust in the floor for more firmness with cer-

tain intervals. These pillars supported a roof construction and at the same time strengthened the walls. In storage spaces, mainly in living rooms, dug-out walls were covered with plaster or intertwined tree branches. Storage was isolated with narrow single-layer stones plastered on clay solution and limed.

The dug-out dwelling and the artifacts which were found there, made functional differentiation of dwelling and auxiliary economic areas, possible.

Each storage space, in spite of their function, was covered with roof, rested on wooden constructions. Each more or less important room should have had an earthen roof, corbelled over cupola with crown-like constructions that had a skylight in the centre - those spaces should not have had no other sources of light and ventilation. This logical consideration might also be proved by material artifacts found during the archaeological excavations: in the centre of one storage space, near an open hearth, a powerful coaled log was found in a fallen position (with the 30 cm diameter). Probably it was the main pillar – "dedabodzi". Nearby, fixed on its upper part a fastening construction- "tavxe" was found. In Georgian folk architecture it was used on the ceiling for weight redistribution from a long log beam to the main pillar.

Remainder of wooden coaled quadrangular, parallel-layer simple corbelled cupola with crown-like construction was fixed in one more dwelling room. Thus, in this dwelling, archaeologically studied by us, the main attributes of the corbelled cupola crown-like roof has been surely confirmed. These types of roofs were spread in Euro-Asian continent for centuries. On the assumption that material artifacts, found in this complex are identical to archaeologically studied Georgian monuments, created during the 11th-13th cc. There is no doubt that this type of dwelling represents the original prototype of the ancient Georgian dwelling "darbazi"(hall-type space). Until today there was not a single evidence of archaeologically registered mud-hut corbelled crown-like cupola houses, built without stone walls in Georgia.

ბიბლიოგრაფია

ბახტაძე ნ. 2013: *კერამიკული ნაკეთობანი შუა საუკუნეების საქართველოში*. თბილისი.

ბახტაძე ნ. 2007: *კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში*. თბილისი.

ბახტაძე ნ. 1991: *ქვემო ქართლის კლდის ძეგლები*. თბილისი.

ბახტაძე ნ. 1997: *ხალხური ნაგებობების გვირგვინული გადახურვები და მათი პარალელები კლდის ხუროთმოძღვრებაში. საერთაშორისო სასწავლო კურსი: გვ. 30-34 ხალხური ხუროთმოძღვრების მნიშვნელობა და მისი დაცვის პრობლემები*. თბილისი (რედ. მ. ბოჭორიშვილი).

ბერიძე ვ. 1974: *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება*. თბილისი.

გაფრინდაშვილი გ. 1957: *ვარძიისა და მისი მიდამოების ქვაბები*. თბილისი.

გაფრინდაშვილი გ. 1959: *კლდის სახლები ნასოფლარ ფიაში.* თბილისი.

თვალჭრელიძე ზ. 2010: *წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. გარეჯის მრავალმთის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი.

ლომთათიძე გ. 1989: *არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში.* თბილისი.

ლომთათიძე გ. 1988: ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედ-ვით. *რუსთავი. არქეოლოგიური გათხრები 1946-1965 წწ.* გვ. 6-61. თბილისი (რედ. ც. ჭიკოიძე).

ლომოური ნ. 1960: *ალი. ჩვენი საუნჯე. 10.* თბილისი.

ლომოური ნ. 1960: *ბედი უბედურთა. ჩვენი საუნჯე. 10.* თბილისი.

მაისურაძე ზ. 1953: *ქართული მხატვრული კერამიკა.* თბილისი.

მინდორაშვილი დ. 2013: ნასოფლარი ნარლი დარა. *სემმ.* IV (49-B). გვ. 217-231. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

მიწიშვილი მ. 1969: *მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში (IX-XIII სს).* თბილისი.

მუსხელიშვილი ლ., ხიდაშელი შ., ჯაფარიძე ვ. 1954: *გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში.* თბილისი.

***ქართლის ცხოვრება.* 1959:** ტ. II. (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა). თბილისი.

ჩიტაია გ. 1997: გლეხის სახლი ქვაბლიანში. *შრომები ხუთ ტომად.* ტ. 1. თბილისი.

ჩიქოვანი თ. 1967: *ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან.* თბილისი**.**

ჩუბინაშვილი გ. 1924-27: *ქართლის დარბაზები.* თბილისი.

ჩუბინიშვილი დ. 1887: *ქართულ-რუსული ლექსიკონი.* სანქტ-პეტერბურგი.

ჭილაშვილი ლ. 1991: *არეში.* თბილისი.

ჭილაშვილი ლ. 1975: *ძველი გავაზი.* თბილისი.

ყიფიანი გ. 2002: *მესხური საცხოვრისი.* თბილისი.

ჯაფარიძე ვ. 1956: *ქართული კერამიკა (XI-XIII სს.).* თბილისი.

Агабабиян Р. 1945: *Архитектура Грузинского народного жилища*. Тбилиси.

Джавахишвили А. 1973: *Строительное дело и архитектура поселении Южного Кавказа V-III тысяч до н.э.* Тбилиси.

Ильина М. 1951: *Древнейшие типы жилищ Закавказья*. Москва.

Пантюхов И. 1896: *О пещерных и позднейших жилищах на Кавказе*. Тифлис.

Сумбадзе Л. 1984: *Архитектура Грузинского народного жилища Дарбази*. Тбилиси.

Чубинашвили Г. 1970: *Грузинские дарбази. Вопроси истории искусства.*

т. 1. Тбилиси.

Якобсон А. 1950: Средневековый Херсонес (XII-XIV вв). *Материалы и исследования по археологии СССР. №17.сс* Москва-Ленинград. (М. Артаманов)

İbrahimov F., Ferhadoğlu K. 2002: *Bakı, İçeri Şeher I. Arxeoloji Albom*. Bakı.

Von Harnack A. 1993: *Liberal Theology at its Height*. Sheffield.

Kalantarian A. 1996: *Dvin. Histoire et Archeologie de la Ville Medievale*. Neuchâtel-Paris.

Watson O. 2004: *Ceramics from Islamic Lands*. London.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ნასოფლარ ნარლი დარას აეროფოტოსურათი

სურ. 2. ნარლი დარას მიწური ნამოსახლარის განათხარი ფართი. ხედი სამხრეთ-დასავლეთისკენ

სურ. 3. ნარლი დარას მიწური ნამოსახლარის განათხარი ფართი. I, II და III სათავსები

სურ. 4. ნარლი დარას მიწური ნამოსახლარის განათხარი ფართი. გეგმა

სურ. 5. ნარლ დარას მიწური ნამოსახლარის განათხარი ფართი. ჭრილები

სურ. 6. ნარლი დარას IV მიწური სათავსის ინტერიერის თეორიული რეკონსტრუქცია

ტაბ. I-III. მოუჭიქავი თიხის ნაკეთობანი ნარლი დარას მიწური ნამოსახლარიდან

ტაბ. IV. მოჭიქული თიხის ნაკეთობანი ნარლი დარას მიწური ნამოსახლარიდან

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Aero-photo picture of Narli Dara dwelling

Fig. **2**. Narli Dara mud-hut dwelling excavation area.The view to the west-south

Fig. **3.** Narli Dara mud-hut dwelling excavation area. I, II and III rooms

Fig. 4. Plan of Narli Dara mud-hut dwelling excavation area

Fig. 5. Narli Dara mud-hut dvelling excavation area. The views

Fig. 6. Narli Dara IV mud-hut room. Reconstruction

Tab. 1-3. The ceramic material from the Narli Dara mud-hut dvelling excavation area

Tab. 4. The glazed ceramic material from the Narli Dara mud-hut dvelling excavation area.



ნარლი დარას არქეოლოგიური ძეგლი

ნასოფლარის გავრცელების სავარაუდო საზღვრები

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.


Y
Z
A
B
C
D
E
F
G
-2
-1
1
2
3
4
5
6
7
8
9
N
Pipeline
ძველადგები
I
II
III
IV
0 1 2 3 4 m

სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.

ტაბ. I Tab.



ტაბ. II Tab.



ტაბ. III Tab.



ტაბ. IV Tab.



საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 159-171
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 159-171

არქეოლოგია

მარგალიტა ჩემია*†, ია ახვლედიანი, იზოლდა კახნიაშვილი**, ზურაბ ოქროსცვარიძე**, გივი ინანიშვილი****

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მ. კოსტავას ქ. 77, 0175 თბილისი, საქართველო
ელფოსტა: Akhvledianiia@yahoo.com

საქართველოში აღმოჩენილი შუა საუკუნეების ირანის მხატვრული კერამიკის წარმომავლობის საკითხისათვის

შუა საუკუნეების ირანსა და კავკასიას შორის კულტურული ურთიერთობა მეცნიერული კვლევა-ძიების მნიშვნელოვან სფეროს განეკუთვნება. ამ მიმართებით საყურადღებოა XI-XIV სს-ის ირანის გამოყენებითი ხელოვნების წამყვანი დარგის – მხატვრული კერამიკის ნიმუშთა საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებისა და გავრცელების საკითხი. მიუხედავად ფრაგმენტულობისა, ასეთი კვლევისათვის მყარი საფუძველი საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ფაიანსის მრავალფეროვანი ნაწარმის შესწავლაა. თავის მხრივ, ეს შექმნის წინაპირობას არა მარტო ჩვენი სახელმწიფოს უცხო ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის, არამედ შუა საუკუნეებში ადგილობრივი ხელოსნური წარმოების განვითარების დონის გასარკვევად [ჩემია მ. 2010: 210-212].

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში XII-XIV სს-ის ირანული მხატვრული კერამიკის მეტად საყურადღებო კოლექციაა დაცული. ექსპონატები გამოირჩევა როგორც ფორმათა მრავალფეროვნებით, ისე მაღალმხატვრული შესრულებით.

ირანული კოლექცია ორი ნაწილისგან შედგება: პირველ ნაწილს მიეკუთვნება მასალა, რომელიც შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების – დმანისისა და თბილისის განჯისკარის ტერიტორიებზეა გამოვლენილი, მეორე ნაწილი ირანში არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული.

საკვლევად შერჩეულ ქრონოლოგიურ პერიოდში ამიერკავკასიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგისტრალი, რომელიც თბილისს აკავშირებდა სამხრეთ აზერბაიჯანისა და ირანის ქალაქებთან, ბარდავზე გადიოდა. ამან კი გამოიწვია თბილისი-დვინი-თავრიზის გზაზე მდებარე დმანისის განახლება და გაძლიერება.

1936-1937 წლებში, ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, დმანისში წარმოებდა პირველი არქეოლოგიური გათხრები, რომლებსაც ლევან მუსხელიშვილი ხელმძღვანელობდა. გათხრები ოცდასამწლიანი შესვენების შემდეგ, 60-იან

წლებში, განახლდა. სწორედ ამ დროს გამოვლინდა ირანული კერამიკის საყურადღებო ნიმუშები. გარდა ამისა, დმანისის ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნათელი გახდა, რომ იქ ადგილობრივი წარმოების დონეც საკმაოდ მაღალი იყო და ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი იყო განვითარებული.

მეორე მნიშვნელოვანი ობიექტი, სადაც ირანული კერამიკის მცირე ფრაგმენტებია აღმოჩენილი, თბილისია (ერეკლე მეორის მოედანი და 300 არაგველის სახელობის ხიდი). ის საქალაქო მეურნეობის ყველაზე განთქმული ცენტრი და მთელ კავკასიასა თუ წინა აზიაში ვაჭრობისა და ხელოსნობის ერთ-ერთი დაწინაურებული პუნქტს იყო. XII-XIII სს-ში ცხოველი ურთიერთობა ირანთან კარგად წარმოჩნდა განათხარ მასალაში აღმოჩენილი — ქალაქების რეისა და ქაშანის ნაწარმით. თბილისის ამ უბნის (განჯისკარის) მიდამოებში არქეოლოგიურ გათხრებს 1948 წელს ო. ჯაფარიძე და გ.ლომთათიძე აწარმოებდნენ.

როგორც დმანისის ნაქალაქარზე, ასევე თბილისში აღმოჩენილი ირანული მხატვრული კერამიკა შუა საუკუნეების არქეოლოგიური დეპარტამენტის *დმანისისა* და *განჯისკარის* ფონდებშია დაუნჯებული.

ირანული კოლექციის მეორე ნაწილი პირველი მსოფლიო ომის დროს ირანშია მოპოვებული. კავკასიის მუზეუმის ფუნქციონირების პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 1918-1919 წლებში აღმოჩენილი ირანის მატერიალური კულტურის ამსახველი მხატვრული კერამიკის ნიმუშები. ძველსა და მიმდინარე ფონდში დაცული კოლექცია ეროვნულ მუზეუმს წინამორბედი — კავკასიის მუზეუმიდან გადმოეცა. ის კარგად ასახავს ირანულ კულტურაში ხელოსნობის ამ დარგის განვითარების ფართო სპექტრს.

კერამიკის წარმოება ირანში უმაღლეს საფეხურს აღწევს სელჯუკებისა და მონღოლების მმართველობის ხანაში (XI-XIV სს). განვითარდა კერამიკის ჭურჭლის გრავირება, რელიეფური შემკულობა, ოქროთი დაფარვა და სხვ. მნიშვნელოვანი გარდატეხა კერამიკის წარმოებაში მოხდა, როცა ჭურჭელზე დაიწყეს ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების გამოსახვა. სელჯუკების დეკორატიული სტილი უკვე არსებულ ისლამურ დეკორატიულ სტილს შეერწყა. ირანული კერამიკის ხელოვნების უმაღლეს მიღწევად XII ს-დან ჭურჭლის ლუსტრით მოხატვა ითვლება.

ეროვნული მუზეუმის ირანული კოლექციის ექსპონატთა უმრავლესობა სელჯუკების მმართველობის ხანაშია დამზადებული (XII-XIV სს., სელჯუკური და ადრეილხანური პერიოდები) და ირანის მხატვრული კერამიკის მწარმოებელი ცნობილი ცენტრების (რეი, ქაშანი, სულთანაბადი) ნიმუშებითაა წარმოდგენილი. კოლექციაში გამოიყოფა კერამიკის რამდენიმე ჯგუფი: ლუსტრიანი ფაიანსი, მინაის ტექნიკით დამზადებული ჭურჭელი, შავი საღებავით დაფარული და ამოკვეთილი ორნამენტით შემკული ჭურჭელი, ფერადი ჭიქურით დაფარული ჭურჭელი და თეთრი მონოქრომული კერამიკა. მასალის ძირითადი ნაწილი ჯამები, ქილები, ლამბაქები, დოქები და ქოთნებია.

ქალაქი რეი, შუა საუკუნეების ირანის ერთ-ერთი დაწინაურებული პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, XII-XIII სს-ის ირანში მეთუნეობის მთავარი კერა იყო, სადაც ამზადებდნენ ლუსტრიან ფაიანსს, მინაის ტექნიკით მიღებულ ჭურჭელს, პოლიქრომულსა და მონოქრომულ კერამიკას. კვლევისას

გამოვლინდა ქალაქ რეის კერამიკის სახელოსნოში დამზადებული ჭურჭელი და განისაზღვრა ქრონოლოგიური შუალედი – XII ს-ის მეორე ნახევარი და XIII ს-ის დასაწყისი. მასალის კლასიფიკაციისას ყურადღება ექცეოდა ჭურჭლის შემკობის ტექნიკასა და დეკორის სტილისტურ-ტიპოლოგიურ ასპექტებს [ჩემია მ. 2012: 73-74].

მეორე მნიშვნელოვანი ცენტრის – ქაშანის კერამიკის საწარმო თავისი მაღალმხატვრული პროდუქციის წყალობით გამოირჩევა შუა საუკუნეების კერამიკის მწარმოებელი სხვა ცენტრებისგან. კვლევის პროცესში გამოიყო ქაშანის კერამიკის პროდუქციის შემდეგი ჯგუფები: ლუსტრიანი ფაიანსი, მონოქრომული და პოლიქრომული კერამიკა. ქაშანის კერამიკის ნაწარმი XIII ს-თა და XIV ს-ის დასაწყისით თარიღდება [ჩემია მ. 2012: 73-74].

სულთანაბადური ტიპის კერამიკა მდიდრული ფერადოვანი გამითა და გრაფიკული დეკორის თვითმყოფადი მხატვრული სტილით გამოირჩევა. დამახასიათებელია მოთეთრო კეცი, ჩვეულებრივზე სქელ ფენად დადებული ჭიქური და ჭურჭლის ძირზე წარმოქმნილი მომწვანო ჭიქურის ე.წ. გუბეები; ჭიქურის მძიმე ნაღვენთები ამ ნაწარმის ზედაპირზეც შეიმჩნევა. ჭიქურს აქვს მიდრეკილება ლამაზი ბზარებისა და ირიზაციისკენ. აღნიშნული ტიპის მხატვრული კერამიკა XIV ს-ის დასაწყისით განისაზღვრა [ჩემია მ. 2012: 73-74].

წარმოდგენილ ნაშრომში, უმთავრესად, შუა საუკუნეების ირანული ფაიანსის ქიმიურ-ტექნოლოგიური კვლევის შედეგებია განხილული. კომპლექსურად შესწავლილია დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მოჭიქული ფაიანსისა (საინვ. №№ 347, 1056, 1072, 1178) და ირანის, ქ. რეის, ნაწარმი (საინვ. №№ 1963 და 2151) [ჩემია მ. 2012: 73-74].

ლაბორატორიული ექსპერიმენტი

განისაზღვრა ირანისა და დმანისის კერამიკის მასალის კეცისა და ჭიქურის მინერალოგიური შედგენილობა. მათი შედარებითი ანალიზისას დადგინდა მასალის დამზადების ქიმიურ-ტექნოლოგიური სქემა.

შესასწავლად შერჩეული კერამიკის ფრაგმენტებზე ჩატარდა ბინოკულარული კვლევა, ტესტი სიმაგრის გამოსავლენად, ტესტი მარილმჟავასა და გამოცდა წყლის შეწოვის უნარზე. მასალის მინერალოგიური და ქიმიური შედგენილობა განსაზღვრულია რენტგენოფაზური (XRD) და რენტგენოფლუორესცენტული (XRF) ანალიზებით.

სიმაგრის ტესტით გამოვლენილია კეცის განსხვავებული სიმაგრე (4 ფარდობითი სკალით) ნიმუშისათვის – საინვ. № 2151 და (3 ფარდობითი სკალით) ნიმუშებისათვის – საინვ. №№ 374, 1056, 1072. ეს ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავდება ფორიანობითაც. დმანისის კერამიკა გამოირჩევა მაღალფორიანობით და მყისიერად იწოვს წყალს, ქ.რეის ნაწარმის № 2151, უფრო მჭიდრო აგებულებით ხასიათდება. სრულიად განცალკევებით დგას ექსპონატი, საინვ. № 1967 რომლის სიმაგრე ფარდობითი სკალით 3-ზე ნაკლებია და მკვეთრად დუღს მარილმჟავის დასხმისას, რაც მისი კეცის კარბონატულ შედგენლობაზე მიუთითებს.

ვიზუალურ-მორფოლოგიური აღწერა

ფაიანსის ნიმუშთა ვიზუალურ-მორფოლოგიური და ბინოკულარული კვლევით გამოიკვეთა ტექნოლოგიური შრეების: კეცის, ანგობის, ჭიქურის მხატვრული გაფორმების სახე, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ფაიანსის ნაკეთობების ხელოვნებათმცოდნეობითი შეფასებისათვის.

ფაიანსის ფრაგმენტი – საინვ. № 2151

ფაიანსის ფრაგმენტი გარე, ამობურცული, მხარიდან დაფარულია ლურჯი ჭიქურით (სურ. 1), მისი ჩაზნექილი ზედაპირი კი – უფერო ჭიქურით. უკანასკნელი შემკულია ღია ყავისფერი მოხატულობით. უფერო ჭიქურის ქვეშ კარგად ჩანს ანგობი.

ამავე ფრაგმენტის ბინოკულარული გამოკვლევით დასტურდება სამი ფენა – ლურჯი ჭიქური, მჭიდრო აგებულების წვრილმარცვლოვანი კეცი და უფერო ჭიქური. ნახატი უფერო ჭიქურზე შესრულებულია ზევიდან, სავარაუდოდ, რკინის შემცველი ბუნებრივი პიგმენტით. ლურჯი ჭიქური გამოირჩევა გაზური ჩანართების განსაკუთრებული სიმრავლითა და დიდი ზომით. ეს კი გამოწვის მაღალ ტემპერატურაზე უნდა მიუთითებდეს, ვინაიდან სწორედ 1025^{0}C ტემპერატურა განაპირობებს აირების განსაკუთრებით ინტენსიურ გამოყოფას. პროცესი თანდათან ნელდება და თითქმის წყდება 1150^{0}C-ზე [Зельманг Г. 1959: 189].

ფაიანსის ფრაგმენტი – საინვ. № 1056

ამ ფრაგმენტზე (სურ. 2) კარგად ჩანს კეცის ღია მოყავისფრო-მოყვითალო მონატეხი. საინვ. №2151 – სგან განსხვავებით, უფრო უხეშმარცვლოვანი და ძალიან ფოროვანია (წყლის მყისიერად შეწოვით). ლურჯი ჭიქურის ქვეშ გავრცობილია ანგობის თეთრი ფენა. ჭიქურის ფერი ინტენსიური და არაერთგვაროვანია.

ბინოკულარული დაკვირვებით გამოვლინდა ლურჯი ჭიქურის ფენის ცვალებადი სისქე, რაც ფერის არაერთგვაროვანი განაწილების შთაბეჭდილებას იწვევს და ღია და მუქი ტონალობების მონაცვლეობას განაპირობებს. ზოგჯერ ჭიქური ორნამენტის ღარებში ან ზედაპირის ჩაღრმავებებშია „ჩაგუბებული". გაზის ბუშტების სიმრავლე გამოწვის აირწარმოქმნის კრიტიკულ ტემპერატურაზე მიუთითებს. მონატეხზე ჩანს, რომ მთლიანად ჭიქური ლურჯადაა შეღებილი (ლურჯი მინა).

ფაიანსის ფრაგმენტი – საინვ. № 1072

ფაიანსის ეს ფრაგმენტი შემკულია ამობურცული ყვავილოვანი ორნამენტით და ფირუზისფერი ჭიქურითაა დაფერილი (სურ. 3).

ფირუზისფერი ჭიქურის ქვეშ კარგად ჩანს თეთრი ანგობის ფენა, ხოლო ყვავილის გულში – კეცის ბუნებრივი მოყავისფრო-მოყვითალო ფერი და უხეშმარცვლოვანი ტექსტურა. კეცი ძალიან ფოროვანია. ჭიქურის ფენა უხვად შეიცავს განსხვავებული ზომის გაზურ ჩანართებს. მთელი ჭიქური პიგმენტითაა შეფერილი (ფირუზისფერი მინა).

ფაიანსის ფრაგმენტი – საინვ. № 374

დმანისის ნაქალაქარის ფაიანსს აქვს ლურჯი ჭიქური გარე, ამობურცული, მხარიდან (სურ. 4) და ფირუზისფერი ჭიქური ჩაზნექილი მხარი-

დან. კეცი (უხეშმარცვლოვანი, ძლიერფოროვანი) და ჭიქური (აირადი ბუშტების ფაზით) №1072 და №1056-ების ანალოგიურია.

მასალა – საინვ. №1178

დმანისის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრებისას მონპოვებული სოლიდან მოხსნილი მასალა შეიცავს კეცისა და ფირუზისფერი ჭიქურის ფრაგმენტებს (სურ. 5). ჭიქურში კარგად ჩანს ახსნილი მსხვილი გაზის ბუშტების კვალი. კეცი და ჭიქური №№374, 1072 და 1056-ების ანალოგიურია.

ფაიანსის ფრაგმენტები – საინვ. №1963

წარმოდგენილია ფაიანსის სამი ფრაგმენტი დამზადებული კარბონატული მასისგან, დამახასიათებელი რბილი კეცით. ზედაპირზე განლაგებული მწვანე პიგმენტის შრე და ჭიქურის საკმაოდ თხელი ფენა სრულად ვერ ნიღბავს მის ხორკლიან ზედაპირს (სურ. 6).

საქართველოსა და ირანის ტერიტორიებზე აღმოჩენილი მხატვრული კერამიკის მაკროსტრუქტურული ანალიზით მიღებულმა შედეგებმა განაპირობა მასალის რენტგენოფაზური და რენტგენოფლუორესცენტული მეთოდით კვლევის აუცილებლობა.

რენტგენოფაზური ანალიზი

რენტგენოფაზური ანალიზით გამოავლინდა ფაიანსთა – საინვ. №№1056, 1072 და 2151 კეცების ტექნოლოგიური იდენტურობა – მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი სილიკატური ნახევარფაიანსები. ტექნოლოგიურად განსხვავებულია ფაიანსი, საინვ. №1963, რომელიც ოპტიმალურ ტემპერატურაზე გამომწვარი კარბონატული ფაიანსია.

კერამიკის აღნიშნულმა კეცებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დიფრაქტოგრამების მცირე კუთხეთა არეში მოგვცა სახასიათო გალო, რაც მეტყველებს საწყისი კაზმის წვრილდისპერსულობაზე. რენტგენოფაზური ანალიზით აგრეთვე გამოვლენილია გამოწვის პროცესში კაზმის სილიმანიტისა და დისტენის ნარევად გარდაქმნის ფაქტი. მინერალთა ეს ასოციაცია კაზმის 1200^{0}C ტემპერატურაზე გამოწვის მაჩვენებელია [Годовиков А. 1983:296-299]. რენტგენოგრამაზე სიბრტყეთაშორისი მანძილების მნიშვნელობათა ცვალებადობა აიხსნება არაერთგვაროვანი შემადგენლობის კაზმით ან გამოწვის წინ კაზმის დამუშავების განსხვავებული ტექნოლოგიური პროცესის გამოყენებით.

ცნობილია, რომ აღმოსავლური ფაიანსების კეცი იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: სილიკატურ ანუ კვარცისა და თიხის ჯგუფებად. სილიკატური კეცი, უმთავრესად, შედგება ათი წილი კვარცის ქვიშისაგან ან დაფშვნილი კვარცისაგან, ერთი წილი მინის ფრიტასაგან და ერთი წილი თეთრი თიხის – კაოლინისაგან [Mason R., Tite M. 1994: 77-91; http://www.arch/ox/ac/uk/dl-tite2.html]. თიხის კეცი, თავის მხრივ, კირის შემცველობის მიხედვით, შეიძლება დაიყოს ორ ქვეტიპად: კარბონატულსა და არაკარბონატულ სახეობებად. ამრიგად, სახეზეა აღმოსავლური კეცის სამი ტიპი: სილიკატური კეცი, რომელიც შეიცავს >75% SiO_2 (ხშირად >85% SiO_2; როგორც წესი, <8% Al_2O_3 და <9% CaO); კირქვოვანი თიხის კეცი, რომელიც შეიცავს >8% CaO (ხშირად >10% CaO; როგორც წესი, >6% Al_2O_3, ხშირად >10% Al_2O_3) და არაკარბონატული თიხის კეცი, რომელიც შეიცავს <6% CaO და >12% Al_2O_3).

კეცის ქიმიურ-ტექნოლოგიური მახასიათებლების შესწავლის ერთ-ერთი ხიბლი არქეოლოგისა და ხელოვნებათმცოდნისათვის ადგილობრივი ნაწარმის გამოყოფის შესაძლებლობაა. მაგალითად, აღსანიშნავია, რომ კუხეთის რუსთავის განათხარი კერამიკის მასალის კუთვნილი (XII-XIII სს.), ზოგიერთი ფაიანსის ქიმიურ-ტექნოლოგიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ადგილობრივი ნაწარმის კეცი (საინვ. №361) კირის სიჭარბით ხასიათდება (7%-მდე). ადგილობრივ აღმოჩენილი ირანული ნაწარმის (საინვ. №3412) კეცი კი ნაკლებკირიანი ან თითქმის უკიროა (2%-მდე) და მინერალოგიურად უფრო მინდვრისშპატოვან-კვარცულია [მამაიაშვილი ნ. 1969: 106-125].

კეცის შემადგენლობაზე მსჯელობისას გამოვიყენეთ ამ ორი ქიმიური ანალიზის მონაცემები [მამაიაშვილი ნ. 1969: 106-125], რომლებიც გადავთვალეთ მინალებზე და გამოვავლინეთ საწყისი კაზმის სავარაუდო მინერალური შედგენილობა ჟანგეულების თანაფარდობის მიხედვით.

- ფაიანსისთვის (საინვ. №361): კაჟმიწა – 67,15%; მინდვრის შპატი – 1,32%; თიხა — 15,33%; კალციტი – 15,20%; რკინის სულფიდი – 0,99%.
- ფაიანსისთვის (საინვ. №3412): კაჟმიწა – 82,97; მინდვრის შპატი – 9,57%; კორდიერიტი — 9,71%; კალციტი – 0%; რკინის სულფიდი – 0,75%.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ფაიანსი საინვ. №361 საქართველოდან და ფაიანსი (საინვ. №3412) ირანიდან არ შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს, ვინაიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ადგილობრივი მიეკუთვნება კარბონატულ, ხოლო ირანული სილიკატური ფაიანსების ტიპს.

ანალოგიური სურათია ჩვენ მიერ შესწავლილ კოლექციაშიც. ერთი კერამიკული ნიმუში ირანიდან (საინვ. №2151) და 4 დმანისიდან (საინვ. №№374, 1056, 1072, 1178) სილიკატური ფაიანსის ტიპს მიეკუთვნება, ხოლო ფრაგმენტები მწვანე ჭიქურით ირანიდან (საინვ. №1963) კარბონატული ფაიანსების ჯგუფში განიხილება.

ჭიქურის რენტგენოფაზური ანალიზის შედეგებში საყურადღებოა მინის მინერალურ შემადგენლობაში არსებული სხვაობა: №1056-სთვის ეს α-ტრიდიმიტი,გელენიტიდაოლიგოკლაზია,ხოლო№1072-სთვის–მულიტი, α-ტრიდიმიტი, კორდიერიტი. გ.კუკოლევის მიხედვით, ასოციაციისათვის ანორთიტი+მულიტი+ α-ტრიდიმიტი ევტექტიკის ტემპერატურა ~1345^{0}C-ია; ასოციაციისათვის ანორთიტი + ფსევდოვოლასტონიტი (კორდიერიტი) + α-ტრიდიმიტი ევტექტიკის შესაბამისი ტემპერატურა 1170^{0}C-ია; ანორთიტი + გელენიტი + α-ტრიდიმიტი ასოციაციისათვის შესაბამისი ევტექტიკის ტემპერატურა 1265^{0}C უდრის [Куколев Г.1966:336].

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვ.მიხეევის ცნობარის მონაცემებით, შეიძლება განვსაზღვროთ კრისტალიზაციის შემდეგი ტემპერატურები: გელენიტისათვის (ხელოვნური პროდუქტისათვის) 1300^{0}C, კაოლინის გამოწვით მიღებული მულიტისათვის ან კალცინირებული მულიტისათვის ~ 1250^{0}C [Михеев В.1957: 696-697].

საინტერესოა, რომ, №1963 ფაიანსის ტექნოლოგიური მონაცემებით, კეცის თავზე განლაგებული მწვანე პიგმენტის შრე, რენტგენული ანალიზის თანახმად, აღმოჩნდა შპინელის ბუნების ხელოვნურად მიღებული პროდუქტი, რომელიც შეფერილია ტყვიის მინარევით, აგრეთვე რკინის

$CaFe_2O_4$ და ქრომის $CaCrO_3$ ნაერთებით. მწვანე პიგმენტზე გადაკრული უფერო ჭიქური მინისებრი კაჟმიწაა მიღებული გამლღვალი მასის 650^{0}C ტემპერატურაზე გაცივებისას [Браун Г. 1965:165-167].

რენტგენოფლუორესცენტული ანალიზი

რენტგენოფლუორესცენტული ანალიზით განსაზღვრულია ჭიქურის შემფერავი ოქსიდები. კეცსა და ჭიქურს შორის ანგობის შრის არსებობისა და ჭიქურის გამჭვირვალობის გამო თავიდანვე სავარაუდო იყო ტყვიის შემცველობა.

რენტგენოფლუორესცენტული ანალიზის შედეგების თანახმად (ცხ. 1), კაჟმიწისა (Si) და თიხამიწის (Al) გარდა, ჭიქურის ძირითადი ელემენტებია: ტყვიის ოქსიდი (Pb), პოტაში (K) და კირი (Ca). სოდის კონცენტრაცია (რომელიც დომინანტური ტუტეა აღმოსავლურ ფაიანსში) არ გამოვლინდა. ამიტომ ჭიქურების დაყოფა შესაძლებელია ტყვიის ოქსიდის კონცენტრაციის მიხედვით [Mason R. 2004: 77-80; http://www.arch/ox/ac/uk/dl-tite2.html]. აღნიშნულის შესაბამისად, აღმოსავლური ჭიქურები იყოფა შემდეგ ოთხ ტიპად: კირ-ტუტე ჭიქურები (<2% PbO); ტყვია-ტუტე ჭიქურები ტყვიის მცირე შემცველობით (2.0 – 9.9% PbO); ტყვია-ტუტე ჭიქურები ტყვიის ოპტიმალური შემცველობით (10 – 35% PbO) და ჭიქურები ტყვიის მაღალი შემცველობით (>35% PbO).

კერამიკის (ფაიანსის) საკვლევ ნიმუშთაგან: დმანისის უკლებლივ ყველა ნიმუში (საინვ. №№374, 1056, 1072, 1178) ეკუთვნის კირ-ტუტე ჭიქურებს (0.0068 – 0.121% PbO); ფაიანსი ირანიდან (საინვ.№2151) – ტყვია-ტუტე ჭიქურებს ტყვიის მცირე შემცველობით (2,96% PbO); ხოლო მწვანე ფერის კირქვოვანი ფაიანსი ირანიდან (№1963) დაფარულია ტყვია-ტუტე ჭიქურით (10,57% PbO).

ნათლად ჩანს, რომ ჭიქურის ლურჯ ფერს განაპირობებს Co, შესაძლოა, მოდიფიცირებული Fe და Cu. ჭიქურის ფირუზისფერს კი – Cu [http://www.arch/ox/ac/uk/dl-tite2.html]. კობალტის, როგორც მინის შემფერავი აგენტის არსებობა, ხელის სპექტროსკოპითაც დასტურდება (კობალტის სპექტრი).

გამოკვლეული კერამიკის ნაწარმის ფერთა გამის ფორმირებისათვის, სავარაუდოდ, გამოყენებულია შემდეგი ბუნებრივი პიგმენტები: სპილენძის წყაროდ - ბრინჯაო ან სპილენძის მადანი – ხალკოპირიტი ($CuFeS_2$), კობალტის წყაროდ – კობალტის სულფიდები (CoAsS; (Co,Fe)AsS, $CoAs_{3-2}$). (საგულისხმოა As-ისა და S-ის მომატებული შემცველობა ყველა ლურჯ ჭიქურში). დმანისური კერამიკისთვის დამახასიათებელია თუთია, რომელიც არ გვხვდება სხვა კერამიკის ნაწარმში.

მწვანე პიგმენტში (საინვ. №1963) ყურადღებას იქცევს იმ ელემენტების მაღალი შემცველობა, რომელთა კომბინაცია და თანაფარდობა ხშირად განსაზღვრავს მწვანე შეფერილობას – რკინის (Fe 0.29%), ქრომის (Cr 0.067%), სპილენძისა (Cu 1.247%) და ტყვიის (Pb 10.57%). პიგმენტის საწყის მასალასთან უნდა იყოს დაკავშირებული გოგირდის, დარიშხნისა და ქლორის მომატებული შემცველობა. რენტგენოფლუორესცენტული ანალიზის შედეგები ეთანადება რენტგენოფაზური ანალიზის მონაცემებს.

დასკვნა

ჩატარებული სტილისტურ-ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად სამეცნიერო საზოგადოებას გავაცანით დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ირანული მხატვრული კერამიკის არაერთი საყურადღებო ნიმუში და პირველად დათარიღდა ისინი.

მასალის სტილისტურ-ტიპოლოგიური ნიშნების საფუძველზე კოლექციაში დაცულ ფაიანსთა კლასიფიკაცია კერამიკის წარმოების ცენტრებისადმი კუთვნილების საფუძველზე მოხდა და სამი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყო. შუა საუკუნეების ირანის კერამიკის მწარმოებელი სამი მნიშვნელოვანი ცენტრი – რეი, ქაშანი, სულთანაბადი ახლებურად წარმოჩნდა. ირანული მხატვრული კერამიკის დიდი ნაწილი ქ.რეის საწარმო-სახელოსნოების ნაწარმს განეკუთვნება და XII ს-ის მეორე ნახევრითა და XIII ს-ის დასაწყისით თარიღდება. ირანული ფაიანსის ნიმუშთა მცირე ნაწილი ქ.ქაშანშია წარმოებული (XIIIს-ის – XIVს-ის პირველი ნახევარი), აქვე გვხვდება ტიპური სულთანაბადური კერამიკა (XIV ს-ის დასაწყისი).

ფაიანსის ნიმუშების იდენტიფიკაციისა და შედარებითი ანალიზის დროს, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია კეცის ტიპი (სილიკატური – კარბონატული). მასალის ტექნოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, გამოიკვეთა მაღალტემპერატურული (1070-1250^{0}C) სილიკატური ფაიანსების ორი ჯგუფი. ერთი მხრივ, ირანის კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტი (საინვ. №2151, ფარდობითი სკალით სიმაგრე 4), მეორე მხრივ, დმანისის ფაიანსები (საინვ. №№1056, 1072, 374. ფარდობითი სკალით სიმაგრე 3). ცალკე განიხილება ირანის შედარებით დაბალტემპერატურული (~650^{0}C) კარბონატული ფაიანსი (საინვ. №1967), რომლის სიმაგრე ფარდობითი სკალით 3 ერთეულზე ნაკლებია. ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფორიანობითაც.

ადგილობრივი და ირანული საკვლევი ფაიანსი ჭიქურის ქიმიური შედგენილობითა და ტიპით განსხვავდება. გამოიკვეთა მათი კლასიფიკაციის შესაძლებლობა ტყვიის ოქსიდის – PbO შემცველობის მიხედვით: კირ-ტუტე (დმანისის უკლებლივ ყველა ნიმუში – საინვ.№№ 374, №1056, №1072, №1178), ტყვია-ტუტე ტყვიის მცირე შემცველობით (ნიმუში ირანიდან, ქ.რეი. საინვ. №2151) და ტყვია-ტუტე (კირქვოვანი ფაიანსის ნიმუში ირანიდან, ქ. რეი საინვ. №1963). მნიშვნელოვანია Zn-ის შემცველობა დმანისის ჭიქურში, ქ. რეის ნიმუშებისგან განსხვავებით (შესაძლოა, თუთია არსებითი ელემენტია დმანისის ტიპის კერამიკის წარმომავლობის განსაზღვრისათვის).

ირანსა და საქართველოში მოპოვებული მხატვრული კერამიკის ურთიერთმიმართების კვლევისას ქიმიურ-ტექნოლოგიურმა ანალიზებმა ირანის ქალაქ რეის კერამიკის ნაწარმისა და საქართველოს დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ჭურჭლის ფრაგმენტების კეცისა და ჭიქურის განსხვავება ცხადყო.

დმანისის კერამიკის ადგილობრივ წარმომავლობას ზედმიწევნით განსაზღვრავს სოლიდან აღებული ნიმუშის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების იდენტურობა აქვე, in situ, აღმოჩენილ კერამიკის ფრაგმენტებთან.

შედარებითი და ტექნიკური ანალიზის შედეგად საქართველოში, კერძოდ, დმანისის ნაქალაქარზე, ფაიანსის ნაკეთობების ადგილობრივი წარმოების თაობაზე ვარაუდი გამყარდა.

ARCHAEOLOGY

Margalita Chemia*, Ia Akhvlediani, Irina Kakhniashvili**, Zurab Okrocvaridze**, Givi Inanishvili****

*The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: Akhvledianiia@Yahoo.com.

**Georgian Technical University, Dipartment of Applied Geology
77 M. Kostava St. 0175, Tbilisi, Georgia
E-mail: Akhvledianiia@yahoo.com

The Origin of Medieval Iranian Ornamental Ceramics Found in Georgia

Summary

Specimens of ornamental ceramics found on the territory of ancient Dmanisi, that are kept in Medieval Archaeological Collection funds of the Georgian National Museum and those found in Iran ,have been studied by interdisciplinary research methods.

Origin of Iranian and local faience was proved by correlation results of historical, topologic ,stylistic, morphological-macroscopic analysis of the material. Corresponding groups of ornamental ceramic product have been defined.

ბიბლიოგრაფია

მამაიაშვილი ნ. 1969: შუა საუკუნეთა საქართველოში ფაიანსის წარმოებისა და მოხმარების ისტორიისათვის. *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. №1.* გვ. 106-125. თბილისი (რედ. გ. ლომთათიძე).

ჩემია მ. 2010: შუა საუკუნეების ირანული მხატვრული კერამიკა საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან. *სემმ.* ტ. I (46-B). გვ. 211-220. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

ჩემია მ. 2012: *საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული XII –XIV სს-ის.*

ირანული მხატვრული კერამიკის ატრიბუცია (სელჯუკური და ადრეილხანური პერიოდი). სადოქტორო დისერტაცია. თბილისი.

Годовиков А. А. 1983: *Минералогия.* Москва.

Браун Г. 1965: *Ренгеновские методы изучения и структура глинистых минералов.* Москва.

Зельманг Г. 1959: *Физико-химические основы керамики*. Москва.

Куколев Г. В. 1966: *Химия кремня и физическая химия силикатов*. Москва.

Михеев В. И. 1957: *Рентгенометрический определитель минералов*. Москва.

Mason R. B., Tite M.S. 1994: The beginning of Islamic stonepaste technology. *Archaeometry*. 36. pp. 77-91. Oxford (ed.: Mark Pollard, Ina Reiche, James Burton, Gilberto Artioli and Cathy Batt).

Mason R. B. 2004: *Shine like the sun.* Royal Ontario Museum. Toronto.

http://www.arch/ox/ac/uk/dl-tite2.html - Analytical date for Islamic Ceramics – School of Archaeology - University of Oxford.

ილუსტრაციების აღწერილობა

ცხრილი 1. ჭიქურის რენტგენოფლუორესცენტული ანალიზის შედეგები

სურ. 1. ფაიანსი (საინვ. №2151) ლურჯი და უფერო ჭიქურით. ქ. რეი

სურ. 2. ფაიანსი (საინვ. №1056) ლურჯი ჭიქურით. დმანისი

სურ. 3. ფაიანსი (საინვ. №1072) ფირუზისფერი ჭიქურით. დმანისი

სურ. 4. ფაიანსი (საინვ. №374) ლურჯი და ფირუზისფერი ჭიქურით. დმანისი

სურ. 5. სოლიდან (საინვ. №1178) მოხსნილი მასალა (კეცისა და ფირუზისფერი ჭიქურის ფრაგმენტებით). დმანისი

სურ. 6. კირქვოვანი ფაიანსი (საინვ. №1963), მწვანე პიგმენტის ფენით. ქ. რეი

LIST OF ILLUSTRATIONS

Table 1. Results of XRF analysis of glaze

Fig. 1. Sample N2151. Faience with blue and colorless glaze. Ray

Fig. 2. Sample N1056. Faience with blue glaze. Dmanisi

Fig. 3. Sample N1072. Faience with greenish-blue – "turquoise" glaze. Dmanisi

Fig. 4. Sample N374. Faience with blue and greenish-blue glaze. Dmanisi

Fig. 5. Sample N1178. Fragments of ceramic body and greenish-blue glaze – material from dowel. Dmanisi

Fig. 6. Sample N1963. Calcareous ceramic with layer of green pigment and thin colorless glaze. Ray

ცხრილი 1 **Table**

ჭიქურის რენტგენოფლუორესცენტული ანალიზის შედეგები

ელემენტები	ირანი, რეი ფაიანსი ლურჯი ჭიქურით	დმანისის ნაქალაქარი ფაიანსი ლურჯი ჭიქურით	დმანისის ნაქალაქარი ფაიანსი ლურჯი ჭიქურით (გარე მხარე)	დმანისის ნაქალაქარი ფაიანსი ფირუზისფერი ჭიქურით	დმანისის ნაქალაქარი ფაიანსი ფირუზისფერი ჭიქურით (შიგა მხარე)	დმანისის ნაქალაქარი ფაიანსი ფირუზისფერი ჭიქურით სოლზე	ირანი, რეი ფაიანსის ფრაგმენტები მწვანე ჭიქურით
	ნიმ. №2151	ნიმ. №1056	ნიმ. №374	ნიმ. №1072	ნიმ. №374	ნიმ. №1178	ნიმ. №1963
							
ფერი	ლურჯი			ფირუზისფერი			მწვანე
Mg	0.800	-	0.389	-	-	-	-
Al	0.370	0.692	0.476	0.620	0.285	0.767	0.096
Si	18.450	17.637	18.243	13.246	11.083	11.287	1.130
P	0.245	0.501	0.317	0.370	0.249	0.342	0.116
S	1.036	0.180	0.176	0.173	0.136	0.280	4.348
Cl	5.563	4.141	5.062	6.833	11.927	9.272	28.803
K	7.097	6.019	10.689	4.231	7.686	3.788	1.797
Ca	3.015	3.827	4.203	3.817	3.271	2.046	2.224
Cr	-	-	-	-	-	0.018	0.067
Ti	0.065	0.128	0.073	0.104	0.096	0.112	-
Mn	0.017	0.047	0.050	0.040	-	0.119	-
Mo	-	-	-	-	0.001	0.001	-
Fe	1.813	2.278	2.089	0.750	-	0.825	0.286
Ni	-	-	-	0.0025	-	0.0034	-
Co	0.152	0.369	0.179	-	-	-	-
Cu	0.115	0.164	0.413	0.786	-	1.427	1.247
Zn	-	0.066	0.0158	0.0103	-	0.008	-
As	0.111	0.250	0.141	0.0317	-	0.0058	0.786
Zr	0.0234	0.0169	0.0126	0.0168	0.0160	0.0205	0.0056
Cd	0.113	0.097	-	0.081	0.080	0.032	0.092
Sn	0.052	0.024	-	0.022	0.031	-	0.035
Sb	0.059	0.042	-	0.036	0.038	-	0.066
Pb	2.962	0.0108	-	0.0183	0.121	0.0068	10.567
LE	57.941	63.509	-	68.811	62.833	69.641	48.334

შენიშვნა:

1. ნაცრისფრით მონიშნულია ჭიქურის შემადგენელი ძირითადი ელემენტები
2. შავი უჯრებით გამოყოფილია მთავარი პიგმენტები



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.

სურ. 4 **Fig.**





სურ. 5 **Fig.**

სურ. 6 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 172-182
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 172-182

ნუმიზმატიკა

მედეა შეროზია

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: m.sherozia@yahoo.com

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი სოფელ პატარა მეჯვრისხევიდან

2003 წლის 4 მარტს გორის რაიონის სოფელ პატარა მეჯვრისხევში მცხოვრებმა ნოდარ ახალკაცმა სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში მოიტანა საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში მიწის ამოღების დროს ნაპოვნი შემდეგი არტეფაქტები:

1. ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 336-323 წწ.) სტატერის ოქროს მინაბაძი; 2. არტაბან II-ის (88-77წწ.)-ის დრაქმა. პართია; 3. ოროდ II-ის (ძვ.წ. 57-38/37 წწ.) დრაქმა. პართია; 4. ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ.14 წწ.) დენარი, მოჭრილი რომში ძვ.წ. 2 – ახ.წ. 4 წწ-ში; 5. რძისფერი ქალცედონის საბეჭდავი ინტალიო; 6. ოქროს წყვილი, თავგახსნილი, საყურე. რგოლი.

მპოვნელის თქმით, ამ ნივთებთან ერთად იყო სხვადასხვა მასალისგან დამზადებული მძივები და შავი ფერის თიხის ჭურჭლის ნატეხები. ყველაფერი ეს მან 2002 წლის შემოდგომით იპოვა მიწის ზედაპირიდან 160 სანტიმეტრის სიღრმეზე. ნ. ახალკაცის ნაამბობიდან გამომდინარე, საქმე უნდა გვქონდეს ორმოსამარხის ინვენტართან.

წარმოდგენილი მასალა დავათვალიერე მუზეუმის თანამშრომლებთან – ი. გაგოშიძესა და ქ. ჯავახიშვილთან ერთად. მოვახერხეთ ნივთების ფიქსაცია, გარდა ქალცედონის საბეჭდავისა. ნივთები დარჩა მპოვნელთან. მიგვაჩნია, რომ საქმე გვაქვს მნიშვნელოვან არქეოლოგიურ მონაპოვართან, რომლის პუბლიკაციაც საჭიროა.

სამარხში აღმოჩენილ პართულ მონეტათაგან ყველაზე ადრეულია

1. არტაბან II-ის (ძვ.წ. 88-77 წწ.) დრაქმა. წონა – 3,51 გრ, ზომა – 20 მმ.

შუბლი: მარცხნივ მიმართული მეფის ბიუსტი, მოკლე, პარალელური ხაზებით წარმოდგენილი წვერ-ულვაშით, თავს უკან გაბაფთული და ბოლოებდაშვებული დიადემით, ოთხწყება ყელსაბამით. სამოსელის საყელო და მხრები მოოჭვილია თვლებით. მოჩანს წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი.

ზურგი: არშაკი ზის ზურგიან სამეფო ტახტზე. გაწვდილ ხელში მშვილდი აქვს მომარჯვებული. მშვილდი მარჯვნივ განლაგებულ ზედწერილს ორად ყოფს; შემოწერილია: ზემოთ – ΒΑΣΙΛΕΩΣ ; მარჯვნივ – ΜΕΓΑΛΟΥ; ქვემოთ – ΑΡΣΑΚΟΥ; მარცხნივ, ორ პწკარად – ΘΕΟΠΑΤΟΡΟΣ / ΕΥΕΡΓΕΤΟΥ [Wroth W. 1903: 39,8. tab.IX, 2; აბრამიშვილი თ. 1974:31. №58-66. სურ. 58-65]. = „მეფის დიდისა არშაკისა, ღვთისმოსავისა ან ღვთისმოყვარულისა, კეთილმოქმედისა“ (სურ. 2).

ამ საფასის განსაზღვრისას მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ვ. ვროსი მას მიაკუთვნებს არტაბან II-ს (88-77 წწ.) [Wroth W. 1903: 39,8. tab. IX, 2], დ. სელვუდი მას გოტარზეს I-ს (90-80 წწ.) მიაწერს [Sellwood D. 1971:79.30/II], გარდნერსა და პეტროვიჩს მიაჩნიათ, რომ ისინი ფრააატ II-ის (138-127 წწ.)] მიერ არის მოჭრილი [Sellwood D. 1971: 38].

თ. აბრამიშვილი კი მას არტაბან II-ს უკავშირებს [აბრამიშვილი თ. 1974:31. №58-66].

2. ოროდ II-ის (57-38/37 წწ.) პართული დრაქმა. ვერცხლი. შუბლი – უნიშნოდ. წონა – 3,38 გრ, ზომა – 19 მმ.

შუბლი: მარცხნივ მიმართული მეფის ბიუსტი მოკლე წვერ-ულვაშით, ოთხწყება, კისრამდე დაფენილი თმებით, თავზე დიადემით, რომლის სამი ბოლო თავს უკან ეშვება. მოჩანს თვლებით მორთული სამოსის საყელო. ყელზე აქვს ოთხწყება ყელსაბამი.

ზურგი: არშაკი ზის ზურგიან სამეფო ტახტზე. გაწვდილ ხელში მშვილდი აქვს მომარჯვებული. მშვილდის ქვემოთ მონოგრამაა; ირგვლივ შემოწერილია: ზემოთ – ΒΑΣΙΛΕΩΣ / ΒΑΣΙΛΕΟΝ; მარჯვივ – ΑΡΣΑΚΟΥ; ქვემოთ – ΕΥΕΡΓΕΤΟΥ / ΔΙΚΑΙΟΥ; მარცხნივ, ორ პწკარად – ΕΠΙΦΑΝΟΥΣ / ΦΙΛΕΛΛΗΝΟΣ [Wroth W. 1903: 39. №8. tab.IX,2; Sellwood D. 1971: 118. №45/7; აბრამიშვილი თ. 1974:43. №135] = „მეფისა არშაკისა, კეთილმოქმედისა, სამართლიანისა, დამხმარისა, ბერძენთა მოყვარულისა“ (სურ. 3).

3. რომი, ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27–ახ.წ.14 წწ.), დენარი, მოჭრილი (ძვ.წ. 2-ახ.წ. 4 წწ.) ლუგდუნუმის ზარაფხანაში. წონა – 3,70 გრ, ზომა – 19მმ.

შუბლი: მარჯვნივ მიმართული ოქტავიანე ავგუსტუსის დაფნის გვირგვინიანი თავი წრიული წარწერით: CAESAR AVGUSTUS DIVI F. PATER PATRIAE = „კეისარი ავგუსტე ღვთაებრივი მამა სამშობლოსი“.

ზურგი: გაი და ლუციუს ცეზარები მოსასხამებითა და თავსაბურავებით დგანან ერთმანეთის პირისპირ. ხელით ეყრდნობიან მათ შორის მოთავსებულ ფარებს, რომელთა შუა გადაჯვარედინებული შუბებია. შუბებს შორის, ზემოთ, გამოსახულია სიმპულუმი (simpulum – პონტიფიკების შესაწირი ჩამჩა), მარცხნივ – ლიტუსი (litus-მოღუნული კვერთხი ავგურისა). ირგვლივ წრიული ზედწერილია: C.L. CAESARES AVGUSTI F. COS, DESIA. PRINC. IVVENT. (C(ajus)(et) L (ucius) Caesares Augusti F(iliae) Cos (=Cosulatus) (aliciu) Desig (natus) Pric(eps) juvent(utis) = „გაიუსი (და) ლუციუსი კეისარ ავგუსტეს შვილები კონსულებად დეზიგნირებულნი (არჩეულნი) ტახტის მემკვიდრეები“ [Mattingly H. 1965: 89. №519. tab.13. N9; Robertson A. 1962: 41. tab. 7. №218]. (სურ. 4).

უნდა აღინიშნოს, რომ მონეტა უნაკლოა მხატვრული თვალსაზრისით. ამავე დროს, იდეალურადაა დაცული, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ახალი შემოტანილია სამონეტო მიმოქცევაში, სრულიად არ ეტყობა ხმარების კვალი. ამაზე მიუთითებს მისი სტანდარტული წონაც – 3, 70 გრ.

4. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ადგილობრივი მინაბაძი, ოქრო მაღალი სინჯის, წონა – 5,46 გრ. ზომა – 15 მმ.

შუბლი. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის უკიდურესად სქემატური გამოსახულება დიდი, აპრეხილი ცხვირით და მის ქვემოთ ერთი წერტილით. კისრის ქვემოთ ასევე ოთხი წერტილია (მძივი?). თავს ზემოთ (სავარაუდოდ, მუზარადს

ზემოთ) შემოუყვება მოკლე და 22 (?) პარალელური ხაზისაგან შემდგარი ნახევარწრე (ზოგადად, ასეთი დეტალი დამახასიათებელია ლისიმაქეს სტატერის ადგილობრივი იმიტაციებისათვის).

ზურგი: მოკლექიტონიანი ფრთებგაშლილი ნიკე თითქოს მარცხნივ არის მიმართული. ქვემოთ მოჩანს მარცხნივ მიმართული ორი ფეხი. ორივე ხელი გაშლილი აქვს, თითქოს წვეტიანი შუბი უჭირავს (მარჯვნივ გარკვევით ჩანს შუბის წვერი). თავი წარმოდგენილია წერტილით, რომელიც კვადრატშია ჩასმული. კვადრატს აქვს მოკლე ხაზი, რომელიც წერტილით ბოლოვდება (ათენას თავსაბურავის იმიტაცია უნდა იყოს); თავის წინ, მარცხნივ, სამი წერტილია (სურ. 1).

საფასე ჩვენთვის ცნობილი ნიმუშებისაგან საკმაოდ განსხვავებულია. ზურგის გამოსახულების მიხედვით, ის მცირედ ემსგავსება 1946 წელს ვანში, ახვლედიანების გორაზე, აღმოჩენილ ცალს (გ.ფ. №5088, წონა – 5,60 გრ. სურ. 6) და 1948 წელს ვანშივე, ახვლედიანების გორაზე, აღმოჩენილ ცალს (გ.ფ. №5252, წონა – 4,8 გრ) და ქართული მონეტების უპასპორტო ცალს (№3769. წონა – 5,19 გრ). [Дундуа Г. Ф. 1987: 70, 71. № 51, 52, 53, 54]. ყველაზე მეტად კი ზურგის გამოსახულებით ემსგავსება მესტიის მუზეუმში დაცულ ეგზემპლარს (წონა – 1,65 გრ). განსხვავება ისაა, რომ სვანეთში აღმოჩენილ ცალზე ნიკე მიმართულია მარცხნივ და შუბლის გამოსახულება განსხვავებულია. ამას გარდა, ძალიან დამცრობილია წონაში და სტილისტურადაც განსხვავებულია. იგი უფრო გვიან დამზადებული ნიმუშია [ჩართოლანი შ. 1976: 24. ტაბ. XIII. №4; Дундуа Г. Ф. 1987: 71. 52]. (სურ. 7).

ზოგადად, ორივე ძალინ ემსგავსება ლისიმაქეს სტატერის ადგილობრივ მინაბაძებს, ერთგვარი სინთეზია ორივე ჯგუფის იმიტაციისა (გ.ფ. №5253 (სურ. 10), 1680, 11921. სოფ. ჩაქვი (სურ. 9), 15558. სოფ. აღაიანი).

უნდა აღინიშნოს, რომ პატარა მეჯვრისხევში აღმოჩენილი მონეტა, სავარაუდოდ, ვანში აღმოჩენილებთან ერთად ჩვენს ხელთ არსებულ ცალებთაგან ყველაზე ადრეულია. ამის მიმანიშნებელი უნდა იყოს მისი მძიმე წონა, ლითონის მაღალი სინჯი და მნიშვნელოვანი მსგავსება ლისიმაქეს სტატერის იმიტაციებთან. იგი დამზადებული უნდა იყოს ძვ.წ. I ს-ის პირველ ნახევარში.

ამავე დროს, პატარა მეჯვრისხევსა და ვანში აღმოჩენილი ხსენებული ცალების დედნებად შესაძლებელია გამოყენებული იყო ა. ზოგრაფის მიერ გამოქვეყნებული [Зограф А. 1951: ил. XII. №17] და ამჟამად მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ა. სერგეევის კოლექციაში დაცული ნიმუში [Сергеев А. Я. 2012: 155. №598]. მისი აღწერილობა ასეთია: წონა – 6,45 გრ, ზომა – 16,5 მმ.

შუბლი: მარჯვნივ მიმართული ათენას თავი მუზარადით. მუზარადის წინა ნაწილში ჩიტია გამოსახული. კეფაზე დიადემის სამი ბაფთაა (?) დაშვებული. ყელზე სამწყება ხაზია (ყელსაბამი ?).

ზურგი: მარცხნივ მიმართული ფრთოსანი ნიკეს სქემატური გამოსახულებაა. თავზე კონუსისებური მუზარადითა და შუბით. ფრთების ზემოთ წერტილებისაგან შედგენილი ვარდულებია (სურ. 8). ჩვენს ხელთ არსებული იმიტაციები, მხატვრული თვალსაზრისით, ბევრად დაბალი ხარისხისაა სერგეევის კოლექციიდან მომდინარე ნიმუშთან შედარებით, თუმცა, მისი უხეში ვარიანტია. ამაზე წონაში სხვაობაც ლაპარაკობს. განსხვავება ერთ გრამშია. ზოგადად, სერგეევის კოლექციის კუთვნილი ცალი ალექსანდრე მაკედონელის დღემდე ცნობილ სტატერის მინაბაძთა შორის ყველაზე ადრეული ნიმუში უნდა იყოს.

ა. ზოგრაფი ლისიმაქეს სტატერის იმიტაციებს ათარიღებს ძვ.წ. I ს-ის მი-

წურულით, ხოლო ალექსანდრე მაკედონელის სტატერის უკიდურესად უხეშ ცალებს – ქრისტიანული ერის დასაწყისით [Зограф А. 1945: 54, 55].

5. ოქროს წყვილი საყურე რგოლები. წრიული, გახსნილი რგოლები დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი, სადა მავთულისგან. გახსნილი, სადა, ოდნავ გამსხვილებული ბოლოები ერთმანეთთან მჭიდროდაა მისული. საყურეები საკმაოდ მასიურია, მავთულის განივკვეთიც – ძალზე მსხვილი. ორივეს წონა 4,26 გრ-ია, საყურის D – 14 მმ. ორივე საყურეს რგოლი მაღალი ხარისხის ოქროს ერთნაირი მავთულისგანაა დამზადებული. D ორივეს ერთნაირი აქვს, რაც იმის მანიშნებელია, რომ საქმე წყვილ საყურესთან გვაქვს (სურ. 5).

ი. გაგოშიძის აზრით, სადა საყურე (ან სასაფეთქლე) რგოლები საკმაოდ გავრცელებული სამკაულია ადრეანტიკური ხანის საქართველოში. თავგახვრეტილ რგოლებს გარდა გვხვდება სრულიად სადა, პირგახსნილი რგოლებიც. ამგვარი საყურეები აღმოაჩნდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჭიათურის 1962 წლის ექსპედიციის მიერ ითხვისში გათხრილ №2 მდიდრული სამარხის პირველ ჩონჩხს. სამარხი თარიღდება ძვ.წ. V ს-ის მიწურულით [გაგოშიძე ი. 1967: 59].

ანალოგიური საყურეების აღმოჩენა რამდენჯერმე დადასტურებულია ვანში. „...ვანის ნაქალაქარის მასალებით ნათლად ჩანს, რომ ძვ.წ. IV ს. დასასრულიდან ხმარებიდან გამოდის ადრე გავრცელებული გახსნილი, ბოლოებგაფართოებული და გახვრეტილი რგოლები და მათ ადგილს იკავებს გახსნილი, ბოლოებგაუხვრეტავი ნიმუშები. ისინი წარმოგვიდგებიან, როგორც დამოუკიდებელ სამკაულად, ისე რთული შედგენილობის საყურის ერთ-ერთ ელემენტად" [ჭყონია ა. 1981:70].

წრიული, გახსნილი საყურე რგოლები კარგადაა ცნობილი ასევე სამადლოდან [გაგოშიძე ი. 1967: 58, 59; Гагошидзе Ю. 1979: 75], მოდინახეს ელინისტური ხანის სამარხებიდან [ნადირაძე ჯ. 1975: 39], სამთავროდან [თოლორდავა ვ. 1963: 149-150].

„სამთავროს ქვევრსამარხების ყველაზე გავრცელებული სამკაული საყურე-რგოლებია, რომლებიც თითქმის ყველა ინვენტარიან სამარხში აღმოჩნდა. ეს საყურე-რგოლები ნაკეთებია ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს მავთულისაგან. ბრინჯაოს საყურე-რგოლები რაოდენობრივად აშკარად სჭარბობს დანარჩენებს. ოქროს საყურე სულ ორ სამარხში აღმოჩნდა" [თოლორდავა ვ. 1980: 52].

ც. დავლიანიძე ამ ტიპის სამკაულის შესახებ წერს: „საყურისა და ბეჭდის დანიშნულების მქონე სხვადასხვა მასალისაგან ნაკეთები მარტივი რგოლების გავრცელების გეოგრაფიული არე თუ ქრონოლოგიური ჩარჩოები ძალზე დიდია. ერთნაირი ფორმისა და ზომის რგოლები ადრეანტიკური თუ ელინისტური ხანის ძეგლებზე გამოვლენილია დიდი რაოდენობით, რის გამოც არ წარმოადგენენ დამათარიღებელ ნივთებს" [დავლიანიძე ც. 1983: 82].

ანალოგიური თავგახსნილი და ბოლოებშემსხვილებული საყურე რგოლი (ცალი) (წონა 1,3 გრ. D – 15 მმ.) დაცულია ცაგერის ისტორიულ მუზეუმში [სულავა ნ. 1996: 123. №153].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სოფ. პატარა მეჯვრისხევში აღმოჩენილი მსგავსი საყურეები ანტიკურ პერიოდში საკმაოდ

გავრცელებული სამკაულია, თუმცა, ოქროსაგან დამზადებული ბევრი არაა შემორჩენილი.

წარმოდგენილი ინვენტარი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ახ.წ. I ს-ის I ნახევრის სამარხეულ კომპლექსთან. ამის თქმის უფლებას გვაძლევს უპირველესად, მასში პართული, არტაბან II-ის (ძვ.წ. 88-77 წწ.) დრაქმის არსებობა, რომელიც არ გვხვდება II ს-ის სამარხებში და საერთოდ ნაკლებადაა დამახასიათებელი ადგილობრივი სამონეტო მიმოქცევისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე ის სულ 11 ცალია აღმოჩენილი. აგრეთვე ის, რომ სამარხში არაა პართული ე.წ. გოტარზესის დრაქმა, რომელიც ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან სამონეტო მიმოქცევის საფუძველი ხდება და ისიც, რომ სამარხში აღმოჩნდა ოქტავიანე ავგუსტუსის იდეალურად დაცული დენარი, რომელიც სულ ახალი გამოსული უნდა იყოს სამონეტო კარიდან, რადგან არ ეტყობა ხმარებაში ყიფნის მცირეოდენი კვალი. ამ სახით ჩვენამდე მოღწეული ცალები თითქმის არ გვაქვს.

აღსანიშნავია, რომ სოფელ მეჯვრისხევის (სოფელი მეჯვრისხევი იყოფა პატარა და დიდ მეჯვრისხევად. ის რამდენიმე კილომეტრშია ქ. გორიდან) ტერიტორიაზე ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძის შემცველი სამარხეული კომპლექსის აღმოჩენის პირველი შემთხვევა არაა: 1947 წელს ამ სოფლის ტერიტორიაზე შემთხვევით გამოვლინდა სამარხი ინვენტარითა და მონეტებით. ამ ნივთებისგან ერთი – ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი, ს. მაკალათიას ცნობით, შევიდა ქალაქ გორის მუზეუმში [Макалатия С. 1951: 161; Капанадзе Д. № 1949: 168, №25]. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მონეტა (№ 6432/1. წონა 3,40 გრ., ზომა 18 მმ) ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი მონეტისაგან განსხვავებულია და მიეკუთვნება ე.წ. ხარისთავიან მინაბაძთა ჯგუფს (მონეტის რევერსზე ნიკეს თავი ხარის თავს მოგვაგონებს. მონეტის ნაპირები ამაღლებულია) და ყველაზე მეტად ემსგავსება (გ.ფ. № 12170 წონა 3,66 გრ. ზომა 17/18მმ.) თიანეთის რაიონის სოფელ მაგრანეთში, №13-ე სამარხში [Дундуа Г. Ф. 1987: 64. №32. ტაბ. XII], ასევე 1951 წელს მცხეთის რკინიგზის სადგურთან აღმოჩენილ, სარკოფაგიდან მომდინარე ცალს (გ.ფ. №9208, წონა – 3,48 გრ. ზომა – 17 მმ.) [Дундуа Г. 1987: 63. №31. ил. XI].

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ასევე ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ადგილობრივი მინაბაძის მეორე ნიმუში, რომელიც აღმოჩენილია ქ. გორში 1951 წელს 18 იანვარს, ჭავჭავაძის ქუჩაზე, ადმინისტრაციული სახლის მშენებლობის დროს. ისიც მიეკუთვნება ე.წ. ხარისთავიან მინაბაძთა ჯგუფს.[1] ამ ნიმუშს ნაპირები უმნიშვნელოდ აქვს ამაღლებული. იგი ემსგავსება, განსაკუთრებით შუბლის გამოსახულებით, მცხეთის მავზოლეუმში აღმოჩენილ (გ.ფ. №№ 9210, 9211) ცალებს [Дундуа Г. 1987: 65, 66. 37, 36. ил. N37, 36], ზურგის გამოსახულებით იდენტურია გ.ფ. საინვ. № 16887-ის, რომელიც აღმოჩენილია 1977 წელს ს. აღაიანში (კასპის რ-ი), №5 სამარხში [Дундуа Г. 1987: 67. №43. ил. XV].

ორივე ნიმუში ძირეულად განსხვავებულია 2002 წელს პატარა მეჯვრისხევში აღმოჩენილ ცალისაგან. ისინი, ჩვენი აზრით, შედარებით გვიანდელი ნიმუშებია. ამაზე მიგვითითებს სტილისტური განსხვავება, დამცრობილი წონა, ლითონის დაბალი სინჯი.

2002 წელს სოფელ პატარა მეჯვრისხევში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი დღემდე ცნობილთაგან ერთადერთი, ყველაზე

[1] გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდი გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის (დირექტორი თ. სოსანიძე) თანამშრომლებს.

ადრეულია, რომელიც გამოვლენილა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. იგი ემსგავსება ვანში აღმოჩენილ ნიმუშებს. ეს მინაბაძები ქმნიან ჯგუფს, რომლებიც, გარკვეული თვალსაზრისით, ჰიბრიდული ნიმუშებია და რომელთა დამზადებისას გამოყენებულია როგორც ალექსანდრე მაკედონელის (სურ.13), ასევე ლისიმაქეს სტატერების გამოსახულებათა (სურ. 14) ცალკეული დეტალები (მაგალითად, აპრეხილი ცხვირი, მხართან – შუბი, ნიკეს თავსაბურავი). ისინი უნდა მომდინარეობდეს ლისიმაქეს ორგინალური სტატერებიდან. სავარაუდოდ, დამზადებული უნდა იყოს ძვ.წ. I ს-ის დასაწყისში.

სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ფონდში დაცულია ალექსანდრე მაკედონელის სტატერის უპასპორტო იმიტაცია, რომელიც გამოირჩევა თავისი ორიგინალურობით. ის, რატომღაც, დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული[2]. ქ.ფ.№6177 წონა 4,50 გრ. ზომა 15/16 მმ. დამზადებულია მაღალი სინჯის ოქროსაგან.

შუბლი: ადამიანის თავის სქემატური გამოსახულება მარჯვნივ მიმართულია, დიდი, მკვეთრად აპრეხილი ცხვირით, ბერეტისმაგვარი ქუდით, რომელზეც ოთხი წერტილია გამოსახული. ასეთივე წერტილია ყურის უკან და ერთიც – კისერთან. გამოსახულებას შემოუყვება მონეტის კიდის გასწვრივ ირიბი, წერტილოვან-ხაზოვანი რკალი (33 ხაზი. ეს დეტალი განასხვავებს მას ყველა სხვა, დღემდე ცნობილი მინაბაძისაგან).

ზურგი: ნიკეს სქემატური გამოსახულება. უკიდურესად სქემატურადვე წარმოდგენილი თავით. თავის მარჯვნივ სამი წერტილია, მარცხნივ – ორი. გამოსახულებას, ისევე, როგორც ავერსს, შემოუყვება ირიბი, წერტილოვან-ხაზოვანი (24 ხაზი) რკალი (სურ. 11).

ალექსანდრე მაკედონელის მინაბაძთა შორის ეს ვარიანტი ჯერჯერობით ერთადერთია. დამზადებული უნდა იყოს ძვ.წ. I ს-ის დასასრულს.

გვიანდელი ნიმუშია და ახ.წ. I ს-ში დაბალი სინჯის ოქროსაგან უნდა იყოს დამზადებული 1986 წელს, კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალაში აღმოჩენილი ცალი (გ.ფ. საინვ. № 22459, წონა – 2,38 გრ. ზომა – 15/16 მმ.). ის ასევე პირველად ქვეყნდება, თუმცა, არ გამოირჩევა ორიგინალურობით.

შუბლი: მარჯვნივ მიმართული ადამიანის სქემატური თავის გამოსახულებაა, დიდი ცხვირით. თვალი წარმოდგენილია წრეში ჩასმული წერტილით. სახის წინ ორი წერტილია, თავს უკან – სამი.

ზურგი: ნიკეს უკიდურესად სქემატური გამოსახულების თავი წარმოდგენილია წერტილით, რომელსაც გრძელი აწეული ყურები (თურქები) აქვს. მარცხნივ სამი წერტილია, მარჯვნივ – ოთხი (სურ. 12).

მონეტა ემსგავსება მცხეთაში, 1951 წელს რკინიგზის სადგურთან, სარკოფაგში აღმოჩენილ ნიმუშებს (გ.ფ. 9210), განსაკუთრებით, შუბლის გამოსახულებით [Дундуа Г. 1987: 66, №37. ил. XIII].

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოსა (73 ც.) და მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში, ასევე კერძო კოლექციებში დაცულია ალ. მაკედონელის სტატერის იმიტაციების სოლიდური რაოდენობა. თვალში საცემია სიქების მრავალფეროვნება. მიუხედავად გარკვეული ჯგუფების მსგავსებისა, ჭირს ერთი და იგივე სიქით მოჭრილი ნიმუშების გამოვლენა, რაც, ერთი მხრივ, მიუთითებს მათ ხანგრძლივ, ორი საუკუნის განმავლობაში, ემისიასა და მათი პრაქტიკული

[2] ნაყიდია 1975 წელს მოქალაქე ოგანეზოვისაგან.

დანიშნულების აქტუალობაზე. საქართველოს ტერიტორიაზე გახშირებული აღმოჩენები განამტკიცებს და უდავოს ხდის ამ ჯგუფის ადგილბრივ წარმომავლობას. გარკვეულად ნათელია მათი გავრცელების არეალისა და ქრონილოგიის საკითხებიც. მეორე მხრივ, ბევრი რამ მათს გარშემო კვლავ ბუნდოვანია, კერძოდ, ბოლომდე ნათელი არაა მათი იურიდიული ბუნება, სამონეტო კარის, იკონოგრაფიული იდენტობის, დამზადების ტექნიკური და ლიგატურის საკითხები და ა. შ. ამიტომ ყოველი ახალი ნიმუშის გამოვლენა და პუბლიკაცია აქტუალურია.

რეზიუმე

2003 წლის 4 მარტს გორის რაიონის სოფელ პატარა მეჯვრისხევში მცხოვრებმა ნ. ახალკაცმა ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმში წარმოადგინა საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთის ტერიტორიაზე მიწის ამოღების დროს ნაპოვნი შემდეგი არტეფაქტები:

1. ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 336-323 წწ.) სტატერის მინაბაძი. ოქრო; 2. პართია, არტაბან II (88-77 წწ.) დრაქმა; 3. პართია, ოროდ II (ძვ.წ.57-38/37 წწ.) დრაქმა; 4. რომი, ოქტავიანე ავგუსტუსი (ძვ.წ.27-ახ.წ.14 წწ.) დენარი, მოჭრილი რომში ძვ.წ. 2 – ახ.წ. 4 წწ.; 5. თეთრი ფერის ქალცედონის საბეჭდავი ინტალიო; 6. წყვილი ოქროს საყურე, თავგახსნილი რგოლი.

პატრონის თქმით, წარმოდგენილ ნივთებთან ერთდ იყო სხვადასხვა მასალისგან დამზადებული მძივები და შავი ფერის თიხის ჭურჭლის ნატეხები. ყველაფერი ეს მან 2002 წლის შემოდგომით იპოვა მიწის ზედაპირიდან 160 სანტიმეტრის სიღრმეზე.

ნ. ახალკაცის ნაამბობიდან გამომდინარე, საქმე უნდა გვქონდეს ორმოსამარხის ინვენტართან..

წარმოდგენილი ალექსანდრე მაკედონელის მინაბაძი ემსგავსება ვანში არმოჩენილ ანალოგიურ მონეტებს, ასევე მესტიის მუზეუმში დაცულ ეგზემპლარს და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აქამდე აღმოჩენილ ცალებთან შედარებით, ყველაზე ადრეული ნიმუშია. დამზადებული უნდა იყოს ძვ.წ. I საუკუნესში.

წყვილი ოქროს საყურე-რგოლები. წრიული გახსნილი რგოლი დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი სადა მავთულისგან, გახსნილი, სადა, ოდნავ გამსხვილებული ბოლოები ერთმანეთთან მჭიდროდაა მისული. საყურეები საკმაოდ მასიურია, მავთულის განივკვეთი საკმაოდ მსხვილი. ორივეს წონა 4,26 გრ. საყურის დიამეტრი 14 მმ. ორივე საყურის რგოლი მაღალი ხარისხის ოქროს ერთნაირი მავთულისგანაა დამზადებული.

ჩვენი საყურის მსგავსი საყურეები ანტიკურ პერიოდში საკმაოდ გავრცელებული სამკაულია, თუმცა ოქროსაგან დამზადებული ბევრი არ არის შემორჩენილი.

წარმოდგენილი ინვენტარი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ახ.წ. I საუკუნის I ნახევრის სამარხეულ კომპლექსთან

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოს (73 ც.) და მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში, ასევე კერძო კოლექციონერთა ხელში დაგროვილია ალ. მაკედონელის სტატერის იმიტაციების სოლიდური რაოდენობა. საქართველოს ტერიტორიაზე, სამარხეულ კომპლექსებში გახშირებული აღმოჩენები უდაოს ხდის ამ ჯგუფის ადგილბრივ, იბერიულ წარმომავლობას.

Medea Sherozia

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave.0105, Tbilisi, Georgia
E-mail: m.sherozia@yahoo.com

Imitation of Alexander of Macedon's Stater from Village Patara Mejvriskhevi

Summary

On March 4, 2003 N. Akhalkatsi, a resident of village Patara Mejvriskhevi (Gori district), presented to the Simon Janashia Georgian Museum the items that were found during earth works on his land:

1. Imitation of Alexander of Macedon's (336-323 BC) stater, gold. 2. Couple of golden earrings with open ring. 2. Parthia, *Artaban II (88-77), drachm. 3. Parthia. Orod II (57-38/37* BC*), drachm. 4. Rome, Octavian Augustus (27 BC – 14 AD), denarius, minted in Rome BC 2 AD. 4. 5. White* chalcedony *stamping intaglio. BC.*

According to N.Akhalkatsi beads made from different materials and pieces of black clay vessels were discovered together with presented objects. He found all these items in the fall of 2002 at the depth of 160 sm. All objects were from a hole burial.

The presented imitation of the stater of Alexander of Macedon resembles similar coins discovered in Vani, as well as the coin kept in the Mestia History and Ethnography Museum. When this specimen was compared to other similar coins found in East Georgia, it appeared to be the earliest one. Supposedly, it should have been minted in the 1st c B.C.

Couple of gold round earrings: the open ring of the earrings is made of plain wire; plain, slightly enlarged ends are situated densely. The earrings are quite massive; the wire cross-section is quite large. The weight of both earrings is 4.26 gm, diameter -14 mm. Both gold earrings are made of high-quality gold.

Similar earrings were frequently used in Antique world, although golden ones have rarely been preserved.

Based on the presented material, we can suppose that all these objects belonged to a burial complex of the 1st half of the 1stcentury A.D.

It is noteworthy that there is a considerable number of Alexander of Macedon's staters (73 items) kept in Georgian and different foreign museums, as well as in private collections. The increased number of discoveries in the burial complexes found on the territory of Georgia confirms the fact that this group of coins was of local Iberian origin.

ბიბლიოგრაფია

აბრამიშვილი თ. 1974: *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი.* თბილისი.

გაგოშიძე ი. 1967: ელინისტური ხანის მასალები სამადლოდან. *სსმმ.* XX-VII-B. გვ. 53-93. თბილისი (რედ. ო. ჯაფარიძე).

დავლიანიძე ც. 1983: *ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში.* თბილისი.

თოლორდავა ვ. 1980: *დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში.* თბილისი.

თოლორდავა ვ. 1963: მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ.წ. III-I სს. *მსკა.* ტ. III. გვ. 149-150. თბილისი (რედ. ა. აფაქიძე).

ნადირაძე ჯ. 1975: *ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი.

სულავა ნ. 1996: *მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში.* თბილისი.

ჩართოლანი შ. 1976: *მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის.* თბილისი**.**

ჭყონია ა. 1981: ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. *ვანი.* VI. გვ. 7-98. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

Гагошидзе Ю. 1979: *Самадло.* Тбилиси.

Дундуа Г. Ф. 1987: *Нумизматика античной Грузии*. Тбилиси.

Зограф А. Н. 1945: Распространение находок античных монет на Кавказе. *ТОНГЭ*. сс. 29-85. Ленинград (ред. А. Зограф).

Зограф А. Н. 1951: Античные монеты. *МИА*. №16. Москва-Ленинград (ред. Б. Н. Граков).

Капанадзе Д. Г. 1949: О древнейших золотых монетах Грузии. *ВДИ*. №3. сс.156-169. Москва (ред. Н. А. Машкин).

Капанадзе Д. Г. 1953: О назначении монет так называемой «варваризованной чеканки, находимых на территории Грузии. *ВДИ*. №1. сс. 210-214. Москва (ред. С. В. Киселев).

Макалатия С. И. 1951: Археологические находки в селении Ахриси (Картли). *ВДИ*. №3. с.181-186, Москва-Ленинград (ред. С. В. Киселев).

Сергеев А. Я. 2012: *Монеты варварского чекана на територии от Балкан до Средней Азии*. Москва.

Mattingly H. 1965: *Coins of the Roman Empire in the British Museum*. London.

Rider G. 1965: *Suse sous les Seleucides les Parthes*. Paris.

Sellwood D. 1971: *An Introductions to the Coinage of Parthia*. London

Wroth W. 1903: *Catalogue of the coins of Parthia*. London.

Sherozia M. Jean-Marc Doyen. 2007: *Les Monnaies Parthes du Musee De Tbilissi (Georgie) Moneta.* Wetteren. Belgium.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი სოფელ პატარა მეჯვრისხევიდან
სურ. 2. არტაბან II-ის დრაქმა სოფელ პატარა მეჯვრისხევიდან
სურ. 3. ოროდ II-ის დრაქმა სოფელ პატარა მეჯვრისხევიდან
სურ. 4. ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი სოფელ პატარა მეჯვრისხევიდან
სურ. 5. ოქროს წყვილი საყურე სოფელ პატარა მეჯვრისხევიდან
სურ. 6. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი, აღმოჩენილი ვანში. გ.ფ. №5088
სურ. 7. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი, დაცული მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის კოლექციაში
სურ. 8. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი, დაცული მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ა. სერგეევის კოლექციაში
სურ. 9. ლისიმაქეს სტატერის მინაბაძი, აღმოჩენილი დაბა ჩაქვში. გ.ფ. №11921
სურ. 10. ლისიმაქეს სტატერის მინაბაძი, აღმოჩენილი თბილისში. გ.ფ. №5253
სურ. 11. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი. ქ.ძ. №6177
სურ. 12. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი, აღმოჩენილი კასპის რ-ის სოფ. ქვემოჭალაში. გ.ფ. №22459
სურ. 13. ალექსანდრე მაკედონელის სტატერი, აღმოჩენილი 1974 წელს ლენტეხის რაიონის სოფელ მელეში. დაცულია ცაგერის ისტორიულ მუზეუმში. №3362/1077
სურ. 14. ლისიმაქეს სტატერი. კლ.ძ. №1565

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Imitation of Alexander of Macedon's stater, from village Patara Mejvriskhevi
Fig. 2. *Artaban II's drachm,* from village Patara Mejvriskhevi
Fig. 3. *Orod II's drachm,* from village Patara Mejvriskhevi
Fig. 4. *Denarius of Octavian Augustus,* from village Patara Mejvriskhevi
Fig. 5. Couple of golden earrings from village Patara Mejvriskhevi
Fig. 6. Imitation of Alexander of Macedon's stater discovered in Vani. FH.#5088
Fig. 7. Imitation of Alexander of Macedon's stater, Mestia History-Ethnography Museum
Fig. 8. Imitation of Alexander III of Macedon's stater. Moscow State Historic Museum, A. Sergeev collection
Fig. 9. Imitation of *Lysimachus* stater discovered in Chaqvi. FH.#11921
Fig. 10. Imitation of *Lysimachus* stater discovered in Tbilisi. FH. #5253
Fig. 11. Imitation of Alexander of Macedon's stater, discovered in Vani. GF. #6177
Fig. 12. Imitation of Alexander of Macedon's stater, discovered in Kaspi district, village Kvemo chala. FH. #22459
Fig. 13. Stater of Alexander of Macedon, discovered in 1974 in village Melea, Lentekhi district, Tsageri Historical Museum #3362/1077
Fig. 14. Stater of Lysimachus. CF. #1565

სურ. 1 **Fig.**

სურ. 2 **Fig.**

სურ. 3 **Fig.**

სურ. 4 **Fig.**

სურ. 5 **Fig.**

სურ. 6 **Fig.**

სურ. 7 **Fig.**

სურ. 8 **Fig.**

სურ. 9 **Fig.**

სურ. 10 **Fig.**

სურ. 11 **Fig.**

სურ. 12 **Fig.**

სურ. 13 **Fig.**

სურ. 14 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 183-194
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 183-194

ნუმიზმატიკა

მედეა წოწელია

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: tsotselia@yahoo.com

დედოფალ ბურანის დრაქმა

წერილში განხილულია 2012 წელს სოფ. კონდოულში (თელავის რ-ნი) აღმოჩენილი განძის ერთი მონეტა, რომელიც მოჭრილია სასანელ დედოფალ ბურანის (ბურანდუჰტის) (629-631 წწ.) მიერ. მისი საფასეები ერთნაირ ინტერესს იწვევს როგორც ნუმიზმატებს, ისე ისტორიკოსებს შორის, რადგან იშვიათ მონეტათა რიცხვს მიეკუთვნებიან. მონეტა, განძთან ერთად, ინახება საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკის განძების ფონდის საცავში (საინვ. № 33629).

დედოფალ ბურანის დრაქმა კარგი დაცულობისაა (ლოყასთან ოდნავ გახვრეტილი), მოჭრილია მაღალი ხარისხის ვერცხლისგან, აქვს მკაფიო იკონოგრაფიული გამოსახულება. მონეტის წონაა – 3,82 გრ, ზომა – 32-33 მმ. (სურ. 1).

Av: ორმაგ, გახსნილ, წრეში მოთავსებულია დედოფლის ბიუსტი. თავი მიტრიალებულია მარჯვნივ, ტანი გამოსახულია პირდაპირ, თმის ვარცხნილობა – სასანელი ქალებისათვის დამახასიათებელი ნაწნავები: ორი – მარცხნივ, ერთი – მარჯვნივ. პატარა ბურთის სახით გამოსახული თვალი მოთავსებულია ორ ქუთუთოს შორის. ყელზე ორრიგა მსხვილი მძივია. სამოსი გულამოჭრილი კაბაა, მხრების ზემოთ „სამეფო" ბაფთებია ზეაწეული ბოლოებით. სამეფო გვირგვინი, რომელიც თითოეული სასანელი მეფის მთავარი გარეგნული ელემენტი იყო, შედგება ორრიგა მძივებით წარმოდგენილი დიადემის, მოტკეცილი ქუდისა და ორი ფრინველის ფრთებისგან. მათ შორის, ვერტიკალურ ღერძზე, მოთავსებულია ნახევარმთვარე ბურთით. მარცხენა მხარის ზემოთ ნახევარმთვარეა. გვირგვინის მარჯვნივ და მონეტის გარე არეზე, 3, 6 და 9 სთ-თან, ასტრალური სიმბოლოებია – ნახევარმთვარე ვარსკვლავით. ფალაური ზედწერილი განთავსებულია ბურანის გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ.

ლეგენდა: მარჯვნივ – bwl'n – *ბურანი.*

მარცხნივ – GDH ' pzwt

xwarrah abzud - *დე გაიზარდოს მისი ძლიერება* (დიდება).

Rv: სამმაგ რკალში მოთავსებულია ზოროასტრული ცეცხლის საკურთხეველი – *ატაშდანი*, რომელიც შედგება ბაზისის, სამნაწილიანი სვეტისა და მოგიზგიზე ცეცხლის ალისგან. საკურთხევლის შევიწროებულ ნაწილზე შებმულია ბაფთა ზეაწეული ბოლოებით. ცეცხლის საკურთხევლის

მარცხნივ და მარჯვნივ, ფასში, ორი მცველი დგას ნახევარმთვარისებური თავსაბურავებით. ტანსაცმელი განიერი შარვლები და გრძელი პერანგებია. მხლებლების მხრებიდან ბაფთებია ზეაწეული ბოლოებით. ხელებით ორივე მცველი მახვილს ეყრდნობა. საკურთხევლის ალი გამოსახულია წერტილოვანი კონუსით, რომლის ორივე მხარეს ვარსკვლავებია ზეაწეული ქიმებით. მონეტა გარშემოვლებულია სამმაგი და უწყვეტი რკალით. 3, 6, 9 და 12 სთ-თან ასტრალური სიმბოლოებია.

მონეტის მარცხენა მხარეს დაფიქსირებულია მისი მოჭრის თარიღი: TLT′ = 3, მარჯვნივ – მოჭრის ადგილი (ზარაფხანა) – SK = *საკასტანი*.

სასანელი მეფეები თავიანთ საფასეებს ათარიღებდნენ მეფედკურთხევის წლიდან და არა კალენდარული წლით. ბურანის მეფობის მესამე წელი დაიწყო 631 წლის ივნისში. სასანიანთა ცენტრალიზებული სახელმწიფო აკონტროლებდა ზარაფხანების მუშაობას: მონეტებზე არსებულ გამოსახულებებსა და წარწერებს, საფასეების წონას, ძვირფასი ლითონის შემცველობას, რადგან მონეტები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ირანის შაჰების ლეგიტიმურობის პროპაგანდაში. ისინი ასახავდნენ არა მარტო სასანური პერიოდის ეკონომიკის ისტორიას, არამედ გამოხატავდნენ თავისი დროის კულტურულსა და რელიგიურ ტრადიციებს, პოლიტიკურ იდეებს. ასე მაგალითად, ნახევარმთვარეს ვარსკვლავთან ერთად ჰქონდა კოსმოლოგიური დატვირთვა. ამ სიმბოლოებით სასანელი მეფეები აცხადებდნენ მსოფლიოს ოთხივე მხარეზე ბატონობის პრეტენზიას [Sellwood D., Whitting P. ... 1985: 34]. ეს სიმბოლოები განასახიერებდნენ მთვარესა და მზეს. სასანელი მეფეები თავს თვლიდნენ „მზისა და მთვარის ძმებად" [Malek H., Curtis V. 1998: 117].

სასანელი მეფეების ფრინველის ფრთებიანი გვირგვინი იყო მეომარი ღვთაების – *ვერეთრაგნას* (*ვარაჰრანის*) სიმბოლო, რომელიც ითვლებოდა ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვებულ ძალად. *ვარაჰრანის* (*ბაჰრამის*) ღვთაება გამარჯვების მომტანი იყო. მისი სიმბოლო ფრთოსანი გვირგვინი იყო, ხოლო შევარდენი – მისი რეალური განსახიერება.

სასანელი მეფეები, რომლებიც ყველაფერში ბაძავდნენ თავიანთ წინამორბედ აქამენიდებს, დიდ ყურადღებას აქცევდნენ სამეფო ცეცხლის საკურთხეველს. დინასტიის დამაარსებელმა არდაშირ I-მა (224-241 წწ.) პირველმა გამოსახა თავისი „სამეფო" ცეცხლი მის მიერვე მოჭრილ საფასეებზე. ეს სიუჟეტი მონეტის რევერსზე ტრადიციად იქცა ამ დინასტიის ყველა მომდევნო მეფის მონეტებისთვის. „ატაშდანი" ითვლებოდა *სამეფო* ტაძრად. ის თითოეული მეფის მეფედკურთხევის დროს ინთებოდა და მის სახელს ატარებდა.

დედოფალ ბურანის მონეტის ავერსზე იდეოგრამა GDH – *ხვარა* იყო სიმბოლო სამართლიანი მმართველობისა. ის პირველად გაჩნდა ხოსრო II-ის (590/91 – 628 წწ.) საფასეებზე მისი მეფობის პირველ წელს. ეს მონოგრამა მიუთითებდა ლეგიტიმურ მმართველობაზე. სასანელებმა შექმნეს ისტორიოგრაფია, რომელიც თითოეულ მეფეს აყენებდა ირანის კანონიერი მმართველების რანგში. თუ *ხვარა* მიატოვებდა შაჰს, ის დაკარგავდა თავის უზენაესობას. *ხვარას* გარეშე მეფობა შეუძლებელი იყო. ის იყო შარავანდედი, რომელიც გარშემორტყმული ჰქონდა მეფეს. ზოგიერთი

ირანისტი მეცნიერის აზრით, ორმაგი წრე სასანელი მეფეების საფასეებზე მიუთითებს მათ *ხვარაზე* – შარავანდედზე [Daryaee T. 1997: 47].

დედოფალი ბურანი ჭრიდა მხოლოდ ერთი ტიპის – მამის, ხოსრო II-ის მესამე ტიპის საფასის მსგავს მონეტებს. წინამორბედი შაჰების გვირგვინის ტიპის გამოყენების პრაქტიკა მიღებული იყო სასანიანთა ირანში. პირველად ამ პრეცენდენტს ადგილი ჰქონდა მესამე საუკუნეში, როცა შაპურ I - მა (241-272) დაიწყო მამის – არდაშირ I-ის (224-241 წწ.) გვირგვინის ანალოგიურის ტარება, რითაც ის ხაზს უსვამდა თავისი მეფობის კანონიერებასა და ლეგიტიმურობას.

ბურანი იყო პირველი ირანელი დედოფალი, რომელმაც ირანის სამეფო ტახტი დაიკავა და ქვეყანას დამოუკიდებლად მართავდა. ის და მისი და აზარმიჰდუჰტი ერთადერთი დედოფლები არიან, რომლებიც მარტო გამოისახებიან სასანურ საფასეებზე. მესამე დედოფლის, ვარაჰრან II-ის (276-293 წწ.) მეუღლე, შაპურდუჰტაგის პორტრეტი საფასეებზე ჩნდება მხოლოდ მეუღლისა და ტახტის მემკვიდრის გვერდით.

დედოფალი ბორანი იყო სასანიანთა დინასტიის უბრწყინვალესი წარმომადგენლის, ხოსრო II-ის (590-628 წწ.), ქალიშვილი. ამ შაჰის კარიერა, როგორც ირანის თვალსაჩინო მმართველისა, სხვადასხვა მოვლენით იყო ღირსშესანიშნავი. ის ებრძოდა როგორც ქვეყანაში არსებულ ოპოზიციას, ისე მონაწილეობდა ხანგრძლივსა და დამქანცველ ომებში ბიზანტიის წინააღმდეგ. ხოსრო II-ის ზეობის დროს სასანელების დინასტიამ მიაღწია განვითარებისა და ძლიერების მწვერვალს. მისი გამეფების პირველ წელს დაიწყო სამოქალაქო ომი ხოსრო II-სა და მხედართმთავარ ბაჰრამ ჩუბინის (იმავე ვარაჰრან VI-ის) მომხრეებს შორის. მეფე იძულებული გახდა დაეტოვებინა ირანი და თავი ბიზანტიისათვის შეეფარებინა. იმპერატორ მავრიკისგან (582-602 წწ.) დაპირებული სამხედრო დახმარების მოლოდინში ხოსრო II ბიზანტიის ქალაქ ჰიერაპოლისში დაბანაკდა. 591 წელს ხოსრო II დაბრუნდა ირანში და ბიზანტიელების მეშვეობით ჩაახშო ამბოხება. დაამარცხა რა თავისი მეტოქე, სასანიანთა კარის არაკანონიერი უზურპატორი, ხოსრო II ხელმეორედ ეკურთხა მეფედ. ვარაჰრან VI-მ მოახერხა ირანიდან გაქცევა აღმოსავლეთში, სადაც ის თურქებმა მოკლეს [Christensen A. 1936: 439].

ხოსრო II განთქმული იყო ქრისტიანების მიმართ შემწყალებლობით. მისი უსაყვარლესი მეუღლე შირინი ქრისტიანი იყო. მან ნება დართო მას აეშენებინა ეკლესიები და მონასტრები დედაქალაქ ქტეზიფონის ახლოს. შირინის გარდაცვალების შემდეგ ხოსრო II-მ ქანდაკებების სახით უკვდავყო მეუღლე. ერთ-ერთი ქანდაკება ბიზანტიის იმპერატორს გაუგზავნა. მავრიკის ზეობის თორმეტი წლის განმავლობაში ბიზანტიას მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა ირანთან. როდესაც იმპერატორმა ფოკამ (602-610 წწ.) მავრიკი ჩამოაგდო ტახტიდან და მოაკვლევინა, მან ხოსრო II-ს გაუგზავნა თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლილიუსი, რომელმაც მეფეს შეატყობინა ფოკას იმპერატორად კურთხევა. ხოსრო II-მ ემისარი ციხეში ჩასვა და ბიზანტიის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დაწყების ბრძანება გასცა. ის თვითონ მოუძღოდა ირანის ჯარს და დაამარცხა ბიზანტიის მთავარსარდალი გერმანიუსი.

ბიზანტიასთან წარმატებული ომების შედეგად ხოსრო II-მ გაზარდა თავისი ქვეყნის საზღვრები. მან შეძლო ბიზანტიის იმპერიის უძლეველობის მითის გაბათილება. ხოსრო II-მ ჯერ ბიზანტიელების სამხედრო პოტენციალი გაანადგურა და ამის შემდეგ, სულ რაღაც 15 წლის განმავლობაში, დაიპყრო ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფი ახლო აღმოსავლეთის მდიდარი პროვინციები – სირია, პალესტინა, ეგვიპტე, ლიბია, ანატოლია. ხოსრო II სამჯერ მიადგა ბოსფორის სრუტეს და კონსტანტინოპოლის აღებით დაიმუქრა. ბიზანტიელებმა 591 წლის ზავით მიღებული ქართლის ნაწილიც დაკარგეს.

ხოსრო II-ის ერთ-ერთი გამორჩეული მხედართმთავარი იყო სპაჰბედი ფაროკხან შაჰრბარაზი (ითარგმნება როგორც *იმპერიის ტახი*). ის სასანიანთა ერთ-ერთი ცნობილი გვარის – მიჰრანების შთამომავალი იყო. შაჰრბარაზმა, უსაზღვრო ენერგიისა და ამბიციების მქონე ადამიანმა, 614 წელს დაიპყრო დამასკო და რვა დღეში შეძლო იერუსალიმის აღება. ირანელებმა გაძარცვეს და გაანადგურეს ქალაქი, დაარბიეს, გაქურდეს და გადაწვეს ეკლესიები. 50 000 მოქალაქე ამოჟლიტეს, 30 000 ტყვედ წაიყვანეს ირანში, პატრიარქ ზაქარიას ჩათვლით; ქრისტეს ხის „ნამდვილი ჯვარი" ქტესიფონში ჩაიტანეს და ხოსრო II-ის მეუღლე შირინს გადასცეს.

616 წელს შაჰრბარაზი წინ უძღოდა ირანის ჯარს ეგვიპტეში, დაიპყრო რა მდიდარი ქალაქი ალექსანდრია, ირანის გავლენა ეთიოპიამდე გაავრცელა. ეგვიპტელებს ცხრა საუკუნე დასჭირდათ, თავი რომ დაეღწიათ ირანის ბატონობისგან.

622 წელს ირანელებმა, შაჰრბარაზის წინამძღოლობით, ბრძოლა მოუგეს ბიზანტიის იმპერატორ ირაკლის (614-641 წწ.) ისუსთან – სირიისა და მცირე აზიის საზღვართან.

627 წელს ირაკლი კეისარმა გადაწყვიტა ხოსრო II-ის ერთ-ერთი სატახტო ქალაქის – დასტაგერდის აღება. გადამწყვეტ ბრძოლაში ქალაქ ნინივეასთან ირანელები დამარცხდნენ. ბიზანტიელებმა დაანგრიეს დასტაგერდის მშვენიერი სასახლეები და დედაქალაქ ქტესიფონისკენ გაემართნენ, მაგრამ ირანელები მედგრად დაუხვდნენ ირაკლის ჯარს. მან ვერ გაბედა ქტესიფონზე იერიში და უკან დაიხია სამხრეთ აზერბაიჯანში. ვინ იცის, რითი დამთავრდებოდა ბიზანტიის იმპერატორის ეს ლაშქრობა, ირანში სასახლის გადატრიალება რომ არ მომხდარიყო.

სასანიანთა სამეფოს კარზე არსებულმა ინტრიგებმა ხოსრო II განაწყვეს მხედართმთავარ შაჰრბარაზის წინააღმდეგ. შაჰან-შაჰმა ბრძანა მისი სიკვდილით დასჯა. ბიზანტიელებისგან მიღებული შეტყობინების მეშვეობით, შაჰრბარაზმა შეძლო ირანიდან გაქცევა. ეს ფაქტი, უდავოდ, იმის მიმანიშნებელია, რომ ქტესიფონში იყვნენ ბიზანტიელი ინფორმატორები, რომლებიც ცდილობდნენ ხოსრო II-ის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობას.

ირანელი დიდებულების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ხოსრო II-ის განზრახვამ, ლეგიტიმური მემკვიდრის, შეროისის, ნაცვლად, ტახტზე დაესვა თავისი საყვარელი მეუღლის - შირინის ვაჟი მერდასისი. სამეფო კარზე გაჩენილი ოპოზიციის წინააღმდეგობის მთავარი მიზეზი დედოფალ შირინის რწმენით – ქრისტიანობით – იყო გამოწვეული.

22 ირანელი დიდებულისგან შემდგარმა შეთქმულებამ, რომელსაც სათავეში ედგა ქტესიფონის გარნიზონის უფროსი გუადანასპი და შაჰრ-ბარაზის ორი ვაჟი, მხარი დაუჭირა შეროისის გამეფებას. ამ უკანასკნელ-მა, სამეფო გადატრიალების შედეგად, დაისაკუთრა რა სამეფო ტახტი, ბრძანა მამის – ხოსრო II-ის შეპყრობა და ე.წ. „სიბნელის სახლში" (ციხეში) ჩასმა, სადაც ყოფილი შაჰან-შაჰი, რომლის ზეობის დროს ირანმა ძლიერ-ების მწვერვალს მიაღწია, იკვებებოდა მწირად - მხოლოდ პურითა და წყლით. ბადრაგი ყოფილ მბრძანებელს, რომელმაც ირანს დაუმორჩილა ეგვიპტე, ბაბილონი, სირია, მცირე აზია, ერაყი, სომხეთი, ბაქტრია, სოგ-დიანა, შეურაცხყოფდა. ამ უბრწყინვალესი სასანელი მონარქის ზეობა ტრაგიკულად დამთავრდა. ხოსრო II-ს თვალწინ მოუკლეს მისი და შირ-ინის ვაჟი მერდასისი. შეროისის (მეფედ კურთხევის შემდეგ ის კავად II-დ იწოდებოდა) ბრძანებით 628 წელს, 37 წლიანი ბრწყინვალე მეფობის შემ-დეგ, ხოსრო II წამებით აღესრულა. თავისი მეფობა კავად II-მ (628) დაიწყო მამისა და 17 ძმის მოკვლით, რაც, ირანელი ისტორიკოსების აზრით, მან ქვეყანაში მშვიდობის დამყარების მიზნით, დიდებულების დაჟინებული მოთხოვნებისა და რჩევების გამო, განახორციელა [Benjamin S. 1920: 268] .

ამ საშინელი ტრაგედიის შემდეგ ტახტის მემკვიდრე კავად II-მ დაიწყო მოლაპარაკებები ბიზანტიის იმპერატორ ირაკლისთან. 628 წლის აპრილ-ში ირანსა და ბიზანტიას შორის დაიდო ზავი, რომლის თანახმად მთელი საქართველო ბიზანტიის გავლენის სფეროში მოექცა. კავად II-ის მიერ ჩა-დენილმა საზარელმა მკვლელობებმა ვერ დაამყარეს ირანში წესრიგი და მშვიდობა. ქვეყანაში დაიწყო არეულობა და სამოქალაქო ომი. ირანელმა არისტოკრატებმა სასანიანთა იმპერიაში თვითნებურად დაიწყეს დამოუ-კიდებელი სახელმწიფოების შექმნა. ირანის დასავლეთ პროვინციებში გავრცელდა შავი ჭირის ეპიდემია, რომელმაც მოსახლეობის ერთი მეორე-დი შეიწირა.

კავად II-მ ამოწყვიტა სასანიანთა სამეფოს ტახტის ყველა მემკვიდრე, გარდა ორი გაუთხოვარი დის – ბურანდუხტისა და აზარმიჰდუხტისა. მგლოვიარე დები მივიდნენ ძმასთან და მას შემდეგი სიტყვებით მიმართეს: „შენ მოაკვლევინე ჩვენი მამა და ძმები რათა დაგეკმაყოფილებინა შენი ამბიცია. ამ საქციელით გინდოდა შენი ძალაუფლების უკვდავყოფა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დიდი ხნის სიცოცხლე გიწერია, მაინც მოკვდები. და ჩამოგართვას შენ ღმერთმა ძალაუფლების ყველა სიამოვნება" [Benjamin S. 1920: 268].

კავად II-მ რვა თვეზე ნაკლები იმეფა. ის მოკლეს და ირანში კვლავ დაიწყო სამოქალაქო ომი. ბიზანტიის იმპერატორმა ირაკლიმ წერილი გამოუგზავა შაჰრბარაზს, რომელშიც არწმუნებდა მას, რომ კავად II-ის სიკვდილის შემდეგ ირანის ტახტი მას ეკუთვნოდა და, თუ მას ჯარი დას-ჭირდებოდა, ბიზანტიის იმპერატორი მზად იყო მას სამხედრო ძალით დახმარებოდა [Poursharidi P. 2008: 177].

კავად II-ის ერთადერთმა შვილმა, 7 წლის ვაჟმა არდაშირ III-მ (628-630 წწ.), რომლის მეფობის ორი წლის განმავლობაში ირანს დიდებულები და რეგენტი ვეჰ-ადურ გუშნასპი მართავდნენ, ვერ შეძლო სამეფო ტახ-ტის შენარჩუნება. შაჰრბარაზი, რომელსაც ევალებოდა ირანის ჯარის

ზედამხედველობა ჩრდილოეთში, ასევე რეგიონების საზღვრების დაცვა ბიზანტიელების, ხაზარებისა და არაბებისგან სამხრეთში, 60 000 ვეტერანისაგან შემდგარი ჯარით დაიძრა ქტესიფონისკენ. მან აიღო დედაქალაქი, არასრულწლოვანი მეფე არდაშირ III მოაკვლევინა და თავი ირანის შაჰად გამოაცხადა. შაჰრბარაზი ტახტზე უკანონოდ აღმოჩნდა და რადგან ის არ ეკუთვნოდა სამეფო გვარს, ამიტომ მან ვერ მიიღო ირანის მაღალი წრეების მხარდაჭერა. სასანის გვარის წარმომადგენლებისთვის ის იყო და დარჩა თვითმარქვია უზურპატორად.

ირანში შექმნილი სიტუაცია მიუთითებდა უზურპატორის მუდმივ მმართველობასა და სასანური დინასტიის ნანგრევებზე ახალი დინასტიის შექმნაზე. ქტესიფონში დაიწყო სამხედრო გარნიზონის აჯანყება. შაჰრბარაზი მიხვდა, რომ მისი ამბიციური კარიერა დასასრულს უახლოვდებოდა. ორი თვის მმართველობის შემდეგ, როდესაც ის სასახლის ღია აივანზე იდგა, მცველებმა ის ხანჯლით დაჭრეს. მის ნაწამებ სხეულს ქტესიფონის ქუჩებში დაატარებდნენ და გაიძახდნენ: „ის, ვინც არ არის ირანის სამეფო გვარიდან და შეეცდება ტახტის უზურპაციას, შაჰრბარაზის ბედს გაიზიარებს" [Benjamin S.1920: 171].

უზურპატორ შაჰრბარაზის ორთვიანი მმართველობის შემდეგ სასანიანთა სამეფო ტახტზე გაჩნდა ვაკანტური ადგილი, რომელიც 629 წლის ივნისში ხოსრო II ფარვეზისა და ბიზანტიის იმპერატორის ასულის, მარიამის, უფროსმა ქალიშვილმა ბურანმა დაიკავა. ბურანი და მისი და სასანიანთა სამეფო გვარის ერთადერთი გადარჩენილი ცოცხალი და ლეგიტიმური მემკვიდრეები აღმოჩნდნენ [Haleh E. 2009: 1-8]. ბურანი ტახტზე ირანელმა დიდებულებმა აიყვანეს, რადგან არდაშირ III-ის მოკვლის შემდეგ მათი მცდელობა, მოეძებნათ ახალი მეფე სასანიანთა გვარიდან, უშედეგო აღმოჩნდა. ხოსრო II-ის დარჩენილ შთამომავლებს შორის მამაკაცი აღარ იყო. ამიტომ არჩევანი ბურანზე შეჩერდა. ის გახდა პირველი დედოფალი, რომელსაც ოდესმე უმეფია ირანში აქამენიანთა, პართელებისა და სასანიანთა დინასტიების მმართველობის დროს. ბურანის გამეფებას მხარი დაუჭირა არა მარტო დედაქალაქ ქტესიფონის, არამედ ირანის პროვინციების მოსახლეობამაც, რადგან მან და მისმა მომხრეებმა ჩამოაგდეს უზურპატორი შაჰრბარაზი და სამეფო ტახტი სასანელების დინასტიის კანონიერ შთამომავალს დაუბრუნდა. როგორც ხოსრო II-ის შვილსა და ქრისტიანი დედის ქალიშვილს – ბურანს აუცილებლად ექნებოდა მხარდაჭერა ირანის ქრისტიანი მოსახლეობისგანაც. თუმცა, ბურანის მეფობის მეორე წლიდან ირანელი დიდებულების ნაწილს მიაჩნდა, რომ ქალის მმართველობა ირანის სამეფო ტახტზე კარგს არაფერს მოუტანდა ქვეყანას. ფირდოუსი ასე იწყებს ბურანის გამეფების აღწერას: „როგორც კი ქალი დაჯდა სამეფო ტახტზე, ქვეყნის საქმენი გაუარესდა" [Колесников А. 1998: 374].

ისტორიული წყაროები მწირ ინფორმაციას იძლევიან დედოფალ ბურანის შესახებ. მისი გამეფების ზუსტი თარიღი არაა ცნობილი. ის ტახტზე უნდა ასულიყო 629 წლის ზაფხულში, თუმცა, ზოგიერთი მეცნიერი მისი გამეფების თარიღად 630 წელს მიიჩნევს [Nöldeke Th.1879: 433].

ირანის დედოფლად კურთხევის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ბურანი დაჰპირდა ქვეყნის მოსახლეობას, რომ სამართლიანად იმეფებდა და ქვეყ-

ანაში წესრიგს დაამყარებდა.

არაბ ისტორიკოს ტაბარის ცნობით, ბორანმა ბრძანა შაჰრბარაზისა და მისი ყველა იმ მომხრის სიკვდილით დასჯა, ვინც კი მონაწილეობდა არდაშირ III-ის მკვლელობაში. ბურანის მეფობის დაწყებისას ირანში ცენტრალიზებული ხელისუფლების ძალაუფლება სამოქალაქო ომების შედეგად დასუსტდა. დედოფლის მიზანი იყო დაებრუნებინა ქვეყნისთვის ის სტაბილურობა, რომელიც მამის – ხოსრო II-ის ზეობის დროს იყო სასანიანთა იმპერიაში. მან ბიზანტიის იმპერატორს შესთავაზა სამშვიდობო ზავი.

სპარსული საისტორიო ლიტერატურა დედოფალ ბურანს მოიხსენიებს სამართლიან, ჭკვიანსა და რეფორმატორ მმართველად, რომელმაც შეამცირა გადასახადების რაოდენობა, შეძლო მშვიდობისა და სამართლიანობის დამყარება. მან მოჭრა საკუთარი საფასეები. ყველა სპარსული წყარო მიუთითებს პირველი ირანელი დედოფლის დადებით პიროვნულ თვისებებზე – გულკეთილობაზე, ენერგიულობასა და სამართლიანობაზე.

ადრემუსულმანური და ქრისტიანული წყაროებიც კეთილგანწყობით ასახავენ ბურანის ხანმოკლე მეფობას. ისინი აღნიშნავენ ირანში გაცოცხლებულ სამეურნეო ცხოვრებასა და ქვეყანაში სამართლიანობის დამყარების მცდელობას. ანონიმური „ნესტორიანული ისტორია" გვამცნობს დედოფალ ბურანის ელჩობას იმპერატორ ირაკლისთან, ბიზანტიასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების ფაქტსა და ბიზანტიისთვის ჯვარცმის „ნამდვილი ჯვრის" (რომელიც ხოსრო II-მ წამოიღო იერუსალიმიდან) გადაცემას. ბურანის მეფობის დროს დაიგო ახალი გზები, აშენდა ცეცხლის ტაძარი, აღდგა კაშხლები და ხიდები. დედოფლის მცდელობა, გაეძლიერებინა სამოქალაქო ომებისგან დასუსტებული ცენტრალური ხელისუფლება, წარუმატებელი აღმოჩნდა. მისი მმართველობის დროს არაბთა ორი რაზმი შეიჭრა სასანიანთა სახელმწიფოს დასავლეთ სასაზღვრო ოლქებში – ხირასა და უბოლაში, რომლებიც მათ გაძარცვეს და გაანადგურეს [Колесников А. 1982: 53].

დედოფალ ბურანს არ დასცალდა მრავალი მიზნის განხორციელება. მისი სიკვდილის ზუსტი მიზეზი უცნობია. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ის ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, ფირდოუსისა და ალ-ტაალაბის გადმოცემით – მძიმე ავადმყოფობის შედეგად. ანონიმური სირიული ქრონიკა გვამცნობს, რომ ბურანმა თავისი წინამორბედი ნათესავების ბედი გაიზიარა და იგი 631 წლის ოქტომბერში დაახრჩო ფარსის ოლქის სპაჰბედმა ფეროზმა [Malek H., Curtis V. 1998: 116; Pourshariati P. 2008: 218].

დედოფალ ბურანის შემდეგ გამეფდა მისი და აზარმიდუჰტი, რომელიც ხუთი თვის შემდეგ მოწამლა ირანის ტახტის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა. ანარქიამ, სამოქალაქო ომებმა და ახალმა საშიშმა დამპყრობელმა – არაბებმა ბოლო მოუღეს ოდესღაც ძლიერსა და დაუმარცხებელ სასანიანთა ირანის სახელმწიფოს.

სასანიანთა ირანის ერთ-ერთი ბოლო კანონიერი წარმომადგენლის – დედოფალ ბურანის ხანმოკლე მმართველობას, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა მისი სახელით მოჭრილი მონეტების ემისია, რომელიც იქნებოდა არა მარტო ფულის საფასე, არამედ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქვეყანაში უზენაესი ხელისუფლების შეცვლის შესახებ. ხოსრო II-ის

ტრაგიკულმა სიკვდილმა, ირანში განვითარებულმა შიდა კონფლიქტებმა, ქაოსმა ასახვა ჰპოვა სამეფო საფასეებზეც. ხოსრო ფარვიზის საფასეების ემისიას 40 სამონეტო კარი ახორციელებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, გვიან სასანურ პერიოდში, მხოლოდ ლიმიტირებული რაოდენობის ზარაფხანები განაგრძობდნენ მუშაობას.

ნუმიზმატიკური მასალა ადასტურებს წერილობითი წყაროების ინფორმაციას დედოფალ ბურანის საფასეების შესახებ. ის ჭრიდა მცირე რაოდენობის ოქროს მონეტებს – დინარებს (რომლებსაც ზოგიერთი ირანისტი მეცნიერი მედალიონებად მიიჩნევს) [Kurtz R.,Warden W. 1983: 134; Mochiri M. 1985: 242], ვერცხლისა და სპილენძის საფასეებს. ბურანის მიერ მოჭრილი დრაქმები თარიღდება 1-3 წლით. მის მიერ მოჭრილი მონეტები გარკვეულად საინტერესოა მწირი რაოდენობისა (სულ 166 ცალია შემორჩენილი) და ავერსზე არსებული პორტრეტული გამოსახულებებით. დედოფალ ბურანის საფასეებზე დაფიქსირებულია ირანის სხვადასხვა პროვინციის 16 ზარაფხანა, მათ შორის, ფარსის (ST), კერმანის (KR), აბარშაჰრის (APL), ბაბილონის (WYH-D; MY), ამოლის (AM), გურგანის (GW), ჰერათის (HL), საკასტანის (SK) [Malek H. 1993:82; Malek H., Curtis V. 1998: 119] .

სასანურ ირანში გამოშვებული საფასეების რაოდენობა დამოკიდებული იყო ამა თუ იმ შაჰის მეფობის ხანგრძლივობაზე, მის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის სიდიდესა და არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ყველაზე ბევრი მონეტა მოიჭრა ბურანის მეფობის პირველ წელს 11 ზარაფხანაში, მისი მეფობის მეორე წელს – 5-ში, ხოლო მესამე წელს, ოთხი თვის განმავლობაში – მხოლოდ საკასტანის სამეფო ზარაფხანაში.

სწორედ ამ უკანასკნელშია მოჭრილი კონდოულის განძის შემადგენლობაში აღმოჩენილი დედოფალ ბურანის დრაქმა. საკასტანი (იგივე სისტანი) მდებარეობდა აღმოსავლეთ ირანის პროვინციაში. საკასტანის შაჰრი მრავალჯერ არის ნახსენები პირველი სასანელი მეფეებისა და მაგუპატ კარტირის წარწერებში (III ს-ის II ნახევარი). III ს-ის მეორე ნახევარში – IV ს-ის პირველ ნახევარში ირანში არსებობდა სპეციალური თანამდებობა – „საკასტანის, ტურესტანისა და ინდოეთის მეფე", რომელსაც ფლობდნენ სასანიანთა დინასტიის უფლისწულები. მათგან ზოგი ირანის შაჰი გახდა [Луконин В. 1969: 197-198].

საკასტანის ზარაფხანა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ირანის საფასეების გამოშვებაში. მონეტებზე ეს ზარაფხანა (skstn) პირველად გაჩნდა შაპურ II-ის (309-379 წწ.) დრაქმის ავერსზე [Mochiri M. 1977: 136]. შემდეგ კი ფიქსირდება სასანელი მეფეების – ფეროზისა (459-484 წწ.) და კავადის (484,488-497 წწ.) საფასეებზე ლეგენდით SK. ამ სამონეტო კარის პროდუქცია ყველაზე ინტენსიური იყო ხოსრო I-ისა (531-579 წწ.) და ჰორმიზდ IV-ის (579-590 წწ.) დროს. ხოსრო II-ის (590/1-628 წწ.) ზეობის პერიოდში საკასტანის ზარაფხანა ფუნქციონირებდა წყვეტილად (მეფობის მე-12 და მე-20 წლებს შორის – 602-610 წლებში). მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია ხოსრო II-ის სხვადასხვა სამონეტო კარზე მოჭრილი მრავალი მონეტა, საკასტანში მოჭრილი მისი მონეტების ემისია საკმაოდ მწირია. ხოსრო II-ის მემკვიდრეთაგან საკასტანის ზარაფხანაში მონეტებს ჭრიდნენ მხოლოდ დედოფალი ბურანი (მეფობის მეორე წელს მოიჭრა 45 დრაქმა,

მესამე წელს კი – 60) და იეზდიგერდ III (632-651) (ზეობის მე-2 – მე-11, მე-13 – მე-16, მე-18 – მე-20 წლებში) = (633-642, 644-647, 649-651 წწ-ს) [Paruck F. 1944: 122] . ამ ორი სასანელი მმართველის დროს საკასტანის სამონეტო კარი აქტიურად ფუნქციონირებდა, მაშინ, როცა ირანის სხვა ოლქებში ფულის მოჭრა საგრძნობლად შემცირდა.

საკასტანის ზარაფხანაში მოჭრილია ბურანის დღემდე ცნობილი 115 საფასე, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექციაშია დაცული. ამ სამონეტო კარის ემისიის მონეტები განსხვავდება ბურანის დანარჩენი დრაქმებისაგან. საფასეების ხარისხი გაუხეშებულია, გამოსახულება – გაუბრალოებული, არსებული ინფორმაცია ხშირად არაზუსტია. ბურანი ჭრიდა თავის საფასეებს 629 წლის ივნისიდან 630 წლის ივნისამდე [Колесников А. 1998: 118-119; Paruck F. 1976: 117-118, 257]. არის მოსაზრება, რომ დედოფალ ბორანის მეფობის მესამე წლით დათარიღებული მონეტები, შესაძლოა, მიეკუთვნებოდნენ მისი სიკვდილის შემდეგ ემისიას [Malek H., Curtis V. 1998: 122]. ბორანის მესამე წლით დათარიღებულ მონეტებზე შეინიშნება სიქების სხვადასხვა ვარიანტი, რაც მიუთითებს საკასტანის სამეფო კარის ზარაფხანაში მოჭრილი საფასეების სიმრავლეზე. მონეტებზე არსებული ხარვეზების ახსნა შეიძლება იმ გარემოებით, რომ საკასტანის ზარაფხანა იზოლირებული იყო ცენტრალური ადმინისტრაციისგან და ლიმიტირებული მისი კონტროლისგან [Sears S.1998: 33].

არაბებმა ამ ოლქის დაპყრობის შემდეგ საკასტანის სამონეტო კარზე გააგრძელეს დრაქმების დიდი რაოდენობით გამოშვება.

საკასტანის სამონეტო კარი აქტიურად მონაწილეობდა მუსლიმი ხალიფების რეფორმამდელ ემისიაშიც, *ხოსროს* ანონიმურსა და *იეზდიგერდის* სერიის საფასეებში. განსხვავება მხოლოდ მონეტის კიდეზე არსებულ ქუფურ ზედწერილში შეიმჩნევა (BSM ALLH ან Allah wali ʻawn).

დედოფალ ბურანის პორტრეტი მის მონეტებზე გამოსახავს პირველ სასანელ დედოფალს, რომელიც მართავდა ირანის სახელმწიფოს, იმპერიას, რომელიც იმსხვრეოდა და საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაეწია არაბებისთვის, რომლებმაც ბურანის სიკვდილის შემდეგ მალე დაიპყრეს და დაიმორჩილეს ქვეყანა.

კონდოულის განძში აღმოჩენილი დედოფალ ბურანის ვერცხლის მონეტა თავისი როლით მნიშვნელოვანი საფასეა ხოსრო II-ის მომდევნო მრავალი კანონიერი მემკვიდრის იდენტიფიკაციისა და მათი საფასეების დათარიღების საქმეში. ის ამ სასანელი დედოფლის ერთადერთი საფასეა, რომელიც დღემდე აღმოჩენილა საქართველოს ტერიტორიაზე. ცნობილია ბურანის მონეტების მხოლოდ 166 ეგზემპლარი, რომლებიც დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექციაში. ამიტომ თითოეული ახალი საფასის გამოჩენას მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

Medea Tsotselia

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian museum
3 Rustaveli ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: tsotselia@yahoo.com

Queen Buran's Drachm

Summary

The silver coin discussed in the article was selected from the Kondouli mixed hoard which was found accidentally in 2012. The hoard was purchased by the Georgian National Museum and is preserved in the numismatic deposidory of Simon Janashia Georgian Museum (# 33629).

The drachm was minted in the name of Sasanian Queen Boran (629-631). She was the first Iranian queen who ruled indipendently the Sasanian empire when it was in decline and too weak to resist the armies of the Arabs which in a dozen of years after Buran's death defeated and captured Iran. Her coins are rather rare and they have been of interest of historians and numismatists. There are krown only 166 pieces of Boran's coins, that is why each new specimen is of great interest and importance.

The new Boran's drachms has a little hole at her cheek. It is a bit worn out. The obverse and reverce designs are clear. It weights 3.82 grams, the diameter is 32/33 millimeter, the die axis is 4 o'clock.

The obverse and reverse designs of Queen Buran's coinage copy Khosro II's (590/1-628) coins of the third type. The obverse of the coin shows the bust of the Sasanian queen turned to the right. Queen Buran has her father's crown on her head:a round cap with rosettes and a diadem that consists of two rows of pearls tied around her forehead. At the top of the crown is a pair of feathered wings- a symbol of Verethragna,the god of victory. Between the wings is a crescent and a globe. Boran's hair-style is often used in Sasanian wemen's iconography – three long braids of hair: two on the left and one on the right. Braids fall from beneath the cap.The eye is shown by a small ball set between the lids.Well depicted double necklace is typical for many busts. A round – cut garment is decorated with a star and a crescent symbol. Two diadem ties are seen from behind shoulders.

The reverse depicts a Zoroastrian fire altar with two frontally standing attendants.

The legend on the obrerse is : on the right –bwl'n – Boran, on the left – ' pzwt. xvarrah abzud – "may her splendour grow".

On the reverse on the right is the mint signature: SK- Sakastan, to the left is the regnal year – TLT' (3).

Sakastan mint house was in the east of Iran.115 speciments of this mint are known for Buran: 45 drachms were minted during her second regnal year and 60 – for year three. The new specimen from the Kondouli hoard is one more.

This drachm is interesting with regard to its finding in the hoard and because of its local geographical finding place in East Georgia. It is also an important coinage in the identification and dating of the rulers who succeded Khusro II.

ბიბლიოგრაფია

Колесников А. 1998: *Денежное хозяйство в Иране в VII веке.* Москва.

Луконин В. 1969: *Культура сасанидского Ирана.* Москва.

Benjamin S. **1920**: *Persia*. London.

Chistensen A. **1944:** *L' Iran sous les Sassanides*. Copenhague.

Daryaee T. 1997: Religio – Political Propaganda on the coinage of Husro II. A*NS. #7.* pp. 41-54. New-York.

Haleh E. 2009: *Like Father, like Daughter. Late Sasanian Idelogy and Rise of Boran to pow*er. Los Angeles.

Kuntz R., Warden W. 1983: A gold dinar of the Sasanian queen Buran. *ANS, MN. 28.* pp. 133-135. New –York.

Malek H. 1993: A Seventh Century Hoard of Sasanian Drahms. *Iran 31*. pp. 77-93. London.

Malek H., Curtis V. 1998: History and Coinage of the Sasanian Queen Boran (AD 629-631). *NC. 158.* pp. 113-129. London.

Mochiri M. 1977: *Etude de numismatique iranniane sous les sassanides et Arabe-Sassanides*. vol.2. Tehran.

Mochiri M. 1985: *A propos d'une medaille d'or la reine Boran*. St. Ir. Paris.

Noldeke Th. **1879:** *Tabari – Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sassaniden*. Leiden.

Paruck F. 1944: *Mint marks on Sasanian Coins. JNSI.* v.VI. pp. 79-151. New Dehli.

Paruck F. 1976: *Sasanian Coins.* New Dehli.

Poursharidi P. 2008: *Decline and Fall of Sasanian Empire*. London-New-York.

Sears S. 1998: The Sasanian Style Drachms of Sistan. *Yarmouk Numusmatics.* v. 10. pp. 31-42. Cairo.

Selwood D., Whitting P., Williams R. 1985: *An Introduction to Sasanian Coins*. London.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. დედოფალ ბურანის (629-631 წწ.) დრაქმა

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Queen Buran's (629-631) drachm

სურ. 1 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 195-211
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 195-211

ნუმიზმატიკა

მედეა წოწელია*, მარიამ ქორიძე*

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: tsotselia@yahoo.com
mariam_qoridze@yahoo.com

კონდოულის განძი

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა 2011 და 2012 წლებში მოქ. ახალაურისგან ორჯერ შეიძინა ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც თელავის რ.-ნის სოფ. კონდოულში მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა. განძი ინახება ნუმიზმატიკური კოლექციების განძების ფონდში (საინვ. №№33611 – 33621 და საინვ. №№33635 – 33816). იგი შედგება 201 მონეტისგან: 5 სასანურისაგან, 4 არაბულ–სასანურისა და 192 არაბულისაგან.

კახეთში აღმოჩენილი ზემოთ ნახსენები განძი ნათლად ასახავს ადრეფეოდალური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ვითარებას.

VII ს. გამოირჩეოდა დიდი პოლიტიკური და სოციალური ძვრებით ახლო აღმოსავლეთში. სასანიანთა იმპერიის სამეფო კარის ინტრიგებმა, სამოქალაქო ომმა, სამეფო ტახტის დაუფლების მიზნით მეფეთმეფეთა ხშირმა მკვლელობებმა გამოიწვიეს ანარქია ირანში. ახალშექმნილმა არაბეთის სახალიფომ, რომელიც თავიდანვე დაადგა დაპყრობითი პოლიტიკის გზას, ადვილად შეძლო მრავალწლიანი ომებისგან დასუსტებული ბიზანტიისა და ირანის მფლობელობაში მყოფი ტერიტორიების დაპყრობა.არაბებმა მოახერხეს ირანის, სირიის, პალესტინის, ეგვიპტის, ბიზანტიის აღმოსავლეთი პროვინციებისა და შუა აზიის დამორჩილება.მახლობელ აღმოსავლეთში დაიწყო არაბთა ბატონობა.

არაბი ტომების გაერთიანებისა და ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ახალმა რელიგიამ – ისლამმა, რომლის მქადაგებლად ითვლება მუჰამადი. 632 წელს დაარსებულ არაბთა თეოკრატიული სახელმწიფოს სათავეში ხალიფა იდგა.

არაბთა დაპყრობითი ომები დაემთხვა მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკურ კრიზისს, რამაც ხელი შეუწყო არაბთა სამხედრო წარმატებებს. არაბები ქვეყნებს იპყრობდნენ სახალიფოს ტერიტორიის გაზრდისა და ხარკის აღების მიზნით. თავდაპირველად სახალიფოს დაპყრობილი ქვეყნებიდან უამრავი სიმდიდრე შემოსდიოდა.მხოლოდ ერაყიდან ყოველწლიურად 100 მილიონ დირჰემს იღებდნენ. 637 წელს, როცა არაბებმა სასანიანთა ირანის სატახტო ქალაქი ქტესიფონი აიღეს, მათ ხელში

900 მილიონი დირჰემის ღირებულების ქონება ჩაუვარდათ, მათ შორის, ხელოვნების მრავალი ძვირფასი ნიმუში.

661 წელს დასრულდა არაბთა სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფოს არსებობა და ის აღმოსავლური ტიპის დესპოტიაში გადაიზარდა [გაბაშვილი ვ. 1957: 65]. 661 წელს სახალიფოში შინაომი დამთავრდა სირიის ომაელთა გვარის მმართველ მუავიას (ჰიჯრის 41-60 წწ. = ახ.წ. 661-681 წწ.) გამარჯვებით. იმ დროიდან სახალიფოს მთავარი ქალაქი დამასკო გახდა. VIII ს-ის 50 წელს სახალიფოს სათავეში აბასიანთა დინასტია მოექცა. არაბთა სახელმწიფოს დედაქალაქი ახალდაარსებულ ქალაქ ბაღდადში გადაიტანეს, რომელშიც დაუსრულებლად მოედინებოდა სამხედრო ნადავლი და ხარკით დატვირთული ქარავნები. არაბთა დაპყრობითი ომები დაემთხვა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ კრიზისს, რამაც ხელი შეუწყო არაბთა სამხედრო წარმატებებს.

VII ს-ის 40-იან წლებში არაბთა რაზმები გამოჩნდნენ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე. საქართველოში ისინი 643 წელს შემოვიდნენ ჰაბიბ იბნ-მასლამას წინამძღოლობით. ქართველებმა მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლას არჩიეს მშვიდობიანი მოლაპარაკება და ჰაბიბ იბნ-მასლამას გაუგზავნეს საჩუქრები. არაბებმა საპასუხოდ გამოგზავნეს არაბ-ქართველთა ხელშეკრულება მორჩილების შესახებ, ე.წ. ჰაბიბ იბნ-მასლამას *დაცვის სიგელი*, რომელიც ავალდებულებდა ქართველებს გადასახადის — *ხარაჯის* გადახდასა და მუსლიმთა ომებში მონაწილეობას. მუსლიმები კი ვალდებულნი იყვნენ, დაეცვათ ქართველები მტრისაგან. ქართველებს უფლება არ ჰქონდათ, შეეერთებინათ რამდენიმე კომლი *ხარაჯის* შემცირების მიზნით, მუსლიმებს კი — კომლის დაყოფა *ხარაჯის* გაზრდის მიზნით. ვინც ისლამს მიიღებდა, გადასახადებისგან თავისუფლდებოდა.

არაბები მეორედ საქართველოში შემოვიდნენ 729-730 წლებში სასტიკი მხედართმთავრის — მარვან II-ის მეთაურობით, რომელმაც ააოხრა ქართლი და ლაშქრობის შედეგად აქ დამკვიდრდა არაბთა ბატონობა. მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ქართველები აბასელთა გვარის პირველი ხალიფის მეფობისას, როცა არაბებმა გაამკაცრეს სარწმუნოებრივი პოლიტიკა, დაამძიმეს გადასახადები: *ხარაჯა* — მიწის გადასახადი, *ჯიზია* — სულადობრივი. ამ უკანასკნელს იხდიდნენ მხოლოდ არამუსლიმები.

ფულის მიმოქცევა არაბების სახალიფოში დაკავშირებული იყო იმ საომარ მოქმედებებთან, რომლებსაც არაბი ხალიფები აწარმოებდნენ *ხარბანისა* (სამხედრო) და *სულხანის* (მშვიდობიანი) სახით. ამ პერიოდის პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები ნათლად აისახა ფულად მიმოქცევასა და მოჭრილი მონეტების შინაარსში.

VII ს-ის II ნახევარში საქართველოს დასავლეთ ნაწილში მიმოიქცეოდა ბიზანტიური საფასეები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — არაბულ-სასანური მონეტები, რომლებიც იჭედებოდნენ სასანური ირანის შაჰან-შაჰების პორტრეტებით, ფალაური და არაბული ზედწერილებით ავერსზე, ზოროასტრული სიმბოლო ცეცხლის საკურთხევლით — მონეტის რევერსზე. სასანური ტიპის არაბული მონეტებისთვის დროთა განმავლობაში დამტკიცდა ხოსრო II-ის მონეტების ტიპი იმ განსხვავებით, რომ მეფის სახელი შეიცვალა ომაელი ხალიფის სახელით[1] (სურ. 8). დრაქმის

[1] ხოსრო II ტიპის დრაქმები იჭედებიდა 18 სამონეტო კარზე. მათი ემისია ცენტრალურ

წონამ ამ პერიოდში დაიკლო და ის 3 გრ. გახდა, სწორედ ეს წონა დაედო საფუძვლად მომავალი სახალიფოს საფასეს – დირჰემს.

ომაელებიდან იწყება ფულის ემისიის ახალი ეტაპი სახალიფოს აღმოსავლეთ პროვინციებში. მათი მმართველობის პირველი 30 წლის განმავლობაში, ხალიფა აბდ ალ-მალიქ იბნ მარვანის ფულის რეფორმამდე, ირანის ზარაფხანებში იჭრებოდა დრაქმები, რომლებიც ტიპოლოგიურად არ განსხვავდებოდა უკანასკნელი სასანელი მეფეების საფასეებისგან. განმასხვავებელი ნიშანი ე.წ. არაბულ-სასანური ემისიებისა იყო *ბასმალა* (ფორმულა ყურანიდან) მონეტის არეზე ქუფური ზედწერილით. ომაელთა დროს ასეთი მონეტები დიდი რაოდენობით იჭრებოდა.

აბდ ალ-ლაჰ იბნ ამირი (661-680 წწ.) იყო პირველი არაბი მმართველი, რომელმაც არაბულ-სასანური მონეტები მოჭრა თავისი და არა სასანელი მეფის სახელით. უნდა აღინიშნოს, რომ პირველად მის საფასეზე გაჩნდა მონეტის მოჭრის წელი ჰიჯრით. ყველაზე ადრეული არაბულ-სასანური დრაქმები მოიჭრა ირანის ვეჰ-კობადისა და ვეჰ-არდაშირის ზარაფხანებში. სასანელთა ზარაფხანები დიდ როლს ასრულებდნენ ფულის ემისიის საქმეში, არა მარტო სასანელი დინასტიის მეფეების ზეობის, არამედ ისლამურ პერიოდში – ომაელთა და აბასელთა ეპოქებშიც.

ზოგიერთი ნუმიზმატის აზრით, არაბულ-სასანური მონეტების მოჭრა განპირობებული იყო არაბთა სამხედრო ოპერაციებით. ეს საფასეები იჭრებოდა ლაშქრობებში მონაწილე ჯარისკაცებისთვის მათი ფულით დაკმაყოფილების მიზნით იმ რეგიონებში, საიდანაც დამპყრობლები ვერ წამოიღებდნენ აურაცხელ ნადავლს [Sears S. 1977: 391; Kennedy H. 2001: 69].

ერთიანი უნიფიცირებული სახელმწიფოს ფულადი ერთეულის უქონლობამ და სხვადასხვა კატეგორიის ფულის არსებობა სახალიფოს ტერიტორიაზე ხელს უშლიდა და აფერხებდა რეგიონებს შორის სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას. უნიფიცირებული საფასის შემოღებისთვის პირობები მხოლოდ VII ს-ის დასასრულს მომზადდა. სახალიფოს ფინანსურ-ეკონომიკური სტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, სახალიფოს ადმინისტრაციამ და ხალიფა აბდ ალ-მალიქმა (685-705 წწ.) გაატარეს ე.წ. *რეფორმა*, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფოს *არაბიზებას* (სახელმწიფო ენად არაბულის გამოცხადებას, არაბული მონეტის მოჭრასა და სხვ.). ამ რეფორმამ გააერთიანა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები მონეტის სრულიად ახალი ტიპის – დირჰემის გარშემო, რომლის წონა გახდა სტაბილური, ეპიგრაფიკა კი – უნივერსალური (სურ. 10). ახალი, უნიფიცირებული, ზოგადსახელმწიფოებრივი ფულადი სისტემის მთავარი ერთეული გახდა ვერცხლის დირჰემი, რომლის წონა 2,97 გრამი იყო. ოქროს მონეტები – დინარები იჭრებოდა მხოლოდ დედაქალაქ დამასკოს ზარაფხანაში (ქალაქის აღნიშვნის გარეშე).

დირჰემები 700 წლიდან ტრადიციული ისლამური სიმბოლიკით იჭრებოდა და ისინი ფუნდამენტურად განსხვავდებოდა არაბულ-სასანური დრაქმისგან როგორც დიზაინით, ისე წონით.

დირჰემზე, დრაქმისგან განსხვავებით, გამოსახულება არაა. მასზე მხოლოდ არაბული ზედწერილებია. კონდოულის განძში არსებულ მონეტებზე რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული, ლეგენდაა:

ირანში ჰ. 50 (= 670) წელს შეწყდა. ისინი აქტიურად გვხვდება VIII ს-ის შერეულ განძებში.

ომაელთა დინასტია. ავერსზე, ცენტრში, გამოსახულია:

لا اله الا الله وحده لا شريك له — *არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა ერთისა და არ ჰყავს მას თანაზიარი* (სურ. 14).

გარშემოწერილობაში იცვლება მხოლოდ თარიღი და ზარაფხანა:

بسم الله ضرب هذا الدرهم بسابور سنة اربع و تسعين — *სახელითა ალლაჰისა მოიჭრა ეს დირჰემი საბურში ჰიჯრის 94 წ.* (= 712-713 წწ.) (სურ. 11).

ომაელთა სახალიფოს ამ განძში არსებული მონეტების რევერსზე არაბული ლეგენდა ერთნაირია:

الله احد الله الصمد لم يلد و لم يولد و لم يكن له كفوا احد — *ალაჰი ერთია, ალაჰი მუდმივია, არ შობს, არ იშვა და არ ჰყავს მას არავინ თანასწორი* (სურ. 12).

გარშემო ლეგენდა ყურანიდან (IX სურის 33-ე აია):

محمد رسول الله ارسله بالهدى و دين الحق ليظهره على الدين كله و لم كره المشركون — *მუჰამადი მოციქული ალაჰისა, რომელმაც გამოგზავნა ის სწორი გზით და რჯულით ჭეშმარიტით, რათა აღამაღლოს ყველა სარწმუნოებაზე, თუნდაც სძულდეთ ეს ურწმუნოებს* (სურ. 13).

რაც შეეხება აბასიანთა დინასტიის მონეტებს, აქაც ავერსისა და რევერსის გარშემოწერილობა ერთნაირია, ცენტრში კი იცვლება:

محمد رسول الله — *მუჰამმადი მოციქული ალლაჰისა* (სურ. 16).

محمد رسول الله صلى الله عليه و سلم الخليفة المهدى — *მუჰამადი მოციქული ალაჰისა აწყალობებს და მიესალმება ხალიფა ალ-მაჰდი* (სურ. 20).

ეს ზედწერილი გვხვდება ასევე ხალიფა ალ-ჰადის (ჰიჯრის 169-170 = ახ.წ. 785-786 წწ.) მონეტებზეც (სურ. 23).

مما امر به المهدى محمد بن امير المؤمنين — *სახელითა ალ-მაჰდი მუჰამადის მართლმორწმუნეთა მბრძანებელი* (სურ. 19).

محمد رسول الله مما امر به الامير الامين محمد بن امير المؤمنين جعفر — *მუჰამადი მოციქული ალაჰისა სახელითა კეთილშობილი მმართველის მუჰამადი მართლმორწმუნეთა მბრძანებელი.*

لله به محمد رسول الله مما امر به الامير الإمام المامون امير المؤمنين الفضل — *ალაჰის მიერ, მუჰამადი მოციქული ალაჰიასა ამირათა მეთაურის ალ-მამუნის მართლმორწმუნეთა მბრძანებლის სახელით.*

აბდ ალ-მალიქის რეფორმის შემდგომ ფულის ემისია უკანასკნელი ომაელებისა და აბასელების დროსაც გრძელდებოდა. არაბთა სახალიფოში აბასელების დინასტიის ხელში ძალაუფლების გადასვლას (750 წ.) სახალიფოს ფულად მიმოქცევაში განსაკუთრებული ცვლილებები არ გამოუწვევია. მონეტების გამოშვება გრძელდებოდა ძველი ფულადი წონითი სისტემით. დრაქმისგან განსხვავებით, რომლის წონა საშუალოდ 4,3 გრამს უდრიდა, დირჰემი უფრო მჩატეა და მისხლის 7/10-ია [Miles G. 1965: 319].

ალ-მანსურის მონეტების წონა



ალ-მაჰდის მონეტების წონა





აბასელ მმართველ ალ-მანსურის (754-775 წწ.) ხალიფობის პერიოდიდან მონეტებზე ჩნდება ხალიფების, მოგვიანებით კი – ამირების სახელები.

სასანიანთა სახელმწიფოს დაშლამ, არაბთა სახალიფოს დაარსებამ და არაბების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობამ შეცვალა ქვეყნის ფულადი მიმოქცევის სურათი. თუ არაბების შემოსვლამდე აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ და ინტენსიურად მიმოიქცეოდა ირანის სხვადასხვა ოლქის ზარაფხანებში მოჭრილი ვერცხლის საფასეები, არაბების ბატონობის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს საშინაო და საგარეო ვაჭრობა ხორციელდებოდა უკანასკნელი სასანელი მეფეების დრაქმებით, არაბულ-სასანური და არაბული საფასეებით. ამ ფაქტის ნათელი მაგალითია სოფ. კონდოულში აღმოჩენილი შერეული განძი.

კონდოულის განძი საფასეების შემადგენლობის მიხედვით ხანგრძლივი დაგროვებისაა. ქრონოლოგიურად მონეტები შემდეგნაირად განისაზღვრა.

სასანური დრაქმები:

ჰორმიზდ IV-ის (579-590 წწ.) (სურ.1)

ხოსრო II-ის (590/1-628 წწ.)(სურ. 2, 3, 4)

ბორანის (629-631 წწ.)

არაბულ-სასანური დრაქმები:

ომარ იბნ უბეიდულაჰის (ჰ. 67-70 = ახ.წ. 686-689 წწ.) (სურ. 6)

მუჰალაბ ბენ აბუ სუფრის (ჰ. 75-79 = ახ.წ. 694-697 წწ.) (სურ. 7)

ხოსრო II-ის ტიპის ანონიმური დრაქმა

ალ-ჰაკაჯ იბნ იუსუფის (ჰ. 75-95 = 694-713/14 წწ.) (სურ. 9)

ომაელთა დინასტია. არაბული დირჰემები:

აბდ ალ-მალიქის (ჰ. 65-86 = 685-705 წწ.)

ალ ვალიდ I-ის (ჰ. 86-96 = 705-714/15 წწ.)

სულეიმანის (ჰ. 96-99 = 714/15-717 წწ.)

ომარ II-ის (ჰ. 99-101 = 717-719/20 წწ.)

ჰიშამის (ჰ. 105-125 = 723/24-742/43 წწ.)

აბასელთა დინასტის დირჰემები:

ალ-საფაჰის (ჰ. 132-136 = 749-754 წწ)

ალ-მანსურის (ჰ. 136-158 = 754-775 წწ.)

ალ-მაჰდის (ჰ. 158-169 = 775-785 წწ.)

ალ-ჰაადის (ჰ. 169-170 = 785-786 წწ.)

ჰარუნ არ-რაშიდის (ჰ. 170-193 = 786-809 წწ.)

ალ-ამინის (ჰ. 193-198 = 809-813 წწ.)

ალ-მამუნის (ჰ. 198-218 = 813-833 წწ.)

განძის ყველა მონეტა მაღალი სინჯის ვერცხლისგანაა მოჭრილი. მიუხედავად იმისა, რომ განძში შემავალი მონეტების ნაწილი ხანგრძლივად მიმოიქცეოდა, ის კარგადაა დაცული. კონდოულის განძი ორი ნომინალისგან შედგება – დრაქმისა და დირჰემისგან.

სასანური მონეტების ზარაფხანები

ზარაფხანა	მონეტების მოჭრის თარიღი				
	589	603	617	620	632
ბიშაპური	X				
არდაშირ-ხვარა		X	X		
ოხრმაზდ-არდაშირი				X	
საკასტანი					X

სასანურ-არაბული მონეტების ზარაფხანები

ზარაფხანა	მონეტების მოჭრის თარიღი			
	68	75	83	
არდაშირ-ხვარა	X			
ბიშაპური		X	X	X

კონდოულში დაფიქსირდა არაბთა სახალიფოს ტერიტორიაზე არსებული 24 სამონეტო კარი, რომელთა რაოდენობა მიუთითებს ზარაფხანების აქტივობაზე. თუ ჰიჯრის 80 (= 700) წლამდე არაბები მცირე რაოდენობით ჭრიდნენ მონეტებს, რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით ზარაფხანების რაოდენობა, რომელიც განლაგებული იყო არაბთა სახალიფოს

მთელ ტერიტორიაზე, გაიზარდა და მხოლოდ აღმოსავლეთ სახალიფოში 150-ს აღემატებოდა.

არაბული მონეტების ზარაფხანები

ომაელთა დინასტია

ზარაფხანა	მონეტების მოჭრის თარიღი ჰიჯრით											
	86	90	93	94	95	96	98	99	105	106	109	124
დამასკო	X											
ვასიტი		X	X						X	X		X X
საბური				X								
მაჰი						X						
არმინია							X	X				
მუბარიქა											X	

აბასელთა დინასტია

ზარაფხანების რაოდენობის მიხედვით ყველაზე მეტი დირჰემი მოჭრილია ჰარუნ არ-რაშიდის მიერ: ბაღდადში — 27 ც., მუჰამადიაში — 19 ც. არმინიაში — 6 ც., არანში — 5 ც., ბალხში — 4 ც. (სურ. 28), ზარანჯში — 2 ც., ანდალუსიაში — 1 ც. (სურ. 25), იფრიკიაში — 1 ც., მადინა სამარყანდში — 1 ც.

ალ-მაჰდის მიერ: ბაღდადში — 26 ც. (სურ. 22), ბასრაში — 5 ც., მუჰამადიაში — 5 ც., ქ.ჯეიში — 2 ც., აბასიაში – 2 ც., ისპაჰანში — 1ც., ჰარუნაბადში — 1 ც. (სურ. 21), არანში — 1 ც., ვასიტში – 1 ც.

ალ-მანსურის მიერ: ბაღდადში — 16 ც., ბასრაში — 5 ც., მუჰამადიაში — 4 ც., ქუფაში — 3 ც., არმინიაში — 2 ც., ქ. რეიში — 1 ც., ტაბარისტანში — 1 ც.

ალ-ამინის მიერ: ისპაჰანში — 2 ც. (სურ. 30), მაადენ ბაჯუნაისში — 1 ც. (სურ. 29), ბაღდადში — 1ც., მუჰამადიაში — 1 ც. (სურ.31).

ალ-საფაჰის მიერ: ქუფაში — 4 ც.

ალ-ჰადის მიერ: ჰარუნიაში — 1 ც. (სურ. 23), ბაღდადში — 1ც.

განძის ყველაზე ადრეული მონეტა ჰორმიზდ IV-ის დრაქმაა, რომელიც 589 წლით თარიღდება (სურ.1), ყველაზე გვიანდელი კი აბასელი ხალიფა ალ-მამუნის დირჰემია. მოჭრის თარიღი შეიძლება იყოს ჰიჯრის 198 ან 199 წ. (მონეტაზე ერთეული არ იკითხება). განძის დიაპაზონი 224-225 წელს მოიცავს. განძში ჭარბობს ჰარუნ არ-რაშიდის (73 ც.), ალ-მაჰდისა (43 ც.) და ალ-მანსურის (33 ც.) საფასეები, ბაღდადისა (72 ც.) და მუჰამადიის (31 ც.) ზარაფხანების ემისიები.

კონდოულის განძი მიეკუთვნება იმ სხვა შერეული განძების რიცხვს, რომლებიც XX ს-ის სხვადასხვა წელს აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოში და შედგება 2 ტიპის საფასის – დრაქმებისა და დირჰემებისგან, რომლებიც ერთდროულად მიმოქცეოდა IX ს-ის I ნახევრამდე[2]. შეგვიძლია

[2] სოფ. ჭიკაანის (ყვარელის რ-ნი) 1900 წლის განძი შეიცავდა ხოსრო II-ის (1 ც.), ტაბარისტანის მმართველის საიდ იბნ დალაჯის (ჰიჯრის 160-162/3 = 776-778/9 წწ.) (1 ც.) დრაქმებსა და აბასელთა დირჰემებს. [Пахомов Е. 1926: № 84; Пахомов Е. 1959: 74; Джалагания И.1979; Tsotselia M. 2010 : 156, № 807].

სოფ.კავშირის (ლაგოდეხის რ-ნი) 1921 წლის განძი, რომელშიც იყო ხოსრო II-ის (1 ც.), ტაბარისტანის მმართველის უმარ იბნ ალ-ალას (ჰიჯრის 155-159=771-775 წწ.) დრაქმები, ომაელთა და აბასელთა დირჰემები. [Пахомов Е. 1938: № 393; Джалагания И. 1979: 40-41;

ვივარაუდოთ, რომ განძი ჩაფლული იყო IX ს-ის II ნახევარში.

კონდოულის განძს აქვს ზემოთ აღნიშნული განძების იდენტური არა მარტო დინასტიური შემადგენლობა, არამედ მათი დაფვლის თარიღიც.

კონდოულის განძი სხვადასხვა ისტორიულ წყაროში არსებული ქართულ-არაბული ურთიერთობის ნათელი მაგალითია. მასში შემავალი საფასეები ასახავენ აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის VII-IX სს-ის პირველ ათწლეულს, ქვეყანაში მომხდარ ისტორიულ ცვლილებებსა და იმ პერიოდის ფულის მიმოქცევის თავისებურებებს. ეს განძი, აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილ მსგავს შერეულ განძებთან ერთად, ცხადყოფს ქვეყანაში მიმდინარე ისტორიული პროცესების კანონზომიერებას. განძში არსებული მონეტები ასახავენ ადრეფეოდალური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევის სურათს, გვაძლევენ რა მდიდარ მასალას ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლისთვის.

აღმოსავლეთ საქართველოში VII-IX სს-ის კიდევ ერთი განძის აღმოჩენა აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში ფულის მიმოქცევის ინტენსიურობისა და სავაჭრო-ფულადი ურთიერთობების მაღალი დონის მანიშნებელია.

კონდოულის განძს აქვს არა მარტო ნუმიზმატიკური, არამედ ისტორიული მნიშვნელობაც, რადგან ის უტყუარი და მნიშვნელოვანი წყაროა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული მდგომარეობის რეკონსტრუქციისთვის.

კონდოულის განძი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასში აღმოჩნდა დედოფალ ბურანის მონეტა (სურ. 5), რომლის 166 საფასეა ცნობილი და მხოლოდ რამდენიმეს პოვნის ადგილია დაფიქსირებული.

ძნელია იმის დადგენა, თუ რა იყო კონდოულის განძის დაფვლის მიზეზი: თუ მტრის შემოსევა, მაშინ ის შეიძლება მივაკუთნოთ „ომის" განძთა რიცხვს; თუ განძი ეკუთვნოდა ვაჭარს ან კერძო პირს და მან ის გაურკვეველი მიზეზით გადამალა და ვეღარ მიაკითხა მას, მაშინ ის „გაუთვალისწინებელი" განძია და მისი დაგროვება აღმოსავლეთ საქართველოში არაბების ბატონობის შედეგია.

Tsotselia M. 2003: № 25; ლომოური თ. 2005: 31-32; Tsotselia M. 2010: 160].

1924 წლის სოფ. აპენის (ლაგოდეხის რ-ის) დიდი განძი (394 მონეტა): ჰორმიზდ IV-ის (1 ც.), ხოსრო II-ის (15 ც.), ტაბარისტანის მმართველების (15ც.), ომაელთა და აბასელთა საფასეები [Пахомов Е. 1938: №396; Джалагания И. 1979: 37-40; Tsotselia M. 2003: № 29; ლომოური თ. 2005: 17-26; Tsotselia M. 2010: 160-161, № 817].

171 საფასისგან შედგება ლელიანის (ლაგოდეხის რ-ნი) 1924 წლის განძი. ფიქსირდება ხოსრო II-ის (2 ც.), ტაბარისტანის ისპახბედს ხუშიდის (ჰიჯრის 123-144=740-761 წწ.) დრაქმები, ანონიმური სასანური ტიპის (1 ც.), ომაელთა და აბასელთა საფასეები [Пахомов Е. 1938: №395; Tsotselia M. 2003, № 26; ლომოური თ. 2005: 27-31; Tsotselia M. 2010: 161-162, № 818].

სოფ. დილიფის (ნინოწმინდის რ-ნი) 1949 წლის განძის შემადგენლობა ასეთია: ხოსრო II-ის (1 ც.), ტაბარისტანის მმართველ ომარ იბნ ალ-ალას (1 ც.), ომაელებისა და აბასელების მონეტები. [Пахомов Е. 1954: №1607; ჯალაღანია ი. 1976: 147-154; Tsotselia M. 2003: № 23; Tsotselia M. 2010: 163, № 821].

ფიჩხოვანის (ახმეტის რ-ნი) 1960 წლის განძი: ხოსრო II-ის (3 ც.), მუავიას (ჰიჯრის 40-60=661-680 წწ.), არაბულ-სასანური დრაქმა (1 ც.), ტაბარისტანის მმართველ ომარ იბნ ალას (1 ც.), ომაელებისა და აბასელების საფასეები [ჯალაღანია ი. 1976: 155-184; Tsotselia M. 2003: № 28; Tsotselia M. 2010: 128. № 829].

მთისძირის (ყვარლის რ-ნი) 1988 წლის განძი შედგება: ჰორმიზდ IV-ის (1ც.), ხოსრო II-ის (6 ც.), არაბულ-სასანური ტიპის ტაბარისტანის მმართველს საიდ იბნ დალაჯის (2 ც.) საფასეებისგან [Tsotselia M. 2003: № 21; Tsotselia M. 2010: 157. № 811].

კონდოულის განძმა კიდევ ერთხელ ცხადყო: ა) VII-IX სს-ის აღმოსავლეთ საქართველოში ფულის მიმოქცევის სპეციფიკური თავისებურება იყო უკანასკნელი სასანელი მეფეების დრაქმების მიმოქცევა არაბულ-სასანური ტიპის საფასეებსა და არაბულ დირჰემებთან ერთად. სასანური მონეტების მიმოქცევა უფრო ხანგრძლივი იყო, ვიდრე სასანიანთა ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოში; ბ) VII ს-ის II ნახევრიდან აღმოსავლეთი საქართველო მოექცა არაბთა ბატონობის ქვეშ და ქვეყნის სამონეტო ბაზარი იმ პერიოდში მარაგდებოდა სასანური, არაბულ-სასანური და არაბული მონეტებით; გ) არაბული მონეტები, რომლებიც კარგად ასახავენ ქვეყანაში არსებულ ფულადი ურთიერთობის ხასიათს, დომინირებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში; დ) არაბეთის სახალიფოში მოქმედებდა მრავალი ზარაფხანა.

NUMISMATICS

Medea Tsotselia*, Mariam Qoridze*

*The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian museum
3 Rustaveli ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: tsotselia@yahoo.com
mariam_qoridze@yahoo.com

The Kondouli Hoard

Summary

The paper gives an overview of research conducted about a silver hoard consisting of 201 coins. The hoard was purchased in 2012 by the Georgian National Museum,Simon Janashia Georgian Museum soon after its accidental finding in village Kondouli (Telavi district) during earth works.

The hoard is of a mixed genuine containing silver coins – Sasanian drachms (5), Arab-Sasanian coins (4), Umayyad mints (13) and dirhams of Abbasid caliphs (179).

The coins are well preserved in spite of their long term use in circulation. The earliest coin dates back to the 589 year and was minted in the name of Hormizd IV (579-590), the latest specimen is al-Amin's dirham minted in AH 198-199 = 813-814.

Sasanian coins are issues of three shahs of the Sasanian dynasty: Hormizd IV (579-590) – 1, Khusro II (590/1-628) – 3 and Queen Buran (629-631) – 1. They are rather old issues compared to Abbasid dirhams.

The dynastic composition of Umayyad rulers is the following: Abd al-Malik (AH 65-86 = 685-705) – 1, al-Walid I (AH 86-96 = 705-714/15) – 5, Sulayman (AH 96-99 = 714/15 - 717) – 2, Hisham (AH 105-125 = 723/24-742/43) -5.

Abbasid dirhams are represented by the following caliphs: al-Safah (AH 132-

136 = 749-754) – 4, al-Mansur (AH 136-158 = 754-775) – 33, al-Mahdi (AH 158-169 = 775-785) – 47, al-Hadi (AH 169-170 = 785-786) – 1, ar-Rashidi (AH 170-193 = 786-809) - 71, al-Amin (AH 193-198 = 809-813) – 6, al-Mamun (AH 198-218 = 813-833) -1.

The Kondouli hoard presents a great variety of mint towns. It includes not only output of the central regions of the Abbasid Caliphate but dirhams of distant towns as well.

The Sasanian drachms were issued in Bishapur – 1, Ardashir – Khurrah – 2, Ohrmazd-Ardashir – 1 and Sakastan-1.

The Arab-Sasanian coins were issues of two mint downs Bishapur (3) and Ardashir-Khurrah (1).

Dirhams were minted in the names of Umar b. Ubaydullah(67-70 = 686-689), Muhallab b Abu Sufra (75-79 = 694-697), Al-Hajaj b. Yusuf and Anonymous of Khusrow type.

Most of the coins were issued in Madinat as-Salam – 72 and Muhamadia – 31 mints. The largest number of pieces in the hoard is minted in the name of Harun al-Rashid with 72 specimens. The next largest group was struck in the name of al-Mahdi – 43 dirhams and al-Mansur- 33.

Composition of the hoard on the basis of the chronological distribution of coins and the terminal date, is typical for the 7th- 8th cc hoards. The analysis of rulers' names demonstrate similarity with other Arab-Sasanian mixed hoards that were found on the territory of East Georgia and are kept in the numismatic collection of the Simon Janashia Georgian National Museum.

The large number of the hoard coins was struck between AH 179-181 years. The terminal date of the Kondouli hoard is AH 198 year. It must have been put away in the second half of the 9th century . The hoard is large enough, particularly, for Harun al-Rashid, to make it worth of analyzing the weight of dirhams contained in it. Looking at the hoard as a whole, the weights of the dirhams range from 2,24 grams to 3,26 grams. Metrological data of the hoard shows that the weight of dirhams was nearly the same.

The hoard is a perfect example of simultaneous circulation of different coin values in East Georgia during the 7th – the first years of the 9th cc. The political relations between East Georgia and Caliphate were reflected on money circulation too. The conquest of the Arabs caused its incorporation into Caliphat's spere of money circulation.

On the basis of the Kondouli hoard one can reconstitute the history of money circulation of East Georgia in the above-mentioned period of time.

The presence of some Sasanian issues in the hoard indicates that Sasanian drachms circulated in East Georgia till the first years of the 9th century. The hoard reveals the existence of commercial contacts of East Georgia with the Arab Emirate and adds more information about the money circulation of the 7th – 9th cc East Georgia.

Owing to their function, coins are primary historical sources for every epoch and every area. The Kondouli hoard showed coins proposed by different governors to diffuse political and religious values identifying their power.

It is difficult to postulate either the hoard was buried because of war, public

disorder or it was just a saving of some person who hid it for reasons of a personal nature and never reclaimed. The hoard might be an accidental losses or an emergency hoard.

Numismatic evidences of the Kondouli hoard are vital to our understanding of the political changes which took place in the early feudal period in East Georgia.

ბიბლიოგრაფია

გაბაშვილი ვ. 1957: *ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან.* თბილისი.

ლომოური თ. 2005: *ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში.* თბილისი.

ჯალაღანია ი. 1976: *საქართველოს განძები I.* თბილისი.

Джалагания И. 1979: *Иноземная монета в денежном обращений Грузии V-XIII вв.* Тбилиси.

Пахомов Е. 1926: *Монетные клады Азербайджана и других республик и краёв Закавказья.* Баку.

Пахомов Е. 1938: *Монетные клады Азербайджана и других республик и краёв Закавказья.* Баку.

Пахомов Е. 1954: *Монетные клады Азербайджана и других республик и краёв Закавказья.* Баку.

Пахомов Е. 1959: *Монетные клады Азербайджана и других республик и краёв Закавказья.* Баку.

Kennedy H: 2001: *The Armies of the Caliphs.* London.

Miles G. 1965: Dirham. *Encyclopedia of Islam.* 2nd ed., vol. 2. Leiden.

Sears S. 1977: *A Monetary History of Iraq and Iran.* CE 500 to 750. Chicago University. Chicago.

Tsotselia M. 2003: *History and Coin Finds in Georgia . Sasanian Coin Find and Hoards.* Wetteren.

Tsotselia M. 2010: *Coin Finds in Georgia.* Wetteren.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ჰორმიზდ IV-ის (579-590 წწ.) დრაქმა
სურ. 2. ხოსრო II-ის (590/1-628 წწ.) დრაქმა
სურ. 3. ხოსრო II-ის (590/1-628 წწ.) დრაქმა
სურ. 4. ხოსრო II-ის (590/1-628 წწ.) დრაქმა
სურ. 5. ბურანის (629-631 წწ.) დრაქმა
სურ. 6. ომარ იბნ უბეიდულაჰის (ჰიჯრის 67-70=686-689 წწ.) დრაქმა
სურ. 7. მუჰალაბ ბენ აბუ სუფრას (ჰიჯრის 75-79=694-697 წწ.) დრაქმა
სურ. 8. ხოსრო II-ის ტიპის ანონიმური დრაქმა
სურ. 9. ალ-ჰაჯაჯ იბნ იუსუფის (ჰიჯრის 75-95=694-713/14 წწ.) დრაქმა
სურ. 10. აბდ ალ-მალიქის (ჰიჯრის 65-86=685-705 წწ.) დირჰემი
სურ. 11. ალ-ვალიდ I-ის (ჰიჯრის 86-96=705-714/15 წწ.) დირჰემი
სურ. 12. ალ-ვალიდ I-ის (ჰიჯრის 86-96=705-714/15 წწ.) დირჰემი
სურ. 13. სულეიმანის (ჰიჯრის 96-99=705 წწ.) დირჰემი
სურ. 14. ჰიშამის (ჰიჯრის 105-125=723/24-742/43 წწ.) დირჰემი
სურ. 15. ჰიშამის (ჰიჯრის 105-125=723/24-742/43 წწ.) დირჰემი
სურ. 16. ალ-საფაჰის (ჰიჯრის 132-136=749-754 წწ.) დირჰემი
სურ. 17. ალ-მანსურის (ჰიჯრის 136-158=754-775 წწ.) დირჰემი
სურ. 18. ალ-მანსურის (ჰიჯრის 136-158=754-775 წწ.) დირჰემი
სურ. 19. ალ-მანსურის (ჰიჯრის 136-158=754-775 წწ.) დირჰემი
სურ. 20. ალ-მაჰდის (ჰიჯრის 158-169=775-785 წწ.) დირჰემი
სურ. 21. ალ-მაჰდის (ჰიჯრის 158-169=775-785 წწ.) დირჰემი
სურ. 22. ალ-მაჰდის (ჰიჯრის 158-169=775-785 წწ.) დირჰემი
სურ. 23. ალ-ჰადის (ჰიჯრის 169-170=785-786 წწ.) დირჰემი
სურ. 24. ჰარუნ არ-რაშიდის (ჰიჯრის 170-193=786-809 წწ.) დირჰემი
სურ. 25. ჰარუნ არ-რაშიდის (ჰიჯრის 170-193=786-809 წწ.) დირჰემი
სურ. 26. ჰარუნ არ-რაშიდის (ჰიჯრის 170-193=786-809 წწ.) დირჰემი
სურ. 27. ჰარუნ არ-რაშიდის (ჰიჯრის 170-193=786-809 წწ.) დირჰემი
სურ. 28. ჰარუნ არ-რაშიდის (ჰიჯრის 170-193=786-809 წწ.) დირჰემი
სურ. 29. ალ-ამინის (ჰიჯრის 193-198=809-813 წწ.) დირჰემი
სურ. 30. ალ-ამინის (ჰიჯრის 193-198=809-813 წწ.) დირჰემი
სურ. 31. ალ-ამინის (ჰიჯრის 193-198=809-813 წწ.) დირჰემი

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Hormizd IV's drachm (579-590)
Fig. 2. Khusro II's drachm (590/1-628)
Fig. 3. Khusro II's drachm (590/1-628)
Fig. 4. Khusro II's drachm (590/1-628)
Fig. 5. Buran's drachm (629-631)
Fig. 6. Umar b. Ubaydullah's drachm (AH 67-70 = 686-689)
Fig. 7. Muhallab b. Abu Sufra's drachm (AH 75-79 = 694-697)
Fig. 8. Anonymous of Khusrow type drachm
Fig. 9. Al-Hajaj b. Yusuf 's dirham(AH 75-95 = 694-713/14)
Fig. 10. 'Abd al-Malik 's dirham (AH 65-86 = 685-705)
Fig. 11. al-Walid I 's dirham (AH 86-96 = 705-714/15)
Fig. 12. al-Walid I 's dirham(AH 86-96 = 705-714/15)
Fig. 13. Sulayman's dirham (AH 96-99 = 714/15-717)
Fig. 14. Hosham 's dirham (AH 105-125 = 723/24-742/43)
Fig. 15. Hosham's dirham (AH 105-125 = 723/24-742/43)
Fig. 16. al-Saffah 's dirham (AH 132-136 = 749-754)
Fig. 17. al-Mansur's dirham (AH 136-158 = 754-775)
Fig. 18. al-Mansur's dirham (AH 136-158 = 754-775)
Fig. 19. al-Mansur's dirham (AH 136-158 = 754-775)
Fig. 20. al-Mahd's dirham i (AH 158-169 = 775-785)
Fig. 21. al-Mahdi 's dirham (AH 158-169 = 775-785)
Fig. 22. al-Mahdi 's dirham (AH 158-169 = 775-785)
Fig. 23. al-Hadi's dirham (AH 169-170 = 785-786)
Fig. 24. Harun al-Rashid's dirham (AH 170-193 = 786-809)
Fig. 25. Harun al-Rashid's dirham (AH 170-193 = 786-809)
Fig. 26. Harun al-Rashid's dirham (AH 170-193 = 786-809)
Fig. 27. Harun al-Rashid's dirham (AH 170-193 = 786-809)
Fig. 28. Harun al-Rashid's dirham (AH 170-193 = 786-809)
Fig. 29. al-Amin 's dirham (AH 193-198 = 809-813)
Fig. 30. al-Amin 's dirham (AH 193-198 = 809-813)
Fig. 31. al-Amin 's dirham (AH 193-198 = 809-813)

ტაბ. I **Tab.**

სურ. 1 **Fig.**

სურ. 2 **Fig.**

სურ. 3 **Fig.**

სურ. 4 **Fig.**

სურ. 5 **Fig.**

სურ. 6 **Fig.**

ტაბ. II **Tab.**

სურ. 7 **Fig.**

სურ. 8 **Fig.**

სურ. 9 **Fig.**

სურ. 10 **Fig.**

სურ. 11 **Fig.**

სურ. 12 **Fig.**

სურ. 13 **Fig.**

სურ. 14 **Fig.**

სურ. 16 **Fig.**

სურ. 16 **Fig.**

სურ. 17 **Fig.**

სურ. 18 **Fig.**

ტაბ. **III Tab.**

სურ. 19 **Fig.**

სურ. 20 **Fig.**

სურ. 21 **Fig.**

სურ. 22 **Fig.**

სურ. 23 **Fig.**

სურ. 24 **Fig.**

სურ. 25 **Fig.**

სურ. 26 **Fig.**

სურ. 27 **Fig.**

სურ. 28 **Fig.**

ტაბ. IV **Tab.**

სურ. 29 **Fig.**

სურ. 30 **Fig.**

სურ. 31 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 212-218
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 212-218

თინათინ ქუთელია*, ციალა ღვაბერიძე*

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზ. 3, 0105, თბილისი, საქართველო

ინჩხურის განძი

1988 წლის მარტს სოფელ ინჩხურში (მარტვილის მუნიციპალიტეტი), ადგილ ღვამუშზე, რომელიც გორაკის ფერდია, გივი ფირცხალავამ გატეხილი თიხის ჭურჭლის გვერდით დაფანტული ვერცხლის მონეტები იპოვა (მპოვნელის თქმით, 300-მდე მონეტა). მონეტები სოფლის მცხოვრებლებმა დაინაწილეს.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმმა აღმოჩენის ადგილზე მიავლინა თანამშრომლები – თინათინ ქუთელია და იულონ გაგოშიძე, რომელთაც სოფ. ინჩხურის მცხოვრებთაგან მუზეუმისთვის შეიძინეს განძის ნაწილი. განძის 235 მონეტა განაწილდა ორ მუზეუმს შორის: საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის განძების ფონდში 155 ვერცხლის მონეტაა დაცული (საინვ. №№ 22926-23080), ხოლო გივი ელიავას სახელობის მარტვილის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში – 79 ვერცხლისა და ოქროს 1 მონეტა (საინვ. №№ მ 1-79). ვერცხლის მონეტები არაბული დირჰემებია, ხოლო ოქრო ბიზანტიის იმპერატორ მავრიკი ტიბერიუსის (582-602 წწ.) სოლიდი.

არაბულ დირჰემთაგან 10 ცალი ომაიანთა დინასტიას განეკუთვნება, 224 ცალი კი – აბასიანებს. არაბულ დირჰემებში ყველაზე ადრეულია ჰიჯრის 87 წელს (=707/8 წწ.) მოჭრილი დირჰემი, ხოლო ყველაზე გვიანი ჰიჯრის 199 წლით (=814/15 წწ.) თარიღდება. დირჰემების მაქსიმალური წონა – 2,95 გრ., მინიმალური – 2,77 გრ., საშუალო – 2,86 გრ. ზარაფხანები წარმოდგენილია ცხრილში, განსაზღვრისას ვსარგებლობდით ტიზენჰაუზენის ნაშრომით[Тизенгаузен В. 1873]:

დინასტია	**ზარაფხანა**	**თარიღი ჰიჯრით**	**თარიღი ახ.წ.**	**რაოდენობა**
1	**2**	**3**	**4**	**5**
ომაიანი	ვასიტი	87	707/8	1
ომაიანი	ვასიტი	93	711/12	1
ომაიანი	არმინია	101	719/20	1
ომაიანი	არმინია	111	729/30	1
ომაიანი	არმინია	121	738/39	1
ომაიანი	არმინია	123	740/41	3
ომაიანი	არმინია	124	741/42	1

ომაიანი	არმინია	130	747/48	1
აბასიანები	ბასრა	133	750/51	1
აბასიანები	ქუფა	137	754/55	2
აბასიანები	ნისაბური	137	754/55	1
აბასიანები	ქუფა	139	756/57	1
აბასიანები	ქუფა	140	757/58	1
აბასიანები	ქუფა	141	758/59	2
აბასიანები	ქუფა	142	759/60	3
აბასიანები	ქუფა	143	760/61	3
აბასიანები	არმინია	143	760/61	2
აბასიანები	ჯაი	143	760/61	4
აბასიანები	ას-სალამი	143	760/61	1
აბასიანები	ქუფა	144	761/62	1
აბასიანები	არმინია	144	761/62	9
აბასიანები	ქუფა	145	762/63	5
აბასიანები	ქუფა	146	763/64	2
აბასიანები	ჯაი	146	763/64	1
აბასიანები	არანი	146	763/64	3
აბასიანები	არმინია	147	764/65	4
აბასიანები	ჯაი	147	764/65	1
აბასიანები	ას-სალამი	147	764/65	2
აბასიანები	არანი	147	764/65	8
აბასიანები	მუჰამადია	147	764/65	1
აბასიანები	არმინია	148	765/66	3
აბასიანები	ჯაი	148	765/66	1
აბასიანები	ას-სალამი	148	765/66	1
აბასიანები	არანი	148	765/66	2
აბასიანები	მუჰამადია	148	765/66	4
აბასიანები	არმინია	149	766/67	8
აბასიანები	ჯაი	149	766/67	3
აბასიანები	ას-სალამი	149	766/67	4
აბასიანები	არანი	149	766/67	4
აბასიანები	მუჰამადია	149	766/67	2
აბასიანები	არმინია	150	767	2
აბასიანები	ას-სალამი	150	767	2
აბასიანები	არანი	150	767	3
აბასიანები	ას-სამია	150	757	1
აბასიანები	არმინია	151	768	6
აბასიანები	ას-სალამი	151	768	1
აბასიანები	არანი	151	768	3
აბასიანები	მუჰამადია	151	768	2
აბასიანები	მუჰამადია	152	769	1
აბასიანები	არანი	152	769	3
აბასიანები	ას-სალამი	152	769	2
აბასიანები	არმინია	153	770	6
აბასიანები	ჯაი	153	770	1
აბასიანები	არანი	153	770	6
აბასიანები	მუჰამადია	153	770	1
აბასიანები	ას-სალამი	153	770	4
აბასიანები	ას-სალამი	154	770/71	4
აბასიანები	არანი	154	770/71	1
აბასიანები	ქუფა	154	770/71	1
აბასიანები	ას-სალამი	155	771/72	7
აბასიანები	არანი	155	771/72	3
აბასიანები	მუჰამადია	155	771/72	1
აბასიანები	არმინია	156	772/73	4

აბასიანები	ას-სალამი	156	772/73	5
აბასიანები	ას-სალამი	157	773/74	17
აბასიანები	ჯაი	157	773/74	1
აბასიანები	ას-სალამი	158	774/75	12
აბასიანები	ას-სალამი	159	775/76	4
აბასიანები	ქუფა	159	775/76	2
აბასიანები	ას-სალამი	160	776/77	8
აბასიანები	ას-სალამი	161	777/78	2
აბასიანები	არმინია	161	777/78	1
აბასიანები	ქუფა	162	779/80	1
აბასიანები	ას-სალამი	164	780/81	1
აბასიანები	არმინია	183	799	1
აბასიანები	არმინია	187	802/03	1
აბასიანები	ას-სალამი	199	814/15	1
აბასიანები	მუჰამადია	199	814/15	2

საქართველოს ტერიტორიაზე VIII-IX სს-ის არაბული მონეტების განძებისა და ცალების მოპოვების 53 შემთხვევაა ცნობილი. აქედან 11 დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი ინჩხურის განძის ჩათვლით.

1. 1953 წელს სოფ. მერჯევში (საჩხერის მუნიციპალიტეტი) აღმოჩნდა ომაიანთა დინასტიის დირჰემი, მოჭრილი ჰ. 100 წელს (=718/19 წწ.) ქირმანში. დაცულია სემ „გფ“ №7176 [ჯალაღანია ირ. 1973:5].

2. 1930 წელს სოფ. მერიაში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) აღმოჩნდა სიჯისთანში ჰიჯრის 173 წელს (=789/90 წწ.) მოჭრილი არაბული დირჰემი [Пахомов Е. 1940: 821].

3. გელათის მონასტერში აღმოჩენილ მონეტათა შორის ერთი არაბული დირჰემი იყო [Пахомов Е. 1926: 87].

4. სოფ. ზოტში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) XX ს-ის 90-იანი წლების მიწურულს აღმოჩნდა 150-მდე ვერცხლის მონეტა. ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმში მოხვდა მხოლოდ 12 მონეტა (მონეტები გატარებულია საერთო საინვენტარო ნომრით — VI: 06-70). განძი დამარხული იყო დიდი ქვის ქვეშ, ქოთანში, რომლისაგანაც შემორჩენილია ფრაგმენტები ძირისა და კედლების სახით.

განძი შედგება არაბული დირჰემებისაგან. ყველაზე ადრეულია ჰიჯრის 147 წლით (=764/65 წწ.) დათარიღებული, ალ-ბასრაში მოჭრილი, დირჰემი. გვიანდელია ას-სალამის ჰიჯრის 195 წლის (= 810/811 წწ.) დირჰემი. განძის ჩაფლობა ჰიჯრის 195 წლის შემდგომი პერიოდით უნდა დათარიღდეს [ფაღავა ირ., ვარშალომიძე ირ. ... 2013: 54].

5. 1907 წელს ადგილ არქაბეში (ლაზეთი, რუსეთ-თურქეთის ყოფილი საზღვარი) აღმოჩნდა ომაიანთა და აბასიანთა მონეტების დიდი განძი (300-ოდე მონეტა). მპოვნელის სიტყვით, განძში ყოფილა ათიოდე ოქროს მონეტა, რომელიც მას თურქეთში გაუყიდია. დანარჩენი კი ვერცხლისა ყოფილა. განძიდან დაახლოებით 250 ცალი პახომოვისათვის უჩვენებიათ. ეს იყო არაბული დირჰემები, მოჭრილი სხვადასხვა ქალაქში: მადინათ ას-სალამში — ჰიჯრის 150-196 წწ. (=767-811/12 წწ.) — 100 ც-მდე; მუჰამადიაში — ჰიჯრის 148-189 წწ-ში (=765-805 წწ.) — 40ც., არმინიაში — ჰიჯრის 168-192 წწ-ში (=784-808 წწ.) — 20 ც.; არა უმეტეს 10-10 ცალისა შემდეგ ქალაქებში: ქუფაში — ჰიჯრის 132-147 წწ. (=749-765 წწ.); ბასრაში — ჰიჯრის

134-161 წწ. (= 751-778 წწ.); არანში – ჰიჯრის 152-169 წწ. (=769-805 წწ.); მადინათ ბაჯუნაისში – ჰიჯრის 190-195 წწ. (=805-811 წწ.); ბალხში – ჰიჯრის 182-187 წწ. (=798-803 წწ.); ჯაიში – ჰიჯრის 162 წ. (=778/79 წწ.); ვასიტში – ჰიჯრის 105-124 წწ. (=723-742 წწ.); სიჯისთანში – ჰიჯრის 172-174 წწ. (=788/89-791 წწ.); ბარანჯში – ჰიჯრის 176-178 წწ. (=792-795 წწ.); იფრიკიაში – ჰიჯრის 165 და 189 წწ. (=781/82 და 804/805 წწ.); ჰარუნიაში – ჰიჯრის 171 წ. (=787-88 წწ.); ალ-ჰარუნაბადში – ჰიჯრის 169 წ. (=785/86 წწ.); რეიში – ჰიჯრის 179 წ. (=795-96 წწ.); ისტახრში – ჰიჯრის 139 წ. (=756/57 წწ.); ქირმანში – ჰიჯრის 168 წ. (=784/85 წწ.). ამგვარად, განძში შემავალი მონეტები 723-811 წლებში ყოფილა მოჭრილი, ე.ი. განძი 811 წლის შემდეგ დაუფლავთ [Пахомов Е. 1926: 46. №80].

6. 1959 წელს ბათუმის მახლობლად, მდ. ჭოროხზე, აღმოჩნდა ქუფური ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც იქვე დაიტაცეს. ერთი დირჰემი ამ განძიდან დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (გ.ფ. საინვ. №10220). აბასიანი ხალიფა ამინის (809-813 წწ.) სახელით მოჭრილია მადინათ ას-სალამში ჰიჯრის 195 წელს (=810/811 წწ.). [ჯალაღანია ირ. 1973: 12-13].

7. 1960 წელს დაბა შორაპანში (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), ციხის მახლობლად, აღმოჩნდა ქუფური ვერცხლის მონეტა, მოჭრილი ხალიფა მუთავაქილის სახელით ბასრაში ჰიჯრის 246 წელს (=859/60 წწ.). მონეტა ინახება სემ-ში გ.ფ. საინვ. № 9712 [ჯალაღანია ირ. 1973: 25; Джалаганиа Ир. 1979: 51].

8. 1961 წელს სოფ. კორბოულში (საჩხერის მუნიციპალიტეტი) მაჭავარიანების უბანში აღმოჩნდა ქუფური ვერცხლის მონეტა, მოჭრილი აბასიანი ხალიფა მუთამიდის (ახ.წ. 870-892 წწ.) სახელით ჰიჯრის 252 წელს (=875/876 წწ.). მონეტა მპოვნელთან დარჩა [ჯალაღანია ირ. 1973: 26].

9. ქუფური მონეტების განძი სოფ. სავანიდან (საჩხერის მუნიციპალიტეტი) შეიცავს 68 დირჰემს (1-ომაური, 67-აბასური). შედგენილობის მიხედვით, ის მთლიანად სახალიფოს ცენტრის – ერაყის ზარაფხანიდანაა გამოსული. განძი შეიცავს არდაშირ ჰერაში (ფარსის პროვინცია) ჰიჯრის 136 წელს (=753/54 წწ.) მოჭრილ ერთ უნიკალურ დირჰემს.

მიუხედავად განძის ნაკლულოვანებისა, იგი მშვენივრად ასახავს არგვეთის ისტორიული პროვინციის ფულადი მიმოქცევას, რომელიც VIII-IX სს-ში აღმოსავლეთ საქართველოს ფულადი მიმოქცევისაგან არაფრით განსხვავდება [ჯალაღანია ირ. 1976: 10].

10. აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1977 წელს წებელდაში აღმოაჩინა ვერცხლის მონეტების განძი თიხის ქილაში, რომელიც დაფლული იყო ციხის გალავნის კედელში.

განძი შედგება 106 ვერცხლის მონეტისაგან, რომელთაგან ერთი მოჭრილია ხალიფა ალ-მაჰდის (ახ. წ. 775-785 წწ.) სახელით ჰიჯრის 163 წელს (=779/80 წწ.) ას-სალამში, ხოლო დანარჩენი 105 არაბული დირჰემების მინაბაძებია, რომლებიც მოჭრილია სხვადასხვა სიქით [Джалаганиа Ир., Бгажба О. ... 1983: 10-26].

ინჩხურის განძში VIII-IX სს-ის დირჰემებია. ეს ის პერიოდია, როდესაც დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები თავისუფლდებიან ბიზანტიის იმპერიის გავლენისაგან და VIII ს-ის დასასრულს აფხაზეთის მთავარ ლეონ II-ის მეთაურობით ერთიანდებიან ეგრის-აფხაზეთის სამეფოდ. ამ სამეფოს ტერიტორია მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს. სამეფოს დასავლეთი საზღვარი შავი ზღვაა, ჩრდილოეთით – სამხრეთი ჯიქეთი ნიკოფსიითურთ. აღმოსავლეთით ის ლიხის ქედამდე აღწევს, ხოლო სამხრეთით – მდინარე ჭოროხის ხეობამდე [ჯავახიშვილი ივ. 1948: 91].

ვახუშტის ცნობით, ლეონ ერისთავმა დაყო ეს ქვეყანა: აფხაზეთის, ცხუმის, ეგრისის (ცენტრი ბედიაში), გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, არგვეთის (ცენტრი შორაპანში), ვაკე-იმერეთის (ცენტრი ქუთაისში) საერისთავოებად. ეგრის-აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი იყო ქ. ქუთაისი [საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1973: 419].

არაბული დირჰემების აღმოჩენათა ტოპოგრაფია გვიჩვენებს, რომ ამ სამეფოში ფულადი მიმოქცევა ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად, არაბული დირჰემებით ხორციელდება, ხოლო თანადროული ბიზანტიური ოქროსა და სპილენძის მონეტები იშვიათობაა [აბრამიშვილი თ. 1965; აბრამიშვილი თ. 1989], რაც კარგად ასახავს იმ დროისათვის ბიზანტიის იმპერიასთან საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის შესუსტებას.

როგორც აღვნიშნეთ, წებელდის სამონეტო განძი შედგება ერთი არაბული დირჰემისა და 105 არაბული დირჰემის მინაბაძისაგან. ირ. ჯალაღანიას აზრით, არაბული მონეტების მინაბაძები, შესაძლოა, მოიჭრა ქართველი ხელოსნების მიერ X-XI სს-ის მიჯნაზე [Джалаганиа Ир., Бгажба О. ... 1977: 10-26]. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართველმა ოსტატებმა არაბული დირჰემის მინაბაძი მოჭრეს დასავლეთ საქართველოში, რადგან ამის საჭიროება წარმოიშვა.

როდის ჩაერთო საქართველოს ფულად მიმოქცევაში არაბული დირჰემის მინაბაძი? ჩვენი აზრით ეს შესაძლებელი იქნებოდა ეგრის-აფხაზეთის მეფე ლეონ II-ის (758-798 წწ.) დროს, როდესაც იგი დაუპირისპირდა ბიზანტიას და გაწყვიტა მასთან პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი. შეიქმნა მონეტის დეფიციტი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველოს დედაქალაქ ქუთაისში დაიწყო ამ მონეტების ემისია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოში არაბული ფული არ მიმოიქცეოდა. ზემო იმერეთში, სავანეში, არაბული მონეტების განძის აღმოჩენას იმით ხსნიან, რომ არგვეთი ისტორიულად მუდამ დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ საქართველოსთან [ჯალაღანია ირ. 1979:51]. აჭარასა (ჭოროხის მიდამოებში) და ლაზიკაში (არქაბე), შავი ზღვის სანაპიროზე, არაბული მონეტების განძების აღმოჩენას კი უკავშირებენ ტრაპიზონის მეშვეობით ბიზანტიასა და არაბეთს შორის არსებულ სავაჭრო ურთიერთობებს [დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006:172].

ინჩხურის განძი აღმოჩენილია ცენტრალურ კოლხეთში. ამ ფაქტმა საჭირო გახადა წებელდის განძის არაბული მონეტების მინაბაძების აღმოჩენის ახლებური გააზრება.

ირკვევა, რომ VIII-IX სს-ში დასავლეთ საქართველოს ფულად მიმოქცევაში არაბული დირჰემი ისევე იყო ჩართული, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში.

საქართველოს ერთიანი სამონეტო მიმოქცევა ჰქონდა და იგი დამყარებული იყო არაბულ დირჰემზე.

NUMNUMISMATICS

Tinatin Kutelia*, Tsiala Ghvaberidze*

*The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave. 0105, Tbilisi, Georgia

The Inchkhuri Hoard

Summary

In 1988, a ceramic jar filled with coins was found in village Inchkhuri (Martvili municipality).The hoard finders distributed the coins among themselves. It became possible to collect 235 coins altogether. The hoard is preserved in two museums – the S. Janashia Georgian National Museum houses 155 Arabic silver dirhams, while 79 silver dirhams and a solid -Byzantine gold coin of Maurice Tiberius (582-602) – are preserved at the Givi Eliava Martvili Local Lore Museum.

Nine out of the Arabic coins of Inchkhuri hoard (the earliest of which was minted in AH 707/8) are Umayyad dirhams and 225 – the Abbasids ones (The latest coin dates back to AH 815). The coins of the hoard are minted in the following mints of the Caliphate: Wasit, Baghdad, Aran, Arminia, Basra, Muhammadia, Nishapur, Kufa, As-Samia, Jai.

There is an opinion in scientific literature that Arabic coins did not circulate in West Georgia. The discovery of Inchkhuri hoard allows us to revise this opinion. So far hoards of Arabic coins and single finds have been revealed at 11 different places on the territory of West Georgia. Moreover, local imitations of Arabic dirhams were found along with Umayyad dirhams at Tsebelda. The discovery of Arabic dirhams in the center of Egrisi Kingdom indicates to the fact that in the 8th -9th centuries Arabic dirhams circulated not only in East Georgia but in West Georgia as well.

ბიბლიოგრაფია

აბრამიშვილი თ. 1965: *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები.* თბილისი.

აბრამიშვილი თ. 1989: *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები.* თბილისი.

***საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* 1973:** ტ. II. თბილისი.

დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006: *ქართული ნუმიზმატიკა.* თბილისი.

ფაღავა ირ., ვარშალომიძე ირ., თურქია ს. 2013: ქუფური მონეტების განძი ზოტიდან (გურია). *ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები.* V. თბილისი.

ჯავახიშვილი ივ. 1948: *ქართველი ერის ისტორია.* წიგნი II. თბილისი

ჯალაღანია ირ. 1976: *საქართველოს სამონეტო განძები.* I. თბილისი

ჯალაღანია ირ. 1973: ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-X სს-ის საქართველოში. *მაცნე.* № 4. გვ. 69-80. თბილისი (რედ. გ. მელიქიშვილი).

ჯანაშია ს. 1952: არაბობა საქართველოში. *შრომები.* II. თბილისი.

Джалаганиа Ир., Бгажба О., Воронов Ю. 1977: *Археологические исследования в Цебелде* (результаты раскопок 1977 г.). Тбилиси.

Джалаганиа Ир. 1979: *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII* вв. Тбилиси.

Похомов Е. 1926: *Монетные клады Азербайджана и Закавказья*. № 80. Баку.

Похомов Е. 1940: *Монетные клады Азербайджана и других краев и областей Кавказа* № 821. Баку.

Тизенгаузен В. 1873: *Монеты Восточного халифата*. Санкт-петербург.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ.1. ინჩხურის განძი

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Inchkhuri Hoard

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 219-227
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 219-227

ნუმიზმატიკა

მაია პატარიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: mpataridze@hotmail.com

ბერლინის მუზეუმში დაცული იშვიათი ქართული მონეტის ატრიბუციისათვის

1874 წელს ბერლინის მუზეუმმა შეიძინა ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებელ მიხეილ ბარათაევის (ბარათაშვილი) ნუმიზმატიკური კოლექცია, რომლის დიდი ნაწილი მან საქართველოში ყოფნისას, 1839-41 წლებში, შეაგროვა. ამ დროს მეცნიერი მეფის რუსეთის მიერ იქნა გამწესებული ამიერკავკასიის საბაჟო ოლქის მმართველის თანამდებობაზე. 1844 წელს მიხეილ ბარათაევმა პეტერბურგში გამოსცა მონოგრაფია — «Нумизматические факты грузинского царства» ქართულ, რუსულსა და ფრანგულ ენებზე, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართული მონეტების ფუნდამენტურ კვლევას. ამ მხრივ მიხეილ ბარათაევის ღვაწლი ფასდაუდებელია ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერებისთვის.

კატალოგმა საუკუნეებს გაუძლო და აქტუალობას დღესაც არ კარგავს, მაგრამ დროთა განმავლობაში ახალი სამონეტო ტიპების გამოჩენამ და საისტორიო წყაროების ანალიზმა ცვლილებები შეიტანა ნაშრომში. მოხდა რამდენიმე მონეტის თავიდან განსაზღვრა და გადათარიღება.

ამჯერად, ჩვენი წერილის მიზანი სწორედ მიხეილ ბარათაევის ნაშრომში გამოქვეყნებული და დღეს ბერლინის ბოდემუზეუმის მიუნცკაბინეტში დაცული ერთ-ერთი მონეტის ხელახალი ატრიბუციაა.

მონეტის აღწერა. (სურ. 1) მონეტა დაცულია ბერლინის მიუნცკაბინეტში. ©

წონა — 1,22 გრ., ზომა — 18/17მმ

Av. გამოსახულია მეფე სამეფო სამოსით, თავზე სამრკალიანი გვირგვინით, რომლის ორივე მხარიდან სამ-სამი თვლით შემკული თითო ტოტია დაშვებული; სამოსზე თვლებით მოოჭილი ლორონი აქვს ჩამოშვებული; დოინჯშემოყრილ მარცხენა ხელში მოკლებუნიანი ლაბარუმი[1] უჭირავს, მარჯვენა ხელი თავისუფალი აქვს. მარცხნივ ვერტიკალურად ორი ქართული ასომთავრული ასოა — Ф (ფარი) და Ǯ (მანი). მეფისგან მარჯვნივ, ქვემოთ, სოლომონის ბეჭდის (დავითის ვარსკვლავის) ფრაგმენტი ჩანს.

[1] სავარაუდოდ, ლაბარუმია, თუმცა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, ვინაიდან მონეტა გახვრეტილია.

Rv. გამოსახულია ფეხზე მდგომი *წმინდა ევგენიოსი* შარავანდედითა და გრძელი, ნაკეცებიანი სამოსით; მარჯვნივ, ზემოთ, ორი ქართული ასომთავრული ასოა – Ղ *(განი)* და Ղ *(ინი)*; ქვემოთ ორ სტრიქონად სამი ბერძნული ასოა – **ΓΕΟ** *(გეო).*

მონეტის ავერსსა და რევერსზე არსებული ასომთავრული წარწერის გაერთიანებით „მეფე გიორგი-ის“ ვიღებთ, ხოლო რევერსზე ბერძნული წარწერა – ΓΕΟ (გეო), სავარაუდოდ, წმინდა ევგენიოსის სახელზე უნდა მიგვანიშნებდეს.

როგორც აღწერილობიდან ჩანს, მონეტა XIII-XV სს-ში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მბრუნავი ფულის – კირმანეული თეთრის ტიპს განეკუთვნება. კირმანეული თეთრის გენეზისთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ ტრაპიზონის იმპერიისა და დასავლეთ საქართველოს მჭიდრო პოლიტიკურ-დინასტიურმა და ეკონომიკურმა ურთიერთობამ გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში ტრაპიზონული ასპრების ფართო ცირკულაცია, ხოლო, როდესაც ამ მონეტების შემოსვლამ იკლო, დასავლეთ საქართველოში დაიწყო მათი იმიტაციების ემისია [Пахомов. Е. 1970: 197].

ტერმინი კირმანეული თეთრი პირველად სასისხლო სიგელებში ჩნდება. ვაჩნაძეების სასისხლო სიგელში ვკითხულობთ: „... ამა თეთრისა საქმე ასე უწყოდეთ, ბერძენთა მეფეს კირმანოელ ერქვა და მისეულად კირმანოელისეული ჰრქუიან” [კაკაბაძე ს. 1924: 42]. ამ წყაროს მიხედვით, ძნელია ვამტკიცოთ, ამ ტერმინით ტრაპიზონულ ასპრს მოიხსენიებენ თუ ასპრების ადგილობრივ მინაბაძებს [დუნდუა გ., დუნდუა თ. 2010: 19], მაგრამ მეცნიერებაში უკვე დამკვიდრდა მოსაზრება, რომ კირმანეული თეთრი ტრაპიზონული ასპრების ადგილობრივი, ქართული, მიბაძვაა.

კირმანეული თეთრის ემიტენტთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება არსებობს. საკითხის გადაჭრას ართულებს ის ფაქტი, რომ ამ ტიპის მონეტებზე მომჭრელის ვინაობა არ ფიქსირდება. გვხვდება მხოლოდ დამახინჯებული ბერძნული წარწერები, რომლებიც ტრაპიზონის იმპერიის მმართველ მეფეებზე მიგვანიშნებს – იოანე ან მანუილ კომნენოსებზე. ამ ფაქტს თავისი ახსნა აქვს. ვფიქრობთ, ქართველი მეფეების სახელების ანონიმურობა კირმანეულ თეთრზე განპირობებულია მინაბაძის ბუნებით. არც ერთ მინაბაძზე, რომელიც ახსოვს ქართულსა და უცხოურ სამონეტო საქმეს, მომჭრელი ხელისუფლის ვინაობა არაა აღნიშნული. როგორც ჩანს, მეფეები თვლიან, რომ ეს უცხო ქვეყნის ფულია, რომელზეც უკვე მითითებულია მეფის სახელი და საჭიროდ არ მიიჩნევენ თავიანთი სახელის განთავსებას. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ერთადერთი დეტალი, რითაც ხდება მინიშნება ამ სამონეტო ტიპის ქართველ ბაგრატიონ მეფეებთან კავშირზე – დავითის ვარსკვლავი, იგივე სოლომონის ბეჭედია. ამით ბაგრატიონთა ბიბლიურ წარმომავლობას უსვამდნენ ხაზს და ეს ხშირია მონეტებზეც და ქართულ საისტორიო საბუთებშიც.

მონეტა, რომელიც ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის ობიექტია, განსაკუთრებულია. მისი გამორჩეულობა ისაა, რომ, თუკი ტრადიციულ კირმანეულ თეთრზე მეფეების, ტრაპიზონის იმპერიის კეისრების სახელები ბერძნული ზედწერილებით გვხვდება, ამ მონეტაზე მეფის სახელი ქართული ასომთავრულითაა შესრულებული. ქართული ზედწერილი გვამცნობს

მეფე გიორგის შესახებ. ჩვენი ამოცანა ამჯერად ემიტენტი მეფე გიორგის ვინაობის გარკვევის მცდელობაა.

აღნიშნული მონეტით არაერთხელ დაინტერესდნენ მკვლევრები. მსგავსი მონეტა ორ ეგზემპლარადაა ცნობილი. ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერლინის ბოდემუზეუმის მიუნცკაბინეტშია დაცული, ხოლო მეორე – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში, კერძოდ კი – განძების ფონდში, (საინვ. №6213). საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული მონეტა 1907 წელს სამტრედიის რაიონში, სოფელ კოპიტნარში, საკმაოდ მოზრდილ განძთან ერთად აღმოჩნდა [აბრამიშვილი თ. 1959: 46]. განძი შედგებოდა 652 მონეტისაგან. აქედან 633 – კირმანეული თეთრია, 15 – ტრაპიზონული ასპრი, დანარჩენი კი – სხვადასხვა ქვეყნის ფული.

კოპიტნარის განძში დაცული ქართული ზედწერილიანი კირმანეულის აღწერილობა (სურ 2).

საინვ. № 6213, წონა – 1,15 გრ, ზომა – 18/19მმ [აბრამიშვილი თ. 1959: 82]

Av. გამოსახულია მეფე სამეფო სამოსით, თავზე სამრკალიანი გვირგვინით, რომლის ორივე მხარიდან სამ-სამი თვლით შემკული თითო ტოტია დაშვებული; სამოსზე თვლებით მოოჭვილი ლორონი აქვს ჩამოშვებული; დოინჯშემოყრილ მარცხენა ხელში მოკლებუნიანი ლაბარუმი უჭირავს, მარჯვენა ხელი თავისუფალი აქვს. მარცხნივ, ვერტიკალურად, ორი ქართული ასომთავრული ასოა – Ф (ფარი) და Ⴓ (მანი).

Rv. გამოსახულია ფეხზე მდგომი წმინდა ევგენიოსი შარავანდედითა და გრძელი, ნაკეცებიანი სამოსით; მარჯვნივ, ზემოთ, ორი ქართული ასომთავრული ასოა – Ⴒ (განი) და Ⴓ (ინი); ქვემოთ ორ სტრიქონად სამი ბერძნული ასოა: ΓΕΟ (გეო).

მონეტა ერთ ადგილას გახვრეტილი და გაცვეთილია საკმაოდ.

საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბებამდე, გავიხსენოთ, რა შეხედულებები არსებობდა მეცნიერებაში ამ მონეტის ატრიბუციასთან დაკავშირებით.

პირველად მონეტა მიხეილ ბარათაევის მიერ განისაზღვრა. მან ის გიორგი III-ს (1156-1184 წწ.) მიაკუთვნა. მეცნიერი ასევე მიანიშნებდა მეფის გვირგვინთან ახლოს ასო Ⴚ-ზე (ნარზე) და გამოთქვამდა ვარაუდს, ასო რომ წმინდანის სიახლოვეს ყოფილიყო, წმინდა ნინოს სახელის აღმნიშვნელი იქნებოდა [Баратаев М. 1844: 21]. ი. ბართოლომეი [Bartholomaei I. 1851: 282] და ვ. ლანგლუა [Langlois V. 1860 : 104] მას გიორგი VIII-ს (1446-1476 წწ.) მიაწერდნენ. დ. ლანგი [Lang D. 1955:85] ვარაუდობს, რომ წარწერა შეიძლება რომელიმე წმინდანს ეკუთვნოდეს და წმ. ევგენი საქართველოში პოპულარულ წმინდა გიორგისთან იყო გაიგივებული. ფაქტობრივად, იგივე აზრი გამოთქვა დ. კაპანაძემაც: „გიორგის სახელი მეფის გამოსახულებასთან კი არაა აღნიშნული, არამედ მონეტის ზურგზე, წმინდანის გამოსახულებასთან და, ალბათ, ამ უკანასკნელს ეკუთვნის" [კაპანაძე დ. 1944: 11]. ევ. პახომოვი ამ მონეტას ქართლის მეფე გიორგი VII-ს (1393-1407 წწ.) მიაწერს, რომელიც დროებით იმერეთში იმყოფებოდა და, როგორც კანონიერი მეფე, ჭრიდა ფულს. ამავე დროს, ის არ გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, ეს იმერეთის მეფე გიორგი I-ც (1389-1392 წწ.) იყოს [Пахомов. Е.

1970: 202]. თ. აბრამიშვილმა თავი შეიკავა, ეს მონეტა კონკრეტულად რომელიმე მეფისათვის მიეკუთვნებინა და ჩათვალა, რომ მასზე მოცემული ქართული წარწერა, პალეოგრაფიული თვალსაზრისით, უფრო ზუსტად დათარიღების საშუალებას იძლევა და ის XIV ს-ს ვერ გადასცდება [აბრამიშვილი თ. 1959: 83]. გ. დუნდუამ ივარაუდა, რომ რთულია იმერეთის რომელიმე მეფეს მიეკუთვნოს ეს მონეტა, თუმცა, დასაშვებად ჩათვალა, რომ მონეტის მიკუთვნებას გიორგი VII-ის ან იმერეთის მეფე გიორგი I-თვის ჰიპოთეზის სახით არსებობის უფლება ჰქონდა [დუნდუა გ., დუნდუა თ. 2010: 29]. მონეტა გამოქვეყნდა ჩვენ მიერაც ჟურნალ „არტანუჯში" [პატარიძე მ. 1994:51], სადაც გამოვთქვით ვარაუდი, რომ წმინდანის მხარეს არსებული ბერძნული წარწერა – ΓΕΟ (გეო) და იქვე ქართული ასომთავრული – Ⴖ (გი), შესაძლოა, უკავშირდებოდეს გიორგი I (1266-1280 წწ.) კომნენოსს, რომელიც საქართველოს მხარდაჭერით სარგებლობდა. უფრო მეტიც, როდესაც მას ტახტს ედავებოდნენ, საქართველოს აფარებდა თავს [პატარიძე მ. 1994: 50]. აქედან გამომდინარე, დასაშვებად ჩავთვალეთ, რომ საქმე გვქონდა კირმანეული თეთრის ახალ ტიპზე, რომელიც გიორგი კომნენოსის მონეტის ტიპის მიხედვით მოიჭრა. მოგვიანებით გავეცანი კერძო კოლექციაში დაცულ გიორგი I კომნენოსის საკმაოდ იშვიათ მონეტებს [პატარიძე მ., ჯანჯღავა გ. 2006: 12], რის შემდეგ ცხადი გახდა, რომ გიორგი I კომნენოსის მონეტები იკონოგრაფიულად რადიკალურად განსხვავებული ჯგუფია და საკვლევი მონეტა არ შეიძლებოდა ყოფილიყო გიორგი I კომნენოსის სახელით მოჭრილი.

2012 წელს გერმანიის პრუსიული მემკვიდრეობის ფონდის საერთაშორისო სტიპენდიით ვიმყოფებოდი გერმანიაში და საშუალება მომეცა შემესწავლა ბერლინის ბოდემუზეუმის მიუნცკაბინეტში მიხეილ ბარათაევის კოლექცია. უშუალოდ ამ მონეტის კვლევისას ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა დეტალმა, მეფის გვირგვინის ახლოს მოთავსებულმა ასომ, რომელიც მიხეილ ბარათაევმა Ⴔ – (ნარ)-ად ჩათვალა. დაკვირვების შედეგად დავადგინეთ, რომ, თუ დავუშვებთ, რომ ეს (ნარი) მხედრულია და არა ასომთავრული, ეს პალეოგრაფიული შეცდომა იქნებოდა. ასოების არასწორი განლაგების შემთხვევები იშვიათობა არაა ქართულ მონეტებზე და, შესაძლოა, ესაა უფრო ასომთავრული Ⴓ – (მანი) სარკისებურად, ანუ უკუღმა მოთავსებული. დამატებითი Ⴓ – (მანი) ლეგენდის შინაარსს ცვლის და გამოდის, რომ საუბარია არა მეფე გიორგიზე, არამედ მეფეთ მეფე გიორგიზე. ამ ტიტულატურამ ოდნავ შეამცირა სავარაუდო მეფე გიორგის რაოდენობა. კერძოდ, იმერეთის მეფე გიორგი I (1389-1392 წწ.), ფაქტობრივად, გამოირიცხა. გარდა იმისა, რომ ის მეფეთ მეფის ტიტულით არც ერთ საისტორიო წყაროში არ გვხვდება, მისი ორწელიწადნახევრიანი მეფობა ძალიან არასტაბილური და მშფოთვარე იყო. მის მეფობას არ ცნობდნენ გურიის, ოდიშისა და სხვა მთავრები. მართალია, 1390 წელს მან მოახერხა ამ სამთავროების ციხესიმაგრეების დაკავება, აფხაზეთის კათალიკოსადაც თავისი მომხრე არსენი დასვა და სასულიერო წრეშიც დასაყრდენი გაიჩინა, მაგრამ, საბოლოოდ, იგი ოდიშის მთავარ, ვამეყ I დადიანთან ბრძოლაში დამარცხდა და ბრძოლაში დაიღუპა [ვახუშტი. 1973: 296].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოში დამკვიდრებულია ამ ტიპის მონეტების – კირმანეული თეთრის, მოჭრის ერთი

ტრადიცია, რაც გულისხმობს ქართველი მეფეების სახელების ანონიმურობას. მიუხედავად იმისა, რომ XIII ს-დან XV[2] ს-მდე ეს ფული ძალაშია და მოჭრის ადგილი ნამდვილად დასავლეთი საქართველოა, იმერეთის არც ერთი მეფე ამ მონეტებზე თავის სახელს არ ათავსებს. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ჩვენი საკვლევი მონეტის მომჭრელი მეფე გიორგის ძებნა დასავლეთ საქართველოს მმართველებში ლოგიკური არ უნდა იყოს. ხომ არ შეიძლება ის ქართლის მეფე გიორგი VII იყოს? ევ. პახომოვმა პირველმა გამოთქვა ეს მოსაზრება. ვნახოთ, რა ცნობები არსებობს „ქართლის ცხოვრებაში" ამ მეფის შესახებ. მისი მმართველობა საქართველოს ისტორიაში, ძირითადად, თემურ ლენგთან თავგანწირულ ბრძოლებს უკავშირდება. „ქართლის ცხოვრებაში" წერია, რომ ერთ-ერთი შემოსევის დროს, 1400 წელს, გიორგი იძულებული ხდება გორის ციხეში გამაგრდეს, შემდეგ გადადის ძამისა და სავანეთის ციხეში. იქიდან ის დასავლეთ საქართველოში მიდის, სადაც ცოტა ხნით სვანეთს, შემდგომ იმერეთს აფარებს თავს. საყურადღებოა, რომ მეფე არა მარტო თავს აფარებს, არამედ დასავლეთ საქართველოს მთავარი მას მიეახლება, როგორც მეფეს: „მიერთუნენ ყოველნი წარჩინებულნი: დადიანი მამია, გურიელი, შარვაშიძე და სუანნი". უფრო მეტიც, ამავე წყაროში ვკითხულობთ, რომ მეფემ დაიმორჩილა და განაგო იმერეთი. „მეფემან გიორგი განაგნა იმერეთი ყოვლითა დამორჩილებითა თვისითა" [ვახუშტი 1973: 275]. დასავლეთ საქართველოს დამორჩილებისა და თავისი ლეგიტიმურობის დამტკიცების ყველაზე მძლავრი იარაღი, ვფიქრობთ, ფულის მოჭრა იყო. დასავლეთ საქართველოს ზარაფხანაში ამ დროისათვის კი იჭრებოდა კირმანეული თეთრი. ამიტომ სწორედ მასზე ათავსებს ის თავის სახელს. რაც შეეხება ტიტულატურა – მეფეთ მეფე-ს, გიორგი VII მის მიერ მოჭრილ საფასეებზე (სურ. 3) მეფეთ მეფის ტიტულით გვხვდება, ბუნებრივია, რომ ვერც ეს მონეტა იქნებოდა გამონაკლისი. მით უფრო, რომ ამ ფულის მოჭრით უნდა დაემტკიცებინა, რომ ის ერთიანი საქართველოს მეფეა.ამ ღონისძიებით მეფემ, გარდა იმისა, რომ განიმტკიცა ძალაუფლება, დაარღვია დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ტრადიცია – ტრაპიზონული ასპრების მინაბაძების ანონიმურობა. ლოგიკურია, რომ ეს თამამი ნაბიჯი შეეძლო გადაედგა არა იმერეთის მეფეს, არამედ ქართლის მეფეს, ამ შემთხვევაში, გიორგი VII-ს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მონეტის გიორგი VII-თვის მიკუთვნების უწინარესი იდეა ევ. პახომოვს ეკუთვნოდა. საგულისხმოა მისი ერთი არგუმენტიც, რომ მონეტის იშვიათობა უნდა მიუთითებდეს სწორედ იმაზე, რომ მისი მოჭრა დროებით ტახტზე მჯდომ მეფეს, კონკრეტულ შემთხვევაში კი, ქართლის მეფე გიორგი VII-ს, დავუკავშიროთ [Пахомов. Е. 1970: 202].

ვფიქრობთ, რომ ასევე შესაძლებელია მონეტის მოჭრის სავარაუდო თარიღის დადგენაც. გიორგი VII დასავლეთ საქართველოში 1400 წელს გადავიდა და იქ არასრული ერთი წელი დაჰყო. სავარაუდოა, რომ ფულიც ამ დროს, 1400 წელს, მოჭრა.

[2] ჩვენ მიგვაჩნია, რომ კირმანეული თეთრის გავრცელების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი XVI ს., მაგრამ, ვინაიდან ამჟამინდელი საკვლევი თემის ამოცანას სცილდება კირმანეული თეთრის ემისიის ქრონოლოგიის განსაზღვრა, ამ თარიღს დასაბუთების გარეშე წარმოვადგენთ.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ბერლინის მიუნცკაბინეტსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში (გ. ფ. საინვ. №6213) დაცული მონეტის მომჭრელია, ქართლის მეფეა გიორგი VII. აქვე დავძენთ, რომ ამ საკითხის ბოლომდე ამოწურვა შემდგომ მონაპოვრებზეა დამოკიდებული. შესაძლებელია, რომ კიდევ აღმოჩნდეს მსგავსი ტიპის, შედარებით კარგად დაცული მონეტა, რომელიც უფრო მეტ არგუმენტსა და დამაჯერებლობას შემატებს ჩვენს მოსაზრებას.

NUMISMATICS

Maia Pataridze

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian museum
3 Rustaveli ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: mpataridze@hotmail.com

For the Attribution of the Rare Georgian Coin Preserved in the Berlin Museum

Summary

In 1874 Berlin Museum brought the numismatic collection of Michel Barataev (Baratashvili), the founder of Georgian numismatics. The most part of this collection Barataev collected in Georgia during 1839-41 years. In 1844 in Petersburg Michel Barataev edited monograph «Нумизматические факты грузинского царства» (The Numismatic Facts of Georgian Kingdom) in Georgian, Russian and French languages and thus has laid the foundation for a thorough study of Georgian coins.

The purpose of this article is to give a new attribution of the coin which is kept in the Berlin Munzkabinet. This coin is a special version of "Kirmaneuli Tetri" which circulated in West Georgia during the 13th -15th cc. The coin is distinguished by the name of the king given in Georgian "Asomtavruli" (type of print) letters while the names of the kings and Caesars of Trabzon Empire on the traditional "Kirmaneuli Tetri" are found in Greek.

Two copies of this coin are known. One is preserved in the Muntzkabinet of Berlin Body Museum while the second is in the numismatic depository of the Georgia National Museum, namely in the numismatic depository (# 6213).

This coin was first defined by Michael Barataev. He attributed the coin to king George III (1156-1184). According to David Lang this inscription might belong to one of the saints, (to saint Eugenie who in Georgia was equated with popular St. George). According to Evgeni Pakhomov's opinion this coin could be attributed

to George VII (1393-1707), king of Kartli Kingdom who temporarily lived in Imereti kingdom and as a rightful legitimate king minted money. At the same time he does not exclude that the coin might belong to George I (1389-1392), king of Imereti. Georgi Dundua, as hypothesis considered admissible this coin to be George VII's or George I's, king of Imereti. I published an article about this coin in the "Artanuji" magazine. I supposed that Greek inscription ΓΕΟ (Geo) and nearby Georgian capital, "Gi" may be related to George I (1266-1280) Komnenus and it might be a new type of Kirmaneuli. After getting acquitted with rare coins of George I Komnenus in different private collections it became evident that researched coin could not belong to George I Komnenus.

In 2012 within the framework of the International Fellowship in Berlin Bode Museum Munzkabinet, I had an opportunity to work over the collection of Michael Barataevi (Barathashvili). When working on this coin one detail attracted my attention – a letter nearby king's crown which Michel Barataev considered as "N" If we assume this letter is as "N", it will be "Mkhedruli" and not "Asomtavruli" which is a palaeographical mistake. It looks more like the letter "M", placed in the wrong way. Additional "M" changes the content of a legend. In this case it becomes evident that it concerns not king George but "king of the king" George. This title has a little bit narrowed king Georges possible number. Factually it has truly excluded George I (1389-1392), king of Imereti.

There was a certain tradition of minting "Kirmaneuli Tetri" in west Georgia-Georgian kings names were anonymous. Despite the fact that coins were minted in West Georgia, not a single king of Imereti placed names on coins. Thus, it is not logical to seek King George (who minted these coins) among the rulers of West Georgia. Evgeni Pokhomov was the first scientist who expressed an opinion that these coins might be minted by Giorgi VII, king of Kartli kingdom. "Kartlis Tskhovreba" (The History of Kartli) informs that during one of the invasions of Tamer Lane in 1400, Giorgi VII had to escape to West Georgia. It is noteworthy that population of West Georgia went to meet him as a king. Moreover, the same source announces that the king subdued and ruled in Imereti. The most powerful weapon for invasion of West Georgia and approval of legitimacy should have been mintage of money. At time there existed a mint in west Georgia where Kirmaneuli Tetri coins were struck. That is why George VII put his name on the coin. Moreover, by minting of money he wanted to prove that he was king of united Georgia. By this act the king not only strengthened his power but at the same time broke the tradition spread in West Georgia – keeping anonymity of imitations of Trabzon coins. Logically such decisive and bold steps were done not by the king of Imereti, but by the king of Kartli – George VII.

The estimated date of the coin minting can be determined too. As George VII took shelter in West Georgia in 1400 and stayed there for one year. It is likely that he minted the coins during that period, in 1400.

Thus, in our opinion, the coins preserved in Berlin Munzkabinet and in the numismatic depository(# 6213) of the Georgian National Museum were minted by George VII king of Kartli. In addition, the final expiration of given issue depends on the later findings. Possibly similar, relatively well-preserved coin will be found which will give more credibility to our arguments and opinion.

ბიბლიოგრაფია

აბრამიშვილი თ. 1959: *XIII-XIV დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული).* თბილისი.

კაკაბაძე ს. 1924: სასისხლო სიგელების შესახებ. *სმ.* წიგნი II. გვ. 1-107. ტფილისი.

Баратаев. М. 1844: *Нумизматические факты грузинского царства.* Санкт-Ретербург.

Пахомов. Е. 1970: *Монеты Грузии*. Тбилиси.

პატარიძე მ. 1994: კიდევ ერთხელ კირმანეული თეთრის შესახებ. *არტანუჯი.* ტ. 2-3. გვ. 49-52. თბილისი (რედ. ბ. კუდავა).

პატარიძე მ., ჯანჯღავა გ. 2006: *ტრაპიზონის იმპერიის იშვიათი მონეტები.* თბილისი.

კაპანაძე დ. 1944: ზოგიერთი ტერმინის შესახებ ქართულ ნუმიზმატიკაში. *სსმმ.* ტ. XII-B. გვ. 197-211. თბილისი (რედ. ან. აფაქიძე).

ქართლის ცხოვრება. 1973: ტ. IV. თბილისი.

Langlois V. 1860 : *Essai de Classification des Suites Monetaires de La Georgie.* Paris.

Bartholomaei I. 1851: *Bulletin Historico-Philologique.* XIV. Sankt-Petersbourg.

Lang D. 1955: *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia*. New-York.

დუნდუა გ., დუნდუა თ. 2010: *XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ემისიები.* თბილისი.

ვახუშტი. 1973: *აღწერა სამეფოსა საქართველოსა.* ქართლის ცხოვრება. ტ IV. თბილისი.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. კირმანეული თეთრი გიორგის სახელით. ვერცხლი (ბერლინის ბოდემუზეუმის მიუნცკაბინეტი. ©)

სურ. 2. კირმანეული თეთრი გიორგის სახელით. ვერცხლი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური განძების ფონდი. საინვ. №6213)

სურ. 3. გიორგი VII-ის (1393-1407 წწ.) მონეტა. ვერცხლი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური ქართული ძირითადი ფონდი. საინვ. №3230)

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Kirmaneuli Tetri with the name "Giorgi". Silver (Berlin. Munzkabinet ©)

Fig. 2. Kirmaneuli Tetri with the name "Giorgi". Silver (Numismatic depository of the Georgian National Museum. #6213)

Fig. 3. Giorgi VII (1393-1407). Silver (Numismatic depository of the Georgian National Museum. #3230)

სურ. 1. **Fig.**

სურ. 2. **Fig.**

სურ. 3. **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 228-234
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 228-234

ნუმიზმატიკა

თინათინ ქუთელია

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო

XVIII საუკუნის სპილენძის ფულის განძები

XVI-XVII სს-ში აღმოსავლეთი საქართველო სეფიანთა ირანის გავლენის სფეროში იყო მოქცეული და მონეტებიც ირანული სისტემით იჭრებოდა. XVII ს-ის 30-იანი წლებიდან თბილისის ზარაფხანა ვერცხლის მონეტების პარალელურად რეგულარულად ჭრიდა სპილენძის ფულის ორ ნომინალს — ნახევარ ბისტსა (ორმაგი ფული) და ყაზბეგს (ფული) [Пахомов Е. 1928:91, 108; Rabino di Borgomale H. 1945:17; Кутелия Т. 1979:49]. სპილენძის ფული არ იყო უბრალო ხურდა, ვერცხლის ფულის დანამატი. მას მიმოქცევის საკუთარი სფერო ჰქონდა. უმეტესად, სპილენძის ფულით ხორციელდებოდა ბაზრებში საცალო ვაჭრობა, ჯარისა და, სავარაუდოდ, მოხელეებისათვის ხელფასის გაცემა, აგრეთვე სხვა წვრილ-წვრილი ფულადი ოპერაცია.

სპილენძის ფულის მოჭრა, ვერცხლის ფულისგან განსხვავებით, ირანში ადგილობრივი ხელისუფლების — პროვინციის ან ქალაქის მმართველის პრეროგატივა იყო. ცენტრალური (შაჰის) მთავრობა უშუალოდ არ აკონტროლებდა სპილენძის ემისიას და, ამდენად, იგი ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახლდათ. სპილენძის ფული საკრედიტო მონეტაა, რომელიც იძულებითი კურსით იბრუნვის. ჩვეულებრივ, სპილენძის მონეტის ნომინალური ღირებულება დიდად აღემატება მის რეალურ ღირებულებას. ამიტომ, ოქროსა და ვერცხლის ფულისგან განსხვავებით, სპილენძის მიმოქცევა შეუზღუდავი იყო ტერიტორიულად და დროში. ადგილობრივი დიდებულები ხშირად ცვლიდნენ სპილენძის მონეტის ტიპს. ყოველი ცვლილების დროს ხდებოდა ძველი მონეტების გაუფასურება და ისინი ბრუნვიდან გადიოდა. ამიტომ განძებად მათს დაგროვებას აზრი არ ჰქონდა. მართლაც, XVII ს-ის განძები არ მოგვეპოვება. საქართველოში ვითარება XVIII ს-ის დასაწყისიდან შეიცვალა. ამჟამად ხელთ გვაქვს სპილენძის ფულის ოთხი განძი. ოთხივე განძი შედგება 1700-1719 წლებში თბილისში მოჭრილი ფულისგან და თითოეულში წარმოდგენილია ამ პერიოდის თბილისური მონეტების ყველა ცნობილი ტიპი – ჰიჯრის 1112 (=1700\01), 1114 (=1702\03), 1120 (=1708 ან 1709), 1124 (=1712), 1130 (=1717/18), 1131 (=1718\19) წლებისა. მხოლოდ წაღვლის განძში არაა ჰიჯრის 1114 წელს მოჭრილი მონეტა. ოთხივე განძი დაფლულია 1719 წლის შემდეგ. ეს ფაქტი იმის მაუწყებელია, რომ სპილენძის განძის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტიპი ერთდროულად იბრუნვოდა. ამდენად, ირკვევა, რომ დროის ამ მონაკვეთში ძველად მოჭრილი სპილენძის ფული რაღაც მიზეზების გამო აღარ იხმარებოდა ახალი ტიპის მონეტების მიმოქცევაში დამკვიდრების შემდეგაც.

ვფიქრობ, ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებით.

XVIII ს-ის ქართლის სამეფოს განაგებდნენ ბაგრატიონთა ერთი ოჯახის წარმომადგენლები: ვახტანგ VI (1703-1709 წწ.), მისი ძმა სიმონი (1712-1714 წწ.) და ვაჟი ბაქარი (1717-1719 წწ.). მათი მმართველობის პერიოდში მონეტებზე კვლავ გაჩნდა ქართული წარწერები – მეფეთა სახელები, თუმცა, ტიტულატურის გარეშე, მაგ.: ვგ ან ვტგ – ვახტანგ, სმნ – სიმონ, ბქრ – ბაქარ.

პირველად ვახტანგ VI-ის მონეტაზე იკითხება თარიღი ქრისტიანული წელთაღრიცხვით – 1708 ან 1709 წწ. როგორც ჩანს, ეს იყო ქართლის მეფეთა მცდელობა, აღედგინათ სამონეტო რეგალია. ქართული წარწერების გამოჩენა ფულზე სრულად ასახავს ვახტანგ VI-ის მისწრაფებას, გათავისუფლდეს სეფიანთა ირანის გავლენისგან და აღადგინოს ერთიანი ქართული სამეფო.

ირანული მონეტის მსგავსად, თბილისურ სპილენძის ფულზეც სხვადასხვა გამოსახულებაა მოცემული.

გთავაზობთ, XVIII ს-ის პირველი მეოთხედის სპილენძის ფულის განძებში წარმოდგენილი მონეტების აღწერას (მონეტების აღწერისას ვიხელმძღვანელე ე. პახომოვის ნაშრომით [Пахомов Е. 1928]). მონეტების I მხარეს პირობითად ვუწოდებ იმ ზედაპირს, რომელზეც გამოსახულებაა, II მხარეს კი – იმას, სადაც აღნიშნულია მოჭრის ადგილი.

ანონიმური. ჰიჯრის 1112 (=1700/01).

I. გამოსახულია მარტორქა და მცენარეული ორნამენტი;

II. წერტილოვან-ხაზოვან რკალში სპარსული ზედწერილია:

فلوس ضرب تفليس ۱۱۱۲

„იჭედა თბილისს 1112". (სურ. 1).

ანონიმური. ჰიჯრის 1114 (=1702/03) (ამ ტიპს წინამორბედი ავტორები ათარიღებენ ჰიჯრის 1014 ან 1040 წწ. იხ. ქუთელია თ. 1984: 65-70; Кутелия Т. 1979:52-53).

I. წერტილოვან-ხაზოვან რკალში გამოსახულია ლომი;

II. ორყულფიან ხაზოვან რკალში, მომცრო ლომი, ყულფებში კი წერტილები.

ირგვლივ - სპარსული ზედწერილი:

فلوس ضرب تفليس ۱۱۱۴

„ფულუსი იჭედა თბილისს 1114" (სურ. 2).

ამ ტიპს წინამორბედი ავტორები [Пахомов Е. 1928]); კაპანაძე დ. 1969; Rabino di Borgomale H. 1945] ათარიღებენ ჰიჯრის 1114 ან 1140 წწ-ით.

ვახტანგი. ჰიჯრის 1120 (=1708 ან 1709)

I. სამანძიანი გემი, რომელზეც ეშვება მტრედი. მას ნისკარტით ზეთისხილის რტო უჭირავს. ანძასთან ვარსკვლავია. ქვემოთ, ტალღების ფონზე, ქრისტიანული თარიღი – 178 (1708) ან 179 (1709).

II. ფიგურულ ბუდეში ზოდიაქოს თევზები და ქართული ზედწერილია ვტგ – ვახტანგ. ირგვლივ სპარსული ზედწერილია:

فلوس ضرب تفليس ١١٢٠

„იჭედა თბილისს 1120” (სურ. 3).

სიმონი. ჰიჯრის 1124 (=1712).

I. წერტილოვან-ხაზოვან რკალში გამოსახულია დრაკონი და ქართული ზედწერილი – სმნ-სიმონ.

II. წერტილოვან რკალში სპარსული ზედწერილია:

فلوس ضرب تفليس ١١٢٤

„ფულუსი იჭედა თბილისს 1124” (სურ. 4).

ბაქარი. ჰიჯრის 1130წ. ან 1131წ. (=1717-1719 წწ.).

I. წერტილოვან-ხაზოვან რკალში ფარშევანგის გამოსახულებაა. არე შევსებულია მცენარეული რტოებითა და წერტილოვანი ვარდულებით. ქართული ზედწერილი - ბქრ – ბაქარ.

II. ხაზოვან რკალში სპარსული ზედწერილია

فلوس ضرب تفليس ١١٣٠ ან *١١٣١*

„ფულუსი იჭედა თბილისს 1130 ან 1131” (სურ. 5).

სპილენძის ფულზე დაკვირვების შედეგად ე. პახომოვმა გამოიტანა დასკვნა, რომ მათზე მოცემული თარიღები, შესაძლებელია, მიუთითებდეს არა მონეტის მოჭრის, არამედ მონეტის ამ ტიპის დამკვიდრების თარიღს [Пахомов Е. 1928:90]. პახომოვის ჰიპოთეზას ადასტურებს ის გარემოება, რომ ერთი და იგივე თარიღი აწერია მონეტებს, რომლებზეც გამოსახულება, მართალია, იდენტურია, ოღონდ სხვადასხვა მხარესაა მიმართული. არის შემთხვევა, როდესაც მონეტაზე ნეგატიური წარწერაა (ე.ი. სიქაზე წარწერა შეცდომით პოზიტიურად ამოუკვეთავთ (სურ. 6).

გთავაზობთ ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური კაბინეტის განძების ფონდში დაცული სპილენძის მონეტების სამი განძის აღწერას. მოცემულია მონეტების მაქსიმალური და მინიმალური წონა გრამებით.

1. ყანდაურის (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) განძი. საინვ. №№11290-11390, 18837-18970. აღმოჩნდა 1959 წელს რ. აბესაძის საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავების დროს. შალის ნაქსოვ წინდაში გამოკრული სპილენძის 164 მონეტა მოთავსებული იყო თიხის ქილაში. ყველა მონეტა ნახევარი ბისტია.

ანონიმური. ჰიჯრის 1112 (= 1700/01 წწ.) – 5 ცალი. 8,69 გრ. – 8,55 გრ.

ანონიმური. ჰიჯრის 1114 (= 1702/03 წწ.) – 4 ცალი. 10,31 გრ. – 10,09 გრ.

ვახტანგი. ჰიჯრის 1120 (= 1708/09 წწ.) – 10 ცალი. 9,00 გრ. — 8,06 გრ.

სიმონი. ჰიჯრის 1124 (= 1712 წ.) – 45 ცალი. 9,28 გრ. – 7,78 გრ.

ბაქარი. ჰიჯრის 1130 და 1131 (= 1717-1719 წწ.) – 100 ცალი. 8,73 გრ. – 7,70 გრ.

განძი ჩაფლულია 1719 წლის შემდეგ [Кутелия Т. 1979:102].

2. დისევის (ყოფილი ზნაურის რ-ნი) განძი. საინვ. №№11215-11274. გ. ოქროპირიძემ 1963 წელს საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავების დროს, სპილენძის 60 მონეტა იპოვა. ყველა მონეტა ნახევარი ბისტია.

ანონიმური. ჰიჯრის 1112 (= 1700/01 წწ.) – 6 ცალი. 8,77 გრ. – 8,36 გრ.

ანონიმური. ჰიჯრის 1114 (=1702/03 წწ.) – 3 ცალი. 10.65 გრ. – 9,45 გრ.

ვახტანგი. ჰიჯრის 1120 (=1708/09 წწ.) – 6 ცალი. 9,24 გრ. – 8,77 გრ.

სიმონი. ჰიჯრის 1124 (= 1712 წ.) – 20 ცალი. 9,93 გრ.– 8,05 გრ.

ბაქარი. ჰიჯრის 1130 (= 1717 წ.) – 25 ცალი. 8,63 გრ. – 8,18 გრ.

განძი ჩაფლულია 1718 წლის შემდეგ [Кутелия Т. 1979:103].

3. ატენის (გორის მუნიციპალიტეტი) განძი. საინვ. №№11582-11606. 1962 წელს თ.ბუთხუზმა 25 მონეტა იპოვა, ყველა ნახევარი ბისტია.

ანონიმური. ჰიჯრის 1112 (= 1700/01 წწ.) – 1 ცალი. 8,41 გრ.

ანონიმური. ჰიჯრის 1114 (= 1702/03 წწ.) – 1 ცალი. 10,12 გრ.

ვახტანგი. ჰიჯრის 1120 (=1708/09 წწ.) – 3 ცალი. 9,07 გრ. – 8,65 გრ.

სიმონი. ჰიჯრის 1124 (= 1712 წ.) – 6 ცალი. 9,01 გრ. – 6,64 გრ.

ბაქარი. ჰიჯრის 1130, 1131 (= 1717-1719 წწ.) – 14 ცალი. 8,59 გრ. – 8,20 გრ.

განძი ჩაფლულია 1719 წლის შემდეგ [Кутелия Т. 1979:103].

4. წაღვლის განძი (ხაშურის მუნიციპალიტეტი) დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. 1964 წელს დავით კაპანაძემ აღმოაჩინა სპილენძის მოკალული ქვაბი, რომელშიც 22 მონეტა იყო მოთავსებული. საინვ. №№ 289-290, 294, 1535,1528,1542,1546,1548,1552, 1536-1537, 1539-1541, 1543-1545, 1547,1549-1551 [Джалагания Ир., Дундуа Г. 1974:59]. წაღვლის განძში თბილისური სპილენძის ფულის 2 ნომინალია: 18 ცალი ნახევარი ბისტი (ორმაგი ფული) და 4 ცალი ფული.

ანონიმური. ჰიჯრის 1112 (= 1700/01 წწ.) – 1 ცალი. 8,55 გრ.

ვახტანგი. ჰიჯრის 1120 (=1708/09 წწ.) – 1 ცალი. 8,90 გრ.

სიმონი. ჰიჯრის 1124 (=1712 წ.) – 5 ცალი. 9,31 გრ. – 8,60 გრ. 2 ცალი ფული 4,90 გრ.- 4,27 გრ.

ბაქარი. ჰიჯრის 1130, 1131 (=1717-1719 წწ.) –11 ცალი. 8,57 გ. – 7,55 გრ. ამავე წლების 2 ფული – 4,27 გრ. – 4,23 გრ.

წაღვლის განძი დანარჩენი განძებისგან განსხვავდება. მასში თბილისური ფულის ორი ნომინალია: ნახევარი ბისტი და ფული. განძი ჩაფლულია 1719 წლის შემდეგ.

აღსანიშნავია პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟში დაცული თბილისური სპილენძის მონეტების კოლექცია. კოლექცია 60 ცალი მონეტისგან შედგება (საინვ. №№ 8629-8643). მათი აღმოჩენის ვითარება უცნობია, მაგრამ, ი.დობროვოლსკის აზრით, ეს კოლექცია განძი უნდა იყოს. მისი შედგენილობა ზემოთჩამოთვლილი განძების იდენტურია, მხოლოდ ერთი განსხვავება შეინიშნება: მასში XVIII ს-ის დასაწყისის მონეტებთან ერთად 1 ცალი თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ჰიჯრის 1168 (= 1754/55) და ერეკლე II-ის ჰიჯრის 1179 წლის (=1765/66) – 2 ცალი მონეტაა [Добровольский И.1977: 178-182]. აქაც, როგორც წაღვლის განძში, ორი ნომინალია ნახევარი ბისტი და ფული. ადრეული მონეტა მოჭრილია ჰიჯრის 1114წ. (=1702/03), ხოლო ყველაზე გვიანი 1179 წელს (= ახ. წ. 1765/66). განძი ჩაფლულია XVIII ს-ის მესამე მეოთხედში [Кутелия Т. 1979:103].

2013 წლის აგვისტოში სოფ. რუსაანთუბანში (ხაშურის მუნიციპალიტეტი) წმ. ანდრიას სახელობის ეკლესიაში, გაწმენდითი სამუშაოების დროს აღმოჩნდა სპილენძის ფულის განძი. განძის 46 მონეტა თბილისშია მოჭრილი, 1 კი — შემახაში, ჰიჯრის 1120 (=1708/09) წელს [ქუთელია თ. 1990:87. ტაბ. XXIV]. თბილისში მოჭრილი მონეტებია:

ჰიჯრის 1114 – 1 ცალი.

ვახტანგი. ჰიჯრის 1120 (=1708/09 წწ.) – 1 ცალი.

სიმონი. ჰიჯრის 1124 (= 1712 წ.) – 16 ცალი.

ბაქარი. ჰიჯრის 1130 – 1131 (= 1717-1719 წწ.) – 28 ცალი.

სავარაუდოდ, განძი შეწირულია ეკლესიისთვის 1719 წლის შემდეგ.

XVIII ს-ის პირველი მეოთხედის სამონეტო განძების შესწავლა ცხადყოფს, რომ თბილისური სპილენძის მონეტები სახელმწიფო ფულის ფუნქციას ასრულებდა და იბრუნვოდა ქალაქის ფარგლებს გარეთ კახეთის სამეფოშიც [Кутелия Т. 1979:102].

NUMISMATICS

Tinatin Kutelia

The Georgian Nationale Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105 Tbilisi, Georgia

The 18th Century Copper Coin Hoards

Summary

In the 16th-18thcenturies East Georgia was under the influence of Safavid Iran and coins were minted in accordance with the Iranian system. From the 1630s along with silver coins, two denominations of copper coins – half bisti (double money) and kazbeg (money) were regularly minted at Tbilisi mint [Пахомов 1928:91; 108. Rabino 1945:17 Кителия 1979:49]. Copper was not just change, addition to silver money but it had its own sphere of circulation too. Copper coins were mainly used in retail trade payments for the army needs and, presumably, for officials, as well as for minor monetary operations.

Unlike silver coins, minting of copper ones in Iran was the prerogative of a local authority – the ruler of a province or a city. Central (Shah's) authority did not have direct control over copper emission. Thus, it was one of the important sources of income for local authorities. Copper money was a credit coin, which circulated in accordance with the compulsory rate. Usually, the nominal price of a copper coin greatly exceeded its real value; therefore, unlike gold and silver money, circulation of copper was unlimited in terms of territory and time. Local nobles often changed types of copper coins. After each such changes, there occurred devaluation of old coins and their withdrawal from circulation. Therefore, accumulation of these coins in the form of hoards made no sense and, consequently, no hoards of the 17th century have been found.The situation in Georgia changed from the beginning of the 18th century. At present, we have four hoards of copper money. All contain coins minted during 1700-1719 years in Tbilisi. They represent all known

types of Tbilisi coins AH -1112 (1700\01), AH 1114 (1702\03), AH 1120 (1708 or 1709), AH 1124 (1712), AH 1130 (1717/18), AH 1131 (1718\19). Only the hoard from Tsageri does not contain a coin minted in AH 1114. All four hoards were buried after 1719 year.This indicates to the fact that all the above-mentioned types of copper hoards were in circulation simultaneously. Thus, it is obvious that in that period of time, for some reasons, old copper coins were not withdrawn even after establishing of new coin types in circulation.

In my opinion, this fact can be explained by the political situation of that time. In the 18th century Kartli Kingdom was ruled by the members of one the Bagrationi family: Vakhtang VI (1703-1709), his brother Simon (1712-1714) and Bakar- of Vakhtang VI's son(1717-1719). During these kings reign Georgian inscriptions reappeared on their coins.

ბიბლიოგრაფია

ქუთელია თ. 1984: ირანული სპილენძის ფულის ერთი ტიპის დათარიღებისათვის. *სსმ.* 37-B. გვ. 65-70. თბილისი (რედ. ლ. ჭილაშვილი).

ქუთელია თ. 1990: *ირანული სპილენძის ფულის კატალოგი* (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მიხედვით). თბილისი.

Давидович Е. 1983: История денежного обращения средневековой Средней Азии. Москва.

Добровольский И. 1977: Клад медных грузинских монет XVIII века в собрании Эрмитажа. *Прошлое нашей родины в памятниках нумизматики.* сс. 178-182. Ленинград (Ред. В. М. Потин).

Джалагания И., Дундуа Г. 1974: Обращение ширванских монет XV века в Грузии (статья вторая). *Известия АН Азербайджанской ССР. серия истории, философии и права. №1.* сс. 56-68. Баку (ред. З. Буниятов).

Кутелия Т. 1979 : *Грузия и сефевидский Иран*. Тбилиси.

Северова М. 1978: Клад медных монет Еревана первой четверти XVIII века. *Сообщения государственого эрмитажа.* XLIII. сс. 57-59. Ленинград (ред. Рабинович).

Пахомов Е. 1928: Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII-XVIII вв. отдельный оттиск из т. III. *«Востоковедения», вестник факультета Азербайджанского государственного университета.* сс. 90-109. Баку.

Пахомов Е. 1938: *Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа. выпуск II.* Баку.

Пахомов Е. 1949 : *Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа.* выпуск V. Баку.

Rabino di Borgomale H. 1945: *Coins, Medals and Seals of the Shahs of Iran (1500-1941)*. Hertford.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ანონიმური. მარტორქა. ჰიჯრის 1112წ. (=1700/01 წწ.)
სურ. 2. ანონიმური. ლომი. ჰიჯრის 1114წ. (=1702/03 წწ.)
სურ. 3. ვახტანგი. გემი. ჰიჯრის 1120წ. (=1708/1709 წწ.)
სურ. 4. სიმონი. დრაკონი. ჰიჯრის 1124წ. (=1712წ.)
სურ. 5. ბაქარი. ფარშევანგი. ჰიჯრის 1131წ. (=1718/19 წწ.)
სურ. 6. ბაქარი. ფარშევანგი. ჰიჯრის 1130წ. (=1717/18 წწ.) II მხარე – ნეგატიური წარწერა

LIST OF ILLUSTRATION

Fig. 1. Anonymous. Rhinoceros. AH 1112 (=1700/01)
Fig. 2. Anonymous. Lion. AH 1114 (=1702/013)
Fig. 3. Vakhtang. Ship. AH 1120 (=1708/1709)
Fig. 4. Simon. Dragon. AH 1124 (=1712)
Fig. 5. Bakar. Peacock. AH 1131(=1718/19**)**
Fig. 6. Bakar. Peacock. AH 1130 (=1717/18). Negative inscription

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 235-238
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 235-238

გლიპტიკა

ქეთევან ჯავახიშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3,0105, თბილისი, საქართველო

არქეოლოგიური კომპლექსი სოფელ თოკიდან

წინამდებარე წერილში განხილულია ერთი მცირე არქეოლოგიური კომპლექსი, რომელიც საინტერესო უნდა იყოს შუა ფეოდალური ხანის საქართველოს არქეოლოგიის საკითხების შესასწავლად. კომპლექსის ნივთები – ბრინჯაოს ბეჭედი და სამაჯური გადმომცა ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილმა, რომლის ცნობით, ისინი აღმოჩენილია ასპინძის რაიონის სოფელ თოკში.

ბრინჯაოს ბეჭედს (გფ. საინ.№ 1742), აქვს საკმაოდ სქელი ფირფიტისაგან დამზადებული სწორკუთხა ფარაკი (ფარაკის ზომა: 16X13 მმ). ის დარჩილულია რკალზე, რომელიც ქვევით შედარებით ვიწროა, შიგნიდან – ბრტყელი, გარედან – ამობურცული და სიგრძეზე წახნაგით შემკული, ზევით ოდნავ ფართოვდება და მკაფიოდ გამოხატულ ჰორიზონტალურ მხრებში გადადის (რკალს დიდი ნაწილი აკლია). ფარაკის ბრტყელ პირზე გამოსახულია კუდაგრეხილი ლომი; მისი სხეული პროფილითაა წარმოდგენილი, თავი – პირდაპირ. გამოსახულება გრაფიკულია. თვალნათლივ ჩანს მისი შესრულების ხერხი: ცხოველის კონტურები ჯერ წერტილებითაა მინიშნებული და შემდეგ ნვრილი ხაზებით შემოვლებული. ლომის თავი ორმაგადაა მორკალული და ნახევარწრიული რკალით გადმოცემული. ორ-ორი პატარა შტრიხით აღნიშნულია ყურები, თვალები – ორი წერტილით, ქვემოთ მძივის ფორმის ორი ფოსოთი – კბილები. ოთხი სწორი ხაზით გამოსახული ფეხები ბოლოვდება მკაფიოდ აღნიშნული ბრჭყალებით. გამოსახულება ერთობ პირობითია, მაგრამ ძალიან მეტყველი და ერთგვარად მომხიბვლელიც (სურ. 1).

ბეჭედი ფორმით იდენტურია არმაზისხევის კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ერთი ბეჭდისა, რომელიც, მის ფარაკზე ამოჭრილი არაბული-კუფური წარწერის მიხედვით, X ს-ით თარიღდება [ლორთქიფანიძე მ. 1958: 97. სურ. 80. ტაბ. VIII-5]. თოკის ბეჭედიც X ს-სა უნდა იყოს.

რაც შეეხება თოკის ბეჭდის გამოსახულებას, ცნობილია, რომ, საერთოდ, ცხოველთა და, მათ შორის, ლომის გამოსახულებებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართულ ხელოვნებაში [Беридзе В. 1981: 110]. გლიპტიკურ ძეგლებში თოკის ბეჭდის მსგავსი გამოსახულება დღეისათვის არ იძებნება, მაგრამ ის შეიძლება შევადაროთ X ს-ის ქართული არქიტექტურული ძეგლების ქვის რელიეფების გამოსახულებებს, კერძოდ, ისტორიული ხანის განთქმული ძეგლების – ხახულის, პარხლის [Такаишвили Е. 1952: таб.104, 141; Аладашвили Н. 1977: фот. 118; Беридзе В. 1981: фот. 66, 76, 77. таб. 99], აგრეთვე შიდა ქართლის ტერიტორიაზე, ზნაურის რაიონის სოფელ ქასაგანისა [Меписашвили Р., Цинцадзе В. 1975: фот. 71, 72] და

სოფელ სოხტის [Меписашвили Р., Цинцадзе В. 1975: фот. 80] ეკლესიების რელიეფებზე გამოსახულ ცხოველთა ფიგურებს. მათს გამოსახულებებში იგივე პირობითობა ჩანს, რაც თოკის ბეჭდის გამოსახულებაში. პროფილით მოცემული სხეული და ფრონტალური, დიდი ზომის თავი, სავსებით ბრტყელი, პლასტიკურობას მოკლებული ფიგურები ადრეული შუა საუკუნეების ქვის რელიეფებისა და ოქრომქანდაკებლობის (ოქროსა და ვერცხლის რელიეფების, ხატებისა და ჯვრების) საერთო სტილისტური ტენდენციებია, რომლებიც განსაკუთრებით ღრმავდება VIII-IX სს-ში და ნაწილობრივ გრძელდება X ს-ის პირველ ნახევარშიც [ბერიძე ვ. 1973: 642-643]. როგორც ნ. ალადაშვილი აღნიშნავს, X ს-ის სკულპტურაში, უპირატესად, სიბრტყობრივი მიდგომა შეინიშნება და პლასტიკურ გამოსახულებებზე გადასვლა ხდება X ს-ის შუა წლებიდან ან მეორე ნახევრიდან [Аладашвили Н. 1977: 88, 117]. ამდენად, ქართული ხელოვნების სტილისტური განვითარების საფეხურები საერთოა არა მხოლოდ ქვის რელიეფებისა და ოქრომჭელობისათვის, არამედ, როგორც ჩანს, გლიპტიკური ძეგლებისთვისაც.

სამაჯური ბრინჯაოსი, საკმაოდ მასიური. ღერო შიგნიდან ბრტყელია, გარედან — ამობურცული და მთელ სიგრძეზე წახნაგით შემკული (D — 70 მმ). შუაში განიერია, შედარებით შევიწროებული ბოლოები ირიბი ნაჭდევებით აქვს დასერილი. ფორმითა და შემკულობით სავსებით იდენტური სამაჯური აღმოჩენილია მთათუშეთში, იდურთის სამაროვნის სამარხში [დოლაბერიძე რ. 1977: 147. ნახ. 3-4 (1)]. რ. დოლაბერიძე ამ სამარხს X ს-ით ათარიღებს. ამრიგად, თოკის არქეოლოგიური კომპლექსი X ს-ით თარიღდება (სურ. 2).

უცნობია სოფელ თოკში, თუ სად და რა ვითარებაში აღმოჩნდა ჩვენი საკვლევი ნივთები. საყურადღებოა, რომ სოფელ თოკში შემორჩენილია X ს-ის კარგად ნაგები, მაგრამ ამჟამად ძლიერ დაზიანებული ეკლესია, ასევე, ქვის ჯვარი მთავარანგელოზის რელიეფური გამოსახულებით და გათხრების შედეგად იქვე აღმოჩენილი 17 მეომრის თავის ქალა [ერაძე ე. გაზ. „კვირის პალიტრა“. 2006]. აშკარაა, რომ X ს-ის სოფელ თოკში ინტენსიური ცხოვრება მიმდინარეობდა. ამდენად, აქ აღმოჩენილ X ს-ის თუნდაც მცირე არქეოლოგიურ კომპლექსს გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ ხანის მაცნე – რეალური კულტურის ძეგლები, მათ შორის, გლიპტიკაც, ძალიან მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი.

Ketevan Javakhishvili

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum

3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia

Archaeological Complex from Village Toki

Summary

The article examins a small archaeological complex which was accidentally found in village Toki (Aspindza d-t). A bezel ring and a bronze bracelet were found in that complex. The ring is engraved with a standing figure of a lion with its tail up, body in profile and a head frontally. The portrayal lacks in plasticity, it is graphic. The ring dates back to the 10th century AD by similar form ring which was discovered in Armaziskhevi (Mtskheta). As for the image on the ring, there is not any analogous representation of it for the present. It might be compared with stone relief pictures of the 10th century AD archaeological monuments, namely animal figures depicted on Khakhuli, Parkhali (Tao-Klarjeti), Kasagani (Znauri d-t) and Sokhta church reliefs. The same conditionality is seen in the depiction of those animals as on the ring from v. Toki. The lion's body that is represented in profile and a big-sized flat head ,which is depicted frontally, lacks in plasticity. It is a common stylistic tendency for the early Middle Ages Georgian stone reliefs, works for goldsmiths (golden and silver reliefs, icons and crosses). Thus, stages of stylistic development of Georgian art are common not only for stone reliefs and goldsmiths works but for glyptic monuments too.

As for the bracelet of v. Toki, the identical to it was found in v. Idurta (Mta-Tusheti) and it also dates back to the 10th century AD.

Thus, the complex from v. Toki should be dated back to the 10th c. It is worth of mentioning that in v. Toki is preserved a well built but at present rather damaged church with a stone relief on which an archangel is depicted.

ბიბლიოგრაფია

ბერიძე ვ. 1973: ადრეფეოდალური ხანის ქართული ხელოვნება. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტომი II. № 6. თბილისი.

დოლაბერიძე რ. 1977: მთათუშეთის დაზვერვით-არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები.* ტ. V. გვ. 145-151. თბილისი (რედ. ა. ჯავახიშვილი).

ერაძე ე. თუ ეს ტაძარი ამოქმედდება, სოფელი არ დაიცლება. გაზ. *„კვირის პალიტრა“.* 2006: 23-29 ოქტომბერი. გვ. 12. თბილისი.

ლორთქიფანიძე მ. 1958: *საქართველოს მუზეუმის გემები.* II. თბილისი.

Аладашвили Н. 1977: *Монументальная скульптура Грузии.* Тбилиси.

Беридзе В. 1981: *Архитектура Тао-Кларжети.* Тбилиси.

Меписашвили Р., Цинцадзе В. 1975: *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли.* Тбилиси.

Такаишвили Е. 1952: *Археологическая экспедиция 1917 году в южной провинции Грузии.* Тбилиси.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ბეჭედი სოფელ თოკიდან
სურ. 2. სამაჯური სოფელ თოკიდან

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Ring from v. Toki
Fig. 2. Bracelet from v. Toki



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 239-258
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 239-258

ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

ირაკლი ბაქრაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: bakradze.irakli@yahoo.com

საბრძოლო ლახტები ხმლისებურ-ჭვირული დეკორით საქართველოს მუზეუმებში

საქართველოს ზოგიერთ მუზეუმში დაცულია საბრძოლო ლახტის ძალზე საინტერესო ტიპი. მისთვის დამახასიათებელია შემდეგი ტიპოლოგიური ნიშნები:

- დაახლოებით ერთნაირი პროპორციები: მთლიანი L (ხის ტარის გარეშე)[1] – 25-35 სმ, ფრთის L – 11-13 სმ, ფრთის W – 4,5-5,5 სმ, მასრის D – 2-2,5 სმ.
- ნახევარი ჰექსაგონის ფორმის ექვსი ფრთა რკალისებური გარე გვერდებით;
- ჭვირული ორნამენტი, რომელიც ხმლის სტილიზებულ გამოსახულებას მოგვაგონებს (ტაბ. I)[2];
- საკმაოდ გრძელი (დაახ. L – 13-22 სმ), მრგვალგანივკვეთიანი, შეკრული მასრა ზოგჯერ სუსტად გამოხატული კუთხეებით.

ლახტების ნაწილს შემორჩენილი აქვს ნახევარსფეროსებური ან კონუსური დეკორატიული ქუდი (ტაბ. II-2; ტაბ. IV-4). გვხვდება ბრტყელთავიანი ეგზემპლარებიც (ტაბ. III-2; ტაბ. IV-3). ჭვირების გარდა, ლახტებზე არავითარი მორთულობა არ ჩანს[3]. ამასთან, ლახტების უმრავლესობა ნაკლული და დეფორმირებულია, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს მრავალჯერ გამოყენებულ საბრძოლო იარაღსა და არა სამხედრო ინსიგნიასთან.

ჩვენთვის ცნობილია აღნიშნული ტიპის სულ 13 ლახტი. აქედან 5 ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის (საქართველოს ეროვნული მუზეუმი) საჭურვლის ფონდში. ეთნოგრაფიული განყოფილების ძველი დავთრის მიხედვით 3 ერთეული (საინვ. №№35-35/241,

[1] რამდენიმე ლახტზე ხის სახელურებია შემორჩენილი (სვანეთი, ცაგერი. საინვ. №№727, 730), თუმცა, ძნელი სათქმელია, რამდენად ავთენტურია ეს დეტალები.

[2] აღნიშნული დაკვირვება გაგვიზიარა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის იარაღისა და ძვირფასი ლითონების ფონდის კურატორმა მამუკა ქაფიანიძემ. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო მას და ყველა ზემოთჩამოთვლილი მუზუმის თანამშრომელს, ამ წერილისთვის მასალის შეგროვებაში დახმარებისათვის.

[3] გამონაკლისია მხოლოდ საქართველოს მუზეუმში დაცული ერთ-ერთი ლახტი (საინვ. №35-35/245), რომელსაც ხის ტარზე თეთრი ლითონის სალტე აქვს გადაკრული.

35-35/245, 35-35/248) მეტეხის მუზეუმიდანაა შემოსული (ტაბ. II–1-4; ტაბ. IV-4). 1 ლახტი (საინვ. №5-34/2) ჩამოტანილია ლეჩხუმიდან, ოყურეშის ეკლესიიდან, გიორგი ბოჭორიძის მიერ (ტაბ. II, სურ. 5-6). ერთის (საინვ. № 2450/1876) წარმომავლობა კი უცნობია (ტაბ. III–1-2); 2 ერთეული (საინვ. №№ 730; 727) დაცულია სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში (საქართველოს ეროვნული მუზეუმი) (ტაბ. III–3-4); 4 ლახტი (საინვ. №№ 2811, 2812, 2875, 3038) ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში; ასევე თითო-თითო ნიმუში (ტაბ. IV–2-3) ცაგერში ვარლამ მახარობლიძის სახელობის ისტორიულ მუზეუმსა და მარტვილში (საინვ. № ა-32), გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ტაბ. IV-1). ეს უკანასკნელი, საინვენტარო დავთრის მიხედვით, ასევე გადმოცემულია ქუთაისის მუზეუმიდან[4].

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საბრძოლო და ცერემონიულ ლახტს რამდენიმე გამოკვლევა ეხება [ჩართოლანი შ. 1976: 49-50. ტაბ. XXX-XXXII; ჩიტაია გ. 1972: 52-53; ჯავახიშვილი ივ. 1962: 246-247; Шервашидзе Л. 1964: 67-68]. თუმცა, საბრძოლო ლახტები სპეციალური კვლევის საგნად არ ქცეულა. ნაშრომის მიზანია, დადგინდეს, თუ რომელ რეგიონსა და რა პერიოდშია დამზადებული აღნიშნული ლახტები და რამდენად მნიშვნელოვანია ისინი საქართველოს მატერიალური კულტურისათვის.

ლახტის გავრცელების საკითხისათვის. ლახტის ფორმა (კვერთხის თავი მკვეთრად გამოკვეთილი ფრთებით), როგორც ჩანს, ჩამოყალიბდა არა უადრეს XII-XIII სს-ის მიჯნისა. ამ პერიოდით თარიღდება ლახტის თავების უძველესი ნიმუშები (რკინისა და ბრინჯაოსი) აღმოსავლეთ ევროპისა და მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიიდან[5] [Кирпичников А. 1966: 54. рис. X-6; Кулешов Ю., Абызова Е. 2011: 92-94. рис. 1,4].

უძველესი მინიატიურებიდან საინტერესოა მუსლიმი მხედრების გამოსახულებები 1280 წლისა ევროპულ ხელნაწერში (ინახება რუსეთში, სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში). [Nicolle D. 1999: 286. pic. 750-b] და 1286 წლის ხელნაწერებში (ინახება საფრანგეთში, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში). [Nicolle D. 1999: 282-283. pic. 742-e].

XIV ს-დან ლახტი (გურზთან ერთად) მონღოლების მიერ დაპყრობილ მთელ ტერიტორიაზე ჩანს გავრცელებული. ამ პერიოდის „შაჰნამესა“ და „ჯამი ათ-თავარიხის“ – („ისტორიათა კრებულის“) [http://www.iranicaonline.org] თავრიზულსა და შირაზულ ხელნაწერებში ლახტით შეიარაღებული მეომრების გამოსახულებანი საკმაოდ ხშირად გვხვდება [Gorelik M. 1979: pic. 41, 44; Адамова А., Гюзальян Л. 1985: 94-96, рис. 26]. (ტაბ. V–1, 2).

---

[4] სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში დაცულია კიდევ ერთი საინტერესო ლახტი (საინვ. № 35-35/242), რომელიც საერთო პროპორციებით საკვლევი ლახტის ჯგუფთან ძალიან ახლოს დგას, თუმცა, შედარებით გრძელია (14,3 სმ) და მოკლებულია ჭვირებს.

[5] აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის ლახტების ანალოგებს საქართველოშიც ვხდებით, მაგ., ორი ასეთი ლახტია დაცული სვანეთის ისტორიულსა და ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ლახტისთავები გამოქვეყნებულია, როგორც ბრინჯაოს ხანის მასალა [ჩართოლანი შ. 1977: 54. ტაბ. XXVIII-3, 4]. თუმცა, მათი დიდი მსგავსება შუა საუკუნეების ფორმებთან ამ მოსაზრებას დიდი ეჭვის ქვეშ აყენებს.

არანაკლებ გავრცელებული ჩანს ლახტი „ოქროს ურდოს“ ტერიტორიასა და ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, რასაც როგორც წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებენ [Кулешов Ю., Абызова Е. 2011: 92-93; Горелик М. 2008: 168. рис. 6-19; Нарожный Е., Чахкиев Д. 2003: 126-153].

XIV ს-ის დასაწყისიდან ლახტების ძალზე რეალისტური გამოსახულებები ხშირად გვხვდება ბალკანეთში შექმნილ ფრესკებსა და ხატებზეც, რაც ბიზანტიურ სამხედრო რეალიებს უნდა ასახავდეს: 1307 წლის ფრესკაზე წმ. ნიკიტას ტაძარში (სკოპიე, მაკედონია). [Кирпичников А. 1966: 53]; დაახლოებით 1330 წლის წმ. თეოდორე ტირონის ფრესკაზე პეჩის საპატრიარქო მონასტრის ოდიგიტრიის ტაძარში (სერბეთი). [http://www.rastko.org.]. (ტაბ. VI-1); XV ს-ის დასაწყისის წმ. დიმიტრი თესალონიკელის (სოლუნელის) ხატზე (ინახება სერბეთში, ბელგრადის გამოყენებითი ხელოვნების მუზუმში). [Алпатов М. 1978: 293. рис. 12]. (ტაბ. VI-2); 1407-1413 წლებში აშენებულ კალენიჩის მონასტრის (სერბეთი) წმ. დემეტრესა და წმ. გიორგის ფრესკებზე [http://www.monumentaserbica.com]. (ტაბ. VI-3). აღნიშნულ რეგიონს უკავშირდება ძალზე საინტერესო არქეოლოგიური ნიმუშიც (ინახება კერძო კოლექციაში), რომელიც XIV ან XV სს-ით უნდა თარიღდებოდეს [http://otlichnik.tripod.com]. (ტაბ. VI-4).

დასავლეთ ევროპაში ლახტმა პოპულარობის მწვერვალს XV ს-ის მეორე ნახევარსა და XVI ს-ის პირველ ნახევრში მიაღწია, როდესაც დასავლეთევროპული სარაინდო ჯავშნის ჩამოყალიბებასთან ერთად ე. წ. გოთიკური ლახტი (Gothic mace) გავრცელდა [Marek L. 2007: 219].

XVI-XVII სს-ის ოსმალურსა და ირანულ მინიატიურებზეც ლახტის გამოსახულება კვლავ ხშირად გვხვდება [Керимов К. 1983: рис. 30, 110, 113, 132; Исмаилова Э., Полякова Е. 1980: рис. 23; Féfer G. 1978: tab. XIV, XXII, XLIII, L]. (ტაბ. VI-6, 7). ამასთან, ამ პერიოდში თანდათანობით მცირდება ლახტის (და გურზის), როგორც საბრძოლო იარაღის, ფუნქცია და იზრდება მისი მნიშვნელობა, როგორც ინსიგნიისა. ეს პროცესი, როგორც ჩანს, ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებასა და მძიმე აღჭურვილობის გაქრობასთანაა დაკავშირებული. ამ პერიოდის ლახტები, მათ შორის, მდიდრულად შემკული, კარგადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმში.

ლახტის გავრცელება საქართველოში. ლახტის შესახებ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ: „*ლახტი* — უმკვეთლო საცემი საომარი“ [ორბელიანი ს.ს. 1991: 409]; „გურზი — *ლახტივით* დიდი, უფრთო“ (ხაზი ჩვენია — ი. ბ.) [ორბელიანი ს.ს. 1991: 179]. შესაბამისად, საბას განმარტების მიხედვით *ლახტი* გურზის (სპ. — გორზ, მრგვალთავიანი საბრძოლო საცემი იარაღის მსგავსი [http://www.iranicaonline.org]), ოღონდ, ფრთებიანი საბრძოლო საცემი იარაღია — ამდენად, ზემოაღწერილ იარაღს ლახტი უნდა ვუწოდოთ (ინგლ. — Flanged mace; რუს. — Шестопёр, Пернач; პოლ. — Buzdygan)[6].

საქართველოში იარაღის ეს სახობა კარგად უნდა ყოფილიყო ცნობი-

[6] აღსანიშნავია, რომ გურზი ასევე გვხდება ქართულ წერილობით წყაროებში, მეტწილად, სპარსულიდან ნათარგმნ ძეგლებში [ჯავახიშვილი ივ. 1962: 247]. თუმცა, ეს საკითხი ერთგვარად სცდება წინამდებარე ნაშრომის მიზანს. ამდენად, მას აღარ ჩავუღრმავდებით.

ლი, რასაც მუზეუმებში დაცული ექსპონატების სიუხვე, წერილობითი წყაროები და სხვადასხვა გამოსახულება ადასტურებს.

ძალზე საინტერესოა, რომ ქართულ წერილობით წყაროებში ლახტის ხსენება უკვე XII ს-დან ჩანს. „ამირან დარეჯანიანის“ მიხედვით: „(ბუმბერაზს) გამოეგზავნა *ლახტი* მისი და ეგრე შემოეთვალა: დღესა ამით შევიბნეთო“. „(ამბრი არაბმან) ჰკრა *ლახტი* მას ბუმბერაზსა და ზურგი მოსტეხა და მუნვე მოკლა“ [ხონელი მ. 1982: 58]. სხვაგან ვკითხულობთ: „წინასვე თქვეს მშვილდისა არა აღება, ყოველსავე შუბითა, ხრმლითა და *ლახტითა* იბრძოდეს“ [ხონელი მ. 1982: 169]. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ფატმანთან მყოფი ავთანდილი „ადგა და *ლახტი* აიღო...“ [ჯავახიშვილი ივ. 1962: 246]. ცხადია, შეუძლებელია, იმის მტკიცება, რომ XII ს-ის ქართულ ტექსტებში მაინცადამაინც ფრთიანი საცემი იარაღი იგულისხმება, თუმცა, ნათელია, რომ საუბარია საცემ იარაღზე („მოსტეხა“), ამასთან, საკმაოდ პოპულარულზეც. ლახტს რუსთველი ახსენებს არა ბატალურ სცენაში, არამედ იმ გარემოში, სადაც ნაკლებად მოსალოდნელი იყო, ავთანდილი „სრული აბჯრით“ მისულიყო.

„წესი და განგებაჲ მეფეთ კურთხევისაჲ“-ის მიხედვით (XIII ს-ის 40-იანი წლები), ლახტი მეფედ კურთხევის ცერემონიალის ატრიბუტიცაა: „ეზოთ-უხუცესსა, ჩუხჩერახსა და მეაბჯრეთ-უხუცესსა სამეფო ფარი და *ლახტი* ჰქონდეს და ქარქაში და უკანა უდგეს მეფესა“ [ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. 1941: 15].

XIV ს-ის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლში, როგორიცაა „ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡ კარის გარიგება“, ლახტი ნახსენებია, როგორც მეომრის შეიარაღების ჩვეული ნაწილი: „ერთის ტანსსაცემელის აბჯრის მეტი სხვაჲ ყველა აბჯარი, რაზომიცა თანა აქვს: ჯაჭვი, მუზარადი, ᲮᲛᲐᲚᲘ, ქაფა, საბარკული, მშვილდ-კაპარჭი, *ლახტი*, შუბი...“ [ხელმწიფის კარის გარიგება. 1993: 21-22].

ძალიან საინტერესოა ლახტების გამოსახულებანი XV ს-ის ჯრუჭისა[7] (H-1665) და თეთროსნის[8] (H-75) ფსალმუნების მინიატიურებზე. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ლ. შერვაშიძე, მინიატიურებზე წარმოდგენილი 2 ტიპის ლახტი: ხუთკუთხედისა და პარალელოგრამის ფორმის ფრთებით. თუმცა, ფსალმუნებში გამოსახული ლახტების გაიგივება ხმლისებურად დაჭვირული ლახტების წარმოდგენილ ჯგუფთან არ უნდა იყოს გამართლებული [Шервашидзе Л. 1964: 67. рис. XI]. (ტაბ. V—3, 4). ფრთების განსხვავებული ფორმის გარდა, ფსალმუნებში ლახტები გამოსახულია მოკლე მასრითა და ხშირად წვერში ბურთულით, რასაც ჭვირული ლახტების შემთხვევაში ვერ ვხედავთ[9].

---

[7] შალვა ამირანაშვილი ხელნაწერს XIII ს-ის I ნახევრით ათარიღებს [Амиранашвили Ш. 1963: 239]. მისგან განსხვავებით, ლ. შერვაშიძე ფსალმუნს XV ს-ით ათარიღებს, რაც ეფუძნება ტექსტის პალეოგრაფიულ თავისებურებებს, ხელნაწერში არსებულ მინაწერებსა და მინიატიურებზე გამოსახულ მატერიალური კულტურის ძეგლებს.

[8] შალვა ამირანაშვილის მიხედვით, XV ს-ის [Амиранашвили Ш. 1963: 239], ლ. შერვაშიძის მიხედვით, კი ტექსტი — XVI ს-ის, მინიატიურები კი — XV ს-ისაა [Шервашидзе Л. 1964: 114, 118].

[9] ჩანახატზე წარმოდგენილი 2 ლახტის გარდა, ავტორი ასახელებს კიდევ 3 ნიმუშს, რომლებიც სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში ინახება (საინვ. №3-38/1; 3-38/2; 113/111) [Шервашидзе Л. 1964: 67]. ამათგან ყურადღებას იქცევს ნიმუში (საინვ. № 113/111), რომელიც მართლაც იდენტურია ერთ-ერთი მინიატიურის გამოსახულებისა [Шервашидзе Л. 1964: 67. рис. XI-5]. უნდა ითქვას, რომ ფსალმუნებში გამოსახულ ლახტებს

ლახტი მრავლადაა ნახსენები XVII ს-ის წერილობით ძეგლებში: „შაჰნავაზიანის“ (XVII ს-ის 60-იანი წლები) მიხედვით: „მარჯუენის დროშის პატრონი, ამილახორად Ჩმობილი,... შეჭურვილია რკინითა, *ლახტი* აქვს წელთ ჩარჭობილი“ [ჯავახიშვილი ივ. 1962: 247]. საინტერესოა, რომ, ამ ცნობის მიხედვით, ლახტი სოციალურად გამორჩეული მეომრის ატრიბუტიცაა. ფარსადან გორგიჯანიძესთან (XVII ს-ის მიწურული) ვკითხულობთ: „შეიქნა შუბთა ძგერება, ხმალთა ელვარება, *ლახტების* ჯახა-ჯუხი, მუზარათთა ხეთქინება“ [ჯავახიშვილი ივ. 1962: 247]; „ლევან დადიანს შვილი მოუკვდა და მამამ შვილის ტირილში *ლახტი* თავს გარდიკრა და შვილს ზედ დააკვდა დაუმარხავს“ [ჯავახიშვილი ივ. 1962: 247]; ბერი ეგნატაშვილის (XVIII ს-ის დასაწყისი) მიხედვით: „დაუწყეს მღდელს თევდორეს *ლახტითა* ცემა...“ [ქართლის ცხოვრება. 1959: 386].

ლახტი ხშირად ნახსენებია „შაჰნამეს“ (XV-XVIII სს.) ქართულ თარგმანებშიც[10] [ჯავახიშვილი ივ. 1962: 246-247].

XVII ს-ში საქართველოში ლახტის გამოყენებას აღნიშნავენ უცხოელი ავტორებიც. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც საქართველოს ეწვია XVII ს-ის 70-იან წლებში, არაერთგზის აღნიშნავს, რომ მეგრელი აზნაურები „თავიდან ფეხამდე შეიარაღებულნი“ იყვნენ [შარდენი ჟ. 1975: 118, 119. 224-225]. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ იარაღის ჩამონათვალში შარდენი ასახელებს ლახტსაც (ფრანგ. Masse d'armes — ი. ბ.) [Chardin J. 1811: 175]. მოგვყავს სრული ციტატა: „მეგრელების იარაღია: შუბი, მშვილდ-ისარი, მოუხრელი სწორი ხმალი, ლახტი[11], ფარი; ცეცხლსასროლ იარაღს ცოტანი თუ ხმარობენ. ისინი კარგი მეომრები და კარგი მხედრები არიან. ძალიან დახელოვნებულნი არიან შუბის ხმარებაში. მშვილდ-ისრის სროლას ოთხი წლიდან ასწავლიან ბავშვებს, რომლებიც ისე კარგად ეუფლებიან მას, რომ გაფრენილ პატარა ჩიტსაც კი ახვედრებენ“ [შარდენი ჟ. 1975: 118, 119].

ქართველებში გავრცელებულ საბრძოლო იარაღს შორის, ლახტს ვახუშტი ბატონიშვილიც ახსენებს [ვახუშტი. 1941: 14].

ლახტი ხშირად გამოსახულია XVII ს-ის ქართულ მინიატიურებზეც. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა „ვეფხისტყაოსნის“ მამუკა თავაქარაშვილისეული (H-599) და წერეთლისული ნუსხის (S-5006) მეორე დამსურათებლის მინიატიურები. ძალზე საინტერესოა ასევე თეათინელი მისიონერის, დონ კრისტოფორე დე კასტელის, ცნობილ ალბომში დაცული ვახტანგ გურიელის პორტრეტიც, რასაც ქვემოთ დავუბრუნდებით.

ლახტების თარიღისა და დამზადების ადგილისათვის. როგორც ზემოთ ითქვა, საკვლევი ლახტის ძირითადი თავისებურება ხმლის მოყვანილობის ჭვირებია. ანალოგიური დეკორატიული ელემენტი საქართველოს საზღვრებს გარეთ ჩვენთვის ცნობილი არაა. სხვა ტიპოლოგიური ნიშნები — ნახევარი ჰექსაგონის მოყვანილობის მასიური ფრთები, ფრთის რკა-

ეძებნება რეალური პროტოტიპები როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. სამწუხაროდ, ამჯერად ამ საკითხს ვერ ჩავუღრმავდებით.

[10] მათ შორის გვხვდება „თავძროხიანი ლახტი“, რაც ირანისათვის დამახასიათებელი, მეტწილად, დეკორატიული იარაღია. საქართველოში მისი გავრცელება ნაკლებად მოსალოდნელია.

[11] ქართულ გამოცემაში თარგმნილია როგორც „კომბალი“ [შარდენი ჟ. 1975: 119].

ლისებური გვერდები გრძელი სატარე მასრა, ნახევარსფეროსებური ან კონუსური დეკორატიული ქუდი საკმაოდ ტიპური დეტალებია და დიდ ქრონოლოგიურსა და გეოგრაფიულ არეალს მოიცავს.

ლახტების ერთ-ერთი, თვალში საცემი, თავისებურება ფრთების მორკალული გვერდებია. ასეთი ფორმა ხშირად გვხვდება XVI ს-ის როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ნიმუშებზე (ტაბ. VI–5, 6). თუმცა, ის არსებობს მოგვიანო პერიოდშიც, XVIII ს-მდე. ზემოთ დასახელებული ბალკანური ნიმუშები ადასტურებს, რომ ფრთების ასეთი ფორმა ბიზანტიაში უკვე XV ს-ის დასაწყისისათვის იყო ცნობილი[12]. შესაბამისად, ლახტის ფრთების რკალისებური კონტური, უდავოდ, მნიშვნელოვანია ქრონოლოგიური ჩარჩოსა და გეოგრაფიული არეალის დადგენისათვის, თუმცა, ეს თავისებურება საკმაოდ გავრცელებული დეკორატიული ელემენტია და მხოლოდ ამ ნიშნით ლახტის ტიპის გამოყოფა არ უნდა იყოს მართებული. მორკალული კიდეები სრულიად სხვადასხვა ტიპის ლახტებს აქვთ. გვხდება ასევე ერთი და იმავე ტიპის ლახტები კიდეების მორკალული და სწორი ვარიანტებით.

სხვა ტიპოლოგიური ნიშნებით: ნახევარი ჰექსაგონისებური ფრთით, გრძელი სატარე მასრითა და დეკორატიული ქუდით საკვლევი ლახტები XVI-XVII სს-ის ოსმალურ ნიმუშებს უახლოვდება. ოსმალური ლახტები, უთუოდ, კარგად იყო ცნობილი საქართველოში და ქართულ კოლექციებშიცაა დაცული. მაგალითისთვის სამცხე-ჯავახეთის მუზეუმში დაცული ლახტი[13] შეიძლება მოვიხმოთ (საინვ. №35-35/239. ტაბ. VII-1), რომელსაც საქართველოს სხვა მუზეუმებშიც არაერთი ანალოგი ეძებნება. ლახტი დამახასიათებელი თურქული ორნამენტითაა შემკული, რაც მის ოსმალურ წარმომავლობას ადასტურებს [Аствацатурян Э. 2002: 49-50. рис. 1, 2]. მსგავსი ფორმის ლახტები, როგორც სადა, ისე ფრთების ფიგურული გვერდებით, გვხდება ევროპულ მასალაშიც [Helmut N., Stuart W. P... 1982: 128. fig. 86; Blair Cl. 1970: 156-165. fig. 9-28].

ამდენად, ლახტის ქრონოლოგიური და გეოგრაფიული არეალის დასადგენად საჭიროა ზემოთ დასახელებული ტიპოლოგიური ნიშნების მთელი კომპლექსის გათვალისწინება. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი ლახტებზე არსებულ ჭვირებს ენიჭება.

როგორც ზემოთ ვთქვით, საკვლევი ლახტების დათარიღებისა და გავრცელების არეალის დასადგენად განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება XVII ს-ის შუა ხანების რამდენიმე გამოსახულება. ესენია მამუკა თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ (H-599) მინიატიურები, წერეთლისული „ვეფხისტყაოსნის“ (S-5006) მეორე დამსურათებლის მინიატიურები და დონ კრისტოფორე დე კასტელის ალბომში დაცული ვახტანგ გურიელის პორტრეტი.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (H-599) გადაწერილია 1646 წელს, სამეგრელოს მთავარ ლევან II-ის ბრძანებით, მასთან ტყვედ მყოფი იმერეთის მეფის მდივან მამუკა თავაქარაშვილის მიერ. ხელნაწერში 39 მინიატიურაა ჩართული. მხატვრის ვინაობა სადავოა, თუმცა, მინიატურები

[12] გამორიცხული არაა, რომ ევროპაში გავრცელებული გოთიკური ლახტები ამ ფორმის განვითარებას წარმოადგენდეს.

[13] ლახტი ჩვენს დრომდე მოღწეულია დეკორატიული ქუდის გარეშე.

თავისუფალია კანონიკური საეკლესიო ან აღმოსავლური გავლენისგან, ზედმიწევნით მიჰყვება ტექსტს და დეტალურად გამოსახავს ყოფით დეტალებს: შეიარაღებას, ტანსაცმელსა და ა. შ. ამდენად, გვიანი შუა საუკუნეების ყოფის შესწავლის თვალსაზრისით სანიმუშო წყაროა [Шервашидзе Л. 1964: 127-136].

წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“ (S-5006) XVII ს-ით თარიღდება. 1660-1674 წწ-ის სპარსული გავლენით შესრულებულ ხელნაწერში ახალი მინიატიურები ჩაურთავთ, რომელშიც ირანულ გავლენასთან ერთად ქართული „ეროვნული ელემენტებიც“ ჩანს [ხუსკივაძე ი. 1976: 11-13, 66-74; ქვლივიძე მ. 1960: 26-30].

თეათინელი მისიონერის, დონ კრისტოფორო დე კასტელის, სურათების ალბომი და რელაციონი ასახავენ კათოლიკური მისიის მოღვაწეობას საქართველოში 1628-1654 წწ-ში. ალბომში შესული 500-ზე მეტი ნახატი უნიკალური წყაროა XVII ს-ის, უპირატესად, დასავლეთ საქართველოს ყოფის შესასწავლად [კასტელი კრ. 1976: 5-38].

თითქმის თანადროულ სამივე ხელნაწერში გვხვდება ლახტით შეიარაღებული მეომრის გამოსახულება, რაც, XVII ს-ის წერილობითი წყაროების გათვალისწინებით, სავსებით ბუნებრივია (ტაბ. VII–2-8). ჩვენს ყურადღებას ამ შემთხვევაში იქცევს ის მსგავსება, რასაც მინიატიურებზე გამოსახულსა და საკვლევ ლახტებს შორის ვხედავთ: თავაქარაშვილსა და კასტელთან ვხედავთ ფრთების დამახასიათებელ რკალისებურ კონტურს[14]. წერეთლისეულ ნუსხაში კონტური მცირედ განსხვავდება (ფრთები ოქტაგონის ნახევარს უახლოვდება). თუმცა, რკალისებური გვერდები ამჯერადაც იკითხება. სამივე წყაროში ფრთის ზედაპირი შემკულია რკალისებური თუ წრიული ორნამენტით, რაც ჭვირულ-ხმლისებურ დეკორს გვაგონებს. უმნიშვნელო არაა თავაქაშვილთან გამოსახული დეკორატიული ქუდები და მინიშნებული გრძელი მასრაც.

წარმოდგენილი მინიატიურებისა და ჩანახატის ზომის სიმცირისა და სქემატურობის მიუხედავად, ხმლისებურ-ჭვირიანი ლახტების ძირითადი ტიპოლოგიური ნიშნები მათზე გამოსახულია. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ გამოსახულებებს საფუძვლად სწორედ საკვლევი ლახტის ტიპი დაედო, რაც ხმლისებურ-ჭვირიან ლახტებს XVII ს-ით ათარიღებს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ლახტების ასეთ რეალისტურ გამოსახულებებს სწორედ ქართული მხატვრული ტრადიციებისადმი მიდრეკილ ავტორებთან ვხედავთ[15].

ხმლისებურ-ჭვირიანი ლახტების დიდი მსგავსება, ერთგვარი შაბლონურობა, გვაფიქრებინებს, რომ ლახტები შედარებით მცირე ტერიტორიასა და ხანმოკლე პერიოდში უნდა დამზადებულიყო, გამოცდილი, სავარაუდოდ, პროფესიონალი მეიარაღის მიერ.

როგორც ზემოთ ითქვა, ოსმალურ, სპარსულ, ბიზანტიურსა და ევრო-

---

[14] აღსანიშნავია, რომ ამ ხელნაწერში გვხვდება მეორე ტიპის ლახტიც, რომელიც „ოსმალურ ტიპთან“ ძალიან ახლოს დგას.

[15] ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის ერთი საინტერესო დაკვირვება: „ფირდოუსის და ფეშანგის... სიტყვებითგან ჩანს, რომ ლახტი, სანამ სახმარებლად დასჭირდებოდათ „წელთ ჩარჭობილი“ ჰქონიათ და ისე უტარებიათ“ [ჯავახიშვილი ივ. 1962: 247]. ზემოაღნიშნული მინიატიურებით ლახტის ტარების ეს წესიც დასტურდება.

პულ მასალაში ხმლისებურ-ჭვირიანი ლახტის ანალოგს ჩვენ არ ვიცნობთ. ამავე დროს, ჩვენთვის ცნობილი 13 ერთეულიდან 9 უშუალოდ დასავლეთ საქართველოს უკავშირდება, დანარჩენი 4 ლახტის წარმომავლობა კი უცნობია. ამასთან, ძირითადი გამოსახულებები, სადაც, ჩემი აზრით, აღნიშნული ტიპის ლახტებს ვხედავთ, ასევე დასავლეთ საქართველოს უკავშირდება. **შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართველოში, სავარაუდოდ, იმერეთსა ან სამეგრელოში, დაახლოებით XVII ს-ის პირველ ნახევარში ან შუა ხანებში მოქმედებდა სახელოსნო, სადაც ეს ლახტები მზადდებოდა**. ფეოდალური შინაომების, ტყვებით ვაჭრობისა და ქალაქების დაქვეითების მიუხედავად, ლახტების საწარმოებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სამეგრელოსა და იმერეთში ამ პერიოდში უნდა არსებულიყო.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) მთავრობად ყოფნის პერიოდი. მრავალრიცხოვანი სამხედრო ოპერაციები, რაც მის მმართველობას ახლდა, საბრძოლო იარაღის მუდმივ შეკეთება-წარმოებას მოითხოვდა. რუსი ელჩის, დიაკ ფედოტ ელჩინის (სამეგრელოში იმყოფებოდა 1639 წელს), მოწმობით, სამეგრელო ოსმალეთიდან რკინის იმპორტზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული, რაც ხარკის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო [Елчин Ф. 1954: 212]. ცნობილია, რომ დადიანმა არტილერიის ორგანიზებაც კი მოახერხა, რაც, იმ პერიოდში, უდავოდ, რთული ამოცანა იყო [საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1974: 337].

შედარებით უარეს მდგომარეობას ვხედავთ XVII ს-ის 60-იანი წლებიდან, როდესაც დასავლეთ საქართველოში პოლიტიკურმა შინააშლილობამ მწვერვალს მიაღწია. ამ პერიოდში ოსმალეთის ბატონობა გაძლიერდა, ქუთაისის მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა და ქუთაისის ციხეში ოსმალური გარნიზონი ჩადგა [საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1974: 179, 341]. ამ ფონზე, როგორც იმერეთში, ისე სამეგრელოში, იარაღის პროფესიული წარმოებისათვის აუცილებელი პირობები ნაკლებად ჩანს, რაც თვალში უცხოელ მოგზაურებსაც ხვდებათ: „რკინა, სპილენძი, სპილენძისა და ქაშანურის ჭურჭელი, ყოველგვარი იარაღი და აკაზმულობა, სამიწათმოქმედო იარაღი... ...ქალისა და მამაკაცის მზა ტანსაცმელი... ...ჩექმები, ფეხსაცმელები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ყველაზე მეტად აუცილებელია ადამიანისათვის“, 1670-იან წლებში, ჟან შარდენის მიხედვით, სამეგრელოში უკვე ოსმალეთიდან შემოდიოდა [შარდენი ჟ. 1975: 103, 104].

Irakli Bakradze

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: irakli.bakradze@yahoo.com

Fighting Maces with Saber-Openwork Decoration

Summery

Thirteen examples of interesting flanged maces are preserved in several museums of Georgia: the Georgian National Museum, Svaneti History and Etnography Museum, Iv.Javakhishvili Samtskhe-Javakheti History Museum, Kutaisi State Historical-Ethnographical Museum, Martvili Local Museum; Tsageri History Museum. The shape and size of the maces are very similar. All of them have an openwork decoration that reminds the shape of saber.

According to the narrative and visual sources, in the 13th – 17th centuries. flanged maces were widely used in Georgia, both as the weapon and insignia. The studied group of maces is very similar to the 15th – 17th centuries samples, which come from Byzantium, Turkey and Europe, but saber shaped decoration made them unique.

A number of miniatures created in the middle of the 17th century seems very interesting for dating and localization of maces from Georgian museums. These are the illustrations from two manuscripts of the poem "Knight in the Tiger Skin" and the drawing of Vakhtang Gurieli – Duke of Guria province, made by don Christophoro de Kasteli, the member of catholic mission in Georgia. The miniatures and drawing represent precisely the life and material culture of the 17th century west Georgia. There is similarity between depictions on miniatures and the studied maces . Of special interest is the ornament on miniatures and on the drawing, which to our mind, is stylistic representation of maces.

The exact analogous of our maces were not find neither in Byzantine nor in European, Ottoman Turkey and Iranian materials.

As we have already mentioned, the saber shape ornament seems unique, most of the maces (at least nine) come from West Georgia. Two main visual sources where similar maces are represented (the manuscripts H-1665 and Kasteli drawing) were undoubtedly created in West Georgia as well. We presume that studied maces were created in west Georgia, in the first half or in the middle of the 17th century when requirement of arms and the skill of metal crafts seemed to be on a high level.

ბიბლიოგრაფია

ვახუშტი. 1941: *აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია).* თბილისი (რედ. თ. ლომოური და ნ. ბერძენიშვილი).

***ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი.* 1941:** თბილისი.

კასტელი კრ. 1976: *დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ.* თბილისი.

ხონელი მ. 1982: *ამირან დარეჯანიანი.* ქართული პროზა. წიგნი II. თბილისი.

ორბელიანი ს.ს. 1991: *ლექსიკონი ქართული.* ტ. I. თბილისი.

***საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* 1974:** ტ. IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი.

***ქართლის ცხოვრება.* 1959:** თბილისი.

ქვლივიძე მ. 1960: *ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის.* თბილისი.

***ხელმწიფის კარის გარიგება.* 1993:** თბილისი.

ხუსკივაძე ი. 1976: *ქართული საერო მინიატურა XVI-XVIII საუკუნეებში.* თბილისი.

შარდენი ჟ. 1975: *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში* (ცნობები საქართველოს შასახებ). თბილისი.

ჩართოლანი შ. 1976: *მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის.* I (სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის 1972-1974 წლების არქეოლოგიური მუშაობის შედეგები). თბილისი.

ჩართოლანი შ. 1977: *სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები.* I. *(კატალოგი).* თბილისი.

ჩიტაია გ. 1972: სამი ინსიგნია (წარჩინების ნიშანი) ამიერკავკასიიდან. *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.* ტ. XVI-XVII. გვ. 51-54. თბილისი (რედ. ი. ჭყონია).

ჯავახიშვილი ივ. 1962: *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.* ტ. III-IV. თბილისი.

Адамова А., Гюзальян Л. 1985: *Миниатюры рукописи поэмы «Шахнаме» 1333 года.* Ленинград.

Алпатов М. 1978: *Древнерусская иконопись*. Москва.

Амиранашвили Ш. 1963: *История Грузинского Искусства*. Москва.

Аствацатурян Э. 2002: *Турецкое оружие в собрании Государственного Исторического Музея*. Санкт-Петербург.

Горелик М. 2008: Черкесские воины Золотой орды (по археологическим данным). *Вестник Института Гуманитарных Исследований Правительства КБР и КБНЦ РАН. выпуск 15.* сс. 158-189. Нальчик (ред. Б. Бгажноков).

Елчин Ф. 1954: Статейный список Федота Елчина (Грузия). Путешествие русских послов XVI-XVII вв. *Статейные списки*. сс. 206-226. Москва-Ленинград (ред. Д. Лихачёв).

Исмаилова Э., Полякова Е. 1980: *Восточная миниатюра в собрании Института востоведения имени Абу райхон Беруни Академии наук УзССР*. Ташкент.

Керимов К. 1983: *Низами Гянджеви. Хамсе «Пятерицы». Миниатюры.* Баку.

Кирпичников А. 1966: Древнерусское Оружие. Выпуск второй. Копья, сулицы, боевые топоры, булавы, кистени. *Свод Археологических Источников.* Е1-36. Москва/Ленинград (ред. акад. Б. Рыбаков).

Кулешов Ю., Абызова Е. 2011: Два предмета мамлюкского вооружения с территории Молдовы как иллюстрация путей формирования золотоордынского комплекса вооружения. Военное дело Золотой Орды: Проблемы и перспективы изучения. *Материалы Круглого стола, проведанного в рамках Международного Золотоордынского Форума (Казань, 30 марта 2011 г.).* сс. 92-100. Казань (ред. И. Миргалеев).

Нарожный Е., Чахкиев Д. 2003: О находках некоторых образцов ударного и защитного вооружения на Северном Кавказе (XIII-XVвв.). *Материалы и исследования по археологии Северного Кавказа. 2.* сс. 126-154. Армавир.

Шервашидзе Л. 1964: К вопросу о грузинской светской миниатюре (Миниатюры батальной тематики Джучской псалтири). Тбилиси.

Gorelik M. 1979: Oriental armour of the Near and Middle East from the eighth to the fifteenth centauries as shown at works of art. *Islamic arms and armour*. pp. 30-63. London (ed. R. Elgood).

Blair Cl. 1970: A Royal Swordsmith and Damascener: Diego de Çaias. *Metropolitan Museum Journal.* V. 3. pp. 149-198. New York (ed. Allan J. Brodsky).

Helmut N., Stuart W. P., Tarassuk L. 1982: *The Art of Chivalry. Europian Arms and Armour from The Metropilitan Museum of Art.* New York.

Féfer G. 1978: *Turkish miniatures from the period of hungury's Turkish occupation.* Budapest.

Nicolle D. 1999: *Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350 Western Europe and the Crusader States*. London / Mechanicsburg.

Chardin J. 1811: *Voyages du chevalier Chardin en Perse et autres lieux de l'Orient.* Paris.

Marek L. 2007: Gotycki Buzdygan ze Zbiorów Muzeum Regionalnego w Chojnowie. *Acta Militaria Medievalia.* III. Krakow/Sanok (ed. by Piotr Kotowicz).

http://www.iranicaonline.org/articles/gorz — (Doostkhah J. *Gorz*).

http://www.iranicaonline.org/articles/jame-tawarikh-ii — (Blair Sh. *JĀME' al-TAWĀRIĀ ii.* Illustrations).

http://www.rastko.org.rs/kosovo/pecarsija/hramovi/crkva_sv_odigtrije_eng.html — (The Patriarchate of Pec: The Church of the Virgin Hodegitria).

http://www.ruicon.ru — (Православные Мастерские Русская Икона).

http://www.monumentaserbica.com/mushushu — (***Радойчич С. Фрески Каленича. Андрей Рублев и его епоха : сборник статей (ред. М. В. Алпато). с***. 250-261. **Москва**).

http://otlichnik.tripod.com/medmace3.html — (Shawn M. Caza, *Medieval Knobbed maces*. 2003)

ილუსტრაციების აღწერილობა

ტაბ. I

ჭვირების ვარიანტები (ავტორის ნახატი):

სურ. 1. სემ, ჯსმ (საინვ. №5-34/2)

სურ. 2. სემ, სიემ (საინვ. №730)

სურ. 3. სემ, ჯსმ (რეკონსტრუქცია) (საინვ. №35-35/248)

სურ. 4. სემ, ჯსმ (საინვ. №35-35/241)

სურ. 5. ქსიმ (საინვ. № 2812)

სურ. 6. ციმ

სურ. 7. სემ, სიემ (საინვ. №727)

სურ. 8. მმმ (საინვ. №ა-32)

სურ. 9. ქსიმ (საინვ. № 3038)

სურ. 10. სემ, ჯსმ (საინვ. №2450/1876)

სურ. 11. ქსიმ (საინვ. № 2875)

სურ. 12. სემ, ჯსმ (საინვ. №35-35/245)

სურ. 13. ქსიმ (საინვ. № 2811)

ტაბ. II

სურ. 1, 2. ლახტი. სემ, ჯსმ (საინვ. №35-35/241). (ავტორის ფოტო)

სურ. 3, 4. ლახტი. სემ, ჯსმ (საინვ. №35-35/248). (ავტორის ფოტო)

სურ. 5, 6. ლახტი. სემ, ჯსმ (საინვ. №5-34/2). (ავტორის ფოტო)

ტაბ. III

სურ. 1, 2. ლახტი. სემ, ჯსმ (საინვ. №2450/1876). (ავტორის ფოტო)

სურ. 3. ლახტი. სემ, ჯსმ (საინვ. №727). (ავტორის ფოტო)

სურ. 4. ლახტი. სემ, ჯსმ (საინვ. №730). (ავტორის ფოტო)

ტაბ. IV

სურ. 1. ლახტი. მმმ (საინვ. №ა-32). (ავტორის ფოტო)

სურ. 2, 3. ლახტი. ციმ (ავტორის ფოტო)

სურ. 4. ლახტი (დეტალი). სემ, ჯსმ (საინვ. №35-35/245) (ავტორის ფოტო)

ტაბ. V

სურ. 1. ლახტიანი მეომარი. ფირდოუსი. „შაჰ-ნამე“. თავრიზი. 1340-1350 წწ. (მ. გორელიკის მიხედვით)

სურ. 2. ლახტიანი მეომარი. ფირდოუსი. „შაჰ-ნამე“. შირაზი (?). 1333 წ. (ა. ადამოვასა და მ. გიუზალიანის მიხედვით)

სურ. 3. ლახტიანი მეომარი. ჯრუჭის ფსალმუნის (H-1665) მინიატიურა (ლ. შერვაშიძის მიხედვით)

სურ. 4. ლახტებისა და ცულის გამოსახულება. ჯრუჭის ფსალმუნის (H-1665) მინიატიურებიდან და მისი პარალელები. XVII ს-ის ჭედური ხატი. ლახტები ქუთაისის ისტორიული მუზუმიდან. (ლ. შერვაშიძის მიხედვით)

ტაბ. VI

სურ. 1. წმ. თეოდორე ტირონის ფრესკა (დეტალი). ოდიგიტრიის ტაძარი,

პეჩის საპატრიარქო მონასტერი, სერბეთი

სურ. 2. წმ. დიმიტრი თესალონიკელის (სოლუნელის) ხატი. სერბეთი, ბელგრადის გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი. XV ს-ის დასაწყისი (მ. ალპატოვის მიხედვით)

სურ. 3. ლახტი. წმ. დემეტრეს ფრესკა. კალენიჩის მონასტერი, სერბეთი. 1407-1413 წწ. (ავტორის ჩანახატი)

სურ. 4. ლახტი. ბიზანტია (?). (კერძო კოლექცია) XIV-XV სს. (?)

სურ. 5. ოფიცერი იანიჩარი ლახტით. მელქიორ ლორქი. (გრავიურა, დეტალი). 1582 წ.

სურ. 6. ისკანდერის ნადირობა. ნიზამი განჯევი. „ხამსე". ხორასანი. XVI ს-ის 70-იანი წლები (კ. კერიმოვის მიხედვით)

სურ. 7. მეჰმედ III-ის აღლუმი (დეტალი). ოსმალური მინიატიურა. XVI ს. ? (ტოპკაპის მუზეუმი, სტამბული, თურქეთი (გ. ფეჰერის მიხედვით)

ტაბ. VII.

სურ. 1. ლახტი. სემ, სჯიმ (ავტორის ფოტო)

სურ. 2. ტარიელის ბრძოლა დევებთან (დეტალი). „ვეფხისტყაოსანი" (S-5006) (მ. ქვლივიძისა და ი. ხუსკივაძის მიხედვით)

სურ. 3-5. ლახტების ნიმუშები. „ვეფხისტყაოსანი" (H-599). (ხეცა-ის გამოცემების მიხედვით, ავტორის ჩანახატი)

სურ. 6. ვახტანგ გურიელის პორტრეტი. დონ კრისტოფორო დე კასტელი. 1628-1654 წწ. (ბ. გიორგაძის მიხედვით)

სურ. 7. დეტალი (ბ. გიორგაძის მიხედვით)

სურ. 8. დეტალი (კ. ჩოლოყაშვილის მიხედვით)

LIST OF ILLUSTRATIONS

Tab. I

The openwork decoration (author's drawing):

Fig. 1. GNM, JGM (#5-34/2)

Fig. 2. GNM, SMHE (#730)

Fig. 3. GNM, JGM (#35-35/248) (Reconstruction)

Fig. 4. GNM, JGM (#35-35/241)

Fig. 5. KSHM (#2812)

Fig. 6. TCHM

Fig. 7. GNM, SMHE (#727)

Fig. 8. MLM (#a-32)

Fig. 9. KSHM (#3038)

Fig. 10. GNM, JGM (#2450/1876)

Fig. 11. KSHM (#2875)

Fig. 12. GNM, JGM (#35-35/245)

Fig. 13. KSHM (#2811)

Tab. II

Fig. 1, 2. Flange mace. GNM, JGM (#35-35/241) (author's photo)

Fig. 3, 4. Flange mace. GNM, JGM (#35-35/248) (author's photo)

Fig. 5, 6. Flange mace. GNM, JGM (#5-34/2) (author's photo)

Tab. III

Fig. 1, 2. Flange mace. GNM, JGM (#2450/1876) (author's photo)

Fig. 3. The flange mace. GNM, SMHE (#727) (author's photo)

Fig. 4. The flange mace. GNM, SMHE (#730) (author's photo)

Tab. IV

Fig. 1. Flange mace. MLM (author's photo)

Fig. 2, 3. Flange mace. TCHM (author' photo)

Fig. 4. Flange mace (Detail) GNM, JGM (#35-35/245), (author's photo)

Tab. V

Fig. 1. Warrior with flanged mace. Miniature (Detail). Firdausi, "Shahnameh". Tabriz. Circa1340-1350 (M. Gorelik)

Fig. 2. Warrior with flanged mace. Miniature. (Detail). Firdausi, "Shahnameh". Shiraz. Circa 1333 (A. Adamov and M. Giuzalian)

Fig. 3. Warrior with flanged mace. Miniature (Detail). The Jruchi psalms (H-1666) XV c. (L. Shervashidze)

Fig. 4. Flanged maces and axes from the Jruchi psalms. Miniatures and its parallels. (L. Shervashidze)

Tab. VI

Fig. 1. Fresco of St. Teodor Tiron. The Patriarchate of Pec: The Church of the Virgin Hodegitria. Serbia (detail). Circa 1330

Fig. 2. Fresco of St. *Demetrius of Thessaloniki***.** (Detail) (Museum of Applied Arts. Belgrade. Serbia). Beginning of the 15th century (M. Alpatov)

Fig. 3. Flange mace from the fresco of St. *Demetrius*. Kalenić monastery. Serbia. 1407-1413, (author's drawing)

Fig. 4. Flanged mace. Balkans (?). (The private collection)

Fig. 5. Janissary general on horseback. woodcuts by Melchior Lorck (Detail). 1582

Fig. 6. Hunting of Iskander. Miniature (Detail). Nizami Ganjavi "Khamsa" Khorasan. The 70's of of the 16th c. (After. K. Kerimov)

Fig. 7. Triumph of Mehmed III. Miniature. (Detail). Turkey, the 16th c. (?). Topkapi Saray Museum. Istanbul, Turkey. (G. Féfer)

Tab. VII

Fig. 1. Flanged mace (GNM, S-JHM), (author's photo)

Fig. 2. Fight of Tariel with devs. Miniature, (detail). Shota Rustaveli, "The Knight in Tiger's Skin". "Tsereteli's" manuscript. 1660-1674. (M. Kvlividze and I. Khuskivadze)

Fig. 3-5. Flange maces. Miniatures. (Detail). Shota Rustaveli, "The Knight in the Tiger's Skin", Mamuka Tavakarashvili's manuscript 1646. (NCM publications and author's drawing)

Fig. 6. Portrait of Vakhtang Gurieli. Don Christophoro de Kasteli (B. Giorgadze)

Fig. 7. Detail (B. Giorgadze)

Fig. 8. Detail (K. Cholokashvili)

1.

2.

3.

4.

5.

6.

7.

8.

9.

10.


11.

12.

13.

ტაბ. II Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

ტაბ. III Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

ტაბ. IV Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

ტაბ. V Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.

ტაბ. VI Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

ტაბ. VII Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 259-268
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 259-268

ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

მარინე ბოკუჩავა

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: marinaboku@yahoo.com

არამარკირებული რუსული ჭურჭელი
(საქართველოს ეროვნული მუზეუმის მასალის მიხედვით)

რუსული ფაიფურის წარმოებას საფუძველი 1744 წელს ჩაეყარა. თავდაპირველად,ფაიფურისსაქმესდედოფალელისაბედისმიერშვედეთიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი ქრისტოფერ გუნგერი ხელმძღვანელობდა, 1748 წლიდან კი წარმოებას სათავეში ჩაუდგა გუნგერის მოწაფე, ქიმიკოსი, მიხეილ ლომონოსოვის თანამოღვაწე, დიმიტრი ვინოგრადოვი. სწორედ ის ითვლება რუსული ფაიფურის ფუძემდებლად.

რუსული ფაიფური ხარისხით ევროპულს არ ჩამოუვარდებოდა, შემადგენლობით კი ჩინურს უახლოვდებოდა. იგი უფრო მაგარი იყო, ვიდრე ევროპული, მაგრამ უფრო რბილი, ვიდრე ჩინური.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ფაიფურის ფონდში რუსულ ფაიფურის მარკირებულ ჭურჭელთან ერთად დაცულია არამარკირებულიც. ესენია: ჩაიდნები, ფინჯნები, ლამბაქები, თეფშები, ლარნაკები და ა.შ. ის, რომ ეს არამარკირებული ჭურჭელი რუსულია, ეჭვს არ იწვევს. ამაზე მეტყველებს ჭურჭლის ფორმა, ფაიფურის კეცი, ჭიქური, დეკორირების სტილი, სიუჟეტები, საღებავები და სხვ.

რუსული ფაიფურის ზოგიერთი ქარხანა, ისეთი ცნობილებიც კი, როგორებიცაა: გარდნერის, ბატენინისა და კორნილოვის, ყოველთვის არ ახდენდა თავიანთი პროდუქციის მარკირებას, მაგალითად, გარდნერის ადრეული ნაწარმის მარკირება არ ხდებოდა, ან, თუ ხდებოდა, ძალიან იშვიათად [Дулькина Т. 2003: 36].

ბატენინის ქარხანას თავისი არსებობის განმავლობაში (1811-1839 წწ.) რამდენიმე დამღა ჰქონდა, რომელთა შორისა იყო რუსული ასო «Б». იგი საფაიფურე ცომში ნაჭდევის სახით გამოისახებოდა და, როგორც წესი, ისე იდღაბნებოდა, რომ საერთოდ აღარ ჩანდა. ამიტომ ამ დამღით მარკირებულ ფაიფურზე მარკა არ ჩანს და მისი იდენტიფიცირება ზოგჯერ ჭირს, მაგრამ ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ბატენინის ნაწარმს გააჩნია (ფორმა, მოხატულობის მოტივები და სხვ.), გვეხმარება მის ამოცნობაში [Карякина Т. 1998: 45].

ზოგჯერ კორნილოვების ფაიფურზეც არაა დამღები. ფაიფურის მარკირებას არ ახდენდნენ შედარებით ნაკლებად ცნობილი ქარხნებიც,

მაგალითად, საფრონოვის, ძმების – ნოვიხებისა, გულინებისა და სხვ.

ფაიფურის პირველი კერძო ქარხნები რუსეთში ჯერ კიდევ XVIII ს-ის 60-70 იან წლებში გაჩნდა. საიმპერატორო ქარხნის პროდუქცია და საზღვარგარეთიდან შემოტანილი ფაიფური ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნას ფაიფურის ნაწარმზე. სწორედ ამან განაპირობა ფაიფურის კერძო წარმოებათა აღმოცენება, თანაც, ადგილობრივი ფაიფურის ღირებულება გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე შემოტანილის ან, თუნდაც, საიმპერატორო ქარხნისა. კერძო ქარხნების გაჩენას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მოსკოვის გუბერნიაში, გჟელში, საფაიფურე თიხის დიდი მარაგი აღმოჩნდა. აქვე იყო ტყის ვრცელი მასივებიც, შეშა კი აუცილებელია ფაიფურის წარმოებისათვის, თანაც, გასაღების ბაზრად მოსკოვი ძალზე ხელსაყრელი იყო. ამ რეგიონში გაიხსნა ბევრი კერძო ქარხანა: გარდნერის, საფრონოვის, პოპოვის, ხრაპუნოვების, ძმებ ნოვიხებისა და გულინების, იუსუპოვისა და სხვ. [Селиванов А. 2002: 55].

პეტერბურგის კერძო ქარხნებს შორის ცნობილია ბატენინისა და ძმებ კორნილოვების ფაიფურის ქარხნები. მიუხედავად იმისა, რომ კერძო ქარხნების უმეტესობა XVIII ს-ში დაარსდა, მათი ნამდვილი წარმატება XIX ს-ის 20-იანი წლებიდან იწყება. ამ ქარხნების პროდუქცია, ძირითადად, მარკირებული იყო, თუმცა, უშვებდნენ არამარკირებულ ფაიფურსაც [http://www.nivasposad.ru].

ფაიფურის ფონდში ინახება გარდნერის, ბატენინის, ძმების – გულინების, კორნილოვებისა და ნოვიხების ფაიფურის საწარმოთა არამარკირებული პოროდუქცია. გარდნერის ქარხანა 1766 წელს დაარსდა სოფელ ვერბილკაში, რომელიც მოსკოვის ოლქში მდებარეობს. მისი დამაარსებელი ფრანც გარდნერი გარუსებული ინგლისელი იყო. 1891 წელს გარდნერის ქარხანა, ფაიფურის სხვა კერძო ქარხნებთან ერთად, მატვეი კუზნეცოვმა შეისყიდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოხდა ქარხნის ნაციონალიზაცია. თავისი არსებობის განმავლობაში გარდნერის ქარხანა საუკეთესოდ ითვლებოდა სხვა კერძო ქარხნებს შორის. მისი ფაიფური ზოგჯერ ისევე ძვირად ფასობდა, როგორც საიმპერატორო ქარხნისა [Эмме Б.1950: 30].

გარდნერის ქარხანაში ფაიფურის ყველანაირ ნაწარმს ამზადებდნენ. XIX ს-ის ორმოციანი წლებიდან დაიწყეს მაღალი ხარისხის ფაიანსის – ოპაკის წარმოებაც. ფაიფურისა და ოპაკის გარდა, უშვებდნენ ფაიანსის უბრალო ნაწარმსაც. გარდნერის ქარხნის ასორტიმენტში იყო: სადილისა და ჩაის ჭურჭელი, ლარნაკები, მცირე ზომის სკულპტურები [Селиванов А. 1903: 67].

ფაიფურის ფონდში გარდნერის მარკირებულ ნივთებთან ერთად არამარკირებული ფაიფურიცაა:

ფინჯანი (საინვ. № 38-24/2) ამპირის სტილისაა, ქუსლიანი. მოხატულობა ჭიქურზედაა, პოლიქრომული (სურ. 1). შიდა მხარიდან – ნაწილობრივ, გარედან კი მთლიანად (მედალიონის გარდა) ოქროს ქანდითაა დაფარული. მედალიონში ციგაში მჯდომი ქალია გამოსახული. სავარაუდოდ, გარდნერის ქარხნის XIX ს-ის 30-იანი წლების ნიმუშია. ზომა: H – 9 სმ; პირის D – 7, 5 სმ; ძირის D – 5 სმ. დაცულობა – კარგი. მირზოევის კოლექციიდანაა.

ფინჯანი ლამბაქით (საინვ. № 38-24/3) ამპირის სტილისაა (სურ. 2). მოხატულია ჭიქურქვედა კობალტით, პოლიქრომული და ოქროს

საღებავებით. ფინჯნისა და ლამბაქის ნაპირები რელიეფური მცენარეული ორნამენტითაა შემკული და ოქროთია დაფერილი. ფინჯანზე, შიდა მხარიდან, ფერადი დედალ-მამალია გამოსახული. ლამბაქის ძირზე ძალიან პატარა, ოდნავ შესამჩნევი, შტრიხის მაგვარი წითელი ჭიქურქვედა ნიშანია. აღსანიშნავია, რომ გარდნერის ზოგიერთი არამარკირებული ჭურჭლის ძირზე ძალიან პატარა წითელი ნიშანი გვხვდება, რომელიც თითქოს ლათინურ «T»-ს წააგავს. გარდნერის მარკათაგან ეს წითელი ნიშანი ყველაზე ძველად ითვლება. ფინჯნის ძირზე კი ცომში ამოტვიფრული რიცხვ 62-ის ამოკითხვა შეიძლება. გარდნერის ჭურჭელზე ამოტვიფრული ციფრები მოდელის ნომერს აღნიშნავდა. ძირის განაპირას ცომში გადღაბნილი რაღაც ნიშნები ჩანს, რაც შეიძლება, უბრალოდ, ფაიფურის დეფექტი იყოს ან წარწერა. აღსანიშნავია, რომ გარდნერის ადრეული ნაწარმის მარკირება საგულდაგულოდ არ ხდებოდა. ეს ეხება რუსული ან ლათინური ასოებით ამოტვიფრულ დამღებს: «Гарднер» ან "Gardner", რომლებიც ცომში ზოგჯერ ისე იდღაბნებოდა, რომ საერთოდ იკარგებოდა [Дулькина Т. 2003: 52]. ვფიქრობთ, რომ ამ ფინჯნის შემთხვევაში სწორედ ამ მოვლენასთან გვაქვს საქმე. საინტერესოა ლამბაქის ძირზე გამოსახული პატარა, ჭიქურქვედა წითელი ნიშანიც. თუმცა, ძნელია თქმა, რომ ეს «T»-ა. ფინჯან-ლამბაქი ფორმითა და მოხატულობითაც ძალიან ჰგავს გარდნერისას. ყველაფრის გათვალისწინებით, ეს ჭურჭელი გარდნერის ქარხნის ნაწარმად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ზომა: ფინჯნის H – 4,5 სმ; პირის D – 11,5 სმ; ძირის D – 6 სმ; ლამბაქის D – 17 სმ. დაცულობა – ყური მოტეხილი აქვს. ეს ფინჯან-ლამბაქი მირზოევის კოლექციიდანაა.

ფინჯანი (საინვ. № 27-26/23). მას ოდნავ ტალღოვანი კედლები აქვს (სურ. 3). მოხატულობა ჭიქურზედაა, პოლიქრომული. თეთრ ფონზე ფერადი ყვავილებია გამოსახული. სავარაუდოდ, XIX ს-ის პირველი ნახევრის გარდნერის ქარხნის ნაწარმია.

ზომა: H – 4,8 სმ; პირის D – 9,5 სმ; ძირის D – 4 სმ. დაცულობა – ოდნავი ბზარი.

ჩაიდანი (საინვ. № 27-26/50) ქუსლიანია (სურ.4), მოხატულობა – ჭიქურზედა, პოლიქრომული. ჩაიდანზე ოქროსა და ფერადი საღებავებით ყვავილების თაიგულები და გირლიანდებია გამოსახული. ყური როზეტითაა დაბოლოებული. სავარაუდოდ, გარდნერის ქარხნის ადრეული ნიმუშია – XVIII ს-ის დასასრულის ან XIX ს-ის დასაწყისის. ზომა: H – 19,5 სმ; პირის D – 7,5 სმ; ძირის D – 8 სმ. დაცულობა – ყური მოტეხილი აქვს.

ფაიფურის ფონდში გვაქვს ასევე ბატენინის ქარხნის არამარკირებული ჭურჭელი. ბატენინის ქარხანა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პეტერბურგის სხვა კერძო ქარხნებს შორის. იგი დაარსდა 1812 წელს (დამაარსებელი ფილიპ ბატენინი), დაიხურა 1839 წელს. ბატენინის ფაიფურის ტიპურ მოხატულობად ითვლებოდა ოთხკუთხა ჩარჩოში მოთავსებული ფერადი ყვავილების თაიგულები და პეტერბურგის ხედები, თუმცა, მოხატულობის სხვა მოტივებიცაა – ალეგორიული და მითოლოგიური კომპოზიციები, პატრიოტულ მოტივებზე შექმნილი ბატალური სცენები და ა.შ. დეკორში უხვად იყენებდნენ ოქროს ქანდას. ბატენინის ნაწარმი ფაიფურის ცომში

ამოტვიფრული მარკებით იდამღებოდა. მარკა რამდენიმე იყო; «С.Б.» (სერგეი ბატენინი), «С.Ф.К.Б.» (Санкт-Петербургская фабрика купца батенина — ვაჭარ ბატენინის სანკტ-პეტერბურგის ფაბრიკა), «С.З.К.Б.» (Санкт-Петербургский завод купца батенина — ვაჭარ ბატენინის სანკტ-პეტერბურგის ქარხანა), «СПБ:НАСЛ:БАТЕН:» (Санкт-Петербург. наследники батенина) — სანკტ-პეტერბურგი. ბატენინის მემკვიდრეები), ან პირიქით, «НАСЛ:БАТЕН:СПБ.». ყველა ამ მარკის პარალელურად იყო კიდევ მარკა — რუსული დიდი ბეჭდური ან ხელნაწერი ასო «Б», რომელიც ასევე საფაიფურე ცომშია ამოტვიფრული. განსხვავებით სხვა დამღებისგან, რომლებიც მკაფიოდაა გამოყვანილი და ადვილად იკითხება, ეს მარკა ცომშია გადღაბნილი და არ ჩანს. ამიტომ ზოგჯერ ჭირს არამარკირებულ ნაკეთობებში ბატენინის ქარხნის ფაიფურის ამოცნობა.

ბატენინის ქარხანა მრავალნაირ ჭურჭელს უშვებდა, როგორც საცალოს, ისე სერვიზებს. განსაკუთრებით ფასობდა ბატენინის ქარხნის ჩაის ჭურჭელი და ლარნაკები. ფორმისა და მოხატულობის მიხედვით, განსაკუთრებით მრავალნაირი იყო ფინჯნები: ცილინდრული, პირგადაშლილი, ქუსლიანი და უქუსლო, ძირში შედარებით ვიწრო და მუცელთან განიერი და ა.შ. ფინჯნების ყური „სახასიათოდაა“ მოხრილი და ზოგჯერ როზეტით ბოლოვდება. მოხატულობაც განსხვავებულია — არის ყვავილებით, პეტერბურგის ხედებით, პორტრეტებით მონოგრამებით, ვენზელებით მოხატული და სხვ. ბატენინის ქარხნის ადრეულ ნაწარმში ხშირია იმპერატორ ალექსანდრე I-ის პორტრეტებიანი ფინჯნები [http://www.pushkin.ellink.ru].

ფონდში გვაქვს ამდაგვარი *ფინჯანი* (სურ. 5) თავისი *ლამბაქით* (საინვ. № 30-1999/2005). ის ქუსლიანია. მოხატულობა — ჭიქურზედა. ფინჯანი შიდა მხარიდან — ნაწილობრივ, გარედან კი მთლიანად ოქროს საღებავითაა დაფარული, რომლის ფონზეც მედალიონში რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის (1777–1825 წწ.) პორტრეტია გამოსახული. ლამბაქიც ქუსლიანია და ნაცრისფერ ფონზე ოქროს საღებავით მოხატული ყვავილებითაა შემკული. არ არის მარკირებული. დამზადებულია ბატენინის ქარხანაში XIX ს-ის 20-იან წლებში. ზომა: ფინჯნის H – 9 სმ; პირის D – 8 სმ; ქუსლის D — 5სმ; ლამბაქის D – 13,5 სმ. დაცულობა — ყური მოტეხილი აქვს.

ჩაიდანი (საინვ. №27-26/49) (სურ. 6) ქუსლიანია. მოხატულობა ჭიქურზედაა, პოლიქრომული. დაფარულია ოქროს ქანდით, რომლის ფონზეც, მუცლის ორივე მხარეს, ბატენინის ფაიფურისთვის დამახასიათებელი მოხატულობა - ოთხკუთხა ჩარჩოში მოთავსებული ფერადი ყვავილების თაიგულებია გამოსახული. ჩაიდნის ყურსა და ცხვირს რელიეფური ორნამენტი ამშვენებს. არა აქვს სახურავი. არ არის მარკირებული. დამზადებულია ბატენინის ქარხანაში. ზომა: H – 17 სმ; პირის D – 11 სმ; ძირის D — 8,9 სმ. დაცულობა — პირი ჩამოტეხილი აქვს.

ფონდში გვაქვს სხვა კერძო ქარხნების არამარკირებული ფაიფურიც, მაგალითად, ძმების — გულინების, ნოვიხებისა და კორნილოვების ქარხნების ჭურჭელი. ძმებ გულინების ქარხანა XIX ს-ის 30-იან წლებში გაიხსნა და დაიხურა 50-იანი წლების ბოლოს. მდებარეობდა მოსკოვის ოლქში, სოფელ ფრიაზინოსა და კუზიაევოში [Попов В. 1980: 35]. ამ ქარხანაში მარკირება რამდენიმე სახის დამღით ხდებოდა. საუკეთესო ფაიფურს ჰქონდა პატარა

ბეჭდური ასოებით ცომში ამოტვიფრული დამღა — «Ф. братьев Гулиных» (ფონდში გვაქვს თეფში ასეთი მარკით). თუმცა, ხშირად გულინები თავიანთი პროდუქციის მარკირებას საერთოდ არ ახდენდნენ. ამზადებდნენ მრავალი სახეობის ჭურჭელს: ფინჯნებს, ლამბაქებს, თეფშებს, ჩაისა და სადილის სერვიზებს, ძმრის, ღვინისა და სხვადასხვა ალკოჰოლური სასმელისთვის განკუთვნილსა და სუფრაზე დასადგამ ჭურჭელსა და სხვ. ფონდში გვაქვს არამარკირებული ფაიფურის *ჩაიდანი* (საინვ. № 27-26/47), რომელიც აშკარად გულინების ქარხნის ნაწარმია. ამის მტკიცების საშუალებას იძლევა ინტერნეტალბომი [http://www.pushkin.ellink.ru]. იქ წარმოდგენილი გულინების ქარხნის საშაქრე და ფაიფურის ფონდში დაცული ჩაიდანი, როგორც ჩანს, ერთი სერვიზის ნაწილებია. ჩაიდანს აქვს ხუფი (სურ. 7). მოხატულობა ჭიქურზედაა — კობალტის ლურჯსა და თეთრ ფონზე ოქროს საღებავით ყვავილებია გამოსახული. დამზადებულია ძმები გულინების ფაიფურის ქარხანაში XIX ს-ის 30-იან წლებში. ზომა: H – 17,5 სმ; პირის D – 8 სმ; ძირის D — 7 სმ. დაცულობა — ოდნავ დაზიანებული.

ძმებ კორნილოვების ქარხანა 1835 წელს დაარსდა პეტერბურგში. 1918 წელს მოხდა მისი ნაციონალიზაცია, 1921 წელს დაერქვა „პროლეტარი“. ამ პერიოდიდან ქარხანა მხოლოდ ელექტროტექნიკურ ფაიფურს უშვებდა. კორნილოვების ქარხნის დამაარსებელია მ. კორნილოვა. ის და მისი ხუთი ვაჟიშვილი წარმატებით უძღვებოდნენ საქმეს. ქარხანა ტექნიკურად კარგად იყო აღჭურვილი. დიდი ყურადღება ექცეოდა პროდუქციის მხატვრულ გაფორმებას. ქარხანაში მოწვეული ჰყავდათ ფაიფურის საუკეთესო ოსტატები და მხატვრები საიმპერატორო, გარდნერისა და ბატენინის ქარხნებიდან, ასევე ევროპიდან. XIX ს-ის შუა ხანებში ძმებ კორნილოვების ქარხანა რუსეთის იმპერიის საუკეთესო ქარხნების ოთხეულში შედიოდა საიმპერატორო, გარდნერისა და პოპოვის ქარხნებთან ერთად.

კორნილოვებს ორი ტიპის დამღა ჰქონდათ — საფაიფურე ცომში ამოტვიფრული და ფერადი — წითელი, მწვანე ან ლურჯი ჭიქურზედა. მიუხედავად ამისა კორნილოვების ყველა ნივთის მარკირება არ ხდებოდა. ფონდში გვაქვს ორი არამარკირებული ექსპონატი – პატარა, სასოუსე და ჩაიდანი, რომლებიც აშკარად რუსულია, თანაც ძალიან ჰგავს კორნილოვების ქარხნის ფაიფურს.

სასოუსე (საინვ. № 30-1999/218), მოხატულია ჭიქურზედა პოლიქრომული საღებავებით (სურ.8). ბაც სალათისფერ ფონზე ფერადი ყვავილების გირლიანდებია გამოსახული. ზომა: H – 9,5 სმ; პირის D – 11 სმ. დაცულობა — სახელური მოტეხილი აქვს.

ჩაიდანი (საინვ. № 27-26/48) დაწახნაგებულია, აქვს ხუფი (სურ. 9). მოხატულობა ჭიქურზედაა, პოლიქრომული. თეთრ ფონზე ფერადი ყვავილებია გამოსახული. არაა მარკირებული. ძალინ ჰგავს კორნილოვების XIX ს-ის ნაწარმს. ზომა: H – 20,5 სმ; პირი L – 10,5 სმ; პირი W – 8 სმ; ძირი L — 11 სმ; ძირი W — 8,5 სმ. დაცულობა — დაზიანებული.

ფონდში გვაქვს ძმებ ნოვიხების ქარხნის თეფში. ეს ქარხანა (Завод братьев Новых) არსებობდა 1818 – 1850 წლებში. მდებარეობდა მოსკოვის გუბერნიის სოფ. კუზიაევოში. აწარმოებდა ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭელს, დეკორატიულ სკულპტურებს. ძმებ ნოვიხების ქარხანა საუკეთესოდ

ითვლებოდა გუელის ქარხანათა შორის. ჭურჭლის უმეტესობა ამპირის სტილისა იყო. დეკორში უხვად იყენებდნენ ოქროს საღებავს. მარკირებას ახდენდნენ ლურჯი, ჭიქურქვეშა რუსული ასო «H» - ით. ძალიან ხშირად ამ ქარხნის პროდუქცია მარკის გარეშე გამოდიოდა. 1850 წელს ქარხანა ი.გ. ხრაპუნოვ-ნოვის მფლობელობაში გადავიდა [Селиванов А. 2002: 90].

თეფში (საინვ. № 30-1999/208). მოხატულია ოქროს ქანდით (სურ. 10). არაა მარკირებული. ძმებ ნოვიხების ქარხნის თეფშები მსგავსი თეფშები ინტერნეტკატალოგებში XIX ს-ის 30-იანი წლებითაა დათარიღებული. ზომა: პირის D – 16,5 სმ. დაცულობა – კარგი.

ფონდში გვაქვს XIX ს-ის მეორე ნახევრის რუსული ფაიფურის *ფინჯანი ლამბაქით* (საინვ. № 37-42/1-2). მოხატულობა ჭიქურზედაა (სურ. 11). ფინჯანი გარეთა მხრიდან მოკრემისფერო ჭიქურზედა საღებავითაა დაფარული. ცენტრალურ ადგილას, ოქროთი მოვარაყებულ, წერტილოვანი ორნამენტით შემკულ ოვალურ ჩარჩოში ახალგაზრდა ქალის ფოტოა გამოსახული. ლამბაქიც, ცენტრალური მინდვრის გარდა, კრემისფერი საღებავითაა დაფარული. აქვს მოოქრული არშია. მუზეუმის ცენტრალური დავთრის აღწერილობის თანახმად, ფინჯანზე „...ერეკლე ბატონიშვილის ქალია გამოსახული“.

ზომა: ფინჯნის H – 8 სმ; პირის D – 7,5 სმ; ძირის D – 4სმ; ლამბაქის D – 14,5 სმ. დაცულობა – კარგი. შეძენილია ვინმე რატიშვილისაგან თბილისში.

სავარაუდოდ, XIX ს-ის ფოტო 70-80-იან წლებშია გადაღებული და, ალბათ, ფინჯანიც მაშინაა დამზადებული. იმ პერიოდში რუსეთში ბევრი კერძო ფაიფურის ქარხანა არსებობდა, რომლებიც ხშირად იღებდნენ შეკვეთებს კერძო პირებისაგან და ფაიფურზე გამოსახავდნენ მათს პორტრეტებსა და მონოგრამებს. ეს ფინჯან-ლამბაქი ძალიან ჰგავს ივან გულინის ფაიფურის ქარხნის ფინჯან-ლამბაქებს, მაგრამ იქ ვერ დაამზადებდნენ, რადგან ქარხანა 1866 წელს დაიხურა. ეს ფაიფურის საწარმო ივან გულინის მფლობელობაში 1860 წელს გადავიდა, მანამდე კი ტერეხოვებსა და კისელიოვს ეკუთვნოდათ. ახალი მფლობელის ხელში ქარხანამ მხოლოდ ექვს წელიწადს იმუშავა და დაიხურა. ფაიფურის კერძო ქარხნებში არსებობდა ტენდენცია, რომ გადაეღოთ ერთმანეთისაგან ზოგიერთი მოდელი. ვფიქრობ, ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ფინჯან-ლამბაქი ფაიფურის რომელიმე კერძო საწარმოშია დამზადებული, თუმცა ძნელია თქმა – რომელში.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ფაიფურის ფონდში დაცული რუსული ფაიფურის (მარკირებული თუ არამარკირებული) ჭურჭლის კოლექცია დაინტერესებულ პირს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის რუსეთის საიმპერატორო თუ კერძო ქარხნების საქმიანობასა და მათ მიერ გამოშვებულ ფაიფურის ნაწარმზე.

Marine Bokuchava

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Muzeum
3, Rustaveli Ave., 0105 Tbilisi, Georgia
E-mail:marinaboku@yahoo.com

Unmarked Russian Dishes

(Based on materials of fund)

Summary

Among Russian dishes kept at the porcelain fund of the Simon Janashia Georgian National Museum there are not only marked samples but unmarked ones too.. There are unmarked teapots, cups, saucers, plates, vases, etc. There is no doubt that these unmarked things are of Russian origin. The proof of which are forms of dishes, porcelain shard, enamel, style of decoration, colors, etc.

Some factories of Russian porcelain, like famous Gardner, Batenin and Kornilov, did not mark their productions. Each products of Gardner had not any mark or if had- very seldom.

Batenin's factory (1811-1839) had several stamps, among which was Russian letter Б, which was imprinted in porcelain and then painted so that it was almost impossible to distinguish it. Thus, it is impossible to identity marks on this type of porcelain, and its identification rather is difficult. Though typical features of Batenin's dishes (form, motifs of paintings, etc.) help us to identify them.

Sometimes there are no identification stamps on Kornilov's dishes either. Unmarked dishes were produced by less known factories like (Novikh brothers' , Gulin's, Safranov's and others).

Examination of fund materials revealed that among unmarked dishes there are products of the following Russian factories: Gardner, Batenin, Kornilov, Gulin Brothers, Novikh Brothers. Existing marked and unmarked collection of Russian porcelain, gives a certain idea about dishes for those people who are interested in Russian Emperors' and private factories output.

ბიბლიოგრაფია

Дулькина Т. И. 2003: Ма *Марки российского фарфора и фаянса 1750 – 1960 гг.* Москва.

Карякина Т. 1998: *Марки русского фарфора, фаянса и майолики*. Санкт-Петербург.

Попов В. А. 1980: *Русский фарфор. Частные заводы*. Ленинград .

Селиванов . В. 2002: *Фарфор и фаянс россиской империи.* Москва.

Эммэ Б. Н. 1950: *Русский художественный фарфор*. Москва.

http://www.nivasposad.ru/school/homepages/all_arhiv/2001/russian_art/farfor/chasnie_z.htm

http://www.pushkin.ellink.ru/museum/vexh2/v5.asp

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ფინჯანი
სურ. 2. ფინჯანი ლამბაქით
სურ. 3. ფინჯანი
სურ. 4. ჩაიდანი
სურ. 5. ფინჯანი ლამბაქით
სურ. 6. ჩაიდანი
სურ. 7. ჩაიდანი
სურ. 8. სასოუსე
სურ. 9. ჩაიდანი
სურ. 10. თეფში
სურ. 11. ფინჯანი ლამბაქით

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Cup
Fig. 2. Cup and saucer
Fig. 3. Cup
Fig. 4. Teapot
Fig. 5. Cup and sauce
Fig. 6. Teapot
Fig. 7. Teapot
Fig. 8. Sauceboat
Fig. 9. Teapot
Fig. 10. Plate
Fig. 11. Cup and saucer

სურ. 1 **Fig.**

სურ. 2 **Fig.**

სურ. 3 **Fig.**

სურ. 4 **Fig.**

სურ. 5 **Fig.**

სურ. 6 **Fig.**

სურ. 7 **Fig.**

სურ. 8 **Fig.**

სურ. 9 **Fig.**

სურ. 10 **Fig.**

სურ. 11 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 269-281
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 269-281

ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

თამარ გელაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: gtamar@rambler.ru

ქიზიყის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან

ნაშრომი ემყარება ჩვენ მიერ ქიზიყში შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც ასახავს XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის დასაწყისის სურათს. შესწავლილია მემინდვრეობასთან, კერძოდ, პურეული მოსავლის აღებასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაცია, გამოვლენილია მისი როგორც ზოგადქართული ნიშნები, ისე ლოკალური თავისებურებები. ეს უკანასკნელი განპირობებული იყო აღნიშნულ კუთხეში სათემო მიწათსარგებლობის ერთ-ერთი ძველი წესის (ე.წ. დატაცებითი მიწათსარგებლობის) შემორჩენით, ასევე სახნავ-სათესი მიწების სოფლიდან სიშორით.

ა. არღუთინსკის მონაცემების მიხედვით, XIX ს-ის 80-იანი წლებისათვის ქიზიყში სახნავი მიწების გარკვეული ნაწილის გადანაწილება ხდებოდა, ნაწილი კი დატაცებით სარგებლობაში იყო [Аргутинский А. 1886: 199]. აი, როგორ განმარტავს დატაცებით მიწათსარგებლობას ა. არღუთინსკი: «Захватным пользованием землей называется такое пользование, когда каждому члену общины предоставляется право занимать в произвольном количестве участки, никем не занятые » [Аргутинский А. 1886: 212].

ა. არღუთინსკის მიერ გამოკვლეულ ქიზიყის სოფელთაგან ორ თემში (ანაგა, ვაქირი) მთელი მიწა დატაცებით სარგებლობაში იყო, დანარჩენ თემებში მიწის ნაწილი იყო დატაცებით სარგებლობაში, უფრო ახლომდებარე და უკეთესი კი, გადანაწილდებოდა [Аргутинский А. 1886: 212]. მისივე ცნობით, მხოლოდ 30 - 40 წელია, რაც ამ სოფლებში შემოუღიათ მიწის გადანაწილება [Аргутинский А. 1886: 212].

სახნავ-სათესი მიწების საყოველთაო გადანაწილების შემოღების ერთ-ერთ ხელის შემშლელ მიზეზად ა. არღუთინსკი სოფლიდან სახნავ-სათესი მიწების სიშორეს ასახელებს, რაც მიწათმოქმედებისათვის არახელსაყრელ პირობებს ქმნიდა; განსაკუთრებით, გლეხობის იმ ნაწილისათვის, რომელსაც მუშა საქონელი საერთოდ არ ჰყავდა ან არასაკმარისი ჰყავდა [Аргутинский А. 1886: 199]. ამიტომ მიწის საკმაოდ დიდი ნაწილი არ ნაწილდებოდა და „მისწრებით" სარგებლობაში რჩებოდა[1].

[1] ქიზიყელები მიწათსარგებლობის ამ ფორმას „მისწრებით მიწის დაჭერას" უწოდებდნენ.

ჩვენი საველე მასალის მიხედვით, რომელიც XX ს-ის დასაწყისის სურათს ასახავს, „მისწრებით" მიწათსარგებლობა დავადასტურეთ სოფლებში: საქობო, ანაგა, ვაქირი, ჯუგაანი, ქვემო მაჩხაანი, ბოდბისხევი, ბოდბე, მირზაანი. სოფ. საქობოში, მთხრობლის თქმით, „საკარმიდამო მიწები და ვენახები განაწილებული, დამკვიდრებული იყო, ყველაზე დაწერილი იყო, ვის რა ადგილი ეჭირა". საკარმიდამო ნაკვეთში ჰქონდათ ვენახი, ბოსტანი, სიმინდსაც თესდნენ, პურის ყანა კი ითესებოდა „მინდორში", რომელიც სოფელს გამოყოფილი ჰქონდა (ამ მინდორს „სამამასახლისო" ერქვა) და კომლებს შორის არ იყო დანაწილებული.

სოფ. მირზაანში მოძიებული მასალის მიხედვით, სოფელთან ახლომდებარე მიწები განაწილებული იყო კომლებს შორის, ხოლო „ქვევით მინდორი სულ თავისუფალი იყო. ვისაც უნდოდა, ის მოხნავდა. ეს იყო: ტარიბანა, მწარე წყალი, შირაქი, ხრამითავი, ნავთები. ვინც სადაც მოასწრებდა, იქ მოხნავდა" (მოსე ხარაშვილი. 87 წლის. სოფ. მირზაანი. 1986 წ.).

სოფ. ჯუგაანი ხნავდა წინა მხარში (ქუმბათი, შოროქანი, მურაკები, ალაზანი), უკანა მხარში (თეთრი ქვები, მლაშე ყათარი, მაღლა მულაყები, აჩუტაანი ყელი) და წყალგაღმა (ჭიაური). ნაწილი მიწებისა, რომელიც შედარებით ახლოს მდებარეობდა, გაყოფილი იყო კომლებზე.

მოგვყავს სოფ. ზემო ბოდბეში ჩაწერილი მასალა: „ჩვენ ქვემო ბოდბე რო არის, იმის გასწვრივ მიწები გვეკუთვნოდა – ვაკე, ნეემარი, ნაბამბრევი, იორი, შვინდყელი. ამ მიწებს ანაწილებდა 12 კაცი, რომელსაც სოფელი წელიწადში ერთხელ ირჩევდა... შორი მინდორიც გვქონდა – შირაქი, ყარღათი (ყარაღაჯი – თ. გ.). ყარღათში ხნავდა მაჩხაანი, ძველი ანაგა, ჯუგაანი, ბოდბე... ამ სოფლებს შორის დანაწილებული იყო ყარღათი. ეს ზემო სოფლები. გარდა ამისა, ქვემო სოფლებიც სარგებლობდნენ ამ მიწებით. ამათ ყველას ჰქონდა მიწები შირაქშიც. შირაქში და ყარღათში რამდენიც უნდოდა, იმდენს მოხნავდა კაცი, ვისაც შნო ჰქონდა" (ლევან ლეკიაშვილი. 78 წლის. სოფ. ზემო ბოდბე. 1970 წ.).

სოფ. ქვემო მაღარო შირაქში არ ხნავდა. აქ, როგორც ახლო, ისე შედარებით მოშორებული მიწებიც განაწილებული იყო კომლებს შორის. ამ მიწათაგან ახლო მიწები იყო: ნეემარი, შაფენილი, ვაკე, წითელი ბინები, კალოები ბოლო, მთა, ვერგინაანთ სერი, ცოდვიანი ხევი, ფოხალო, უსენაანთ ხევი; შედარებით შორი, იორგაღმა: კაჭკაჭი წყალი, მწარე წყალი, პირუკულმართი, პატარა ჩრდილი, დიდი ჩრდილი.

სოფ. ნუკრიანშიც მიწა კომლებზე იყო განაწილებული. ეს მიწები ამ სოფლის ბოლომდე, მდ. იორამდე, იყო გადაჭიმული. ეს იყო: ბასკულიანი, ყათარი, თელის ზურგი, ჩაკიანი ხევი, ყელები, კაზლარი, სატაბარუკო, ქვევრი მიწები, ჩათმა, ჭაჭუნა.

ქიზიყში, გარდა ძირითადი ადგილობრივი მოსახლეობისა, ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიდან გადმოსახლებულნი (მთიულები, ფშავლები, მოხევეები, ქსნის ხეობის მთის წარმომადგენლები), რომლებმაც XX ს-ის დასაწყისიდან დაიწყეს დასახლება შირაქში, კერძოდ, მის ჩრდილოეთ ნაწილში, ე. წ. ქედებში და გააშენეს სამი სოფელი: ზემო ქედი, ქვემო ქედი და არხილოსკალო [ქვათაძე ე. 1969: 9].

მათი ყოფა ჩვენთვის საინტერესო კუთხით შევისწავლეთ. ზემო ქედის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, აქ ცხოვრობდნენ მთიულები, მოხევეები, ქსნელები. ხევსურები შედარებით გვიან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გადმოსახლებულან. მთიულები, მოხევეები და ქსნელები ცალ-ცალკე უბნებად დასახლდნენ და დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდნენ ტერიტორიულ ერთობას. ხევსურები კი გაფანტულად დასახლდნენ სხვადასხვა უბანში. ამ სოფლის სახნავ-სათესი მინდორი განაწილებული იყო უბნების მიხედვით, მაგალითად, მთიულებს ეკუთვნოდათ საფსვლიკე, საფალავნო ქვა, ქსნელებს – დიდრუი, მოხევეებს – ჯაგის ნაკვეთები. უბნისათვის გამოყოფილი მიწა ნაწილდებოდა კომლებზე.

ქიზიყში მცხოვრები რუსების შრომის ორგანიზაციასთან დაკავშირებული მასალა შევაგროვეთ წითელწყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძეში (ძველად სოფ. სეჩინოვკა) და სიღნაღის რაიონის სოფ. ულიანოვკაში (ძველად – სოფ. ნოვოალექსანდროვკა).

სოფ. სეჩინოვკა დასახლებული ყოფილა 1900-იან წლებში ნიკოლოზ II-ის მიერ აყრილი და საქართველოში გადმოსახლებული ზაპოროჟიელი კაზაკებით [ქვათაძე ე. 1969: 9], ხოლო სოფ. ნოვოალექსანდროვკის მოსახლეობა რელიგიური დევნის შედეგად 1852 წელს სარატოვიდან გადმოსახლებული მოლოკნები იყვნენ [მელიქსეთ-ბეგი ლ. 1986: 35 - 38]. როგორც სეჩინოვკის, ისე ნოვოალექსანდროვკის სახნავ-სათესი მიწები ამ სოფლებს ეკვროდა და არ იყო დაქსაქსული, იყო მხოლოდ უკანა მხარში და პერიოდულად ნაწილდებოდა კომლებზე.

მოსავლის აღების დროს ოჯახი საცხოვრებლად გადადიოდა კალოზე, სადაც რჩებოდა მოსავლის დაბინავებამდე[2].

კალო იყო ოჯახის მიერ დასაკუთრებული ადგილი, რომელიც უფრო ახლოს იყო სახნავ-სათეს მინდორთან, ვიდრე სოფელი[3]. აქ ამოჰქონდათ მოსავალი, ლეწავდნენ და აქვე ინახავდნენ როგორც ხორბალს, ისე საქონლის საკვებს (ჩალა, თივა, ბზე). საქონელიც კალოებზე იყო ზამთარ-ზაფხულ. დიდ, გაუყრელ, ოჯახებში, სადაც საქმე განაწილებული იყო ოჯახის წევრებს შორის, კალოზე ზამთარში საქონელთან ოჯახის ერთ-ერთი წევრი რჩებოდა. მდიდარ ოჯახებს მოჯამაგირეები ჰყავდათ დაქირავებული,[4] ხოლო პატარა ოჯახები, რომელთაც არ ჰქონდათ

[2] იმ სოფლებში, სადაც ხელოსნობა იყო განვითარებული (მაგ., ქვემო მაჩხაანში), ამას მასობრივი ხასიათი არ ჰქონდა. ვინც ხელოსნობას მისდევდა, ის მთელი ოჯახით არ ჩადიოდა კალოზე. იგივე უნდა ითქვას იმ სოფლების მოსახლეობის შესახებაც, რომლებიც მემინდვრეობასთან ერთად მევენახეობასაც მისდევდა. კალო საერთოდ არ ჰქონდა სოფლის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც არ ჰყავდა მუშა პირუტყვი. ამიტომ მეურნეობას არ მისდევდა და მოჯამაგირეობით ან დღიური შრომით არჩენდა ოჯახს.

[3] სოფ. მირზაანში ჩაწერილი მასალის მიხედვით, დღემდე იმ ადგილებს შემორჩა სახელები: გონაანთ ნაკალოვარი, ხარაანთ ნაკალოვარი, აფოი ნაკალოვარ-ნამიწოვარი, მწვანიანთ ნაკალოვარი, ალოღიანთ ნაკალოვარი, გომელაანთ ნაკალოვარი, თოთიანთ ნაკალოვარი. ზოგან, დროთა განმავლობაში, კალოების ადგილებში სოფლები გაშენდა, მაგალითად, იქ, სადაც დღეს ზემო ბოდბეა, იყო სოფ. ბოდბე, ხოლო კალოები ამ სოფლის მცხოვრებთ ჰქონდათ დღევანდელ სოფ. ქვემო ბოდბეს ადგილზე. შემდეგ სოფლის მცხოვრებთა ნაწილი სოფ. ბოდბედან კალოებთან გადმოვიდა მუდმივად საცხოვრებლად და, გარჩევის მიზნით, სოფლებს დაერქვათ ზემო ბოდბე და ქვემო ბოდბე.

[4] ქიზიყში, მდიდარსა და საშუალო შეძლების ოჯახებში, გარკვეული მოთხოვნა იყო

მოჯამაგირეების „დაჭერის” საშუალება, შეამხანაგდებოდნენ – ყოველი ოჯახიდან თითო წევრი შეერთდებოდა და რიგრიგობით იყო კალოებზე. ეს შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული. ზოგჯერ 2-2 კვირას იყვნენ იქ. ამას *ნაცვალგარდობას* ეძახდნენ.

კალოსთან დაკავშირებით საინტერესო მასალას იძლევა სტ. მენთეშაშვილი: კალო არის 2-3 და შეიძლება მეტი დღიური მიწა, შემოღობილი. ამ ნაკვეთს *მოღობილი* ეწოდება. მოღობილი გაყოფილია ორ არათანაბარ ნაწილად. მცირე ნაწილში მოთავსებულია გლეხის საცხოვრებელი *ქოხი*. ქოხის წინ კალოა. აქვეა *საბძელი*. საბძლის გვერდზეა *ჩარდახი* (სამკედლიანი და სახურავიანი წნელის შენობა), რომელშიც სასოფლო-სამეურნეო იარაღს ინახავენ. ამავე ნაწილში მოთავსებულია *გომიც* – საქონლის საზამთრო სადგომი. საქონლის საზაფხულო ღამის სამყოფი *ბაკია*. როგორც სტ. მენთეშაშვილი წერს, კალოებზე საქონელი ისეთ გლეხს ჰყავდა, რომლისთვისაც მეძროხეობა მეურნეობის არა დამოუკიდებელი, არამედ მიწათმოქმედების დარგი იყო. ამ შემთხვევაში ძროხა კალოების ახლო-მახლო საძოვრებად გამოყოფილ არემარეში გადიოდა და *მორჩილები* (8 – 13 წლის ბავშვები) თვითონვე მწყემსავდნენ ან მიბარებული ჰყავდათ მენახირისათვის. მოღობილის ამ ნაწილშია თონეც. რაც შეეხება მოღობილის მეორე, შედარებით დიდ ნაწილს, ისიც ორადაა გაყოფილი. ერთ ნაწილში ვენახია გაშენებული (კალოს ვენახი) და ხეხილია ჩაყრილი. მეორე ნაწილში თესავდნენ ლობიოს, ხახვს, მზესუმზირას და სხვა ბოსტნეულს. თუ მოღობილი დიდი ჰქონდათ, მაშინ პურსაც თესავდნენ ხოლმე[5]. ასეთი იყო საშუალო შეძლების გლეხის ტიპური კალო ქიზიყში. ოჯახიშვილებს, რომელთაც მრავალი ცხვარ-ძროხა ჰყავდათ, მოღობილის გარდა, მინდვრად ცხვრისა და ძროხის ბინებიც ჰქონდათ [მენთეშაშვილი სტ. 1936: 59-63] .

ჩვენი მასალის მიხედვით, კალოებზე ცხოვრობდნენ ქოხებში, ფარდულებში; შეძლებულები ფიცრულებს აკეთებდნენ, ზოგს კი ალიზის ან ქვიტკირის სახლები ჰქონდა.

ქოხი ასე კეთდებოდა: მიწის გარკვეულ ფართობზე (დაახლ. 6 – 8 მ^2) გარშემო ნახევარ-ნახევარი მეტრის დაშორებით, მუხის მანებს დაარჭობდნენ. მერე წნელით მოწნავდნენ. ამისათვის იყენებდნენ თხილის, შვინდის, შვინდ-ანწლის ტოტებს. ზემოდან სათავეს დაადებდნენ. ეს იყო მრგვალი ხე, რომელიც აქეთ-იქით დადგმულ ორ ბოძს ეყრდნობოდა. სათავეზე გარდიგარდმო დაკრული იყო *კავები* – მსხვილი ჯოხები. წნელს გარედან პატივით ლესავდნენ. სახურავს ჩალით ხურავდნენ.

ფარდული ოთხ ბოძზე დაყრდნობილი საჩრდილობელი იყო, რომელსაც ზემოდან თივა ჰქონდა გადახურული.

მუშახელზე. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ე. წ. მზითვის ყმა. სტ. მენთეშაშვილის განმარტების მიხედვით, ეს იყო პატარძლის ძმა, მზითვის ნაცვლად გაყოლებული სიძისათვის. მას ამუშავებდნენ ისე, როგორც დაქირავებულს. ვადა დამოკიდებული იყო დანაკლისი მზითვის ოდენობაზე (1 – 3 და ზოგჯერ მეტი წელიწადი). [მენთეშაშვილი სტ. 1943: 155].

[5] ეს უკანასკნელი გვიანდელ ვითარებას უნდა ასახავდეს, რადგან, ა. არღუთინსკის ცნობის მიხედვით, ყოვლად დაუშვებელი იყო ამ ადგილის სახნავ-სათესად გამოყენება [Аргутинский А. 1886: 198].

გომი საქონლის ზამთრის ბინა იყო, მიწაში გამოჭრილი. შეყენებული ჰქონდა ბოძები, ზემოდან ჩალა ფარავდა, ჩალის ზემოდან კი – მიწა. გომში გადატიხრული იყო მცირე ნაწილი იმათთვის, ვინც ზამთარში საქონელთან რჩებოდა. ზოგს გომის თავზე ჩარდახი ჰქონდა გაკეთებული და იქ იძინებდა. ჩარდახში შემოდგომა-გაზაფხულზე იყვნენ ხოლმე, ხოლო ზამთარში – გომში.

საბძელში ინახებოდა ბზე (ჩალა და თივა ზვინებად იდგმებოდა). ზოგი პურსაც იქ ინახავდა. ზოგს კი ბეღელი ჰქონდა გაკეთებული. უფრო ადრე ორმოებში ინახავდნენ მარცვლეულს. ორმოს ასე აკეთებდნენ: მიწას ამოთხრიდნენ, გარშემო ჩალას შემოაფენდნენ, დაბლა ბზეს დაუყრიდნენ და ზევიდან დააფარებდნენ ხეს, რომელსაც ჩალით დახურავდნენ, ხოლო მერე მიწას მიაყრიდნენ, ან ორმოს გვერდებზე ნამჯას მოაყრიდნენ, ძირსაც ნამჯას გაუშლიდნენ. მერე, მარცვლეულს რომ ჩაყრიდნენ, ზევიდან ჯერ ნამჯას მიაყრიდნენ, შემდეგ კი მიწით დაფარავდნენ.

სოფ. ზემო ქედსა და რუსულ სოფლებში კალო სოფლის ბოლოს ან სოფელში იმართებოდა.

კალოზე ოჯახი მაისიდან გადიოდა. ჯერ თიბვა იწყებოდა, მერე პურეული მოსავლის აღება. ჯერ ქერს იღებდნენ, მერე – შემოდგომის ნათესებს, მერე – გაზაფხულისას. სულ ბოლოს ფეტვს მკიდნენ.

პურეული მოსავლის აღება განსაკუთრებით სასწრაფო საქმედ ითვლებოდა. მოსავლის აღების დროს ქიზიყში ფართოდ იყო გავრცელებული შრომითი გაერთიანების ერთი ფორმა, რომლის დროსაც მეზობლები და თანასოფლელები ანაზღაურების გარეშე ეხმარებოდნენ ოჯახს მისი მოწვევით. სამუშაოს პატრონი მოწვეულ პირთ, ჩვეულებრივ, გულუხვად უმასპინძლდებოდა. ოჯახი, რომელსაც ეხმარებოდნენ, მხოლოდ მორალურად იყო ვალდებული საჭიროების შემთხვევაში შრომითვე გადაეხადა სამაგიერო. შრომის ორგანიზაციის ამ ფორმას ქიზიყში *მუყა*[6], *მამითადი//მამითაჯი* ეწოდებოდა. სოფ. ზემო ქედის მოსახლეობა *ხადილს*, *მუშას* უწოდებდა, ხოლო რუსები – «гуртовая»-ს (სოფ. სეჩინოვკა).

ქიზიყში პურეულ მოსავალს ნამგლის საშუალებით იღებდნენ. გამონაკლისი იყო რუსი მოსახლეობა, რომელიც ნამგლის გარდა, ცელსაც იყენებდა. ქართველები ხმარობდნენ უფრო დიდი ზომის ნამგლებს, რომლებსაც ადგილობრივ სამჭედლოებში ამზადებდნენ. რუსები ხმარობდნენ შედარებით მცირე ზომის დაკბილულ ნამგლებს, რომლებსაც მაღაზიებში ყიდულობდნენ. ამ ნამგლებს ადგილობრივი მოსახლეობა რუსულ ნამგლებს უწოდებდა.

მკის დროს შრომა განაწილებული იყო. *მკელი//მომკალი* ნამგლით ჭრიდა ყანას. *ძნის შემკვრელს//მეძნეურს* ძნის შეკვრა ევალებოდა, ხოლო *მეულოე* ამზადებდა ულოს. ჩვეულებრივ, 2–3 მომკალზე 1 მეძნეური იყო. უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ოჯახი დამოუკიდებლად მკიდა, არ იყო აუცილებელი მეულოეს გამოყოფა, მაგრამ, როდესაც ეს სამუშაო თანასოფლელთა მოწვევით სრულდებოდა, მაშინ შრომის ზემოთ

[6] გ. ჯალაბაძე შრომის ორგანიზაციის ქიზიყურ ფორმა — *მუყას* ეტიმოლოგიას ხსნის სვანური სიტყვით — *მუყა*, რაც *მოციქულს* ნიშნავს. მისი აზრით, სვანურ სიტყვაში მუყა შემონახულია შრომის ორგანიზაციის ნამდვილი შინაარსი [ჯალაბაძე გ. 1986: 253].

ნახსენები დანაწილება ყოველთვის ძალაში რჩებოდა.

მთხრობლის თქმით, ყანა „თავისი სიმაღლის ნახევარზე ზევით იმკებოდა. დაბლა ნამჯა რჩებოდა". ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მკის ეს წესი ცნობილია, როგორც „ნამგლის ერთი გამოსმით მკის წესი" [ჯალაბაძე გ. 1960: 185]. ქიზიყში მის გავრცელებას[7] გ. ჯალაბაძე იმით ხსნის, რომ აქ უეჭველად დიდ როლს თამაშობდა ივრისა და ალაზნის სანაპიროების კარგი საძოვრები, რის გამოც, შესაძლებელია, მოსახლეობა პურის ჩალით (საქონლის საკვებით) არ იყო დაინტერესებული [ჯალაბაძე გ. 1960: 186].

მომკილი ყანის რაოდენობას, რომელსაც მომკალი ნამგლის ერთ გამოსმაზე მუჭაში დაიჭერდა, *მუჭეული* ეწოდებოდა, წკიპურტნაგრეხი[8] მუჭეულები, კი ის, რასაც კაცი ერთ ხელში დაიჭერდა, იყო ხელეური. 3 – 4 ხელეურიდან გამოვიდოდა ერთი ძნა.

მეძნეურები ხელეურებს ძნებად კრავდნენ. ძნა ულოთი იკვრებოდა სპეციალური ჯოხის საშუალებით, რომელსაც *მუშა*[9] ეწოდებოდა. ძნის შეკვრისას მეძნეური მუშას ულოს მოსდებდა და გამოკვანძავდა. მეძნეური რამდენიმე ძნას იქვე, ყანაში, ერთად დააყუდებდა თავთავით მაღლა.

მკის დროს მკელს ეცვა სპეციალური ტანსაცმელი: ტყავის წინსაფარი – *სამკვდილი*, ხელებზე, მაჯიდან მხრამდე, ჩამოცმული ჰქონდა ტყავისა ან მკვრივი ქსოვილის *სამკლავე*. შუბლზე — *საოფლეს//შუბლსაფენს*, ხოლო მარცხენა ხელის ნეკზე ხის *სათითეს* იკეთებდნენ. მკელის ჩაცმულობის კომპლექსი აღწერილია გ. ჯალაბაძის მიერ [ჯალაბაძე გ. 1960: 118-119].

სოფ. ზემო ქედში ხმარობდნენ ქსოვილისაგან დამზადებულ წინსაფარსა და სამკლავეს (ნაჭრისას ან მოქსოვილს). შუბლზე საოფლეს იკეთებდნენ. ქიზიყელებისაგან განსხვავებით, სამ სათითეს (ნეკზე, არათითსა და შუათითზე) ხმარობდნენ.

ქიზიყში, კოლექტიურ მკაში, მხოლოდ კაცები იღებდნენ მონაწილეობდნენ. რაც შეეხება სოფ. ზემო ქედს, სადაც მთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა ცხოვრობდა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ქალის როლი საკმაოდ დიდი იყო. მკაში ქალებიც მონაწილეობდნენ. შრომა ქალებსა და კაცებს შორის განაწილებული იყო. კაცი მკიდა, ქალი *ძნას ხვევდა* (ქსნელები), *ჰკონიდა* (მთიულები). მთიული ქალები საკუთარ ყანაში მუშაობისას კიდეც მკიდნენ, მაგრამ სხვასთან როდესაც მიდიოდნენ სამუშაოდ, იქ მხოლოდ მკონავებად იყვნენ[10]. სოფ. სეჩინოვკაში მკაში მონაწილეობდნენ როგორც კაცები, ისე ქალები, ხოლო ცელვისას კაცები ცელავდნენ, ქალები კი ფოცხებით აგროვებდნენ მოცელილ ყანას და კრავდნენ ძნებად.

საღამოთი, როცა მკა დამთავრდებოდა, ყველანი ერთად დადგამდნენ ძნებს ათეულებად. ათეულში 11 ძნა შედიოდა. მეთერთმეტე ძნა ზევიდან გარდიგარდმო იდებოდა. ძნებს თავთავებით შიგნით აწყობდნენ, რომ

---

[7] ქართლში ცნობილი იყო დანაცვლებით მკა, რომლის დროსაც ყანა ძირში იჭრება [ჯალაბაძე გ. 1960: 186]. ქიზიყში არსებობს გამოთქმა *მოთავთვა*, რაც გულისხმობს ყანის ზევზევით მომკას, მარტო თავთავის მომკას.

[8] წკიპურტის გრეხა – ყანის წველის გრეხა და ხელეურისათვის შემოკვრა, რომ არ დაიშალოს.

[9] მუშა დაახლოებით 60 სმ სიგრძისა და 1,5 სმ დიამეტრის შვინდის ჯოხია.

[10] საინტერესო ფაქტია ის, რომ მთიული ქალის მზითვის აუცილებელი თანხმლები ყოფილა ნამგალი და სათითეები [ჭყონია ი. 1955: 85].

წვიმას არ დაესველებინა. სოფ. ზემო ქედში, ისევე, როგორც ქიზიყის სოფლებში, საერთოდ, ძნებს ათეულებად დგამდნენ.

სოფ. ნოვოალექსანდროვკაში 13 – 13 ძნას აწყობდნენ ერთად. მას ჯვრის ფორმა ჰქონდა და ერქვა «хрест». მოცელილ ყანას კი აგროვებდნენ ცალ-ცალკე გროვებად. ამ გროვას ერქვა «*копна*».

სოფ. სეჩინოვკაში როგორც მომკილი, ისე მოცელილი ყანა (აქ მოცელილ ყანასაც ძნებად კრავდნენ) იდგმებოდა ისევე, როგორც ნოვოალექსანდროვკაში ჯვრებად (*хрест*). თითოეულში 15 ძნა იყო.

შრომის დროს იცავდნენ კვებისა და დასვენების გარკვეულ რეჟიმს. დღის განმავლობაში რამდენჯერმე ისვენებდნენ. მკის დროს მინდორში ჭამა სამჯერ იყო მიღებული: *ნაწილობა, სადილი, სამხარი* (ქიზიყის ადგილობრივი მოსახლეობა. სოფ. ზემო ქედი); *завтрак, обед, ужин* (ნოვოალექსანდროვკა, სეჩინოვკა). ვახშამი ყველგან სამუშაოს პატრონის სახლში იმართებოდა.

ჩვენი მასალით, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის დასაწყისის სურათს ასახავს, ასეთი ურთიერთდახმარება არ იყო შეპირობებული ნათესაური კავშირით ან რაიმე სხვა პრინციპით[11], ეწყობოდა ერთი დღით. სამუშაოს პატრონი თავადაც მონაწილეობდა შრომაში. ის ვალდებული იყო მუშები დღის განმავლობაში უზრუნველეყო საკვებით, ხოლო სამუშაოს დამთავრების შემდეგ გულუხვად გამასპინძლებოდა, უმთავრესად, საკლავითა და ღვინით (სოფ. ნოვოალექსანდროვკაში, მოლოკნებთან, ღვინის სმა არ იყო მიღებული).

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს ასეთი სახის შრომითი ურთიერთდახმარება ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში.

აღნიშნული სახის ურთიერთდახმარებას ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არაერთი მკვლევარი შეხებია. ყველა აღნიშნავს, რომ შრომის ორგანიზაციის ამ ფორმის თავდაპირველ სახეში განმსაზღვრელი მომენტი იყო ურთიერთდახმარების ფაქტორი [Бутинов Н. 1968: 94; Зибер Н. 1959: 78], მაგრამ ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავების პირობებში კოოპერაციის აღნიშნულ ფორმას ზოგჯერ ჩამოშორდა ურთიერთდახმარების აუცილებელი პირობა და გადაიქცა სოფლის შეძლებული ფენების პრივილეგიად [Дулов В. 1951: 74].

ამ აზრს ქიზიყის ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს. უნდა შევნიშნოთ, რომ შრომითი ორგანიზაციის ამ ძველი ფორმის ტრანსფორმაციის ხარისხი უფრო მაღალი იყო ქიზიყის ადგილობრივ მოსახლეობაში, ვიდრე სოფ. ზემო ქედისა და რუსებით დასახლებულ სოფლებში.

ღარიბი გლეხობა, დაახლოებით ერთნაირი ეკონომიკური მდგომარეობის ხალხი, უმთავრესად, ეკვივალენტურ ურთიერთდახმარებას – *ნაცვალგარდობას* მიმართავდა. რამდენიმე გლეხი, წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე, რიგრიგობით ეხმარებოდა ერთმანეთს დღეების თანატოლი რაოდენობით. ამხანაგობის ყველა წევრი იღებდა ერთმანეთისგან თანაბარ დახმარებას. რიგს, თუ როდის და რომელ წევრთან უნდა ემუშავათ,

[11] სოფ. ზემო ქედში ასეთი დახმარება იფარგლებოდა უბნით (მთიულები, მოხევეები, ქსნელები).

იმის მიხედვით აწესებდნენ, თუ ვის როდის აძლევდა ხელს. მუშების დაპურება იმ ოჯახს ევალებოდა, ვისთანაც იმ დღეს მუშაობდნენ. ერთიანდებოდნენ კაცები.

ნაცვალგარდობას განსაკუთრებით ხშირად შორი ყანების მკის დროს მიმართავდნენ. *მონამგლეები* (მომიჯნავე მომკლები, ვისაც ერთმანეთის მომიჯნავედ ჰქონდათ ყანა) ერთად მიდიოდნენ და ყველანი ერთად ჯერ ერთის ნაკვეთს მკიდნენ, მერე – მეორისა და ა. შ.

ხშირად ისე ხდებოდა, რომ ზოგს მეტი ჰქონდა სამკალი, ზოგს – ნაკლები. ამ განსხვავებას ათანაბრებდნენ – სხვა დროს შრომით ან პროდექტებით გადაუხდიდნენ. ნორმები იგივე იყო, რაც დაქირავებული შრომის დროს. დღეში 2 – 3 *ლიტრა* მარცვლეული (ლიტრა = 13 გირვანქას). მთხრობლის თქმით, „ზოგჯერ კალოებთანაც ვმკიდით ნაცვალგარდად, მაგრამ აქ ცოტა გვქონდა სათესი, ქვევით მინდორს კი აუცილებლად ამ წესით ვმკიდით".

როდესაც სოფელთან ახლომდებარე ყანებს მკიდნენ, ღამით კალოზე ბრუნდებოდნენ, ხოლო „შორ მინდორში"როცა მუშაობდნენ, განსაკუთრებით, შირაქში, მაშინ მთელი კვირის განმავლობაში მინდორში იყვნენ და მხოლოდ შაბათ საღამოს ადიოდნენ კალოებზე. როცა განსაკუთრებით შორ მინდორში მუშაობდნენ, მთელ ღამეს იქ ატარებდნენ. ღამე ნაბდებზე იწვნენ ღია ცის ქვეშ. მუმლისაგან თავის დაცვის მიზნით ფანჩატურებს აკეთებდნენ და იმის თავზე ათევდნენ ღამეს (იქ მუმლი არ ადიოდა).

მკა, საერთოდ, მძიმე შრომა იყო, მაგრამ ქიზიყის პირობები (სახნავ-სათესი მიწების სიშორე) კიდევ უფრო აძნელებდა ამას. განსაკუთრებით შორი ყანების მკისას საჭმელი ყველას თავისი მიჰქონდა ერთბაშად ხურჯინით: პური, ყველი, ხახვი, ნიორი, მწვანილი, ზოგს – ღვინოც. კერძს იქ არ აკეთებდნენ, რადგან ხანძრის გაჩენის შიშით ცეცხლს არ ანთებდნენ. აკეთებდნენ ნიორწყალსა (ნიორი და წყალი მარილით შეზავებული) და ძმარწყალს (ძმარი და წყალი მარილით შეზავებული) და პურთან ერთად ჭამდნენ. ყანის მკაში წყლის საზიდად გამოყოფილ მუშას *მეწყლეური* ერქვა.

ეკვივალენტურ ურთიერთდახმარებაზე აგებული შრომითი გაერთიანებები ცნობილი იყო მთელ საქართველოში

ქიზიყის სოფლებში დავადასტურეთ ავადმყოფების, გაჭირვებაში მყოფი ოჯახების შრომითი დახმარება მკის დროს. ეს განსაკუთრებით მოლოკნებისათვის იყო დამახასიათებელი. აქ ამას ერქვა «помочь».

XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით იმატა მიწათმოქმედებაში დაქირავებული შრომის გამოყენებამ. გლეხობის ქონებრივი დიფერენცია რეფორმის შემდგომ გაიზარდა. დიდი რაოდენობით მიწის მფლობელი საგლეხო კომლები თანდათან ებმებიან საბაზრო-სასაქონლო ურთიერთობაში. ზრდიან სათეს ფართობს, ამზადებენ პროდუქტებს გასაყიდად და ამ მიზნით იყენებენ დაქირავებულ შრომას [ბენდიანიშვილი ა. 1971: 13]. მეორე მხრივ, ღარიბი გლეხობა, უმიწაწყლო და მუშა პირუტყვს მოკლებული, ისეთი მცირე მასშტაბის მეურნეობას ეწეოდა, რომ მას შემოსავალი არ ჰყოფნიდა და დაქირავებული შრომით პოულობდა არსებობის საშუალებას [უთურაშვილი ი. 1957: 155]. იყვნენ

ისეთებიც, რომლებსაც საკუთარი ნათესები არა ჰქონდათ და ქირით მუშაობით ცხოვრობდნენ [ბენდიანიშვილი ა. 1971: 63]. ეს მთლიანად ქიზიყსაც ეხებოდა. აქ განსაკუთრებით დიდი იყო რაოდენობა გლეხებისა, რომლებიც მეურნეობას არ მისდევდა. მთხრობლის თქმით, „ეს ხალხი მქონიარე ხალხთან მუშაობდა მოჯამაგირეებად და დღიურად". ქირით მუშაობა *იოლაზე მუშაობის* სახელით იყო ცნობილი. იოლაზე მუშაობა განსაკუთრებით ხშირი იყო მოსავლის აღების დროს.

ჩვენი საველე მასალით ირკვევა, რომ ქიზიყი ადგილობრივი მუშახელით კმაყოფილდებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ იქ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ამუშავებდა მიწას და, ამდენად, სოფელში, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, მეტი იყო თავისუფალი მუშახელი.

ქირით მუშაობდა როგორც იმავე სოფლის მოსახლეობა, ისე სხვა სოფლიდან მოსული მუშახელი. ამასთან, ზოგი სოფელი საკუთარი ძალებით უძღვებოდა მოსავლის აღებას, ზოგი კი იყენებდა მოსულ მუშახელს. როდესაც სხვა სოფელში მიდიოდნენ სამუშაოდ, მომკლები ერთიანდებოდნენ ჯგუფებად[12].

პურეული მოსავალი წინა მხარში უფრო ადრე შემოდიოდა, ვიდრე უკანა მხარში. ამიტომ მკა წინა მხარში უფრო ადრე იწყებოდა. სწორედ ეს ედო საფუძვლად მომკალთა სეზონურ მოძრაობას, მარშრუტს, რომელიც თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე იყო. მაგალითად, ნუკრიანიდან, ბოდბედან, მაღაროდან, სანამ იქ შემოვიდოდა პური, სამკალად წინა მხარში (ანაგა, ვაქირი, საქობო, წნორი, მაშნარი, კარდენახი) მიდიოდნენ. უფრო იშვიათად წინამხრელები ადიოდნენ უკანა მხარის სოფლებში. მთხრობლის თქმით, „აქედან იშვიათად ადიოდნენ ზევით, რადგან აქ ეჭიდებოდნენ თამბაქოს, ვენახს და ამიტომ ეს უხარო ხალხი აქვე მუშაობდა თამბაქოში, ვენახში და სხვაგან არ მიდიოდა" (გიორგი მატიაშვილი. 78 წლის. სოფ. ჯუგაანი. 1987 წ.).

სოფ. ქვემო მაჩხაანში, სადაც განვითარებული იყო ხელოსნობა, იყენებდნენ დიდი რაოდენობით დაქირავებულ მუშახელს, თვითონ კი სამუშაოდ არსად მიდიოდნენ, გარდა ლაგოდეხისა, სადაც თამბაქოს მწარმოებლებთან მუშაობდნენ ქირით. ანაგიდან, ვაქირიდან ალაზნის გაღმა დადიოდნენ სამუშაოდ. ზემო ქედში დიდი რაოდენობით მოდიოდა მუშა ქიზიყის ბარის სოფლებიდან (ანაგა, ვაქირი).

მოლოკნები (სოფ. ნოვოალექსანდროვკა) იყენებდნენ როგორც თავის მუშახელს, ასევე სხვა სოფლებიდან მოსულებსაც (როგორც მომკლებს, ისე მცელავებს) – ნუკრიანიდან, ბოდბედან, ანაგიდან, ჯუგაანიდან, მაჩხაანიდან. თვითონ კი დადიოდნენ სამუშაოდ შირაქში (იქ ორი კვირით ადრე შემოდიოდა პური).

შრომის ანაზღაურება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოლაპარაკებაზე იყო დამოკიდებული. მუშაობდნენ ნარდად და დღიურად. აქვე ხდებოდა გარიგება საჭმელსა და წყალზე. გასამრჯელოდ იღებდნენ ფულს ან მარცვლეულს. ჩვენი საველე მასალის მიხედვით, მუშის ქირა მკის დროს ქიზიყში დღეში 1 მან. და 50 კაპ. იყო. ზოგჯერ გასამრჯელოდ მარცვლეულს

[12] საქართველოში ჯგუფურად გასვლას სეზონურ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ მოვლენის აღსანიშნავად ქართულსა და სვანურ ენებში იყო სპეციალური ტერმინი – ლიზი [Харадзе Р. 1961: 181].

აძლევდნენ (უკანა მხარის სოფლებში დღეში 2 – 3 ლიტრას). იმ სოფლებში, სადაც ნაკლები იყო თავისუფალი მუშახელი (სოფ-ები: ჯუგაანი, ქვემო მაჩხაანი), მუშის ფასი მეტი იყო. იქ ზოგჯერ, კარგმოსავლიან წლებში, 3 ფუთსაც აღწევდა დღიური გასამრჯელო. ანაგიდან, ვაქირიდან, ალაზნის გაღმა როცა დადიოდნენ, ნარდად მუშაობას ამჯობინებდნენ. მუშის მიერ მკაში მარცვლეულის სახით მიღებულ გასამრჯელოს *ნასამკლევი* ერქვა.

დაქირავებული შრომა თანდათანობით სდევნიდა კოლექტიური შრომის ძველ ფორმებს.

მოსავლის აღებას მისი გადაზიდვა მოჰყვებოდა. მოსავლის გადაზიდვაც საკმაოდ მძიმე და შრომატევადი საქმე იყო, რადგან კალოები, სადაც უნდა აეტანათ მოწეული მოსავალი, საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული სახნავ-სათესი მინდვრიდან.

ძნის გადასატანად გამოიყენებოდა ურემი, რომელიც, ჩვეულებრივ, საბარო ურემზე დიდი იყო და მაღალი ჭალები ჰქონდა. მასში 2 უღელი გამწევი ძალა იბმოდა: წინ – ხარები, უკან – კამეჩები. საძნე ურემზე, მისი ზომის მიხედვით, 10 – 14 ათეულამდე ძნა ეტეოდა. ძნას ხშირად ღამით ეზიდებოდნენ, რადგან დღისით ძალიან ცხელოდა.

მოზიდულ ძნას კალოს პირზე *თაიებად* ან *ფთამოქცეულად* დგამდნენ. თაია მრგვლად იდგმებოდა, ფთამოქცეული - კი გრძლად. თაიასა და ფთამოქცეულში ძნების რაოდენობა არ იყო განსაზღვრული. როგორც თაიაში, ისე ფთამოქცეულში ძნას თავთავი შიგნით ჰქონდა მოქცეული, წვიმას რომ არ დაესველებინა.

სოფ. ზემო ქედის მცხოვრებნი ისეთსავე ურმებს ხმარობდნენ და კალოებთან ძნებს *ძირებად* დგამდნენ. მოლოკნები კალოსთან დადგმულ როგორც მომკილ, ისე მოთიბულ ყანას «Донник-ს» უწოდებდნენ.

ნუკრიანსა და მაღაროში, გარდა ორბორბლიანი ქართული საძნე ურმისა, ხმარობდნენ ფურგუნებსაც. ეს ამ სოფლების ახლომდებარე სოფ. ნოვოალექსანდროვკაში მცხოვრები მოლოკნების გავლენა უნდა ყოფილიყო. ფურგუნი ორბორბლიანი საზიდი საშუალება იყო. მასში 2 – 4 ცხენს აბამდნენ. ურმებისა და ფურგუნების გარდა, აქ იხმარებოდა ე.წ. «качка-ც», რომელშიც ცხენი იბმოდა. ეს იყო ცხენის «качка». იყო აგრეთვე სახედრის «качка», მაგრამ ის ძნის საზიდად არ გამოიყენებოდა. მას კალოდან სოფელში მარცვლეულის გადასატანად იყენებდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოფ. ნოვოალექსანდროვკაში ძნა ფურგუნებით გადაჰქონდათ. რაც შეეხება სოფ. სეჩინოვკას, იქ იყენებდნენ «повозка-ს», რომელშიც 2 უღელი ხარი იბმოდა და ყოველგვარი ტვირთის გადასატანად გამოიყენებოდა.

ძნების გადაზიდვის მიზნით, 2 – 3 ოჯახი გაერთიანდებოდა და რიგრიგობით ეხმარებოდნენ ერთმანეთს მოსავლის გადაზიდვაში. შრომითი შეამხანაგების წევრები მონაწილეობდნენ თანაბარი ძალებით. ყოველ მათგანს ეკუთვნოდა ურემი თავისი გამწევი ძალით.

თუ ოჯახს არ ჰყავდა ურმისათვის საჭირო რაოდენობის მუშა პირუტყვი, ორი ოჯახი შეაერთებდა ხარებს და ამ გზით გადმოიტანდა მოსავალს. იყო ისეთი ოჯახებიც, რომელთაც საერთოდ არ ჰყავდათ მუშა

პირუტყვი. ასეთ შემთხვევაში მიმართავდნენ შემდეგ საშუალებას: უხარო მოსახლე სთხოვდა მეზობელ ოჯახს, გადმოეტანა მისათვის მოსავალი, რის სანაცვლოდ ვალდებული იყო, მომავალში მისთვის ემუშავა. გამომუშავებული იყო გარკვეული ნორმები. მოგვყავს სოფ. ბოდბეში ჩაწერილი მასალა: „ჩვენა ვხნავდით შირაქში. იქ მკათათვეში წავიდოდით ელიობის შემდეგ. ზოგი მკის დროს, ზოგი მკას რომ გაათავებდა. დაიწყებდნენ გადმოზიდვას საძნე ურმებით. ერთი დღე უნდა შირაქიდან აქამდე ურემს. ვისაც ურემი არა ჰქონდა, შეიძლებოდა მეზობლებისაგან ეთხოვა ურემი ხარებითა და სამაგიეროდ, სხვა სამუშაოების დროს მოხმარებოდა. ერთ ურემს რომ მათხოვებდა ხარებითა, ამაში 3 დღე მკაში უნდა მეშველა" (ლევან გლახოს ძე ლეკიაშვილი. 88 წლის. სოფ. ზემო ბოდბე. 1970 წ.).

მოსავლის გადაზიდვა ხშირად ქირით ხდებოდა. ამ საქმეს განსაკუთრებით მოლოკნები მისდევდნენ. ა. არღუთინსკის მასალებში, სადაც იგი სიღნაღის მაზრის ოჯახების ქონებრივ მდგომარეობას ეხება (მოცემული აქვს შეძლებული, საშუალო და ღარიბი ოჯახების ქონების ნუსხა), ჩანს, რომ სოფ. ნოვოალექსანდროვკაში ყველა ოჯახს ჰქონდა ფურგუნი და რომ ტვირთზიდვა მათი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო [Аргутинский А. 1886: 347 - 357].

ამ მხრივ ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მთელ მაზრაში. ისინი ეზიდებოდნენ ლაგოდეხიდან თამბაქოს, გადაჰქონდათ ტვირთი სიღნაღიდან და ახლომდებარე სოფლებიდან მელაანამდე – რკინიგზის სადგურამდე. ყველაზე მეტად ამ საქმეში გამოიხატებოდა სოფ. ნოვოალექსანდროვკის მცხოვრებთა სამეურნეო ურთიერთობა ქიზიყის სხვა სოფლებთან.

გამწევ ძალას მოკლებული გლეხობა მიმართავდა ე. წ. *ბზეზე გადმოზიდვას*. თუ ოჯახს საქონელი არ ჰყავდა და, ამდენად, სანაცვლოდ ვერ მოზიდავდა, ის საქონლის პატრონს მოაზიდინებდა და ამაში ბზეს მისცემდა.

საინტერესო მასალა ჩავიწერეთ სოფ. ჯუგაანში: „თუ ცოდვილი კაცი იქნებოდა მუხლებდამტვრეული, იმას გაიყვანდნენ მინდორში. დასვამდნენ დიდ, თეთრ ქვასთან. ბილენტა ერქვა იმ ადგილს. ეს იყო უკანა მხარის დაწყების თავი. იმ ქვას ვერ გასცდებოდა – იმასთან უნდა გაევლო ყველა ურემს. იმ საცოდავ კაცს იქ დასვამდნენ. ყველა ურემი, რომელიც იქ გაივლიდა, თითო ძნას აძლევდა იმ საცოდავს. იმას იმდენი ძნა შაუქუჩდის ხოლმე, რომ ერთი დღის ხვნაზე მეტი. მერე ვინმე მადლიანი ამას ჩამოუტანდა, გაულეწამდა, პურს იმას მისცემდა, ბზეს კი თავისთვის დაიტოვებდა". (გიორგი ივანეს ძე მატიაშვილი. 75 წლის. სოფ. ჯუგაანი. 1987 წ.).

მოკლედ შევეხებით მოსავლის აღებასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს.

ყანის მკა რომ დამთავრდებოდა, მესვეური თავთავისაგან ჯვარს (*მკის ჯვარი*) დაწნავდა, დააკრავდა *მუშაზე* (პატარა ჯოხი, რომელიც იხმარებოდა ულოთი ძნის შესაკრავად) და სამკალის პატრონთან სახლში მიიტანდა. ამ მკის ჯვარს სახლში ბოძზე ან კედელზე დაკიდებდნენ. მომავალ წელს კი ახალი მოსავლის ლეწვისას პირველ კალოზე შეურევდნენ.

შაბათს, სანამ მზე „დაეწვერებოდა", მუშაობას ათავებდნენ – „კვირაძალიაო" – იტყოდნენ.

სოფელში თუ ვინმე გარდაიცვლებოდა, სამი დღის განმავლობაში,

სანამ მიცვალებული სახლში ესვენა, მუშაობა არ შეიძლებოდა. ეს წესი რუსებს ქართველებისაგან შეუთვისებიათ.

კვირაობითა და უქმე დღეებში მუშაობა აკრძალული იყო, ხოლო სოფ. ზემო ქედში შაბათობითაც არ მუშაობდნენ თავისთვის. სხვაგან მუშაობა შეიძლებოდა. ამ წესს (მუშაობის აღკვეთა) განსაკუთრებით მკაცრად სოფ. ზემო ქედის მცხოვრებნი იცავდნენ. იქ ყველა უბანს გამოყოფილი ჰყავდა კაცი, რომელიც თვალყურს ადევნებდა, რომ ეს წესი არ დაერღვიათ.

უქმის გატეხვასთან დაკავშირებით საინტერესოა ლეგენდა, რომლის მიხედვით, მღვდლის ოჯახი, რომელსაც ფერისცვალება დღეს კალო გაულეწია, ღმერთს დაუსჯია. იმ ადგილზე, სადაც მღვდლის სახლ-კარი იყო, „საშინელი ნაცარტუტა" დაუყენებია, რომელსაც სახლ-კარი ჩაუნთქავს, ხოლო მღვდლის ქალი გაუქვავებია [მენთეშაშვილი სტ. 1943: 183].

მოსავლის აღების შემდეგ სოფელი ფულს აგროვებდა (სუფრის ფული) და ამით საღმრთოს მართავდა. ეს წესი, გარდა ქიზიყელებისა, სოფ. ზემო ქედშიც დავამოწმეთ. მოლოკნები არავითარ წესს არ ასრულებდნენ, მხოლოდ მარხულობდნენ – მოსავლისათვის, წვიმისათვის, მშვიდობისათვის («за урожай, за дождь, за мир»).

ETHNOGRAPHY/ETHNOLOGY

Tamar Geladze

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian museum
3 Rustaveli ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: gtamar@rambler.ru

From History of Economic Life of Kiziki

Summary

The work is based on the ethnographic material collected by the auther of this article in Kiziki (Chronological frameworks of research are the end of the 19th - beginning of the 20th centuries).

Forms of organisation of work and labour mutual aid, connected with field husbandry, in particular, with crop, transportation and threshing a grain have been stud'ied.

Traditional forms of labour mutual aid were examined: 1.' Muka', Mamitad' || 'Mamitaji' when neighbours helped a family under its invitation only for treating. An employer was only morally obliged to thank assistants by his own work at need. 2. Equivalent labour mutual aid – 'Natsvalgarda'when poor peasantry, people about identical financial position, on the basis of the preliminary contract helped

each other by turn in number of equal days.There are revealed as Georgian-wide signs so local features of these labour organisation forms. The latter has been caused by existence in the region one of out-of-date ways communal land tenure and location of Kiziki at long distance of arable-sowing earths from village.

At the beginning of the 21st century, except local population there lived representatives of other ethnographic groups (mtiuls, pshavs, mokhevs)in Kiziki. They started, settling in Chiracs in the biginning of the 21st century. We have studied their life from the point of view of our interests on the basis of an ethnographic material of Zemo Kedi.

The article deals with economic life of malokans. Transportation of cargoe was a considerable source of their income, and from this point of view, they played a certain role in economic life of Kiziki.

At the end of the 19th century and beginning of the 20th century as the result of development of capitalism in Georgia wage labour application in agriculture increased. Wage labour constantly superseded traditional forms of collective work.

ბიბლიოგრაფია

ბენდიანიშვილი ა. 1971: *სოციალისტური რევოლუციის წინამძღვრები საქართველოში.* თბილისი.

მელიქსეთ-ბეგი ლ. 1986: მოლოკნები საქართველოში. *რელიგიისა და ათეიზმის ისტორიიდან საქართველოში.* გვ. 35–38. თბილისი (რედ. გ. ჩხაიძე).

მენთეშაშვილი სტ. 1936: კალოობა ქიზიყში. *სსმმ.* IX–B. გვ. 59–63. თბილისი (რედ. დ. თუთბერიძე).

მენთეშაშვილი სტ. 1943: *ქიზიყური ლექსიკონი.* თბილისი.

უთურაშვილი ი. 1957: *გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში.* თბილისი.

ქვათაძე ე. 1969: *წითელწყარო.* თბილისი.

ჭყონია ი. 1955: *ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში.* თბილისი.

ჯალაბაძე გ. 1960: *აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან.* თბილისი.

ჯალაბაძე გ. 1986: *მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში.* თბილისი.

Аргутинский А. 1886: Экономический быт государственных крестьян Сигнагского уезда, Тифлисской губернии. *МИЭБГКЗК*. т. IV. с. 1–169. Тифлис.

Бутинов Н. 1968: *Папуасы Новой Гвинеи.* Москва.

Дулов В. 1951: Пережитки общинно-родового строя у тувинцев в XIX – начале XX в. *СЭ.* № 4. с. 57–76. Москва (ред. С. П. Толстов).

Зибер Н. 1959: *Очерки первобытной экономической культуры.* Москва.

Харадзе Р. 1961: *Грузинская семейная община.* Тбилиси.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 282-290
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 282-290

ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

ცისანა კაკაბაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო

დასავლეთ საქართველოს ხელოსანთა რწმენა-წარმოდგენები

მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა გამოვავლინეთ დასავლეთ საქართველოში (იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთში, აჭარაში, რაჭაში, აფხაზეთში) მესპილენძეებთან, მჭედლებსა და ნალბანდებთან გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების შესახებ. ამ რეგიონში ერთმანეთსაა გადახლართული ცრურწმენები, წესები, წარმართული გადმონაშთები, ტრადიციები და ა.შ.

მჭედლები, როგორც ცნობილია, ითვლებიან ხელოსან-სპეციალისტებად, რის გამოც ისინი ხალხში მრავალი ლეგენდისა და თქმულების გმირებად იქცნენ. მჭედლის კულტი ყველა ხალხში გვხვდება [Рыбаков Б. 1948].

ადგილობრივთა რწმენით, სამჭედლო (სურ. 1_1, 1_2, 1_3) იყო წმინდა ადგილი «стоящего выше церковь» [Кобалия И. 1903], ხოლო გრდემლი და ხელსაწყო-იარაღები: კვერი, ურო, მარწუხი. . . (სურ. 3_1, 3_2, 3_3) სარიტუალო ნივთებად ითვლებოდა. გრდემლთან ხდებოდა მესპილენძეების, მჭედლებისა და ნალბანდების ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტის აღნიშვნა: შეგირდის დალოცვა ოსტატად, დამნაშავის გადაცემა, დაწყევლა და ა. შ. ხელოსნები ყოველ შაბათს სანთელს უნთებდნენ მას. „დგვემლზე შაბათ საღამოს სანთლებს ავანთებდით, წმინდა გიორგის ვახსენებდით და საღმრთოს შევწირავდით" (ჩხარი, თერჯოლის რ-ნი. 1974 წ.); „სახელოსნოში რომ შესულიყავი და სკამის ნაცვლად დგვემლზე დამჯდარიყავი, ხელოსანი გარეთ გამოგაგდებდა, თუ შეგირდი იყავი, გცემდა და დაგითხოვდა, იტყოდა: „დგვემლი დაჯდა და მოიჯადაო" (საჩხერე. 1979 წ.); „შეგირდი სახელოსნოს რომ მოაწყობდა, პირველ რიგში, დგვემლს იყიდდა, ჯირკს ამოჭრიდა და შიგ ჩადგამდა, შემდეგ დგვემლს დალოცავდა და იწყებდა მუშაობას (თერჯოლა 1979 წ.).

ყოველ დიდ ხუთშაბათს სრულდებოდა გრდემლზე კვერის დარტყმის რიტუალი.

„კლდეზე მიჯაჭულმა ამირანმა თავი რომ ვერ გაითავისუფლოს, ყოველწლიურად, დიდ ხუთშაბათობით, მჭედლები გრდემლზე უბრად ჩაქუჩს ურტყამენ და გაწყვეტამდე გაცვეთილ ჟაჭვს ისევ მკვრივად ამაგრებენ. სვანური თქმულებით, ამირანი თვითონ სპილენძისაა და მას შეუძლია აიტანოს ჭედვა და მჭედელიც ჭედავს ამირანს" [ჩიქოვანი მ. 1947].

გრდემლი და მასთან ერთად კვერი და მარწუხი თავისებურ სალოცავად ითვლებოდა. მათ მიმართ მოკრძალება, მორიდება ისევე აუცილებელი

იყო, როგორც საკულტო ადგილების მიმართ. „შაბათს ზარის ხმას რომ გავიგონებდით, ხელში კვერი რომ გვჭეროდა, ხელს გავუშვებდით, პირჯვარს გადავიწერდით, სამჭედლოს დავკეტავდით და ორშაბათ დილამდის არ შევიდოდით სახელოსნოში" (საჩხერე. 1979 წ.).

დაბადებაში, ურო და კვერი გრდემლთან ერთად წმინდა საგნებადაა მოხსენიებული და ამ სამუშაო იარაღებისგანაა ნაწარმოები კვერითხურო ან მჭედელი, კუერის მცემელი. [მესხია შ. 1982].

სამჭედლოსთან//სახელოსნოსთან//დუქანთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრი რიტუალი, წარმართული გადმონაშთი, ცრურწმენა იყო დაკავშირებული. იმერეთში (ჩხარში, თერჯოლაში) სპილენძის გამოდნობის დროს უცხოს სახელოსნოში არ უშვებდნენ, რომ „ქურას თვალი არ ეცეს". თუ გამოუვალი მდგომარეობა იყო, ხელოსანი ამბობდა: „ცეცხლზე თვალი დაეწვება" როგორც წესი, შაბათს, ხუთი-ექვსი საათის შემდეგ, როცა ეკლესიის ზარის ხმას გაიგონებდნენ, ყველა ხელოსანი სახელოსნოს კეტავდა, ანთებდა სანთელს, ამაგრდებდა გრდემლზე და დაილოცებოდა. თუ შაბათს საღამოს ვერ ახერხებდა ლოცვას, მაშინ დაალაგებდა სამჭედლოს და კვირა დილით აანთებდა სანთლებს, მიაკრავდა გრდემლს, იქვე დააწყობდა ხელსაწყო-იარაღებს და ილოცებდა. იყო ტრადიციული უქმე დღეებიც – ახალი წელი, აღდგომა და ა.შ.

სამეგრელოში მჭედლები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ხეხუნჭობას. ეს ხდებოდა სამჭედლოში და სრულდებოდა ახალი წლის წინა საღამოს. მას ეწოდებოდა სამჭედლოს ლოცვა – ოჭკადირქშიშ თხვამერ. ამის შესახებ სერგი მაკალათია წერს: „ხეხუნჭობას მჭედლის ოჯახში დაკლავდნენ გოჭს და გამოაცხობდნენ კვერებს, დაალაგებდნენ ხონჩაზე, იქვე დასდებდნენ ხელსაწყო-იარაღებს და შეიტანდა მარანში, სადაც სამჭედლოს ქვევრი იყო ჩაფლული, თუ არადა, სამჭედლოში წაიღებდა. ქვევრთან მას წაყვებოდნენ მხოლოდ მამაკაცები, ქალები კი სახლში რჩებოდნენ და იქ ლოცულობდნენ კვერებითა და სანთლებით.

მჭედელი დაიჩოქებდა ქვევრთან და დაილოცებოდა: „სამას სამოცდასამი ხელობის გამცემო, წმ. სოლომონ მადლიანო! შენი წყალობა მოგვეცით ჩემ ბაბუის შთამომავალს, შვილსა, შვილიშვილს და ოჯახის მიმდგომს. შენი მხვეწარი ვართ დღეს, შემცოდარი ვართ და გვაპატიე, წმ. სოლომონ, შენი სახლი დალოცვილი, ბედნიერი ლოცვა მოგვმადლე, და სხვ. ლოცვის დასასრულს მუჭებს შეკრავდნენ და ერთმანეთზე დააწყობდნენ, ზედ მჭედელი შეკრულ მუჭას დაადებდა და შიგ წყალს ან ღვინოს ჩაასხამდა. სითხე მუჭებში მილივით გავიდოდა ძირს და უფროსი იტყოდა: „წმინდა სოლომონმა წყალივით წაიყვანოს ჩვენი საქმეო". მჭედელი ქურას კვერს დაჰკრავდა და იტყოდა: „შენი წყალობა მოგვეცი, წმ. სოლომონ" [მაკალათია ს. 1941].

სამჭედლოს სამეგრელოში პატივისცემით ეკიდებოდნენ. ფიცი და ხატზე გადაცემა სამჭედლოში იცოდნენ. გრდემლთან სრულდებოდა შეგირდის დალოცვა ოსტატად, დაწყევლა, გადაცემა და ა.შ. როცა მჭედლის ოჯახში ვაჟი დაიბადებოდა, სამჭედლოს წირავდნენ მამალ ციკანს, შესთხოვდნენ ვაჟის გაზრდასა და მჭედლობაში დახელოვნებას. ხალხის რწმენით, ვინც ამ წესს არ შეასრულებდა, იმ ოჯახში დაბადებული ბავშვი იქნებოდა ბეჩავი

და ავადმყოფი. ოჯახიდან გამოთხოვილ ქალს ვაჟი რომ შეეძინებოდა, მამის სახლში უნდა გამოეგზავნა მამალი ციკანი, ქალი თუ ეყოლებოდა, ხოზო კვერს (ყველიან კვერს) აგზავნიდა [მაკალათია ს. 1941].

ცრურწმენით, თუ სამეგრელოში მჭედელი სხვა სოფელში გარდაიცვლებოდა, მისი „სულიც იქ რჩებოდა". ამიტომ გადმოსვენების დროს ძაფს გამოაბამდნენ და სულიც წამოჰყვებოდა. საფლავზე კი ურoს დაახატავდნენ და საფლავში რაიმე იარაღს ჩაატანდნენ (სოფ. ჩქვალერი, წალენჯიხის რ-ნი. შეროზია იასონ ძოკიას ძე. 97 წლისა, 1975 წ.) მჭედლის გარდაცვალებას წინასწარ გრძნობდნენ. ჭეჭეთი სალოცავია წალენჯიხის რაიონში. მთხრობელები გადმოგვცემენ: „მარიობის დედა ღამეს, ე.ი. 14-ში (ძვ. სტ. მარაშინა — ახალი სტ. — 27 აგვისტო), სოფლის მაღალ ადგილზე, სადაც ხმა კარგად ისმოდა, შევიკრიბებოდით. ახალგაზრდები ანთებდნენ ცეცხლს, იმართებოდა თამაშობანი, ბავშვებს თმებზე ფუთკრის სანთელს ვაწებებდით. თორმეტი საათის შემდეგ, როცა სიჩუმე დაისადგურებდა, ვუსმენდით, რა ხმები ისმოდა სოფლიდან: თუ შეშის პობის ხმა ისმოდა – მამაკაცი კვდებოდა, ჭურჭლის რეცხვის ხმა – დედაკაცი კვდებოდა, ხოლო, თუ ურoს რტყმევა და ჩაქუჩის კაკუნი ისმოდა – მჭედელი კვდებოდა" (სოფ. ლარამედანი, წალენჯიხის რ-ნი. ქარჩაია არჩილ მიხეილის ძე. 80 წლის. 1975 წ.). [კაკაბაძე ც. 1975].

გრდემლი წმინდა საგნად ითვლებოდა აფხაზეთშიც, სადაც ხდებოდა დაფიცება, მსხვერპლშეწირვა [Званбай С. 1869]. აფხაზეთში სამჭედლოში — აჟრაში//ჟირნიხში მრავალი რიტუალი სრულდებოდა: ლოცულობდნენ, ფიცს დებდნენ, მიჰყავდათ ავადმყოფები და მჭედლების ღმერთს სწირავდნენ მამალ ვაცს, იშვიათად — ცხვარს [Джанашиа Н. 1917]. მჭედლები აფხაზეთში განსაკუთრებული კასტა იყო და, როგორც კვალიფიცირებული ხელოსნები და ღვთაება შაშვის წარმომადგენლები, სარგებლობდნენ განსაკუთრებული პატივისცემით, ითვლებოდნენ მისაბაძ ობიექტებად [Бгажба О. 1982] ამასვე ადასტურებს მ. ჯანაშვილი: „მჭედლები დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ ხალხში და მათ საქმიანობას აფხაზის თვალში საღვთო მნიშვნელობა ჰქონდა [Джанашвили. М. 1894].

მჭედელთა მფარველი ღვთაება შაშვა//შაშყ-ის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის თ. სახოკია: „საინტერესო სალოცავია აფხაზთა *შუშუ,* ანუ მჭედლების ღმერთი, *შაშუს* სახელობაზე ტყეებში აკეთებენ პატარა ქურებს ქვებისგან, კირის მაგივრად უბრალო აყალო მიწას ხმარობენ, ზედ აწყვია ჩაქუჩი და გაზი – სიმბოლო მჭედლობისა. ახალი წლის წინა დღით მლოცავნი ამ ქურასთან მიდიან, საკლავს კლავენ, საუკეთესო ნაწილს ცხოველისას – გულ-ღვიძლს, ხის შამფურზე წამოგებულს, *შაშუს* სწირავენ და დანარჩენს თვითონ შეექცევიან. მსგავსად წმინდა *ხეთასი,* სამჭედურიც მოსამართლის როლს ასრულებს; მომჩივანნი მის წინ ლოცულობენ და თავიანთ სიმართლეს საჯაროდ აცხადებენ. აფხაზი, რაც უნდა ძალა ადგეს, ტყუილის თქმას სამჭედლოს წინაშე ვერ გაბედავდა [სახოკია თ. 1950].

რაჭაში გრდემლის წინ წყევლა, ურიგოს წარმოთქმა, ზედ ფეხის დადგმა, დაჯდომა, როგორც წესი, აკრძალული იყო: „თავკაცი პირველი კათხით სამჭედლოს და მის საქნარს ადღეგრძელებდა. მეორე სადღეგრძელო გრდემლისა და სხვ. ხერჭურჭლისადმი იყო განკუთვნილი — „გაუმარჯოს ყველა ხელჭურჭელს და ავეჯს – დგვემლს, ხელკვერს, მარწუხს" [რეხვიაშვილი ნ. 1953].

„სამჭედლო მთელს საქართველოში ნაკრძალს წარმოადგენდა, ხოლო გრდემლისა და კვერის კულტი ფართო გამოვლინებას პოვებდა აღთქმისა და შეპირების წეს-ჩვეულებაში. მაგალითად, ძლიერი და საქვეყნოდ ცნობილი სალოცავების საწირავად მჭედლები ამზადებდნენ პატარა გრდემლს, კვერი მიჰქონდათ ხატის კარზე [რეხვიაშვილი ნ. 1964].

სვანეთში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, კვირა დღესა და შაბათს, უფლიშერის კვირაში, ქურასთან დადგებოდა მჭედელი, სამჭედლოში მოვიდოდნენ კაცები: ოჯახის უფროსი, ძმები, ნათესავები; მჭედელი დაარტყამდა უროს გრდემლს და საგანგებო კათხით ან ჯამით ნათავედი არყით (ნათხუმ ჰარაყ) – საზედაშე არყით დაილოცებოდა: „ასეთი მაგარი იყოს შენი ხელით გაკეთებული ყველაფერი, მშენებლობას სიმაგრე მისცემოდეს, სოლამის მადლმა გააჩინა მჭედლობა და იმის მადლი შეგეწიოს" სოლამი//სოლან-ის სახელზე, რადგან მას თვლიდნენ მჭედლობის მფარველად (სოფ. ჩხუმარი. დავით ლემონის ძე ქალდანი). სვანთა რწმენით, სოლამთან ერთად „რკინა – სპილენძის მჭედლობის მფარველად ითვლებოდა „ჯგირაგი" (წმ. გიორგი), ხოლო მჭედლების მშველელი ქალი ლამარია იყო.

სვანეთში ტრადიციის მიხედვით, ოჯახიდან კერისა და ნაჭის (სურ. 4) გატანა არ შეიძლებოდ. „ნაჭა მჭედლის გამოჭედილი იყო და წმინდა ნივთად ითვლებოდა. იგი სიმბოლო იყო გვარის, ოჯახის, სახლის. მასზე იფიცებდნენ, გადაცემდნენ, წყევლიდნენ. მისი ოჯახიდან გატანა დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა, რომლის გაბათილება სისხლით შეიძლებოდა. მისი გადაგდება კერის დაქცევას ნიშნავდა და ოჯახის დაშლის ტოლფასი იყო. ასე ექცეოდნენ მხოლოდ საძულველ მტერს" [Кузнецов А. 1974].

სამეგრელოში კი, პირიქით, ნაჭა//ლანჭა მზითვების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და მას მშობლების სახლიდან ატანდნენ ქალიშვილს, როგორც სიმბოლოს ახალი ოჯახის შექმნისა.

სვანეთში შაბათ-კვირას ხელოსნები სამჭედლოს არ გააღებდნენ, ხოლო თანაფას (უფლისმიერის კვირაში) დიდ დღეობას იხდიდნენ: „ვკლავდით ხარს და იმართებოდა დიდი დღეობა, რომელიც ერთი კვირა გრძელდებოდა. ხარს ერთად ვასუქებდით, თითო მოსახლეს თითო მარხილი თივა მოჰქონდა. კვირის წინა შაბათს თავს მოვიყრიდით ქვედა სოფელში, სოფელ სვიფში; 7-8 ხარი გროვდებოდა, ყველაზე მსუქანს ამოვარჩევდით და იმას დავკლავდით. კვირის თავზე, გვაზობა-ს ვეძახდით, ყოჩი ცხვარი გვყავდა გასუქებული და იმასაც დავკლავდით. ვინც ხარს დაკლავდა, იმასთან ცხვარიც იყო. ოჯახები მორიგეობით ასუქებდნენ დასაკლავ ხარს და ცხვარს" (მესტია. ქალდანი დავით ლემონის ძე).

საქართველოში უქმე დღეს არც ერთი ხელოსანი სამჭედლო-სახელოსნოს არ გააღებდა, ხოლო მჭედელი და ნალბანდი ლურსმანს არ გამოჭედავდა. „ვინც კვირა დღეს ლურსმანი გაჭედოს, დაწყევლილია. ქალებიც კი კვირა დღეს ნემსით არ შეკერავდნენ. [კაკაბაძე ც., ჯალაბაძე გ. 1979].

დიდი იყო მფარველი ღვთაების ზეგავლენა ხელოსანთა რწმენაზე. ისინი ყოველგვარ წარმატებას თუ წარუმატებლობას ღვთაების ნებას მიაწერდნენ, ამიტომ ყველა თავის ღვთაებას შესთხოვდა, ასეთებად კი ითვლებოდნენ: „363 ხელოსნის გამჩენი წმ. ბრძენი სოლომონი//სოლომი (სამეგრელო); „სოლანი"//სოლამი (სვანეთი); შაშვა//შაშუ (აფხაზეთი); სირა-მჭედელი –

ამირანის მამა (რაჭა); კალმახელა (გურია) [რეხვიაშვილი. ნ. 1964].

გარკვეული ტრადიციები უკავშირდება სპილენძის ჭურჭელსაც. მას სწირავდნენ ეკლესიას, ხატს, ატანდნენ მზითევში, მონაწილეობდა სხვადასხვა ცერემონიალში (საქორწილო, სამგლოვიარო) და ა.შ. თედო სახოკიას მიხედვით, სამეგრელოში ავადმყოფი წმ. გიორგის უნდა დაჰპირდეს შესაწირავად მოზვერს, თაფლის სანთელს, ფულს, თან უნდა აღუთქვას, შენს დღეობაში მე თვითონ გეახლები შენ თაყვანისაცემლადო. მაგრამ ამ დაპირების ასრულების გირაოდ სახლის კუთხეში უნდა დაიდგას სპილენძის ქვაბი ან სხვა რამ ჭურჭელი სპილენძისავე. ამ გირაოს *საწინდარი* (სურ. 5) ჰქვია და დაპირების ასრულებამდე იგი უხმარად დგას [სახოკია თ. 1910]

სპილენძის ჭურჭლის როლი განსაკუთრებული იყო სამგლოვიარო ცერემონიალის დროს. იცოდნენ მიცვალებულის ტანის დაბანა. არის სპეციალური სუფთა, უხმარი ქვაბი, სპილენძის, დიდი ზომის. შიგ ადუღებდნენ წყალს, თითის ჩაყოფაც არ შეიძლებოდა, წყალი არ დაბინძურებულიყო, შემდეგ ანელებდნენ წყლით. წყლის ამოსაღებად ხმარობდნენ – ახალ – უხმარ მარშრაფას, აგრეთვე სუფთა უხმარ *გუგუმს* (თუნგს) [ნოღაიდელი ჯ. 1940].

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ დასავლეთ საქართველოს ჩვენ მიერ შესწავლილ რეგიონებში (იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთში, რაჭაში, აჭარაში, აფხაზეთში) მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა ჩავწერეთ, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლება ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, თქმულებები, გადმოცემები და ცრურწმენები.

ETHNOGRAPHY/ETHNOLOGY

Tsisana Kakabadze

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian museum
3 Rustaveli ave., 0105, Tbilisi, Georgia

Belief-Ideas in West Georgian Handicraftsmen

Summary

Rich ethnografical material was fixed in the regions of West Georgian - Imereti, Samegrelo, Svaneti, Adjara, Racha, Abkhazeti. They concern faith-ideas which were spread among braziers, and blacksmiths. In this regions prejudices, ritual habits, traditions, etc. are interlaced.

A smithy was a holy place by local populations' believes. An anvil and tools like hammer, pincers were considered to be ritual objects. The most important events in braziers and blacksmiths lives such as a pupils' benediction as a master,

a culprit's transmission, swearing an oath, passing (giving) to an icon, etc.

The article illustrates a great influence of religion on blacksmiths' lives. For example, on Saturdays, when hearing bell ringing, all handicraftsmen stopped working after 5-6 o'clock. They closed their workshops, lit candles, fixed them on an anvil and prayed. If they could not manage to pray on Saturday evening, they brought smithies in order, tidied them up and lit candles on Sunday morning, pasted their anvils, put tools near-by and prayed. There were also traditional day-offs like the New Year, Easter, etc.

In Georgia influence of protecting idols on believes of artisans was great. They were sure that each their success and failure depended on idols wishes, that is why each of them, begged their own idols for help and support. To such idols belonged" the idol of 363 artisans "Solomon" or "Solomi" (in Samegrelo); "Solani", "Solami" (in Svaneti);"hashva","Shashu" (in Abkhazeti);"Sira-mchedeli" – Amiran's father (in Racha); "Kalmakhela" (in Guria).

ბიბლიოგრაფია

კაკაბაძე ც., ჯალაბაძე გ. 1979: *მჭედლობა სამეგრელოში.* მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბილისი.

მაკალათია ს. 1941: *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია.* თბილისი.

მესხია შ. 1982: *საისტორიო ძიებანი.* ტ. I. თბილისი.

ნოღაიდელი ჯ. 1940: *ხინოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა.* თბილისი.

რეხვიაშვილი ნ. 1953: *მჭედლობა რაჭაში.* თბილისი.

რეხვიაშვილი ნ. 1964: *ქართული ხალხური მეტალურგია. რკინა-მჭედლობა* (ეთნოგრაფიული ნარკვევი). თბილისი.

სახოკია თ. 1910: *მიცვალებულის კულტი საქართველოში.* მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. თბილისი.

სახოკია თ. 1950: *მოგ ზაურობანი.* თბილისი.

ჩიქოვანი მ. 1947: *მიჯაჭვული ამირანი.* თბილისი.

Бгажба О.Х. 1982: *По следам кузнеца Айнарю из историй кузнечного ремесла древней и средневековой Абхазии (*VIII в. д. н. е. – XV в. д. н. е.). Сухуми.

Званбай С. 1869: Очерк абхазской мифологии. «Кавказ». #75.

Кузнецов А. 1974: *Верхняя Сванети*. Москва.

Рибаков Б. 1948: *Ремесло древней Руси*. Москва.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1$_1$. მექვაბის სახელოსნო//სამჭედლო. სოფ. ჩხარი, თერჯოლის რ-ნი. 1974 წ. (მხატვარი ო. კონიაშვილი)

სურ. 1$_2$. სპილენძის ჯართის სადნობი ქვაბი. შალვა რობაქიძის სახელოსნო. სოფ. ჩხარი, თერჯოლის რ-ნი. 1980 წ. (მხატვარი ო. კონიაშვილი)

სურ. 1$_3$. ა-ბ) მჭედლის ქურა, გ) სამჭედლოს საერთო ხედი, დ) სამჭედლოს გეგმა. სოფ. მუხური, ჩხოროწყუს რ-ნი. 1975 წ. (მხატვარი ო. კონიაშვილი)

სურ. 2$_1$. გრდემლი. შალვა რობაქიძი სახელოსნო. სოფ. ჩხარი, თერჯოლის რ-ნი. 1980 წ. (მხატვარი ო. კონიაშვილი)

სურ 2$_2$ა) ქართული *ცალცხვირა* გრდემლი. 1975 წ. (მხატვარი ო. კონიაშვილი), ბ) რუსული ,,ორცხვირა" გრდემლი. 1980 წ. (მხატვარი ო. კონიაშვილი)

სურ. 3$_1$. მექვაბე ხელოსნის სამუშაო იარაღები: მარწუხი, ურო, კვერი, ჩაქუჩი. სოფ. ჩხარი, საჩხერეს რ-ნი. 1974 წ. (მხატვარი ო. კონიაშვილი)

სურ. 3$_2$. მჭედლის სამუშაო ხელსაწყო-იარაღები. სოფ. მუხური, ჩხოროწყუს რ-ნი. 1975 წ. (მხატვარი ო. კონიაშვილი)

სურ. 3$_3$. ნალბანდის სამუშაო იარაღები. სოფ. მუხური, ჩხოროწყუს რ-ნი. 1975 წ. (მხატვარი ო. კონიაშვილი)

სურ. 4. ნაჭა-*ლანჭა.* სოფ. რუხი, სამეგრელო. 1976 წ. (მხატვარი ო. კონიაშვილი)
სურ. 5. *ჟინიშ კარდალ* –სულის ქვაბი (სამეგრელო). საინვ. № 70-08/93. 1976 წ. (მხატვარი ო. კონიაშვილი)

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1$_1$. Boiler-maker's workshop. Smithy, village Chkari (Terjola d-t). 1974 (Painter O. Koniashvili)

Fig. 1$_2$.. Shalva Robakidze's workshop. Pot for melting copper scrap-iron, village Akhali Terjola (Terjola d-t). 1980 (Painter O. Koniashvili)

Fig. 1$_3$. a-b) Smith's oven, c) Smithy. Plan, village Mukhuri (Chkhorotsku d-s). 1975 (Painter O.Koniashvili)

Fig. 2$_1$. Anvil from Shalva Robakidze's smithy, village Akhali Terjola (Terjola d-t). 1980. (Painter O. Koniashvili)

Fig. 2$_2$.a) Anvil-Georgian "tsalstkvira". 1975 (Painter O. Koniashvili).
b) Anvil-Russian "ortskhvira". 1980 (Painter O. Koniashvili)

Fig. 3$_1$. Boiler-maker's working tools: a chisel, hammer, pincer, hammers, village Sachkhere-Chkhari. 1974 (Painter O. Koniashvili)

Fig. 3$_2$. Smith's working tools, village Ukhuri, Chkhorotsku d-t. (Painter O. Koniashvili)

Fig. 3$_3$. Smith's working tools, village Ukhuri, Chkhorotsku d-t. 1975 (Painter O. Koniashvili)

Fig. 4. "Nacha-Lancha", Samegrelo, village Gukhi. 1976 (Painter O. Koniashvili)

Fig. 5. "Jinish Kardal" – spirit pot (Samegrelo), collection #70-08/93. 1976 (Painter O. Koniashvili)



სურ. 1$_1$ Fig

სურ. 1$_2$ Fig



სურ. 1$_3$ Fig





სურ. 2$_1$ Fig

სურ. 2$_2$ Fig





სურ. 3$_1$ Fig

სურ. 3$_2$ Fig



სურ. 3$_3$ Fig



სურ. 4 Fig

სურ. 5 Fig

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 291-299
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 291-299

ისტორია

მარინე ბულეიშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი საქართველო
ელფოსტა: marine-buleishvili@rambler.ru

ოსი ხალხი და საქართველო
(მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

ჩრდილოეთიდან საქართველოს ესაზღვრება კავკასიონის ქედის შუაგულში მდებარე ისტორიული ოსეთი, რომელიც ამჟამად რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკაა. იგი დღეს ბევრად უფრო მცირე ტერიტორიას მოიცავს, ვიდრე იყო ოსი ხალხის განსახლების არეალი.

ადრეულ საუკუნეებში ოსეთის სახელმწიფოს ჩრდილოეთ კავკასიის საკმაოდ ვრცელი მიწა-წყალი ეკავა. ეს იყო სამფლობელო კავკასიონის ქედის წინ ჩამომავალ მდინარეებს — ყუბანსა და თერგს შორის მდებარე ნოყიერი ველები და მთის ხეობები. ეს ფეოდალური სახელმწიფო IX-X სს-ში შეიქმნა და მას ალანია ეწოდებოდა. ქართულ წყაროებში კი ის *ოვსეთად* მოიხსენიება.

ამ ქვეყანაში ადრეულ საუკუნეებში ქრისტიანობა იყო გავრცელებული, რომელიც X საუკუნეში მტრების შემოსევების შედეგად განადგურდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ დარიალის ციხის ორივე მხარეს მცხოვრები ოსების რელიგია — ქრისტიანობა ამ ადგილებში საბოლოოდ მაინც ვერ მოსპეს, რასაც მოწმობენ ბევრად უფრო ადრე აგებული ეკლესიები და „კავკასიის ეპარქიად“ წოდებული საეკლესიო მმართველობა, რომელიც XIV ს-ში მოიხსენიება [Иоселиани П. 1850: 81].

XII-XIII სს-ში ოსეთ-ალანეთის სახელმწიფო „საქართველოს სამხედრო და მძლავრი ქართული მონარქიის ყმადნაფიც ქვეყანას წარმოადგენდა“ [ითონიშვილი ვახ. 1995: 11]. სწორედ ამიტომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩა ტერმინი *ოსი ყმა* (იხ. ლეგენდა თამარ მეფის მიერ ქ. გორის დაარსების შესახებ — მ. ბ.).

XIII-XIV სს-ში ოსეთს მონღოლები შემოესივნენ, შემდეგ თემურ ლენგმა დაარბია, რამაც ალანიის სახელმწიფოს მოშლა და განადგურება გამოიწვია. მათგან შევიწროებული ოსების ძირითადი მასა ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ხეობებს შეეხიზნა [ითონიშვილი ვახ. 1995: 12], სადაც კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობის შუაგულში, ისინი ოთხ ოსურ თემად ჩამოყალიბდნენ. ესენია: დიგორი, ქურთათი, თაგაური და ალაგირი, რომლებიც ერთმანეთს მუდმივად უპირისპირდებოდნენ.

ისტორიული ოსეთი საქართველოს ესაზღვრებოდა უშგულის სიახლოვეს მდებარე ფას მთიდან ვიდრე ყაზბეგამდე. აღნიშნული შემოსევე-

ბის შედეგად კი ოსების ქვეყანა მარადთოვლიან მთებსა და კლდეებს შორის მოექცა და, ამდენად, მოსახლეობა მატერიალურ- საყოფაცხოვრებო მოთხოვნას ვერ იკმაყოფილებდა. ამის გამო ისინი ყოველთვის ცდილობდნენ საცხოვრებლად მეზობელი ხალხის ტერიტორიაზე გადასვლას, საზღვარი კი საქართველოსთან იყო.

რუსები თავიანთი მმართველობის დასაწყისში საქართველოს საზღვრებს საკმაოდ ობიექტურად აღწერდნენ. ამგვარი ინფორმაცია შესულია ალ. ცაგარელის მიერ გამოცემულ ისტორიული დოკუმენტების კრებულში, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 1770 წელს საქართველოში რუსეთის იმპერიის მიერ გამოგზავნილი კაპიტანი იაზიკოვი, ეცნობოდა რა ჩვენს ქვეყანას, საქართველოს საზღვრების შესახებ თავის აღწერილობაში საკუთარ მესვეურებს შემდეგს ატყობინებდა: „საქართველოს (იგივე ქართლსა და კახეთს) აღმოსავლეთით ესაზღვრება დაღესტანი, ჩრდილოეთით — ოსეთი, (რომლის უდიდესი ნაწილი საქართველოს ქვეშევრდომია), სამხრეთით — სპარსეთის ნაწილი ბორჩალო და ყაზახი (რომლებიც ასევე საქართველოს ქვეშევრდომებია) და ასევე თურქეთის გუბერნია ახალციხე, დასავლეთით კი მას იმერეთი ესაზღვრება [Цагарели А. 1891: 183].

ენციკლოპედისტი ა. სტარჩევსკი, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის შესახებ წერს: „საქართველო — (Georgia) — გურჯისტანი, ამჟამად თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები მასში შევიდა ადრინდელი კახეთი, ქართლი, სომხეთი (იგულისხმება სომხითი — მ. ბ.), ოსეთი და საქართველოს სამეფოს სხვა მიწები. საქართველოს საზღვრებია ჩრდილოეთით ყაბარდოელების მიწები, დაღესტნელები, ბოგოსები, ქისტები და კავკასიონის ქედი“ [Старчевский А. 1854: 52].

იმპერატორ ალექსნდრე I-ის დავალებით 1805 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოიცა ფრანგულ ენაზე შედგენილი წიგნი „კავკასიის აღწერილობა საქართველოს მოკლე ისტორიული და სტატისტიკური მონაცემებით“. მასში ერთგან აღნიშნულია: „საქართველო მთელი თავისი მდებარეობით ვრცელდება კავკასიონის ქედის სამხრეთით. მისი საზღვრებია: ჩრდილოეთით — კავკასიონი, სამხრეთით — სომხეთი, აღმოსავლეთით — დაღესტანი, ხოლო დასავლეთით — შავი ზღვა. იგი აერთიანებდა უძველეს კოლხეთს, იბერიასა და ალბანეთს... საქართველო ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება კავკასიაში მცხოვრები ზოგიერთი ხალხის სამფლობელოს, ასე მაგ., ოსების, ინგუშებისა და ავარხანის კუთვნილ მხარეებს... ქართლი სამი ნაწილისგან შედგება: ა) ზედა საქართველოსაგან, ბ) შიდა საქართველოსაგან, გ) სომხეთისაგან (სომხითი — მ. ბ.). მნიშვნელოვანი ქალაქები და სოფლები მდებარეობენ: ა) ზედა საქართველოში, იმერეთის საზღვარზე: სურამი (ციხე) და ცინვალია. ბ) შიდა საქართველოში, რომელიც ზედასაგან გამოყოფილია მდინარე ლიახვით, მდებარეობენ ქალაქები: თბილისი, მცხეთა, ციხეები: გორი, მუხრანი, დუშეთი და სოფლები: ანანური და ახალ-გორი...“.

წიგნის დასასრულს, 47-ე სქოლიოში, მინაწერია: „ეს ნაშრომი დაიწერა იმ დროს, როდესაც ავტორმა არ იცოდა მთავრობის ნება, დატოვებდა თუ არა იგი უცვლელად საქართველოს უძველეს დროიდან არსებულ უფლებებს ბევრ მხარეზე“ [Описание Кавказа с кратким историческим и статистическим описанием Грузии. 1805: 27-29, 49-50, 71-72].

ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან დაკავშირებით წერს: „საქართველოს საზღვარი აფხაზეთის შემდგომ სვანეთის ჩრდილოეთის საზღვრით არის მოხაზული და აქაც ხაზი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ ზღუდეს მისდევს – კავკასიონის მთავარი უღელტეხილის მარადთოვლიან ქედს რაჭის საზღვრამდის. შემდეგ საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი თემი რაჭაა და მისი საზღვრის ხაზიც ჩრდილოეთით იმავე უღელტეხილის მთავარ ქედზე მიდის დვალეთამდე“ [ჯავახიშვილი ივ. 1919: 9].

შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება დვალებზე. დვალეთისა და დვალების საკითხს არაერთი მეცნიერი იკვლევდა. ესენი იყვნენ: გიულდენშტედტი, კლაპროტი, პფაფი, მილერი, კოვალევსკი, ყიფშიძე, ტომაშეკი, ახვლედიანი, კეკელიძე, მელიქსეთ-ბეგი, აბაევი, ვანეევი, გვრიტიშვილი, სკიტსკი, გამრეკელი, მამა-შვილი ითონიშვილები და სხვები.

დვალები კავკასიონის მთებში მცხოვრები ერთ-ერთი ეთნიკური გაერთიანება იყო. მათი ძირითადი მასა ოდითგანვე მდინარე არდონის ან ნარის ხეობებით დასერილ ქვაბხეობაში ცხოვრობდა. დვალეთის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ქედის პარალელურად მდებარე ადაი-ხოხის ქედია, რომელიც კავკასიონის ძირითად ქედზე მაღალი და გაუვალია. დვალეთი ჩრდილოეთ ოსეთს მხოლოდ ერთი ვიწრო – არდონის გასასვლელით უკავშირდებოდა, მაშინ, როდესაც შედარებით უფრო დაბალი, სამხრეთით მდებარე, კავკასიონის ძირითად ქედზე არსებული, 11 გადასასვლელით უკავშირდებოდა საქართველოს. ამიტომ არ იყო შემთხვევითი ის მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სულიერი ურთიერთობა, რაც მათ შორის საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. დვალეთი საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასაწყისიდანვე (IV ს.) მისი განუყოფელი ნაწილი იყო და მას ემორჩილებოდა, მაგრამ ამ საზღვარს განსაკუთრებული ყურადღება XII ს-დან მიექცა. პოლიტიკურადაც აქ ქართველობამ ფეხი დავით აღმაშენებლის დროს მოიკიდა. შემდეგშიც, თვით საქართველოს პოლიტიკური დაუძლურების დროსაც, XVIII ს-ის დამდეგსაც, დვალეთი ქართველთ ხელში იყო და, ვახუშტის მოწმობით, „მეფეთა ქართველთა მისცემდნენ დღემდე ხარკსა“ [ჯავახიშვილი ივ., სურგულაძე პ., ლისტი პ.1989: 10]. „საქართველოს ეს ჩრდილოეთი მონაპირე კუთხე, 1711 წელს ჯარითურთ ვახტანგ VI-ეს შემოუვლია. შევიდა შიგ დვალეთის ხევებში. ზრამაგაში, ჟღელეს ხევში, გადავიდა კედელაში და მივიდა კუდაროში გამარჯვებული“, სწორედ მან კვლავინდებურად მტკიცედ, ვახუშტის მიხედვით, „დაიპყრა დვალეთი და დასდვა ხარკი“ [ჯავახიშვილი ივ., სურგულაძე პ., ლისტი პ. 1989: 10].

უნდა აღინიშნოს, რომ გვიან ფეოდალურ ხანაში (XVII ს.) გიორგი საკაძე როგორც თბილისის, ასევე ცხინვალ-დვალეთის მოურავიც იყო [ჯანაშვილი მ. 1899: 297].

მკვლევარი ვ. გამრეკელი, დვალეთის შესახებ წერს: „კავკასიონის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ ფერდობზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, დარიალისა და მამისონის უღელტეხილებს შორის და ამის ჩრდილოეთით მომიჯნავე ხეობები, რომლებიც ნარის ქვაბულში მდებარეობენ, ასევე სამხრეთით დიდი ლიახვის სათავის ხეობები, წინათ, შუა საუკუნეებში, ქართულად დვალეთად და მაღრან-დვალეთად იწოდებოდნენ, ხოლო ამ ტერიტორიაზე მოსახლენი – დვალებად. ოსურად ამჟამადაც ნარის ქვაბუ-

ლს — თუალთას, დიდი ლიახვის სათავის ხეობებს — ურუს თვალთას, ხოლო აქაურ მცხოვრებთ თუალაგს უწოდებდნენ (დვალი და ტუალი ერთი და იმავე სიტყვის ორი ფონეტიკური ნაირსახეობაა)“ [Гамрекели В. 1961: 1].

ვ. აბაევი დვალების ენას იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნებდა, ხოლო ოსურ ენას — ირანულს [Абаев В. газ. «Независимая газета». 1992: №13].

XV-XVIII სს-ში ჩრდილოეთით, ისტორიულ ოსეთში, მცხოვრები ოსები გამოექცნენ რა თავიანთ უმართავ ქვეყანაში გვარებს შორის ბრძოლასა და დიდ ეკონომიურ სიდუხჭირეს, გადმოვიდნენ დვალეთში, ასიმილირდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან, მოიპოვეს მათზე უპირატესობა და ეს ტერიტორია სამხრეთ ოსეთად გამოაცხადეს.

ოსი ხალხის გამოჩენილი მკვლევარი ვ. მილერი წერდა: „დვალებში (რომლებიც VII ს-ში სომხურ გეოგრაფიაში მოიხსენებიან) უნდა ვიგულისხმოთ დვალეთის მხარის მცხოვრებნი, იგივე სამხრეთ ოსები, რომლებიც მათი ჩრდილოეთელი თანამეტომეებისთვის ცნობილნი არიან სახელით „თუალთა“ [Миллер В. 1887: 6].

ლ. მელიქსეთ-ბეგი წერდა: „თუალი“, რაც სამხრეთელ ოსს ნიშნავს, როგორც ჩანს, არის იგივე „ტუალი“ ანდა „დვალი“, საიდანაც წარმოიშვება გეოგრაფიული სახელწოდება „დუალეთი“, ანდა „დვალეთი“ ე. ი. „დვალეთი“, იგივე „თუალი“ ოსეთის ის ნაწილია, რომელიც შემოიფარგლება „დვალეთით“ [Меликсед-бек Л. 1925: 265].

ჩრდილოეთელი ოსების ზეწოლის შედეგად დვალების გარკვეული რაოდენობა საქართველოში გადმოვიდა და გაქართველდა. ამათგან წარმოიშვა ქართული გვარები: დვალი, დვალაძე, დვალიძე, დვალიშვილი, წილოსანი, სიდამონიძე, როსტომაშვილი, ბიბილური და სხვ.

შევჩერდეთ ბიბილურებზე. „ქსნის ერისთავთა მატიანის“ მიხედვით, VI ს-ში ისინი დვალეთიდან გადმოსულან და ქსან-არაგვის ხეობებში დამკვიდრებულან. ბიბილურის გვარისა იყვნენ ქსან-არაგვის ერისთავები. გადმოცემის მიხედვით, ქსნისა და არაგვის ხეველებს შორის ყოველთვის იყო დავა წმ. გიორგის ეკლესიასთან დაკავშირებით, რომელიც ამ ხევების საზღვარზე მდებარეობდა და რომლის დასაკუთრებასაც თითოეული მათგანი ცდილობდა. ერთხელ, გიორგობის დღესასწაულის დღეს, დვალეთიდან მოვიდნენ ძმები ბიბილურები, რომლებმაც შეარიგეს და დაამშვიდეს ორივე ხეველები. ქსნისა და არაგვის ხეველებმა თავიანთი პატივისცემის ნიშნად მოიწვიეს ისინი და დასვეს თავიანთ ერისთავებად. ერთი — არაგვის ხეობაში, მეორე კი — ქსანში. თვით მეფემაც დაამტკიცა ისინი ერისთავებად [ჯანაშვილი მ. 1899: 45]. ქსნის ხეობაში ისინი იწოდებოდნენ ვირშელებად, ქვენაფლაველებად და ლარგველებად. ლარგვისში მათ დიდი ციხესიმაგრეები ჰქონდათ [ჯანაშვილი მ. 1899: 291].

ისტორიულ ოსეთში ქრისტეს სწავლების შეტანა მცხეთიდან დაიწყო. მცხეთა ოსების „იერუსალიმი“ იყო. დიდმა მწიგნობარმა ნეოფიტე ურბნელმა [ჭიჭინაძე ზ. 1913: 4] გაავრცელა მათში მართლმადიდებლური ქრისტიანობა და წერა-კითხვა. თვით ნეოფიტე ოსების ეპისკოპოსად ითვლებოდა. ურბნისის ეკლესია, სადაც იგი მოღვაწეობდა, უძველესი ქრისტიანული კერა იყო. აქ წმინდა ნინოსაც უცხოვრია. აქვე დასვენებული იყო ულუმბოს ღვთისმშობ-

ლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელსაც მთიელი ოსები განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ. ურბნისის ეკლესია, მისი საამშენებლო წარწერის მიხედვით, V ს-ით თარიღდება. ნეოფიტე ურბნელის შემდგომ ოსების საეპისკოპოსოდ ნიქოზი იყო დანიშნული. დვალეთიც ეკლესიურად V ს-დან ნიქოზის საეპისკოპოსოს ეკუთვნოდა.

აღსანიშნავია, რომ XVIII ს-ში, როდესაც თურქეთის გავლენით ოსეთში ქრისტიანობა დასუსტდა, მის აღსადგენად, რაც რუსეთის ინტერესსაც შეადგენდა, აქ დაფუძნდა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი კომისია. მისიის უპირველესი მოღვაწენი ქართველი სასულიერო პირები იყვნენ. მისიის დამფუძნებელი ოსეთში ქართველი მოძღვარი პახომი იყო. ამ მისიაში მრავალი ქართველი სასულიერო პირი დაუღალავად შრომობდა როგორც ქრისტიანობის აღსადგენად, ასევე წერა-კითხვის გასავრცელებლად და სკოლების გასახსნელად. აქ მოღვაწეობდნენ: ნიკოლოზ და ქაიხოსრო მახათელაშვილები, ეფრემ ჯანდიერი, ანდრია ბიბილური, მოსე ზაალიშვილი, დიმიტრი პეტრიაშვილი. კომისიის დაარსებიდანვე (1845 წ.) მასში მსახურობდა დავით გურამიშვილის ძმა ქრისტეფორე და მრავალი სხვ. [ხანთაძე შ. 1957: 5].

რუსეთმა სამხრეთ ოსეთად გარდაქმნილი დვალეთი და მაღრან-დვალეთი მხოლოდ 1830 წელს შემოიერთა. სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკაში ინახება ამონაბეჭდი რომელიღაც სამხედრო კრებულიდან. სტატია უავტოროა. იგი ეხება XIX ს-ის 30-იან წლებში რუსეთის მიერ მოწყობილ სამხედრო ოპერაციას დვალეთსა და მაღრან--დვალეთში გენერალ რენენკამფის მეთაურობით, აქ სრული სიზუსტითაა აღწერილი, როგორ შევიდა რუსეთის ჯარი საქართველოდან დვალეთსა და მაღრან-დვალეთში და როგორი სისასტიკით გაუსწორდა თავისუფლებისთვის მებრძოლ ადგილობრივ მოსახლეობას. ამგვარად, ე. წ. სამხრეთ ოსეთი, ანუ დვალეთი და მაღრან-დვალეთი რუსეთმა შეიერთა XIX ს-ის 30-იან წლებში [Покорение южных осетин].

დვალეთისა და მაღრან-დვალეთის შემოერთებით ოს ხალხს შვება არ უგრძვნია. მათი ეკონომიური სიდუხჭირე ძველებურად ძლიერი იყო. ამიტომ მათ კვლავინდებურად მეზობლების ნოყიერ მიწებს მიაპყრეს თვალი.

XVII ს-დან იწყება მათი თანმიმდევრული ინტენსიური ჩამოსახლება კავკასიონის ძირითადი ქედის სამხრეთ ფერდობსა და მიმდებარე ქართულ დაბლობ სოფლებში, რომლებიც მტრის გამუდმებული შემოსევების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობისაგან საგრძნობლად შეთხელებული იყო. ოსები ხიზნებად, ე. ი. დროებით თავშეფარებულებად, დაუდგნენ ადგილობრივ ქართველ ფეოდალებსა და მემამულეებს. ესენი იყვნენ: მაჩაბლები, ერისთავები, ფალავანდიშვილები, ფავლენიშვილები, ფურცელაძეები, თაქთაქიშვილები და სხვ. ოსი ჩამოსახლებულები მათგან მიწებს იჯარით იღებდნენ, ამუშავებდნენ და მეპატრონეებს ღალასაც უხდიდნენ.

„ხიზნობა“ ძველი ქართული ინსტიტუტია. ხიზანი სახლდებოდა მემამულის მიწაზე განუსაზღვრელი ვადით, პირადი შეთანხმებით მიწის პატრონთან, თანახმად ხიზნური დამოკიდებულების ჩვეულებისა და არა რაიმე იურიდიული ხელშეკრულებით. ხიზანი თავისუფალი პიროვნება იყო და არა ყმა. მას ყოველთვის შეეძლო მიწის დატოვება. თვით მემამულესაც შეეძლო ხიზნის დათხოვა, მაგრამ ამ შემთხვევაში ის ვალდებული იყო ეზღო

მისთვის მამულში შეტანილი ღირებულების საფასური. მეპატრონესა და ხიზანს შორის დავა წყდებოდა სამედიატორო წესით“ [ასათიანი ა. 1919: 26].

ოსთა ჩამოსახლების ინტენსიურობა საქართველოში სულ უფრო და უფრო მატულობდა. ამიტომ შედარებით მოკლე დროში „თერგის, დიდი და პატარა ლიახვების, არაგვის, ჯეჯორასა და ყვირილას ხეობების სათავეები, ანუ ქსნის არაგვის, რაჭის საერისთაოების, აგრეთვე სამაჩაბლოსა და საწერეთლოს კუთვნილი ტერიტორიები ოსების კომპაქტური დასახლებებით მოიფინა“ [ითონიშვილი ვახ. 1995: 13].

ამგვარად, XIX ს-ში შიდა ქართლში კომპაქტურად დასახლებული ოსი მოსახლეობის გამო რუსეთმა შიდა ქართლის ეს შუაგული ნაწილიც, დვალეთის მსგავსად, „სამხრეთ ოსეთად“ მონათლა.

ვახტანგ ითონიშვილის აზრით, „საქართველოს ონომასტიკურ ველზე ტერმინების – „ოსეთისა“ და „სამხრეთ ოსეთის“ დამაგრებას დიდად შეუწყო ხელი ლიახველი და დვალელი მთიელი ოსებისთვის თბილისის გუბერნიაში შემავალი ე. წ. ოსეთის ოკრუგის გახსნამაც (1843 წ.), რომლის ერთ-ერთი მონაკვეთი, კერძოდ, „ნარის უბანი“, ანუ ისტორიული დვალეთის ტერიტორია, 1858 წელს თერგის ოლქს გადაეცა. ამრიგად, საქართველოს ადმინისტრაციულად მოწყვიტეს დვალეთის მხარე (დაახ. 500 კმ.) და შორს გამიზნული ტოპონიმური დივერსიით ნოყიერი ნიადაგი მოუმზადეს „ოსეთად“ ან „სამხრეთ ოსეთად“ მონათლულ ძველისძველ ქართულ მიწა-წყალზე ოსთა ტერიტორიულ პრეტენზიებს და „ორი ოსეთის“ სამერმისო გაერთიანების იდეის შემდგომ მუტაციას, რამაც XX ს-ში უკვე აგრესიული სეპარატიზმის სახით იჩინა თავი“ [ითონიშვილი ვახ. 1995: 14].

თავდაპირველად, საქართველოში მცხოვრები ოსი ხიზნები ქართული ორიენტაციისა იყვნენ. მათი დიდი ნაწილი ყოველთვის მონაწილეობდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი XIX ს-ში რუსებსაც ებრძოდნენ ქართველებთან ერთად ბაგრატიონების ტახტის აღსადგენად. ისინი აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი მთიულეთის 1804 წელს ამბოხებაში ფარნაოზ და იულიონ ბატონიშვილების მეთაურობით. ასევე ეხმარებოდნენ ბატონიშვილ ლევან იულიონის ძესაც რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში. ოსები ხშირად ქართველებთან ნათესაური კავშირითაც იყვნენ დაახლოებულნი. შეითვისეს ქართული წეს-ჩვეულებები, ქართველებისაგან ისწავლეს მიწათმოქმედება, ხელოსნობა. ქართველები და ოსები იზიარებდნენ ერთმანეთის ჭირსა და ლხინს [ჭიჭინაძე ზ. 1990: 3-4].

ეთნოგრაფი და მოგზაური ევ. მარკოვი 1887 წელს წერდა: „ოსები ამჟამად არც თუ ისე ბევრნი არიან. ისინი დაახლოებით 65 000 სულს შეადგენენ და მათგან დიდი ნაწილი ცხოვრობს ჩრდილოეთ ფერდობის ხეობებში ფას მთიდან ყაზბეგამდე. სამხრეთ ფერდობზე ცხოვრობს არა უმეტეს 20 ათასი ოსისა, რომლებიც უძველეს დროში გადმოსახლდნენ ქართველი ფეოდალების მიწებზე, თავადი ერისთავებისა, მაჩაბლებისა და სხვათა და ამის შემდეგ გახდნენ მათი ყმები და დაკარგეს ნამდვილი ოსების ხასიათი. ნამდვილი ოსი თავისი ხასიათით არის დიგორის მიუწვდომელი ხეობებისა და ასევე ციცაბო კლდეებით შემოზღუდული კასარის მსგავსი არდონის მცხოვრები“ [Марков Ев. 1887: 168].

ქართველების დახმარებით ოსების ამ სასიკეთო მეტამორფოზამ, მადლი-

ერების ნაცვლად, ქართველების მიმართ საწინააღმდეგო ნაყოფი გამოიყო.

„XVIII საუკუნის შუა წლებიდან ოსეთში პრორუსულმა ორიენტაციამ იძალა“. ამის მიზეზი იყო ის, რომ შუა საუკუნეების განმავლობაში ცენტრალური კავკასიონის ვიწრო ხეობებში შეყუჟული და ყაბარდოელი ფეოდალებისგან შევიწროებული ოსი ხალხის ისტორიული არჩევანი 1774 წ. გაკეთდა, როდესაც ოთხი ოსური თემი რუსეთს შეუერთდა. ოსების ოცნება, რომ ბარის ნაყოფიერ ველებზე გადასახლებულიყვნენ საცხოვრებლად, აღსრულდა. მათ მიეცათ შესაძლებლობა თერგისპირა დაბლობებზე დასახლებულიყვნენ. ეს პროცესი XIX ს. 20-იანი წლებისთვის დასრულებული იყო. რუსების მიერ დაარსებული სამხედრო ციხე-სიმაგრეები თანდათან ქალაქებად იქცნენ. ესენი იყვნენ: ვლადიკავკაზი, გროზნი, მოზდოკი, ყიზლარი და სხვ. თერგისპირა ველები ნაყოფიერი იყო, ქალაქებში გაცხოველდა აღებ-მიცემობა, განვითარდა მრეწველობა. ყოველივე ზემოთქმულმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ოსი ხალხის ეკონომიკური მდგომარეობა. ასეთმა სასიკეთო ძვრებმა ოსი ხალხი რუსეთისთვის „საიმედო ქვეშევდომად, თავად ოსეთი კი კავკასიაში რუსების დიდმპყრობელური ზრახვების განხორციელების უმთავრეს პლაცდარმად აქცია“ [ითონიშვილი ვახ. 1995: 14].

ოსურ სეპარატიზმს სათავე მაშინ დაედო, როდესაც კომუნისტებმა ჩვენი მიწა-წყლის დარიგებაში ჩვეული გულუხვობა გამოიჩინეს და საქართველოს გული – შიდა ქართლი 1922 წლის 20 აპრილს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქად გამოაცხადეს ცენტრით ცხინვალში.

საქართველო, ტრადიციულად, ყოველთვის კეთილგანწყობილი იყო ოსი ხალხის მიმართ. ეს გამოიხატებოდა იმ მუდმივ ზრუნვაში, რომელსაც იგი როგორც ოსი, ასევე სხვა კავკასიელი ხალხების განათლებისა და სულიერი ამაღლების საქმეში იჩენდა.

საქართველოს უნივერსიტეტები და ინსტიტუტები ზრდიდნენ ადგილობრივ კადრებს როგორც ცხინვალის რეგიონის, ასევე აფხაზეთისა და კავკასიის სხვა მხარეების გასავითარებლად. საქართველოში დიდი რაოდენობით გამოიცემოდა მათი სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურა.

დასასრულ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთს მეფის რუსეთის დროს უწოდებდნენ დვალეთსა და მაღრან-დვალეთს, ხოლო ის ტერიტორია, რაზედაც ამჟამად ოსი სეპარატისტები აცხადებდნენ პრეტენზიას, საქართველოს ძირძველი მიწა – შიდა ქართლია.

ჯ. სტეფნაძე იმოწმებს გამოჩენილ ოს მეცნიერ ვ. აბაევს: „კავკასიის მთავარი ქედი ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის და ყოველგვარ ცდას, ამ საზღვრის წაშლისა, მოჰყვება პერმანენტული კონფლიქტური ვითარება ქართველებსა და ოსებს შორის. იმისთვის, რომ ტრადიციული მეგობრობის კალაპოტში დავაბრუნოთ ორი ხალხის ურთიერთობა, უწინარესად, უნდა მოვსპოთ ლაპარაკი სამხრეთ ოსეთის საქართველოსაგან გამოყოფაზე. საქართველოს არც ერთი მთავრობა ამ აზრს არასდროს არ დათანხმდება და მართალიც იქნება, იმიტომ, რომ ეს იქნება საქართველოს მთლიანობის ტერიტორიული დარღვევა. ვისაც სამხრეთ ოსეთსა და ქართველთა შორის მშვიდობა უნდა, მან სამუდამოდ უნდა უარყოს

სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთთან შეერთების იდეა. ვისაც საქართველოსა და რუსეთს შორის მშვიდობა სურს, ასევე უნდა თქვას უარი ამ იდეაზე. ასეთია რეალობა“ [Абаев В. 1992].

მაგრამ ეს ბრძნული დარიგება დღეს რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

HISTORY

Marine Buleishvili

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian museum
3 Rustaveli ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: marine-buleishvili@rambler.ru

Ossetian People and Georgia

Summary

The article refers to the history of long existing relationship between Ossetian and Georgian people. It is noted that after the Mongols invasions Ossetian state stopped its existance. Residents were forced to move to the middle of the Caucasus mountains where they were formed into four tribes. Bad natural conditions and lack of agricultural land got Ossetian people into difficulties. They had to cross contiguous territory in order to get food. Ossetian people merged with the ethnic group Dvali, dwelling in the middle of Caucasus valley. The Ossetians assimilated with the above mentioned ethnic group and renamed the local place as South Ossetia.

Gradually, Ossetian people settled in the south slope of Caucasus mountains. Furthermore, they took refuge in Shida Kartli, which was Georgian territory, and paid to local feudal lords quitrents. In those days, they became close to local people and they often repelled enemies together with the Georgians.

In the 19th century, Russia renamed and announced the middle part of Shida Karlti (as it was done with Dvaleti and Magrantdvalet), as South Ossetia because of the Ossetians. solid settlement in that part of Georgia.

In the 20th century, the Ossetians demanded more territory and their aggressive attitude grew into separatism. This situation is still going on. All these events are clearly described in this article.

ბიბლიოგრაფია

ასათიანი ალ. 1919: *მიწის საკითხი საქართველოში.* თბილისი.

ითონიშვილი ვახ. 1995: *ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან.* თბილისი.

ჭიჭინაძე ზ. 1913: ისტორიული სურათები. *ნეოფიტე ურბნელის პორტრეტი.* თბილისი.

ჭიჭინაძე ზ. 1990: *ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათ ზედ. ისტორიული მიმოხილვა.* თბილისი.

ხანთაძე შ. 1957: ქართველი მოღვაწენი ჩრდილო კავკასიაში მე-18 საუკუნეში. *სსმ.* ტ. XIX-Л; XX-В. გვ. 406-411. თბილისი (რედ-ბი: შ. ხანთაძე, მ. კაჭარავა).

ჯავახიშვილი ივ., სურგულაძე პ., ლისტი პ. 1989: *ისტორიული რარიტეტები.* თბილისი.

ჯავახიშვილი ივ. 1919: *საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული.* ტფილისი.

ჯანაშვილი მ. 1899: *საქართველოს ისტორია.* თბილისი.

Абаев В. газ. «*Независимая газета*». 1992: №13. 22 января.

Гамрекели В. 1961: *Двалы и Двалетия в 1- XV вв н. э.* Тбилиси.

Иоселиани П. 1850: *Города существовавщие и существующие в Грузии.* Тбилиси.

Марков Ев. 1887: *Очерки Кавказа, Картины кавказской жизни, природы и истории.* Санкт-Петербург.

Меликсед-бек Л. 1925: *К археологии и этнографии Туалской Осии.* Тифлис.

Миллер В. 1887: *Осетинские этюды.* Часть III. Москва.

***Описание Кавказа с кратким историческим и статистическим описанием Грузии.* 1805:** Санкт-Петербург.

Покорение южных осетин. (ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკაში არსებული ამონაბეჭდი. IVG. #17234).

Старчевский А. 1854: *Справочно-энциклопедический словарь.* т. 3-4. Санкт-Петербург.

Цагарели А. 1891: *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии.* Т. 1 (от 1768-1774 гг.). Санкт-Петербург.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 300-312
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 300-312

ისტორია

ოთარ ჯანელიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი, 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: otar_janelidze@yahoo.com

კახეთის 1802 წლის პოლიტიკური პროტესტი და მისი შეფასებები

რუსეთის იმპერიისათვის არასოდეს ყოფილა უცხო შიდა დაპირისპირებები და დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, მაგრამ გაცილებით დიდ წინააღმდეგობას ცარიზმი კავკასიაში წააწყდა, სადაც იმპერიულ ძალმომრეობასთან შეურიგებლობის მაგალითად საქართველო იქცა.

ცნობილია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გამო ქართველი თავადაზნაურობის ნაწილმა უკმაყოფილება სიონის ტაძარში იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტის გამოცხადებისთანავე გამოხატა. რუსული საოკუპაციო რეჟიმის ამოქმედებამ საპროტესტო მუხტი კიდევ უფრო გააღრმავა. მამულის „დამხობამ“, „დამონებამ“ და „არარაობამ“ საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში ანტირუსული განწყობა წარმოშვა.

ალექსანდრე ორბელიანის სიტყვით, XIX ს-ის პირველი ნახევარი იყო დრო, როდესაც „თითქმის მთელ საქართველოს ... გატენილ თოფებზე ეძინა“, თუმცა, ბრძოლა წართმეული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად ქართველ ხალხს იმთავითვე იარაღით არ დაუწყია და, თავდაპირველად, წინააღმდეგობის მოძრაობას მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა.

1802 წლის ივლისი – რუსეთის კოლონიური მმართველობის შემოღებიდან მესამე თვე კახეთში მღელვარებითა და საპროტესტო გამოსვლით აღინიშნა. რუსულ ოფიციალურ მასალებში იგი „ბუნტად“, „აღშფოთებად“, „შეთქმულებად“ იხსენიება.

წინამდებარე კვლევის მიზანია პირველწყაროთა შესწავლა-ანალიზის გზით გამოვარკვიოთ, რა მოხდა სინამდვილეში კახეთში 1802 წელს და წარმოვაჩინოთ იგი როგორც თვითმხილველთა და თანამედროვეთა, ისე ისტორიკოსების შეფასებებში.

საისტორიო დოკუმენტური მასალის თანახმად, ინფორმაცია კახეთის მღელვარების შესახებ საქართველოში რუსული ადმინისტრაციისათვის ცნობილი პირველად 1802 წლის 21 ივლისს გამხდარა. ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის ერთ-ერთი მეთაური პოდპოლკოვნიკი სოლენიუსი გენერალ ლეონტიევს ატყობინებდა: ვრცელდება ხმები, რომ მთელი საქართველოს თავადობა და ობივატელთა ნაწილი „აბუნტდა“, ხოლო კარდენახელი თავადები წავიდნენ კრებაზე ქალაქში, სადაც თავმოყრილი იყო 40 ათასი ადამიანი. მათ კრების სახელით სურდათ, გაეფრთხილებინათ

კახეთში განლაგებული რუსული შენაერთები, დაეტოვებინათ სოფლები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ჯარებს მთელი მოსახლეობა იარაღით ხელში დაუპირისპირდებოდა [АКАК. 1866: 361].

1802 წლის 22 ივლისს თელავში მდგომი რუსთა ჯარის სარდალი გენერალი გულიაკოვი გენერალ ლაზარევს უპატაკებდა: ,,ერთმა ჩვენდამი კეთილგანწყობილმა პირმა ეს-ესაა მაცნობა კახეთის თავადთა შეთქმულების შესახებ ჩვენს წინააღმდეგ ბუნტის მოწყობის მიზნით" და იქვე ზემოთ ნახსენებ პოდპოლკოვნიკ სოლენიუსის პატაკსაც აწვდიდა.

ფრაზა – „თავადთა შეთქმულება ბუნტის მოწყობის მიზნით" სხვა ოფიციალურ მიმოწერაში, გამოსვლის მონაწილეთა ჩვენებებში, დაკითხვის მასალებსა და ახსნა-განმარტებებშიც არაერთგზის ფიგურირებს [АКАК. 1866: 363, 366].

იმავე დღეს გენერალ გულიაკოვის მომდევნო პატაკში აღნიშნულია, რომ მას უკვე დაუპატიმრებია „შეთქმულების მოთავენი" – სიმონ და დავით ქობულაშვილები, ასევე მათი მიმდევარნი – თავადი იოსებ ჭავჭავაძე და მღვდელი ელეფთერ ზუკაკიშვილი [АКАК. 1866: 362].

პ. კოვალენსკის მიმართვაში გენერალ ლაზარევისადმი, რომელიც ასევე 22 ივლისითაა დათარიღებული, მომხდარი მოვლენა ახალი სახელით იხსენიება. სახელდობრ, აღნიშნულია, რომ კახეთში გამართულა კრება, რომელზეც შეუგროვებიათ ხელმოწერებიც: «к нарушению обшаго спокойствия и на ниспровержениие настоящаго здесь правительства клоняшихся». აქვე გვხვდება გამოთქმები: „აღშფოთების მონაწილენი" და „მართებლობის ფარგლებიდან გამოსული" ქმედება [АКАК. 1866: 362; 382].

ცოტა მოგვიანებით კახელ თავადთა დანაშაული კვალიფიცირდება როგორც „რუსეთთან შეერთებულ და იმპერატორის ქვეშევრდომობაში მიღებულ საქართველოში არსებული სიმშვიდისა და კეთილდღეობის დარღვევა" [АКАК. 1866: 367].

თვალსაჩინო რუსი ისტორიკოსი პ. ბუტკოვი, რომელიც კახეთის თავადთა გამოსვლის დროს კავკასიის მთავარმართებელ კნორინგის კანცელარიის უფროსი იყო, მომხდარის აღსაწერად ამჯობინებს ტერმინებს – „შეთქმულება" და „კახეთის აღშფოთება" [Бутков П. 1869: 5, 29, 535, 536, 538]. აქვე დავძენთ, რომ იგივე ბუტკოვი ერთ მეტად საგულისხმო ცნობასაც გვაწვდის. მისი სიტყვით, დაპატიმრებული კახელი თავადები საქართველოს მმართველ პ. კოვალენსკის ქართლის თავადთა შუამდგომლობით გაუთავისუფლებია [Бутков П. 1869: 536].

როგორც დავინახეთ, 1802 წლის კახეთის თავადთა გამოსვლას პირველი შეფასებები საქართველოს რუსული ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა და სამხედრო პირთა პატაკებსა და მოხსენებით ბარათებში მიეცა. ჩვენთვის საინტერესო მოვლენა რუსი სამხედრო ისტორიკოსების ჩანაწერებში, სხვადასხვა ავტორთა ისტორიულ-პუბლიცისტურსა და მემუარულ პუბლიკაციებშიც აისახა.

გენერალ-ლეიტენანტი ნ. ბელიავსკი, რომელიც XX ს-ის დამდეგს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი იყო, 1802 წელს კახეთში მომხდარ მოვლენას „არეულობასა" და „საქართველოში საერთო აჯანყებას" უწოდებს [Утверждение русского владичества на Кавказе. 1901: 105, 106].

რუსი მწერალი და ჟურნალისტი ა. კრასნიცკიც ასევე იყენებს ფრაზას — „არეულობა საქართველოში“ [Покоренный Кавказ. 1904: 274].

ვ. ივანენკო თავის შედგენილ ცნობილ ნაშრომში, რომელიც კავკსიაში რუსული მმართველობის ევოლუციას ეძღვნება, 1802 წელს „კახეთის მემამულეთა შორის ძლიერი მღელვარების“ ფაქტს აღნიშნავს [Гражданское управление Закавказьем. 1901: 40].

ჩვენთვის საინტერესო საკითხი მონოგრაფიულად პირველად, და ჯერჯერობით ერთადერთმა, ნ. დუბროვინმა შეისწავლა [Дубровин Н. 1901:].

დუბროვინი რუსული ოფიციოზური ისტორიოგრაფიის დამამკვიდრებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მის ნაშრომებში ქართველი ხალხის უკმაყოფილების მიზეზები მართებულადაა აღწერილი, კახეთის პოლიტიკური გამოსვლის შეფასებისას რუსი სწავლული და გენერალი მხოლოდ და მხოლოდ იმპერიული ინტერესებიდან გამოდის. მისი სიტყვით: 1802 წლის ივლისის ბოლოს კახეთში «обнаружилось некоторое волнение народных умов». მისი აზრით, მღელვარება იყო მხოლოდ თავადებისა და გამოხატავდა მათს უბრალო პროტესტს, იმ ცრუ ხმების წინააღმდეგ, თითქოს ვინმე უკვეცავდა მათს საუკუნოებრივ უპირატესობას. უბრალო ხალხი დარჩა რუსული ხელისუფლების გულწრფელად ერთგული და სანდო. ... საჭირო იყო ამ ხალხის დაცვა, რამაც თავადების შეპყრობა განაპირობა [Дубровин Н. 1901: 252-256; Дубровин Н. 1886: 514, 516].

1802 წლის კახეთის თავადთა გამოსვლის ქართველ თანამედროვეთაგან აღსანიშნავია დავით და ბაგრატ ბატონიშვილების მოსაზრებები. დავით ბატონიშვილის სიტყვით: „წელსა ... 1802, ...აღადგინეს ამბოხი კახთა შემჭიდროების გამო რუსეთისა, და წარუვლინეს კაცი მეფის ძეს იულონს იმერეთს, რათა მოვიდეს კახეთს და ჰყონ მეფედ“ [მასალები საქართველოს ისტორიისათვის. 1905: 64].

ბაგრატ ბატონიშვილი თავის „ახალ მოთხრობაში“ თარიღის მიუთითებლად გვაუწყებს, რომ ვახტანგ ერეკლეს ძე ბაგრატიონმა: „აბირნა კახნი და აღადგინა შფოთი კახეთსა შინა და ეგრეთვე არაგვსაცა ზედა, რომელსაცა რუსნი თუმცაღა ამშვიდებდნენ, გარნა ვერ უძლეს“ [დავით ბატონიშვილი, ბაგრატ ბატონიშვილი. 1941: 82].

მოვუსმინოთ ალექსანდრე ყიფშიძეს (ფრონელი), რომელმაც რუსთა ბატონობისაგან ქართველი ერის განთავისუფლების პრობლემას რამდენიმე გამოკვლევა მიუძღვნა. იგი წერდა: „რუსის მხედრობის შემოსვლისთანავე დაიწყო მღელვარება საქართველოს სხვდასხვა კუთხეში. ... 1802 წელს მოხდა ამბოხება კახეთში. მართალია, მალე ჩააქრეს ეს მღელვარება კახეთის თავად-აზნაურებისა, მაგრამ უკმაყოფილება მთელ საქართველოს მოედო და, დატყვევებას ვინც გადაურჩა, განიფანტნენ და მთელს ქვეყანაში განთესეს უკმაყოფილების თესლი“ [ყიფშიძე ალ. 1896: 66].

სიმონ ქვარიანიც 1802 წლის ზაფხულში კახეთში განვითარებულ მოვლენას „უგვანო მართვა-გამგეობით“ გამოწვეულ მღელვარებას უწოდებდა, როცა ხალხი ხმამაღლა გაიძახოდა რუსების მისამართით: „როგორც მოსულან, ისე წაბრძანდნენო!“ ქართლ-კახეთის სამეფოს „ძალდატანებულმა შეერთებამ, ნაძალადევმა ფიცმა და, უმთავრესად კი, უზნეო ჩინოვნიკებმა შეაძულეს რუსის მთავრობა ქართველს ერს,

გამოიწვიეს დიდი უკმაყოფილება და დაბადეს ამბოხების თესლი“ [ქვარიანი ს. 1919: 32-33].

ქრისტეფორე რაჭველიშვილი უფრო ლაკონურად გადმოგვცემს: „1802 წელს კახეთის თავად-აზნაურობის სახელით მთავრობას წარუდგინეს მიმართვა. ამ მიმართვის ავტორნი სევდიანად აღნიშნავდნენ რუსეთისადმი იმედების გაცრუებას“ [რაჭველიშვილი ქრ. 1925: 11, 199].

სარგის კაკაბაძე მიიჩნევდა, რომ: „1802 წ. ქიზიყში და კახეთში მოეწყო შეთქმულება 50 თავადის და სხვა პირთა მონაწილეობით ... იულონის მეფედ გამოცხადების მიზნით. მონაწილენი იყვნენ თავადები ოთარ ჯანდიერი და სვიმონ ქობულაშვილი. შეთქმულება ჩაიშალა. შეთქმულნი დააპატიმრეს, მაგრამ თავის განზრახვათა მონანიების შემდეგ გაანთავისუფლეს“ [კაკაბაძე ს. 1997: 65].

რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის საკითხი ვერ დარჩებოდა და არც დარჩენილა ქართული ემიგრაციის ყურადღების მიღმა. ამ მხრივ განსაკუთრებით ფასეულია ალექსანდრე მანველიშვილის, თამარ პაპავას, მინდია ლაშაურისა (კუჭუხიძე) და სხვათა ნაშრომები.

ალ. მანველიშვილის სიტყვით: „ქართველები ვერ შეურიგდნენ რუსების მმართველობას, და კახეთში დაიწყო აჯანყება. კახეთის მცხოვრებთ უარი განაცხადეს, რუსების მმართველობისადმი დამორჩილებაზედ. ზოგიერთი თავადები გარბიან და შეუერთდებიან ალექსანდრე ბატონიშვილს. იწყება მღელვარება. .... მთელი სამეფო ოჯახი ჩაუდგა აჯანყებას სათავეში. ახლა ერთი, სამშობლოს საკითხი იდგა და აქ ყველა შეერთდა და ერთგულად მოქმედებდნენ“ [მანველიშვილი ალ. 1951: 218].

ალ. მანველიშვილი რამდენადმე აზვიადებდა, მიიჩნევდა რა, რომ: „რუსებსა და ქართველებს შორის გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, მაგრამ რუსებმა გაგზავნეს ჯარები და აჯანყება ჩააქრეს“ [მანველიშვილი ალ. 1951: 222]. თუმცა, მეორე მხრივ, ისტორიკოსი მართალია, როდესაც წერს: „ოფიციალური ნოტებითგან სჩანს, რომ ქართველები მოითხოვენ დამოუკიდებლობას, მათი მეფის და შინაური მართვა-გამგეობის აღდგენას, ამავე დროს კი, რუსეთის იმპერატორის მფარველობაში დარჩენას. უკანასკნელი მხოლოდ დიპლომატიური ხერხი იყო ქართველებისა. ოფიციალურ ნოტებში, ცხადია, თავიანთ განზრახვებს პირდაპირ ვერ განაცხადებდნენ; მაგრამ მთელი იმ გარემოების და ქართველთა ყოველმხრივი მზადებითგან კი მხოლოდ ერთი დასკვნა გვრჩება, რომ მათი მიზანი იყო რუსების სრული განდევნა საქართველოდან“ [მანველიშვილი ალ. 1951: 222-223].

ემიგრაციაში მოღვაწე თამარ პაპავა 1802 წლის კახეთის მღელვარებას „დიდ ქართულ მოძრაობას“ უწოდებს და მის აღსანიშნად ორ ტერმინს — „აღრევასა“ და „შეთქმულებას“ იყენებს [პაპავა თ. 1990: 258, 260].

იმავე პრობლემის გასაშუქებლად სიტყვა „აჯანყებას“ ამჯობინებდა ცნობილი ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე [Махарадзе Ф. 1933: 23]. მარქსისტი ისტორიკოსის, გიორგი ხაჭაპურიძის, გამოკვლევებში კი გვხვდება გამოთქმები: „ეგრეთ წოდებული კახეთის თავადთა შეთქმულება“ და კახეთის თავადების შეთქმულება „საქართველოს სამეფოს აღდგენისათვის ბაგრატიონებით სათავეში“ [Хачапуридзе Г. 1950: 61, 529].

ო. მარკოვა კახეთის 1802 წლის ხსენებულ მოვლენას მოძრაობად მოიხსენიებს, მაგრამ ამ ტერმინს რატომღაც ბრჭყალებში სვამს. მასვე ეკუთვნის ასევე ფორმულირება - „თავადაზნაურული ფრონდა“ და გამოთქმა - „კახეთის თავადთა „შეთქმულება“ საქართველოდან რუსების გარეკვის მიზნით“ [Маркова О. 1951: 28, 29, 31, 35, 40].

XIX ს-ის ისტორიის ცნობილი მკვლევრის, აბელ კიკვიძის, სიტყვით, „1802 წელს აჯანყდა კახეთის თავადაზნაურობა“ [კიკვიძე აბ. 1954: 42].

ნიკო ბერძენიშვილი მიიჩნევდა, რომ „ქართველი თავადი აჯანყდა ... ახალი წყობილების წინააღმდეგ და ძველი ქართული სამეფოს აღდგენისათვის, ქართველი მეფის დაბრუნებისათვის თავი გამოიდო“ [ბერძენიშვილი ნ. 1965: 267].

ნ. ბერძენიშვილი რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ 1802 წლის ქართველთა პირველი გამოსვლის აღსაწერად იყენებდა როგორც ტერმინ „აჯანყებას“, ისე „შეთქმულებას“ [ბერძენიშვილი ნ. 1965: 268-270], მაგრამ იქვე იმასაც მიუთითებდა, რომ: „თავდაპირველად კახელი თავადების ეს მოძრაობა მშვიდობიანი ხასიათისა იყო“. რუსეთის იმპერატორისათვის გასაგზავნ წერილში „ავტორები აჯობინებენ არაფერი თქვან იმის შესახებ, რომ ხელმწიფემ მეფობა მოშალა საქართველოში,— ხელმწიფის საყვედური მათ აშკარა აჯანყებად ჩამოერთმეოდა. ... კახელ პეტიციონერებს იმედი ჰქონდათ, რომ ხელმწიფისათვის მათი თხოვნის მისართმევად დარეჯან დედოფალს პეტერბურგს წასვლა მოუხერხდებოდა. მეორე მხრით, კახელი თავად-აზნაურობა თავისი სათხოვარის შესახებ პეტერბურში გარსევან ჭავჭავაძესა სწერდა და მას დახმარებას სთხოვდა“ [ბერძენიშვილი ნ. 1965: 269-272].

ნიკო ბერძენიშვილის ადრინდელ ჩანაწერებში, რომელიც ისტორიკოსს იოსებ სტალინთან მისი და სიმონ ჯანაშიას სტუმრობის დროს, 1945 წელს, გაუკეთებია, მოხმობილია სტალინის ფრაზები: „ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ ქართველი ფეოდალებისა. ბატონიშვილები, თავადები (ხალხის სახელით ცდილობენ გამოვიდნენ. ... „ფეოდალურ-მონარქისტული“ ოპოზიცია). ამ მოძრაობის დასასრული, 1832 წლის მარცხი“ [ბერძენიშვილი ნ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 2003: № 188].

„ფეოდალური ნაციონალიზმი“ — ფორმულის სახით ჩამოყალიბებული საბჭოთა პერიოდის ეს უმკაცრესი სინტაგმა განსაზღვრავდა იმ ფარგლებს, რომელშიც უნდა ჩატეულიყო არა მხოლოდ 1802 წლის კახეთის საპროტესტო გამოსვლა, არამედ XIX ს-ის პირველი მესამედის მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში.

ტერმინი „ფეოდალური“ არცთუ დიდი ხნის წინ ჩამორჩენილობასთან, სიბნელესთან, რეაქციულობასთან ასოცირდებოდა, ხოლო „ნაციონალიზმი“ კრიმინალად, ანტისახელმწიფოებრივ მსოფლ-მხედველობად იყო გამოცხადებული. თითოეული ეს ცნება საკმარისი იყო, რომ მასთან დაკავშირებული მოვლენა დადებით ჭრილში არც შეფასებულიყო და არც განხილულიყო. მით უფრო, თუ საქმე თავადაზნაურობას ეხებოდა, რომელსაც მარქსისტული ისტორიოგრაფია რეაქციის ბურჯად სახავდა, კონსერვატიულობის, დრომოჭმულობისა და უკუსაგდების სინონიმად წარმოაჩენდა.

თვალსაჩინო ისტორიკოს მამია დუმბაძის თანახმად: „შინაფეოდალური

რეაქცია და საგარეო მტრები კვლავ გაერთიანდნენ. ...1802 წელს ფეოდალებმა კვლავ სცადეს თავიანთი მიზნის განხორციელება. ისინი შეიარაღებული გამოსვლისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ ხალხმა მათ მხარი არ დაუჭირა და ამიტომ გეგმა ჩაეშალათ“ [საქართველოს ისტორია. 1956: 386].

მამია დუმბაძე თავის სხვა ნაშრომში წერდა: „1802 წ. მდგომარეობა კიდევ მეტად გამწვავდა. ამ წელს მოხდა კახი თავადების შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლების აღდგენას. ამავე წელს გააქტიურდა თავადაზნაურული ოპოზიცია და ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით ეწყობოდა ძლიერი შეერთებული გამოსვლა ქართლ-კახეთში რუსთა ბატონობის მოსასპობად“ [დუმბაძე მ. 1953: 129].

წარსულის მოვლენათა შეფასებები უფრო თავისუფალი და ობიექტური გახდა ე. წ. გარდაქმნის, საბჭოთა იმპერიის რღვევისა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ. თუმცა, კახეთის თავადთა 1802 წლის გამოსვლის სახელწოდების შესახებ ერთიანი აზრი დღემდე არ არსებობს. მაგალითად, ეთერ ორჯონიკიძე უპირატესობას სიტყვა „შეთქმულებას“ ანიჭებს. მის გამოკვლევაში ვკითხულობთ: „ჯერ სამი თვეც არ იყო გასული რუსული მმართველობის დამყარებიდან, რომ ივლისის ბოლოს კახეთში, სოფელ კელმენჩურში, თავადაზნაურობამ შეთქმულება მოაწყო. ...შეთქმულებს საერთო ხელმძღვანელობა ჰყავდათ. ...შეთქმულების ცენტრი დარეჯანის სასახლე იყო“ და სხვ. [ორჯონიკიძე ეთ. 1992: 22-23].

აკაკი და პაატა სურგულაძეების საკითხავ წიგნში ჩვენთვის საინტერესო მოვლენა სახელდებულია „შეთქმულებად“ და შეტანილია პარაგრაფში — „კოლონიური ჩაგვრისადმი საყოველთაო დაუმორჩილებლობა“. ნაშრომში აღნიშნულია: „ნაწილობრივ კონსერვატიულობის მიუხედავად, ეს შეთქმულება პროგრესული იყო, რადგან მიზნად ისახავდა საოკუპაციო რეჟიმის დამხობას და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აღდგენას 1783 წლის ტრაქტატის პირობებში. იგი წარმოადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ გამოვლინებას“ [სურგულაძე აკ., სურგულაძე პ. 1991: 28, 31].

კახეთის 1802 წლის პოლიტიკური პროტესტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფორმად, ფაქტობრივად, აჯანყებად მიიჩნია ალექსანდრე ბენდიანიშვილმა. მისი სიტყვით: „1802 წლის ივლის-აგვისტოში ეროვნული მოძრაობის ძირითადი კერა გახდა კახეთი. ...მოძრაობის მეთაურთა მიერ იმპერატორის სახელზე შედგენილ თხოვნაში ნათლად იყო ჩამოყალიბებული აჯანყებულთა მიზანი; ისინი მოითხოვდნენ ....ქართლ-კახეთის ავტონომიური სამეფოს აღდგენას. ასეთი მოთხოვნა მოძრაობის ხელმძღვანელებს დანაშაულად არ მიაჩნდათ. სხვაგვარად შეაფასა მოვლენა რუსულმა ხელისუფლებამ. მან დაუშვებლად მიიჩნია ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენა და ამისათვის მებრძოლ აჯანყებულთა დასათრგუნავად გადამჭრელი ღონისძიებები განახორციელა“ [ბენდიანიშვილი ალ. 1999: 11-12].

ვახტანგ გურულის აზრით, ეს მოვლენა „პოლიტიკური გამოსვლაა“, რომელმაც ნათელი გახადა, რომ ქართველი ერი არ შეურიგდებოდა სახელმწიფოებრიობის დაკარგვასა და იბრძოლებდა თავისუფლებისათვის [საქართველოს ისტორია. 2004: 79-81].

1802 წელს კახეთში განხორციელებულ „ამბოხებაზე“ საუბრობს ლევან

ურუშაძე. იგი ხსენებულ მოვლენას „სახალხო მღელვარებად“ განიხილავს, რომელსაც „აშკარად გამოხატული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა“ [ურუშაძე ლ. 2006: 83-84].

ზემოაღნიშნულ შეხედულებას იზიარებს ჰენრი კუპრაშვილი, რომელიც წერს, რომ: XIX საუკუნის დამდეგის საქართველოში საზოგადოებრივი აზრი, რუსეთის თვითნებობის მიუხედავად, მაინც იქითკენ იხრება, რომ „იარაღის ხელში აღებამდე, უნდა შეეცადოს რუსებს შეაგნებინოს, რომ რუსეთის ხელისუფლება საერთაშორისო სამართლის დოკუმენტის იგნორირებას ახდენს“. კახეთის თავადთა „წერილებში ნათლადაა გამოთქმული ქართული საზოგადოებრიობის სურვილი, სამართლებრივ ენაზე ესაუბროს რუსეთის ხელისუფლებას, თხოულობს შეასრულოს რუსეთმა საერთაშორისო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები. მოძრაობის მეთაურები მალე რწმუნდებიან, რომ პეტიციების მირთმევა და ოკუპანტებთან სამართლის ენაზე ლაპარაკი არ გამოდის. ამის შემდეგ ამბოხებული თავადაზნაურობა და გლეხობა ...25 ივლისს შეიკრიბნენ და გამოაცხადეს მეფედ იულონ ბატონიშვილი“ [კუპრაშვილი ჰ. 2011: 45-46].

იმპერიის ძალმომრეობისადმი დაუმორჩილებლობის მოძრაობად წარმოაჩენს კახეთის თავადთა გამოსვლას ვახტანგ სუხიტაშვილიც [სუხიტაშვილი ვ. 2006: 75].

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში?

1992 წელს გამოცემულ ფარნაოზ ლომაშვილის წიგნში, რომელიც განკუთვნილი იყო X კლასის მოსწავლეთათვის, 1802 წლის ცნობილი მოვლენა მოხსენიებულია „კახეთის აჯანყებად“ და იგი საქართველოში საყოველთაო ხასიათის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისადაა მიჩნეული: „მასობრივი ხასიათი მოძრაობამ მხოლოდ 1802 წლის ზაფხულიდან მიიღო, როცა კახეთში პირველი სერიოზული აჯანყება მოხდა. მასში მონაწილეობას იღებდა როგორც თავდაზნაურობა, ისე გლეხობა. რუსეთის ჯარები იძულებულნი გახდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგ იარაღი გამოეყენებინათ“ [ლომაშვილი ფ. 1991: 37-38].

2008 წელს დასტამბულ ალტერნატულ სახელმძღვანელოში XIX საუკუნის ისტორიის მონაკვეთი დიმიტრი შველიძის კალამს ეკუთვნის. მისი აზრით, 1802 წლის ქართლ-კახეთის თავადად-აზნაურთა საპროტესტო გამოსვლა აჯანყების ცდა იყო, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ადვილად გაუსწორდა. მარცხის მიზეზად მიჩნეულია ის, რომ თავად-აზნაურები დაქსაქსულად მოქმედებდნენ და მათ არ ჰყავდათ სათანადო სამხედრო ძალა, რომელიც რუსეთის ჯარს გაუმკლავდებოდა [ანჩაბაძე გ., გამყრელიძე გ. ... 2008: 306].

ჩვენ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში შესაბამისი პარაგრაფი დავასათაურეთ, როგორც „1802 წლის კახეთის თავადთა შეთქმულება“, ტექსტში კი ხაზი გავუსვით, რომ ეს იყო საპროტესტო ხასიათის პოლიტიკური გამოსვლა, რომელიც ძირითადად პეტიციებში ჩამოყალიბებული მოთხოვნებით შემოიფარგლა [ჯანელიძე ოთ., თაბუაშვილი ა. ... 2012: 249-250].

მაინც რა მოხდა სინამდვილეში კახეთში 212 წლის წინ?

1802 წლის ივლისში კახეთის თავადთა მოძრაობა რუსეთის იმპერა-

ტორთან გასაგზავნ პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვებით დაიწყო. ახალი მმართველობით უკმაყოფილო თავადებს ამ უწყინარი ფორმით სურდათ, ალექსანდრე I-ს გამოცხადებული მანიფესტი შეეცვალა და რუსეთ-ქართლ-კახეთის ურთიერთობა გეორგიევსკის ტრაქტატის ფარგლებში დაებრუნებინა.

„პეტიციონერები“ ქართლ-კახეთის მეფედ იულონ ბატონიშვილს მოითხოვდნენ. ისინი, ამასთანავე, თავიანთი შელახული უფლებების აღდგენას, მოხელეთა თვითნებობის ალაგმვას, კახეთის სოფლებიდან იქ დაბანაკებული რუსული ჯარის ნაწილების გაყვანას ესწრაფვოდნენ. მოთავენი იყვნენ ივანე ანდრონიკაშვილი, ომან ჯანდიერი, იოსებ და ივანე ჭავჭავაძეები, სიმონ და დავით ქობულაშვილები. ერთმანეთთან ფიცით შეკრულ თავადებს კონსპირაციისათვის საიდუმლო შიფრიც ჰქონდათ შედგენილი.

მოძრაობას, რომელთანაც ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის თითქმის ყველა წევრი იყო დაკავშირებული, თბილისიდან დარეჯან დედოფალი ხელმძღვანელობდა.

კახეთის თავადებს არ ჰქონიათ განზრახული მაინცდამაინც რადიკალური მოქმედება და რუსულ მმართველობასთან იარაღით დაპირისპირება. ამას ცხადყოფს მათი წერილი გენერალ ლაზარევისადმი, რომელშიც მითითებულია: „ჩვენ კახეთის თავადთ ერთობით პირობა გვქონდა ხელმწიფისათვის არზა მიგვერთმევინა და ჩვენი მემკვიდრე ბატონი გვეთხოვნა. ... ლაკბეზედ შევიყარენით. ...ჯერ ხელმწიფის ერთგულებაზე დავიფიცეთ, მერე ჩვენს მემკვიდრე ბატონის თხოვნაზედ, რომ მეფეთ იულონ გვეთხოვნა ყოვლადმოწყალის ხელმწიფისათვის. ამის მეტი არცარა ჩვენ გვქონია დანაშაული“ [АКАК. 1866: 361, 364]. სხვა წერილში გენერალ გულიაკოვისადმი კი აღნიშნულია: „ ...მთლად ქიზიყმა და სხუათ თავად და გლეხთ ჩუენს ჯერ ხელმწიფის ერთგულობაზედ დავიფიცეთ, მერე იულონის მეფობაზედ, რომ იულონ მეფედ გვეჯდეს და ხელმწიფის ერთგულნი ვიყვნეთ, რაც ხელმწიფეს ჩვენგან სამსახური ენებებოდეს, ჩვენს მეფეს უბრძანოს და ჩვენმა მეფემ ჩვენ გვიბრძანოს და ისე ჩვენის შეძლებით ხელმწიფეს ვმსახუროთ“ [АКАК. 1866: 369].

აღსანიშნავია, რომ, როდესაც მდინარე კელმენჩურთან შეკრებილ ქიზიყის მოსახლეობას კაზაკთა რაზმისა და არტილერიის თანხლებით პოდპოლკოვნიკი სოლენიუსი მიადგა, შეკრებილებმა სისხლინ შეტაკებას თავი მოხერხებულად აარიდეს და, როგორც ერთ-ერთ იმ დროინდელ დოკუმენტში ვკითხულობთ, „ხელმწიფის საწყენ საქმეში“ არ გაერივნენ. მიუხედავად ამისა, თავადები არ მორიდებიან რუსთა უპირობის მხილებას: „რაც მოწყალება მანიფეშტით გვიბრძანა (იგულისხმება ალქსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი — ო. ჯ.), თქვენგან არ აღგვისრულდა: უშიშროება გვიბრძანა, რაში სჩანს? სოფლებსა და სოფლებს გლეჯენ ლეკნი და თქვენ არას ნაღვლობთ. ეკლესიებისა და ეპისკოპოსთ პატივის მომატება ბრძანა, — თქვენ ყმა და მამული მთლად ჩამოართვით: თავადთ პატივის მომატება გვიბრძანა, ჩვენ, რომელნიც ჩვენი ბატონებისაგან პატივცემულნი ვიყავით და იქიდამ ვრჩებოდით, ის პატივი მოგვეშალა“, — წერდნენ ისინი [АКАК. 1866: 388].

რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით, კახეთის თავადთა მოქმედებაში, მისი მშვიდობიანი ხასიათის მიუხედავად, მაინც იკვეთება

დანაშაულის რამდენიმე ასპექტი. მარტო ფიცის გატეხვისათვის, რომელიც მათ იმპერატორის ერთგულებაზე ჰქონდათ დადებული, სასჯელი სამი კვირიდან სამ თვემდე პატიმრობას ითვალისწინებდა. ამასთან, ხელმწიფისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაში ნებისმიერი მონაწილეობა, ხელისუფლების დამხობის ანდა არსებული წეს-წყობილების შეცვლის მიზნით ბუნტში, შეთქმულებასა თუ აჯანყებაში გარევა ყოველგვარი უფლების აყრასა და სიკვდილით დასჯას ექვემდებარებოდა. თუ ამგვარ ბოროტგანზრახვას მთავრობა წინასწარ გახსნიდა, ისე რომ ბრალდებულთა ქმედებას მძიმე შედეგი არ მოჰყვებოდა, დამნაშავეებს სიკვდილით დასჯას კატორღაში ხანგრძლივი გადასახლებით უცვლიდნენ (10-დან 15-მდე წლამდე ვადით).

მართალია, ამ მუხლებმა ასეთი ფორმულირება მოგვიანებით, 1845 წელს, მიღებულ დოკუმენტში ჰპოვეს, რომელსაც ეწოდება „Уложения о наказаниях уголовных и исправительных“, მაგრამ, ფაქტობრივად, მანამდეც მოქმედებდა [http://www.pravo.gov.ru], მაგალითად, 1755-1756 წლების ბაშკირეთის ანტირუსული აჯანყების მეთაურ ბატირშას (ნამდვილი სახელია გაბდულა გალიევი) ნესტოების მოჭრა, მათრახის გადაკვრა და შლისებურგის ციხეში სამუდამო პატიმრობა გადაუწყვიტეს [http://interpretive.ru].

საქართველოს რუსული ადმინისტრაცია კახეთის პოლიტიკური გამოსვლის დროს ჯერ კიდევ არ იყო დაქვემდებარებული პეტერბურგში მოქმედი მმართებელი სენატის კონტროლს და აქ არც კანონის ზედამხედველი პროკურორები ჰყავდათ დანიშნული. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მაშინ შემოღებული არ ყოფილა კატორღა, არც გადასახლება და შოლტი [Гражданское управление Закавказьем. 1901: 39, 42]. არანაკლებ საყურადღებოა ისიც, რომ, თვით რუსი ავტორების აღიარებით, კახეთში განვითარებული მოვლენებისას ადგილობრივ მოსახლეობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა რუსული მართლმსაჯულების ამოქმედების შესახებ, რადგან კანონები ქართულად არავის უთარგმნია და საქმეები კანონის საფუძველზე კი არ წყდებოდა, არამედ ‹‹домашним пройзводством у правителя Грузии›› [Дубровин Н. 1901: 234].

ქართველ თავადთა გამოსვლისას გამოყენებული პროტესტის მშვიდობიანი ფორმები კოვალენსკიმ მხოლოდ პოსტ ფაქტუმ აკრძალა. საქართველოს სამოქალაქო მმართველმა 1802 წლის აგვისტოში საგანგებო პროკლამაცია გამოსცა, რომლის საფუძველზე იკრძალებოდა ყოველგვარი თავყრილობები, წვეულებანი, კრებები, შექუჩებები და თათბირები, ნებადაურთველი თხოვნებისა და წერილების შედგენა, კოლექტიური ხელმოწერები და მმართებლობის საწინააღმდეგო სხვა მოქმედებები [Дубровин Н. 1886: 531-532].

1802 წლის კახეთის პოლიტიკური გამოსვლის მონაწილენი სხვა-დასხვაგვარად დასაჯეს. ზოგიერთს (სიმონ და დავით ქობულაშვილებს, იოსებ ჭავჭავაძეს, მოძღვრებს — ელეფთერ ზუკაკიშვილსა და ხელაშვილს) მცირე ხნით პატიმრობა არგუნეს, ზოგზე პოლიციური მეთვალყურეობა დააწესეს, რისი დარღვევის გამოც მოგვიანებით მხოლოდ ორი-სამი დღით დააპატიმრეს [АКАК. 1866: 407].

კავკასიის რუსული ადმინისტრაციის საქმიანობის შესაფასებლად პეტერბურგიდან თბილისში საგანგებოდ გამოგზავნილი მაღალი

რანგის მოხელე, საგარეო საქმეთა კოლეგიის მრჩეველი ა. სოკოლოვი იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს, გრაფ პ. კოჩუბეის, წერდა: ,,აქაურ მმართველებს ჩვევიათ საგანთა გაზვიადება და ყოველგვარი მოძრაობისათვის არადეკვატური სახელის დარქმევა და რომ, კახეთის თავადთა საგამოძიებო საქმის წარმოებაში მან ბრალდება უფრო მეტი დაინახა, ვიდრე მტკიცებულება“.

სოკოლოვი ასევე დასძენდა: ვერ უარვყოფთ, რომ აშკარა გონებრივი რყევა, ცალკეულ თავადთა და აზნაურთა მიერ ხელმოწერების შეგროვება და ჩვენდამი არაკეთლგანწყობილ ბატონიშვილებთან კავშირი, არ იძლეოდა ხელისუფლებისადმი გარკვეული მტრული შთაგონების საფუძველს, მაგრამ თავადთა გულუბრყვილო საქციელი არ იმსახურებდა ისეთ მკაცრ გამოძიებასა და შეუფერებელ (неприличного) სახელდებას, როგორიცაა „აღშფოთება“, მით უფრო, დაპატიმრებებს ჩადენილში დაუსაბუთებელი ეჭვის საფუძველზე [АКАК. 1868: 18].

კახეთის თავადთა 1802 წლის გამოსვლა მართლაც ატარებდა შეთქმულების, ბუნტისა და ამბოხების ნიშნებს. მოძრაობის შეთქმულებრივ ხასიათზე აშკარად მიგვითითებს გამოსვლის იდეის თავადთა ვიწრო წრეში ჩასახვა, ხოლო დანარჩენ თანამოაზრეებში მისი ფარული გზით გავრცელება და კონსპირაციისათვის საიდუმლო შიფრის გამოყენება.

განსახილველ მოვლენაში ბუნტის მახასიათებელი ისეთი ნიშან-თვისებებიც თვალნათლიც იკვეთება, როგორებიცაა: ხალხის მიერ მმართველობის არსებული წესის მასობრივი მიუღებლობა, შეკრებისაკენ მოწოდებები და რეჟიმის საწინააღმდეგო ფართო თავყრილობა.

პირველწყაროებში აღნიშნულია ისიც, რომ მოძრაობის მონაწილეები შეიარაღებულნი იყვნენ. შეიარაღებაში, ცხადია, არ იგულისხმება ხმალი ან ხანჯალი, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ ქართული ტრადიციული სამოსის ატრიბუტად მიიჩნეოდა. საუბარია ცეცხლსასროლ იარაღზე, რომლითაც აღჭურვა, სავარაუდოდ, შეიარაღებული ამბოხებისათვის მზადყოფნასაც უნდა ნიშნავდეს.

ზოგადად, კახეთის თავადთა გამოსვლა ეროვნული თავისუფლების მიზნით წამოწყებული პოლიტიკური ხასიათის მოძრაობა იყო, რომელიც არსებული რეჟიმისადმი შეურიგებლობის, დაუმორჩილებლობისა და პროტესტის ნიადაგზე წარმოიშვა. მოძრაობა პოლიტიკურად უნდა ვიგულვოთ, თუნდაც იმის გამო, რომ იგი არღვევდა, მართალია, უსამართლო, მაგრამ უმაღლესად დადგენილ წესსა და რიგს. კახელმა თავადებმა თავსმოხვეულ რუსულ მმართველობას ბაგრატიონთა ხელისუფლების აღდგენა დაუპირისპირეს. მათ ხელისუფლებისაგან სრულიად დაუკითხავად იმოქმედეს — იულონი მეფედ მოიწვიეს, მის ერთგულებაზე დაიფიცეს, მერე იგივე ფიცი ხალხსაც მიაღებინეს და მხოლოდ შემდეგ შეეცადნენ მიეღოთ დასტური რუსთ ხელმწიფისაგან.

გამოსვლას აშკარად ჰქონდა არსებული რეჟიმის საწინააღმდეგო ხასიათი. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ მღელვარება არ შეწყვეტილა ხელისუფლების მოთხოვნისთანავე და ამის შემდეგაც რამდენიმე კვირა გრძელდებოდა. ზოგიერთი თავადი საერთოდ არ დაემორჩილა ადმინისტრაციის განკარგულებას და, სახლში დაბრუნების ნაცვლად, იარაღით ხელში რუსეთის ხელისუფლებასთან აშკარად მებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილს შეუერთდა.

კახეთის თავადებს, როგორც ამას გარსევან ჭავჭავაძე ზემოთ ნახსენებ კოლეგიის მრჩეველ ა. სოკოლოვს განუმარტავდა, დანაშაული შეგნებულად არ ჩაუდენიათ, მათ ალექსანდრე I-ის მანიფესტი არ აღუქვამთ როგორც რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა და, ამდენად, არც ამ ქვეშევრდომობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა და ვალდებულებები ჰქონდათ გაცნობიერებული [АКАК. 1868: 10-11].

შესაძლოა, ყოველივე ამით გარსევან ჭავჭავაძე თანამემაულე თავადთა მსჯავრის შემსუბუქებას ცდილობდა, თუმცა, რუსეთში ამ გარემოებასაც ანგარიში გაუწიეს. უფრო საფიქრებელია, რომ საიმპერიო ხელისუფლებამ კახეთის ამბებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება რეალობის გათვალისწინებით მიიღო. ეს რეალობა კი ამგვარი იყო: რუსეთის პოზიციები საქართველოში დასამკვიდრებლად, სადაც მან ის იყო ფეხი შემოდგა, ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული. ზედმეტი სიმკაცრე და რეპრესიები მოსახლეობის არისტოკრატიული ნაწილის მიმართ, რომელსაც იმპერია თავის დასაყრდენ ძალად მოიაზრებდა, თვით იმპერიისავე ინტერესებიდან გამომდინარე, გაუმართლებელი იქნებოდა.

ამიტომ ქართველი თავადაზნაურობის ხსენებულ გამოსვლას არ მიეცა ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკური დანაშაულის კვალიფიკაცია. მეტიც, თავადთა უმრავლესობა თავიანთი ქმედებისათვის საერთოდ არ გაუსამართლებიათ. ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, მათ ყოველივე ეპატიათ, რადგან: 1. დანაშაული ჩაიდინეს უცოდინრობის გამო, 2. დანაშაული ჩაიდინეს პირველად, 3. თავადებმა შეიგნეს და გულწრფელად მოინანიეს.

შეთქმულების მონაწილენი მხოლოდ საგანგებოდ გააფრთხილეს, რომ, თუ მსგავს ქმედებაში კვლავაც იქნებიან შემჩნეულნი, დაისჯებიან მკაცრად როგორც „ბუნტოვშიკები“ [АКАК. 1866: 379].

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ 1802 წლის ზაფხულში აღმოსავლეთ საქართველოში იყო რუსული რეჟიმით მოსახლეობის უკმაყოფილება, იყო მღელვარება, იყო პროტესტი, მაგრამ კახეთის გამოსვლა არ გადაზრდილა რადიკალურ ქმედებაში. რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, XIX ს-ის დამდეგის ქართველმა თავად-აზნაურებმა, რომელთაგან ბევრმა პეტიციაზე საკუთარი გვარიც ვერ მოაწერა და ეს საქმე წიგნიერ სასულიერო პირს მიანდო, თავისუფლებისათვის ბრძოლის მშვიდობიანი, ცივილიზებული ფორმა აირჩია, თუმცა, უშედეგოდ. თავადებს გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ იმპერატორი მათ თხოვნას შეიწყნარებდა, ბაგრატიონთა გაუქმებულ სამეფოს აღადგენდა და ფეოდალთა ძველ პრივილეგიებსაც ხელუხლებლად დატოვებდა.

ქართული წარჩინებული წოდების ფრონდისტული განწყობის გამო მეფის მთავრობას თავისი კავკასიური პოლიტიკა, ცხადია, არ გადაუსინჯავს, მაგრამ ალექსანდრე I იძულებული გახდა, რამდენადმე შეემსუბუქებინა საოკუპაციო რეჟიმი.

Otar Janelidze

The Georgian Natcional Muzeum, Simon Janashia Georgian Muzeum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: Otar_janelidze@yahoo.com

The 1802 Year Political Protest in Kakheti

Summary

Protest actions of Kakhetian nobility against Russian colonial regime in 1802 was mentioned in official materials as a "riot", "anger" and "conspiracy". The objective of the research is to determine a real character of the abovementioned event and to present it in the evaluations of its witnesses and contemporaries, as well as historians by studying and analyzing historical sources.

The article studied and reviewed reports of the heads of Russian Administration of Georgia and military people (P. Kovalenski, Guliakov, I.Lazarev), as well as records, historical and publicist works and memoirs of Russian military historians (N. Dubrovin, N.Beliavski etc.) and other authors.

There is a substantiated opinion that protest demonstration of Kakhetian nobility was a political movement aimed to obtain national freedom. It began on the ground of irreconcilability, insubordination and protest to the existing regime.

ბიბლიოგრაფია

ანჩაბაძე გ., გამყრელიძე გ., კიკნაძე ზ., სურგულაძე მ., შველიძე დ. 2008: *საქართველოს ისტორია. IX კლასი.* თბილისი.

ბენდიანიშვილი ა. 1999: *საქართველოს ისტორია. 1801-1921.* თბილისი.

ბერძენიშვილი ნ. 1965: *საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი II.* თბილისი.

ბერძენიშვილი ნ. სტუმრად სტალინთან. *გა ზ. „საქართველოს რესპუბლიკა".* 2003: № 188. გვ. თბილისი.

დავით ბატონიშვილი, ბაგრატ ბატონიშვილი. 1941: *ახალი ისტორია. ახალი მოთხრობა.* თბილისი.

დუმბაძე მ. 1953: *აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან.* თბილისი.

კაკაბაძე ს. 1997: *ქართველი ხალხის ისტორია.* თბილისი.

კიკვიძე აბ. 1954: *საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე.* თბილისი.

კუპრაშვილი ჰ. 2011: *„დიდი რუსიანობა" (XIX საუკუნის პირველი ნახევარი).* თბილისი.

ლომაშვილი ფ. 1991: *საქართველოს ისტორია (1801-1918). X კლასის სახელმძღვანელო.* თბილისი.

მანველიშვილი ალ. 1951: *რუსეთი და საქართველო (1801-1951). პირველი*

ტომი. პარიზი.

მასალები საქართველოს ისტორიისათვის. შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა (1744-1840). 1905: თფილისი.

ორჯონიკიძე ეთ. 1992: *რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში.* თბილისი.

პაპავა თ. 1990: *დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში.* თბილისი.

რაჭველიშვილი ქრ. 1925: *საქართველოს მოკლე ისტორია. დასაბამიდან 1917 წლამდე ისტორიული რუკით.* ტფილისი.

***საქართველოს ისტორია I.* 1956:** თბილისი.

***საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე.* 2004:** თბილისი.

სურგულაძე აკ., სურგულაძე პ. 1991: *საქართველოს ისტორია.* თბილისი.

სუხიტაშვილი ვ. 2006: *ალექსანდრე ბატონიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა.* თბილისი.

ურუშაძე ლ. 2006: *საქართველოსა და კავკასიის XVIII-XIX საუკუნეების ისტორიის საკითხები ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურაში.* სადისერტაციო ნაშრომი ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

ქვარიანი ს. 1919: *ქართველი ერის ისტორია (XVIII-XIX საუკუნე. ტ. I.* ქუთაისი.

ყიფშიძე ალ. 1896: *მთიულეთი. 1804 წ.* თფილისი.

ჯანელიძე ო., თაბუაშვილი ა., თავაძე ლ., ირემაშვილი ნ. 2012: *საქართველოს ისტორია. 9.* თბილისი.

АККК.* 1866*: т. I. Тифлис.

АКАК. 1868: т. II. Тифлис.

Бутков П. 1869: *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. часть вторая.* Санкт-Петербург.

Гражданское управление Закавказьем, составил В. Н. Иваненко. 1901: Тифлис.

Дубровин Н. 1886*: История войны и владычества русских на Кавказе. т.III*. Санкт-Петербург.

Дубровин Н. **1901:** *Тысяча восемьсот второй год в Грузии*. Тифлис.

Маркова О. 1951: *Восстания в Кахетии 1812 г.* Москва.

Махарадзе Ф. **1933:** *Грузия в девятнадцатом столети*. Тифлис.

Покоренный Кавказ. 1904: Очерк. Санкт-Петербург.

***Утверждение русского владичества на Кавказе под рукаводством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Бельяевского.* 1901: т. I.** Тифлис.

Хачапуридзе Г. **1950:** *История Грузии первой половины XIX век*. Тбилиси.

http://www.pravo.gov.ru/proxy/ips/?empire&nochache – (Свод законов Российской Империи. т. XV. Положение о наказаниях).

http://interpretive.ru/dictionary/1306/word/batyrsha (Батырша).

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 313-322
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 313-322

ისტორია

ქეთევან მუშკუდიანი*, მანანა ხიზანიშვილი*

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: etnomanana@yahoo.com

კავკასიის ფლორა – ფაუნის მკვლევარი პოლონელი ნატურალისტი ლუდვიგ მლოკოსევიჩი

XIX ს-ის შუა ხანებში რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მუზეუმის ინიციატივით სამუზეუმო ნივთების მოსაძიებლად მთელი კავკასიის მასშტაბით სამეცნიერო საზოგადოებებთან შეიქმნა სპეციალური კომისიები, შემუშავდა სამუშაო პროგრამები, შედგა კითხვარები და ცნობარები. ამ საქმეში აქტიურად ჩაებნენ ადგილობრივი და იმხანად საქართველოში მოღვაწე უცხოელი მეცნიერები. მუზეუმში თავი მოიყარა, ძირითადად, შემოწირულობითა და შესყიდვით შემოსულმა საინტერესო ექსპონატებმა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ექსპედიციებისა და სამეცნიერო მივლინებების დროს მოძიებული ნივთებით ფონდების შევსებას. ამ საქმიანობას განსაკუთრებით გეგმაზომიერი და მეცნიერული ხასიათი მიეცა კავკასიის მუზეუმის დაარსების შემდგომ. მუზეუმის საინვენტარო წიგნების გაცნობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო საქართველოში მოღვაწე ნატურალისტ ლ. მლოკოსევიჩისა და მისი შვილების – ვლადიმერის, იულიასა და ანას მიერ ლაგოდეხში, დაღესტანსა და ზაქათალის ოლქში შეგროვებული ექსპონატების შემოწირულობის აქტებმა. ჰერბარიუმებითა და ზოოლოგიური კოლექციებით მუზეუმის ფონდების შევსებაზე ზრუნვა ლ. მლოკოსევიჩმა XIX ს-ის 70-იანი წლებიდან დაიწყო. 1905-1912 წლებში კი ამ მასალას მრავალფეროვანი და საინტერესო ეთნოგრაფიული ნივთებიც დაემატა. ეს კოლექცია ამჟამად დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის საბუნებისმეტყველო და ეთნოგრაფიული დეპარტამენტების ფონდებში.

ლ. მლოკოსევიჩს საქართველო თავის მეორე სამშობლოდ მიაჩნდა. ცხოვრების ნახევარზე მეტი მან ლაგოდეხში გაატარა. პირველმა აღმოაჩინა ლაგოდეხის ხეობის უნიკალური ფლორა და ფაუნა, რაც აქაური სუბტროპიკული ჰავითა და კლიმატით იყო გამოწვეული. იგი სიცოცხლის ბოლომდე ამ ულამაზესი მხარის თავდადებული დამცველი და მოამაგე გახდა. მას, ამავე დროს, უდიდესი წვლილი მიუძღვის, ზოგადად, კავკასიისა და ირანის ეკოსისტემის დაცვისა და შესწავლის საქმეში. სტატიის მიზანია, საზოგადოებას გავაცნოთ ლაგოდეხის ნაკრძალის ფუძემდებლის, დენდროლოგის, ორნითოლოგისა და მოგზაურის, ლ. მლოკოსევიჩის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალები.

1909 წლის გაზეთ «Закавказье» -ში აგრონომი, თავად-აზნაურთა საზოგადოების წინამძღოლი, თავადი დიმიტრი ჩოლოყაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებოდა, რომ დაღესტანში, საქართველოს საზღვართან, ექსკურსიაზე ყოფნის დროს 78 წლის ასაკში უეცრად გარდაიცვალა დენდროლოგი ლიუდვიგ მლოკოსევიჩი. ამავე წერილში მან მოკლედ წარმოაჩინა საქართველოში, კერძოდ, ლაგოდეხში, მისი ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგები. მას, როგორც დაუვიწყარსა და დაუღალავ მუშაკს, სამართლიანად უწოდა კავკასიის ბუნების კვლევის პიონერი და თანაგრძნობითა და მადლიერებით სავსე, თბილი სიტყვებით გამოემშვიდობა [Чолокашвили Д. газ. «Закавказье». 1909: №149]. ამ პუბლიკაციით ფართო საზოგადოებისათვის პირველად, გახდა ცნობილი ნატურალისტის ღვაწლის შესახებ. მიზეზები კი, ალბათ, უპირველისად თავად ლ. მლოკოსევიჩის პიროვნულ ხასიათსა და ცხოვრების წესში უნდა ვეძიოთ:არაორდინალური, რაინდული თვისებების მქონე, მოკრძალებული, თბილი, თავმდაბალი, იდუმალი და უცნაური ადამიანი, – ასე ახასიათებდნენ მას ნაცნობ-მეგობრები და ადგილობრივი მოსახლეობა. მისი „უცნაურობა" კი ის იყო, რომ ხშირად თოვლში ფეხშიშველი დადიოდა, ზამთარში ცივ მდინარეში ბანაობდა, დაჭრილი ცხოველები და ფრინველები ტყიდან შინ მიჰყავდა და მათზე ზრუნავდა. სამაგიეროდ, ლ. მლოკოსევიჩის სახელს კარგად იცნობდნენ კავკასიის მუზეუმის, რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების, იურევისა და ვარშავის უნივერსიტეტების, პარიზის სააკლიმატიზაციო საზოგადოების საბუნებისმეტყველო დარგის მეცნიერები. მის გარდაცვალებას მწუხარებით გამოეხმაურა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ანდრეი სემიონოვ-ტიან-შანსკი და იმდროინდელი სამეცნიერო გამოცემები [Згонников П. 1990: 28].

ლიუდვიგ მლოკოსევიჩი დაიბადა 1831 წლის 25 აგვისტოს პოლონეთის ქალაქ ვარშავაში, დიდგვაროვნის ოჯახში (სურ. 1). მამამისი ცნობილი მხედართმთავარი, გენერალი ფრანციშეკი, თავდაპირველად, ნაპოლეონ ბონაპარტის არმიაში მსახურობდა, შემდეგ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა მიიღო. პოლონეთის ცნობილ ადამიანთა ბიოგრაფიული ენციკლოპედიის მიხედვით, ფრანციშეკი პოლონეთის 1930 წლის აჯანყებაშიც მონაწილეობდა. იგი ვაჟიშვილის სამხედრო კარიერაზე ზრუნავდა. ამიტომ, ბიჭის სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, 11 წლის ლიუდვიგი ბრესტის კადეტთა კორპუსში მიაბარა სასწავლებლად. პატარაობიდანვე ბუნებაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ბიჭუნას სამხედრო სასწავლებელში ყოფნის წლებმა დიდი სულიერი ტრავმა მიაყენა. მოგვიანებით, 60 წლის ასაკში, მან დაწერა: „ეს იყო ჩემს მიმართ ჩადენილი საშინელი ძალადობა" [Богданов А. 1891: 253]. მამის გარდაცვალების შემდეგ დედის თანხმობით 16 წლის ლიუდვიგი ბრუნდება შინ და საფუძვლიანად იწყებს საბუნებისმეტყველო საგნების (ბოტანიკისა და ზოოლოგიის), ფილოსოფიისა და ფრანგულის შესწავლას. 1853 წელს ბედის ირონიით ლ. მლოკოსევიჩი ისევ სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, თუმცა, ამჯერად მას გაუმართლა, რადგან აისრულა ბავშვობის ოცნება და კავკასიაში გაემგზავრა. იმ დროს რუსეთის იმპერია დაპყრობით ომს აწარმოებდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ. სრულიად ახალგაზრდა ლ. მლოკოსევიჩი თბილისის გრენადერთა პოლკში გაამწესეს პორუჩიკად. პოლკი თავისი შტაბით ლაგოდეხში იმყოფებოდა, სადაც ჯერ კიდევ XIX ს-ის დასაწყისიდან გენერალ-გუბერ-

ნატორ კნორინგის დროიდან, დაღესტნიდან და ზაქათალიდან შესაძლებელი საფრთხის ასარიდებლად და მთიელთა შემოსევების ასალაგმავად ლეზგების (ლეკები) კორდონის ხაზი დაარსდა. ლაგოდეხი ამ ხაზის სტრატეგიული პუნქტი იყო. ჰუმანური და თავისუფლებისმოყვარე ლ. მლოკოსევიჩი ვერ ეგუებოდა სისხლისღვრას, ხშირად კამათობდა ოფიცრებთან, ყველანაირი ხერხით ცდილობდა საბრძოლო დავალებებისათვის თავის არიდებას. ადგილობრივი ბუნებით მოხიბლული, ხშირად გაუვალ ტყეებში დაიარებოდა, რაც იმ დროს მეტად სახიფათო იყო — რამდენჯერმე მთაში მოთარეშე შამილის მებრძოლებსაც კი გადაეყარა. მიუხედავად ამისა, მას არასოდეს არ ერჩოდნენ და პოლკში ყოველთვის უვნებელი ბრუნდებოდა. ამის გამო მებრძოლები ეჭვის თვალით უყურებდნენ და მოღალატედაც მიაჩნდათ. საბედნიეროდ, დაძაბულობისა და კონფლიქტის თავიდან აცილება მან მოახერხა — სამხედრო მეთაურებმა დენდროლოგიით გატაცებულ „ურჩ" ახალგაზრდას პოლკისთვის პარკის გაშენება დააავალეს. ამ დავალებას მან პირნათლად გაართვა თავი. მალე ლაგოდეხში, ყაზარმების გაყოლებაზე, გაჩნდა კახეთისათვის უცხო, ეგზოტიკური მცენარეები – ამერიკული ტაკსოდიუმი და ველინგტონია, იაპონური გინკგო, მაგნოლია, ბამბუკი, კიპარისები, სეკვოია, ლიანები, შროშანები, არყის ხეები, ადგილობრივი ცაცხვი, წაბლი, კაკალი. დენდროლოგიური ბაღი, რომელიც მაშინ მთელ კავკასიაში საუკეთესოდ ითვლებოდა, სამწუხაროდ XX ს-ის 30-იან წლებში მოუვლელობის გამო განადგურდა [ჩხეიძე ჟ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა". 2004: № 106].

პარკის გაშენების შემდგომ მლოკოსევიჩმა საბოლოოდ გადაწყვიტა ისეთი რამ ეკეთებინა, რაც არავის არ დააზარალებდა, პირიქით, ყველასა და ყველაფერს მხოლოდ სარგებელსა და სიკეთეს მოუტანდა [Богданов А. 1891: 252]. 1861 წელს სამხედრო სამსახურიდან გადადგა და მასალის შესაგროვებლად და კვლევების ჩასატარებლად ირანში გაემგზავრა. ორი წლის შემდეგ, საქართველოში დაბრუნებისას, მოულოდნელად საზღვარზე დააპატიმრეს, შეგროვებული ჰერბარიუმები, მცენარეთა თესლების კოლექცია, ნერგები ჩამოართვეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი ვორონეჟში გადაასახლეს. ბრალად ზაქათალის ამბოხებულ მოსახლეობასთან (ავარიელებთან) კავშირი წაუყენეს. გადასახლებიდან ლ. მლოკოსევიჩი მიემგზავრება ვარშავაში. სამშობლოში დაბრუნების მიუხედავად, მას ისევ საქართველო, ლაგოდეხის ხეობა და თავისი სამუშაო ენატრებოდა. მან საკუთარი დის, გრაფ მინორსკის მეუღლე ელენესა და ნაცნობების დიდი მცდელობის შემდეგ მეფისნაცვლისგან საქართველოში დაბრუნების ნებართვა მიიღო. 1867 წელს ცოლთან, ვორონეჟელ კაზაკის ასულ ანასთან ერთად ლაგოდეხში დაბრუნდა. აქ ხეობის დასაწყისში, ყაზარმებისა და ხალხისგან მოშორებით, ტყის პირას აშენებულ პატარა სახლში თერთმეტ შვილსა და ცოლთან ერთად გაატარა მან თავისი ცხოვრების დარჩენილი წლები (სურ. 2). 1878 წელს ლ. მლოკოსევიჩი სიღნაღის მაზრის მთავარ მეტყევედ დაინიშნა და თითქმის 20 წელი თავდაუზოგავად იცავდა და იკვლევდა ადგილობრივ ფლორასა და ფაუნას. ხშირად აწყობდა ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, დაღესტნის მთებში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ირანსა თუ თურქეთში. იქიდან ჰერბარიუმებით, მცენარეთა თესლებით, პეპლებისა და მწერების კოლექციებით დატვირთული ბრუნდებოდა. შეგროვებულ ექსპონატებს სამეცნიერო და კულტურულ ცენტრებს, მუზეუმებსა და ბოტანიკურ ბაღებს უგზავნიდა

თბილისში, სანკტ-პეტერბურგში, ვარშავაში, იურევში, პარიზში. კავკასიის ბუნების შესახებ მისი კორესპონდენციებით „მსოფლიო გეოგრაფიის" ავტორი, ფრანგი ელიზე რეკლიუ და დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვიც სარგებლობდნენ. ეს უკანასკნელი მლოკოსევიჩს თავის მასწავლებლადაც კი მოიხსენიებდა [Згонников П. 1990: 18]. ცივილიზაციიდან და სამეცნიერო და კულტურული ცენტრებიდან მოწყვეტილ მკვლევარს მხოლოდ ასე შეეძლო მეცნიერების მსახურება და მის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა. ბუნებაზე დაკვირვებისა და მისი შესწავლის შედეგად მან ფლორა-ფაუნის 60-მდე ახალი ენდემური სახეობა აღმოაჩინა.მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ვიწროლოკალური ენდემები: მლოკოსევიჩის იორდასალამი, იულიას ფურისულა, ლაგოდეხის ნაღველა, მრგვალი წამალა, ელდარის ფიჭვი, დეკა, კავკასიური სალამანდრა, კავკასიური შურთხი და სხვ. 1877 წელს მან როჭოს ახალი სახეობა აღმოაჩინა. ეს საშუალო ზომის ლამაზი ფრინველი მხოლოდ კავკასიაში ბინადრობს და წითელ წიგნშია შეტანილი. მანამდე მეცნიერებისათვის ცნობილი იყო როჭოს მხოლოდ ერთი, ევროპული, სახეობა. გ. რადეს ხელშეწყობით ლ. მლოკოსევიჩმა შეისწავლა კავკასიის მუზეუმში დაცული ევროპული როჭო და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლაგოდეხის ხეობის როჭო ევროპულისაგან განსხვავდებოდა. თავისი კვლევის შედეგები და ფრინველის ფიტული ლაგოდეხელმა ნატურალისტმა გაუგზავნა ცნობილ პოლონელ ორნთოლოგ ვ. ტაჩანოვსკის, რომელმაც დაადასტურა მლოკოსევიჩის აღმოჩენა და ეს ახალი ამბავი ევროპის სამეცნიერო საზოგადოებას ამცნო. აღმომჩენის სახელის პატივსაცემად ფრინველს „Lyrurus Mlokosiewiczi„ (სურ. 3) უწოდეს [http:\\ Lagodechi. Net].

ლ. მლოკოსევიჩმა ლაგოდეხში საუკეთესო ჯიშის ხეხილის სანერგეც მოაწყო. ცდილობდა, შემოეტანა და გაევრცელებინა რამდენიმე ახალი კულტურა, მაგ; ჩაი, ციტრუსი, ზეთისხილი, კივი, იაპონური ხურმა, რამი (მრავალწლიანი ბოჭკოვანი მცენარე), რომელიც შემდეგ შავი ზღვის მთელ სანაპიროზე გავრცელდა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი ხეხილისა და დეკორატიული მცენარეების ნერგებს ადგილობრივ მოსახლეობასაც ურიგებდა და კონსულტაციას უწევდა. მისმა შრომამ ამ მიმართულებითაც ნაყოფი გამოიღო – მადლიან კახეთსა და ზაქათალაში ძვირფასი ჯიშის ხეხილის ბაღებმა პირველად იხარა.

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ლ. მლოკოსევიჩი ექსპედიციებში ყოფნის დროს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფითა და კულტურითაც ინტერესდებოდა და კომპლექსური ხასიათის მასალას აგროვებდა. გადმოცემის თანახმად, იგი ხშირად ესწრებოდა დღესასწაულებს და ფოტოებსაც იღებდა. ეთნოგრაფიული დეპარტამენტის ფონდებში დაცულია 1907-09 წწ-ში მის მიერ შემოწირული ნივთები. საარქივო მასალით ირკვევა, რომ გარდაცვალების შემდეგ ეს საქმე მისმა შვილებმა გააგრძელეს. ექსპონატები მოპოვებულია კახეთში, დაღესტანში, ზაქათალასა და ირანის არდებილში. ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ ლ. მლოკოსევიჩს, რომელსაც სამეცნიერო კავშირები ჰქონდა კავკასიის მუზეუმთან და მოწვეული პირის სტატუსით მოძიებით სამუშაოებში მონაწილეობდა, იზიარებდა კავკასიის მუზეუმის პირველი დირექტორის, გ. რადეს, მოსაზრებას ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე [სემა.ფ. 30.1905:588]. გ. რადე სამართლიანად მიიჩნევდა, რომეთნოგრაფიული ნივთები თანდათან ქრებოდა ყოფიდან და მათი

მოძიება გარკვეულ სიძნელეებსა და გარემოებებთან იყო დაკავშირებული. სასწრაფოდ საჭირო იყო ექსპედიციები და მივლინებები მასალის მოსაძიებლად. „ლინგვისტური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად ჭრელსა და მრავალფეროვან კავკასიაში, მთიელი ტომები თანდათან ტოვებენ თავიანთ სახლ-კარს ან ასახლებენ იძულებით მშობლიური კერიდან.უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში ამ მხარის ეთნოგრაფიული სურათი სრულიად შეიცვლება. ამიტომ მეცნიერების წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა – შემოინახოს ამ სურათის ტიპები, ასლების სახით მაინც, რაც შეადგენს კავკასიის მუზეუმის მიზანსაც” [ჩხაიძე გ. 2003: 90]. ამიტომ თავად ლ. მლოკოსევიჩი და თავის შვილებთან ერთად ბოტანიკური და ზოოლოგიური მასალის გარდა დაღესტანსა თუ ზაქათალაში მატერიალური კულტურის ნიმუშებსაც დიდი გულისხმიერებით აგროვებდა. ეთნოგრაფიის ფონდებში დაცულია მათ მიერ შემოტანილი ავარიელების, ლეზგების, კაპუჭელების, ანდიელების, არდებილელი ქურთების ქალისა და მამაკაცის ეროვნული კოსტიუმის იშვიათი კომპლექტები, ფეხსაცმელი, თავსაბურავები, სამკაულები, სამაჯურები, ქამრები, თავსამკაულები, სასაფეთქლეები, საყურეები, ბეჭდები, ამულეტები, სალოცავი ჩანთა, აკვანი თავისი მოწყობილობებით. ასეთი სისრულით წარმოდგენილი მასალა მეტად ძვირფასი და მნიშვნელოვანია კავკასიის ხალხთა ტრადიციული კულტურის შესწავლის თვალსაზრისით, მით უფრო, რომ ისინი ეთნოგრაფიულ ყოფაში აღარაა შემორჩენილი და არც ადგილობრივ მუზეუმებშია დაცული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მასალის შეგროვებისას მკვლევრები იწერდნენ ექსპონატის ადგილობრივ სახელწოდებასა და დანიშნულებას, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ნივთების იდენტიფიკაცია: მაგალითად ნიჟარებით, მონეტებით, სადაფის ფირფიტით, გიშრისა და სარდიონის ქვებით გაწყობილი ბავშვის ამულეტი „მახაზულ- ჩიტირ” (საინვ.№ 1-08/15) სოფ. ჩოროდიდან, რომელსაც ავი თვალის აცილების მიზნით ჰკიდებდნენ საწოლზე ან უდებდნენ თავთან (სურ. 4), ასევე ბისერებით გაწყობილი მკერდის სამკაული „სააბაბ” სოფ. უროტიდან. (საინვ. № 5-10/23). ამ ყელსაბამს გასათხოვარი გოგონები იკეთებდნენ თავიანთ ქორწილში (სურ. 5).

ლ. მლოკოსევიჩს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ გლეხებსა და მეზობელ მთიელ მოსახლეობასთან. გულისხმიერებისა და სიკეთის გამო იგი უყვარდათ და პატივს სცემდნენ. შეძლებისდაგვარად უვლიდა ავადმყოფებს, ყოველი სტუმრობისას ასაჩუქრებდა ქალებს, ბავშვებს, ტყვია-წამლით ამარაგებდა მამაკაცებს. ამბობდნენ, რომ, სანამ ის ცოცხალი იყო, ზაქათალისა და დაღესტნის მთიელებს თავისუფლად შეეძლოთ ცხვარი ალაზნის ველზე გამოეზამთრებინათ. თავადაც ისე უბრალოდ ცხოვრობდა, როგორც მისი მეზობელი გლეხები. დიდი ოჯახის პატრონს უამრავი საქმე ჰქონდა შინ, მისდევდა მებოსტნეობას, მეფრინველეობას, მეფუტკრეობას. დაკავებული იყო შვილების აღზრდითა და განათლებით. ასწავლიდა სხვადასხვა საგანს, უცხო ენებს. ბუნებასთან შეზრდილმა ბავშვებმა მცენარეებისა და ცხოველების მგზნებარე სიყვარული და დაცვა მამისგან ისწავლეს და გაითავისეს. შვილები თან დაჰყავდა ექსპედიციებში, ტყეებსა თუ მთაში. 1889 წელს მლოკოსევიჩი თავის ორ შვილთან – 14 წლის კონსტანტინესა და 17 წლის იულიასთან ერთად ავიდა დიდი არარატის (5535 მ.) მთაზე [Згонников П. 1990: 27]. მიუხედავად ამდენი საქმისა, ნატურალისტი მაინც ახერხებდა მთავარი მეტ-

ყევის მოვალეობების შესრულებას და ამავე დროს, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას: აწარმოებდა ფენოლოგიურ დაკვირვებებს ბუნებრივ მოვლენებზე, იკვლევდა მეწყერთა და წყალდიდობათა გამომწვევ მიზეზებს, ატარებდა მეტეოროლოგიურ დაკვირვებებსა და სააკლიმატიზაციო სამუშაოებს. კვლევების შედეგებს დროდადრო სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებდა. პირველი პუბლიკაცია, რომელიც ლაგოდეხის ხეობის ბუნებრივ მოვლენებს ეხებოდა, 1879 წელს გამოაქვეყნა თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომების კრებულში [Джанелидзе Л. газ. «Молодежь Грузии». 1965: 159]. 1896 წელს ლ. მლოკოსევიჩი აირჩიეს რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიური მუზეუმის წევრ-კორესპონდენტად. მუზეუმებისა და ბოტანიკური ბაღების ექსპონატებით მომარაგებისა და ფონდების კოლექციებით შევსების საქმეში გაწეული წვლილისათვის 1897 წელს გადაეცა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების ვერცხლის მედალი. დაჯილდოებული იყო პარიზის სააკლიმატიზაციო საზოგადოების ოქროს მედლით.

შუახანს გადაცილებული მეტყევე სამეცნიერო წრეებში უკვე საკმაოდ აღიარებული და პოპულარული იყო, ჯილდოები და ტიტულებიც არ აკლდა, თუმცა ლაგოდეხის ხეობის დაცვასა და გადარჩენაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. ხედავდა, როგორ იჩეხებოდა ასწლოვანი ხეები, მცირე ხანძრები და საქონელი როგორ ანადგურებდა მწვანე საფარს, როგორ ხოცავდნენ ადამიანები ცხოველებსა და ფრინველებს. მისი დიდი ტკივილი – ლაგოდეხის ხეობა გაჩანაგების პირას იყო მისული. 1889 წელს, ოცი წლით ადრე, ვიდრე გეოგრაფიული საზოგადოების ბუნების დაცვის კომისია შეიქმნებოდა, ლ. მლოკოსევიჩმა წერილი გაუგზავნა მინისტრ ა.ა. შტრაუსს და იქ შექმნილი მდგომარეობა აცნობა. Iიგი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ადგილი, სადაც თავმოყრილია კახეთისათვის ტიპური ფლორა, შავიზღვისპირეთის გამყინვარებამდელი რელიქტები, ენდემური ყვავილები და ფაუნა, დაღუპვის პირასაა. „მე, აქაურ მეტყევეს, კარგად მახსოვს რა მდგომარეობა იყო ადრე და იმასაც ვხედავ რა იქნება მომავალში, ოაზისი მალე უდაბნოდ გადაიქცევა”. გულმხურვალე ნატურალისტი ხსნას მხოლოდ და მხოლოდ ნაკრძალად გამოცხადებაში ხედავდა [Згонников П. 1990: 29]. მან წერილებით მოუწოდა მეცნიერებსა და მოგზაურებს, საკუთარი თვალით ენახათ ხეობა და მის გადასარჩენად ბრძოლაში თანადგომა გამოეხატათ. Iიგი, რუსეთისა და ევროპის მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრი, ლაგოდეხის ხეობასა და ზოგადად, სამხრეთ კავკასიას მსოფლიო სამეცნიერო დაკვირვებებისა და შესწავლის ობიექტად გადააქცევს. ლაგოდეხს სტუმრობდნენ ნატურალისტები იურევის უნივერსიტეტიდან, პროფესორი ნიკოლოზ კუზნეცოვი, ბოლესლავ გრინევსკი და სტანისლავ პაგაჩევსკი, პეტერბურგიდან ანდრეი სემიონოვ-ტიან შანსკი, თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი ა. ფომინი, თანამშრომელი დ. სოსნოვსკი და სხვა ცნობილი მეცნიერები. ამ საქმეში მამის გვერდით იდგნენ შვილები – ანა, პეტერბურგის ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, ორნითოლოგი იულია, მეტყევე ვიქტორი. სამწუხაროდ, თავისი ოცნების განხორციელებას ლ. მლოკოსევიჩი ვერ მოესწრო. მის მიერ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს იურევის უნივერსიტეტის პროფესორმა ნ. კუზნეცოვმა და თბილისის ბოტანიკური ბაღის თანამშრომელმა დ. სოსნოვსკიმ. სამი წლის შემდეგ მისი გარდაცვალებიდან, 1912 წელს, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისა

და მეცნიერებათა აკადემიის შუამდგომლობით ლაგოდეხისა და მის მეზობლად მდებარე ანცალის (შრომის) ხეობა მკაცრად დაცულ ტერიტორიად, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადდა – აიკრძალა ხის ჭრა, ნადირობა, საქონლის ძოვება და სხვ.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმავლობაში ლ. მლოკოსევიჩს არაერთი უსიამოვნება, დაბრკოლება და წინააღმდეგობა შეხვედრია. ბუნებრივ სტიქიებთან მებრძოლი ადამიანი, რომელიც ფრინველებსა და ცხოველებს აშინაურებდა და წვრთნიდა, სრულიად უძლური აღმოჩნდა ადამიანის სისასტიკისა და დაუნდობლობის წინაშე. განსაკუთრებული სიმწარე ბედმა სიბერის ჟამს არგუნა, როდესაც გაბოროტებულმა ჯარისკაცებმა სახლთან ახლოს სასტიკად აწამეს და მოკლეს მისი უმცროსი ქალიშვილი, მშვენიერი ლუსია, რამდენიმე ხნის შემდეგ კი დაუდგენელმა პირებმა მოუკლეს საყვარელი მეუღლე. მიუხედავად სიძნელეებისა, ლ. მლოკოსევიჩი არ გაბოროტებულა. იგი თავისი შეხედულებების ერთგული დარჩა, არჩეული გზიდან არასოდეს გადაუხვევია – ბუნებასა და ადამიანებზე შეყვარებული, სიცოცხლის ბოლომდე მათზე ზრუნავდა. ,,მე ამ მხარეს მსოფლიო სილამაზის ცენტრად ვაქცევ", – ასე უთქვამს ლაგოდეხში პირველად ჩამოსვლისას ხეობის ბუნების სილამაზითა და მრავალფეროვნებით მოჯადოებულ ახალგაზრდა ნატურალისტს. ეს პირობა მან ნამდვილად შეასრულა. ლაგოდეხის სახელი ცნობილი გახადა მაშინდელ რუსეთის იმპერიასა და ევროპაში. დღეს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები ბიომრავალფეროვნებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია მთელ კავკასიასა და მსოფლიოში, აღიარებულია ეკორეგიონად და ძირითად ორნითოლოგიურ ტერიტორიად.

78 წელს მიღწეული ლ. მლოკოსევიჩი უეცრად გარდაიცვალა ექსპედიციაში ყოფნის დროს საქართველოს საზღვართან, სოფ. ჩოროდაში. მოხუცის ცხედარი მისმა მეგობრებმა, დაღესტნელმა გლეხებმა, დიდი პატივითა და მოწიწებით ჩამოასვენეს ლაგოდეხში და რუსულ სასაფლაოზე დაკრძალეს.მის საფლავზე დგას ქვა წარწერით: ,,ფლორისა და ფაუნის დიდი მოამაგე ლიუდვიგ მლოკოსევიჩი. 1831-1909". წლების შემდგომ ჩოროდის მკვიდრმა ომარ სულეიმანოვმა ნატურალისტის ერთგული მეგობრის, თავისი ბაბუის ანდერძი აღასრულა და გარდაცვალების ადგილას მემორიალური ქვის ფილა დადგა. 2011 წელს ამ ადგილზევე, რომელიც ახლა ნაკრძალ «Дагестанский»-ის ტერიტორიაა, განათავსეს საინფორმაციო დაფა ლ. მლოკოსევიჩის მოკლე ბიოგრაფიით.

„ჩამოვედი ლაგოდეხში ერთი წლით და აგერ უკვე 36 წელია აქ ვარ", – წერდა თავის ავტობიოგრაფიაში ლ. მლოკოსევიჩი 1891 წელს [Богданов А . 1891: 258], თავადაც გაკვირვებულიიმით, თუ როგორ მოაჯადოვა ლაგოდეხის ხეობის სილამაზემ, როგორ დაატოვებინა სამშობლო, მოწყვიტა ცივილიზაციას და მთელი სიცოცხლე იშვიათი მცენარეული საფარის, ცხოველთა და ფრინველთა გადარჩენისა და შესწავლის საქმეს შეალია. დასაფასებელია მისი ღვაწლი და ენთუზიაზმი საბუნებისმეტყველო მასალისა და ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ექსპონატების შეგროვების საქმეშიც. კავკასიის პირველი ეკოლოგის, კავკასიისა და ირანის ფლორა-ფაუნის მკვლევრის სახელის უკვდავსაყოფად ლაგოდეხის ნაკრძალის შესასვლელში, ადმინისტრაციული კორპუსის შენობის ფასადზე, მემორიალური დაფაა. აქვე მოწყობილია მისი სახელობის კუთხე.

Ketevan Mushkudiani*, Manana Khizanishvili*

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli ave., 0105, Tbilisi, georgia
E-mail: etnomanana@yahoo.com

Ludwig Mlokosevich – Pole naturalist, Researcher of Caucasian Flora and Fauna

Summary

In the article we discuss the life and activities of Pole naturalist, Ludwig Mlokosevich in Georgia. In the first half of nineteenth century, the army of Russian Empire encamped in Lagodekhi for repelling the invades of highlanders. In 1853, young L. Mlokosevich who had just arrived form Poland, started his military service in this Russian army. But he rejected war and bloodshed and was favourable to highlanders. L. Mlokosevich was fascinated with natural sciences from childhood and having just arrived in Lagodekhi he was charmed with the diversity of local nature. In 1961 he retired from military service and settled in Lagodekhi. As a result of huge interest and enormous effort, Mlokosevich managed to cultivate big dendrological park with the best varieties of fruit tree plants. He was giving advices to the local peasants, gifting them different plants, observed natural hazards and climatic influences on plants.

L. Mlokosevich worked as a forester for 18 years. As a result of long-term observation of local nature, he discovered lots of new endemic species of flora and fauna. The most famous among his discoveries is a Caucasian Grouse (Lyrurus Mlokosiewiczi) inhabited only in Caucasus region.

Mlokosevich had scientific connections with Europian and Georgian museums and scientifical circles. He was publishing articles, traveling a lot. He greatly contributed to the enrichment of Caucasian Funds. It has to be noted that his interests were not confined only with flora and fauna. While travelling, he was collecting ethnographical artefacts preserved in the life of local population.

L. Mlokosevich has greatly contributed to the founding of Lagodekhi natural reserve.

ბიბლიოგრაფია

ჩხაიძე გ. 2003: *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.* თბილისი.

ჩხეიძე ჟ. სულით ქართველი პოლონელი. გაზ. *„საქართველოს რესპუბ-ლიკა".* 2004. №106. გვ. 2.

სსმა. ფ.30. 1905: საქმე 18. გვ. 58.

Богданов А. 1891: Материалы для истории научной и прикладной деятелности в Росии по зоологии (автобиография Л.Ф. Млокосевича). Москва.

Джанелидзе Л. Наследство Людвига Францевича Млокосевича. газ. *«Молодежъ Грузии».* 1965: #159. с. 3.

Згонников П. Попечитель Лагодехского леса. журн. *«Вокруг Света».* 1990: №6.

Чолокашвили Д. Людвиг Францевич Млокосевич газ. *«Закавказъе».* 1909: № 149.

http://lagodekhi.net

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ლუდვიგ მლოკოსევიჩი
სურ. 2. ლ. მლოკოსევიჩის ოჯახი
სურ. 3. მლოკოსევიჩის კავკასიური როჭო (Lyrurus Mlokosiewiczi)
სურ. 4. ამულეტი ლ. მლოკოსევიჩის კოლექციიდან
სურ. 5. იულია მლოკოსევიჩის მიერ შემოწირული სამკაული

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Ludwig Mlokosiewich
Fig. 2. Family of L. Mlokosiewich
Fig. 3. Caucasian Grouse (Lyrurus Mlokosiewiczi)
Fig. 4. Amulet from L. Mlokosiewich collection
Fig. 5. Jewelery donated from Iulia Mlokosiewich

სურ. 1 **Fig.**

სურ. 2 **Fig.**

სურ. 3 **Fig.**

სურ. 4 **Fig.**

სურ. 5 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 323-340
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 323-340

ხელოვნებათმცოდნეობა

ერმილე მაღრაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილი ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: e.magradze53@gmail.com

ვანის ნაქალაქარში გამოვლენილი საოქრომჭედლო ხელსაწყო – კოლხური ხუფი

მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის შესასწავლად უმნიშვნელოვანესია უძველეს ხალხთა მიერ მეტალებისა და მინის წარმოება-დამუშავების ტექნოლოგიურ პროცესთა განხილვა. ზოგადად, ადამიანის სამეწარმეო-სახელოსნო საქმიანობის ისტორიული სურათის აღდგენას დიდი ხანია ცდილობს მსოფლიოს მრავალი მეცნიერი, მაგრამ ამ მიმართულებით კვლევა ამოწურულად მაინც ვერ მიიჩნევა, უწინარესად, თავად პროცესთა უწყვეტობიდან და საკითხის სირთულიდან გამომდინარე. ამას ერთვის ისიც, რომ საკვლევ სფეროში ახალ-ახალი დოკუმენტური მასალის გამოვლენა ხშირად არსებულ ჰიპოთეზასა და დამკვიდრებულ სამეცნიერო ვარაუდს ცვლის.

წინამდებარე წერილის უმთავრესი მიზანია, აღნიშნული თვალსაზრისიდან გამომდინარე, განხილულ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, მოხდეს მათი შეჯერება ჩვენს დრომდე მოღწეულ უძველეს წერილობით წყაროებში მოცემულ საინტერესო ინფორმაციასთან, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით კი ახლებურად წარმოჩინდეს, ზოგადად, წინა აზიასა და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური მოდგმის ხალხთა სამეწარმეო-სახელოსნო საქმიანობა და ამ მხრივ მათი წვლილი საკაცობრიო ცივილიზაციაში.

მეტალების – ოქროს, ვერცხლის, სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის დამუშავების ისტორიული სურათის აღდგენა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტად რთულია და მნიშვნელოვანი. ბიბლიური, ძველაღმოსავლური და ანტიკური წერილობითი წყაროებით ცხადი ხდება, რომ სამთო საქმისა და მეტალურგიის ერთ-ერთ კერად წინა აზიის ტერიტორია მოიაზრება. აქ მოსახლე ტომები უძველესი დროიდანვე იცნობდნენ სამთო საქმესა და მეტალის დამუშავების მეთოდებს [ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ. ... 2010: 10]. ამ ხალხთა შორის კი აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ ქართველური მოდგმის ტომებიც.

ბიბლიაში, შესაქმის წიგნში, აღწერილია კაენის მოდგმა და მისგან წარმოშობილი ტომები, ასევე ის, თუ რომელმა შტომ რა ხელობას დაუდო სათავე: „და შვა ადა იობელ. ესე იყო მამა მკვიდრთა კარვებისათა საცხოვართმზრდელთა. და სახელი ძმისა მისისა იობელ. ესე იყო გამომა-

ჩინებელ საფსალმუნისა და ებნისა. ხოლო სელა შვა მანცა თობელ. და იყო კუერითხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა..” [წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი. 1989: 73]. თუბალ-კაენის მოდგმის ხალხს ასურული წყაროები – ტაბალებად, ბერძნები კი ტიბარენებად მოიხსენიებენ. მრავალი მეცნიერი ვარაუდობს, რომ უძველეს ტექსტებში ნახსენები, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები, ტაბალები, თაბალები, ტიბერანები ერთი და იგივე ხალხი უნდა იყოს და მათი ნათესაობა ქართველური მოდგმის ტომებთან დასაშვებია [ჯავახიშვილი ივ. 2012: 30]. აღნიშნულ სამეცნიერო ვარაუდს ამყარებს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალაც. ამ არტეფაქტებზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ მცხოვრები ტომები უძველესი დროიდანვე წარმატებით მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ როგორც ძვირფას, ისე ფერადსა და შავ მეტალებს. ქსენოფონტი (ძვ.წ. V-IV სს.) წერს: „ხალიბების საარსებო საშუალება რკინის დამუშავებაა” [მიქელაძე თ. 1967: 81].

წერილის ზემოთ აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, ჩემი ყურადღება მიიპყრო კოლხეთის, კერძოდ, ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგების მიერ აღმოჩენილმა იმ არტეფაქტებმა – რკინის დაფანჯრულმა, კონუსურმა ხუფმა და მისმა ლანგარმა, რომლებიც, წინასწარი ვარაუდით, შესაძლოა, რკინის უძველესი საწარმოო-სახელოსნო სამარჯვი საშუალებები ყოფილიყო. ზოგადად, ჩვენს დრომდე მოღწეული შავი მეტალის ნაჭედი საყოფაცხოვრებო თუ საბრძოლო დანიშნულების ნივთების ტექნოლოგიური თვალსაზრისით შესწავლას კარგა ხანია ჩაეყარა საფუძველი. ქართველმა მეცნიერებმა მრავალი საგულისხმო გამოკვლევაც შექმნეს. ამმხრივ საინტერესოა ქართველ მკვლევართა ერთი სტატია, სადაც ავტორები ვანის ნაქალაქარში გამოვლენილი არტეფაქტების განხილვისას აღნიშნავენ: „ჩანს, რომ აქ ამ დროისათვის დიდადაა დაწინაურებული სამჭედლო საქმე. მჭედლები მაღალი ოსტატობითა და დახვეწილი გემოვნებით იყენებენ როგორც მარტივი, თავისუფალი, ისე რთული ჭედვის ხერხებს” [თავაძე ფ., საყვარელიძე თ....1976: 215].

რკინის ხუფი და ლანგარი სატაძრო კომპლექსის გათხრის დროს, 1966 წელს, აღმოჩენდა და არქეოლოგების მიერ იმთავითვე საკულტო დანიშნულების ნივთად – სასაკმევლედ იქნა მიჩნეული. ეს არტეფაქტი შავი მეტალის გამოჭედვის მაღალი ოსტატობის ნიმუშია. ნივთის კონუსი შედგება ცალ-ცალკე ნატიფად გამოჭედილი და მოქლონებით მტკიცედ შეერთებული ფურცლოვანი რკინის ორი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთ-ერთს წვერზე დატანებულ ხვრელში რკინისვე რგოლი აქვს გაყრილი (სურ. 1).

ძველი ტექნოლოგიის გამოსაკვლევად ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ ოსტატმა ჯერ რკინისაგან გამოჭედა საჭირო ზომის ფურცლები, შემდეგ ღოჯის საშუალებით მათზე ამოჭრა მცირე ზომის ფანჯრები, რომლებიც ზემოდან ქვემოთ თანდათან იზრდება. კონუსზე ასეთი ჭრილების სულ შვიდი მწკრივია გატარებული. კონუსი იდგმება ჭედვითვე მიღებულ რკინის ჩაღრმავებულ ლანგარზე. დაფანჯრული კონუსური ხუფის ლანგარზე დადგმისას იქმნება ერთგვარი ჩაკეტილი კამერა.

ამ ხუფზე დაკვირვება უფრო ინტენსიურად ვაწარმოე მას შემდეგ, რაც

2013 წელს ეროვნულ მუზეუმში UNESCO-ს მხარდაჭერით დავიწყე პროექტის („დაკარგული ტექნოლოგიების კვალდაკვალ – ტიხროვანი მინანქარი") განხორციელება.

ოქროზე შესრულებული ტიხროვანი მინანქარი – ძვირფასი მეტალის შემკობის ეს ულამაზესი ტექნოლოგიური ხერხი, როგორც დამოუკიდებელი ფენომენი, სავარაუდოდ, ახ წ. II-III სს-დან იღებს დასაბამს და არსებობს XV ს-ის შუა ხანებამდე (სურ. 2). იგი გავრცელებული იყო ბიზანტიასა და საქართველოში [Бреполь Э. 1986:32]. აქედან ეს ტექნოლოგია X-XI სს-დან კიევის რუსეთშიც შედის [Платонова Н., Ульянова Б. 1974:6]. XV ს-ის შემდეგ ტიხროვანი მინანქრის დამზადების ტექნოლოგია იკარგება და ამ ტექნიკით შესრულებული ნივთები აღარ გვხვდება (სურ. 3).

არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ საიუველირო ფერადი მინა ჩნდება იმ რეგიონებში, სადაც მეტალურგიული წარმოება მაღალ დონეს აღწევს. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთან ერთად ქართველური მოდგმის ტომებმა ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, რაც დასტურდება ისტორიული მასალით.

უძველესი წყაროებიდან ჩანს, რომ ხელოვნურ მინას ადამიანი აწარმოებს ძვ.წ. მეოთხე ათასწლეულიდან (ძველი ეგვიპტე, წინა აზია, ფინიკია). ითვლება, რომ ეგვიპტე კარგად იცნობდა მინას ებრაელების გამოსვლამდე. ამის დასტურია ეგვიპტეში, ბენი-ჰასანსა და თებეში, მიკვლეული სამარხები, სადაც გამოსახულნი არიან მინის მბერავი ოსტატები მუშაობის დროს. ეს სამარხები თავიანთი იეროგლიფური წარწერებით თარიღდება 1800 წლით ჩვენს წელთაღრიცხვამდე. თებეს მახლობლად კაპიტანმა ჰენდრიმ იპოვა მინის მძივები, რომელთა იეროგლიფურ წარწერაში მოხსენიებულია დედოფალი რამაკი. მას უცხოვრია ძვ.წ. XV ს-ში [Петухов С. 1898: 2].

თავდაპირველად, უძველესი ხელოსნები სხვადასხვა ფერის მინებს ქმნიდნენ თვითნაბადი მინერალების მიბაძვით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ არქაული შეღებილი მინები მეტალურგიული პროცესის დასრულების შემდეგ დარჩენილი წიდებია. „სპილენძის მადნის დამუშავებისას ან ბრინჯაოს მიღების პროცესის დასასრულს ღუმელის ან ტიგელის კედელზე რჩებოდა ჭიქურის მსგავსი წარმონაქმნები. მუქი წითელი გამონამუშევარი წიდა წინამორბედი იყო იმ მინებისა, რომელთაც მოგვიანებით მიიღეს სახელი ჰემატინონი ასე რომ უყვარდათ ანტიკურ პერიოდში. ეს სახელი მოდის ბერძნული სიტყვა ჰემატიკოსიდან, რაც ნიშნავს სისხლისფერს" [Безбородов М. 1969:62].

ძველი სამყაროს ადამიანი თავდაპირველად ბუნებრივ მინერალთა იმიტაციებისათვის შექმნილ ფერად მინებს მოგვიანებით იყენებს ინკრუსტაციის მეთოდით ძვირფასი მეტალის შემკობის დროს ბუნებრივ მინერალებთან ერთად (სურ. 4). ოქროს ფირფიტაზე წინასწარ მოფიქრებული კომპოზიციით მირჩილავდნენ ოქროს უთხელეს ტიხრებს ისევე, როგორც ეს ხდებოდა მოგვიანებით, ტიხროვანი მინანქრის ტექნოლოგიის შემთხვევაში. მიღებული ღრმულების ფორმათა მიხედვით გამოიჭრებოდა ძვირფასი ქვის ან ფერადი მინის ფირფიტა და ჩაწებდებოდა შესაფერის ადგილებში. ეგვიპტელები, საიუველირო ოსტატობის თვალსაზრისით,

აღწევენ ძალიან მაღალ დონეს. აღსანიშნავია ფარაონ ტუტანჰამონის აკლდამაში მიკვლეული ნივთები, რომლებიც თარიღდება ძვ.წ. XVI ს-ით. აქ ძვირფას ქვებთან ერთად გამოყენებულია ცისფერი მინის ფირფიტები (სურ. 5).

არაერთ არქეოლოგიურ ძეგლზე (ამირანის გორა, ქვაცხელები, ურბნისი, მცხეთა-სამთავრო, კარსანი, ორბეთი, ნატბეური) დადასტურებულია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან აწარმოებდნენ ფერად მინას. ეს არქეოლოგიურად დამტკიცებული ფაქტი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ამ არეალში ტიხროვანი მინანქრის სახელოსნოების ჩამოყალიბების საფუძველი.

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგების მიერ მოპოვებული ტიხროვანი მინანქრის ადრეულ, ახ.წ. II-III-IV სს-ის, ნიმუშებს: ასპავრუკ პიტიახშის სარკოფაგიდან ხანჯლის ქარქაშის შესამკობელ ტიხროვანი მინანქრის მედალიონს, ტვიფრული მინანქრით შემკულ ბრინჯაოს ბალთას; არაგვისპირის პექტორალის ცენტრალური ნაწილის მინანქროვან ვარდულა გამოსახულებას; არმაზისხევის სამაჯურს, რომლებზეც დასტურდება ტიხრებს შორის ჩამდნარი და ერთიან სიბრტყეში მოხეხილი ფერადი მინა, მართალია, ჯერ კიდევ მთლად დახვეწილად არ გააჩნიათ ნამდვილი ტიხროვანი მინანქრისათვის დამახასიათებელი სრულყოფილება, მაგრამ ისინი ცხადი მაგალითებია იმისა, რომ ამ პერიოდიდან უძველესი სახელოსნოები ფერად მინებს უკვე იყენებენ ასეთი ტიპის საიუველირო ოპერაციების შესასრულებლად (სურ. 6).

რაც შეეხება, ზოგადად, დეკორატიული ხასიათის, წინასწარ მომზადებულსა და ფილიგრანულ ან ტიხროვან უჯრედებში ჩამლღვალ, ზედაპირმოუხეხავ მინას, მისი არსებობა დასტურდება გაცილებით ადრეულ საუკუნეებში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიურ მასალით. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ანტიკური პერიოდის დიადემის ორი ფრაგმენტი (ძვ.წ. III-II სს.) ვანის ნაქალაქარიდან. საიუველირო თვალსაზრისით, უზადოდ შესრულებულ მის ფორმებში, ალმანდინის თვლებს შორის მირჩილულ ფილიგრანულ ტიხრებში, ლურჯი და მწვანე ფერის ნახევრადხშობილი მინები ჩაულღვიათ ოსტატებს (სურ. 7). მათს მაგალითზე მკაფიოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისთვის მათი შემქმნელი საიუველირო სახელოსნოები უკვე ფლობენ ძვირფას მეტალზე ჩასალღობი ფერადი დეკორატიული მინის მიღების ცოდნას და ამ სმალტებს ჩაალღობენ, ტიხართა მსგავსად, საფუძველს მტკიცედ მირჩილულ ფილიგრანულ ბადეში.

უფრო ადრეულ, მინერალებით ინკრუსტირებულ, ძეგლებზე ყველა მინერალს აქვს დამოუკიდებელი და ზედაპირამობურცული ფორმა. მოგვიანებით, ასეთი მიდგომა ინკრუსტირებული ნივთების დამზადებისას იცვლება და ნივთს მთელი ზედაპირი ერთიანად მოეხეხება სწორედ ისე, როგორც ეს ტიხროვანი მინანქრის ტექნოლოგიაში გვხვდება (სურ. 8). ასე რომ, ამ ტიპის საიუველირო ნაკეთობის ზედაპირის სიბრტყობრივად მოხეხვა-მოკრიალების მეთოდი შემუშავებულია ჯერ კიდევ ადრეანტიკურ პერიოდში.

მრავალი ძეგლის შესწავლით დასტურდება, რომ ტიხროვანი მინანქრის ტექნოლოგიის უმთავრესი მახასიათებლები – ტიხრის საფუძველზე მირ-

ჩილვა და მინანქრისათვის საბოლოო სახის მიცემისას ზედაპირის ერთიან სიბრტყეში მოხეხვა-მოკრიალება ბევრად ადრეულ საუკუნეებში გვხვდება ბუნებრივი მინერალებით ინკრუსტირებულ ძეგლებზე (სურ. 9). აქედან გამომდინარე, მკაფიოდ შეიძლება ითქვას, რომ ტიხროვანი მინანქრის ტექნოლოგია გაგრძელებაა და შედეგი უშუალოდ ინკრუსტაციის მეთოდისა.

სარიტუალო დანიშნულების ნივთების შესამკობად ინკრუსტაციის მეთოდის გამოყენების დროს შერჩეული მინერალები არ იყო შემთხვევითი და ძველი სამყაროს ადამიანი მათ ცნობიერად ამაგრებდა საგანგებო ადგილებში. ეს მინერალები ბიბლიურ ტექსტებშიცაა მოხსენებული თორმეტი ბიბლიური ქვის სახელით. ძველი აღთქმის გამოსვლათა წიგნის XXVIII თავში, იქ, სადაც აარონის სამღვდლო შესამოსლის გამშვენებაზეა საუბარი, წერია შემდეგი: „და ჰქსოო მას შინა ნაქსოვი ქვათაგან, ოთხ სტრიქონი ქვათა იყოს: სარდიონი, პაზიონი, სამარაგდო, სტიქონი ერთი. და სტიქონი მეორე: ანთრაკი და საპფირონი და იასპი. და სტიქონი მესამე: ლიგვირი და აქატი და ამეთვისოს. სტიქონი მეოთხე: ოქროქვა და ბივრილლიონი და ფრცხილი, გარე მობურვილ ოქროთა იყვნენ სტიქონეულად სახელნი მათნი. და ქვანი იყვნენ სახელთაებრ ძეთა ისრაელისათასა ათორმეტ, მსგავსად სახელთა მათთა, წახნაგებულ ბეჭდებრ თვითეული იყვნენ სახელსა ზედა ათთორმეტთა ტომთასა” [წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი. 1989: 478]. ეს იყო, ზოგადად, უძველეს მისტერიულ ცენტრებში არსებული ეზოტერული ცოდნა. კაცობრიობის განვითარებაში ახალი ეტაპის დადგომისას კი იგი განახლდა ქრისტესმიერი იმპულსით.

წმინდა მოციქულ იოანეს გამოცხადებაში (აპოკალიფსში) წერია: „და იყო მოსწორებაჲ ნაშენები ზღუდისა მისისაჲ იასპი, და ქალაქი იგი ოქროჲ წმიდაჲ, მსგავსი ჭიქისა წმიდისა. და საფუძველნი ზღუდისანი ყოვლითა ქვითა პატიოსანითა შემკულნი. საფუძველი პირველი იასპი, მეორე საფირონი, მესამე ქალკიდონი, მეოთხე სამარაგდე, მეხუთე სარდონიხოჲ, მეექუსე სარდიოჲ, მეშვიდე ოქრო-ქვაჲ, მერვე ბივრილი, მეცხრე ტოპაზი, მეათე ხრვისოპასოჲ, მეთერთმეტე იაკინთი, მეთორმეტე ამეთვისოიჲ და ათორმეტნი იგი ბჭენი იყვნეს ათორმეტნი მარგალიტნი, თითოეული ბჭე იყო ერთისა და ერთისა მარგალიტისაჲ და უბანი ქალაქისაჲ მის ოქროჲ წმიდაჲ და ჭიქაჲ ბრწყინვალე” [ახალი აღთქუმაჲ. 2000: 638]. სახარებისეული ამ მონაკვეთის შესაბამისად, პატიოსანი ქვებით იმკობოდა ნივთები. დაკვირვება ცხადყოფს, რომ თანდათან, ბუნებრივ მინერალებთან ერთად, ინკრუსტაციებში იყენებენ ბუნებრივ მინერალთა ელფერის მქონე ხელოვნურად საგანგებოდ მიღებულ ფერადი საიუველირო მინის ფირფიტებს. ცხადია, მომდევნო საუკუნეებში შექმნილი ტიხროვანი მინანქრის დამამზადებელი სახელოსნოები აგრძელებენ ამ ტრადიციას და ბუნებრივ მინერალთა ფერების მიმსგავსებით მოადუღებენ მინანქროვანი ჯვრების, ხატებისა და მედალიონებისათვის საჭირო მინებს. მათს მისაღებად მაღალი სიწმინდის მთის ბროლის კრისტალებით – „ჭიქითა ბრწყინვალითა” მოადუღებდნენ პატიოსან ქვათა მსგავს მინანქრებს. ეს დასტურდება შუა საუკუნეების არაერთი ქართული და ბიზანტიური მინანქრის ძეგლებით.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ პრეისტორიული ხანიდან ადამიანი საიუველირო საქმეს, სხვა საქმეთა მსგავსად, არ აწარ-

მოებდა მხოლოდ პირადი და ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე. მისთვის ეს პროცესი ცოცხალ, ღრმა, შინაგან სულიერ-სარიტუალო ხასიათისა იყო. თითოეული ნივთი და მასზე გამოსახული ყოველი ფორმა, მინერალი თუ მინის ფირფიტა, შემდგომ პერიოდებში კი, მინანქრის სმალტები ემსახურებოდა მხოლოდ სულიერ პროცესთა გაღრმავებასა და უზენაეს არსებათა ჭვრეტის შედეგად ჩამოყალიბებულ ეზოტერულ ცერემონიალებს, რომლებიც უძველეს სასულიერო ცენტრებში იმართებოდა მისტერიათა სახით.

როგორც ზემოთ ითქვა, ძვირფას მეტალზე შესრულებული ტიხროვანი მინანქრის დამზადების ტექნოლოგია XV ს-დან იკარგება (სურ. 10). ამ მოვლენის შესახებ დამკვიდრებულია ასეთი თეორია: მოხდა რა ბიზანტიის იმპერიის დაცემა, მტერთა უამრავი შემოსევებისაგან გაჩანაგებული ქვეყნები ვეღარ ახერხებენ ასეთი ძვირადღირებული სახელოსნოების შენახვას, რასაც შედეგად მოჰყვა მათი გაქრობა და, ბოლოს, თავად ტექნოლოგიის მივიწყებაც [Платонова Н., Ульянова В. 1974: 6].
მიმაჩნია, რომ ეს აზრი სრულად ვერ ასახავს რეალობას. თუ თვალს გადავავლებთ ისტორიულ სურათს, დავინახავთ, რომ, მიუხედავად მტერთა შემოსევებისა და ეკონომიკის დაცემისა, XIV-XV სს-ში, შედარებით ცოტა, მაგრამ მაინც შენდება და იმკობა ტაძრები, დანგრეულს უტარდება რესტავრაცია, იხატება ფრესკები, იჭედება ჯვრები, ხატები, მზადდება სარიტუალო-საკულტო დანიშნულების სხვადასხვა ნივთი. ამ უკანასკნელის მასალად კი ტრადიციულად გამოიყენება ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი მინერალები, საიუველირო მიზნით, მინანქრის სმალტებიც, ოღონდ მათი მეშვეობით აღარ ამზადებენ ტიხროვანი მინანქრის ნიმუშებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, უძველეს სასულიერო ცენტრებში, შემდგომ კი, ქრისტიანულ ტაძრებსა და მონასტრებში დამზადებული ნივთების უმრავლესობა სარიტუალო დანიშნულების იყო და ასახავდა ამ პერიოდის ადამიანის სულიერ-მშვინვიერ მდგომარეობას. ადამიანი სამყაროს აღიქვამდა ცოცხალი ღვთაების გამოვლინებად და თავადაც დიდი კრძალვით საქმიანობდა ამ სამყაროში. მოგვიანებით, მისი ამგვარი მიმართება სულიერსა და მატერიალურ სამყაროსთან თანდათან იცვლება, ფეხს იკიდებს ინტელექტუალურ საფუძველზე დამყარებული მატერიალისტური, აზროვნება. XIV-XV სს-დან კი დასაბამს იღებს თანამედროვე ევროპული, მეხუთე პოსტატლანტიდური კულტურა, რასაც შედეგად მოჰყვა მატერიალისტური მსოფლმიმართულების საბუნებისმეტყველო საუნივერსიტეტო ცენტრებისა და სკოლების დაარსება [შტაინერი რ. 2003: 335]. ბუნებრივია, ამ პერიოდიდანვე იცვლება ადამიანის მიმართება კულტმსახურებასთან და ისიც მატერიალური დაღით აღიბეჭდება. შესაბამისად, იცვლება ადამიანის გემოვნება და ის, რაც ადრე ცოცხალი ინტერესის საგანი იყო, შეიძლება ასეც ითქვას, მოდიდან გამოდის. მკვეთრი ცვლილება შეიმჩნევა სახელოსნოების მუშაობაშიც. საკულტმსახურო-საიუველირო დანიშნულების ნივთებს უკვე განსხვავებული ტექნიკური მეთოდებით ამზადებენ, ვიდრე ადრეულ შუა საუკუნეთა სახელოსნოები. ასე მაგალითად, თუ ძველი სახელოსნოები გარკვეული ნივთისთვის შესამკობ მინერალებს ამუშავებდნენ ლაღი, თავისუფალი სტილით, როცა მოპოვებულ მინერალს ფორმას თითქმის არც კი უცვლიდნენ, აღნიშნუ-

ლი პერიოდიდან საფუძველი ეყრება ძვირფასი თვლებისათვის მკაცრი, გეომეტრიული ფორმების მიცემას. ასეთი მიდგომა თავს იჩენს მინანქრის მიმართაც. თუ შუა საუკუნეების ტექნოლოგიით ტიხროვანი მინანქრის დამუშავებისას წარმოქმნილი ზედაპირული დეფექტები, ბზარები, ბუშტუკები ნორმად ითვლებოდა, აღნიშნული პერიოდის ევროპული ტიპის საიუველირო სახელოსნოებისათვის ეს უკვე მიუღებელია. ყოველი ნივთი იქმნება თითოეული ინდივიდის გემოვნების მიხედვით. იმისათვის, რომ მინანქროვანი საფარი უზადოდ გამოიყურებოდეს, ოსტატები ცნობიერად ცვლიან მინანქრის საფუძვლის მომზადების მეთოდებს, ათხელებენ მინანქროვანი საფარის სისქეს, საგანგებოდ ხარშავენ განსხვავებული ტექნიკური მონაცემების მინანქრებს. ჩნდება კონტრმინანქრის ფენა ნივთის ზურგზე ბზარების თავიდან ასაცილებლად და, რაც მთავარია, მინანქრის ზედაპირი აღარ მოიხეხება სიბრტყობრივად. ეს კი გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ამ დროის სახელოსნოთა და ოსტატთა წინაშე დგება სულ სხვა სახის ამოცანები. მათს გადასაწყვეტად კი ჩამოყალიბდა განსხვავებულ მიზნებს დაქვემდებარებული მინანქრის ფერთა მიღების მეთოდები. ადრეული, სულიერ ჭვრეტაზე დაფუძნებული, ცოცხალი მიდგომა იცვლება და ტიხროვანი მინანქრის ნიმუშების ძველი წესით დამზადება თანდათან მივიწყებას ეძლევა. შესაბამისად, ოქროზე შესრულებული ტიხროვანი მინანქრის დამზადების ტექნოლოგიაც იკარგება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 2013 წელს ეროვნულ მუზეუმში განხორციელდა პროექტი „დაკარგული ტექნოლოგიების კვალდაკვალ – ტიხროვანი მინანქარი". ამ პროექტით გათვალისწინებული კვლევითი ღონისძიებები წარვმართე არქეოლოგიური არტეფაქტების, განსაკუთრებით კი, ვანის ნაქალაქარში მოპოვებული რკინის კონუსური ფორმის დაფანჯრული ხუფის შესწავლითა და ჩვენს დრომდე მოღწეულ ორ უნიშვნელოვანეს ისტორიულ ძეგლზე დაყრდნობით. ეს ძეგლებია: XI-XII სს-ში მოღვაწე ბერი თეოფილუსის ტრაქტატი „სხვადასხვა ხელოვნებებზე" და ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის (1675-1737 წწ.) ტრაქტატი „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის".

თეოფილუსი თავის მანუსკრიპტს იწყებს ასე: „თეოფილუსი, უბრალო მღვდელი, უფლის მსახურთა მსახური, უღირსი ატარებდეს ბერ-მონაზვნის სახელსა და პროფესიას, მივმართავ ყველას, ვისაც სურს ხელების სასარგებლო საქმიანობით და ახალი რამეების სასიამოვნო გაანალიზებით გონების მცონარობისა და სულის ხეტიალის თავიდან აცილება და დამორჩილება: ღვთაებრივი საზღაურის დამსახურება" [Theophilus. 1979: 11]. ჭეშმარიტი ქრისტიანული მრწამსით აღჭურვილი მოძღვრის პოზიციიდან გამომდინარე, იგი უანგაროდ აღწერს სხვადასხვა ხელობათა ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლებიც ადრე გადაეცემოდა ოსტატიდან შეგირდს, როგორც ცოცხალი, პრაქტიკული, თავად სახელოსნოთა წიაღ არსებული, მკაცრად გასაიდუმლოებული ცოდნა. ეს ტრაქტატი ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა შუა საუკუნეებში მინის წარმოების, ლითონის დამუშავებისა და კედლის მხატვრობის შესწავლის თვალსაზრისით. თანამედროვე მკვლევართათვის ფასდაუდებელია თეოფილუს პრესვიტერის მიერ ძვირფასი მეტალების – ოქროსა და ვერცხლის დამუშავებისა და ამისთვის საჭირო სარჩილი ნივთიერების მომზადების პროცესის აღწერა.

თუმცა, როგორც ასეთი ტიპის ისტორიულ დოკუმენტებს ახასიათებს, მასში მოცემული ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესის აღწერა შორსაა სრულყოფილებისაგან და მათი მიხედვით ჩატარებულ ყველა ექსპერიმენტს დადებითი შედეგი შეიძლება არც მოჰყვეს. ასეთი ამოცანების გადაწყვეტის დროს მკვლევარს ერთდროულად უწევს არსებული ისტორიული დოკუმენტის შესწავლა და უამრავი ემპირიული ცდის ჩატარება, რათა ამოხსნას მივიწყებული და დაკარგული, რომელსაც საუკუნეთა ნისლი ფარავს.

ამ მანუსკრიპტში ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ერთი თავი, რომელიც ეხება ტიხროვანი მინანქრის დამზადებას. თეოფილუსი ამ პროცესის აღწერისას, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებს მინანქრისათვის ოქროს საფუძვლის მომზადებაზე. მართალია, ამ მხრივ, მეტად საყურადღებო ცნობებსაც გვაწვდის, თუმცა, ამ საქმიანობისათვის საჭირო მინამასების მოდუღების შესახებ ძალზე ზერელედ საუბრობს. ჩანს, რომ თავად ამ საქმისათვის საჭირო ცოდნას ვერ ფლობს და გვევლინება ტექნიკური ოპერაციების უფრო შორიდან მაყურებლად, ვიდრე პრაქტიკოს ოსტატად. მანუსკრიპტის II წიგნის მეთორმეტე თავში („სხვადასხვა ფერის მინების შესახებ") წერს: „ძველ წარმართულ შენობებზე პოულობენ სხვადასხვა ხარისხის მინებს მოზაიკური ნამუშევრებისას: თეთრს, შავს, მწვანეს, ზაფრანისფერს, საფირონისფერს, წითელს, მეწამულ გაუმჭვირვალესა და მკვრივს, როგორც მარმარილო; ისინი მოიპოვებიან ოთხკუთხა ქვების მინამსგავსი სახით, საიდანაც აკეთებენ ძვირფას ქვათა იმიტაციებს... ასევე ამ საქმეში გამოცდილი ფრანკები პოულობენ ამავე ფერების სხვადასხვა ჭურჭელს. ისინი ალღობენ თავიანთ ღუმელებში საფირონის მსგავს მინას, რომელსაც უმატებენ ცოტა გამჭვირვალე და თეთრ მინას და ამზადებენ ძვირფას საფირონისფერ სხმულებს ფანჯრებისათვის. ასეთივე სახით ისინი იღებენ მეწამულსა და მწვანე მინას" [Theophilus. 1979: 59]. ამ ციტატიდან კარგად ჩანს, რომ იმ გეოპოლიტიკურ არეალში, სადაც თეოფილუსი ცხოვრობდა, მინის მიღებისა და ღებვის სრულყოფილად მცოდნე და მომუშავე სახელოსნოები ჯერ არ არსებობენ და ფერადი საიუველირო მინის მოდუღების თვალსაზრისით თვით თეოფილუსიც მყარ ცოდნას ვერ ფლობს. ჩანს, ეს საქმე აქ მხოლოდ მისი მოღვაწეობის პერიოდში იწყებს განვითარებას.

თეოფილუსისაგან განსხვავებით, საიუველირო დანიშნულების მინის მოდუღების შესახებ ძალზე მნიშვნელოვანი ცნობები აქვს ვახტანგ VI-ს. მის მიერ აღწერილი ფერადი მინის მიღების პროცესი ერთგვარად ავსებს ზემოთ აღნიშნულ ნაკლს შუა საუკენეების ტიხროვანი მინანქრის დაკარგული ტექნოლოგიის კვლევის საქმეში. ვახტანგ VI ტრაქტატში, საგანგებოდ, ფერადი მინის მოდუღებისადმი მიძღვნილ პარაგრაფებში, მკაფიოდ და დამაჯერებლად გადმოგვცემს ამ საქმისათვის საჭირო ნედლეულის დამუშავებისა და მისგან „ფერად-ფერადი ჭიქების" მოდუღების პროცესს. აქვე აღწერს და ხატავს ამ საქმისათვის საჭირო თვითშებერვის პრინციპით მომუშავე ღუმელს, რომელიც მინის მისაღებად მაღალ ტემპერატურას გამოიმუშავებს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვახტანგ VI-ც პატიოსან ქვათა სახელებით მოიხსენიებს სხვადასხვა ელფერის მინას, მაგალითად: „წითელი იაგუნდისფრად, რომ ჭიქის გაკეთება გინდოდეს",

„გაკეთება ხრიზოლითისა", „ფირუზის მსგავსის თუ ცისფერი", „ლურჯი იაგუნდისფერის გაკეთება", „ზურმუხტის მსგავსის გაკეთება" და სხვ. [ვახტანგ VI. 1981: 192].

როგორც ზემოთ ითქვა, ეს უძველესი, ერთ დროს, საკრალური ცოდნა ვახტანგ VI-ის ეპოქამაც იცის და ეს ტრაქტატის აღნიშნულ პარაგრაფებშიც კარგად ჩანს. მას სხვადასხვა ფერის მინის მოსადუღებლად საჭირო მრავალი შემადგენლობის კაზმი აქვს მოხმობილი, ოღონდ, აქ ჩამოთვლილი ფერად-ფერადი „ჭიქები" უკვე არა ტიხროვანი მინანქრისათვის, არამედ ბუნებრივ მინერალთა იმიტაციების შესაქმნელად გამოიყენება.

პროექტი განხორციელდა ქალაქ გორში, ტიხროვანი მინანქრის ჩემს ლაბორატორიაში, სადაც საგანგებოდ მოვაწყვე აღნიშნულ ორ ისტორიულ დოკუმენტში აღწერილი ცნობების მიხედვით აღჭურვილი სახელოსნო სივრცე; დავამზადე მეტალისა და მინის დასამუშავებლად აუცილებელი, ამ ავტორთა მიერ აღწერილი, ყველა ხელსაწყო. ვახტანგ VI-ის ტრაქტატში გადმოცემული საიუველირო დანიშნულების მინების რეცეპტებში მითითებული ერთ-ერთი მთავარი ნედლეულის – მთის ბროლის მოსაპოვებლად კი, საგანგებოდ, კავკასიონის მთაგრეხილზე მოვაწყვე ექსპედიცია და მოვიძიე მაღალი სისუფთავის კრისტალები. შემდეგ ისინი ტრაქტატში აღწერილი მეთოდით დავამუშავე. ამ საქმისთვის ასევე სპეციალურად აშენებულ ქურაზე მეტალური ტყვიისაგან, რკინის ხუფში, მივიღე ტყვიის სურინჯი. აღნიშნული ოქსიდის მომზადების ერთ-ერთ მეთოდს ასე აღწერს ტრაქტატში ვახტანგ VI: „მოიტანე რაერთიც გინდოდეს ტყვია და ერთ რკინაში დაადნევ. რა გადნეს, რკინის ჯოხით კარგად ურიე მანამდინ, რომ დაიწვას, თეთრი მიწა შეიქნას. მერე დანაყე წმინდათ და, რაც მიწა შექმნილიყოს, გაარჩიე და ის მიწა ერთ რკინის ტაფაში ჩაყარე" [ვახტანგ VI. 1981: 93].

ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგ VI-ისა და თეოფილუსის მიერ აღწერილი ტექნიკური საშუალებების ჩემ მიერ აღდგენისა და წყაროთა შესაბამისად მათი გამოყენების შემდეგ მივიღე დადებითი შედეგი, რაც იმის დასტურია, რომ ადრე, მართლაც, ამ სახელოსნო-სამარჯვი ხელსაწყოებით წარიმართებოდა მინა-მეტალის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესები. აქვე ისიც უნდა ითქვას, ზემოთ დასახელებულ ავტორთაგან განსხვავებით, შუა საუკუნეების ბევრ სხვა წყაროში აღწერილი პროცესების რეკონსტრუქციის გზით მუშაობის წარმართვა ხშირად არ იძლევა იქ მოცემულ შედეგს.

როგორც ზემოთ ითქვა, კვლევების, ექსპერიმენტების, სამეცნიერო ლიტერატურის გადამუშავების პარალელურად წარმოებდა არქეოლოგიური მასალის კვლევა, რამაც ჩემ მიერ ჩატარებული სამეცნიერო-ლაბორატორიული საქმიანობა კიდევ უფრო ღრმა და დამაჯერებელი გახდა.

მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ აღნიშნულ არქეოლოგიურ ნივთს – კონუსის ფორმის რკინის ხუფს გამოეკვეთა კონკრეტული ფუნქცია და ძალზე დამაჯერებელი პარალელი მოეძებნა სამეცნიერო-კვლევითი ექსპერიმენტების ფონზე თეოფილუსის ტრაქტატში აღწერილი მოსამინანქრებელი რკინის ხუფის სახით. თეოფილუსი ტრაქტატის იმ თავში, სადაც მომინან-

ქრებული ოქროს ფირფიტის გამოწვაზე საუბრობს, აღწერს რკინის ხუფს ლანგრით, რომლის საშუალებით უნდა განახორციელოს ოსტატმა ეს ტექნოლოგიური ოპერაცია.

„შეიტანე ფირფიტა (იგულისხმება მომინანქრებული გამოსაწვავი ფირფიტა — ერ. მ.) ცეცხლში თხელი რკინის ლანგრით, რომელსაც მოკლე სახელური უნდა ჰქონდეს, დააფარე მას მეორე რკინის ნაწილი, იგი უნდა იყოს ჩაზნექილი პატარა თასის მსგავსად და მთლიანად უნდა იყოს დახვრეტილი...“ [Theophilus. 1979:127].

თეოფილუსი, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში აღწერს შუა საუკუნეების საოქრომჭედლო სახელოსნოებში გავრცელებული ერთ-ერთი ტიპის (სურ. 11) მუფელის კამერას (მუფელი გერმანულად — muffel; ფრანგულად — moufle; ლათინურად muffla — დახურული, დახშული, მუფტა). ესაა თიხის ან რკინის ყუთი, კოლოფი, რითაც იდგმება რაიმე სახის ნაკეთობა გავარვარებულ ღუმელში გამოსაწვავად. აღწერილი მოსამინანქრებელი ხუფის რეკონსტრუქციისა და მისი საშუალებით ჩატარებული ცდების შედეგად შესაძლებელი გახდა აღნაგობით, მასალითა და ფუნქციით თეოფილუსის ხუფის ზედმიწევნით მსგავსი ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილი რკინის ხუფის ფუნქციის განსაზღვრაც.

საგანგებოდ დამზადდა ხუფის ასლი და ჩატარდა მრავალი ექსპერიმენტი. მიღებული შედეგებით დადგინდა, რომ აღნიშნული ხუფი საოქრომჭედლო ხელსაწყოა — რკინისაგან დამზადებული მუფელის კამერა. მოგიზგიზე ნაკვერცხლების გროვაში მისი მოთავსების დროს, ისე როგორც ამას აღწერს თეოფილუსი, კამერის შიდა სივრცეში მიიღება მაღალი ტემპერატურა, რისი საშუალებითაც მაღალკვალიფიციური ოსტატი თავისუფლად აწარმოებს სხვადასხვა საიუველირო ოპერაციას მინის, ოქროს ან ვერცხლის დასამუშავებლად. ეს ხელსაწყო *კოლხური ხუფის* სახელით მოინათლა. ექპერიმენტებმა აჩვენა, რომ *კოლხური ხუფის* ქვედა მწკრივებში გაკეთებული, შედარებით დიდი, სამკუთხა, ხვრელები შემთხვევითი არაა. ისინი დიდ როლს ასრულებენ ხუფის გარეთ არსებული მაღალი ტემპერატურის ხუფის შიდა სივრცეში გადასანაწილებლად. ფართო ხვრელებით ხუფს შიგნით სწრაფად შეედინება თანდათან მაღლა აღმავალი ცხელი ჰაერის ნაკადი. ზედა, შედარებით მცირე, ხვრელები კამერაში ხელს უწყობს ცხელი ჰაერის ქვემოდან ზემოთ გადაადგილებას, ხოლო მათი სიმცირე განაპირობებს მაღალი ტემპერატურის ზომიერ მოძრაობას, რათა ტემპერატურა დაგროვდეს ხუფის შიდა სივრცეში და არ მოხდეს მისი სწრაფი გამონიავება (სურ. 12).

ფასდაუდებელია ის ფაქტი, რომ ამ ხელსაწყომ, რომლითაც ძველი კოლხები თეოფილუსამდე თითქმის XVI ს-ით ადრე, ადრეანტიკურ პერიოდში, ძვირფასი მეტალის დამუშავების დროს ახორციელებდნენ სარჩილ ოპერაციებს, მოაღწია ჩვენს დრომდე. თავისუფლად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საიუველირო-საოქრომჭედლო ოპერაციებისათვის განკუთვნილი ასეთი კამერები იმ პერიოდის კოლხურ საოქრომჭედლო სახელოსნოებში მრავალნაირი ზომისა და ფორმის იყო. ის მზადდებოდა რკინისაგან, რადგან მხოლოდ ეს მასალა უძლებს მაღალ ტემპერატურას (ფერადი მეტალი ასეთ მაღალ ტემპერატურას ვერ გაუძლებდა). ხაზგას-

მით აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რკინა ამ დროისათვის ძვირადღირებულ, ძნელად მოსაპოვებელსა და დასამუშავებელ მეტალად მიიჩნეოდა. მისგან დამზადებული ნაკეთობანი ხშირად აუცილებლად მეორეულად გადამუშავდებოდა ან განადგურდებოდა მიწაში ოქსიდირების პროცესის გამო.

ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უამრავი ოქრომჭედლური ნაკეთობა უტყუარს ხდის მოსაზრებას, რომ აქ ადრეანტიკურ პერიოდში და შემდეგაც უცილობლად არსებობდა მრავალი ადგილობრივი საოქრომჭედლო სახელოსნო, სადაც მზადდებოდა მაღალი მხატვრული დონის საიუველირო ნივთები. ამის შესახებ მართებული ვარაუდი აქვს გამოთქმული ოთ. ლორთქიფანიძეს: „შეიძლება თამამად ვივარაუდოთ, რომ ძველ ვანში არსებობდა სწორედ პროფესიონალ ხელოვანთა მძლავრი სკოლა, რომელიც ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით (კვერვა, ჭედვა, რჩილვა, გავარსი, ტვიფრვა) საუკუნეების მანძილზე ქმნიდა მხატვრული ოქრომჭედლობის უბრწყინვალეს ნიმუშებს" [ლორთქიფანიძე ოთ. 1972: 21]. ა. ჭყონიაც მიიჩნევს, რომ „ვანის ნაქალაქარი ანტიკური ხანის ოქრომჭედლობის მძლავრ კერად გვესახება, რომელიც ცნობილი სახელოსნო ცენტრების გვერდით შეიძლება მოვიხსენიოთ", თუმცა, იქვე აღნიშნავს: „ვანში ჯერჯერობით მიკვლეული არ არის ხელოსნის იარაღები, სამკაულთა დასამზადებელი ყალიბები ან სხვა, უფრო კონკრეტული მანიშნებელი ოქრომჭედელთა სახელოსნოების არსებობისა, მაგრამ ზემოთ განხილული მაგალითებიც კი უკვე საკმაო საფუძველს იძლევა ვანში ოქროს მხატვრული დამუშავების საკითხის გარკვევისათვის" [ჭყონია ა. 1976: 214]. მიუხედავად ამ მყარი სამეცნიერო ვარაუდებისა, მართლაც, თვით სახელოსნოთა არსებობის დამადასტურებელი რაიმე სახის მატერიალური კვალი აქამდე არ იყო გამოვლენილი.

აღნიშული სამეცნიერო ვარაუდების ერთი, მაგრამ მყარი მტკიცებულებაა ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილი კოლხური ხუფის ფუნქციის განსაზღვრა ჩემ მიერ ზემოთ აღწერილი ლაბორატორიული ექსპერიმენტების მეშვეობით. პროექტის განხორციელებისას შუა საუკუნეების ტიხროვანი მინანქრის მივიწყებული ტექნოლოგიის ყველა ნიუანსის სრულყოფილად და ბოლომდე აღდგენაში დარწმუნების მიზნით, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, სამაგალითო ასლის დასამზადებლად საგანგებოდ შევარჩიე ხახულის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის კარედ ხატზე არსებული წმიდა სვიმეონ მოციქულის მედალიონი (სურ. 13). მისი ასლის დასამზადებლად სარჩილი ოპერაციები რეკონსტრუირებული კოლხური ხუფით ჩავატარე ჩემს შეგირდებთან ერთად თეოფილუსის მიერ აღწერილი და პროექტის ფარგლებში დამზადებული სარჩილი ნივთიერების საშუალებით (სურ. 14). შედეგი დადებითია, რჩილვის ხარისხი – ძალიან მაღალი. ყველა ტიხარი რამდენიმე ეტაპიანი გამოწვით საიმედოდ და ხარისხიანად მიერჩილა საფუძველს. უნდა აღინიშნოს, რომ თეოფილუსის მიერ აღწერილი სარჩილი ნივთიერება უცილობლად ის ნივთიერებაა, რასაც ადრეანტიკურ და ელინისტურ სამყაროთა ხალხები იყენებდნენ ცვარნამით შემკული ნივთების რჩილვისას [Brepohl E. 1987:150]. ესაა ე.წ. რეაქციული სარჩილი, რომლის ხელოვნურად დამზადების ერთი მეთოდი თეოფილუსს აქვს აღწერილი ან ბუნებაში მოიპოვება მინერალ ქრიზოკოლას (სურ. 15) (ქრიზოკოლა-ბერძ. ოქროს წებოს, მაკავშირებელს ნიშნავს) სახით.

მიღებული დადებითი შედეგიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გამოვლენილ მატერიალურ მტკიცებულებას კოლხური ხუფის სახით და, ამასთანავე, მისი ფუნქციის განსაზღვრას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ფაქტი გვაძლევს საშუალებას უკვე მატერიალური საბუთის მეშვეობით ვისაუბროთ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი, ტრადიციული, საიუველირო სახელოსნოების შესახებ. სწორედ აქ მზადდებოდა ის უნიკალური ნივთები, რომლებიც ასე უხვადაა გამოვლენილი საქართველოში არქეოლოგიური ექსპონატების სახით. ის ფაქტიც, რომ *კოლხური ხუფი* ვანის სატაძრო კომპლექსში აღმოჩენდა, ნიშანდობლივია, ვინაიდან უძველესი საიუველირო სკოლები, როგორც ითქვა, არსებობდა სასულიერო ცენტრებში, სადაც ოქრომჭედლობა აყვანილი იყო კულტმსახურების რანგში [Федоров-Давыдов Г. 1990:35].

აღნიშნული პერიოდში და შემდგომაც ტრადიციული, უწყვეტი, ცოდნის არსებობაზე მკაფიოდ მიანიშნებს გვიანდელ შუა საუკუნეთა მიწურულს შექმნილ ტრაქტატში ვახტანგ VI-ის მიერ აღწერილი ტყვიის ოქსიდირებისათვის საჭირო ხელსაწყოს მუშაობის პრინციპი, რომელიც თითქმის იმეორებს თეოფილუსის მიერ დასახელებულ რკინის მუფელის კამერის მუშაობის პრინციპს. ვახტანგ VI-ც ტყვიის ოქსიდირებისათვის განკუთვნილ ხელსაწყოს, თეოფილუსის მიერ აღწერილის მსგავსად, ნაკვერცხლების გროვის ქვეშ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ათავსებს: „..ის მიწა ერთ რკინის ტაფაში ჩაყარე. მეორე რკინა, უფრო ფართო იმისგან, ზეიდამ დახურე. ამ ზეითს თავსახურავს ერთი სახელური უყავ რამე, რომ რახანც გინდოდეს, მოხდიდე ხოლმე. მერმე ცეცხლი მიეც, ზეიდამაც დააყარე. პირველზედ ის მიწა გაშავდება, მერმე გაწითლდება. რა კარგად ინვას, თავს მოხადე. თუ გაწითლებულიყოს, სურინჯი შექმნილიყოს, გარდმოიღე და შეინახე; თუ არადა მანამდინ სწვი-სურინჯი შეიქმნას” [ვახტანგ VI. 1981: 93]. მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგის მოღვაწეობის პერიოდში ქართული საოქრომჭედლო სახელოსნოები, ადრეულთან შედარებით, დაბალ დონეზეა, უმთავრეს საკითხებში ტრადიციული ცოდნა მაინც აქვთ შემონახული. ამის დასტურია ვახტანგ VI-ის წყაროდან მოხმობილი ამონარიდები და მათში ნახსენები ზოგიერთი სახელოსნო-სამარჯვი საშუალება თუ აღწერილი ტექნოლოგიური პრიცესი. ამრიგად, ჩვენ წინაშე იშლება სრული პანორამა საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი საუკუნის განმავლობაში საიუველირო სახელოსნოს უწყვეტი ტრადიციებისა. ამ ისტორიული მოვლენის უშუალო ლოგიკური შედეგია ადრეანტიკურიდან გვიანი ანტიკური პერიოდის ჩათვლით და მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში არსებული და კარგად ორგანიზებული საიუველირო სკოლების სისტემა, რომელთა წიაღშია შექმნილი ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ტიხროვანი მინანქრის მრავალი შესანიშნავი ნიმუში, როგორც ერთიანი მსოფლიო კულტურის თვალსაჩინო მონაპოვარი.

Ermile Magradze

The Geogian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts

1L. Gudiashvili St. 0105, Tbilisi, Georgia

E-mail: e.magradze53@gmail.com

Manifesting of the Early Antique Goldsmith Workshop in Site of Ancient Vani on the Example of "Colchian Cover"

Summary

Analyzing the processes of metallurgy and glassmaking of the old civilizations plays a significant role in the most complex study of the ancient world.

Many scientists have conducted their researches on the reconstructions of the historical picture of the abovementioned issues. Because of its complexity the issue cannot be regarded to be fully exhausted. New materials are frequently detected as in written forms so in the form of the artifacts, that cause the changes of once established hypothesis and manifests the issue in quite different aspects.

The present article introduces the scientific studies conducted considering the abovementioned point of view. These activities have been carried out in the frameworks of the project "Following the Lost Technologies-Cloisonné Enamel" which was realized in 2013 at the Georgian National Museum under the auspices of UNESCO.

The above mentioned scientific studies were mainly based on the two written sources survived to the present day: the treatise on Diverse Arts of the 11th - 12th centuries by monk Theophilus Presbyter and the treatise on Blending Oils and Chemistry Making by Vakhtang VI — king of Kartli in the 18th c.

In the article both historical documents are combined with discovered archaeological materials by the help of analyses. The essence of cloisonné enamel technology of the Middle Ages, the origin of this perfect field of art and reasons of its loss in the late 15th century are described in details.

The mentioned activities gave us opportunity to identify clearly the function of the cone-shaped iron cover unearthed in the old settlement of Vani in 1966. The result of which determined that the cover is a goldsmith's implement with the use of which the old Colchis population performed metallurgical operations in the early ancient periods.

Twelve Biblical minerals are reviewed in the article as the main basis of incrustation and later in the antique period as formed technological method of cloisonné enamel.

Finally the article describes the crowning stage of the project-making _ copy of the golden cloisonné enamel medallion of St. Simon mediator of Khakhuli triptych Icon, by using of archaeological instruments which have been reconstructed in the process of the project implementation.

ბიბლიოგრაფია

ახალი აღთქუმაჲ. 2000: თბილისი.

ვახტანგ VI. 1981: *წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის*. თბილისი.

თავაძე ფ., საყვარელიძე თ., ინანიშვილი გ. 1976: ვანში აღმოჩენილი რკინის ნივთების კვლევის შედეგები. *ვანი.* II. გვ. 215-220. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. 2010: *საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ.წ. III-I ათასწლეულები).* თბილისი.

მიქელაძე თ. 1967: *ქსენოფონტის „ანაბასისი". თბილისი.*

ლორთქიფანიძე ოთ. 1972*:* ვანის ნაქალაქარი. *ვანი.* I. გვ. 7-42. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

შტაინერი რ. 2003: *იდუმალთმეტყველების ნარკვევი.* თბილისი.

ჭყონია ან. 1976: ოქროს მხატვრული დამუშავება ძველ ვანში. *ვანი.* II. გვ. 205-214. თბილისი (რედ. ოთ.ლორთქიფანიძე).

***წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი.* 1989:** თბილისი.

ჯავახიშვილი ივ. 2012: *ქართველი ერის ისტორია.* ტ. I. თბილისი.

Безбородов М. А. 1969: *Химия и технология древних и средневековых стекол.* Минск.

Бреполь Э. 1986: *Художественное эмалирование.* Ленинград.

Петухов С. П. 1898: *Стеклоделие*. Санкт-петербург.

Платонова Н., Ульянова Б. 1974: *Русская эмаль XVIII-XIX вв.* Москва.

Федоров-Давыдов Г. 1990: *Монеты рассказывают*. Москва.

Brepohl E. 1987: *Theophilus Presbyter und die mittelalterliche Goldschmiedekunst.* Leipzig.

Theophilus. 1979: *On Divers Arts.* New York.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილი რკინის „ხუფი”
სურ. 2. ასპავრუკ პიტიახშის ხანჯლის ქარქაში. ახ. წ. II ს.
სურ. 3. წმინდა გიორგი „ურჩხულის მლახვრავი”. ახ. წ. XV ს.
სურ. 4. ინკრუსტირებული გულსაკიდი არაგვისპირიდან. ახ. წ. III-IV სს.
სურ. 5. ინკრუსტირებული ნივთები ტუტანჰამონის აკლდამიდან
სურ. 6. ინკრუსტირებული ყელსაბამი ურეკიდან. ახ. წ. III-IV სს.
სურ. 7. დიადემის ფრაგმენტები ვანიდან. ძვ. წ. III-II სს.
სურ. 8. ინკრუსტირებული გუსაკიდი ვანის ნაქალაქარიდან. ძვ. წ. V ს.
სურ. 9. ინკრუსტირებული სამაჯური მცხეთიდან. ახ. წ. III-IV სს.
სურ. 10. წმინდა გიორგი „ლასია ქალაქის სასწაული”. ახ. წ. XIV-XV სს.
სურ. 11. თეოფილუს პრესვიტერის აღწერილი რკინის ხუფის რეკონ-სტრუქცია
სურ. 12. „კოლხური ხუფი-ს“ ასლი მუშაობის დროს
სურ. 13. წმინდა სვიმეონ მოციქულის მედალიონი ხახულის კარედი ხატიდან. XII ს.
სურ. 14. წმინდა სვიმეონ მოციქულის მედალიონის ასლი
სურ. 15. მედალიონის ასლის განხორციელების პროცესი

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Iron cover found in ancient Vani
Fig. 2. Sheath of dagger of Asparug pitiaksh. 2nd AD.
Fig. 3. St.George- killer of monster. 15th c.
Fig. 4. Inlayed necklace from Aragvispiri. 3rd - 4th cc.
Fig. 5. Inlayed objects from Tutankhamen's tomb
Fig. 6. Inlayed necklace from Ureki. 3rd – 4th cc.
Fig. 7. Diadem fragments from Vani. 3rd – 2nd cc BC .
Fig. 8. Inlayed necklace from Vani. 5th c. BC.
Fig. 9. Inlayed bracelet from Mtskheta. 3rd c. AD.
Fig. 10. St.George. "Miracle of Lasia town". 14th -15th cc.
Fig. 11. Reconstruction of Theophilus Presbyter's Cover.
Fig. 12. Copy of the Colkhian Cover during working process
Fig. 13. St.Simon mediator's medallion from Khakhuli Icon. 12th c.
Fig. 14. Copy of St. Simon's medalion
Fig. 15. The process of execution of the medallion copy

სურ. 1 **Fig.**

სურ. 2 **Fig.**

სურ. 3 **Fig.**

სურ. 4 **Fig.**

სურ. 5 **Fig.**

სურ. 6 **Fig.**

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.



სურ. 10 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 11 Fig.

სურ. 12 **Fig.**



სურ. 13 **Fig.**

სურ. 14 **Fig.**

სურ. 15 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 341-350
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 341-350

იულონ გაგოშიძე*, გიორგი გაგოშიძე**

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105 თბილისი, საქართველო
ელფოსტა: iulongagoshidze@yahoo.com

**საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: g_gagoshidze@yahoo.com

ვერცხლის თასი ჭერმისხევიდან

1994 წელს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუკუზანში მცხოვრებ ალიკა ნიკოლოზის ძე ქიტესაშვილისგან შეიძინა მოოქრული ვერცხლის თასი (სურ. 1), რომელიც, მისი თქმით, შემთხვევით უპოვნიათ მუკუზნის მახლობლად ჭერმისხევში (საინვ. № 11-994. თასის H — 37 მმ, პირის D — 121 მმ, პირის სისქე — 4 მმ, წონა — 382,10 გრ).

საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციების მართვისა და რესტავრაცია-კონსერვაციის დეპარტამენტის ლაბორატორიაში ჩატარდა ჭერმისხევის თასის ძირსა და პირზე არადესტრუქციული რენტგენო-ფლუორესენტული სპექტრული კვლევა (ნ.კალანდაძე), განისაზღვრა ოთხი ელემენტი: ვერცხლი, ოქრო, სპილენძი და ტყვია (ძირი: Ag — 92.020 %; Au – 4.807%; Cu – 2.941%; Pb — 0.232%. პირი: Ag — 92.318 %; Au – 0.716%; Cu- 3.662%; Pb — 0.304%.).

ეს თასი ორჯერ გამოაქვეყნა ლ. ჭილაშვილმა როგორც მუკუზანში აღმოჩენილი და პირველ პუბლიკაციაში დაათარიღა IV ს-ით [Chilashvili L. 1999: 201], შემდგომ კი — IV-V სს-ით [ჭილაშვილი ლ. 2004: 143]. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობაში თასი მოხსენიებულია როგორც გვიანი სასანური ხანის (VI-VII სს.) ტორევტიკის ნიმუში [გაგოშიძე ი. 2013: 233, 234].

ნახევარსფერული, უფრო სწორად, სფეროს ერთი მესამედის ფორმის თასის გარეპირი დაბალი რელიეფური დეკორით მდიდრულადაა შემკული (სურ. 2, 3); ფონი მოოქრულია, რელიეფი კი ვერცხლისფრადაა დატოვებული. ძირზე, ცენტრში, ორმაგ წრეში, ჩასმული და მარცხნიდან მარჯვნივ მიმართული ტახის თავია გამოსახული. წრის ორ მოპირდაპირე მხარეს თითო ვაზია ამოზრდილი. ვაზის ყლორტებით შექმნილი ორნამენტული წრეები, რომლებშიც ფოთლები და ყურძნის მტევნებია, თასის მთელ

გარეპირს ფარავს. ფოთლები და მტევნები წრეებს გარეთაცაა გამოსახული, ხოლო ორივე ვაზის ვერტიკალური ღეროები შროშანის სტილიზებული ყვავილებით ბოლოვდება; წრეებში ჩაწერილი ფოთლებიც სხვადასხვაგვარია. ორივე ვაზთან მამაკაცის თითო ფიგურაა გამოსახული. ერთს ხელში მოხრილი სასხლავი დანა უჭირავს და მტევნის მოკვეთას აპირებს (სურ. 5). მეორეს კი ზურგზე გიდელი ჰკიდია და ცალი ხელი მტევნის მოსაწყვეტად აქვს გაწვდილი (სურ. 8). ვენახში სხვადასხვა ჯიშის ხუთი ფრინველია, რომელთაგან სამი ყურძენს კენკავს, ორი – ქათმისებრი, ვაზების ძირებს უკან დგას, სამი კი ვაზის ყლორტებზეა შემომსხდარი და იმ ყურძნის მტევნებს კენკავს, რომელთანაც სასხლავიანი მამაკაცი დგას. ფრინველების გარდა, ვენახში სამი მელა და კურდღელიცაა წარმოდგენილი (სურ. 3). თითო მელა თითო ვაზის უკანაა გამოსახული და მიმართულია მარჯვნიდან მარცხნივ (სურ. 8), ისევე, როგორც ვაზების ძირში მდგარი ქათმისებრი ფრინველები. მესამე მელა გიდელიანი მამაკაცის ვაზის მტევანს ჭამს. კურდღელი სასხლავიანი მამაკაცის ვენახშია ჩამჯდარი.

თასის პირის კიდეს შემოუყვება მძივებისა და მათს ქვემოთ დაღარული ნახევარწრეების რიგი (სურ. 1, 4).

ჭერმის ხევში აღმოჩენილი ეს თასი გვიანი სასანური ეპოქის ტორევტიკის ბრწყინვალე ნიმუშია.ამ ფორმისა და მსგავსი რელიეფური სახეებით შემკული ვერცხლის თითო თასი ინახება კლივლენდის მუზეუმში, დეტროიტის ხელოვნების ინსტიტუტსა და პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟში [Тревер К., Луконин В. 1987: 88, рис. 73, 76, 87, 94]. სამივე თასი სასანური ეპოქის დასასრულით, VI-VII სს-ით თარიღდება. ამათგან გარეპირის სიუჟეტური კომპოზიციით ჩვენს თასს განსაკუთრებით ემსგავსება დეტროიტის თასი, თუმცა, მასზე ადამიანი არ არის გამოსახული, ხოლო ცენტრალურ მედალიონში გარეული ცხვრის ფიგურაა ბაფთიანი ყელსაბამით (ხვარნას ინკარნაცია) [Тревер К., Луконин В. 1987: 94]. ასეთივე კომპოზიციაა წარმოდგენილი შუმეის კოლექციის ნავისებურ თასზე, რომელიც ასევე VI-VII სს-ით, თარიღდება. თასზე აქაც ვხედავთ ცენტრალურ მედალიონს, რომლისგანაც ორი ვაზი ამოდის, აქაც, ჭერმისხევის თასის მსგავსად, ვაზები შროშანის ყვავილებით ბოლოვდება, ვენახში კი ორი მელა, ძაღლი და ფრინველია, ცენტრალურ მედალიონში კი ციცარი [Harper P. 1996: 85. N31]. აბეგის კოლექციის ოვალური მოყვანილობის თასზეც (VI-VII სს.) ვენახია გამოსახული, სადაც სხვადასხვა ცხოველთან ერთად ადამიანიც არის წარმოდგენილი [Тревер К., Луконин В. 1987: 94].

ყველა ზემოთ ნახსენები თასი VI ს-ის დასასრულითა და VII ს-ის დასაწყისითაა დათარიღებული. ითვლება, რომ ასეთი თასები ამშვენებდა ირანის სასანელი შაჰებისა და დიდებულების საზეიმო სუფრას.ამავე პერიოდსა და კულტურულ წრეს ეკუთვნის ჩვენი თასიც, თუმცა, იგი ყველა დღემდე ცნობილი სასანური თასისაგან განსხვავდება ერთი მნიშვნელოვანი დეტალით: თასის ფსკერზე, შუაგულში, ამოკვეთილია ორმაგი წრეწირით შემოხაზულ მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი (სურ. 4, 6, 7), რომელიც მოოქრულია და მკვეთრად გამოიყოფა თასის პრიალა ვერცხლის შიდაპირზე. აშკარაა, რომ ღვინოს ამ თასით ქრისტიანი სვამდა.

თასის ძირზე გამოსახული ტახის თავი ცნობილი ზოროასტრული სიმ-

ბოლოა (ტახი ვერეთრაგნას ინკარნაციაა), მაგრამ ისიც ცნობილია, რომ სასანიანთა იმპერიის არსებობის ბოლო წლებში ზოროასტრულმა სიმბოლიკამ თითქმის დაკარგა რელიგიური დატვირთვა და გამოყენებითი ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშზე, განსაკუთრებით, ე.წ. საზეიმო ჭურჭელზე, რომელსაც ჭერმისხევის თასიც ეკუთვნის, ყოფითი სცენების შემადგენელ ელემენტებად იქცა [Тревер К., Луконин В. 1987: 94-97]. ჩვენს თასზეც ყოფითი სცენა – რთველია გამოსახული და ფრინველების, კურდღლისა და მელების არსებობა ვენახში უჩვეულო არაა. გავიხსენოთ თუნდაც მოარული სიუჟეტი ვენახში შეპარული მელას შესახებ, რომელიც ეზოპეს იგავის სახით შემოგვრჩა.

ცნობილია, რომ იმავე პერიოდის ირანში ფართოდ გავრცელდა ქრისტიანობა და ირანის შაჰს, ხოსრო II ფარვიზს (591-628 წწ.), ქრისტიანი ცოლები ჰყავდა [Пигулевская Н. 1946: 107, 240, 245, 256], მათ შორის, ბიზანტიის იმპერატორ მავრიკიუსის (582-602 წწ.) ქალიშვილი მარიამი. ამასთან ითვლებოდა, რომ იგი ქრისტიანებს მფარველობდა [Луконин В. 1987: 180, 181, 203-205], ხოლო მისი სავასალო ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის, ქართლის სამეფო, ალბანეთი და არმენია ქრისტიანული ქვეყნები იყო. ამიტომ აღარ უნდა გაგვიკვირდეს ჩვენს თასზე ქრისტიანობის უმთავრესი სიმბოლოს – ჯვრის არსებობა.

ეს ის პერიოდია (VI-VII სს-თა მიჯნა), როდესაც ქართლის სამეფოში აშენდა მცხეთის ჯვარი, რომლის რელიეფებზე გამოსახულ ქტიტორებს ირანული სამოსი აცვიათ [ჩოფიკაშვილი ნ. 1964: 16, 17; აფხაზავა ნ. 1979: 58], ხოლო ქართლის ერისმთავრები ჭრიდნენ ე. წ. ქართულ-სასანურ მონეტებს, რომელთა რევერსზე გამოსახულ საკურთხეველზე ზოროასტრული ირანის უმთავრესი სიწმინდის – ცეცხლის ადგილი ჯვარს უკავია [გაგოშიძე ი., ანთაძე მ. ... 2000: 32]. ასეთ ქვეყანაში სავსებით მოსალოდნელი უნდა იყოს ისეთი ნივთის არსებობა, როგორიცაა ჭერმისხევში აღმოჩენილი მოოქრული ვერცხლის თასი.

თასის ფსკერზე გამოსახული წრეში ჩაწერილი ტოლმკლავა ჯვარი (სურ. 4, 7) იმ გასხივოსნებული ჯვრის განსახიერებაა, რომელიც კონსტანტინე დიდს მაქსცენსიუსთან ბრძოლის წინ (312 წ.) ცაზე გამოეცხადა [Кондаков Н. 1904: 290; Чубинашвили Г. 1940: 184; Вилинбахов Г. 1985:194]. ამგვარ ჯვარს — „ჯვარი ძლევისაᲝ" ან, უბრალოდ, „ძლევაᲝ" ეწოდება. წრეში ჩახაზული ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებები მრავლად გვხვდება ადრეული შუა საუკუნეების ხელოვნებაში. განსაკუთრებით პოპულარული იგი აღმოსავლეთ ქრისტანულ სამყაროშია (კაპადოკია, კილიკია, სირია, პალესტინა, საქართველო, სომხეთი). იქ მას ვხვდებით როგორც ხუროთმოძღვრულ დეკორში, ისე ცალკე მდგომი სტელებისა და მათი ბაზების წახნაგებზე, და ასევე ტორევტიკის ძეგლებზე.

ჭერმისხევის თასის ჯვარი სადადაა გადაწყვეტილი. იგი დამატებითი დეტალებით არაა გაფორმებული. მისი მკლავთა ბოლოები მედალიონის მომსაზღვრელ შიდა წრეწირს ეხება და, შესაბამისად, გარეთკენაა გაზნექილი. ეს დეტალი ამ ჯვრის მახასიათებელი იშვიათი ნიშანია. საქართველოში დადასტურებული მედალიონში ჩაწერილი ტოლმკლავა ჯვრების უმეტესობას მკლავები ჯვრის ცენტრისკენ შეზნექილი ხაზებით უბოლო-

ვდება. ასეთი ჯვრებია გამოსახული ბოლნისის სიონის (V ს-ის მეორე ნახევარი) [Чубинашвили Г. 1940: 182, 183, 185], გულბაღის (V ს-ის დასასრული – VI ს-ის I ნახევარი) [Чубинашвили Н. 1972: таб. 40] აკვანების (VI ს-ის II ნახევარი) [Чубинашвили Н. 1972: таб. 42], თეთრი წყაროს (VI ს-ის II ნახევარი) [Чубинашвили Н. 1972: таб. 50], მცხეთის ჯვრის (VI-VII სს-ის მიჯნა) [Чубинашвили Н. 1972: таб. 47] ტაძრების კედლებზე; აგრეთვე V-VII სს-ის სტელების წახნაგებზე, ბაზისებსა თუ ჯვრებზე: ლამაზი გორა [ამირანაშვილი შ. 1968: 4, 9, 10-13, 16, 17], ბალიჭი, ბრდაძორი [ჯავახიშვილი გ. 1998: 13. №15. ტაბ. XI. სურ. 2; 33. №88. ტაბ. XXII. სურ. 2], ყაჩაღანი [მაჩაბელი კ. 2008: ტაბ. 70] და მრავალი სხვ. მსგავს ჯვრებს ვხვდებით შედარებით მოგვიანო ხანის ძეგლებზეც: თელოვანი (VIII-IX სს.) [ცინცაძე ვ. 1959: 84-2. ტაბ.62], ოთხთა ეკლესია (X ს-ის II ნახევარი) [ჯობაძე ვ. 2007: 200. სურ. 59], ქასაგინა (X ს.), ქობეთი (X ს.), კაბენი (XIII ს.) [Меписашвили Р., Цинцадзе В. 1975: 82, 86, 117] და სხვ.

ჭერმისხევის თასის ცენტრში გამოსახული ჯვარი სისადავითა და მკლავთა დაბოლოების თავისებურებით (გარეთკენ გაზნექილობა) (სურ. 7) გვაგონებს დავათის სტელასა (VI ს.) [ჯავახიშვილი გ. 1998: 40. №104. ტაბ. XCIV. სურ. 4] და სამთავისის სამნავიანი ბაზილიკის გათხრებისას აღმოჩენილ არქიტრავზე ამოკვეთილ (VII ს-ის მეორე ნახევარი) ჯვრებს; წრეში ჩაწერილ ტოლმკლავა ჯვარს ფიის ეკლესიის სამხრეთი კარის ბალავრის ქვაზე (X ს.) [ბერძენიშვილი დ., ელიზბარაშვილი ი. ... 2000: 109. სურ. 337]. ამგვარი ჯვრებია გამოსახული იორდანიაში სიაგას მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე აღმოჩენილ საფლავის ქვასა (VI ს.) [Sanmori Ch. 1998: 42. pl. 30] და ალმუხაიათის მონასტრის კანკელის სვეტზე (VI ს.) [Acconci A. 1998: 535. pl. 171]; მსგავსი ჯვრებია მოსკოვის პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ქვის მედალიონზე (VI-VII სს.) [Банк А., Бессонова М. 1977: 153. таб. 284], წრიული ფორმის ქვაზე (577 წ.), რომელიც ნისანაშია (ისრაელში) აღმოჩენილი [Israeli Y. 2000: 127], ბაშმიშლის რელიკვარიუმზე [Pena I., Castellana P. … 1987: 201, 203. fig. 48], სვიმეონ მესვეტის ტყვიის მედალიონებზე ანტიოქიიდან (X-XI სს.) [Verdier P. 1980: 21-23; Skhirtladze Z. 1995: 283] და სხვ.

ჭერმისხევის თასის შუაგულში გამოსახული გაზნექილბოლოებიანი ჯვრის მსგავსი ჯვრები იშვიათად გვხვდება საქართველოსა და სომხეთში, გაცილებით ხშირად კი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ადრეული შუა საუკუნეების, უფრო კი, VI-VII სს-ის ძეგლებზე.

თასის გარეპირზე წარმოდგენილი „ყურძნის კრეფის" კომპოზიცია (სურ. 2, 3), როგორც ვნახეთ, ხშირია სასანური თასების შემკულობაში. ითვლება, რომ ამ სიუჟეტების არსებობა გაპირობებულია ირანში დიონისური კულტის გავრცელებით [Тревер К., Луконин В. 1987: 96; Микаелян Л. 2013: 120]. ვაზს, ვენახს ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ქრისტიანულ ხელოვნებაში. იოანეს სახარების მიხედვით, ეს მცენარე მაცხოვრის სიმბოლოა: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი..." (იოანე 15. 1); „მე ვარ ვენაჯი და თქუენ რტონი..." (იოანე 15. 5), – ამბობს მაცხოვარი [Appleton L., Bridges S. 1959: 107]. ქრისტიანულ ხელოვნებაში ხშირია ვაზის გამოსახულება. მტევნებითა და ფოთლებით გაფორმებულ მის მოქნილ ღეროს ჩვენში

ვხვდებით როგორც ადრეული შუა საუკუნეების სტელათა წახნაგებსა და ბაზისებზე, ასევე ეკლესიათა კარ-სარკმლის საპირეებსა თუ თავსართებზე [Чубинашвили Н. 1972: таб. 10, 11, 19, 20, 27, 30, 34, 35, 57, 65, 66, 78, 80, 87]. აქ გამოისახება აგრეთვე ვაზი, რომლის შუაგულში ჯვარია, მტევნებს კი ჩიტები კენკავენ. ეს კომპოზიცია სამოთხის განსახიერებაა, სადაც ჩიტები მორწმუნეთა სულებს ასახავს, რომლებიც მაცხოვრის სისხლსა და ხორცს ეზიარებიან. ამგვარი გამოსახულება ამკობს გულბაღის (V-VI სს.), აკვანების (VI ს-ის II ნახევარი) არქიტრავებს [Чубинашвили Н. 1972: таб. 40, 42]. აღსანიშნავია, რომ ქართულ ადრექრისტიანულ ხელოვნებაში რთველის სიუჟეტი არ დასტურდება, თუმცაღა, ამგვარი კომპოზიციები მრავლადაა შემორჩენილი ქრისტიანული აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ქვეყნების ადრეული შუა საუკუნეების ხელოვნების ძეგლებზე: რომის წმ. კონსტანცას მავზოლეუმის მოზაიკა (IV ს.) [Колпинский Ю., Бритова Н. 1983: 112. таб. 334, 335], ლოტისა და პროკოპიუსის ეკლესიის (იორდანია) იატაკის მოზაიკა (VI ს.) [Piccirillo M., Alliata E. 1998: 347], დვინის (სომხეთი) ეკლესიის არქიტრავის ფრაგმენტი (VI ს.) [Thierry J. 1987: 61. tab. 213; Микаелян Л. 2013: 119, 581], ანტიოქიის მოოქრული ვერცხლის ბარძიმის გარეპირი (VI ს.) [Grabar A. 1966: 312. tab. 360] და სხვ.

ძნელი სათქმელია, სად არის დამზადებული ეს თასი. მისი რელიეფური დეკორის დიდი მსგავსება გვიანი სასანური ტორევტიკის ნიმუშებთან, ისევე როგორც ტახის – ვერეთრაგნას ინკარნაციის გამოსახვა თასის ძირზე, იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ თასი დიდი ალბათობით დამზადებული უნდა იყოს ირანის სახელოსნოში, რომელიც ახლოს იდგა სამეფო სახელოსნოებთან, სადაც სახელმწიფო კონტროლით მზადდებოდა საყოველთაოდ ცნობილი სასანური ვერცხლის ჭურჭელი [Harper P., Meyer P. 1981: 157]. თასის დამკვეთი, ცხადია, ქრისტიანი იქნებოდა.

თასის აღმოჩენის ადგილი – ჭერმისხევი გვავარაუდებინებს, რომ ის, შესაძლებელია, დაკავშირებული იყო ადრეული შუა საუკუნეების ქალაქ ჭერემთან, რომლის ნანგრევები შემორჩენილია ჭერმისხევის სათავეში. თასი ჭერემში, სავარაუდოდ, მოხვდა როგორც ქართველი დიდებულისთვის მიძღვნილი დიპლომატიური საჩუქარი.

Iulon Gagoshidze*, George Gagoshidze**

*The Georgian National Musem, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: iulongagoshidze@yahoo.com

**The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of fine Arts
1 L. Gudiashvili St. 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: g_gagoshidze@yahoo.com

Silver Bowl from Chermiskhevi

Summary

In 2014 the Janashia State Museum (now the Georgian National Museum) purchased a silver gilded bowl from A. N. Kitesashvili, resident of village Mukuzani, Gurjaani District. According to him, the bowl was accidentally found at Chermiskhevi.

The bowl, richly decorated with relief ornament, is an excellent example of late Sassanian toreutics. Silver bowls of the same shape decorated with similar relief representations are preserved at the museums in Cleveland and Detroit as well as at the State Hermitage in Petersburg, one sample in each. However, the thematic composition of the outer surface (vineyard, animal and human figures) bears much stronger resemblance to the so-called boat-like bowl preserved in the Shumei Collection (Japan).

All of these bowls date back to the 6th -7th centuries. Our bowl belongs to the same period too, although it differs from all the bowls known so far by a significant peculiarity: there is an equal-armed cross inscribed in a double circle carved on its bottom.

Co-existence of Iranian-Zoroastrian and Christian symbols in late Sassanid epoch could be expected not only in the Christian countries that were under Iran's influence, including Georgia, where there are plenty of examples of this kind on the monuments of early art , but also in Iran itself, which enjoyed spreading of Christianity at that time.

ბიბლიოგრაფია

ამირანაშვილი შ. 1968: *ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები.* თბილისი.

აფხაზავა ნ. 1979: *ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა.* თბილისი.

ბერძენიშვილი დ., ელიზბარაშვილი ი., ვაჩეიშვილი ნ., ჩაჩხუნაშვილი ც. 2000: *ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გ ზამკვლევი.* თბილისი.

გაგოშიძე ი., ანთაძე მ., ღვაბერიძე მ., წოწელია მ., ქუთელია თ., შეროზია მ. 2000: *ფული საქართველოში.* თბილისი.

გაგოშიძე ი. 2013: *ჭერემი. თასი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა.* 1-I. თბილისი.

მაჩაბელი კ. 2008: *ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები.* თბილისი.

ჩოფიკაშვილი ნ. 1964: *ქართული კოსტიუმი.* თბილისი.

ცინცაძე ვ. 1959: თელოვანის ჯვარპატიოსანი (VIII-IX ს-ის ძეგლი). *ქართული ხელოვნება.* 5. გვ. 73-90. თბილისი (რედ. გ. ჩუბინაშვილი).

ჭილაშვილი კ. 2004: *ვენახი, ღვინო და ქართველები.* თბილისი.

ჯავახიშვილი გ. 1998: *ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები.* თბილისი.

ჯობაძე ვ. 2007: *ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში.* თბილისი.

Банк А., Бессонова М. 1977: *Искусство Византии в собраниях СССР. I.* Москва.

Вилинбахов Г. 1985: Крест царя Константина в средневековой воинской геральдике Европы. *Художественные памятники и проблемы культуры Востока.* с. 188-196. Ленинград (ред. В. Г. Луконин).

Колпинский Ю., Бритова Н. 1983: *Искусство Этрусков и древнего Рима. Памятники мирового искусства*. Москва.

Кондаков Н.1904: *Археологическое путешествие по Сирии и Палестине*. Санкт Петербург.

Луконин В. 1987: *Древний и раннесреднеиековый Иран*. Москва.

Меписашвили Р., Цинцадзе В. 1975: *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли*. Тбилиси.

Микаелян Л. 2013: Некоторые композиционные схемы и иконографические мотивы в раннехристианской скульптуре Армении в свете Сасанидских влиянии. Актуальные проблемы теории и истории искусства. *III. сборник научных статей.* с. 112-122. Санкт-Петербург (ред. С. Мальцева).

Пигулевская Н. 1946: *Византия и Иран на рубеже VI и VI Iвеков.* Москва.

Тревер К., Луконин В. 1987: *Сасанидское серебро. Собрание Государственного Эрмитажа. Художественная культура Ирана III-VIII веков*. Москва.

Чубинашвили Г. 1940: *Болниси. Известия института, истории и материальной культуры им. акад. Н.Я.Марра.* Тбилиси.

Чубинашвили Н. 1972: *Хандиси.* Тбилиси.

Acconci A. 1998: Elements of the Liturgical Furniture. Mount Nebo. *New Archeological Excavations 1967-1997.* p. 468-542. Jerusalem (ed. M. Piccirilo, E. Alliata).

Appleton L., Bridges S. 1959: *Symbolism in Liturgical Art.* New York.
Chilashvili L. 1999: Bowl. *National Treasure of Georgia*. p. 201. New York (ed. O. Soltes)..
Grabar A. 1966: L ' Age d ' or de Justinien. Paris.
Harper P., Meyer P. 1981: *Silver Vessels of the Sasanian Period.* New York.
Harper P. 1996: *Elliptical bowl decorated with a vine scroll. Ancient Art from The Shumei Family Collection*. NewYork (ed.: P.. John, O'Nei).
Israeli Y. 2000: The Cross. *Cradle of Christianity*. p.126-145. Jerusalem (ed. Y. Israeli, D. Merovah).
Pena I., Castellana P., Fernandez R. 1987: *Les Stylites Syriens.* Milan.
Piccirillo M., Alliata E. 1998: The Mosaics. *Mont Nebo, New Archeological Excavations 1967-1997*. pp. 265-372. Jerusalem (ed. M. Piccirilo, E. Alliata).
Sanmori Ch. 1998: The Funerary Practices. Mount Nebo. *New Archeological Excavations 1967-1997*. pp. 413-425. Jerusalem (ed. M. Piccirilo, E. Alliata).
Skhirtladze Z.1995: Silver Medallion from Garedji. *Jahrbuch der Österreichischen Byzantinistik. 45. Band.* pp. 277-283. Wien (ed. H. Hunger, W. H'randner).
Thierry J. 1987: *Les arts Arméniens.* Paris.
Verdier *P.* 1980: A Medallion of Saint Symeon the Younger. *Bulletin of the Cleveland Museum of Art. January.* pp. 17-27. Cleveland

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ჭერმისხევის თასი
სურ. 2. ჭერმისხევის თასი. გარეპირის შემკულობა
სურ. 3. ჭერმისხევის თასი. ნახატი ც. თურქიაშვილისა
სურ. 4. ჭერმისხევის თასი. ნახატი ც. თურქიაშვილისა
სურ. 5. ჭერმისხევის თასი. გარეპირი. დეტალი
სურ. 6. ჭერმისხევის თასი. შიდაპირი
სურ. 7. ჭერმისხევის თასი. შიდაპირი. დეტალი
სურ. 8. ჭერმისხევის თასი. გარეპირი. დეტალი

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Chermiskhevi bowl
Fig. 2. Chermiskhevi bowl. Outer decoration
Fig. 3. Chermiskhevi bowl. Drawing by T. Turkiashvili
Fig. 4. Chermiskhevi bowl. Drawing by T. Turkiashvili
Fig. 5. Chermiskhevi bowl. Outer surface. Detail
Fig. 6. Chermiskhevi bowl. Inner surface
Fig. 7. Chermiskhevi bowl. Inner surface. Detail
Fig. 8. Chermiskhevi bowl. Outer surface. Detail

სურ. 1 **Fig.**

სურ. 2 **Fig.**

სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**

სურ. 5 **Fig.**

სურ. 7 **Fig.**

სურ. 6 **Fig.**

სურ. 8 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 351-365
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 351-365

ხელოვნებათმცოდნეობა

ირმა მამასახლისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჭავჭავაძის გამზირი 1, 0128, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: imamasachlisi@yahoo.com

ერთაწმინდის ეკლესიის სიძველეები
(შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგანძურიდან)

ერთაწმინდის წმ. ევსტათე პლაკიდას ეკლესია XIII ს-ია აგებული[1]. ტაძრის ისტორიის შესახებ წერილობით წყაროებში დაცული მონაცემები შედარებით მოგვიანო ხანისაა [მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის 1964: 81]. XIII ს-ის შემდეგ სამონასტრო ცხოვრებაში არსებული წყვეტილი XVII ს-ში სასულიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობის აღმავლობით შეიცვალა, მას შემდეგ, რაც ერთაწმინდა როსტომ მეფემ თარხან-მოურავებს უბოძა. ავტორები, რომლებიც ერთაწმინდის შესახებ წერენ, სახელდობრ, ი. კარგარეთელი [კარგარეთელი ი. 1911: 2-3], პლ. იოსელიანი [იოსელიანი პლ. 1973: 71-81], ს. მაკალათია [მაკალათია ს. 1959: 22-25] და გ. ხორგუაშვილი [ხორგუაშვილი გ. 2000: 57-62], ძირითადად, ზეპირსიტყვიერებით მასალას ეყრდნობიან. ამასთანავე, ი. კარგარეთელს [კარგარეთელი ი. 1911: 2, 3], პლ. იოსელიანსა [იოსელიანი პლ. 1973: 71-81] და გ. ბოჭორიძეს [ბოჭორიძე გ. 2011: 49-50, 305-307, 330] მოჰყავთ საგულისხმო და მნიშვნელოვანი მონაცემები ერთაწმინდის ტაძარში დაცული სიწმინდეებისა და სიძველეების შესახებ. მათ ტაძარში იმხანად დაცული ნივთიერი მასალა აღნუსხეს, ნაწილი თბილისში ჩამოიტანეს და საარქივო-სამუზეუმო ფონდებს გადასცეს.

ერთაწმინდის ტაძარი სასწაულმოქმედი იყო და უამრავი შენაწირი ჰქონდა. ეკლესიის უმთავრესი სიწმინდე – წმ. დიდმოწამე ევსტათე პლაკიდას სასწაულმოქმედი მარჯვენა საგანგებო სანაწილეში იყო დაბრძანებული. ტაძრის ერთ-ერთ სიწმინდედ ასევე ითვლებოდა წმ. ევსტათეს ცერი. ცნობა იმის თაობაზე, თუ როდის ან საიდან მოხვდა წმ. დიდმოწამე მხედრის წმინდა ნაწილები ერთაწმინდის ტაძარში, ადრეული ხანის საის-

[1] ტაძრის აგების თარიღთან დაკავშირებით მკვლევართა შორის არაერთი აზრი გამოითქვა. მ. ბროსე ტაძარს ბაგრატ IV–ისა და დავით აღმაშენებლის ეპოქაში აგებულად მიიჩნევს, რის საფუძველსაც მას ტაძრის შიდა ინტერიერი და ორნამენტული დეკორი აძლევს [Brosset M. 1851: 31-36]. ფრანგი მკვლევარი რიპარი ერთაწმინდის ტაძრის არქიტექტურის თავისებურებასა და სახასიათო ნიშნებზე საუბრობს და ცდილობს, ახსნას ყოველივე ეს თავისებურება და მოუძებნოს ამ ტაძარს ადგილი მის თანამედროვე ძეგლებს შორის [Brosset M. 1851: 31- 36]. ძეგლზე დაკვირვებითა და ანალიზით მიღებული დასკვნების თანახმად, ი. გომელაური მას რუსუდანის მეფობის ხანაში აგებულად მიიჩნევს, კერძოდ, მკვლევრის აზრით, ეს ძეგლი 1222-1245 წლებზე ადრე არ უნდა შექმნილიყო [გომელაური ი. 1976: 60].

ტორიო წყაროებში არ მოიპოვება. ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ წმ. დიდმოწამე ევსტათეს წმინდა ნაწილები საქართველოს სხვა ტაძრებშიც ყოფილა დაბრძანებული [ბუბულაშვილი ე. 2007][2].

საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცული წმინდა ნაწილები, ისევე, როგორც წმინდა ნაწილებით შემკული სხვადასხვა სიწმინდე, მრავალგზისი შემოსევების დროს განადგურდა, ნაწილი კი ქვეყნის გარეთ მოხვდა.

უადრესი ცნობა წმ. ევსტათეს სასწაულმოქმედი მარჯვენის შესახებ დაცულია XVII ს-ის საისტორიო წყაროში. ეს დოკუმენტი ეხება ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსის ვიზიტს საქართველოში, რომელსაც განუყრელად ახლდა ვაჟი პავლე ალეპოელი. პატრიარქი მაკარიოსი და პავლე ალეპოელი ორჯერ იმყოფებოდნენ საქართველოში: პირველად — 1664-1666 წლებში, მეორედ კი — 1669 წელს. პავლე ალეპოელის აღწერილობის მიხედვით [ასათიანი ნ. 1973: 73-74], ირკვევა, რომ ერთაწმინდის ტაძარში ყოფილა ტრადიცია წმინდანის ხსენების დღეს ირემზე დაბრძანებული წმ. ევსტათეს მარჯვენის საზეიმოდ გამობრძანებისა. ამ რიტუალს ხალხი განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა. „ისინი სასწაულმოქმედ მარჯვენას ეთაყვანებოდნენ, რომლისგანაც უამრავი სასწაული აღესრულებოდა. პავლე ალეპოელი გვაუწყებს, რომ წმ. ევსტათეს მარჯვენას ერთხელ 60.000 თურქი და თათარი ამოუწყვეტია. ამის შემდეგ ვერც ერთი დამპყრობელი შიშით ვეღარ ეკარებოდა ამ ადგილს" [ასათიანი ნ. 1973: 73-74].

პლ. იოსელიანის მიხედვით [იოსელიანი პლ. 1973: 77], წმ. ევსტათეს წმინდა ნაწილები 1795 წელს ბატონიშვილ თეკლას ავადმყოფობის გამო მეფე ერეკლე II-ის თხოვნით კათოლიკოსს თბილისში გადმოუტანია. სპარსელთა მიერ თბილისის აოხრების დროს სასახლის ეკლესიის ძვირფასეულობათა შორის წმ. ევსტათეს ეს წმინდა ნაწილიც დაკარგულა. იგი მოგვიანებით მეფე ერეკლეს დამ, ანამ, გამოისყიდა და ერთაწმინდაში დააბრუნა. ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობით [თაყაიშვილი ექ. 1907: 215], წმ. ევსტათეს სანაწილე ვერცხლისა ყოფილა, რომელსაც ახლდა მხედრული წარწერა: *„დიდებულო მთავარ მოწამეო ევსტათი, შემოგწირე მე, ცოდვილმა დედაკაცმან ანნამ იმერთა დედოფალმან პატიოსანი და წმიდა მკლავი შენი სულისა ჩემისა საოხად მხილველთა შენდობა ბძანეთ ჩემთვის".* ექვთიმე თაყაიშვილი იქვე განმარტავს, რომ წარწერაში მოხსენიებული „ანნა" დედოფალი არის იმერთა მეფე დავით II-ის მეუღლე, მათე ორბელიანის ასული (†1836). ამავე სანაწილესა და თანმხლებ საქტიტორო წარწერაზე ცნობა მოიპოვება გ. ბოჭორიძესთანაც [ბოჭორიძე გ. 2011: 49-50].

პლ. იოსელიანს [იოსელიანი პლ. 1973: 77] უნახავს, თუ როგორი მოწიწებით გამოჰქონდათ წმინდა ნაწილები ერთაწმინდის ტაძარში. იგი აღნიშ-

[2] ე. ბუბულაშვილის მიხედვით, უძველესი დროიდან საქართვლოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მრავალი წმინდა რელიკვია იყო დაბრძანებული, რომელთა წარმომავლობისა და საქართველოში შემოსვენების ისტორია ჩვენთვის უცნობია. თუმცა, ზოგიერთის შესახებ ვიცით, რომ ისინი კონსტანტინოპოლოდან, იერუსალიმიდან და სხვა წმინდა ადგილებიდან შემოაბრძანეს საქართველოში. მათი ერთი ნაწილი 1453 წელს, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, ბერძენმა სასულიერო პირებმა, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ფარულად შემოასვენეს საქართველოში. [ბუბულაშვილი ე. 2007: 8]. მისივე აღწერილობით, საქართველოს ეკლესია-მონასტრებში არსებული წმინდა ნაწილების ძირითადი ნაწილი ხატებსა და ჯვრებში იყო ჩასვენებული, ნაწილი კი სპეციალურად მათთვის განკუთვნილი სანაწილეში ინახებოდა [ბუბულაშვილი ე. 2007: 9-10].

ნავს, რომ სანაწილის ოქროთი დაფერილი ვერცხლის ჩარჩო შემკული იყო აღმოსავლური ქვებით, რომელიც შაჰ-აბასსა და ნადირ-შაჰს შეუწირავთ.

გ. ხორგუაშვილის აზრით [ხორგუაშვილი გ. 2000: 61-62], სხერტის ჭალის ბრძოლის დროს წმ. ევსტათეს მარჯვენა სრული სახით ყოფილა შემონახული. ეს სიწმინდე ტაძარში XX ს-ის 20-30 წლებამდე ინახებოდა. ბოლოს იგი გ. ბოჭორიძეს უნახავს. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ნათელია, რომ წმ. ევსტათეს ძველი სანაწილე, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, დღეს დაკარგულია. საგანგებოდ გვინდა შევეხოთ წმინდა ევსტათეს მკლავის დღევანდელ ადგილსამყოფელს. დავით თარხან-მოურავის მიერ ჩვენთვის მოწოდებული ფოტომასალით ირკვევა (სურ. 1), რომ ეს სიწმინდე დღეს ინახება მოსკოვში, კერძოდ, წმ. ფილიპე მოციქულის ეკლესიაში და იგი ტაძრის მთავარი სიწმინდეა. წმინდა ნაწილი საგანგებოდ გაკეთებულ კიდობნის ფორმის სანაწილეში ინახება სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად. რაც შეეხება წმინდანის მეორე ხელის ადგილსამყოფელს (სურ. 2), ისიც მოსკოვშია დაცული, კერძოდ, ამაღლების ტაძარში, რომელიც ღირსი მამა დავითის უდაბნოში, ქალაქ ჩეხოვთან ახლოს მდებარეობს [Саенкова Е; Герасименко Н. 2008: 76]

გ. ბოჭორიძის [ბოჭორიძე გ. 2011: 49-50] აღწერილობით ირკვევა, რომ ერთაწმინდის ტაძრის სიწმინდეთაგან მრავალი დაღუპულა მის იქ მისვლამდე, 65 წლის წინ, როდესაც, სინოდის კანტორის ნებართვით, ტაძრიდან ათ ფუთამდე ძველი ოქრო-ვერცხლის ნივთები გამოუტანიათ და გაუყიდიათ ეკლესიის შესაკეთებლად. მიუხედავად ამისა, მისი აღწერილობით, იმ დროისთვის ერთაწმინდის ტაძარში მაინც უამრავი სიწმინდე ყოფილა დაცული.

ერთაწმინდიდან წაღებული საგანძურის ნაწილს ჩვენ შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის, ნაქარგობისა და ფერწერის ფონდებში მივაკვლიეთ. ამ ფონდების საინვენტარო წიგნთა აღწერილობის მიხედვით, ეს ექსპონატები ერთაწმინდის ეკლესიიდანაა შემოსული. საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით, დასახელებული ექსპონატები შევადარეთ გ. ბოჭორიძის მიერ [ბოჭორიძე გ. 2011: 49] მოხმობილ ერთაწმინდის ეკლესიის ნივთთა სიას. ამ შედარების საფუძველზე დავინახეთ, რომ მოცემულ ნაშრომში ჩამოთვლილი ექსპონატები ინახება ხელოვნების მუზეუმის ფონდებში.

ახლახან გამოქვეყნდა ნ. ბურჭულაძისა და გ. ბარათაშვილის სტატია [ბურჭულაძე ნ; ბარათაშვილი გ. 2013: 310-336], რომელიც ერთაწმინდიდან წაღებული ნაქარგობისა და ფერწერის ნიმუშებს მიეძღვნა. სტატიაში განხილულია ხელოვნების მუზეუმის დღემდე სათანადოდ შეუსწავლელი, რამდენიმე ექსპონატი, რომლებიც ერთაწმინდის წმ. ევსტათეს ეკლესიიდანაა წამოღებული.

წინამდებარე წერილში განხილულია ის ექსპონატები, რომლებიც შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის ფონდშია დაცული[3].

სახარება (საინვ. №ქ. 1043. სურ. 3), ნაბეჭდი, აკლია თავფურცელი. ჩასმულია ვერცხლის ყდაში. სახარების ზედა ყდის მოჭედილობა სხვადას-

[3] ამ ექსპონატების მოძიება და შესწავლა საგანძურის კურატორ ელენე კავლელაშვილის უშუალო დახმარებით შევძელით.

ხვა ზომის ხუთი ფირფიტისგან შედგება. ვარდულებით მოჩარჩოებული კომპოზიციის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია საყდარზე მჯდომი ყოვლისმპყრობელი – მაცხოვარი, რომელიც ორივე ხელით სამეუფეო კურთხევას გამოხატავს. სახარების ოთხივე კუთხეში კი საყდარზე მჯდომი მახარებლებია სახარებებით ხელში. აქვეა მათი სახე-სიმბოლოები: არწივი, ადამიანი, ლომი და ხარი. სახარების უკანა ყდის მოჭედილობა ასევე ხუთი კომპოზიციისგან შედგება. ცენტრალურ ნაწილში, ვარდულის ფორმის ჩარჩოში, ჯვარი, კიბე, ლახვარი, გოლგოთის მთის პერსონიფიკაცია, მაცხოვრის ვნების იარაღები – ჩაქუჩი, სამსჭვალები და ბრტყელტუჩაა გამოსახული. აქვეა მამალი, რომელიც სვეტის მსგავს სადგამზე დგას. მასზე გველია შემოხვეული. საინტერესოა აქვე მოცემული მოჭრილი ხელის მტევანი და გაურკვეველი გამოსახულება. ჯვრის აქეთ-იქით მზე და მთვარეა წარმოდგენილი. სახარების უკანა ყდის ოთხივე კუთხეს გარშემოწერს დეკორატიული, უხვფოთლოვანი ყვავილებისა და ფოთლებისგან შედგენილი ვარდულები, რომელთა შიდა კიდეები დაკბილულია.

სახარების ქვედა ყდის შიდა პირს კიდეებზე შემოუყვება საქტიტორო წარწერა მხედრულად:

„ქ: საჩინოსა მთავარმოწამეს დიდსა ევსტათის გიძღვნი | წმ. მას სახარებასა სასოებით დადიანის ასული საქართველოს დედუფალი | დარეჯან მრავალწელობად საქართველოს მეფის | ირაკლისა და სიმრთელით სულისა | და ხორცითა ჩვენთა და ძეთა და ასულთა ჩვენთა დასაცველად“.

სახარება (საინვ. №ქ. 1042. სურ. 4) ჭედური ყდით, რომელსაც ერთი საკეტი აგლეჯილი და დაკარგული აქვს. მოჭედილობის ზედა ყდაზე, ცენტრალურ ნაწილში, ვარდულის ფორმის კომპოზიციაში, *უფლის აღდგომაა* გამოსახული. მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის ქვემოთ, მის ფეხებთან, საფლავი და მცველები არიან. კომპოზიციის სამ კუთხეში, დაკბილულ-კიდეებიანი სამკუთხა ფორმის კომპოზიციაში, გამოუსახავთ მახარებლები შესაბამისი სახე-სიმბოლოებით. მოციქულებს ახლავს ასომთავრულით შესრულებული განმარტებითი წარწერა. დაკარგულია წმ. მათეს გამოსახულება. ყდა შემკულია ოთხი ძვირფასი თვლით.

სახარების უკანა ყდის მოჭედილობა ასევე ხუთი კომპოზიციისგან შედგება. ცენტრალურ ნაწილში, ვარდულის ფორმის ჩარჩოში, ჯვარი, სვეტზე მდგომი მამალი, კიბე და მაცხოვრის ვნების იარაღები: ლახვარი, შუბი, სამსჭვალი, გოლგოთის მთის პერსონიფიკაცია და ბრტყელტუჩაა მოცემული. საინტერესოა ასევე მოჭრილი ხელის მტევანი, რომელიც კიბეზეა გამოსახული და ქსოვილი აქვს გადაფარებული. ჯვრის ზედა მკლავების აქეთ-იქით კი მზისა და მთვარის პერსონიფიკაციებია. სახარების უკანა ყდის ოთხივე კუთხეს გარშემოწერს სამკუთხა, დეკორატიული ყვავილების ორნამენტით შემკული კომპოზიცია, რომლის შიდა კიდეები დაკბილულია.

მოჭედილობას ახლავს მხედრული საქტიტორო წარწერა, რომელიც მოთავსებულია უკანა ყდაზე, ცენტრალური ვარდულის ქვემოთ: *„ქ: ჩვენ ყოვლისა საქართველოს მეფემ | ირაკლიმ შემოგწირე სახარება ესე | წმიდის ევსტატის ეკლესიასა ერთაწმინდას | რათა მეოხ მექმნა თანა მეცხედრით:. | ჩემით დედოფლით დარეჯანით:. | ძეებით და ასულებით | ზედა მხედველი ამისი თარხანი | გიორგი წელსა ჩღპთ“* (=1789).

ჯვარი ათონური ტიპისა (საინვ. №ქ. 726. სურ. 5). ბზისგან ნაკვეთი ჯვრის წინა პირზე, ცენტრში, ჯვარცმაა მოცემული, რომლის აქეთ-იქით ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და წმ. იოანე ღმრთისმეტყველის ფიგურებია. თარაზულ მკლავზე წმ. კონსტანტინე და ელენეა, რომელთა შემდგომ ქერუბიმ-სერაფიმი გამოუსახავთ. რაც შეეხება ზედა და ქვედა მკლავებს, მათზე ორი მახარებელია. ჯვრის ზურგზე, ცენტრში, გამოსახულია ნათლისღება. მის გვერდით, ორსავე მხარეს, თარაზულ მკლავებზე, თაღებში ჩაწერილი თითო ნახევარფიგურაა, რომელთა ამოცნობა ვერ ხერხდება. მათ გვერდით სერაბიმ-ქერუბინებია. ასევე შეუძლებელია ჯვრის ზედა და ქვედა შვეულ მკლავებზე მოცემული ფიგურების დადგენა.

ე.წ ათონური ტიპის ჯვრებზე საუბრისას ძალზე საგულისხმოა ნ. აზაურაშვილის სტატია [აზაურაშვილი ნ. 1999: 116-126], რომელიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის ფონდში დაცულ რამდენიმე ჯვარს ეხება. ავტორის მიერ არაერთი საინტერესო აზრია გამოთქმული მათი იკონოგრაფიული პროგრამის, სახისმეტყვლებითი ანალიზისა და თვით ამ ჯვრების დანიშნულების შესახებ. ჩვენი საკვლევი მასალის მსგავსად, მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ ტიპის ჯვრებზე, რომელთა ცენტრში, კერძოდ, წინა მხარეს, ჯვარცმა, ხოლო უკანა მხარეს ნათლისღებაა გამოსახული. მისი აზრით, ამ ორი სცენის დაწყვილებით რამდენიმე თეოლოგიურ საზრისს ესმევა ხაზი. ამასთანავე, ამ სცენებს შორის ერთგვარი უკუკავშირიცაა. კერძოდ, ნათლისღება მაცხოვრის მიერ კაცობრიობისათვის მსხვერპლის გაღების წინასახედ ითვლება. მეორე მხრივ, ნათლობის მთავარი მომენტი–მორწმუნის წყალში ჩასვლა სიმბოლურად მაცხოვრის მიერ გაღებულ მსხვერპლს გულისხმობს [აზაურაშვილი ნ. 1999: 121].

ამ ჯგუფის ჯვრებზე დამატებით სხვადასხვა იკონოგრაფიული პროგრამისა და გამოსახულებების ჩართვით უმთავრესი თეოლოგიური საზრისი ნათლობის თემა და თავად ჯვრის სიმბოლიკაა. ყოველივე ეს კი ავარაუდებინებს მკვლევარს, რომ ამ ჯვრებს სარიტუალო დანიშნულება უნდა ჰქონდათ, კერძოდ, ისინი სანათლავი ჯვრები იყო [აზაურაშვილი ნ. 1999: 126].

აღსანიშნავია, რომ ხელოვნების მუზეუმის საგანძურის ფონდში ათონური ტიპის არაერთი ჯვარია დაცული, რომლებიც შეიქმნა XVII-XVIII სს-ში[4]. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ერთაწმინდის ტაძრის კუთვნილი ათონური ტიპის ჯვარიც იმავე პერიოდში უნდა შექმნილიყო. საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, ვფიქრობთ, უფრო ღრმა კვლევის ჩატარებაა საჭირო.

გულსაკიდი სანაწილე (საინვ. №ქ. 741. სურ. 6), ვერცხლის, მცირე ზომის (5×4,5 სმ)[5]. მის ზედა მხარეს, კომპოზიციის ცენტრში, ჯვარცმაა. ჯვრის აქეთ-იქით მწუხარე ღმრთისმშობელი და წმ. იოანე ღმრთისმეტყველია. ჯვრის ორსავე მხარეს შესრულებულია წარწერა სომხურ ენაზე.

მდულრის ჭურჭელი (საინვ. №ქ. 743. სურ. 7), ვერცხლის, მცირე ზო-

[4] მათი ერთი ნაწილის ამსახველი ფოტომასალა გამოქვეყნებულია [შუა საუკუნეების . . . 2012: 125-126].

[5] საინვენტარო წიგნის აღწერილობის მიხედვით, მასში წმინდა ნაწილები იყო ჩაბრძანებული.

მის. აქვს გრძელი ტარი. ახლავს საქტიტორო წარწერა მხედრულით: *„შემოგწირე ერთაწმინდის ეკლესიას თავად ზაქარია ისიყის ძე ტუსიევმა".* ჭურჭელი XVIII-XIX სს-ით თარიღდება [შუა საუკუნეების . . 2012 : 130].

საწინამძღვრო ჯვარი (საინვ. №ქ. 745. სურ. 8), გრძელბუნიკიანი, მოოქრული ვერცხლის (ზომა: 18,5×6,$^{3/4}$). წინა პირზე ჯვარცმაა გამოსახული, უკანაზე – ღვთისმშობელი. ჯვრის პირსა და ზურგზე, ოთხივე მკლავის დაბოლოებებზე, თვალბუდეებში, მუქი მწვანე ფერის რვა უბრალო თვალია ჩასმული.

ჯვარი ათონური ტიპის (საინვ. №ქ. 746. სურ. 9). ბზისგან გამოკვეთილი ჯვრის წინა მხარეს, ცენტრში, ჯვარცმაა გამოსახული, მის აქეთ-იქით – ღვთისმშობლისა და წმ. იოანე ღვთისმეტყველის ნახევარფიგურები (ზომა: 10×6$^{1/4}$). ჯვარცმის ზემოთ ანგელოზია, ქვემოთ კი – გარდამოხსნა. ჯვრის უკანა მხარეს, კომპოზიციის ცენტრში, ოდიგიტრიის ტიპის ჩვილედი ღვთისმშობელია წარმოდგენილი მთელი ტანით. მის აქეთ-იქით კი ორ-ორი ნახევარფიგურაა. მათგან ორი ხელში წიგნებითაა გამოსახული. მათი იდენტიფიცირება ძნელდება. მათ უკან ანგელოზთა ნახევარფიგურებია. დედაღმრთისას ზემოთ კვლავ ანგელოზის ნახევარფიგურაა. ჯვრის ქვედა მონაკვეთში კვლავ ორფიგურიანი კომპოზიციაა. დაზიანების გამო დღეს ასევე ძნელდება მათი ამოცნობა.

ჯვრის ორივე მხარეს კრავს ლითონის სარტყელი, რომელზეც საქტიტორო წარწერაა მოთავსებული: *„ქ.შ[ე]მოგწირე | შენ, ერთაწმინდას, | ხუცისშვილმა | ახალქალაქელმან აკოფამ | ქკსა უ*ѡ*ა"* (=1773 წ.).

ლითონის ფირფიტა (საინვ. №ქ. 747. სურ. 10). მასზე შესრულებული კომპოზიცია წმ. ევსტათეს ხილვას წარმოგვიდგენს (ზომა: 33×15 სმ). საინვენტარო წიგნის აღწერილობის მიხედვით, ეს ფირფიტა წმ. ევსტათეს კარედი ხატის ნაწილია. მასალად გამოყენებულია მოოქრული ვერცხლი. ხატი შემკულია 1 დიდი და 6 მცირე ზომის თვლით. როგორც ჩანს, ხატი ადრევე ძლიერ დაზიანებული იყო და აკლდა 5 მცირე ზომის თვალი. ოსტატი კომპოზიციას ორ ნაწილად ყოფს: ქვედა არეზე ცხენზე ამხედრებული წმ. დიდმოწამე ევსტათეა, ზედა, ზეციურ, არეზე კი – ირემი. ცხენისა და ირმის მოძრაობის რაკურსები ხაზს უსვამს სცენის ექსპრესიულობას. ცხენის მოძრაობა აგებულია არა სიბრტყეზე, არამედ ვერტიკალზე. წმ. დიდმოწამე აქ მონადირედ კი არა, მლოცველადაა წარმოდგენილი. მისი ზეაწეული ორივე ხელი უფლის ხილვით გამოწვეული განდიდებას გამოხატავს. წმინდანს მხედრის რეგალიები ახლავს – მოსავს აბჯარი, ზურგს უკან კი მშვილდი აქვს გადაკიდებული. წმ. მხედართან იკითხება ასომთავრულით შესრულებული განმარტებითი წარწერა – *„წ(მიდ)ა ევსტ(ა)თი".* ლითონის ფირფიტის შესამკობად გამოყენებულია თვალბუდეებში ჩასმული პატიოსანი თვლები, რომლებიც ცხენის აღვირსა და წმ. მხედრის შარავანდედს ამკობს.

ხატი (საინვ. № ქ. 748. სურ. 11), ჭედური, წმ. ევსტათეს ხილვის გამოსახულებით (ზომა: 34×28,7 სმ). ხატის ცენტრში ცხენზე ამხედრებული წმ. ევსტათეა. იგი მიემართება კომპოზიციის მარცხენა მხარეს მდგომი ირმისკენ, რომლის განტოტვილ რქებში ჯვარზე გაკრული იესო ქრისტეა გამოსახული. წმინდანს მარჯვენა ხელში გრძელი შუბი უჭირავს, აცვია აბ-

ჯარი, ზემოდან მოგდებული მოსასხამი აფრიალებული აქვს, რაც ხილვის მყისიერებას უსვამს ხაზს. ირემიც „მოძრაობს" ის სახით წმ. მხედრისკენაა მოტრიალებული. კომპოზიცია პეიზაჟურ ფონზეა მოცემული. ცხენის ქვემოთ მთის სილუეტი იკითხება. ფიგურები საკმაოდ მაღალი რელიეფითაა გამოჭედილი. წმ. ევსტათის სახე ფერწერითაა შესრულებული. ხატს ახლავს ასომოთავრული განმარტებითი წარწერა: „*წა ე[ვ]სტატი*". ხატს გარშემოწერს ყვავილოვანი ორნამენტული სახე. ქვედა არეზე დატანილია საქტიტორო წარწერა: *„მე ცოდვილმან დეკანოზმან [პავლე]* [6]*მოვაჭედინე და შემოგწირე წმინდას ევსტათის ერთაწმინდას შენდობით მომიხსენეთ | ქ[რისტ]ეს აქეთ ჩღით ქკს უ8"* (=1719)[7].

ხატი (საინვ. №ქ. 749. სურ. 12) წმ. ევსტათესა და მისი ოჯახის გამოსახულებით (27×23 სმ). წმინდანი წარმოდგენილია მეუღლესთან – თეოპისტისა და ვაჟებთან: თეოპისტოსა და აღაპისთან ერთად. ხატი შესრულებულია მოოქრული ვერცხლით. გამოსახულებების სახეები, როგორც ჩანს, ფერწერული იყო. კომპოზიციის ცენტრში წმ. ევსტათე და წმ. თეოპისტი მთელი ტანით არიან გამოსახულნი. მათ შორის მცირეწლოვანი ყრმებია – წმ. თეოპისტოა და აღაპი. წმ. თეოპისტისკენ მიმართული წმ. ევსტათე შემოსილია აბჯრით, რომელზეც გრძელი მოსასხამი აქვს მოსხმული. ფეხზე გრძელყელიანი მოგვები აცვია. მარჯვენა მხართან გრძელი შუბი მოუჩანს, ამავე დროს, იმავე ხელით კურთხევას გამოხატავს; მარცხენა კი ყრმისთვის აქვს ჩაკიდული. წმ. თეოპისტის გრძელი კვართი და მოსასხამი აცვია. მარჯვენა ხელი ყრმისთვის აქვს ჩაკიდებული, მარცხენათი კი განდიდებას გამოხატავს. ყრმები მშობლებს შორის დგანან – ერთი წმ. ევსტათესკენაა მიტრიალებული, მეორე კი, წმ. თეოპისტისკენ. ორივეს გრძელი კვართები მოსავთ. კომპოზიციას აჩარჩოებს უხვფოთლოვანი დეკორი, რომლის ზედა არეში, მრგვალ მედალიონში, მაცხოვრის ნახევარფიგურაა. იგი ორივე ხელით აკურთხებს წმინდა ოჯახს. ხატის ქვედა შესრულებულია მხედრული საქტიტორო წარწერა: *„ქ: ჰოი დიდო მთავარმოწამეო ევსტათი, რომელმან გიძღვენ ხატი ესე და მოვაჭედვინეთ ჩვენ | ამილახვარმან დ|იმიტრიმ, ხოლო მამაჩვენს ამილახორს ბატონს გი(ო) რგის განსაკეთებლად მიეცა და ჟამთა ვითარებისგან გაუკეთებელი დარ-ჩო|მდათ; აწ კვალად შეგინკევით მამისა ჩვენისა სულთა საოხად და დღეთა ჩვენთა წარსამართებლად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად, რაითა | მეოხ და მფარველ გვექმენ დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ქრისტეს აქეთ ჩღმ8, თვესა სექტემბერსა ლ, ქკსა ულე"* (30.IX.1747)[8].

ვერცხლის დაფა (საინვ. №ქ. 751. სურ. 13), მოოქრული. მოთავსებულია ხის ბუდეში, რომლის ზედა კუთხის თვალბუდეში წმ. ევსტათეს წმ. ნაწილი იყო დაბრძანებული. ამ წმინდა ნაწილის შესახებ გვაუწყებს დაფაზე დატანილი წარწერა: *„ვინაჲდგან ერთა ჩუ8ნთა | აქუნდათ უმეტეს სასოებაჲ | დიდებულ წ[მიდ]ისა და საკჯრუ8ლ[მო]|ქმედისა ნაწილისა ევსტათსად, მაგრა ცო|დვ(ა)სა და უკანონოებისა გამო წარეტყ|უ8ნა ამად ერთა სას[ო]*

---

[6] აღნიშნული ექსპონატის ქტიტორის ვინაობის დადგენა შევძელით ექ. თაყაიშვილის აღწერილობის მიხედვით [ექ. თაყაიშვილი, 1907: 215]. სამწუხაროდ, დღეს ამ ხატზე ვერ ხერხდება ამ ადგილის ამოკითხვა დაზიანების გამო.

[7] ექ. თაყაიშვილის მიხედვით, ეს ხატი კანკელს ამკობდა [თაყაიშვილი ექ. 1907: 215].

8 აღნიშნულ ხატს კანკელის ხატად მოიხსენიებს ექ. თაყაიშვილი [თაყაიშვილი ექ. 1907: 215].

ებისა წარუწუენ/ობისა თჳს დავსდევ წ(მიდ)ასა ამას ეკლესი/ას ნაწილი მისვე წ(მიდ)ისა ნაცულად უსრუ/ლოჲსა კერძოსა სრულ ესე კერძო ყოვ/ლადი მე, საქართუჴლოჲსა მეფისა ძემან | და რუსეთსა სამკხედროსა პოლკოვნიკმან, ბა/ტონის შვ(ი)ლმან დავით, საოხად სულისა | და ჴორცთა ჩემთა წელსა 1797".

ჯვარი (საინვ. №ქ. 752. სურ. 14) ვერცხლის, ხელში დასაკავებელი. აკლია ტარი. ჯვრის წინა მხარეს ჯვარცმაა გამოსახული, ოთხივე კიდეში მედალიონებში — მახარებლები მაკურთხებელი მარჯვენითა და წიგნით მარცხენა ხელში. ჯვრის ზურგზე მოთავსებულია საქტიტორო წარწერა მხედრულით — *„დიდ | მოსასწაუ | ლე წმინდაო მოწამე | ევსტატი | საფარ/ული შენი მ[ო]ჰფინე/სულსა ჩემსა მსასოებელთა შენ/თა სახლეულთა ჩემთა და შეინწირე | მცირე შესანი/რავი ესე | მიქელ | ძამ[ო]ევი | ჩყკე | წელსა" (=1825).*

ხატი მინანქრის (საინვ. №ქ. 754. სურ. 15) წმ. ევსტათეს ხილვის გამოსახულებით (ზომა: 16×12 სმ.). ხატი სფერული მოხაზულობისაა. მას გარშემოწერს თვალბუდეებში ჩასმული თვლები. მინანქრული ხატი სპილენძის საფუძველზეა შესრულებული. წმ. ევსტათე ცხენზეა ამხედრებული. ხელში დაჭიმული მშვილდ-ისარი უჭირავს და უმიზნებს კომპოზიციის მარცხენა ნაწილში გამოსახულ ირემს, რომელიც სახით მისკენაა მიტრიალებული. ირმის რქებში ჯვარცმული მაცხოვარია გამოსახული. წმ. ევსტათეს აბჯარი მოსავს, მხარს უკან მეწამული ფერის მოსასხამი უფრიალებს, ფეხზე მაღალყელიანი მოგვები აცვია, თავზე ჩაჩქანი ახურავს, წელზე კი ქამარ-ხანჯალი არტყია. მასიური, წაბლისფერი ცხენი, „მოძრაობს". მას წინა ფეხები ჰაერში აქვს აწეული მოძრაობის გამოსახატავად. ხატს არ ახლავს წარწერა, რაც აძნელებს მის ზუსტ დათარიღებას. ხატის უჩვეულო ფორმა სავარაუდოს ხდის, რომ იგი რაიმე ნივთის ნაწილია. შესაძლოა, მინანქროვანი გამოსახულება სხვა ხატის ნაწილი ან თუნდაც რომელიმე საღვთისმსახურო წიგნის მორთულობა იყო. ამ ვარაუდის საფუძველს ამყარებს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა და ძველნაბეჭდ წიგნთა კოლექციაში დაცული ჯრუჭის ბიბლიის ყდის დეკორი [ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის . . 2011: 116], რომელიც ასევე მინანქრით შესრულებული გამოსახულებებითაა შემკული. ერთაწმინდის ტაძრის ხატი შესრულების მანერით ძალზე ჰგავს დასახელებულ გამოსახულებას, რომელიც 1743 წელსაა შესრულებული. შესაბამისად, ერთაწმინდის ტაძარში ერთ დროს დაცული გამოსახულება, სავარაუდოდ, XVIII ს-ში უნდა იყოს შესრულებული.

ლახვარი ხისტარიანი (საინვ. №ქ. 755. სურ. 16) უბრალო ლითონისაა. ლახვრის ცენტრში ჯვრის ფორმის ჭვირული მონაკვეთია დატოვებული[9].

[9] გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნივთებისა, გ. ბოჭორიძის აღწერილობით, ერთაწმინდის ეკლესიიდან წამოღებულ სიძველეთა შორის არის სხვადასხვა საეკლესიო დანიშნულების ნივთები, რომლებიც შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურის ფონდშია დაცული, თუმცა ტექნიკურ მიზეზთა გამო მათი ნახვა და ფოტოების გადაღება ვერ მოხერხდა. გ ბოჭორიძის აღწერილობით ესენია: №7 — კვერთხის თავი ხისა, დაზიანებული. №8 — დამბაჩის ნაწილი, №9 — ზეთ-მირონის ყუთი, ხისა, უხუფოთ. №13 — სამსანთლიანი ხისა. №12 — ძველი კლიტე. №15 — შანდალი უბრალო ლითონისა. №23 — მცირე სანაწილე ვერცხლისა. №24 — გულსაკიდი სპილენძისა. №25 — გულსაკიდი ხატი, ვერცხლ-

ზემოთ განხილული მასალა ცხადყოფს, რომ ერთაწმინდის ეკლესიაში თავის დროზე მნიშვნელოვანი სიძველეები იყო დაცული. ისინი, ერთი მხრივ, საგულისხმოა ერთაწმინდის საარქიმანდრიტო მონასტრის ისტორიის აღსადგენად, მეორე მხრივ კი იმის მკაფიო მოწმობაა, თუ როგორ გამოირჩეოდა ერთაწმინდის ტაძარი ძვირფასი შენაწირებით. ამ მოსაზრებას ამყარებს ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ფერწერის ფონდების კოლექციებში დაცული ექსპონატებიც. გარდა დასახელებული სიძველეებისა, ერთაწმინდის ეკლესიას ეკუთვნოდა ის ნივთებიც, რომლებიც კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული და დღემდე შეუსწავლელია.

ART CRITICISM

Irma Mamasakhlisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Chavchavade ave 1; 0128, Tbilisi, Georgia
Email: imamasachlisi@yahoo.com

Antiquities of Ertatsminda Church

(From the Treasury of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts)

Summary

The Church of St. Eustathe Placida of Ertatsminda was erected in the 13th century. Preserved in written sources information about the history of the church, is of a relatively later period. In regard to the monastery, the next decisive point following the 13th century was changed with the restoration of spiritual and creative life after King Rostom bestowed Ertatsminda to the Tarkhan-Mouravis. As a result, a revival of the monastic life began at Ertatsminda. The Church of Ertatsminda was known for miracles and had many donated objects. The wonder-working right hand of Holy Great-martyr Eustathe Placida represented the most important holy relic of the church. It was kept in an appropriate reliquary. The thumb of St. Eustathe was also considered to be one of the church's holy relics. There is nothing to be found in historical sources about the earlier periods of time.. The great-martyr warrior saint ended up in Ertatsminda, The holy relics preserved in Georgia's churches and monasteries, as well as various other holy objects adorned with holy relics were destroyed during multiple invasions, however a part of them appeared to be in foreign countries.

ზედ ნაჭედი, 4 1/2X3 1/2 სმ. №26 – გულსაკიდი ხატი, ვერცხლზედ ნაჭედი, 6X4 3/4 წმინდა ნაწილებით. № – 27 გულსაკიდი ხატი, ვერცხლზედ ნაჭედი, 3 1/2X21/2 სმ., ოქროს წყალში დაფერილი. №28 – სათითე ვერცხლისა, გატეხილი ორად. №30 – შანა-ირემი ვერცხლისა, გატეხილი ორად. №32 – მდუღრის ჭურჭელი ვერცხლისა, შეწირული ჩივაძის მიერ, წარწერით. №44 – რომელიღაც ხატიდან დარჩენილი შარავანდის ნაწილი, ვერცხლის 1 თვლით. იხ. გ.ბოჭორიძე. 2011: 306-307

We traced a part of the treasure taken from Ertatsminda emproidery and the painting in the depositories of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts. According to descriptions of inventory books, of the museum funds these exhibits are from Ertatsminda Church. The exhibits that are discussed in the present article are preserved in the Treasure Fund of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts. The research was carried out in a few directions. First of all, these exhibits were compared to old publications, which concerned with the treasury of Ertatsminda Church. Quite notably, these exhibits are not portrayed by only icons and crosses, but they also comprise a part of an eclessiastical treasury of various functions. Two gospels adorned with repoussé covers are among them.

The exhibits, during carried out by us research, were compared with the descriptions of G. Bochoridze and their identity was established.

Though the holy artifacts belonging to Ertatsminda Church are samples of the Late Meddle Ages, they present an important source for becoming acquainted with the gold-sculpture works of that period of time and for the history of the church itself.

ბიბლიოგრაფია

აზაურაშვილი ნ. 1999: ოთხი ჯვარი ხელოვნების მუზეუმის „ათონური ტიპის" ჯვრების კოლექციიდან. *ნარკვევები.* №5. გვ. 116-126. თბილისი (რედ-ბი: ნ. ლომოური, გ. მარსაგიშვილი).

ასათიანი ნ. 1973: *მასალები XVII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა, შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ).* თბილისი.

ბარათაშვილი გ; ბურჭულაძე ნ. 2012: ფერწერული ხატები და ნაქარგი ქსოვილები წმინდა ესტატე პლაკიდას გამოსახულებით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. *სემმა.* III (48-B). გვ. 310-336. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის გზამკვლევი. 2011: თბილისი.

ბოჭორიძე გ. 2011: *ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები* (გამოსაცემად მოამზადეს ზ. სხირტლაძემ და ნ. ჩიტიშვილმა). თბილისი.

ბუბულაშვილი ე. 2007: *საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები.* თბილისი.

თაყაიშვილი ექ. 1907: *არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები.* წ. 1. თბილისი.

იოსელიანი პლ. 1973: *ერთაწმინდის ტაძრის აღწერა. დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება.* თბილისი.

კარგარეთელი ი. მგზავრის შენიშვნები (თეძმის ხეობიდან). გაზ. *„სახალხო გაზეთი".* 1911: №454. გვ. 2-3. თბილისი.

მაკალათია ს. 1959: *თეძმის ხეობა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი.* თბილისი.

***მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის. წ. 1. X-XVII ს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით.* 1964:** თბილისი.

***შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელოვნება ხელოვნების მუზეუმში. კატალოგი.* 2012:** თბილისი.

ხორგუაშვილი გ. 2000: *თევდორე თავდადებული.* თბილისი.

Натроев А. 1900: *Мцхет и его собор Свети-цховели. Историко-археологическое описание.* Тифлис.

Поливектов М. 1937: *Материалы по историй грузино-русских взаимоотношений 1615-1640.* Тбилиси.

Саенкова Е; Герасименко Н. 2008: *Иконы святых воинов. Образы небесных защитников в византийском, балканском и древнорусском искусстве.* Москва.

Brosset M. 1851: *Repports sur un voyage arche`ologique dans la Georgie et dans l` Armenie, 3-e livr. 6-e rapport.* St. Peterburg.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. წმ. სანაწილე, წმ. ევსტათეს მკლავით. ინახება მოსკოვში

სურ. 2. წმ. ევსტათეს ხელი. ინახება მოსკოვის წმ. დავითის უდაბნოს მონასტერში

სურ. 3. დარეჯან დედოფლის მიერ შეწირული ჭედური სახარება. 1786 წელი

სურ. 4. ერეკლე მეფის მიერ შეწირული ჭედური სახარება. 1789 წელი

სურ. 5. ათონური ტიპის ჯვარი

სურ. 6. ვერცხლის გულსაკიდი მცირე სანაწილე

სურ. 7. მდუღრის ჭურჭელი

სურ. 8. ვერცხლის ჯვარი

სურ. 9. ხუციშვილი აკოფას მიერ შეწირული ათონური ტიპის ჯვარი. 1773 წელი

სურ. 10. წმ. ევსტათეს ვერცხლის კარედი ხატის ფურცელი წმ. ევსტათეს ხილვის კომპოზიციით

სურ. 11. დეკანოზ პავლეს მიერ შეწირული ჭედური ხატი წმ. ევსტათეს ხილვის გამოსახულებითა და წარწერით. 1719 წელი

სურ. 12. ამილახვრების დაკვეთით შესრულებული წმ. ევსტათეს ჭედური ხატი ოჯახთან ერთად. 1747 წელი

სურ. 13. მოოქრული ვერხლის დაფა ხის ბუდეში. 1797 წელს

სურ. 14. ძამოევის მიერ შეწირული ხელში დასაკავებელი ვერცხლის ჯვარი. 1825 წელი

სურ. 15. წმ. ევსტათეს მიმანქრის ხატი

სურ. 16. ლახვარი

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Holy reliquary with St. Eustathe arm. Kept in Moscow

Fig. 2. St. Eustathe's hand. Kept at the Monastery of St. David in Moscow

Fig. 3. Gospel in repoussé donated by Queen Darejan in 1786

Fig. 4. Gospel in repoussé donated by King Erekle

Fig. 5. Cross in the Athonite style

Fig. 6. Small silver reliquary as a pendant

Fig. 7. Silver vessel used for boiling water

Fig. 8. Silver cross

Fig. 9. Athonite-style cross donated by Akopa Khutsishvili

Fig. 10. Silver cover of St. Eustathe's triptych icon with a scene of St. Eustathe's vision

Fig. 11. Repoussé icon with the image of St. Eustathe's vision, donated by Archpriest Paul, with the inscribed date – 1719

Fig. 12. Repoussé icon of St. Eustathe made at the request of the Amilakhvari family in 1747

Fig. 13. Silver board inlaid with gold in a wooden case with the inscription that it was donated by David Batonishvili in 1797

Fig. 14. Silver blessing cross donated by Dzamoev in 1825

Fig. 15. Enamel icon of St. Eustathe

Fig. 16. Holy spear

სურ. 1. **Fig**

სურ. 2 **Fig.**

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 **Fig.**

სურ. 7 **Fig.**

სურ. 8 **Fig.**

სურ. 9 **Fig.**

სურ. 10 **Fig.**

სურ. 11 **Fig.**

სურ. 12 **Fig.**



სურ. 13 Fig.

სურ. 14 Fig.

სურ. 15 Fig.

სურ. 16 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 366-372
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 366-372

ირინა გუგუნავა

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი,
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, თბილისი, 0105, საქართველო
ელფოსტა: gugunavairina@gmail.com

დერვიშის ატრიბუტი – ქაშქული

(საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან)

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების საცავებში დაცულია ისლამური მატერიალური კულტურის ძალზე მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი ნიმუშები. კოლექციაში რაოდენობითა და ისტორიული მნიშვნელობით გამორჩეულია ისლამური ლითონმქანდაკებლობის ექსპონატები, რომლებიც მნახველს საშუალებას აძლევს მკაფიო წარმოდგენა შეიქმნას ისლამური ლითონდამუშავების ისტორიის შესახებ, ასევე თვალი გაადევნოს ლითონის მხატვრული დამუშავების განვითარების უწყვეტ ჯაჭვს ადრეული პერიოდიდან დღევანდლამდე – VII ს-დან XX ს-ის ჩათვლით. თუმცა, ჩვენი მუზეუმის საცავებში დაუნჯებულ ლითონის ნაკეთობათა შორის სიმრავლით ყველას აღემატება გვიანი პერიოდის, კერძოდ, XVIII-XIX სს-ის (1785-1925 წწ.), ე.წ. ყაჯარული სტილის ირანული ლითონმქანდაკებლობის ნიმუშები. მიუხედავად იმისა, რომ გვიანი პერიოდის ირანში მეტად გავრცელებული და პოპულარული ყოფილა ფოლადისგან დამზადებული ნაწარმი, ჩვენს კოლექციაში ფოლადის ნაკეთობა მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯგუფითაა წარმოდგენილი. ესენია, ძირითადად, დეკრატიული დანიშნულების მქონე და საყოფაცხოვრებო გამოყენების ნივთები, ცხოველთა დეკორატიული ფიგურები, სასაკმევლეები, ჭურჭელი და ა. შ. ფოლადის ამ ნაკეთობათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სუფი დერვიშებისათვის განკუთვნილი, მაღალმხატვრული, მდიდრული დეკორატიული ორნამენტითა და პოეტური წარწერებით შემკული უნიკალური თასი, იგივე ქაშქული (სურ.1). იგი საინტერესოა არა მხოლოდ დანიშნულებისა და წარმომავლობის გამო, არამედ ტექნოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისითაც. მასზე მოცემული წარწერები ოსტატ ჰაჯი' აბასის სახელს გვაუწყებს. იგულისხმება სეფიანთა პერიოდის (1501-1722 წწ.) ქ. ისფაჰანში მოღვაწე ლითონის ცნობილი ირანელი ოსტატი ჰაჯი'აბასი, რომლის სახელსაც ხშირად აწერდნენ თავიანთ ნახელავს მომდევნო ხანის – XIX ს-ის ირანელი ხელოსნებიც [Allan J. W. 1994:146]. ჩვენი ქაშქულიც სწორედ ჰაჯი 'აბასის მიერ შესრულებულ ნაკეთობათა მიბაძვით შექმნილი ერთ-ერთი ამგვარი გვიანდელი ნივთია. ჩვენი საკვლევი პერიოდის, კერძოდ, XVIII-XIX სს-ის, ირანულ ლითონმქანდაკებლობაში, განსაკუთრებით კი, მის ადრეულ ეტაპზე,

აშკარად დომინირებს ფსევდოსეფიანური სტილი, მაგრამ ყველა ზემოხსენებული ორნამენტული შემკულობის ტიპი თავისებური სახასიათო ინტერპრეტაციით არის გადმოცემული. ორნამენტული სახეები, ერთი შეხედვით, აშკარად სეფიანურია, მაგრამ დაკვირვებული თვალისთვის ძნელი შესამჩნევი არაა სახეცვლილება და სტილიზაცია.

სუფიზმის მიმდევრებს დერვიშებს უწოდებდნენ. უპოვარი, განდეგილი და მოხეტიალე დერვიში ცხოვრებისეულ ყველა სიკეთეზე საკუთარი ნებით ამბობდა უარს და თავს მოწყალებით ირჩენდა [კუცია კ. 1999: 176]. სწორედ ამიტომ მისი განუყრელი „მეგზური“ მხოლოდ რამდენიმე ნივთი იყო: კრიალოსანი, კვერთხი, სხვადასხვაგვარი ავგაროზი, გოგრის ჭურჭელი წყლისთვის, იარაღი (სეკირა) და ქაშქული – ჭურჭელი მოწყალებისათვის. მოწყალების შესაკრები თასის მხარზე ტარების ტრადიცია ირანში ინდოეთიდან შევიდა. ამ ორი ქვეყნის სუფიებს შორის განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი დასტურდება 1510 წლიდან 1737 წლამდე [Nurbaksh J. 2004: 44]. უჩვეულო ფორმის თასი მოწყალებისთვის, იგივე ქაშქული, მოხეტიალე სუფი დერვიშების ერთგვარი ატრიბუტია. თასზე მაგრდებოდა მასიური ჯაჭვი, რომლის საშუალებითაც დერვიშები მას მხარზე გადაკიდებულს ატარებდნენ. ყოველივე ეს ნივთის სახელწოდებაშიც ნათლად ჩანს. ამ სიტყვის ფუძე სპარსული წარმოშობისაა და მომდინარეობს ზმნა - „ქაშიდან” – ტარება და სახელ – „ქულიდან” – მხარი, ზურგი. დერვიშები მას საკვებისა და სასმელის მისაღებადაც იყენებდნენ. ქაშქული ქოქოსის პალმის ერთ-ერთი სახეობის (Lodoicea Maldivica, Lodoicea Seichellarum) დიდი ზომის ნაყოფის ნახევარი ლებნისგან მზადდებოდა [Allan J.W., Gilmour B. 2000: 320]. ამ ჯიშის ქოქოსის პალმების გავრცელების ადგილად, უმთავრესად, სეიშელის და მალდივის კუნძულები ითვლება.თუმცა, ისინი შეიძლება ინდოეთის ოკეანის სანაპიროზეც შეგვხვდეს, იშვიათად კი, ისეთ მოშორებით მდებარე ადგილებში, როგორებიცაა სპარსეთის ყურე და ზანზიბარი. XVIII ს-ის დასაწყისში, გვიანი პერიოდის სეფიანურ ირანში შემოწირულობათა შესაგროვებელი ჭურჭლის დასამზადებლად ქოქოსის ნაყოფის გამოყენება შემთხვევითი არ არის. რადგან იგი ზღვისგან მორთმეულ ძვირფას ძღვნად აღიქმებოდა იდუმალებით მოცული მისტიკური წარმომავლობის გამო. ამ ნაყოფს ხშირად „ზღვის” ან „ორლებნიან” კაკალსაც უწოდებენ [Nurbaksh J. 2004: 43]. ამჟამად პალმის ეს სახეობა ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე (მალაიზია, ბირმა, ინდონეზია, შრი ლანკა) იზრდება. თუმცა, თავდაპირველად, ის მხოლოდ ინდოეთის ოკეანის დასავლეთ სანაპიროზე, სეიშელის არქიპელაგის კუნძულებზე, ყოფილა გავრცელებული, მიუხედავად იმისა, რომ სეიშელის კუნძულები აფრიკასთან უფრო ახლოს მდებარეობს, ვიდრე სამხრეთ აზიასთან. ინდოეთის ოკეანის მთავარი დინება სამხრეთიდან აღმოსავლეთისკენ მიედინება. ამიტომაც ქოქოსის კაკლები, რომლებიც წყალში ცვიოდა, დინებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სანაპირომდე მიჰქონდა. ამის გამო აქ ისინი ძალიან ძვირფას მონაპოვარს წარმოადგენს. იდუმალი წარმომავლობისა და უცნაური ფორმის გამო მასთან უამრავი ცრურწმენა ყოფილა დაკავშირებული, მაგალითად, ითვლებოდა, რომ შხამი ამ ჭურჭელში ძალას კარგავდა. ამ ჯიშის ქოქოსის კაკალი განთქმულია სამკურნალო თვისებებითაც, ძალიან პოპულარულია, რადგან აფროდიზიაკური ფუნქციაც აქვს. იმ თვისებების გამო, რომლებსაც ამ ჯიშის პალმის ნაყოფს მიაწერენ, მრავალი ლეგენდა და თქმულება შეიქმნა და გავრცელდა სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავ-

ლეთ აზიაში. ადრეული პერიოდის დერვიშთა სამოწყალო თასს განსხვავებული ფორმა ჰქონდა. იგი ნავს მოგვაგონებდა და ნახევარმთვარესთან ასოცირდებოდა [Melikian-Chirvani A. S. 1992: 21]. იგი იმეორებდა შუა საუკუნეების ევროპაში გავრცელებული თასების ფორმას. მან ასევე აშკარად განიცადა სასანური ეპოქის გავლენაც, რადგან მათი მოყვანილობა თვისებრივად მსგავსია სასანურ ირანში დამზადებული თასებისა. XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ქოქოსის ნაყოფის ქაშქულები იმდენად პოპულარული გახდა, რომ მის დასამზადებლად დაიწყეს სხვა მასალის გამოყენებაც (ლითონი, ხე, ფაიანსი). ნაკეთობის ფორმა ხსენებული ნაყოფის იმიტაციას წარმოადგნედა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ჩვენი მუზეუმის საცავებში ინახება ოსტატ ჰაჯი ‘აბასის მიბაძვით შექმნილი და მისი ხელმოწერით შემკული ერთ-ერთი ამგვარი გვიანდელი ნაკეთობა (საინვ. №სხმ/აღ 976. ზომა – 30x25 სმ.) იგი შეძენილია 1945 წელს ხელოვნების მუზეუმ *მეტეხის* მიერ. ნივთის დეკორი სტილისტურად გამოხატულად ყაჯარულია. იგი XIX ს-ის ბოლო წლებით – XX ს-ის დასაწყისით თარიღდება. ექსპონატი მდიდრული დეკორით გამოირჩევა. გრავირებული ორნამენტით შემკულ ზედაპირზე უხვადაა შემორჩენილი ოქროს ზარნიშის კვალი. ქაშქულის ზედა მხარე და კიდეები გრავირებული ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტით არის დაფარული. ქვედა ნაწილის შემკობისას ოსტატი ნეიტრალურ, სადა ფონს ანიჭებს უპირატესობას. ასევე ქაშქულის ზედა ჩაღრმავების მარჯვენა და მარცხენა მხარეს გვხვდება ორი წვეროსანი მამაკაცის ფიგურატიული გამოსახულება. მათ ტრადიციული სამოსი – გრძელი ხალათი მოსავთ და ჩილიმის მოწევის დროს არიან აღბეჭდილნი (სავარაუდოდ, თვით დერვიშები უნდა იყვნენ გამოსახულნი). ძირითად კომპოზიციას, რომელიც გრავირებული ორნამენტული სახეებითაა დამშვენებული, გარს ევლება ოქროს ზარნიშის მცენარეული დეკორატიული არშიები.

ქაშქულზე არსებული პოეტური წარწერები სპარსული კლასიკური ლიტერატურიდან აღებულ ციტატებს გვთავაზობენ[1], მაგალითად, ექსპონატის ერთ მხარეს ვკითხულობთ ცნობილი სპარსი პოეტის, საადის, ნაწარმოებ „გოლესთანიდან” აღებულ სტრიქონებს – ერთ-ერთი ბეითის დასაწყისს (პირველ მისრა’ს), რომელიც ხშირად გვხვდება ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშზე.

غرض نقشیست کز ما باز ماند

მიზანი ის კვალია, რომელიც ჩვენგან დარჩება

წარწერა ქაშქულის ზედაპირის ერთ მხარეს შემდეგნაირად გამოიყურება:

عمل حاجی عباس

ჰაჯი აბასის ნამუშევარი

ქაშქულის ტანის მთელ ზედაპირზე მოცემულ კარტუშებში ვკითხულობთ:

[1] შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. გრიგოლ ბერაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

نوش باد

გაამოთ

ქაშქულის ტანის ირგვლივ არსებულ 6 მოგრძო, ფიგურულ კარტუშში კი განთავსებულია სპარსული პოეტური ტექსტი:

کشکول طرفه که پر از زر و جوهر است
چون نیک بنگری توچه یکدانه گوهر است
نوشید هرکه جرعه آبی از این بگفت
خوشتر هزار بار ز تسنیم و کوثر است
از سعی استاد خردمند شد تمام
عباس آنکه شهره در این هفت کشور است

იშვიათი ქაშქული, რომელიც სავსეა ოქროთი და ძვირფასეულობით,
თუ კარგად შეხედავ [დაინახავ, რომ], იშვიათი თვალმარგალიტის მსგავსია.
ვინც კი [თუნდაც] ერთი ყლუპი წყალი შესვა ამ [ქაშქულიდან], [ყველამ] თქვა:
„ათასჯერ უკეთესია თასნიმსა და ქაუსარზე".
ბრძენი ოსტატის მცდელობით დასრულდა [ეს ქაშქული],
'აბასი გახლავთ ის, ვისი სახელიც განთქმულია შვიდსავე ქვეყანაში[2].

ეჭვგარეშეა, რომ ჩვენი ქაშქულიც გამოცდილი ოსტატის ხელს ეკუთვნის, რადგან ისეთი მყარი მასალისგან, როგორიც ფოლადია, დეკორის ამგვარი დეტალური დამუშავება ხელოსნისგან დიდ ძალისხმევასა და გაწაფულობას მოითხოვდა [Loukonine V., Ivanov A. 2003: 225]. ჰაჯი აბასის მიბაძვით შექმნილი ფოლადის ნაკეთობები ჩვენს დრომდე მრავლადაა შემორჩენილი. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ქაშქულიც თითქმის ანალოგიურია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმის ჰაჯი აბასისეული ქაშქულებისა. (ერმიტაჟი, ვიქტორია და ალბერტის მუზეუმი). შეინიშნება მხოლოდ მცირეოდენი სახესხვაობა დეკორისა თუ წარწერათა მხრივ. ნივთის ატრიბუციისათვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა პარალელურ მასალათა მოძიება და შესწავლა როგორც მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში, ისე კერძო კოლექციებში.

ამრიგად, XVIII-XIX სს-ის ყაჯარული ლითონწარმოება, რომელიც თავისი არსით ეკლექტურია, ზოგადად, ხასიათდება სეფიანური პერიოდის, ანუ ირანული ხელოვნების აყვავების უკანასკნელი ეპოქის, ტრადიციისა და მხატვრული ხერხების შენარჩუნებისაკენ მიზანმიმართული სწრაფვით. ხელოვანები ხშირად ასრულებდნენ სეფიანური სტილის მინაბაძებს, იყენებდნენ სეფიანური მხატვრული ნაწარმოებებიდან აღებულ დეტალებს, ზოგჯერ კი ძველი ირანული ხელოვნების ნიმუშების სრულ ასლებსაც კი ქმნიდნენ [ამირანაშვილი შ. 1940: 8].

---

[2] ტექსტში მოხსენიებული „თასნიმ" და „ქაუსარ", ისლამური ტრადიცია-გადმოცემების მიხედვით, სამოთხის წყლების (ნაკადულების) სახელწოდებებს. „*შვიდი ქვეყანა*" (**هفت کشور**) კი ნიშნავს დედამიწის ე.წ. შვიდ ზონას, შვიდ კლიმატს.

ცნობილია, რომ სუფიური მხატვრული და პოეტური აზროვნებისთვის სახასიათოა უკიდურესი ალეგორიზმი და სიმბოლურობა. სუფიური ლირიკა თითქოს არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი სატრფიალო პოეზიისაგან, მაგრამ მის ყოველ სიტყვასა თუ პოეტურ ხატში ჩაქსოვილია მისტიკურ-ფილოსოფიური აზრი. ყოველივე ეს მკაცრად შემუშავებული ტერმინოლოგიის გამო პოეტური სიმბოლოების ერთ მთლიან სისტემად წარმოგვიდგება. აქედან გამომდინარე, სუფიური მხატვრული აზროვნებაც გარკვეულწილად უნიფიცირებულია, რის გამოც, ერთი შეხედვით, ერთფეროვნებისა და მონოტონურობის შთაბეჭდილება იქმნება. ასევე ცნობილია სიმბოლოთა მკაცრად შემუშავებული და დადგენილი ნუსხა. მაგ. სატრფო – ღმერთი, მიჯნური – პოეტი, თვით ლირიკული გმირი, ღვინო – ექსტაზი, მერიქიფე – შეიხი, იგივე სულიერი მოძღვარი და სხვა მრავალი [ქსე. 1965: 614]. სუფიზმმა ძალიან ბევრი რამ მიიღო და შეითვისა ორთოდოქსული ისლამისგან. უპირველესად, მათ აერთიანებდა რწმენა ღვთის მშვენიერებისა (თვით წინასწარმეტყველი მუჰამადი ამბობს – „ალაჰი მშვენიერია და მას უყვარს სილამაზე"). ამიტომ სუფისტ ხელოვანთა მოწოდება იყო სწორედ ღვთისა და მის მიერ შექმნილი სამყაროს გადმოცემა. ღვთის ქმნილების სილამაზის შეცნობის, ჭეშმარიტების წვდომის ერთ-ერთი გამოხატულებაა ორნამენტი, რომელიც განსაკუთრებით განვითარდა ისლამურ კულტურაში. ის არ იყო მხოლოდ დეკორაცია, საყოფაცხოვრებო ნივთების უბრალო სამშვენისი, არამედ ისლამური ყოფიერების უმთავრეს აზრს გამოხატავდა.

სუფიური იდეები ფართოდ იყო გავრცელებული მხატვართა და ხელოსანთა წრეებშიც, რომლებიც ქალაქებში არსებულ სახელოსნოებსა თუ დიდგვაროვანთა კარზე მოღვაწეობდნენ. სუფიურმა მოძღვრებამ დიდი ზეგავლენა იქონია მხატვრული აზროვნების ჩამოყალიბებაზე, ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებაზეც.

გასაკვირი არაა, რომ ყაჯარული პერიოდის ოსტატები ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ძველი მხატვრულ-ტექნიკური ხერხები და გაემეორებინათ განვლილი ეპოქის თემატიკა, ხოლო ფორმათა დამუშავების პროცესში მიისწრაფვოდნენ მიეღწიათ წინაეპოქისდროინდელი ოსტატობისთვის, რადგან ის, მათი თვალსაზრისით, სრულყოფილების განსახიერება იყო.

Irina Gugunava

The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St. 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: gugunavairina@gmail.com

Dervish Attribute- Kashkul

(From the Collection of the Georgian National Museum)

Summary

The Oriental Art Department of the Georgian National Museum Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts storages a rich and spectacular collection of Islamic metalwork which is of considerable historical importance. The collection is comprised of various household objects and includes utilitarian and decorative functional utensils and vessels. This collection provides a full picture of the development of Islamic metal ware throughout the centuries, from the earliest periods to the modern era. The largest group of the collection is made up of metal objects which are mainly attributed to Qajar period (1785-1925) and are dated back to the late 18th.-20th. centuries. The majority of these distinctive form objects are made of brass, silver, tinned copper, and other copper alloys. Though steel was very beloved and fashionable material in that late period, our Islamic metalwork collection includes a small but important body of late Iranian steel objects. The present article attempts to focus on two identical beggars bowls or so called *kashkuls* which bear the Persian poetic inscriptions and signature indicating the name of the famous Iranian *kashkul*- maker of the early eighteenth century – master Hajji Abbas . Decoration of these objects stylistically is attributed to typical Qajar style and is dated back to the late 19th- early 20th cc. It was common for *kashkuls* throughout the nineteenth century to gain prestige to bear copies of the signature of the predecessor seventeenth century Safavid steel worker Haji 'Abbas originating from Isfahan. It is now known that his works became very famous and they inspired a large number of imitated copies. The problem arises to differentiate and distinguish them. For the artistically executed artworks of Qajar period it was characteristic imitation of earlier styles. They were dated back to (or signed) as the 16th-17th cc. and are known as Safavid type works of art.

ბიბლიოგრაფია

ამირანაშვილი შ.1940: *ირანული და ზგური მხატვრობა.* თბილისი.

კვირკველია გ. 1968: *ირანის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. XIX ს-ის სპილენძ–თითბრის ირანული ჭურჭელი.* თბილისი.

კუცია კ., მეტრეველი მ., სანიკიძე გ., სვანიძე მ., ჯაფარიძე გ. 1999: *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი.* თბილისი.

Allan J. W. 1994: Hajji 'Abbas. Iran. *Journal of the British Institute of Persian Studies. vol. XXXII.* pp. 76-77. London (ed. C. Pertie).

Allan J.W., Gilmour B. 2000: *Persian Steel: The Tanavoli Collection.* Oxford.

Loukonine V. Ivanov A. 2003: *Persian Art: Lost Treasures.* London.

Melikian-Chirvani A. S. 1992: From the Royal Boat to the Beggar's Bowl. *Islamic Art.* Vol. IV. pp. 3-111. New York (ed. E. J. Grube).

Melikian-Chirvani A. S. 1982: *Islamic Metalwork from the Iranian World- 8th-18th centuries.* London.

Melikian-Chirvani A. S. 1983: Qajar Metalwork: a Study in Cultural trends. *Qajar Iran: Political,Social& Cultural Change.* 1800-1925 Edinburgh. pp. 311-328 (ed. Bosworth C. E).

Nurbaksh J. 2004: Kashkul. *Sufi* . N 1. pp. 43-48 (ed. Nurbaksh A.).

Piotrovsky M. B. 2000: *Earthy Art – Heavenly Beauty: Art of Islam.* St.Petersburg.

Sahranavard M., Szanto I. 2010: *Metalwork in the Qajar Period. Artisans at the Crossroads*. Budapest.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ქაშქული სპარსული წარწერით (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია)

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Kashkul with Persian inscription.Collection of the Georgian National Museum

სურ. 1 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 373-398
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 373-398

ნათია ძიგუა*, ირინა გუგუნავა**

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: ndzigua@yahoo.com

**საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: gugunavairina@gmail.com

შუა საუკუნეების ისლამური ლითონმქანდაკებლობის კვლევა

(ტექნოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური თავისებურებანი)

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების საცავებში დაცულია მრავალფეროვნებითა და შესრულების მაღალი ხარისხით გამორჩეული ისლამური ლითონმქანდაკებლობის კოლექცია, რომელიც მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის ისლამური ლითონის მხატვრული დამუშავების ხელოვნების განვითარების ძირითად ეტაპებზე, ასევე მის ტექნოლოგიურსა და მხატვრულ თავისებურებებზე. კოლექცია საყოფაცხოვრებო და დეკორატიული ფუნქციის მქონე ნივთებითაა წარმოდგენილი. მათგან, მხატვრული შესრულების მაღალი ოსტატობით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XIII-XIV სს-ით დათარიღებული, ინკრუსტირებული დეკორით შემკული, ჭურჭელი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „მოსულის ჯგუფის“ სახელითაა ცნობილი. მისი კვლევა გვიჩვენებს, რომ უძველესი პერიოდიდან მუსლიმთა ყოფაში დამკვიდრებული და გავრცელებული ლითონის ნაკეთობები ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ისინი საუკუნეების განმავლობაში მდიდრდებოდა სხვადასხვა მხატვრული სახით, იცვლებოდა მათი ფორმები, ზომები, შესრულებისა და შემკულობის ტექნოლოგიები.

ისლამური კულტურის მდიდარსა და მრავალფეროვან დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლითონის მხატვრულ დამუშავებას, რომლის ტრადიცია ამ რელიგიის წარმოშობისა და განვითარების ადრეულ ეტაპს უკავშირდება.

როგორც ცნობილია, ისლამი არაბეთის ნახევარკუნძულზე აღმოცენდა, თუმცა, ძალიან მალე მისი გავრცელების გეოგრაფიული არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ისლამის ექსპანსიამ ისლამურ კულტურასა და ხელოვნებას შესძინა უამრავი ახალი ფორმა, სახე, დაამკვიდრა მრავალი განსხვავებული სტილი თუ ხერხი. ისლამური კულტურისაგან დავალებულია მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოებაც, რომელიც სწორედ, მუსლიმთა წყალობით ეზიარა ორიგინალურ, თვითმყოფად, ძალზე ფერადოვანსა და ორნამენტულ, რაც მთავარია, მკვეთრად ინდივიდუალურ მხატვრულ სამყაროს. ტერმინი – „ისლამური ლითონი" აღნიშნავს იმ ქვეყნების ლითონის ნაკეთობებს, რომლებიც ახ.წ. 622 წლიდან დროებით ან ხანგრძლივად იყვნენ დაპყრობილი ისლამური ქვეყნების მიერ. რასაკვირველია, ამ ვრცელ ტერიტორიაზე მდებარე სხვადასხვა ქვეყანას ლითონწარმოების საკუთარი, ერთმანეთისგან განსხვავებული, ინდივიდუალური ტრადიცია გააჩნდა, მაგრამ სწორედ ისლამმა შესძინა მათ საერთო კულტურული იდენტობა და მათი ერთ ჯგუფში, ერთ ტერმინქვეშ გაერთიანება განაპირობა [Ward R. 1993: 9] აქვე დავძენთ, რომ ტერმინი – „ისლამური" ამ შემთხვევაში გამოიყენება ფართო გაგებით და არ აღნიშნავს მხოლოდ რელიგიური დანიშნულების მქონე ნივთებს. ისლამურ ლითონპროდუქციაში ცალკე უნდა გამოიყოს საყოფაცხოვრებო ნივთები, რომელთა დამზადების ტრადიცია, გამომდინარე მათი მოხმარების საჭიროებიდან, პირველი ისლამური თემების დროს უნდა აღმოცენებულიყო. ისლამურ ლითონწარმოებაში ადრეული პერიოდიდანვე წარმატებულად დანერგეს და განავითარეს ლითონის სხვადასხვა მასალისგან დამზადებული უამრავი სახეობის ნაკეთობა: ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, თითბრისა თუ ბრინჯაოს მასალის სამკაული, იარაღი, სარიტუალო თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში საჭირო და აუცილებელ ნივთები, დეკორატიული სამშვენისები და ა.შ. საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ, მიუხედავად მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური იერსახისა, ისლამური ლითონწარმოების განვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ისლამამდელმა მხატვრულმა ტრადიციებმაც: უპირველესად უნდა აღინიშნოს, ელინისტური, ინდობუდისტური, შუააზიური და, განსაკუთრებით, სასანური ირანის კულტურული ტრადიციები. ისლამური ლითონის მაღალმხატვრულ ნაკეთობათა ფორმები და მდიდარი ორნამენტული დეკორი საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა, იხვეწებოდა დროისა და მოთხოვნის, მუსლიმურ ქვეყნებში დამკვიდრებული მოდური ტენდენციების კვალდაკვალ.

დეკორატიული სტილის განვითარებამ ხელი შეუწყო პოლიქრომული ინკრუსტაციის ტექნიკის წარმოშობას, მაგალითად, ბრინჯაოს ნაკეთობებზე გამოიყენებოდა სპილენძის, ვერცხლისა და, იშვიათად, ოქროს ძაფებით ინკრუსტირება. ლითონის ჭურჭლის ზედაპირის ინკრუსტაციის ტექნიკით დამუშავება ჯერ კიდევ VIII ს-ში ყოფილა ცნობილი, მაგრამ მისადმი განსაკუთრებული ინტერესი XIII-XIV სს-ში ჩნდება. დიდი ხნის განმავლობაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ინკრუსტაციის მხატვრული ტექნიკა მხოლოდ ქ. მოსულში (ახლანდელი ერაყი) დამზადებულ ლითონის ნაწარმზე გამოიყენებოდა

და განსაკუთრებული აღმავლობით სწორედ XIII-XIV სს-ში გამოირჩეოდა. ქ. მოსულში ფუნქციონირებდა ლითონმქანდაკებლობის საყოველთაოდ აღიარებული მრავალი სახელოსნო, სადაც მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ოსტატები მოღვაწეობდნენ. სწორედ მათ შეიმუშავეს და დახვეწეს ლითონის ნაკეთობათა ინკრუსტაციული შემკულობის გამორჩეული, უზადო სტილი. მის რთულ დეკორატიულ ქარგაში სრულყოფილებას აღწევს ერთმანეთთან ჰარმონიულად შერწყმული სხვადასხვა სახის ორნამენტი თუ ნაყში, კალიგრაფიის ნიმუში და ფიგურატიული გამოსახულება. ახლა უკვე ეჭვგარეშეა, რომ ამავე პერიოდში პარალელურად არსებობდა ლითონმქანდაკებლობის სხვა მრავალი ცენტრი ირანსა და მის საზღვრებს გარეთაც, შუა აზიაში, თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიაზე. ყოველივე ამას ნათელს ჰფენს ლითონის მაღალმხატვრულ ნაკეთობებზე არსებული ეპიგრაფიკა – წარწერები გვამცნობენ ოსტატთა სახელებსა და შექმნის ადგილს; მაგ. ჰერათი, მერვი, ნიშაბური და ა.შ. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში დაცული უნიკალური ინკრუსტირებული დოქი, მსოფლიოს სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი როგორც ე.წ. „თბილისის დოქი". ექსპონატზე არსებული არაბული წარწერები მიუთითებენ მისი დამზადების თარიღს (XII ს. ჰიჯრის 575, ახ.წ. 1181-1182 წწ.), ადგილს (ჰერათი, თანამედროვე ავღანეთი) და მისი შემქმნელი ოსტატის სახელსაც კი – მაჰმუდ იბნ მუჰამად ალ-ჰარავი. სწორედ ამ დოქზე აღბეჭდილი წარწერებით დასტურდება ირანში ინკრუსტაციის ტექნიკის არსებობა. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მსოფლიოს მუზეუმთა ისლამურ კოლექციებში დაცულ ამ ტიპისა და პერიოდის დოქებს შორის ყველაზე მეტი ინფორმატიულობით გამოირჩევა, სწორედ „თბილისის დოქი" მასზე დატანილი წარწერების წყალობით, დასაბამი მიეცა სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებში დაცული ამ ჯგუფის დოქების შესწავლას. და როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადასტურდა, რომ მოსულის სახელოსნოთა გარდა XII ს-ში არსებობდა ლითონმქანდაკებლობის სხვა ცენტრებიც, სადაც ასეთივე ტექნიკით მზადდებოდა მდიდრული ნაკეთობები. მომდევნო საუკუნეებშიც გარეგანი შემკულობის ეს დეკორატიული ტექნიკა ფართოდ ყოფილა გავრცელებული ისლამურ სამყაროში. როგორც წესი, ინკრუსტაცია გრავირებულ დეკორთან ერთად გამოიყენება. მისი საშუალებით აქცენტირებულია ორნამენტული სახეების დეკორატიული ელემენტები. ინკრუსტაციის ტექნიკა ლითონის ნაკეთობას მდიდრულ ელფერსაც სძენდა, რადგან ზედაპირის ფაქტურა მეტად ფერადოვანი და ელვარე ხდებოდა. ჩვენს კოლექციაში დაცული ინკრუსტირებული დოქებიც ამ ტიპის ნაკეთობებს განეკუთვნება. ისინი, სავარაუდოდ, ირანში დამზადებული ნაწარმია. მათი შესრულების თარიღად შეიძლება გვიანი XIII და ადრეული XIV სს. ვივარაუდოთ. საინტერესოა ამ ექსპონატთა წარმომავლობაც. ისინი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პირველი ფოტოგრაფის, ალექსანდრე როინაშვილის, კერძო კოლექციიდან მემკვიდრეობით ერგო საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, შემდეგ კი – შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმს. პარალელური

მასალა დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან მუზეუმშიც, (მაგ. ბრიტანეთის მუზეუმი (ლონდონი), მეტროპოლიტენ მუზეუმი (ნიუ იორკი), სმითსონის ინსტიტუტი, ფრირისა და საკლერის გალერეა — აზიური ხელოვნების მუზეუმი (ვაშინგტონი), ერმიტაჟი (პეტერბურგი) და სხვ.). ხსენებულ ექსპონატთა მდიდრული დეკორის ტიპი კონსტრუქციულად რთული სინთეზური კომპოზიციით ხასიათდება, რადგან კომპოზიციები მრავალ რეგისტრადაა დაყოფილი და ფრიზულად განლაგებული. თვით ორნამენტული ფიგურები კი მედალიონებსა და კარტუშებშია მოქცეული. დეკორი არაჩვეულებრივადაა მორგებული ლითონის ჭურჭლის ფორმას და, ამავდროულად, ხაზს უსვამს მის მოცულობასა და კონსტრუქციას.

ამ მხრივ საინტერესოა ექსპონატი – *სხმ/აღ № 3582* (H – 38 სმ, D – 70 სმ, W – 2050 გ.). თითბრის მასიური დოქი ჭვირული ხუფით, ფართოდ გადაშლილი პირითა და რელიეფური სეგმენტებით დანაწევრებული ცილინდრული ყელით (ტაბ. II-1). მორკალული სახელური ყელსა და მხარზეა მირჩილული. დოქის ტანი მსხლისებრი მოყვანილობისაა და კონუსური ფორმის წელში გამოყვანილი ძირით ბოლოვდება. ორნამენტული დეკორი შექმნილია ოქროსა და ვერცხლის ძაფებით ინკრუსტაციის ტექნიკით. დოქის ტანის ძირითადი ორნამენტული დეკორი სხვადასხვა ზომის მედალიონში ჩასმული მცენარეული მოტივებითაა წარმოდგენილი (ტაბ. II-2), რომლებიც ჰორიზონტალურად დაყოფილ რეგისტრებში რიტმულადაა განთავსებული. მედალიონებით გამოყოფილი ყვავილოვანი ორნამენტების გარშემო არსებული ფონი შექმნილია წახნაგოვანი ორნამენტებით. ჭურჭლის ტანის დეკორს ორ ნახევარსფეროდ ჰყოფს შუაწელზე რადიალურად დატანილი არშია, რომელიც შემკულია რომბებითა და წრიული ფორმის გეომეტრიული ფიგურებით. ცალკე აღნიშვნის ღირსია დოქის ყელი, რომელიც სხვადასხვა ეპოქის ხელოსნობის კვალს ატარებს. ჭურჭლის ტანის მსგავსად, ყელისა და ტუჩის ორნამენტული დეკორიც წარმოდგენილია მცენარეული მოტივებით. ორნამენტულ შემკულობაში განსაკუთრებით საინტერესოა მომცრო ზომის მედალიონებში ოქროს ძაფებით ინკრუსტირებული სვასტიკის სიმბოლიკა (ტაბ. II-3). დოქის სახელური, ჭურჭლის შემადგენელი სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით, შედარებით სადა ორნამენტს გვთავაზობს. სახელურის ზედა, თაღოვან, ნაწილზე მოთავსებულია ერთგვარი კოპი, რომელიც, სავარაუდოდ, ბრონწეულის იმიტაციაა.

საყურადღებოა აგრეთვე დოქი – *სხმ/აღ № 973.* (H – 36,5 სმ. W – 1020 გ.) მაღალი, გამოყვანილი ყელითა და ფართოდ გადაშლილი პირით (ტაბ. I-1), დოქის ტანსა და ყელზე მირჩილული მოხრილი სახელურითა და პარალელურად განთავსებული სწორი, ვერტიკალურად აღმართული, მილაკით (ტუჩი). დოქის ზედაპირი მთლიანად რელიეფურადაა დაწახნაგებული. ჭურჭლის საერთო დეკორი, ძირითადად, რეგისტრებადაა დანაწევრებული და დეკორირებულია ანთროპომორფული გამოსახულებებით, სტილიზებული მცენარეული და ზოომორფული მოტივებითა და გეომეტრიული ორნამენტებით. დოქის ტანის ზედა ნაწილში, რადიალურად განლაგებულ მედალიონებში, ჩაწერილია ტახტზე მსხდომი შარავანდედიან ადამიანთა გამოსახულებები (ტაბ. I-2). ტანის ქვედა მესამედი შემკულია სინქრონულად განლაგებული

გეომეტრიული და არაბესკული ორნამენტებით. ძირზე კი გამოსახულია კარტუშებში ჩაწერილი ფურცლოვანი ყვავილები, რომლებიც უწყვეტად მეორდება მთელ წრეზე. ჭურჭლის ყელი სამ რეგისტრადაა დაყოფილი. რეგისტრები ერთმანეთისაგან რელიეფური ნიშნულით გამოიყოფა. ყელზე წარმოდგენილი ორნამენტული მოტივები მსგავსია ჭურჭლის ტანზე მოცემული მოტივებისა და უმეტესად სტილიზებული მცენარეული სიუჟეტებითაა გამდიდრებული. დოქის ტუჩი, ტანის მსგავსად, რელიეფურადაა დაწახნაგებული და მსგავსი მხატვრულ-ორნამენტული მოტივებით ხასიათდება. ცალკე აღნიშვნის ღირსია სამ ნაწილად დაყოფილი დეკორატიული სახელური, შუაწელზე განთავსებული რელიეფური სარტყლითა და ბროწეულის ფიგურით.

ფიგურატიული გამოსახულებებით არის დამშვენებული ცილინდრული ფორმის დოქი – *სხმ/აღ № 3680* (ტაბ. V-1) პირთან ოდნავ გაფართოებული ყელით. თაღისებურად მოხრილი, ყელსა და მხარზე მირჩილული სახელურითა და პარალელურად განთავსებული სწორი, ცილინდრული მოყვანილობის ტუჩით. ჭურჭლის ყელის ქვედა ნაწილზე დატანილია რელიეფური საყელო. თავად დოქის ტანი მსხლისებრი მოყვანილობისაა, რომელიც ბოლოვდება შედარებით გვიანი პერიოდის ერთმანეთზე მოქლონვის მეთოდით გადაკერებული და ბრინჯაოს ორი ფირფიტისაგან შემდგარი გადაჭრილი კონუსის ფორმის ძირით. დამზადებულია ჭედური დამუშავებით ფურცლოვანი თითბრისაგან. მხატვრული სიუჟეტები შექმნილია გრავირების ტექნიკით, რომლებიც ზემოდან ორნამენტირებულია ვერცხლით შესრულებული ინკრუსტაციის ტექნოლოგიით. ყელის არეში, ცენტრალურად განთავსებულ რეგისტრში, წარმოდგენილია ორ კარტუშში ჩაწერილი ქუფური წარწერები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია ასევე კარტუშში ჩასმული ტახტზე ფეხმორთხმით მჯდომი გვირგვინოსნის გამოსახულებით. ყელის ძირზე, მხრების არეში, განთავსებულ ყვავილის გვირგვინის ფორმის საყელოზე, გამოსახულია არაბესკული ორნამენტები, რომლებშიც რიტმულად ჩართულია ყვავილოვანი ორნამენტებით შევსებული მცირე ზომის მედალიონები. დოქის ტანი ორ რეგისტრადაა დაყოფილი მცენარეული მოტივებით შემკული არშიით. მათგან ზედა რეგისტრში წარმოდგენილია რიტმულად, ერთმანეთის მონაცვლეობით, განთავსებული მედალიონები და კარტუშები. მედალიონებში, უმთავრესად, გამოსახულია ფეხმორთხმით მსხდომ ადამიანთა გამოსახულებანი (ტაბ. V-2), კარტუშებში კი – ქუფური წარწერები (ტაბ. V-4). ქვედა რეგისტრში, მთელ წრეზე, რიტმულად მიუყვება კარტუშებში ჩაწერილი ზოგან ფეხმორთხმით მსხდომი, ზოგან კი ცხენზე ამხედრებული ადამიანების გამოსახულებები (ტაბ. V-3). აღნიშნული კარტუშები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ვერტიკალურად განლაგებული სხვადასხვა ზომის მედალიონებით. დოქის ტანს, ქვედა ქუსლის საზღვართან განთავსებულ არეში, წრიულად მიუყვება მძივისებური ორნამენტები.

დოქი – *სხმ/აღ № 3679* ნადიმის ამსახველი კომპოზიციებითაა შემკული (H – 32სმ; W – 1060 გ.); მას აქვს ფართო პირი, ფილიგრანული სტილით დამუშავებული ხუფის მქონე ვიწრო კონუსის ფორმის ყელი (ტაბ. IV-3) ჭურჭლის ტანი, სხვა დოქების მსგავსად, მსხლისებრი მოყვანილობისაა,

თუმცა, მათგან განსხვავებით, დაბოლოებულია ფესტონური სარტყლით. დოქის ზედაპირი მთლიანად დაწახნაგებულია (ათი წახნაგი). ჭურჭლის ყელი ხუთ რეგისტრადაა დაყოფილი. პირველი, მეორე და მეოთხე რეგისტრი შემკულია მცენარეული ორნამენტებით. ცენტრალურ, მესამე, რეგისტრში გამოსახულია ანთროპომორფული ფიგურები. მეხუთე რეგისტრი კი არაბული წარწერებითაა წარმოდგენილი.

დოქის ყელი მუცლის არეში მცენარეული მოტივებით ორნამენტირებული საყელოთი გადადის. თავად მუცლის ზედაპირი ოთხ რეგისტრადაა დაყოფილი. პირველი რეგისტრი შემკულია გეომეტრიული ორნამენტებით შევსებული მედალიონებით, მეორე რეგისტრი – რადიალურად განლაგებულ ფიგურულ კარტუშებში გამოსახული ნადიმის სცენით. მესამე რეგისტრში კი მცენარეული ორნამენტებით შემკულ მედალიონებს შორის არაბული წარწერებია განთავსებული. რაც შეეხება მეოთხე რეგისტრს, მეორე რეგისტრის მსგავსად, კარტუშებით არის წარმოდგენილი, თუმცა, ამ შემთხვევაში კარტუშები გაცილებით მასიურია და, ძირითადად, წარმოდგენილია შიგ ჩაწერილი ანთროპომორფული გამოსახულებებით. დოქის ტანის ქვედა არეში ქუსლის ფესტონურ სარტყელს წრიულად შემოუყვება წნულისებრი არშია. თავად ქუსლზე კი დატანილია გეომეტრიული ორნამენტები. ცალკე აღნიშვნის ღირსია სახელური, რომელიც დოქის ყელსა და მუცელზე მირჩილულია პალმეტის მოყვანილობის დიდი ზომის ფურცლოვანი ლითონის ფირფიტებით. თავად სახელური რელიეფური რგოლით ორ ნაწილადაა გაყოფილი. მათ შორის, კი ზედა თაღოვან ნაწილზე, განთავსებულია კოპი, რომელიც სხვა დოქების მსგავსად, ბროწეულის იმიტაციაა (ტაბ. IV-2).

შედარებით განსხვავებული მოყვანილობისაა დოქი – *სხმ/აღ № 3677* (H – 34,5 სმ;D – 19სმ; W – 1020 გ) კონუსის ფორმის მაღალი ყელით, გადაშლილი პირით, ვიწრო მხრებითა და მსხლისებრი მოყვანილობის ტანით, რომელიც ბოლოვდება მომრგვალებული, გამოყვანილი ძირით (ტაბ. III-1). ჭურჭლის სითხის სავალი მილი რკალისებურადაა მოხრილი და ბოლოვდება კონუსური ფორმის ტუჩით. დოქის თაღისებურად მოხრილი სახელური ტუჩის პარალელურად ყელსა და მხარზეა მირჩილული. დოქის შემადგენელი ძირითადი ნაწილები რეგისტრებადაა დაყოფილი: ყელი – ექვს რეგისტრად, მუცელი – ოთხ რეგისტრად, ძირი – სამ რეგისტრად.

ყელის პირველი და მეოთხე რეგისტრი, ასევე მუცლის მეორე რეგისტრი წარმოდგენილიამედალიონებშიჩასმულიარაბულიწარწერებით(ტაბ.III-3). აღნიშნული მედალიონები ყელის პირველ რეგისტრში ერთმანეთისაგან გამოყოფილია კარტუშებში ჩასმული მცენარეული ორნამენტებით. ყელის მეოთხე და მუცლის მეორე რეგისტრში კი აღნიშნულ მედალიონებს ერთმანეთისაგან მიჯნავს კარტუშებში ჩაწერილი სამეფო სცენები: ტახტზე მჯდომი გვირგვინოსანი, რომელსაც ფერხთით უდგას სურა, ხოლო მისგან მარჯვნივ და მარცხნივ – მსახურებია (ტაბ. III-2).

მუცლის ქვედა ნახევარსფეროს რეგისტრში წარმოდგენილია რადიალურად განლაგებული კარტუშებით. თითოეულში ცენტრალურად გამოსახულია ფეხზე მდგომი მამაკაცი სასმისით ხელში. ამ კარტუშების ფონი შევსებულია მცენარეული ორნამენტებით. დოქის მუცლის პირველ

რეგისტრში, მედალიონებს შორის, გამოსახული ზოომორფული ფიგურები რადიალურად მიუყვებიან მუცლის გარშემოწერილობას (ტაბ. III-4). ჭურჭლის ფონი მთლიანად შევსებულია კარტუშებსა და მედალიონებში ჩაწერილი არაბესკებითა და მცენარეული მოტივებით.

როგორც ექსპონატთა აღწერილობებიდან ჩანს, შუა საუკუნეების ირანული ლითონმქანდაკებლობის ნიმუშებზე განსაკუთრებით დიდი ხნის განმავლობაში იქნა შენარჩუნებული და აღბეჭდილი სასანიანთა ეპოქის ხელოვნების კვალი. პოსტსასანური პერიოდის ლითონის ნაკეთობებზე მეორდება სამეფო ნადირობის ამსახველი ჰეროიზებული ტრადიციული სცენები. კვლავ აქტუალურია მითოლოგიური თემატიკა, ხშირად გვხვდება როგორც ფანტასტიკურ არსებათა, ასევე ზედმიწევნით რეალისტურად გადმოცემულ ცხოველთა დეტალიზებული გამოსახულებები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისლამური ხანის მომდევნო ეტაპებზეც დომინირებს ამ დიდებული ეპოქის გავლენა. თითქმის უცვლელი რჩება სასანური ირანისთვის დამახასიათებელი ტრადიციული მხატვრული სიუჟეტები, თუმცა, ამ შემთხვევაში, ხსენებულ სიუჟეტთა გადმოსაცემად ლითონის მუსლიმი ოსტატები დეკორატიული შემკულობის ახლებურ ტექნოლოგიურ ხერხს მიმართავენ. შუა საუკუნეებიდანვე ისლამურ ლითონმქანდაკებლობაში დამკვიდრდა ორნამენტით შემკობის ყველაზე გავრცელებული ხერხი – გრავირება, რომელიც თითქმის სრულად ეხმიანებოდა დეკორატიულ-სიბრტყობრივი, „ხალიჩისმაგვარი" ორნამენტის ძირითად პრინციპებს. შესაბამისად, სულ უფრო იშვიათად გამოიყენებოდა რელიეფური დეკორი. როგორც ცნობილია, სასანური ვერცხლის ჭურჭლის შემკულობისათვის სახასიათოა სადა, ნეიტრალური ფონი, ხოლო თვით ფიგურები მკვეთრად გამოხატული მაღალი რელიეფურობით გამოირჩევა. ჩვენი საკვლევი პერიოდის ნამუშევართა დეკორის მხატვრული დამუშავებისას კი უმეტესწილად გრავირების ტექნიკას ენიჭება უპირატესობა, შესაბამისად, კომპოზიცია სიბრტყობრივადაა გადმოცემული. ამავე პერიოდიდან დიდ მნიშვნელობას იძენს თვით ორნამენტიც, ფიგურის გარშემო არსებული არეები თითქმის სრულიად შევსებულია სხვადასხვა ტიპის, ერთმანეთში გადახლართული, რთული ორნამენტული სქემებით. ორნამენტი იქცა ძალზე სახასიათო მხატვრულ ჟანრად, რომელსაც უზარმაზარი მნიშვნელობა მიენიჭა და სრულყოფილების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. განსაკუთრებული პოპულარულობით სარგებლობდა ზღაპრულ-ფანტასტიკური არსებების გამოსახვა – ფრთოსანი სფინქსების, თხების, გრიფონების, ადამიანისთავიანი ფრინველების, სენმურვის, იგივე სიმორღისა და განვლილ ეპოქათა სხვა მრავალი პერსონაჟისა, რომელთაც ამ დროისათვის უკვე დაკარგული ჰქონდათ თავიანთი მითიური მნიშვნელობა და ფუნქცია. ხალხური ტრადიციის ზღაპრული ეგზოტიკა, რითიც განმსჭვალული იყვნენ ეს უძველესი სახეები, ახლობელი და ძალზე გასაგები იყო ხელოსანთათვის, შეესაბამებოდა მათ ესთეტიკურ გემოვნებას და აკმაყოფილებდა მასობრივი მომხმარებლის – ფეოდალური სავაჭრო-სახელოსნო ქალაქების მაცხოვრებელთა მოთხოვნებს. არ ქრება საერო ხასიათის სიუჟეტები, რომელთაც ასევე განიცადეს ტრანსფორმაცია. ტახტზე მსხდომი ფიგურები, ნადირობის ამსახველი გმირობები,

დიდებულთა ნადიმები და გართობის სცენები მედალიონებში იყო მოქცეულიდარიტმულადგანლაგებულიხელოვნებისნიმუშთა ზედაპირზე. ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებები, მცენარეული მოტივები სხვადასხვა სახის ნაკეთობათა შემკულობის რთული ორნამენტული მთლიანობის ნაწილი იყო. მართალია, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისლამი ზღუდავს ფიგურატიულ გამოსახულებას ხელოვნებაში. რადგან, ყურანის თანხმად, განკითხვის დღეს ყველა მხატვარსა თუ მოქანდაკეს მის მიერ შექმნილი ქანდაკება თუ ნახატი „მოსთხოვს", შთაებეროს სული. სულის შთაბერვა კი მხოლოდ ღვთაებრივი ფუნქციაა და მხოლოდ ალაჰს ხელეწიფება და ამას ოსტატი ვერ შეძლებს [Ward R. 1993: 10]. სწორედ ამიტომ, ყურანის თეზებიდან გამომდინარე, ისლამმა თავისი არსებობის პირველ ხანებშივე მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა ცოცხალ არსებათა გამოსახვის მიმართ. თუმცა, მკვეთრ აკრძალვათა მიუხედავად, ცნობილია, რომ მუჰამედმა დაუშვა გამოსახულებანი, რომლებიც ფართო მოხმარების ნივთებზე გამოიყენებოდა მხოლოდ დეკორის ელემენტად. განვმარტავთ: ეს იყო ზოომორფული და ანთროპომორფული ხასიათის ფიგურატიული გამოსახულებანი, რომელბსაც არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდათ თაყვანსაცემი ობიექტის ფუნქცია. ასე მაგალითად, თუ ლითონის ნაწარმის მიხედვით ვიმსჯელებთ, ისლამურ ლითონწარმოებაში არცთუ იშვიათია ზოომორფული ხასიათის ფიგურები, რომელთა დანიშნულება ცალსახაა – ესენია რიგითი მუსლიმის ყოველდღიურ ყოფაში გამოყენებული ნივთები, რომელთა დეტალებს (მაგალითად, შანდლის ძირს, დოქის სახელურსა და ა. შ.) ქმნიან ზოომორფული სკულპტურები. ზოგჯერ თავად ნივთებზეა გამოსახული სხვადასხვა ანთროპომორფული და ზოომორფული ფიგურა, თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მათი დეკორატიული ფუნქცია. ანთროპომორფული ფიგურები ისლამურ ლითონზე, ისევე როგორც, საზოგადოდ, ისლამურ ხელოვნებაში ვიდრე ყაჯარულ პერიოდამდე (1795-1925 წწ.), არასოდესაა წამოდგენილი პორტრეტული ნიშან-თვისებებით და ისინი მხოლოდ ადამიანის ზოგად ხატებას წამოადგენს. ამრიგად, ჩვენი საკვლევი მასალა საერთო ხასიათით განვლილი პერიოდების კარგად ნაცადი მხატვრულ-ტექნიკური ხერხების ახლებური ინტერპრეტაციითა და მათი შესამჩნევად სტილიზებული გადმოცემით ხასიათდება. ახალი ფორმებისა თუ დეკორატიული ელემენტების ჰარმონიული შერწყმა წინარე ისლამურ მხატვრულ ტრადიციებთან შუა საუკუნეების ლითონწარმოების ნიმუშებს გამორჩეულ ინდივიდუალიზმს სძენს.

ტექნოლოგია

შუა საუკუნეების დასაწყისის ისლამურ კულტურაში სპილენძის შენადნობებს შორის ფართო მოხმარებით გამოირჩეოდა სპილენძ-თუთიის შენადნობი – თითბერი (Shabah), რომელიც ლითონწარმოებაში ძვირფასი ლითონებისათვის დამახასიათებელი ბზინვარების გამო ოქროს იმიტირების მიზნით გამოიყენებოდა. როგორც ზემოთ ითქვა, ოსტატები თითბრისაგან ამზადებდნენ საყოფაცხოვრებო თუ დეკორატიულ

ჭურჭელს, რომლის ზედაპირი სხვადასხვა ტექნიკის მეშვეობით ნაირგვარი ორნამენტებით იმკობოდა.

თავდაპირველად გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ოსტატების მიერ ჭურჭლის დასამზადებლად გამოყენებული ლითონური შენადნობის მომზადების მეთოდებსა და მათი შემადგენელი ელემენტების გავრცელებისა და მოპოვების საკითხებზე ისლამური სამყაროს ტერიტორიაზე.

წერილობითი წყაროების თანახმად, თითბრის – სპილენძისა და თუთიის შენადნობის მისაღებად საჭირო ელემენტების მოპოვება ადგილობრივი მადნებისგან წარმოებდა.

თითბრის მთავარი კომპონენტი – სპილენძი შენადნობში ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელითაა მოცემული (Cu>50%). სპილენძს არაბულად – nahas, სპარსულად კი – mis ეწოდება. გეოგრაფთა ცნობებით, X ს-ში სპილენძი ფართოდ მუშავდებოდა ტრანსოქსანიაში, ხორასანში, ქირმანსა და ფარსში. თილეკოუთი მიუთითებს უძველესი სპილენძის საბადოების არსებობას ავღანეთში, ქაშანის მახლობლად და ღაზნას სამხრეთით სამოცდათხუთმეტ კილომეტრში [Tylecote R. F. 1970: 11-19]. მუჰლი აღნიშნავს სპილენძის დეპოზიტების არსებობას ავღანეთში შაჰ მაქსუდის ტერიტორიაზე [Muhly J. 1973: 112]. ლადეიმი თავის კვლევებში გამოყოფს შვიდ ყველაზე მდიდარ ტერიტორიას: ყარადაღს, მიანას, თარუმს, თეირანს, საბზევარს, ანარეკსა და ქირმანს [Ladame G. 1945: 197-248]. ქართული წყაროებიდან უნდა აღინიშნოს გ. კვირკველიას ნაშრომი, რომელშიც ავტორი, რ. ფორბის კვლევებზე დაყრდნობით ასახელებს სპილენძის მოპოვების მხრივ ყველაზე ცნობილ ტერიტორიებს, მათ შორის, ლადეიმის მიერ მითითებულ ადგილებსაც. „სპილენძი ირანში ყველგან გვხვდება – ქაშანში, სირჯანში, სებზევარში, ხორასანში, ქირმანში და სხვ. განსაკუთრებით მდიდარია ყარადაღის ქედი, ხოლო ანარეკის სპილენძის საბადოები მსოფლიოში ცნობილი" [კვირკველია გ. 1968:16].

ჯეიმს ალანის მიხედვით, სპილენძის მადნები (მინერალები) – კუპრიტი, მალაქიტი და აზურიტე, ძირითადად, ჟანგეულებისა და კარბონატების სახით, ქალკოპირიტი (სპილენძის ალმადანი) და ქალკოზინი (სპილენძის კრიალა) კი სულფიდური ფორმით მრავლად გვხვდება ირანის ტერიტორიაზე. ის ასევე აღნიშნავს, რომ ორივე ტიპის მადნის გამოდნობას ჯერ კიდევ რომაელები აწარმოებდნენ. ჯეიმს ალანს ასევე მოჰყავს ალ-ბირუნის ცნობა, სადაც ის მიუთითებს ნივთიერებას, რომელიც შეიძლება იყოს სპილენძის მინერალი, კერძოდ კი, ქალკოზინი – მოშავო სპილენძის სულფიდური მადანი: „არსებობს სახეობა, რომელსაც უწოდებენ სიიაჰ მის (*siyah mis*), რომლის გადანატეხი არის საუცხოო წითელი ფერის, ცვალებადობს რა მკვეთრი მუქიდან ძალიან ღია ტონალობამდე. მისგან არის დამზადებული თითბერი" [Allan J. 1979:40-44].

ჯ. ალანი და გ. კვირკველია, ფორბის გამოკვლევებზე დაყრდნობით, მიუთითებენ სულფიდური მადნებისგან ლითონური სპილენძის მისაღებად შემდეგი სახის ოპერაციების შესრულების საჭიროებას: „პირველი – მადნის გამოწვა, რათა მოხდეს გოგირდის მოშორება; მეორე – გამომწვარი მადნის გამოდნობა „შტეინის" მისაღებად. მესამე – ხელახალი გამოდნობა

რკინის სულფიდის გამოყოფისა და ოქსიდირებული წიდის მისაღებად. მეოთხე – რაფინირება, ოქსიდაციის შედეგად გოგირდის ნარჩენების მოშორების მიზნით და მეხუთე – შემდგომი რაფინირება ჟანგბადის მოშორების მიზნით, გაწმენდა" [კვირკველია გ. 1968: 16; Allan J. 1979: 38].

ძალზე საინტერესოა XII ს-ის 20-იანი წლებით დათარიღებული თეოფილუს პრესბიტერის წყარო, სადაც მას აღწერილი აქვს სპილენძის მინარევებისაგან გაწმენდის მეთოდი: „აიღე ნებისმიერი ზომის რკინის ჯამი, დაათაბაშირე შიგნიდან და გარედან კარგად მოზელილი და არეული თიხით და ფრთხილად გააშრე. შემდეგ მოათავსე პატარა ნაკვერჩხალზე მდგარ სამჭედლო ქურაზე ისე რომ, როდესაც საბერველი დაუბერავს, ჰაერის წნევა გადანაწილდეს ნაწილობრივ შიდა არეში და ნაწილობრივ – ზედაპირზე, მაგრამ არა ქვედა არეში. ირგვლივ განათავსე ხის ნახშირის პატარა ნატეხები, ჩაალაგე სპილენძი თანაბრად და დაამატე ზემოდან ხის ნახშირის გროვა. როდესაც ხანგრძლივი ბერვის შედეგად მოხდება სპილენძის გამოდნობა, მოხადე თავი, მაშინვე ჩაყარე სუფთა ხის ნახშირის ნაცარი და მოურიე ჯოხით. თუ კი გააშრობ ჯოხს მასზე არსებული „ნარევით", მყისვე შენიშნავ გამომწვარ ტყვიას, რომელიც ნაცარზე წებოსავითაა მიკრული. ამოიღე ჯოხი, კვლავ დაამატე ზემოდან ნახშირი და პირველი შემთხვევის მსგავსად განახორციელე დაბერვა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ისევ მოხადე თავი და გაიმეორე ყველა ქმედება. მანამდე განაგრძე პროცედურების განმეორება, ვიდრე სრულებით არ მოაშორებ ტყვიას. ჩაასხი სპილენძი წინასწარ ამ სამუშაოსათვის მომზადებულ ბოყვში. შეემოწმე მუდმივად, რათა დაინახო, რამდენად კარგად გაიწმინდა. გავარვარებულ სპილენძს ურიე მაშით გაგრილებამდე, შემდეგ კი დაჭედე ის გრდემლზე დიდი ჩაქუჩით. თუკი, ჭედვის დროს ის გატყდება ან დაიშლება, კვლავ უნდა მოხდეს მისი გამოდნობა მსგავსი წესით, ხოლო თუ შეინარჩუნებს სიმყარეს, გააგრილე წყალში და გამოადნე მსგავსი წესით უფრო მეტი სპილენძი. ამ სპილენძს ეწოდება torridum. მისგან დაამზადებ თითბერს კალამინის დამატებით" [Theophilus. 2013: 144-145].

აგრიკოლას მიერ აღწერილი სპილენძის სადნობი ქურა პრიზმის ფორმისაა, რომელსაც ბრძმედი ქვემოთ აქვს განთავსებული. ასეთი ქურის წინ მიდგმულია მეორე პატარა ქურა, რომელიც ზემოდან ღიაა. პირველ ქურას უკნიდან მიდგმული აქვს „ორპირი" საბერველი ცეცხლის გასაჩაღებლად. ბრძმედში ზემოდან თავსდება კაზმი – მადნისა და ნახშირის ნაერთი [კვირკველია გ. 1968:17].

თითბრის შენადნობის მისაღებად საჭირო მეორე ელემენტი – თუთია, მიუხედავად იმისა, რომ თითბრის წარმოება ჯერ კიდევ რომაელების დროიდანაა ცნობილი, XV ს-მდე სუფთა ლითონური ფორმით არ გამოიყენებოდა [Werner O. 1972:138-9]. ისლამურ სპარსეთში თუთიის ოქსიდის თითბრის შენადნობში არსებობას ასაბუთებს XI ს-ის ალ-ბირუნის წყარო, სადაც მოცემულია თუთიის ოქსიდის მიღების წესი: „თუთიის ოქსიდი ანუ *tutiya,* რომელიც ამ პროცესში (თითბრის მისაღებად) გამოიყენება, წარმოადგენს მიწის ორთქლს. მისი მადანი თავსდება ქურაში, სადაც ჩამაგრებულია გამომწვარი თიხის მსგავსი სარჭები. ღუმელს ქვემოდან უნთებენ ცეცხლს, რაც იწვევს თუთიის

ოქსიდის აორთქლებასა და მის თავმოყრას სარჭებზე ერთგვარი საფარის წარმოქმნის სახით" [Al- Biruni. http://www.farlang.com. p. 247]. თუთიის მიღების მსგავსი მეთოდი გამოიყენებოდა XIII ს-შიც. ქაშანის მიხედვით, ქერმანის (kirman – დედაქალაქი ქერმანის პროვინციაში. ირანი) თუთიას შემდეგნაირად მოიპოვებენ: „ისინი ამზადებენ ღუმელს და მის კედლებში ამაგრებენ თიხის სარჭებს, თაროზე ასხამენ თუთიის ოქსიდის მადანს, შემდეგ კი აჩაღებენ ძლიერ ცეცხლს. მადნის წვის შედეგად წარმოქმნილი კვამლი ამოდის და ილექება თიხის სარჭებზე. ამის შემდეგ, როდესაც ცეცხლს ჩააქრობენ და გააგრილებენ ღუმელს, თიხის სარჭებს აშორებენ სუბლიმირებულ თუთიას" [Allan J. 1979: 42].

თუთიის მიღების წესებზე გაცილებით დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის ალ-ჯავბარი: „თუთიის მისაღებად აშენებენ ოთხკუთხედი ფორმის ღუმელს (tunur) და შუაში ათავსებენ თაროს. შემდეგ ამზადებენ შესაფერის სახურავს და თიხის ჯოხებს. ამ უკანასკნელთ გამოწვავენ კერამიკის მსგავსად. შემდეგ იღებენ ყვითელ მიწას და ფრთხილად ზელენ ვარდკაჭკაჭის ნაყენით. მიღებული მასით ფარავენ თიხის ჯოხებს, რომლებსაც ამოავლებენ ფეტვივით დაფქვილ თეთრი კერამიკის ჭურჭლის ფხვნილში. თითოეულ ჯოხს ერთმანეთისაგან მცირე დაშორებით ათავსებენ ღუმელის თაროზე, რათა მათ შორის დაცული სივრცე ორთქლის გავლის საშუალებას იძლეოდეს. ღუმელს აფარებენ თავსახურს და მწვანე იალღუნის შეშით ქვემოდან უნთებენ ცეცხლს. აღნიშნულ ჯოხებს გავარვარებისთანავე გამოიღებენ ღუმელიდან და ჩააქრობენ ვარდკაჭკაჭას წყალში. ამ პროცედურას იმეორებენ სამჯერ, შემდეგ კვლავ კერამიკის ჭურჭლის ფხვნილში ამოავლებენ და შედებენ ღუმელში იმავე წესით. ღუმელს ახურებენ მანამდე, ვიდრე დაიწყება დნობის პროცესი, შემდეგ კი აგრილებენ. გაგრილებული ჯოხები გამოაქვთ ღუმელიდან და მსუბუქად ჭედავენ, რაც იწვევს თუთიის ფირფიტების გამოცალკევებას. მე ამ სამუშაოს შესრულების შვიდი მეთოდი ვიცი და ვიცი ისინი ძალიან კარგად" [Allan J. 1979: 41].

ზემოთ ხსენებულ წყაროთაგან ალ -ჯავბარის აღწერილობა ყველაზე დეტალურ ინფორმაციას იძლევა თუთიის ოქსიდის მიღების თაობაზე, და რაც მთავარია, მისი სიტყვები: „მე ამ სამუშაოს შესრულების შვიდი მეთოდი ვიცი და ვიცი ისინი ძალიან კარგად" არ გამორიცხავს თუთიის ოქსიდის მიღების სხვა მეთოდების არსებობას.

XX ს-ში ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ თუთია ფართოდ მოიპოვება ირანში. ჯ. ლადეიმი აღნიშნავს, რომ ირანში თუთია თითქმის ტყვიის ყველა მადანში მოიპოვება [Ladame, G. 1945:167]. აღმოსავლური ლითონის ნაწარმის მკვლევარ-მეცნიერთა შორის ყველაზე სანდო ინფორმაციას იძლევა ჯეიმს ალანი. იგი თავის წიგნში სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ადასტურებს, რომ „სპარსული თუთია (tutiya – ყველა ზემოთ მოყვანილ წყაროებში აღნიშნავს თუთიის ოქსიდს, რომელსაც რიგ შემთხვევაში უწოდებდნენ თუთიის ორთქლს) მიიღებოდა არა მხოლოდ ტყვიის მადანში ნაპოვნი მინერალებისგან, არამედ სპილენძის მადნისგან მოპოვებული მინერალებისგანაც" [Allan J. 1979: 45].

თითბრის მასობრივი გამოყენება ლითონის ნივთების წარმოებაში

განსაკუთრებით იჩენს თავს ახ. წ. 1100 წლიდან. სამეწარმეო საქმიანობაში თითბრის პოპულარობის გაზრდის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კი მიჩნეულია ვერცხლის დეფიციტი, რომელმაც ისლამური სამყარო განსაკუთრებით XI ს-დან მოიცვა. ვერცხლის ოსტატებმა გადაინაცვლეს ბრინჯაოს მრეწველობიდან და დახელოვდნენ ინკრუსტაციის ტექნიკის შემუშავებასა და თითბრის წარმოებაში, რომელიც იყო რა ძვირფასი ლითონების გაცილებით ეფექტური შემცვლელი, ვიდრე ბრინჯაო, საფუძველი შეუქმნა ვერცხლითა და სპილენძით ინკრუსტირებული საუცხოო თითბრის ნაწარმის დამზადებას.

თავად თითბრის შენადნობის მიღების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან XI ს-ის როგორც ისლამური სამყაროს მეცნიერები, ასევე ამავე პერიოდის ქრისტიანული სამყაროს წარმომადგენლები.

ალ-ბირუნი თავისი წიგნის ერთ-ერთ თავს 'შაბაჰ'ს, ანუ თითბერს, რომელიც ეხება შენადნობის დამზადებასა და მის შემადგენლობას, შემდეგი სიტყვებით იწყებს: „თითბერი *(Shabah)* ეს არის ყვითელი სპილენძი, რომელიც მიიღება ტკბილეულზე (*halawat*) მომზადებული თუთიით გაჯერების შედეგად... როგორც დანამატი, ვიდრე არ გახდება ოქროს მსგავსი" [Al- Biruni. http://www.farlang.com. p. 224].

ქაშანი იძლევა სირიული თითბრის მიღების წესს, რომელიც, როგორც ის აღნიშნავს, ოქროს მსგავსი საუკეთესო თითბერი იყო. „თუკი ისინი დანაყავენ ნახევარ გირვანქა თუთიის ოქსიდს წიბწებგამოცლილ ქიშმიშთან ერთად ვიდრე არ დარბილდება, შემდეგ კი გამოწვავენ დაბლ ცეცხლზე ისე, რომ არ დაეწვათ, და თუ სპილენძი გამდნარია და მასში ასხამენ მომზადებულ თუთიას და სადნობ ტიგელს დახურავენ მანამდე, სანამ თუთია თავის ზემოქმედებას მოახდენს, შემდეგ კი გააგრილებენ, შედეგად სპილენძი მიიღებს წითელი ოქროს შეფერილობას" [Allan J. 1979: 42].

შუა საუკუნეებში მოღვაწე ბერი თეოფილუს პრესბიტერი ასევე გვთავაზობს თითბრის მომზადების წესს და აღნიშნული შენადნობის დასამზადებლად გამოყენებული „ქვის" (მინერალის) დამუშავების მეთოდს: „ნაპოვნია მოყვითალო, ზოგჯერ მოწითალო შეფერილობის ქვის სახეობა, რომელსაც ეწოდება კალამინი. ქვის ამოღებისთანავე ის იდება ძალიან ცხელი ხის ნაჭრებზე და გამოიწვება სრულ გავარვარებამდე. ამის შემდეგ ქვას აგრილებენ, ფშვნიან და ურევენ ნახშირის მტვერს.... თითბრის მისაღებად გავარვარებულ სადნობ ტიგელებში სათითაოდ მოათავსე წინასწარ დამუშავებული – გამომწვარი, წმინდა ხის ნახშირით გაჯერებული, კალამინი იმ რაოდენობით, რომ აღნიშნული მასალა ავსებდეს ტიგელებს ერთი მეექვსედის ქვედა დონემდე. ამის შემდეგ ტიგელი მთლიანად შეავსე ნედლი სპილენძით და დაფარე ხის ნახშირით. დროდადრო წვრილი, მოკაუჭებული ჯოხით ჩაჩხვლიტე და გაუკეთე ნასვრეტები ისე, რომ არ მოხდეს მათი დაცობა, შესაძლებელი იყოს ფერფლის გარეთ გამოყოფა და ჰაერის წნევის შიგნით შეღწევა. ეხლა კი, როდესაც სპილენძი სრულებით გამდნარია, აიღე ხის ტარიანი, წვრილი, მოხრილი რკინის ღერო და ფრთხილად მოურიე, რათა მოხდეს კალამინის სპილენძთან შედნობა. გრძელი მაშით მსუბუქად აწიე და ოდნავ გადააადგილე თითოეული ტიგელი ისე, რომ არ მოხდეს მათი ქურასთან

შეხება. კვლავ ჩადე ყველა ტიგელში კალამინი, შეავსე სპილენძით და დაფარე ხის ნახშირით. როდესაც სპილენძი დადნება, კვლავ ამოურიე. თავიდან გადააადგილე ერთი ტიგელი და მთლიანი მასა გადმოასხი გრუნტში ამოჭრილ პატარა ღარში. დააბრუნე ტიგელი საწყის ადგილას. მყისვე აიღე კალამინი და ჩადე ტიგელში და დაამატე იმდენივე სპილენძი, რამდენიც ჩამოასხი. წინა პროცედურის მსგავსად, როცა დადნება, მოურიე და დაამატე კვლავ კალამინი, შეავსე ჩამოსხმული სპილენძით და მიეცი შედნობის საშუალება. მსგავსი სამუშაოები გაიმეორე თითოეულ ტიგელთან დაკავშირებით. დნობის პროცესის დასრულებისთანავე გადმოასხი მიღებული შენადნობი და შეინახე, ვიდრე არ დაგჭირდება. ამ შენადნობს ეწოდება უბრალო თითბერი და გამოიყენება ქვაბების, ჩაიდნებისა და ტაშტების ჩამოსასხმელად" [Theophilus. 2013: 143-144].

ზემოთ მიმოხილული წყაროებით, ასევე მსოფლიოს წამყვან მუზეუმებში შუა საუკუნეებით დათარიღებული ისლამური თითბრის ნივთებზე ჩატარებული კვლევებით თვალნათლივ ჩანს, რომ ამ პერიოდის ოსტატები საკმაოდ კარგად ფლობდნენ სხვადასხვა პროცენტული შემადგენლობის მქონე თითბრის შენადნობის მიღების ტექნოლოგიას და, რაც მთავარია, იცოდნენ მათი ფიზიკური თვისებები. ეს კი ხელოსნებს საშუალებას აძლევდა, სასურველი ფორმის ნივთების დასამზადებლად გამოეყენებინათ მრავალი ტექნიკა.

აღნიშნული პერიოდის სამეწარმეო ტექნიკა შეიძლება ორ არსებითად განსხვავებულ პროცესად დაიყოს: გამდნარი ლითონის ჩამოსხმა, ნებისმიერი ფორმის ჭურჭლის მისაღებად და ფურცლოვანი ლითონის დამუშავება.

მკვლევართა აზრით, მოცემული პერიოდის ისლამური სამყაროს ოსტატები ლითონის ნაკეთობების ჩამოსასხმელად სხვადასხვა სახის ყალიბებს იყენებდნენ. დღეს მეცნიერთა უმრავლესობა (ჯეიმს ალანი, რეიჩელ ვორდი და სხვ.) გამოყოფს სამი სახის ყალიბს: პირველი – ღია ან, შესაძლოა, ბრტყელსაფარიანი ყალიბი, რომელიც, უმეტესწილად, გამოიყენებოდა მცირე ნიმუშების ჩამოსასხმელად; მეორე – ფიგურული, ანუ ცალკეული დეტალების დასამზადებელი ყალიბი, რომელიც განკუთვნილი იყო რთული ფორმების ჩამოსასხმელად. ამავე ტიპს მიეკუთვნება მრავალდეტალიანი ყალიბი, რომლითაც ხდებოდა არა დეტალების, არამედ მთლიანი დოქის ჩამოსხმა. თუმცა, ამ პერიოდის ნივთების შესწავლით ჩანს, რომ ხელოსნები აღნიშნულ ყალიბთაგან უპირატესობას ცალკეული დეტალების ყალიბებს ანიჭებდნენ; მესამე – ცვილის დაკარგვის ან cire perdue – ის ტექნიკა, რომელშიც მოიაზრება ნიმუშის დამზადება ცვილისგან და აღნიშნული ნიმუშის გარშემო ყალიბის აშენება. მოცემულ შემთხვევაში ცვილის გამოდნობა ხდებოდა მანამდე, ვიდრე ჩაისხმებოდა გამდნარი ლითონი [Allan J. 1979: 59-61; Ward R. 1993: 31].

ოსტატები მარტივი საყოფაცხოვრებო და უფრო დახვეწილი დეკორატიული დანიშნულების მქონე ნივთების დასამზადებლად ხშირად იყენებდნენ ფურცლოვან ლითონს, რომელსაც სასურველ ფორმას ანიჭებდნენ კვერვით (ფურცლოვანი ლითონის ცივ მდგომარეობაში დამუშავება), თავისუფალი ჭედვით, (ცხელი დამუშავება) და სახარატო

ჩარხზე გაწნევით. მარტივი ნივთები მთლიანი ფურცლისაგან მუშავდებოდა. ნატიფი, რთული ფორმის ნიმუშების დეტალები კი (მაგ., დოქები) ცალკეული ფურცლისგან მზადდებოდა, რომელთა შეერთებისათვის გამოიყენებოდა დამატებითი სამუშაოები – მოქლონვა და მირჩილვა, რაც, მაგალითად, ისლამური დოქების შემთხვევაში ხშირად იჩენს თავს მათი შემადგენელი სითხის სავალი მილაკის და სახელურის მუცლისა და ყელის არეში ჩამაგრების ადგილას. გარდა ამისა, ხშირად ერთი ნივთის დასამზადებლად გამოიყენებოდა კომბინირებული ტექნოლოგია, მაგ., დოქების შემადგენელი დეტალების ნაწილი დამზადებულია ფურცლოვანი ლითონისაგან, ნაწილი კი ჩამოსხმულია. აღნიშნული ნაწილების შესაკავშირებლად გამოყენებული მირჩილვის პროცესები და მათი შესაბამისი ადგილები დაფარულია დეკორატიული დეტალებით, მაგ., ყვავილის გვირგვინის ფორმის საყელო, დატანილი სხეულისა და ყელის შეერთების ადგილას, ასევე ფოთლოვანი მოყვანილობის ლითონური ფურცელი, რომელიც ფარავს სითხის სავალი მილაკის დოქის მხართან მირჩილვის ადგილსა და ა. შ.

სამეწარმეო საქმიანობაში სხვადასხვა ტექნოლოგიით ლითონისათვის სასურველი ფორმის მისანიჭებლად გამოიყენებოდა განსხვავებული პროცენტული შემადგენლობის მქონე თითბერი, რომელიც უმთავრესად ორ ჯგუფად იყოფა: „სუფთა" თითბერი, ანუ სპილენძი თუთიის მაღალი შემცველობით, რომელიც უმნიშვნელო კვალის სახით შეიცავს ტყვიასა და კალას და „ტყვიიანი" თითბერი – სპილენძი ტყვიისა და თუთიის მაღალი შემცველობით. პირველი ჯგუფის შენადნობი, ანუ „სუფთა თითბერი", განკუთვნილი იყო ნივთების ფურცლოვანი ლითონისაგან დასამზადებლად. მასში არსებული თუთიის დიდი რაოდენობა შენადნობს ადვილად ჭედადსა და დამყოლს ხდიდა და, ამავდროულად, ოქროსფერ შეფერილობას აძლევდა. მეორე კი, „ტყვიიანი თითბერი" იხმარებოდა ისეთი ტექნოლოგიური დამუშავებისათვის, როგორიცაა ყალიბში ჩამოსხმა. აღნიშნულ შენადნობში ტყვიის მაღალი შემცველობა აადვილებდა მის დენადობას. გარდა ამისა, ტყვია გაცილებით იაფი იყო, ვიდრე თუთია და სპილენძი, რაც საშუალებას აძლევდა ოსტატებს შეემცირებინათ სქელკედლიანი ჩამოსხმული ნივთების ღირებულება [Ward R. 1993: 29].

სხვადასხვა ტექნოლოგიით დამზადებული ჭურჭელი, იქნებოდა ეს ყალიბში ჩამოსხმის გზით მიღებული თუ ფურცლოვანი ლითონისაგან დამზადებული, ორნამენტული დეკორით შემკობამდე უმეტესწილად იფარებოდა ბითუმით, რომელიც თითბრის ნივთებზე დაიტანებოდა ფონის შექმნის მიზნით, ანუ ოქროსფრად მოელვარე ლითონის ზედაპირზე ამოჭრილი ორნამენტებისთვის სიმკვეთრის მისანიჭებლად. გარდა ამისა, ბითუმისა და გუდრონის გამოყენებით ამაგრებდნენ ლითონურ საფუძველს, რაც ორნამენტების ამოჭრის დროს ხელს უწყობდა ლითონის დაჭერას [Atil E., Chase W. 1985: 44].

ამ მხრივ ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გ. კვირკველია: „ყალამზანები", ანუ ოსტატები, რომლებიც ლითონზე ორნამენტების ყალმით (საჭრისი) ამოჭრას აწარმოებდნენ, ვიდრე ორნამენტის

„გამოყვანას” შეუდგებოდნენ, შესამკობ ჭურჭელს – იბრიყს, ანუ დოქს გამდნარი გუდრონით, ცვილით ან წვრილად გაცრილი სილით ავსებდნენ... იბრიყის ფისით ან სილით „გაჭედვის” მიზანს კი წარმოადგენდა მხატვრული დამუშავების დროს მისი ზედაპირის ჩაზნექისაგან დაცვა... როდესაც იბრიყში ჩასხმული ფისი გაცივდება, „ყალამზანი” ამის შემდეგ შეუდგება ჭურჭლის ზედაპირის ნაირი ორნამენტებით შემკობას”. გ. კვირკველია ასევე აღნიშნავს, რომ ზოგჯერ ჭურჭლის ცალკეული ნაწილების დამუშავებისას, ორნამენტებით შესამკობ ლითონის ფურცელს აკრავდნენ გაცხელებული გუდრონის ბალიშებზე [კვირკველია გ. 1968: 51-52].

ვინაიდან, ნახევრად ძვირფასი სხვა ლითონური შენადნობების მსგავსად, თითბრისაგან დამზადებული ჭურჭელიც, სპილენძის მაღალი შემცველობის გამო, ადვილად ჟანგვადი იყო, გარდა ამისა, მასში შემავალი მინარევები ჭურჭელს საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის, კერძოდ კი, საკვებისთვის არაჯანსაღ რეზერვუარად აქცევდა, სწორედ აღნიშნული მიზეზით ოსტატები ამ ტიპის ნივთებისათვის პრაქტიკული ფუნქციის მისანიჭებლად მიმართავდნენ თითბრის ნივთების დამცავი შრით – კალის თხელი ფენით დაფარვას.

საკვლევი პერიოდის ისლამური გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია ლითონის ნაკეთობების ნაირსახოვანი მხატვრულ-სტილისტური სიუჟეტებით შემკობის მიზნით გამოყენებული ინკრუსტაციის ტექნიკა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, არაძვირფასი ლითონის (თითბრის) ნაკეთობებისათვის თვითღირებულების მომატებისა და პოპულარიზაციისათვის სრულდებოდა ოქროთი, ვერცხლითა და სპილენძით.

ისლამური ლითონის ნივთების დეკორში, უმთავრესად, განასხვავებენ ორი სახის ინკრუსტაციას: ხაზობრივსა და სივრცულს (ტაბ. II-3; II-2).

ხაზობრივი ინკრუსტაციისათვის ლითონის გლუვ ზედაპირზე სხვადასხვა სახის თეგით, პუანსონითა და საჭრისით იქმნებოდა პარალელური ხაზები. მათ შორის წარმოქმნილ ჩაწნევის კვალში კი იჭედებოდა ვერცხლის მავთულები [Ward R. 1993: 37]. განსხვავებული თავის მქონე თეგებითა თუ საჭრისებით მიიღებოდა სხვადასხვა სახის ხაზობრივი კონტური: ოვალურთავიანი თეგით მიიღებოდა ძაფის მსგავსი კონტური, მაშინ, როცა სწორკუთხათავიანი თეგით წარმოიქმნებოდა დაკბილული (საფეხუროვანი ნაპირების მქონე) ხაზოვანი კონტური [Atil E. , Chase W. 1985: 39].

სივრცული ინკრუსტაციისთვის ლითონის ზედაპირის საინკრუსტაციო არის ნაპირის ირგვლივ ჭრილის წარმოსაქმნელად მახვილთავა პუანსონი გამოიყენებოდა. მოცემულ ჭრილში ცენტრალურად განთავსებული ხელუხლებელი საყრდენი ლითონი იფარებოდა შესაბამისი ფორმის ვერცხლის ფირფიტით. მსგავსი სახის ჭრილის მისაღებად ასევე გამოიყენებოდა საჭრისი, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში საჭრისით ხორციელდებოდა ჭრილის შიდა სივრცის დაწევა, რის შედეგად ამოჭრილი არის გარშემო წარმოიქმნებოდა შედარებით მაღალ დონეზე განთავსებული პარალელური კონტური, რომელიც, თავის მხრივ, მის შიდა

არეში ჩაჭედილი ვერცხლის ფირფიტის გამაგრებას უზრუნველყოფდა [Allan J. 1979: 64-65].

აღსანიშნავია, რომ ინკრუსტაციის ტექნიკა ჯერ კიდევ ახ. წ. 800 წელს ფართოდ გამოიყენებოდა მესოპოტამიაში. ისლამურ კულტურაში კი სპარსი ხელოსნების მიერ აღნიშნული ტექნიკით ნივთების დეკორირების ყველაზე ადრეული ნიშნები ჩნდება IX ს-ის მიწურულიდან X ს-ის შუა წლებამდე. თუმცა, აღნიშნული ტექნიკის ფართო გამოყენება ძირითადად, XII ს-დან იჩენს თავს აღმოსავლეთ პროვინციებში, სადაც ლითონის წარმოების მთავარი ცენტრი ამ პერიოდში ღურიდთა იმპერიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი ჰერათი იყო. აღმოსავლეთ პროვინციებში ინკრუსტაციული ტექნიკის აღმასვლა 1220 წლამდე გრძელდებოდა, ვიდრე მოხდებოდა ჩინგის ხანისა და მონღოლთა ჯარების მიერ ამ ტერიტორიების დაპყრობა. შესაბამისად, XIII ს-ში დამპყრობლების მიერ შევიწროებულმა ხელოსნთა დიდმა ჯგუფმა გადაინაცვლა დასავლეთით – ჯერ ჩრდილოეთ ერაყში, კერძოდ კი, ქალაქ მოსულში, სადაც განსაკუთრებით დაიხვეწა ინკრუსტაციული ტექნოლოგია. 1261 წელს კი, მონღოლების მოსულში შემოჭრის შედეგად, მოსულიდან ხელოსნები გადავიდნენ დასავლეთ ირანში (ჰამადანი), სირიაში (დამასკო), სადაც ამ დროს აიუბიანთა დინასტია მმართველობდა, ასევე ეგვიპტესა (კაირო) და ანატოლიაში (ქ. კონია) [Ward. R. 1993: 71-93].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, თუ რაოდენ სწრაფად გავრცელდა ისლამური სამყაროს ლითონწარმოებაში ინკრუსტაციული ტექნიკა, რასაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს როგორც საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლურ ფონდსა და ასევე მსოფლიოს წამყვან მუზეუმებში დაცული, შუა საუკუნეებით დათარიღებული, ისლამური ლითონმქანდაკებლობის ნიმუშები, რომლებიც მათზე დატანილი წარწერებით ცხადყოფენ ხსენებულ ქვეყნებში მათი დამზადების მართებულობას.

წინამდებარე კვლევისათვის ტექნოლოგიური მახასიათებლების შესწავლის მიზნით ჩვენ მიერ შერჩეული დოქების ჯგუფზე ჩატარებული დაკვირვებებით დადგინდა აღნიშნული ნივთების დასამზადებლად გამოყენებული მეთოდები.

არადესტრუქციული რენტგენოფლუორესცენტული სპექტრული აპარატით განხორციელდა ორი დოქის (სხმ/აღ. №3582; სხმ/აღ. №3680) ქიმიური შემადგენლობის დადგენა. გამოკვლეულ იქნა როგორც ლითონური საფუძვლის, ასევე ორნამენტული დეკორის ინკრუსტაციაში გამოყენებული მასალის ქიმიური შემადგენლობა და შესაბამისი ელემენტების პროცენტული შემცველობა (ტაბ. II-1; ტაბ. V-1).

პირველი დოქის (სხმ/აღ. №3582) ლითონური საფუძვლის ანალიზით გაირკვა, რომ ექსპონატი მართლაც დამზადებულია სპილენძისა და თუთიის შენადნობით – თითბერით, რომელშიც სპილენძი (Cu) 62%-ია, თუთია (Zn) – 35%, ტყვია (Pb) კი კვალის სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. VI. ცხრ. 1).

მეორე დოქის (სხმ/აღ. №3680) ლითონური საფუძვლის სპექტრულმა ანალიზმა ცხადყო, რომ მოცემულ შემთხვევაში თითბრის (სპილენძ-

თუთიის) შენადნობი შეიცავს სპილენძსა (Cu) – 84% და თუთიას (Zn) – 14%, კვალის სახით კი – ტყვიასა და დარიშხანს (ტაბ. VI. ცხრ. 2).

ანალიზების შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა ლითონურ საფუძველში ე. წ. „სუფთა თითბრის" გამოყენება, რომელიც თავისი ფიზიკური თვისებების გამო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოიყენებოდა ფურცლოვანი ლითონის დასამზადებლად.

აღნიშნული დოქების ორნამენტულ დეკორში ინკრუსტაციისთვის გამოყენებული მასალის ანალიზით ასევე დამტკიცდა მაღალპროცენტიანი ვერცხლისა და ოქროს არსებობა. ორივე დოქის დამზადებისას (სხმ/აღ. №3582; სხმ/აღ.№ 3680) თითქმის მსგავსი ქიმიური შემადგენლობის ვერცხლია გამოყენებული: Ag – 93 – 94 %, Cu – 4% (ტაბ. VI ცხრ. 1 და 2).

ერთ-ერთ დოქზე (სხმ/აღ. №3582) ოქროს ორნამენტების არსებობის დასამტკიცებლად გამოვიყენეთ სასინჯი რეაქტივი, რომელმაც დაადასტურა ძვირფასი ლითონის არსებობა. შემდგომ ეტაპზე, ძვირფასი ლითონის ქიმიური შემადგენლობის დადგენის მიზნით, გამოყენებულ იქნა არადესტრუქციული, რენტგენოფლუორესცენტული სპექტრული აპარატი. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ, ვერცხლის მსგავსად, ინკრუსტაციისათვის გამოყენებულია მაღალსინჯიანი ოქრო: Au – 94%; Cu – 2%; რომელიც უმნიშვნელო რაოდენობით, კვალის სახით, შეიცავს – Ag, Re, Dy, Pd (ტაბ. VI. ცხრ. 1).

ფურცლოვანი თითბრისაგან დოქების მოყვანილობის მისაღებად გამოყენებული ტექნოლოგიური სამუშაოების დადგენის მიზნით ჩატარდა ვიზუალური დაკვირვება. დამზადების ზემოთ ხსენებული სხვადასხვა ტექნიკის აღწერის მიხედვით, ოსტატს ფურცლოვანი ლითონისათვის სხვადასხვა ფორმის, ჩვენს შემთხვევაში, დოქის მოყვანილობის მისანიჭებლად უნდა გამოეყენებინა სახარატო ჩარხზე გაწნევის ან უფრო რთული – კვერვით დამუშავების მეთოდი. თითქმის ყველა დოქის შიდა მხარეზე შეიმჩნევა გრძივი ნაკერი (ტაბ. VI-1). გარდა ამისა, ძრო, ანუ დოქის ძირი გამოკერებულია, ანუ არ წარმოადგენს ჭურჭლის ლითონური საფუძვლის ერთიან ნაწილს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამორიცხული ხდება დოქების გაწნევით დამზადების შესაძლებლობა, რადგან ერთი ფურცლიდან გაწნევა, ზოგადად, წარმოქმნის მთლიანძროიან ნაკეთობას (გრძივი ნაკერის გარეშე). შესაბამისად, რჩება ერთი მეთოდი – კვერვა. ამ უკანასკნელის გამოყენების შესაძლებლობაზე სწორედ გრძივი ნაკერის არსებობა მიუთითებს.

მოცემული დოქების ჯგუფი წარმოდგენილია ექვსი შემადგენელი ნაწილით: ძროთი ანუ ძირით, ქუსლით (ხშირად კონუსური ფორმის), ტანით (მსხლისებრი ან სფერული ფორმის), ყელით, ტუჩით დაბოლოებული სავალი მილაკითა და სახელურით. მათგან ქუსლი და ტანი ერთიანი ფურცლოვანი თითბრისაგან გამოკვერვითაა დამზადებული. რაც შეეხება სხვა ნაწილებს, მათი ფორმა მიღებულია ასევე კვერვით, თუმცა, ცალკეული ლითონური ფურცლისაგან. დოქების ერთიანი ფორმის მისაღებად, სხვადასხვა ნაწილების შესაკავშირებლად გამოყენებულია მირჩილვის მეთოდი.

რაც შეეხება დოქების ზედაპირის მოხატულობას, ჩვენი აზრით, აქ ორნამენტების შესაქმნელად გამოყენებულია სპეციალური საჭრეთლები,

ანუ საჭრისები და არა თეგები და პუანსონები. აღნიშნულს ადასტურებს ის, რომ დოქების შიდა კედელი გლუვი ზედაპირითაა წარმოდგენილი. აქვე გვინდა მოვიყვანოთ ქართველი მეცნიერების (ფ. თავაძე და ი. ანდრიაშვილი) შეხედულება ქართულ ჭედურ ხელოვნებაში გამოყენებული იარაღების შესახებ: „საჭრისით, ანუ საჭრეთლით ლითონის ფირფიტაზე კვალის წარმოქმნა ბურბუშელის აღებით ხდება, ადგილი არა აქვს ლითონის დაწევას და უკანა მხარეზე ამობურცვის წარმოქმნას. თეგით ან პუანსონით მუშაობის შემთხვევაში კი ბურბუშელა სრულიად არ იხსნება და ლითონი დაბლა იწევს.... უკანა მხარის სახიანობა დამახასიათებელია მხოლოდ თეგვისა და ტვიფვრის ტექნოლოგიური პროცესებისათვის" [თავაძე ფ., ანდრიაშვილი ი. 1967: 53-76].

საკვლევი ნივთების ჯგუფი ხშირად ატარებს შედარებით მოგვიანო პერიოდის ხელოსნობის ნიშნებს. თითქმის ყველას აღენიშნება რეკონსტრუქციის მიზნით გამოყენებული არაორიგინალი შემადგენელი დეტალების არსებობა, რომლებიც უმეტესად, სხვა ლითონური მასალისაგანაა დამზადებული და წარმოდგენილია განსხვავებული ორნამენტული დეკორით ან სრულიად მოუხატავი სადა ზედაპირებით. ამგვარი რეკონსტრუქციის ნიშნები ხშირად შეინიშნება დოქის ძირისა და ქუსლის, ასევე ყელის არეში, სახელურისა და სითხის სავალი მილაკის ადგილებში.

ჩატარებული კვლევებით, მართალია, ჩვენ ვერ აღვადგინეთ სრული ტექნოლოგიური პროცესი, მაგრამ დავადგინეთ მოცემული დოქების ჯგუფის ძირითადი ტექნოლოგიური მახასიათებლები. შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების ფონდში დაცული შუა საუკუნეებით დათარიღებული ისლამური დოქები დამზადებულია ფურცლოვანი ლითონისაგან გამოკვერვის მეთოდით. მხატვრული ორნამენტები კი შექმნილია გრავირებით (საქართველოში ცნობილია როგორც აქაქვის ტენიკა), რომელიც სრულდებოდა ყალმითა და სხვადასხვა საჭრისით შექმნილი ინკრუსტაციის მეთოდით, რომლის ძირითადი მასალა ძვირფასი ლითონები – ოქრო და ვერცხლი იყო.

Natia Dzigua*, Irina Gugunava**

*The Georgian National Musem, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: ndzigua@yahoo.com

**The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of fine Arts
1 L. Gudiashvili St. 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: gugunavairina@gmail.com

Research of Medieval Islamic Metalwork

(Technological and Stylistic Peculiarities)

Summary

Unique objects of medieval Islamic culture are kept among the valuable collections which are kept in the Oriental Department of Georgian National Museum. This group of Islamic metalwork consists of functional and often luxurious vessels and utensils, such as – ewers, basins, bowls, candlesticks, trays, etc. The importance of these vessels is conditioned by manufacturing techniques used by medieval Islamic craftsmen. The objects are made of brass, which is alloy of copper and zinc and are inlayed with precious metals – silver and gold. The manufacturing techniques used for making of these objects are represented by several methods of casting, sheet metalworking and decorative techniques, such as engraving, chasing and inlay, from which especially the latter – inlay technique collected these items in one group. Apart from techniques used for shaping and surface decoration of vessels, one can see the majority of artistic skills by drawing attention to the complicated iconography of surface decoration. The surfaces of these masterpieces are covered with anthropomorphic, zoomorphic figures, also geometrical and vegetable ornaments, among which the most meaningful are arabesques. Moreover, among these thematic motifs the most valuable for identification of these items is epigraphy – the inscriptions made by Islamic masters, from which in most cases the name of masters, locations and the date of making becomes apparent. As an example we can name "Tiflisi Ewer", which with informative inscriptions presented on the surface indicate the date and the the origin of this item (the 12th c, Herat) and craftsman's name – Mahmud Ibn Muhamad Al-Havari. It should be noted that this ewer with its meaningful content initiated further mastering of the same group of ewers throughout the different world museums.

In our research we will discuss only one group of medieval brass vessels inlaid with silver – "Ewers" especially the question of surface decoration and manufacturing techniques of these items. We have chosen five ewers for our study and made as stylistic descriptions so optical observation for identification techniques used for shaping ewers. Moreover, among these ewers chemical composition of two of them have been studied. The analysis was performed by using the Elva X spectrometer. From our research (chemical analysis, visual observation) it became obvious that these ewers were made from sheet brass shaped by hammering, which was confirmed by longwise stitches located in the inner surfaces of the ewers and by chemical composition of the ewers, which confirmed that they have been made of copper-zinc alloy – brass, containing in one case(ewer 3582) 62% of copper , 35% of zinc and trace of lead. In other case (ewer 3680) it was presented by 84% of cooper and 14% of zinc, with lead trace and etc. This type of chemical composition of alloy(copper-zinc) is known as 'pure' brass, which as it is mentioned in huge scientific researches, was used for sheet metalworking.

All these ewers are inlaid with silver and some of them with gold. On the surface decoration of one ewer (#3582) in round medallion representing a fylfot symbol which is inlaid with gold performed by using the of linear inlay technique.

In conclusion, the main aim of our research is to make complicated study of medieval Islamic metalwork, which has never been done in Georgia and it was the reason that only one group of , "ewers" was chosen at the first stage of research.

ბიბლიოგრაფია

კვირკველია გ. 1968: *ირანის მატერიალური კულტურის ისტორიიდან*. თბილისი.

თავაძე ფ., ანდრიაშვილი ი. 1967: *ქართული ხელოვნების ტექნოლოგიური პროცესი*. თბილისი.

Allan J.W. 1979: *Persian Metal Technology 700 – 1300AD*. Oxford.

Atil E., Chase W. 1985: *Islamic Metalwork in the Freer Gallery of Art*. Washington.

Ladame G. 1945: *Les resources metalliferes de l`Iran*. Zurich

Muhly J. D. 1973: *Copper and Tin*. New Haven.

Theophilus. 2013: *'On Divers Arts' The foremost Medieval Treatise on Painting, Glassmaking and Metalwork* (Translated from the Latin with Introduction and Notes by John G. Hawthorne; Cycril Stanley Smith. Dover Publications). New York.

Tylecote, R. F. 1970: *Early metallurgy in the Near East, Metals and Materials*.

Ward. R. 1993: *Islamic Metalwork*. New York.

Werner O. 1972: *Speqtralanalytische und metallurgische Untersuchungen an indischen Bronzen.* Leiden.

http://www.farlang.com/gemstones/biruni-book-gemstones/page_247

ილუსტრაციების აღწერილობა

ტაბ. I

სურ. 1. დოქი. სხმ/აღ. № 973

სურ. 2. ტახტზე მჯდომარე შარავანდიანი ადამიანის გამოსახულება

ტაბ. II

სურ. 1. დოქი. სხმ/აღ. № 3582

სურ. 2. სივრცული ინკრუსტაციით შესრულებული მცენარეული ორნამენტები

სურ. 3. ხაზოვანი ინკრუსტაციით (მასალა – ოქრო) შესრულებული სვასტიკის სიმბოლო

ტაბ. III

სურ. 1. დოქი. სხმ/აღ. № 3677

სურ. 2. სამეფო სცენა

სურ. 3. არაბული წარწერა

სურ. 4. ზოომორფული ფიგურები

ტაბ. IV

სურ. 1. დოქი. სხმ/აღ. № 3679

სურ. 2. კოპი, ბროწეულის იმიტაცია

სურ. 3. ნადიმის ამსახველი კომპოზიცია

ტაბ. V

სურ. 1. დოქი. სხმ/აღ. № 3680

სურ. 2. მედალიონში ჩასმული ფეხმორთხმით მსხდომი ადამიანის გამოსახულება

სურ. 3. ცხენზე ამხედრებული ადამიანის გამოსახულება

სურ. 4. ქუფური წარწერა

ტაბ. VI

სურ. 1. გრძივი ნაკერი, წარმოდგენილი დოქის ყელის შიდა არეზე

ცხრილი 1. სხმ/აღ. № 3582 დოქზე ElvaX
რენტგენოფლუორესცენტული სპექტრული აპარატით ჩატარებული ელემენტარული ანალიზის შედეგები

ცხრილი 2. სხმ/აღ. № 3680 დოქზე ElvaX
რენტგენოფლუორესცენტული სპექტრული აპარატით ჩატარებული ელემენტარული ანალიზის შედეგები

LIST OF ILLUSTRATIONS

Tab. I
Fig. 1. Ewer – oriental collection of the Georgian National Museum # 973
Fig. 2. Image of man with aureole sitting on the throne
Tab. II
Fig. 1. Ewer – oriental collection of the Georgian National Museum # 3582
Fig. 2. Plant ornament made with incrustation
Fig. 3. Swastika symbol made with linear incrustation (Gold)
Tab. III
Fig. 1. Ewer – oriental collection of the Georgian National Museum # 3677
Fig. 2. Royal scene
Fig. 3. Arabic inscription
Fig. 4. Zoomorphic figures
Tab. IV
Fig. 1. Ewer – oriental collection of the Georgian National Museum # 3679
Fig. 2. Knob – imitation of pomegranate
Fig. 3. Composition representing feast
Tab. V
Fig. 1. Ewer – oriental collection of the Georgian National Museum # 3680
Fig. 2. Image of a cross-legged sitting man inside medallion
Fig. 3. Image of a horse-man
Fig. 4. Kufic inscription
Tab. VI
Fig. 1. Longwise stitch – on the inner part of the side of an ewer neck
Table 1. Chemical composition of ewer # 3582, performed by Elva X spectrometer
Table 2. Chemical composition of ewer # 3680, performed by Elva X spectrometer

ცხრილი 1 **Table**

ნივთის დასახელება **Item**	საინვენტარო ნომერი **Inv. N**	თითბერის სინჯი **Alloy: (Cu-Zn) Brass**	ვერცხლის სინჯი **Sample of silver**	ოქროს სინჯი **Sample of gold**
დოქი /**Ewer**	სხმ/აღ 3582	**Cu – 62.124%**	**Ag – 93. 338%**	**Au- 94. 862%**
		Zn – 35.993%	**Cu – 4. 155%**	**Ag – 1. 340%**
		Pb – 1. 883%	**K – 1. 342%**	**Cu – 2. 397%**
			Au – 0. 588%	**Pd – 0. 147%**
			Pb – 0. 577%	**Dy – 0. 187%**
				Re – 1. 340%

ტაბ. I Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

ტაბ. II Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

ტაბ. III Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

ტაბ. IV Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 1 **Fig.**

სურ. 2 **Fig.**

სურ. 3 **Fig.**

სურ. 4 **Fig.**

ტაბ. VI Tab.

სურ. 1 Fig.

ცხრილი 2 Table

ნივთის დასახელება Item	საინვენტარო ნომერი Inv. N	თითბერის სინჯი Sample of brass Alloy: (Cu-Zn)	ვერცხლის სინჯი Sample of silver
დოქი/Ewer	სხმ/აღ 3680	Cu – 84. 324%	Ag – 94. 377%
		Zn – 14. 376%	Cu – 4. 749%
		Pb – 0. 487%	Pb – 0. 874%
		As – 0. 814%	

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 399-411
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 399-411

ნათია დემურიშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: natia2906@yahoo.com

არდებილის ჩინახანეს ფაიფური საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

(დამატებითი ცნობები)

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების საცავებში მნიშვნელობითა და მასშტაბით გამოირჩევა ჩინური ფაიფურის კოლექცია, რომელსაც ეტაპობრივად ვიკვლევთ [როსტიაშვილი ნ. 2003; როსტიაშვილი ნ. 2005; Rostiashvili N. 2008]. ამჯერად ჩვენი ყურადღება კვლავ ეთმობა მუზეუმში დაცულ არდებილის (ირანი) მეჩეთის ჩინური ფაიფურის ჭურჭელს, რომელიც მხატვრული, განსაკუთრებით კი, ისტორიული ღირებულების გამო უკვე დიდი ხანია პრიორიტეტული საკვლევი მასალაა.

როგორც ცნობილია, ქ. არდებილი ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში გამორჩეულ მნიშვნელობას სეფიანთა მმართველობის დროს იძენს. სწორედ არდებილშია დაკრძალული სეფიანთა დინასტიის ლეგენდარული წინაპარი სეფი ად-დინი (1252-1334 წწ.), რომლის მავზოლეუმის ირგვლივ XVI ს-ში გრანდიოზული არქიტექტურული კომპლექსი აღმოცენდა. ამ საკულტო კომპლექსის საწილი იყო ე.წ. ჩინახანეც – ჩინური ფაიფურის სპეციალური საცავი [Canby Sh. R. 2009: 101-103; როსტიაშვილი ნ. 2003: 94]. ფაიფურის უმდიდრესი და უძვირფასესი კოლექცია, ისევე როგორც უნიკალური ხელნაწერების ბიბლიოთეკა, ქსოვილები და სხვ., აქ სეფიანი მმართველების უშუალო მეთვალყურეობითა და ძალისხმევით გროვდებოდა როგორც გაღებული ძღვენი, ვაკფი შიიტური ირანის რელიგიურ-იდეოლოგიური ცენტრის – არდებილისა და სახელოვანი წინაპრის საფლავისადმი. კოლექცია სხვადასხვა პერიოდში ივსებოდა და მდიდრდებოდა დიპლომატიური ძღვნით, უამრავი სახელგანთქმული ადამიანის შენაწირითა და ალაფით [Canby Sh. R. 2009: 102-104].

არდებილის საგანძურში ჩინურ ფაიფურს დიდი ადგილი ეკავა. აქ დაცული იყო ჩინური ფაიფურწარმოების ნამდვილი შედევრები. სწორედ ამიტომ, ჩინახანეს ფაიფური ყველა დროის მოგზაურთა და მკვლევართა ინტერესსა და აღფრთოვანებას იმსახურებდა. მასზე ცნობებს გვაწვდიან გერმანელი მოგზაური და დიპლომატი ადამ ოლეარიუსი, იტალიელი მი-

სიონერი პიეტრო დელა ვალე, ფრანგი ვაჭარი და მოგზაური ჟან-ბატისტ ტავერნიე, ინგლისელი ეთნოგრაფი ჯეიმს ფრეიზერი და სხვ. ჩინახანეს კოლექციის შესახებ მოგვითხრობენ ადგილობრივებიც – ისტორიკოსი და ასტროლოგი მოლა ჯალალი, სახელგანთქმული ისქანდერ მუნში და ა.შ. [Canby Sh. R. 2009:104; Pope J. A. 1956:13-18].

სეფიანთა დინასტიის დაცემის შემდეგ (1736 წ.) ქ. არდებილი კარგავს უწინდელ პრივილეგირებულ მდგომარეობასა და დიდებას და XVIII-XIX სს-ის განმავლობაში სხვადასხვა საომარი ბატალიის ასპარეზადაც იქცევა, რომელთა შორის, უპირველესად, სპარსეთ-ოსმალეთის, შემდეგ კი რუსეთ-სპარსეთის ომები უნდა დავასახელოთ. ეს არდებილის ფაიფურის კოლექციის შემდგომ ბედზეც აისახა: ჩინახანე გაიძარცვა, საგანძურის ნაწილი განადგურდა, ხოლო რისი გადარჩენაც მოხერხდა, დღეს ირანისა და მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმშია დაცული.

კოლექცია, რომელიც დღემდე ჩინური ფაიფურისა და, ზოგადად, კერამიკის მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს, დაკომპლექტებული იყო, უმეტესწილად, ჩინეთის მმართველი მონღოლური იუანისა (1271–1368 წწ.) და მინის დინასტიების (1368-1644 წწ.) მმართველობის პერიოდების ფაიფურის ჭურჭლით. ამ კოლექციის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება და სამეცნიერო კვლევა XX ს-ის დასაწყისიდან იწყება. ყველაზე ფუნდამენტურ ნაშრომად დღემდე რჩება ჯონ ალექსანდრე პოპის ნაშრომი – "Chinese Porcelain from the Ardebil Shrine", რომელიც პირველად 1956 წელს გამოიცა ვაშინგტონში. ამგვარ კვლევათა შორისაა 1981 წელს ჰონ კონგში გამოცემული იაპონელი მიცუგის გამოკვლევა – მეჩეთის კოლექციისა და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ "Chinese porcelain collections in the Near East – Topkapi and Ardebil" (three volume). 2009 წელს ბრიტანეთის მუზეუმი (ლონდონი) მასპინძლობდა სეფიან მბრძანებელ შაჰ-აბას პირველის ეპოქის ირანული ხელოვნების გამოფენას, რომელსაც მიეძღვნა შეილა კენბის სპეციალური გამოცემა – "Shah Abbas – The Remaiking of Iran". აღნიშნული პუბლიკაცია კიდევ ერთხელ და, ვრცლად გვიამბობს სეფიანური ირანის სახლგანთქმული მეჩეთისა და ჩინახანეს შესახებ. ამასთან, მკვლევარი პირველად კომენტარებითა და სრული სამეცნიერო აპარატით აქვეყნებს მეჩეთის სახელგანთქმული ფაიფურის შთამბეჭდავი მოცულობის ნაწილს, რომელიც დაცულია ირანის ნაციონალურ მუზეუმში. აქვე უნდა ითქვას, რომ, ზემოთ მითითებულ თანამედროვე ავტორთა ძიებების მიუხედავად, ჩინეხანეში დაცული ნივთების თავდაპირველი და სრული რაოდენობა დღემდე გაურკვეველია. მოლა ჯალალი, აბას პირველის დროინდელი ისტორიკოსი, რომელიც 1610-იან წლებში თავად ადევნებდა თვალს ოფიციალური ძღვნებს მეჩეთში, აღნიშნავს, რომ კოლექცია მოითვლის 1221 ნივთს, მაგრამ სიაში აღნუსხული აქვს მხოლოდ 1162. ჯონ ალექსანდრე პოპმა პირველმა გამოამზეურა კოლექცია 1956 წლის პუბლიკაციით. მან აღნუსხა 805 ერთეული [Pope J. A. 1956: 49], რომლის უდიდესი ნაწილი თეირანში გადაიტანეს (ამჟამად გამოფენილია ირანის ნაციონალურ მუზეუმში, ქ. თეირანში) და დაახლოებით მხოლოდ 4 ათეული ნივთი გამოიფინა ირანის სხვადასხვა ქალაქის მუზეუმში. აღსანიშნავია, რომ პოპისეულ დაანგარიშებას ადასტურებს შეილა კენბის მიერ 2009 წელს გამოცემული მონოგრაფია "Shah Abbas

– The Remaiking of Iran", სადაც ასევე დაზუსტებულია ინფორმაცია თავდაპირველი რაოდენობის, ანუ ფაიფურის 805 ნივთის ამჟამინდელ ადგილმდებარეობაზე: სეფიანთა დაცემისა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVIII-XIX სს-ის განმავლობაში მიმდინარე ცნობილი საომარი მოვლენების შედეგად, რასაც ქ.არდებილის მნიშვნელობის დაქვეითებაც მოჰყვა, მთლიანად არდებილის მეჩეთმა და მათ შორის, ჩინახანეს ფაიფურის საგანძურმაც მრავალგზისი რბევა განიცადა. შეილა ქენბის ზემოთ ხსენებული ნაშრომი გვაწვდის საინტერესო ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 1827 წელს რუსეთის არმიის მიერ არდებილის ოკუპაციას მოჰყვა მეჩეთის ჩინახანესა და ბიბლიოთეკის გაძარცვა. „ბევრი შესანიშნავი ნიმუში ხელოვნებისა" გადაგზავნეს თბილისში, საიდანაც ის მოგვიანებით პეტერბურგში, ერმიტაჟის მუზეუმში, გადაიტანეს [Canby Sh. R. 2009: 126].

ირანის სამეფო ძლიერების დაქვეითებისა და იმავე საომარი ოპერაციების შემდგომ, არდებილის ჩინახანეს ფაიფურის უმდიდრესი კოლექციის მფლობელთა შორის აღმოჩნდა თოფ-ქაფის მუზეუმიც (სტამბული, თურქეთი). როგორც ცნობილია, თოფ-ქაფიში ჩინახანეს საგანძურის ყველაზე დიდი ნაწილია დაცული. საგანძურის უდიდესი ნაწილი გამოქვეყნებულია 2001 წელს სტამბულში გამოცემულ კატალოგში – "Chinese Treasures in Istanbul". თუმცა, აღსანიშნავია, რომ კატალოგში შესული ნივთების ანოტაციებში არსადაა მითითებული წარმომავლობა – არდებილის ჩინახანე. ასევე ცნობილია ისიც, რომ აღნიშნული კოლექციის იდენტიფიცირება, სრული სამეცნიერო კვლევა და ჩართვა საერთაშორისო სამეცნიერო საძიებო სისტემაში ჯერ არ განხორციელებულა.

ჩვენს ხელთ არსებული მწირი სამეცნიერო წყაროების შეჯერებით გაირკვა, რომ ჩინახანეს ფაიფურის კოლექციის ნივთების ამჟამინდელ მფლობელთა შორისაა ევროპისა და ამერიკის რამდენიმე მუზეუმი [Rostiashvili N. 2008: 253].

2008 წელს ჩვენ, როგორც ქართულ, ისე უცხოურ სამეცნიერო კრებულებში გამოვაქვეყნეთ ინფორმაცია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლურ კოლექციაში დაცულ ორ, სელადონისა (სხმ/აღ. №1124) და კობალტით მოხატულ და ხუფიან ლარნაკებზე (სხმ/აღ. №998), რომელთა დამღები და მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები ადასტურებდა, რომ ნივთები არდებილის ჩინახანეს საგანძურიდან იყო [როსტიაშვილი ნ. 2008; Rostiashvili N. 2008]. პუბლიკაციებში საგანგებოდ მივუთითეთ, რომ საქართველო არდებილის ფაიფურის მფლობელთა შორის არ სახელდებოდა ჩვენს ხელთ არსებულ არც ერთ წყაროში. ცხადია, ინფორმაციას ჩვენს ნივთებზე არ ფლობდა არც პოპი და არც ერთი ის მკვლევარი, რომელთაც სხვადასხვა დროს შეხება ჰქონდათ ჩინახანესთან. ნივთები რომ ნამდვილად ჩინახანეს საკუთრებაა, დასტურდება ორივე ლარნაკზე არსებული დამღით: *„ბანდე -იე ველაიათ აბბას ბარ ასთანე იე შაჰ სეფი ვაკფ ნამუდ" – „სიწმინდის ხელმწიფის მონამ აბასმა შაჰ სეფის ზღურბლს ვაკფად შესწირა"* (ტექსტი წაიკითხა და განმარტა პროფესორმა გ. ბერაძემ). დამღები, რომელიც ამოტვიფრულია და ჩაწერილია მართკუთხა კარტუშში, განთავსებულია ჭურჭლის ტანზე, ქვედა მესამედში. ის გვამცნობს, რომ

ორივე ნივთი სეფიანი მმართველის – შაჰ აბას პირველის ვაკფია არდებილის საკულტო კომპლექსისათვის.

სელადონის ლარნაკი (სხმ/აღ. №1124; H-23,5 სმ. ტანის გარშემოწერილობა –114 სმ) ვიწრო, დაბალი ყელით, ბრტყელი ძირითა და განიერი, ძირისაკენ დავიწროებული მუცლით, ღია მწვანე ტონალობის სელადონის ტიპს განეკუთვნება (სურ.1). ესაა მონოქრომული, სქელკედლიანი ფაიფური, რომელიც ჩინეთში უკვე X ს-დან იწარმოება, თუმცა, განსაკუთრებულ სიმაღლეზე ადის იუანის მონღოლური დინასტიის ბატონობის დროს.

ჩინური ფაიფურის გავრცელებულ ტიპს განეკუთვნება ლარნაკი (სურ.2) კობალტის მოხატულობითა (სხმ/აღ. № 998; H – 34,5 სმ. ტანის გარშემოწერილობა – 116 სმ) და ხუფით (H – 10 სმ. პირის გარშემოწერილობა – 48,5 სმ) ლარნაკის ყელს შემოუყვება ტალღოვანი ორნამენტი. დეკორი ჭურჭლის ტანზე რეგისტრებადაა დაყოფილი. ზედა რეგისტრი წარმოგვიდგენს კარტუშებს ფრინველთა გამოსახულებებით, ხოლო კარტუშებს შორის – სოკო ჩჟი-ს სტილიზებულ მოტივებს. ლარნაკის ცენტრალური რეგისტრი მხატვრული დეკორის კომპოზიციური ცენტრია და მასზე წარმოდგენილია ფანტასტიკური თუ ნახევრადფანტასტიკური ცხოველ-ფრინველები განსხვავებული რაკურსებით. ლარნაკსა და ხუფს ერთი საინვენტარო ნომერი აქვთ, თუმცა, 2008 წლის პუბლიკაციაში ჩვენ მივუთითებდით, რომ, შესრულების ტექნიკისა თუ მხატვრული დეკორის მიხედვით, ისინი განსხვავდებიან და, სავარაუდოდ, ხუფი სრულიად სხვა ლარნაკის კუთვნილებაა. ჩვენ გამოვაქვეყნეთ ხუფზე ამოტვიფრული წარწერაც: აბრევიატურა სამი ასო-ნიშნით– სა’დ (ص), ფა’ (ف) და ‘ეინ (ع). (წაიკითხეს მუზეუმის აღმოსავლური კოლექციების კურატორმა მ. ფრიდმანი-დგებუაძემ და პროფ. გ. ბერაძემ).

ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევისა და საარქივო მასალის მოძიების შედეგად ბოლო პერიოდში მოვიპოვეთ დამატებითი, ახალი და, ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია აღნიშნული ნივთების შესახებ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელ მარინე კეცხოველს. კვლევის პირველი ეტაპისთვის მოვიძიეთ ძველი საინვენტარო ნომრები ორი ლარნაკისა და ხუფისა და გავარკვიეთ მათი საერთო წარმომავლობა. როგორც ცნობილია, სამივე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში წინამორბედი – კავკასიის მუზეუმიდანაა შემოსული. კავკასიის მუზეუმის ისტორია 1852 წლიდან იწყება და არსებობის განმავლობაში (1919 წლამდე) უმნიშნელოვანესი კულტურული ღონისძიებები განახორციელა [ჩხაიძე გ. 2003: 342]. ძველი, წილადური, საინვენტარო ნომრები ორივე ლარნაკზე მიგვანიშნებს, რომ ექსპონატები კავკასიის მუზეუმის საკუთრება იყო. ცნობილია, რომ კავკასიის მუზეუმი ინტენსიურ შემგროვებლობით საქმიანობას ეწეოდა და ახორციელებდა სამეცნიერო მივლინებებს სხვადასხვა ქვეყანაში, პრიორიტეტულად, ირანში, სადაც საომარ ოპერაციათა კვალდაკვალ გროვდებოდა და კავკასიის მუზეუმსა და ხშირად პეტერბურგშიც იგზავნებოდა უნიკალური მხატვრული ძეგლები.

კავკასიის მუზეუმის ფონდები მნიშვნელოვნად გაამდიდრა 1903-1918 წლებში მუზეუმის დირექტორის, პოლკოვნიკ ალექსანდრე კაზნაკოვის,

მოღვაწეობამ. მისი თაოსნობით 1910-18 წლებში განხორციელდა ნაყოფიერი არქეოლოგიური ექსპედიციები ირანის სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის არდებილშიც, რის შედეგად მოიპოვეს და საქართველოში გადმოიტანეს ჩვენთვის საინტერესო საკვლევი მასალა. რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრის, ისტორიკოსისა და ბუნებისმეტყველის, აღმოსავლეთმცოდნის, არქეოლოგისა და ეთნოგრაფის, ალ. კაზნაკოვის დამსახურებაა მუზეუმის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ისტორიული, ბოტანიკური, ზოოლოგიური, და გეოლოგიური კოლექციების შევსება-გამდიდრება. მისი ძალისხმევით კავკასიის მუზეუმი გამდიდრდა იმ ძვირფასი ნივთებით, რომლებიც ცნობილია ახალგორის განძის სახელწოდებით. ტიბეტური ხელოვნების ნიმუშთა საკუთარი კოლექციაც მან მუზეუმს უსახსოვრა. მრავალ სხვა დამსახურებასთან ერთად, სწორედ მისი ინიციატივაა მუზეუმში შემოღებული და დამკვიდრებული ტრადიცია – შემოსული ნივთების ზუსტი აღრიცხვა (მანამდე არსებობდა შემოსავალ-გასავლის ჟურნალი) და ფონდების საინვენტარო წიგნის წარმოება [http://www.nplg.gov.ge].

ჩვენი ეჭვი, რომ არდებილის ჩინახანედან, დამღიანი ლარნაკების გარდა, სხვა ნივთებიც შეიძლება წამოეღოთ თბილისში, უკანასკნელ პერიოდში მოპოვებულმა სწორედ კაზნაკოვისეულმა საინვენტარო წიგნებმა – აქამდე უცნობმა საარქივო მასალამ გაამყარა. მათ მივაკვლიეთ საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური დეპარტამენტის საცავებში. არქეოლოგიის განყოფილების 1910 წლით დათარიღებულ საინვენტარო წიგნში, პირველივე გვერდზე, თარიღით – 22.01.1910, გაკეთებულია ჩანაწერი, რომელიც გვამცნობს, რომ კაზნაკოვსა და შელკოვნიკოვს განუხორციელებიათ ექსპედიცია ქ. არდებილში. არქეოლოგ შელკოვნიკოვის გვარი მუზეუმის არქივებში მრავალგზის გვხვდება. გამორჩევით ნაყოფიერი იყო მისი არქეოლოგიური მოღვაწეობა ირანში, რაც დოკუმენტურად და მეცნიერულადაა შესწავლილი და დასაბუთებული [ჩხაიძე გ. 2003: 342] .

გარდა ამ მოკლე ინფორმაციისა არდებილში განხორციელებული ექსპედიციის შესახებ, 1910 წლის საინვენტარო წიგნში სხვა დამატებითი განმარტებები არ გვხვდება. სამაგიეროდ, აღნიშნული ექსპედიციის თემას განავრცობს 1918-1919 წლის საინვენვენტარო წიგნი, რომელშიც ჩვენი კვლევისათვის უმნიშვნელოვანეს, შეიძლება ითქვას, საკვანძო მნიშვნელობის ცნობებს წავაწყდით. 1918 წლის 13 მარტითაა დათარიღებული ჩანაწერი, რომელიც გვამცნობს, რომ მუზეუმის ძველი კოლექციიდან (რომლებიც არ იყო შეტანილი საინვენტარო წიგნებში) ნივთები სწორედ 1918 წელს გატარდა, აღიწერა და ანაზომებითურთ ჩაიწერა არქეოლოგიური განყოფილების 1918-1919 წლის საინვენტარო წიგნში (№№1-18). სწორედ აქ, ამ ისტორიულ-საარქივო დოკუმენტში, ჩამოთვლილია იმ ფაიფურის ჭურჭლის სრული სია, რომელიც კაზნაკოვისა და შელკოვნიკოვის ექსპედიციამ არდებილის მეჩეთის ჩინახანედან 1910 წელს წამოიღო. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, დამღიანი, სელადონისა და კობალტით მოხატული ლარნაკების გარდა, არდებილის კომპლექსიდან წამოიღეს კიდევ ორი, კობალტით მოხატული ლარნაკი (სხმ/აღ. № 1049 და სხმ/აღ. № 693)

ლარნაკი (სურ. 3), კობალტის ჭიქურქვეშა მოხატვით, გუანის ფორ-

მისაა (სხმ/აღ. № 1049; H – 34,5სმ. ტანის გარშემოწერილობა – 142 სმ.) მხატვრული დეკორი დაყოფილია სამ რეგისტრად. ჭურჭლის ძირზე წარმოდგენილია ვერტიკალური ზოლებითა და სტილიზებული მცენარეული ორნამენტით შედგენილი არშია. ჭურჭლის ცენტრალური არე წარმოგვიდგენს მფრინავი ურჩხულების (დრაკონი) გამოსახულებებს ე.წ. ჩინური ღრუბლებისა და აბსტრაქტული ორნამენტული მოტივების ფონზე. ზედა, მესამე, ორნამენტული რეგისტრი წარმოდგენილია გეომეტრიული ფორმებით სრულად შევსებულ არეზე, ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაშორებულ კარტუშებში ჩაწერილი ყვავილებითა და მათ შორის ლომის თავების რელიეფური გამოსახულებებით. ჭურჭლის პირზე ლითონის ორნამენტული ვარაყი სპარსული, კერძოდ, ყაჯართა პერიოდის მხატვრული დანამატია.

გუანის ფორმისაა მეორე ლარნაკიც (სხმ/აღ. № 693; H – 35,5 სმ. ტანის გარშემოწერილობა – 118 სმ.), ყაჯარული პერიოდის ლითონის ხუფით, ყელზე ლითონის ორნამენტული ვარაყით, კობალტის ჭიქურქვეშა მოხატულობით (სურ.4). მხატვრული დეკორი სამ რეგისტრადაა დაყოფილი: ცენტრში, დიდი ზომის ოთხკუთხა კარტუშებში, ჩაწერილია სტილიზებული მცენარეული მოტივები. კარტუშებს შორის, დაშტრიხულ ფონზე, გამოსახულია სტილიზებული ყვავილები. ლარნაკის ქვედა რეგისტრში, სტილიზებულ პეიზაჟურ ფონზე, გამოსახულია მრბოლავი ცხენი *ხაიმა* – ზღვის მითოლოგიური ცხენი, რომლის მხატვრული სახე მინის დინასტიის პერიოდის ხელოვნების მონაპოვარია [Кравцова М. 2004: 316-321]. ლარნაკის ზედა, მესამე რეგისტრში, მომცრო კარტუშებია ყვავილებითა და მათ შორის სტილიზებული სოკო *ჩჟის* გამოსახულებებით დაშტრიხულ ფონზე.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ საინვენტარო წიგნში აღწერილობებთან ერთად მოცემული იყო ამ ნივთების ძალზე ზუსტი და დეტალიზებული ფერადი ჩანახატები (სურ. 5). გადავხედეთ რა კაზნაკოვისეულ დავთრებს, ერთ საინტერესო გარემოებას მივაქციეთ ყურადღება: კერძოდ, დავთრებში ჩახატული იყო ზოგიერთი ექსპონატი. ჩვენი დაკვირვებით, ეს სწორედ ის ექსპონატებია, რომელთა მნიშვნელობა იმთავითვე ცნობილი იყო ექსპედიციის წევრებისა და არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლებისთვის.

ამჟამად ეს ორი ლარნაკი, ისევე როგორც დამღიანი ლარნაკები, დაცულია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლურ საცავებში. ყველა ექსპონატი, საინვენტარო წიგნების მიხედვით, ჩვენს საცავებში სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმიდანაა გადმოცემული. ამგვარად, სახეზეა 4 ლარნაკით წარმოდგენილი ჩინური ფაიფურის ჭურჭლის ჯგუფი ჩინახანედან. კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ სახელგანთქმული საცავის, ასე ვთქვათ, თბილისური ჯგუფის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა არც პოპი და არც ერთი ის მკვლევარი, რომელთაც სხვადასხვა დროს შეხება ჰქონდათ კოლექციასთან.

და ბოლოს, ჩვენი კვლევის კიდევ ერთი სიახლე: როგორც ცნობილია, ჩინახანეს საგანძური წარმოდგენილი იყო, უმეტესწილად, ჩინეთის მმართველი მონღოლური დინასტიის – იუანის (1271–1368 წწ.) და მინის

დინასტიის (1368-1644 წწ.) მმართველობის ხანის ფაიფურის ჭურჭლით. ეს ჩინური ფაიფურწარმოების ნამდვილი ოქროს ხანაა. სწორედ ამიტომაა აღიარებული სეფიანთა ეს კოლექცია უმდიდრესად და ფასეულად, რომელმაც ჩინური ფაიფურწარმოების პირველხარისხოვანი ძეგლები შემოგვინახა.

კვლევის საწყის საფეხურზე, მოვიძიეთ რა პარალელური მასალა და წყაროები, შევეხეთ დამღებიანი ლარნაკების ატრიბუციის საკითხებს და დავათარიღეთ სელადონის ლარნაკი – XIV ს-ით – იუანის დინასტიის მმართველობის დროით, ხოლო კობალტისა – XV ს-ით, რაც მინის დინასტიის მმართველობის ხანას ემთხვევა. ამჯერად კი, კვლევის თანამედროვე ეტაპზე, მოვიძიეთ და დავამუშავეთ უახლესი სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა, რამაც საშუალება მოგვცა გადაგვეთარიღებინა სამუზეუმო ექსპონატები.

როგორც ცნობილია, იუანის მონღოლური დინასტიის მმართველობა ხელოვნებისა და კულტურის მკვლევართათვის ძალზე საინტერესოა. ეს პერიოდი დიდი ინოვაციებით, ტექნოლოგიურ – მხატვრული ხერხების განახლებითა და ინტერკულტურული პროცესებითაა აღსანიშნავი.

იუანის დინასტიის მმართველობის დროს ფაიფურწარმოებაში წამყვანი ადგილი უჭირავს სელადონის ჭურჭელს – მონოქრომულ, სქელკედლიან ფაიფურს მომწვანო შეფერილობის ჭიქურით, რომელიც თავისი მხატვრული ღირსებებით დღესაც გამოირჩევა სხვა ტიპის კერამიკისგან. სელადონი ჩინეთში უკვე X ს-დან იწარმოება, თუმცა, განსაკუთრებულ სიმაღლეზე ადის სწორედ მონღოლთა ბატონობის პერიოდში.

ჩვენი კვლევისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ირანის ნაციონალურ მუზეუმში დაცული არდებილის კოლექციის სელადონი, რომელიც სიმაღლითა და ფორმით ჩვენი ლარნაკის იდენტურია. ირანის ნაციონალური მუზეუმის სელადონს (სანვ. №9279), ჩვენისგან განსხვავებით, რელიეფური მონოქრომული მხატვრული დეკორი ამკობს, თუმცა მას, ჩვენი ლარნაკისაგან განსხვავებით, არ აქვს სეფიანთა დინასტიის ყველაზე სახელგანთქმული წარმომადგენელის – შაჰ-აბას პირველის დამღა (*„ბანდე-იე ველაიათ აბბას ბარ ასთანე იე შაჰ სეფი ვაკფ ნამუდ”).* მკვლევარმა შეილა ქენბიმ, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინ შეისწავლა ირანის ნაციონალური მუზეუმის ცნობილი კოლექცია, დაათარიღა სელადონის ჭურჭელი იუნის დინასტიის მმართველობის ეპოქით. აღსანიშნავია, რომ ეს ლარნაკი 1956 წელს გამოაქვეყნა პოპმაც (№29.654) [Canby Sh. R.2009:158 ; Pope J. A. 1956:157]. აქვე დავსძენთ, რომ, პოპის კვლევის მიხედვით, არდებილის გადარჩენილი კოლექციის 805 ნივთს შორის, მხოლოდ 58 ნივთია სელადონისა, რაც თავისთავად უნიკალურს ხდის ჩვენი მუზეუმის კუთვნილ სელადონის ლარნაკს.

მოძიებულ პარალელურ მასალაზე დაყრდნობით (იხ. პარიზის აღმოსავლური ხელოვნების ნაციონალური მუზეუმის, იგივე გიუმეს მუზეუმის სელადონის ჭურჭელი) [http://www.guimet.fr], უპირველესად, ტექნიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ჩვენი კოლექციის სელადონის ლარნაკი, ნაცვლად XIV ს-ისა, უნდა დათარიღდეს XIII ს-ით (იუანის დინასტიის მმართველობის ხანა), ვინაიდან, ძალზე ნაზი, ღია მწვანე ჭიქურით, ის

განეკუთვნება მონოქრომების იშვიათსა და ადრეულ ჯგუფს, რომელიც სწორედ XIII ს-ში იწარმოებოდა და შთაგონებული იყო უფრო ადრეული – სუნის დინასტიის (960-1279 წწ.) დროინდელი ხელოვნების ტრადიციებით.

იუანის მმართველობის ხანის მონაპოვარია კობალტით მოხატული კერამიკის გავრცელებაც. კობალტი, ძვირადღირებული მინერალი, რომლის მთავარი ექსპორტიორი შუა საუკუნეებში ირანი იყო, თანის დინასტიის (618-907 წწ.) პერიოდშიც არის ცნობილი ჩინელებისათვის, თუმცა მასიურად კობალტი XIV ს-ის დასაწყისიდან ჩნდება, როდესაც თანამედროვე ლიტერატურაში „ფაიფურის დედაქალაქად" მონათლული ჩინეთის პროვინცია ძინდეჟენის სახელოსნოები ამზადებენ კობალტით მოხატულ ჭურჭელს. ის დახვეწილი შესრულებით, ორიგინალური მხატვრული დეკორითა და სიმბოლიკით, წარმოუდგენლად პოპულარულია როგორც ევროპის სახელმწიფოებში, ისე მთელ აღმოსავლეთში.

სელადონის, როგორც მონოქრომის მხატვრული დეკორი, უმთავრესად, მცენარეული და გეომეტრიული მოტივებით იქმნებოდა. მასთან შედარებით, უფრო მრავალფეროვანი იყო კობალტის მოხატულობა ფაიფურის თეთრ ზედაპირზე. XIII-XIV სს-ის ლურჯ-თეთრი ფაიფური სტილიზებულ მცენარეულ მოტივებთან ერთად ფანტასტიკური თუ ნახევრადფანტასტიკური ზოომორფული პერსონაჟებით, რეალური თუ ირეალური პეიზაჟებითა და ჟანრული კომპოზიციებითაა დატვირთული. ამ ტიპის კერამიკა ახალ სიმაღლეზე ადის მომდევნო – მინის დინასტიის მმართველობის პერიოდში. სახელგანთქმული ჩინური ფენიქსები, მრბოლავი ცხენები, ურჩხულები (დრაკონები), ასევე ულამაზესი ყვავილები, რომელთა უამრავი ნაირსახეობა სწორედ იუანის დინასტიის ხანის სიახლეა, მინის დინასტიის მმართველობის დროის ფაიფურის ჭურჭელზე ტექნიკურად გართულებული ნახატითა და დახვეწილი ფერადოვანი გრადაციებით გამოირჩევა. კობალტით მოხატული ჭურჭელი, როგორც იუანის, ისე მინის დინასტიების მმართველობის პერიოდში, უმეტესწილად, დიდი ზომის ქოთნებითა (ე.წ. გუან) და ლარნაკებით, ასევე დიდი ზომის, ფესტონურკიდეებიანი თეფშებითა და თასებითაა წარმოდგენილი.

ჩვენ მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული ლარნაკი შაჰ-აბას პირველის დამღით, ისევე როგორც ლარნაკი სხმ/აღ. №1049, რომელსაც პირველად ვაქვეყნებთ როგორც არდებილის ჩინახანეს საგანძურის ნაწილს, ჩვენი აზრით, თარიღდება XIV- XV სს-ის მიჯნით, რაც იუანის დინასტიის მმართველობის დასასრულსა და მინის დინასტიის მმართველობის დასაწყისს ემთხვევა. ორივე ლარნაკი (გუან) სტილისტურად ახლოსაა და იმეორებს როგორც იუანის, ისე მინის დინასტიათა დროინდელი ფაიფურწარმოების საუკეთესო ტრადიციებს. როგორც აღვნიშნეთ, იუანის დინასტიის ეპოქის მხატვრული ტრადიციები მინის დინასტიის მმართველობის დროსაც წარმატებით აგრძელებს არსებობას და ამის დადასტურებაა სწორედ ჩვენი კოლექციის ჭურჭელი. ლარნაკებზე (სხმ/აღ. №№998 და 1049) წარმოდგენილი ურჩხულები გვხვდება იუანის დინასტიის პერიოდით დათარიღებულ გუანზე, რომელიც 2013 წელს სოტბის აუქციონზე გაიყიდა [http://www.alaintruong.com]. სხვათა შორის, აღნიშნულ ნივთს, მსგავსად ჩვენი ლარნაკისა, ამშვენებს ცხოველის თავების რელიეფური გამოსახულებე-

ბი ჭურჭლის ტანის ზედა მეოთხედში, რაც იუანის ხანის ფაიფურის დამახასიათებელი ნიშანია. რაც შეეხება ურჩხულის გამოსახულებას ჭურჭლის ტანზე, ის მომდევნო საუკუნეებშიც არსებობს და წარმოდგენილია თოფ-ქაფის კოლექციის XV ს-ის ფაიფურის ჭურჭელზე (ფიალა. საინვ. № TKS 15/1381, ასევე ლარნაკ „მეიპინსა", (საინვ. №. TKS 15/1366 [Chinese Treasure in Istanbul. 2001: 68]) და ერმიტაჟის კოლექციის ფიალაზე (საინვ. № ЛК-2731), რომელიც XVI ს-ით თარიღდება [Arapova T. 1977: 50].

აღსანიშნავია, რომ იუანის დინასტიის მმართველობის ხანის ჭურჭელს, განსაკუთრებით, გუანის ტიპის ლარნაკებს, ახასიათებს ორნამენტული დეკორის რეგისტრებად დანაწევრება. ძირითადად გვხვდება სამრეგისტრიანი დეკორი, სადაც ზედა – ჭურჭლის ყელის მიმდებარე და ქვედა, ანუ ჭურჭლის ძირის ორნამენტული არშია, როგორც წესი, გეომეტრიული და სტილიზებული მცენარეული მოტივებითაა შედგენილი, ხოლო ცენტრში ხშირად წარმოდგენილია ფანტასტიკური და ნახევრადფანტასტიკური მითოლოგიური პერსონაჟები და ირეალური სიუჟეტები. სამრეგისტრიანი დეკორი პოპულარულია მინის დინასტიის ეპოქაშიც, თუმცა, განსხვავებით იუანის დინასტიის დროისგან, მინის ჭურჭელზე ხშირია ანთროპომორფული კომპოზიციები, ჩინელები ტრადიციული სამოსით, ჟანრული სცენები და სხვ. /შდრ. გუანი. XVI ს. მინის დინასტია. საინვ. № ЛК-434. ერმიტაჟის კოლექცია; გუანი. XVI ს. მინის დინასტია. საინვ. № ЛК-359. ერმიტაჟის კოლექცია. [Arapova T. 1977: 38, 43].

ვფიქრობთ, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ეს ორი უნიკალური ლარნაკი იუანისა და ადრეული მინის დინასტიების მმართველობის ეპოქათა ფაიფურწარმოების საუკეთესო ტრადიციებითაა შესრულებული და სწორედ ამ ნიშნით დაიმკვიდრეს მათ ადგილი ჩინეხანეშიც.

პირველად ქვეყნდება კობალტით მოხატული მესამე ლარნაკი – სხმ/აღ. № 693, რომელიც, ვფიქრობთ, მინის დინასტიის დროინდელი ფაიფურწარმოების კლასიკური ნიმუშია, სამ რეგისტრად წარმოდგენილი ორნამენტული დეკორით, პიონებისა და სოკო *ჩჟი*-ს სტილიზებული მოტივებით, დიდი ზომის კარტუშებით, რომლებშიც ჩაწერილია მცენარეული მოტივები და, რაც მთავარია სახასიათო მითოლოგიური პერსონაჟის – ზღვის ცხენის გამოსახულებით, რომლის მხატვრული სახე მინის დინასტიის პერიოდის ხელოვნების მონაპოვარია და ადრინდელ მხატვრულ ნიმუშებზე არ გვხვდება [Кравцова М. Б. 2004: 960] /შდრ. ჭურჭელი ზღვის ცხენის გამოსახულებით: ფიალა. XVI ს. მინის დინასტიის მმართველობის პერიოდი. საინვ. № ЛК-352; დოქი. XVI ს. მინის დინასტიის მმართველობის პერიოდი. საინვ. № ЛК-355. ორივე ერმიტაჟის კოლექცია [Arapova T. 1977: 49-50].

2014 წლის იანვარში სოტბის აუქციონზე დარეგისტრირდა (ლოტი № 237) ჩვენი ლარნაკის მსგავსი, რომელიც ექსპერტთა მიერ ცალსახად მინის დინასტიის მმართველობის დროით, დაახლოებით 1600 წლითაა დათარიღებული. [http://www.sothebys.com].

როგორც ცნობილია, 2007 წელს მალაიზიის ნახევარკუნძულთან, ზღვაში, არქეოლოგებმა ჩაძირული გემის ნაშთები ამოიღეს, სადაც უნიკალური საგანძური – ჩინური ფაიფურის ჭურჭლის 10 ათასზე მეტი ნიმუში აღმოჩნდა. გემი, როგორც კვლევებით დგინდება, 1573-1620 წლებს

შორის უნდა ჩაძირულიყო. მასზე აღმოჩენილი საგანძური მინის დინასტიის მმართველობის ეპოქას განეკუთვნება და ექსპორტისთვის იყო განკუთვნილი. აღმოჩენილი ჭურჭლის დიდი ნაწილი მალაიზიის მსხვილ მუზეუმებში გადანაწილდა. ნივთებს შორისაა ჩვენი ლარნაკის მსგავსი, ასევე გუანის ტიპის ხუფიანი ლარნაკი, რომელიც 2007 წლის აღმოჩენისადმი მიძღვნილი ნაშრომის – "The Wanli Shipwreck and its Ceramic Cargo" გარეკანსა და შესავალ წერილში, პირველ ილუსტრაციად გვხვდება [http://www.mingwrecks.com].

აქვე უნდა შევეხოთ ჭურჭლის ხუფებსაც. ლარნაკი სხმ/აღ. № 998 საინვენტარო წიგნებში, ისევე როგორც კაზნაკოვისეულ დავთრებში, შესულია ფაიფურის ხუფით, ხოლო ლარნაკი სხმ/აღ. № 693 – ლითონის ხუფით. ლითონის ხუფი, მსგავსად ლარნაკ სხმ/აღ. № 693-ის პირზე ლითონის ორნამენტირებული არშიისა, ყაჯარული პერიოდის დანამატია. ეს მხატვრული დეტალი ხშირად გვხვდება სხვადასხვა ეპოქის კერამიკულ ჭურჭელზე. ის ყაჯართა ხანის ხელოვნების ერთგვარი სავიზიტო ბარათია, ისევე როგორც მაღალი, გრავირებული და ფიგურატიული ორნამენტიკით მდიდრულად შემკული ლითონის ხუფი, რომლის იდენტური ნივთები მრავლადაა დაცული საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლურ საცავებში.

ლარნაკი სხმ/აღ. № 998 კაზნაკოვის დროინდელ საინვენტარო წიგნში ჩახატულია ფაიფურის ხუფთან ერთად, თუმცა, ის, მხატვრული დეკორის ელემენტებით და, რაც მთავარია, კობალტის მუქი შეფერილობით, სრულიად განსხვავდება ლარნაკისაგან. ვფიქრობთ, რომ ხუფი შეცდომით მიაკუთვნეს ლარნაკს. ჩვენი აზრით, ხუფი ლარნაკ სხმ/აღ. № 693-ის ნაწილია, ზომების, მუქი კობალტისა და მხატვრული სახის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ მალაიზიის ლარნაკი, რომელიც ჩვენი გუანის ატრიბუციისთვის მოვიშველიეთ, მსგავსი რადიალური ხაზებით შემკული მაღალკოპიანი ხუფითაა წარმოდგენილი. ასეთი ხუფი ხშირად ამკობს მინის პერიოდის გუანის ტიპის ჭურჭელს /შდრ. მეტროპოლიტენ მუზეუმის კოლექციის ადრეული XVI ს-ით დათარიღებული გუანის ხუფი [http://www.metmuseum.org] და Bonhams-ის აუქციონზე 2009 წელს გაყიდული გუანის ლარნაკის ხუფი, რომელიც, მართალია, დეკორით განსხვავდება, თუმცა, ფორმითა და დამახასიათებელი კოპით ჩვენი ლარნაკის ხუფის იდენტურია [http://elogedelart.canalblog.com].

ამრიგად, კვლევის ამ ეტაპზე წარმოვადგინეთ უცნობი ნივთები არდებილის კოლექციიდან, ასევე საქართველოს ეროვნული მუზეუმის უცნობი საარქივო მასალა. ჩვენი კოლექცია, მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, ძალზე საინტერესოა: ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შაჰ-აბას პირველის დამღიანი ლარნაკები, მათ შორის, ერთი სელადონის ლარნაკი, განეკუთვნება ჩინახანეს იშვიათ ნივთებს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ჩვენს ექსპონატებს. ვფიქრობთ, ჩინახანეს სახელგანთქმული ფაიფურის ეს ნიმუშები, რომლის არსებობის შესახებ არაფერია ცნობილი არდებილის მკვლევართათვის, საგულისხმო მასალაა კოლექციის თვადაპირველი და სრული სურათის აღსადგენად.

Natia Demurishvili

The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: natia2906@yahoo.com

Chīnī-khāneh Porcelain of Ardabil in Georgian National Museum (Revisited)

Summary

In the Oriental Art Department of the Shalva Amiranashvili Museumof of Fine Arts (the Georgian National Museum) is a large collection of fine Chinese porcelain which includes four high quality bowls dating back to medieval times. The pieces have great artistic and historical value and deserve special consideration.

All pieces, now preserved in the Georgian National Museum, were previously housed in the Caucasian Museum, which was established in 1852 and was active until 1919. An old inventory number on all bowls show that the items belonged to the Caucasian Museum until 1919. It is known that the museum conducted intensive scientific missions in Iran with the aim of increasing its collections. The museum was particularly enriched during 1910-1918 years, thanks to missions organized by the director Alexander Kaznakov. It was during that period of time that the most significant and interesting materials reflecting Iranian culture were acquired, which are now preserved in the Georgian National Museum. In the Georgian National Museum archival materials are stored where some reports about staff's missions in Iran have been preserved. According to those reports, the mission which was organized by the archaeological department and was headed by archaeologists A. Kaznakov and B. Shelkovnikov obtained these four bowls in the famous Ardabil shrine in 1910. In the inventory book of the museum there are wonderful sketches of these Chinese bowls. They were registered in the inventory book later in 1918 year.

ბიბლიოგრაფია

როსტიაშვილი ნ. 2003: ჩინური ფაიფურის კოლექცია. *ნარკვევები.* ტ. VIII. გვ. 92-99. თბილისი (რედ-ბი: ნ. ლომოური, გ. მარსაგიშვილი).

როსტიაშვილი ნ. 2005: ირანისა და ჩინეთის ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობების ისტორიისათვის. *ნარკვევები.* ტ. X. გვ. 165-178. თბილისი (რედ-ბი: ნ. ლომოური, გ. მარსაგიშვილი).

როსტიაშვილი ნ. 2008: ორი ჩინური ლარნაკი არდებილის ჩინახანედან. *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და კავკასიის კვლევითი ცენტრი. პროფ. ნ. შენგელიასადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული.* გვ. 281-285. თბილისი (რედ. მ. მახარაძე).

ჩხაიძე გ. 2003: *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.* თბილისი.

Кравцова М. Б. 2004: *История искусства Китая. Учебное пособие. Ленинград.*

***Арапова* Т.В. 1977:** *Китайский фарфор в собрани Эрмитажа. Ленинград.*

Canby Sh. R.2009: *Shah Àbbas –the remaking of Iran, British Museum Press*. London.

Pope J.A. 1956: *Chinese Porcelain from Ardebil shrine*. Washington, D.C .

Chinese Treasure in Istanbul. 2001. Istanbul, Turkish Ministry of Foreign Affairs (ed. by Ause Ucok)

Rostiashvili N. 2008: Two Chinese bowls from Ardabil Chinachane. *Journal of Prsianate Studies.* vol. II. pp. 249-253. Boston (ed. Said Amir Arjomand).

http://www.metmuseum.org/collections/search-the-collections/52778?img=2 – მეტროპოლიტენ მუზეუმის ოფიციალური ვებ-გვერდი.

http://www.nplg.gov.ge/geo/kaznakov – მელქაძე ნ, მგალობლიშვილი ქ. 2013: ალექსანდრე კაზნაკოვი.

http://www.guimet.fr/fr/component/glossaire/?word=C%C3%A9ladon– გუმის მუზეუმის ოფიციალური ვებ-გვერდი.

http://www.alaintruong.com/archives/2013/10/28/28311506.html – Lain A, Ruong R. T; A Magnificent and rare blue and white "Dragon and Phoenix". jar, Yuan dinasty. 2013.

http://www.sothebys.com/content/sothebys/de/auctions/ecatalogue/2014/americana-vo-n09100/lot.17.html – სოტბის აუქციონი; lot N.237.

http://elogedelart.canalblog.com/archives/2009/07/12/14376473.html– A.Troung, *A Large blue and white porcelain jar (guan) with associated cover.* Ming dinasty.

http://www.mingwrecks.com/publications.html – მონოგრაფიის – "THE WANLI SHIPWRECK AND ITS CERAMIC CARGO" მოკლე ანოტაცია და ილუსტრაციები.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. სელადონის ლარნაკი

სურ. 2. ლარნაკი კობალტის მოხატულობით

სურ. 3. ლარნაკი კობალტის მოხატულობით

სურ. 4. ლარნაკი ლითონის ხუფით

სურ. 5. კავკასიის მუზეუმის საინვენტარო წიგნში დაცული ჩანახატები (საარქივო მასალა)

LLIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Celadon bowl

Fig. 2. Bowl with cobalt glazing painting

Fig. 3. Bowl with cobalt glaze painting

Fig. 4. Bowl with a metal lid

Fig. 5. Sketches preserved in the inventory book of the Caucasian museum (archieve materials)

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 412-430
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 412-430

ხელოვნებათმცოდნეობა

ნინო გიორგობიანი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: giorgobianinino@gmail.com

დადიანისეული კრეტსაბმელი

შუა საუკუნეების ქართულ ნაქარგობათა ნიმუშებს შორის თეოლოგიური შინაარსით დატვირთული და მრავალფიგურიანი კომპოზიციის დახვეწილი, მაღალმხატვრული გადაწყვეტით გამოირჩევა ე.წ. დადიანისეული კრეტსაბმელი, ანუ აღსავლის კარის ფარდა[1]. იგი ერთმანეთისგან მიჯნავს მართლმადიდებლური ტაძრის ორ საკრალურ სივრცეს – საკურთხეველს მთავარი ნაწილისგან. *კრეტსაბმელის* ბერძნული შესატყვისია — τό καταπέτασμα. ქართული ტერმინის დღევანდელი სახე კი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: კარედ – საბმელი → კრედსაბმელი → კრეტსაბმელი.

კომპოზიციის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ქსოვილებისა და ნაქარგობის ფონდში დაცული (სურ. 1) დადიანისეული კრეტსაბმელი (საინვ. სხმ/ნ № 3800). საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრატორმა მეგი ხუბულურმა 2007 წელს შეძლო ნახევრად დაშლილი ექსპონატის (სურ. 2) რესტავრაცია-კონსერვაცია. გამოიცვალა და გამაგრდა ფუძე ქსოვილი და სამუზეუმო სივრცეში კრეტსაბმელების სხვა ნიმუშებთან ერთად მან ახალი სიცოცხლე დაიწყო. დადიანისეული კრეტსაბმელი საგანგებო შესწავლის საგანი აქამდე არ გამხდარა. ამიტომ ეს წერილი მისი იკონოგრაფიულ-სახისმეტყველებითი კვლევის პირველი ცდა იქნება.

დადიანისეული კრეტსაბმელი წაგრძელებული მართკუთხა ფორმისაა (ზომა: 158 x 56 სმ). მისი კომპოზიცია სამი ნაწილისაგან შედგება: ცენტრალური – ოქრისფერ ხავერდზე ნაქარგისაგან, ასევე ფართო და ნაცრისფერი აბრეშუმის ქსოვილზე შესრულებული ორი შედარებით ვიწრო, გვერდითი, არეებისაგან. მათ ჩარჩოს სახით შემოსდევს საკმაოდ დაზიანებული ვიწრო ზოლი ფრაგმენტული საქტიტორო ასომთავრული წარწერით. წარწერა შემდეგნაირად იკითხება: *„ქ. ეჰა შენ ყოველთა ზედა მხედველისა ხილულისა და უხილავისა ხელმწიფედ მპყრობასა ღთისა მხდ () შენთა მონდობილმან და მოსავ(მა)ნ სიწმინდისა შეისმნ, ჩვენ დადიანმან ბატონმან და თანამეცხედრენმან ჩვენმან მარიამ, შევაკერვინეთ კრეტსაბმელი ესე. რათა მეოხ გვეყო დღესა მას განკითხვისასა”.* ზოგიერთ მკვლევართან [ბარათაშვილი გ., ბერელაშვილი ე... 2011: 172] წარწერაში მოხსენიებული ქტიტორი კაცია I დადიანსა (1704–1711 წწ.) და მის მესამე თანამეცხედრე მარიამთანაა გაიგივებული[2]. ქტიტორის წარმომავლობა

[1]სულხან-საბა ორბელიანსა და დ. ჩუბინაშვილთან ის კარის ფარდაგად იხსენიება [ორბელიანი ს.ს. 1966: 386; ჩუბინაშვილი დ. 1984: 629].

[2] ქტიტორის ვინაობისა და კრეტსაბმელის კუთვნილების დადგენა ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის

საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დადიანისეული კრეტსაბმელი მომგებლის მიერ XVIII ს-ის დასაწყისში სამეგრელოს რომელიმე ტაძრისათვის იყო შეწირული.

ოქრისფერი ხავერდისა და ნაცრისფერი აბრეშუმის ქსოვილზე ნამაგრი სითვის ტექნიკით ქარგვისას გამოყენებულია ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ზეზი და აბრეშუმის ძაფი. კრეტსაბმელის ძირითადი ნაწილი ნაქარგია ოქრომკედით, თევზიფხურის ტექნიკით, სახეები და ხელები – აბრეშუმის ძაფით. მხოლოდ წმ. იონას სახე და სხეულია ვერცხლმკედით შესრულებული.

დადიანისეული კრეტსაბმელის კომპოზიციის ცენტრს „ვედრება" მონიშნავს საყდარზე დაბრძანებული მაცხოვრის, ღმრთისმშობლისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის ფიგურებით. ვერტიკალზე გაშლილი ყველა დანარჩენი სცენა თუ ცალკეული ფიგურა ამ კომპოზიციის გარშემო ლაგდება და იკრიბება. მას ზემოდან ესაზღვრება ზეციურ ძალთა სამყოფელი. ქერუბიმებისა და სერაფიმების (სულ თოთხმეტი), მზისა და მთვარის (სულ ორი) გამოსახულებები რომბის ფორმის უჯრედებშია განაწილებული. ეს კომპოზიცია განსრულებულია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატით, რომელსაც ოთხი მთავარანგელოზი განადიდებს.

„ვედრების" ქვემოთ მაცხოვრის გენეალოგიური ხის – „ძირი იესეს" მრავალფიგურიანი და მრავალსიუჟეტიანი მხატვრული სახეა გაშლილი. ჰორიზონტალურად მწოლიარე იესეს წიაღიდან თარაზული და ვერტიკალური მიმართულებით რეგისტრის საზღვრებში გავრცობილი სტილიზებული ხე ამოიზრდება, რომლის ბუტკოებს წინასწარმეტყველთა და მეფეთა ფიგურები ამშვენებს. წმ. დავით მეფის, სოლომონის, ესაიასა და კიდევ სამი წინასწარმეტყველის გარემოცვაში შარავანდიანი ქალის ნახევარფიგურაა, რომელიც ეკლესიის სიმბოლოდ – სიონად შეიძლება მივიჩნიოთ. გამოსახულებები გამყოფი ზოლების გარეშე ორ რეგისტრად ნაწილდება. ორივეში ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული აღნაგობის ფიგურებს ვხედავთ. იესე ფლანკირებულია ორი მთავარანგელოზის ფიგურით, რომლებსაც მკერდის წინ ნებით შემართული აქვთ ხელები. „იესეს ხის" ქვედა ფრიზი ძველაღთქმისეულ სცენებს უჭირავს და დაზიანების გამო ფრაგმენტულად იკითხება: „ყორნის მიერ ელია წინასწარმეტყველის გამოკვება", „კიბე იაკობისა" და „იონა ვეშაპის მუცელში".

კრეტსაბმელის გვერდით არეებზე ვერტიკალურად, არათანაბარი ინტერვალების დაცვით, სვეტებივითაა აღმართული ცენტრისკენ მიმართული მიწიერი ეკლესიის წარმომადგენლები, განმანათლებლები, მღვდელმთავრები. სულ ცხრა სხვადასხვა ზომის ფიგურა, თავდაპირველი რაოდენობა კრეტსაბმელის ძლიერი დაზიანების გამო უცნობია. გვერდითი არეების ზედა კუთხეებში განაწილებულია მახარებლების სიმბოლოები: მარჯვნივ ადამიანი – მათე, მარცხნივ ხარი – ლუკა, ქვემოთ, სავარაუდოდ, დანარჩენი ორი მახარებლის სიმბოლო იქნებოდა.

დადიანისეული კრეტსაბმელის სიუჟეტის მრავალფეროვანი ქარგის

ფარგლებს სცდება და სამომავლოდ მისი იდენტიფიცირება იგეგმება. მ. ჯანაშვილი წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „შენთა მონდობილმან და მოსავ-ნ სიწმიდისა შენისანამ, ჩვენ დადიანმან ბატონმან და თანა მეცხედრემან ჩვენმან მარიამ, შევაკერვინეთ კრეტსაბმელი ესე, რათა მეოხ გვეყო დღესა მას განკითხვისასა. ქ. ეჰა შენ ყოვლთა ზედა მხედვლისა ხილულისა და უხილავისა ჴელმწიფედ მპყრობსა ღვთისა მხდ..." [Джанашвили М. 1914].

გამო ტაძრის სიწმინდე და სამშვენისი გაცილებით ღრმა, სიმბოლურ, დატვირთვას იძენს. მისი შინაარსის გარკვევა კრეტსაბმელის არსებით მნიშვნელობას გამოკვეთს ძველ აღთქმაში, ახალ აღთქმასა და ქრისტიანულ ხელოვნებაში და, იმავდროულად, ცხადყოფს მათ მჭიდრო შინაგან კავშირს.

საღმრთისმეტყველო საზრისის წარმოსაჩენად დადიანისეული კრეტსაბმელის იკონოგრაფიულ კვლევას ქრონოლოგიურად უადრესი მოვლენებიდან — ძველი აღთქმის ისტორიის ამსახველი სცენებიდან გავადევნებთ თვალს (სურ. 3). ისინი კრეტსაბმელის ცენტრალური ნაწილის ქვედა ფრიზს იკავებს და მარცხნიდან მარჯვნივ შემდეგნაირად ლაგდება: ყორნის მიერ წმ. ელია წინასწარმეტყველის გამოკვების სცენა — შემორჩენილია წმ. ელიას თავი, ხელი და ყორნის ფიგურა მთლიანად[3]. შუაში დარჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, ფრონტალური ფიგურა გაშლილი გრაგნილით ხელში მამამთავარი იაკობი უნდა იყოს. დაზიანების გამო მხოლოდ მასთან ზურგით დახრილი ანგელოზი იკითხება, რაც „იაკობის კიბის" სავარაუდო არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. მარჯვენა, ქვედა, კუთხეში კი წმ. იონა წინასწარმეტყველის ნახევარფიგურაა გრაგნილით ხელში ვეშაპის მუცელში. ზურგით დაყენებულ ფიგურას სახე 3/4-ით ზევით აქვს მიმართული. საინტერესო ბმა ჩანს ამ სცენებს შორის, რომელიც ოსტატმა ჩაიფიქრა და იმ საერთო იდეას მოარგო, რომელსაც ათვალსაჩინოებს კრეტსაბმელი მასზე მოცემული პროგრამით.

წმ. ელია წინასწარმეტყველის კომპოზიცია მესამე მეფეთა წიგნის შემდეგ მუხლს ასურათებს: *„და წარვიდა ელია ბრძანებითა უფლისათა, მივიდა და დაჯდა ნაღვარევსა ქორათისასა, პირისპირ იორდანესა. და ყორანნი მოართუმიდეს მას პურსა და ჴორცსა. განთიად — პურსა და ჴორცსა — მწუხრად, და ნაღვარევისა მისგან სუმიდა წყალსა".* (3 მეფ. 17, 5-6). მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლებით, წმ. ელია წინასწარმეტყველი მეორედ მოსვლის წინ ენუქთან ერთად გამოჩინდება: *„ესენი არიან ენუქ და ელია, რომელნი მოვიდნენ წინასწარმეტყველებად სამ წელ და ნახევარ"* [ანდრია კესარია-კაბადუკიელი. თარგმანება 11, 2. გვ. 36]. წმინდა წერილში კი მაცხოვარი წმ. იოანე ნათლისმცემელს რამდენჯერმე პირდაპირ ელიად სახელდებს: *„და უკუეთუ გნებავს შეწყნარების, იგი არს ელია, რომელი მომავალ არს"* (მათე 11, 14-15; მარკოზი IX, 11-13; ლუკა 1,17). ერთი მხრივ, წმ. იოანე ნათლისმცემლის ელიად სახელდება განპირობებულია მისი მამხილებელი ქადაგებით, მეორე მხრივ კი — წმ. იოანე ოქროპირის განმარტებით, მათი თანაგვარი სამსახურითა და ღვაწლით უფლის წინაშე: ორივე უფლის გზის განმამზადებელია: წმ. იოანე — უფლის პირველი მოსვლისა, წმ. ელია კი

[3] უჩვეულოა ამ სიუჟეტის კრეტსაბმელის პროგრამაში ჩართვა, რადგან არცერთ ჩვენთვის ცნობილ კრეტსაბმელზე ელიას სასწაულის ეს კონკრეტული სცენა არ ჩანს. ის დასტურდება სხვადასხვა დროის მონუმენტური მხატვრობის ქართულ და უცხოურ ძეგლებზე და ძველ და ახალაღთქმისეულ თემებთან ერთად წარმოაჩენს ერთიან საზრისს. იმავე სცენას ვხვდებით ტაბაკინში (XVI ს.), ჩრდილოეთ კედლის ქვედა რეგისტრში, ძველი აღთქმის სიუჟეტურ კომ-პოზიციებთან ერთად („აბრაამის მსხვერპლშეწირვა", „დანიელ წინასწარმეტყველი ლომთა ხაროში"); ათონის ლავრის სატრაპეზო (1502); მღვიმევის ღმრთისმშობლის ეკლესიის დასავ-ლეთ კედელზე XIII ს-ის 80-იანი წლების მხატვრული ფენიდან შემორჩენილი „ყორნის მიერ ელიას გამოკვების" სცენა „ფერისცვალების" კომპოზიციასთან ერთად ჩართულია XVI ს-ის მოხატულობის პროგრამაში [ხუსკივაძე ი. 2003: 222]. თევდორეწმინდის ტაძარში კი (XIII ს.) ეს კონკრეტული სცენა საკურთხევლის სარკმელს მოიცავს.

– მეორედ მოსვლის ჟამისა: *„ერთი ესე წინამორბედ იქმნა აწინდელისა ამის მოსლვისა ჩემისა და ერთი იგი მომავალ არს წინამორბედად მეორედ მოსვლისა"* [წმ. იოანე ოქროპირი. 1996: 261]. მაშასადამე, კრეტსაბმელის მოცემულ კომპოზიციაში ელიას გამოსახვა მაცხოვრის მეორედ მოსვლას, მისი გზის განმზადებას გულისხმობს.

კრეტსაბმელზე გამოსახული ძველაღთქმისეული მეორე სცენაა „იონა ვეშაპის მუცელში". იონას სამი დღე და ღამე ვეშაპის მუცელში ყოფნა წინასახეა მაცხოვრის დაფლვისა და მესამე დღეს აღდგომისა: *„რამეთუ ვითარცა იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე, ეგრეთ იყოს ძე კაცისაი გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე"* (მათე 12, 40). წმ. იონა წინასწარმეტყველის მთელი ცხოვრების იდეა ისაა, რომ ხსნა სინანულის გზით ღვთისაგან არა მარტო იუდეველებს, არამედ წარმართებსაც მიემადლათ. მოცემულ კრეტსაბმელზე იონას გამოსახვით ოსტატი უფლის ამქვეყნიურ მოღვაწეობას, მის აღდგომას გვახსენებს და სინანულისკენ მოგვიწოდებს, რადგან ახლოა მეორედ მოსვლის ჟამი, რომელსაც გზას ელია წინასწარმეტყველი განუმზადებს. ძლისპირებში ხშირად დასტურდება დედა ღმრთისმშობლის წმ. იონა წინასწარმეტყველთან სიმბოლური კავშირები. როგორც წინასწარმეტყველი არ გახრწნილა ვეშაპის მუცელში, ასევე ღვთისმშობელიც შობის შემდეგაც დარჩა ქალწულად. *„ცეცხლმან ღმრთეებისამან არა შეწუა საშოჲ შენი, უქორწინებელო დედაო ძისა ღმრთისაო, არამედ იონაჲს სახედ ეგე უხრწნელად და უვნებელად, ყოვლად უბიწოო"* [ნევმირებული ძილისპირნი. 1982: 177]. საინტერესოა ვეშაპისა და ქალწულის პარალელი, რომელიც ჰიმნოგრაფმა ასე წარმოგვიდგინა: *„ორთა მუცელთა ბუნებანი შეცვალნეს:ვეშაპისადაქალწულისამანდღეს,რამეთუპირველუხრწნელად დაჰმარხა მუცელმან ნაყოფი, ხოლო აქა დღეს მუცელი დაიცვა ნაყოფმან, იგი სახჲ იყო ამისა, რამეთუ ქალწულად ჰგიეს ქალწული"* [ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. 1973: 5]. წმ. იონასაგან მოწოდებული სინანული და ხსნა ეკლესიის წიაღში აღესრულება, რომლის შინაარსსაც წმ. ელიასა და წმ. იონას შორის გამოსახული ფიგურა უნდა იტევდეს. შესაძლებლად მიგვაჩნია ჰიპოთეზის დაშვება, რომ ეს არის ძველი აღთქმის პატრიარქი იაკობი. ამგვარი ვარაუდის საფუძველს ამ ბიბლიური პერსონაჟის საკაცობრიო მისიის წარმოჩენა და კოპოზიციის იდეურ შინაარსთან მისი განუყოფელი კავშირი გვაძლევს. თავად უფალი ებრაელი ერის წინაპარს, პატრიარქ იაკობს, სხვაგვარად ისრაელსაც უწოდებს. *„არღარა გერქუას შენ ამიერითგან იაკობ, არამედ ისრაჲლ იყოს სახელი შენი. რამეთუ განსძლიერდი ღმრთისა თანა და კაცთა თანაცა ძლიერ იყო"* (დაბ. 32,28). ეგზეგეტების განმარტებით, იაკობის სახელს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მასში უფლის რჩეული ერი იგულისხმება. იგი ქრისტიანული მიწიერი ეკლესიის სიმბოლოდ მოიაზრება, ხოლო ახალაღთქმისეული ეკლესია ხშირად ახალ ისრაელად იწოდება [Библейская энциклопедия. 1990: 311-312]. მაშასადამე, იაკობის სახე, როგორც მიწიერი ეკლესიის სიმბოლო, შეერწყმის კრეტსაბმელზე გამოსახულ დანარჩენ ფიგურათა მნიშვნელობებს, რომელთა ერთიანობა კომპოზიციის იდეურ მთლიანობას ქმნის. „იაკობის კიბე", რომელიც ზეცისა და მიწის გამაერთიანებელ ხატად მოიაზრება, ღმრთისმშობლის ეპითეტია. ამ კომპოზიციის სულიერი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ის ხშირად ჩაერთვის „ძირი იესეს" გავრცობილ რედაქციებში როგორც ღმრთისმშობლის ძველაღთქმისეული

სიმბოლო, ზეცისა და მიწის გამაერთიანებლის ფუნქციის მატარებელი. ასეთი მაგალითია უბისის დიდი კარედი ხატი, რომელზეც „ძირი იესეს" კომპოზიციურ ქარგაში ღმრთისმშობლის სიმბოლოებად მიჩნეული ატრიბუტებით გამოსახული წინასწარმეტყველების გვერდით „იაკობის კიბის" კომპოზიციაა[4] განთავსებული [ბურჭულაძე ნ. 2006: 32].

იკონოგრაფიაში ფართოდ გავრცელებული მაცხოვრის გენეალოგიური ხის ჯერ კიდევ XI ს-დან ცნობილი მხატვრული სახე – „ძირი იესესი" ამ კრეტსაბმელის მდიდარი იკონოგრაფიული თემატიკის მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია (სურ. 4). „იესეს ხის" იკონოგრაფიას სხვა წყაროებთან ერთად წმ. ესაიას წინასწარმეტყველება დაედო საფუძვლად[5] და მის ჩამოყალიბებაზე, უთუოდ, იქონია გავლენა: *„და გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესესა და ყუავილი ძირიდგან აღმოხდეს"* (ეს. 11, 1-2) და *„..აჰა ქალწულმან მუცლად იღოს და შვას ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუელ"* (ეს. 7, 14). მკვლევარები საუბრობენ ამ თემის კავშირზე ჰიმნოგრაფიასა და ლიტურგიასთან, იმ ლიტერატურულ წყაროებთან, რომლებიც საკითხავების სახით ჩართულია შობისა თუ ღვთისმშობლის დღესასწაულებთან დაკავშირებული ღვთისმსახურების პროცესში [Milanovic V. 1989: 48-59]. ესაა ლიტურგიკული ჰიმნები, რომლებიც ღვთისმშობელს განადიდებენ, როგორც „ყლორტს იესეს ძირისაგან" და იესო ქრისტეს, როგორც მის „ყვავილს". ზოგიერთ შემთხვევაში ეს მუხლები დატანილია გრაგნილებზე, რომლებიც მაცხოვრის გენეალოგიური ხის მხატვრულ ქარგაში ჩართულ წინასწარმეტყველებს უჭირავთ.

ჩვენთვის ცნობილი კრეტსაბმელების კვალდაკვალ, იკონოგრაფიული პროგრამის მრავალგვარობის ფონზე, ამ კონკრეტულ კომპოზიციას, ქართული მაგალითების გარდა, ანალოგი არ ეძებნება[6]. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცულია სხვადასხვა დროს შესრულებული კრეტსაბმელები. მათ შორის სამეფო დაკვეთისაა 1773 წელს მოქარგული ქეთევანისეული (სურ. 5) და 1811 წლის გაიანისეული (სურ. 6). ორივეზე „იესეს ძირი" კრეტსაბმელების მთავარი კომპოზიციაა და მათს მთელ ზედაპირს მოიცავს [კეცხოველი მ. 2001: 85-93; გიორგობიანი ნ. 2003:]. დადიანისეულ კრეტსაბმელზე „ძირი იესეს" საკმაოდ ლაკონული სქემაა დატანილი. იესეს აქეთ-იქით გამოსახული, ლორატული სამოსით შემოსილი მთავარანგელოზის ფრონტალური ორი ფიგურა მონიშნავს მათ

---

[4] იგივე სცენაა ჩართული ვორონეცის (რუმინეთი) 1488 წელს აგებული ტაძრის ფასადზე მოხატულ „იესეს ხის" ვრცელ კომპოზიციაში, რომელიც ტაძრის სხეულს მთლიანად შემოწერს. აქ კიდევ ერთხელ თვალსაჩინო ხდება ამ სცენის – განკაცებისა და ეკლესიის, როგორც უფლის სხეულის სიმბოლური სახე.

[5] მთ. 1, 1-7; რიცხ. 24, 17 (ბალაამის წინასწარმეტყველება.); რომ. 15, 12; გამოსვ. IV, 1-4; VII, 8-21; XIV, 15-31; XVII, 1-7; ეს. 7, 4; 53, 2; ქებ. 2, 1.

[6] თავიანთ პოლიტიკაში ქრისტიანული ქვეყნების მმართველები, მათ შორის ქართველი ბაგრატიონები ჯერ კიდევ X საუკუნიდან საკმაოდ წარმატებით იყენებდნენ მათი გვარის ბიბლიური მეფის, დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობის ისტორიას. მან კი გარკვეულწილად გამოძახილი ჰპოვა ქრისტიანულ ხელოვნებაში [დიდებულიძე მ. 2006: 45]. საქართველოში ეს თემა საკმაოდ პოპულარულია, გენეალოგიური შტო გვხვდება როგორც კედლის მხატვრობაში (ყინწვისი, წმ. ნიკოლოზის ტაძარი – XIII საუკუნის დასაწყისი; ოზაანი, საფარა – XIV ს; ახალი შუამთა, XVI ს; ანჩისხატი – XVII ს; ბოლნისის სიონი – XVII ს; შემოქმედი – 1610 –იანი წლები; ჭულე – წმ. საბას ტაძარი –1390-იანი წლები), ასევე ხატებზე (უბისის ფერწერული კარედი – XIV ს.), ჭედურობაში (მარტვილის თორმეტი დღესასწაულის ხატი 1664 წ.) და ნაქარგობაში (ენქერი დაცული შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში (საინვ. სხმ/ნ №210) – XVII ს.; ოლარი, ენქერი, ფილონი).

როგორც სამოთხის კარის მცველ ანგელოზებს. მათ მკერდის წინ ნებით აქვთ შემართული ხელები. ორი ანგელოზის ვერტიკალური ფიგურა და ჰორიზონტალურად წარმოდგენილი იესეს გვერდიდან აღმოცენებული ხე გვახსენებს ცხოვრების ხეს, რომელიც ღმერთმა სამოთხეში დანერგა. ერთი მხრივ, წმ. იოანე ოქროპირი „ხედ ცხოვრებისად" ღმრთისმშობელს სახელდებს: *„გიხაროდენ, ხეო ცხორებისაო, რომელმან გამოიღე ნაყოფი ცხორებისაჲ, რომლისა მიერ ვცხონდით ყოველნი"* [საკითხავი წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ გარდაცვალებისათჳს წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ. 1991: 427], მეორე მხრივ კი წმ. იოანე დამასკელი მას სამოთხეს უწოდებს, რომლის წიაღშიც აღმოცენდა მაცხოვნებელი ხე: „სულიწმინდის უწმინდესო ქანდაკო, წყაროო ცხოველმყოფელი წყალისაო, სამოთხეო ცხოვრების ხისაო, საღვთო ყურძნის რტოო. . . " [წმ. იოანე დამასკელი. 1993: 156].

გენეალოგიური ხის პირველ რეგისტრში, მარცხნიდან მარჯვნივ, სოლომონის, დავითისა და, სავარაუდოდ, ესაია წინასწარმეტყველის მთლიანი ფიგურებია განთავსებული[7], ხოლო სოლომონის ფიგურიდან ამოიზრდება ყლორტი, რომლის ბუტკოშიც კიდევ ერთი წინასწარ-მეტყველის ნახევარფიგურაა გრძელი თმა-წვერით. ამ ფიგურის იდენტიფიცირება ისე, როგორც ზედა რეგისტრში გამოსახული ორი ფიგურისა, ვერ მოვახდინეთ (სავარაუდოდ, ეს სამი წინასწარმეტყველი უნდა იყოს. ისინი ღმრთისმშობლის ძველაღთქმისეულ ეპითეტებს გვიჩვენებენ – მოსე, ეზეკიელი, იერემია). დავითი და სოლომონი ტრადიციული სამეფო შესამოსლითა და გვირგვინებით არიან მოცემულნი. მეფე სოლომონის ახალგაზრდა, უწვერულ, ფრონტალურად მდგომ ფიგურას ხელები ნებით წინ აქვს შემართული, მზერა ცენტრისკენ მიემართება. წმ. დავით მეფის სამი მეოთხედით მოცემული სხეული კი წმ. ესაია წინასწარმეტყველისკენ მიგვმართავს, რომლის მკაცრად ფრონტალურ ფიგურას მარჯვენა ხელში გრაგნილი უპყრია, მარცხენათი კი ხის ტოტს ეხება. იგი უფლის სახლზე, ქრისტეს ეკლესიაზე – ადამიანთათვის ჭეშმარიტ თავშესაფარსა და ბოლო დროს მის ამაღლებაზეც წინასწარმეტყველებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავითისა და სოლომონის ფიგურები. ერთი მხრივ, დავითის გამოსახვა მიუთითებს დავითის თესლიდან ქრისტეს წარმომავლობაზე და, მეორე მხრივ, სოლომონი, როგორც ძველი აღთქმის სიწმინდის – იერუსალიმის ტაძრის აღმშენებელი, წინასწარმაუწყებელია ახალი აღთქმის ეკლესიის დაარსებისა.

კრეტსაბმელის შემდეგი ფრიზი პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვანძია, რომელიც, ერთი მხრივ, განავრცობს და, მეორე მხრივ, წარმოაჩენს კომპოზიციის მთავარ თემას. პროგრამის საერთო, საღვთისმეტყველო, საზრისის წარმოჩენის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩანს ორ წინასწარმეტყველს შორის შარავანდიანი ქალის ნახევარფიგურა. წინასწარმეტყველებს გრაგნილები უპყრიათ, ხოლო ქალი მკრედის წინ ნებით შემართული ჟესტითაა წარმოდგენილი. იგი ეკლესიის სიმბოლოდ – სიონად შეიძლება მივიჩნიოთ. ასეთივე ჟესტით გამოიყოფა კრეტსაბმელზე

[7] ამის თქმის უფლებას მისი იკონოგრაფიული ტიპი გვაძლევს. იგი გამოისახება ჭაღარა, მხრებზე ჩამოშლილი, თმით. მსგავს გამოსახულებას ვხვდებით ტიმოთესუბნის გუმბათის ყელის მოხატულობასა [Привалова Е. 1980: 29. рис. 10] და უბისის ხატზე [ბურჭულაძე ნ. 1990: 31-46].

მხოლოდ მთავარანგელოზებისა და სოლომონ მეფის ფიგურა. ერთი შეხედვით, ქალის ნახევარფიგურა ღმრთისმშობელს მოგვაგონებს და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ის ცენტრალური ადგილი, რომელიც მას მიჩენილი აქვს ტრადიციულად, ღმრთისმშობელს ეთმობა. ქალი ოქროქსოვილი სამოსითაა შემოსილი, მოუჩანს ყავისფერი თმა. პირველი ეჭვი იმისა, რომ ეს შეიძლება ღმრთისმშობელი არ ყოფილიყო, გამოიწვია იმან, რომ ქალწულის ფიგურა უკვე ჩართული იყო ამ კრეტსაბმელის „ვედრების" კომპოზიციაში, სადაც ის მთლიანად შემოსილია ოქროქსოვილი სამოსით. მას თმაც კი არ მოუჩანს. მარიამის ორი გამოსახულების არსებობისას სავარაუდო უნდა ყოფილიყო ორი ერთნაირი შესამოსელი, რაც აქ არ ჩანს. ამიტომ აქ საგულვებელი უნდა ყოფილიყო სხვა, ასევე გამორჩეული და ღმრთისმშობელთან დაკავშირებული ფიგურა, რომელიც თავისი მნიშვნელობით მისი თანაგვარი იქნება. სასულიერო მწერლობაში ჰიმნოგრაფების მიერ დამკვიდრებულ უამრავ საღვთისმშობლო სიმბოლოთა შორის ზეციური დედოფალი – ღმრთისმშობელი იწოდება „სახლად უფლისა", „ტაძარად ღმრთისა", „სიონად", „ტაძარად სულიერად". ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ იესეს გენეალოგიური ხის კომპოზიციაში ტრადიციულად ღმრთისმშობლისა და მაცხოვრის ნაცვლად ეკლესიის სიმბოლოა ჩართული. იგი ხომ დედას ღმრთისას როგორც სახლს, საყდარს განასახიერებს.

ქრისტიანული მსოფლმხედველობით, უფლის სახლად იწოდება ყველაფერი დასაზღვრული, სადაც დაუსაზღვრელმა სიწმინდემ შეიძლება დაისადგუროს. ამდენად, სახლი ხილული სამყაროა ღმრთის მიმართ, ეკლესია – ღმრთისმშობელი. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ღმრთისმშობელს, როგორც აუცილებელ ბჭეს ქრისტეს მოვლინებისას. 131-ე ფსალმუნის მე-13 მუხლის საფუძველზე – *„რამეთუ გამოირჩია ღმერთმან სიონი და სათნო იყო სამკჳდრებელად თჳსა"* – სიონი ქრისტიანობის დასაწყისიდანვე საყოველთო ეკლესიის სიმბოლოდ იქცა. იმ უამრავ კონცეფციას შორის, რომელიც სიონმა მიიღო ბიბლიურ ტრადიციაში, უმთავრესია მისი, როგორც დედა ეკლესიის პერსონიფიკაცია. მისი იკონოგრაფიის ერთ-ერთი წყარო იოანეს გამოცხადებაა, სადაც იგი მეორედ მოსვლის ჟამს ცაზე დედაკაცის სასწაულებრივ გამოჩენას წინასწარმეტყველებს: *„და სასწაული დიდი გამოჩნდა ცათა შინა: დედაკაცი, რომელსა ემოსა მზე, და მთოვარე იყო ქუეშე ფერჴთა მისთა, და თავსა ზედა მისსა გჳრგჳნი ვარსკულავთა ათორმეტთაჲ"* (გამოცხ. 12, 1). ანდრეა-კესარია კაბადუკიელის განმარტებით, დედაკაცი არის ეკლესია, რომლის საფუძველი სარწმუნოებაა[8]. იკონოგრაფიულად დედა ეკლესია გვირგვინოსან დედოფლად გამოისახება. ზოგჯერ ის განცალკევებით ორანტი თაა წარმოდგენილი ანრაიმე ატრიბუტიუჭირავს[9], ხან კი ჩართულია „ჯვარცმის" კომპოზიციის ქარგაში, სადაც ეკლესიის პერსონიფიკაცია ბარძიმით ხელში მაცხოვრის ფერდიდან სისხლს

[8] *„დედაკაცი ესე, რომელსა ემოსა მზე, არს ეკლესიაჲ, რომელსა ჰმოსიეს მზე იგი სიმართლისაჲ ქრისტე"* [ანდრია კესარია-კაბადუკიელი. გვ. 38].

[9] კართაგოს ანტიკვარიუმის მოზაიკა. დაახ. 400 წ.; ტიმპანის რელიეფი ზემო ეგვიპტიდან. V ს. ნიუ-იორკის ბრუკლინის მუზეუმი; XVII სამლოცველოს ფრესკა. VI ს. ბაუითის მონასტერი (აქ სიონის პერსონიფიკაცია ბარძიმითაა გამოსახული); ხლუდოვის ფსალმუნი. IX ს. მოსკოვის საისტორიო მუზეუმი; ლონდონის ფსალმუნთა მინიატიურები. 1066 წ. ბრიტანეთის ბიბლიოთეკა; ოთხთაეკლესია. X ს-ის 60-79 წწ.

აგროვებს. ის ასეთ შემთხვევაში სინაგოგის პერსონიფიკაციასთანაა შეწყვილებული[10] [სხირტლაძე ზ. 2009: 124-131]. ბარძიმითვეა მოცემული შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული შემოქმედის კვადრიფოლიუმის ჯვარცმის კომპოზიციაში დედა ეკლესიის გამოსახულება, რომელიც მაცხოვრის სისხლს ბარძიმში კრებს. აქ კი იგი გვირგვინის გარეშეა წარმოდგენილი (სურ. 7). სანაწილის ხუფის ეს ალეგორიული სცენა ბიზანტიურ ძეგლებს შორის უადრესი ნიმუშია [Хускивадзе Л. 1981: 64]. დადიანისეულ კრეტსაბმელზე ეკლესიის სიმბოლოს განასახიერებს უგვირგვინო დედოფალი წინასწარმეტყველთა გარემოცვაში.

კრეტსაბმელის შუა არე თითქოს ორ ნაწილად იყოფა. ისინი ერთმანეთს ცენტრში წარმოდგენილი „ვედრების" კომპოზიციით უკავშირდება. საყდარზე დაბრძანებული მაცხოვრის – პანტოკრატორის ორსავ მხარეს ღვთისმშობლისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის ფეხზე მდგომი ფიგურებია ვედრების ჟესტებით. დედა ღმრთისმშობელი მთლიანად ოქროქსოვილი სამოსითაა შემოსილი. მოცემული კომპოზიცია მთლიანად კრავს და აერთიანებს კრეტსაბმელზე წარმოდგენილ ყველა დანარჩენ სცენასა თუ ფიგურას. ის ერთგვარი ხატია პარაკლიტონის შემდეგი ტექსტისა: *„დედოფალი ქალწული შემოსილი სამოსლითა ოქროანითა წინაშე ძისა და მეუფისა თვისისა მდგომარე არს"* [პარაკლიტონი. ხმა IV. 273]. *„ფესუედითა ბრწყინვალითა ოქრეანითა შემკობილსა უსძლოსა სძალსა ღვთისა მაღლისასა ქალწულსა შევამკობდეთ ღირსად, მორწმუნენო"* [მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები. 1978: 69].

„ვედრების" სცენა მაცხოვრის შარავანდის საშუალებით ზეციურ ძალთა სამყოფელში იჭრება, აგრძელებს თხრობას და აკავშირებს ორ სივრცეს – მიწასა და ზეცას. ზეციურ ნაწილში, რომბის ფორმის უჯრედებში, ექვსფრთედი ქერუბიმები და სერაფიმები ცეცხლოვანი ბორბლებითაა ჩაქარგული (12 ქერუბიმი და 2 სერაფიმი). ასევეა გადაწყვეტილი ქერუბიმთა ფიგურების განთავსება მსგავს რომბებში (სურ. 8) ხელოვნების მუზეუმშივე დაცულ XVIII ს-ის დაფარნაზე (სხმ/ნ საინვ. № 3784. ზომა: 71,5 x 93,3). მარჯვენა, სამკუთხა, უჯრედებში მზისა და მთვარის გამოსახულებებია. ეს კომპოზიცია განსრულებულია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატით, რომელსაც ოთხი მთავარანგელოზი განადიდებს. ოთხი მთავარანგელოზის გამოსახვა გამოცხადების ტექსტს უნდა ეფუძნებოდეს, რომელსაც ანდრეა-კესარია კაბადუკიელი შემდეგნაირად განმარტავს: *„ესე ყოველნი იქმნას მოსლვასა ანტეისსა, რაჟამს ოთხნი იგი ანგელოზნი დგენ ოთხთა კიდეთა აღსრულებად ბრძანებათა ღმრთისათა"* [ანდრეა კესარია-კაბადუკიელი. თარგმანება 7, 1. გვ. 25]. მაშასადამე, ეს არჩევანი მეორედ მოსვლის თემის მითითებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომლის დროსაც ქვეყნის ოთხ კიდეზე განწესებული ოთხი ანგელოზი უფლის ნებას აღასრულებს.

ცენტრალური არის ორივე მხარეს, ყველა მღვდელმთავარი, გარდა ზედა ორისა, ტრადიციული სამღვდელმთავრო შესამოსლითაა შემოსილი (სტიქარი, ენქერი, ომოფორი, ფილონი). ზედა ორ მღვდელმთავარს

[10] კვადრიფოლიუმი „ჯვარცმის" გამოსახულებით. X ს. შემოქმედის მონასტერი (ერთ-ერთი უადრესი ნიმუში; საბერეების გამოქვაბული კომპლექსის №7 ეკლესია. „ჯვარცმა". ჩრდილოეთ მკლავი. X ს. [ზ. სხირტლაძე. 1985: 56]; ჯრუჭი II ოთხთავის მინიატურა „ჯვარცმის" გამოსახულებით. XII ს.

ენქერები არ უჩანთ. მარცხენას კი ჯვრული ომოფორი მოსავს. შესაძლებელია, ოსტატს სურდა ამგვარი დეტალით, გარკვეულწილად, გამოერჩია ისინი. ვფიქრობ, აქ წმ. იოანე ოქროპირი და წმ. ბასილი დიდი უნდა გამოესახათ. მათი გამოსახვა არც იქნება გასაკვირი, რადგან ღვთისმსახურება, რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიმდინარეობს, ამ ორი მღვდელმთავრის სახელს უკავშირდება. ამას ერთვის ისიც, რომ საკურთხევლის აფსიდის მოხატულობაში ეკლესიის მამათა რიგს ამ ორი წმინდანის გამოსახულება უძღვის ხოლმე წინ. ათონის მთის ხილანდარის მონასტრის 1399 წლის კრეტსაბმელის მთავარი კომპოზიციის ცენტრში მაცხოვარია, რომელიც აკურთხევს წმ. იოანე ოქროპირსა და წმ. ბასილ დიდს. მოცემული კრეტსაბმელიც აფსიდს იმ დონემდე ფარავს, სადაც სწორედ მღვდელმთავართა ეს ფრიზია მოცემული. გარდა ამისა, მასზე ამოქარგული იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის იკონოგრაფიული ტიპები, შესაბამისად, გელათისა და ატენის სიონის ტაძრებში გამოსახული ამ ორი წმინდანის იკონოგრაფიული ნიშნების მსგავსია. ტრადიციულად, იოანე ოქროპირს წინ ოდნავ მელოტს გამოსახავენ, გელათშიც (საკურთხეველში) და კრეტსაბმელზეც კი იგი თმითაა მოცემული.

კრეტსაბმელზე გაშლილი კომპოზიცია ცენტრალური ღერძის გარშემო იკრიბება. ამ ღერძზე ლაგდება იაკობის, დავითის, დედა ეკლესიის პერსონიფიკაციის – საყდარზე დაბრძანებული მაცხოვრის ფიგურები, რომელიც განსრულებულია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატით. ეს ერთი ვერტიკალური ღერძია. თვალისთვის ადვილად შესამჩნევია მეორე – ჰორიზონტალური ხაზიც, რომელსაც ღვთისმშობლისა და იოანეს ფიგურები ქმნის, რაც მოცემულ კომპოზიციაში ჯვრის ფორმას გვაძლევს. ვედრების კომპოზიცია გამოხატავს უფლის დოგმატს, როგორც მსაჯულის წინაშე ცოდვილთათვის ახალაღთქმისეული და ძველაღთქმისეული ეკლესიების შუამდგომლობას ღმრთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის სახით. კომპოზიციაში ჩართული მღვდელმთავრების, ანგელოზების, წინასწარმეტყველების, მეფეების ფიგურები ეკლესიის სვეტებს მოგვაგონებენ, რომლებიც ცოდვილთათვის უფლის წინაშე შუამავლობენ. მათი სხვადასხვა სამოსით თუ ატრიბუტით წარდგენა მათს მიწიერ მოღვაწეობას გულისხმობს. ყველა ეს გამოსახულება კი მაცხოვრის ფიგურაში იკრიბება, რაც მიგვითითებს, რომ განხორციელებულის სხეული ეკლესიაა, ახალი კაცობრიობა. ამიტომ სიონის გვერდით წინასწარმეტყველთა რიგში ესაია წინასწარმეტყველის ჩართვა უფლის „იესეს ძირიდან" წარმომავლობას, მის განსხეულებას, ეკლესიის დაფუძნებას, მის დიდებასა და ამაღლებას მიგვანიშნებს. მღვდელმთავართა და მახარებელთა სიმბოლოების გამოსახვა ერთგვარი სუმირებაა ამოცემულ კრეტსაბმელზე გამოსახული კომპოზიციისა. ამათგან პირველის წარმოდგენა თავისთავად გულისხმობს მსახურებას, რომელიც ეკლესიაში აღესრულება და მიგვითითებს ზიარების საიდუმლოებაზე, რომელზეც დამყარებულია ეკლესია. გარდა ამისა, დადიანისეული კრეტსაბმელის მხატვრული ფორმა, მასზე „ძირი იესეს" კომპოზიცია და მისი სიმბოლური დატვირთვა განახატოვნებს კრეტსაბმელს როგორც ღმრთისმშობლის წიაღს, სადაც „მოიქსოვა" უფლის ხორცი. კრეტსაბმელს შემოვლებული ოლე კი ღმრთისმშობელს ჭურჭლად, საყდრად და სულიერ კიბედ წარმოგვიდგენს.

დადიანისეული კრეტსაბმელის იკონოგრაფიულმა კვლევამ აჩვენა, რომ სულიერად და ხორციელად ქმნილი სამყაროს ახალ აღთქმაში გამოსახვის დაშვების შესაბამისად მართლმადიდებლური ტაძრის კრეტსაბმელების იკონოგრაფიაში მკაცრი კანონიკა აღარ არსებობს. ჩვენთვის ცნობილ კრეტსაბმელთაგან თითოეულზე სხვადასხვა იკონოგრაფიული პროგრამაა დატანილი[11], რომელთა არსიც თავად კრეტსაბმელის მნიშვნელობას ერწყმის. კრეტსაბმელების შემკობის ტრადიცია ჯერ კიდევ ძველი აღთქმიდან იღებს სათავეს იმ გეგმის მიხედვით აგებულ ტაძარში, რომელიც უფალმა მოსეს სინას მთაზე უჩვენა და რომელიც იყო „სახე და აჩრდილი“ ზეცისა. *„და ჰქმნე კრეტსაბმელი ჯაკინთისაგან და პორფირისა და ძოწეულისა ძახილისა და ბისონისა სთულისა, ნაქმარად ქსოილად ჰქმნე იგი ქერობინად“* (გამოსვ. 26,31). წმ. გრიგოლ ნოსელი ამასსახისმეტყველებითადგანმარტავსდაუკავშირებს ადამიანის სხეულს და მის ოთხ სტიქიას. *„და ვინაჲთგან დიდი მოციქული კრეტსაბმელად კარვისა ჴორცთა უფლისათა იტყჳს, ვითარ ვჰგონებ ამისთჳს, რამეთუ თითოსახეთა მათ ოთხთა ნივთთაგან არს აგებულებაჲ ჴორცთაჲ“* [აფციაური თ. 2005: გვ. 205]. ძველი აღთქმის კრეტსაბმელი განაცალკევებდა ტაძრის სამ საკრალურ სივრცეს: ეზოს, წმიდათას და წმიდა წმიდათას. ამ უკანასკნელს, რომელსაც „ზღუდის დაბრკოლების” ფარდასაც უწოდებდნენ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ფარავდა ძველი აღთქმის საკრალურ სიწმინდებს: სჯულის კიდობანს, აარონის კვერთხს, სჯულის ფიცრებს და ტაკუკს მანანათი. ახალ აღთქმაში კრეტსაბმელის მნიშვნელობა და ფუნქცია გაღრმავდა. განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა სახარებაში მაცხოვრის ჯვარზე აღსრულების მომენტმა: „და აჰა კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად ზეითგან, ვიდრე ქუედმდე, და ქუეყანაჲ შეიძრა და კლდენი განსთქდეს” (მთ. 27, 50). კრეტსაბმელის შუაზე გაყოფა ნიშნავდა, რომ აღარ არსებობს ზღუდე ღმერთსა და ადამიანს შორის. აღარ იქნება მიუწვდომელი წმიდათა

[11] „ქრისტე ბარძიმში”. XVIII ს. ბიზანტიური და ქრისტიანული მუზეუმი, ქ. ათენი [The world of the Byzantine museum. 2005: 360 – 361]; „წმ. ეკატერინე” ცხოვრების ციკლით. 1770 წ. წმ. ეკატერინეს მონასტერი, სინას მთა [Treasures of the Monastery of St. Catherine. 1990: 236, 255]; „შობა”. XVII ს. სიმონოპეტრას მონასტერი, ათონის მთა [Treasures of Mount Athos. 1997: 482-483; Le Mont Athos et l'Empire Byzantine – Tresors de la sainte Montagne. 2009: 294]; „წმ. ნიკოლოზი” ღმრთისმშობლისა და მაცხოვრის გარემოცვაში. XVII ს. სტავრონიკიტას მონასტერი, ათონის მთა [Treasures of Mount Athos. 1997: 484-485]; „მირქმა”. XIX ს. ბიზანტიური და ქრისტიანული მუზეუმი, ქ. ათენი [The world of the Byzantine museum. 2005: 360]; „ჯვარცმა”. 1852 წ. შეწირული ანანურის სომხური ეკლესიისთვის. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (საინვ. № სხმ/ნ 3805); „ვედრება”. 1556 წ. მოსკოვი, დედოფალ ანასტასია რომანოვას სახელოსნო [Убрус. Церковное шитье. История и современность. 2003: 34.]; „ღმრთისმშობლის მიძინება” (მრავალფიგურიანი კომპოზიცია). 1510 წ. პუტნას მონასტრის მუზეუმი, მოლდავეთი; „ჯვარცმა” (მრავალფიგურიანი კომპოზიცია). 1500 წ. პუტნას მონასტრის მუზეუმი, მოლდავეთი; „ღმრთისმშობლის მიძინება”. XVI ს. სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მუზეუმი [Сербское шитье XIV-XIX веков. Каталог. 1973: Кат. 23]; „ხარება” წმ. დავითისა და წმ. სოლომონის თანხლებით. XV ს. პუტნას მონასტრის მუზეუმი, მოლდავეთი; „ამაღლება”. 1484 წ. პუტნას მონასტრის მუზეუმი, მოლდავეთი; „ხარება” საუფლო დღესასწაულებისა და წინასწარმეტყველების თანხლებით. XIV-XV სს. სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მუზეუმი. ანა მონაზონის ქარგულობა ბეოჩინის მონასტრიდან [Убрус. Церковное шитье. История и современность. 2003: 32-34.; Милеуниħ С. 2001]; „მაცხოვარი მღვდელმთავარი დიდი” წმ. იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და სამწერობლებით ანგელოზების თანხლებით. 1399 წ. ხილანდარის მონასტერი, ათონის მთა [Убрус. Церковное шитье. История и современность. 2003: 29-32];

წმიდათა, სადაც შესვლის უფლება მხოლოდ მღვდელმთავარს ჰქონდა წელიწადში ერთხელ, ისიც ლხინების დღესასწაულზე. ეს დღესასწაული უმნიშვნელოვანესი იყო რჩეული ერისთვის. მისი ებრაული სახელწოდება შემდეგნაირად გადმოიცემა – „დღე დაფარვისა". ლხინების დღესასწაული არის ადამიანურ შეცოდებათა ღვთისგან პატიების, შენდობის დღე, რომელიც ადამიანებს ათავისუფლებს ცოდვათაგან. ამ დღეს ხდებოდა კარვის საკურთხევლისა და წმიდა წმიდათას განწმენდა და კურთხევა. ერი იკრიბებოდა კარავში ღვთისმსახურებისათვის, იწირებოდა მსხვერპლი განსაწმედელი და ცოდვების მოსანანიებელი. ლხინების დღესასწაული ერთადერთი დღე იყო წელიწადში, როცა ქერუბიმებით შემკული კრეტსაბმელი გაიხსნებოდა და მღვდელმთავარი სალხინებელს შვიდჯერ მოასხურებდა მსხვერპლად შეწირული ტარიგის სისხლს. ეს კი მოასწავებდა მაცხოვრის, როგორც ჭეშმარიტი მღვდელმთავრის გამომხსნელ მსხვერპლს. ისტორიული წყაროების მიხედვით, ხარების მომენტში ღმრთისმშობელი ძოწეულს ართავდა იერუსალიმის ტაძრის კრეტსაბმელის მოსაქსოვად [იაკობის აპოკალიფსი. 1991: 235]. წმიდა მამების განმარტებით, როგორც ღმრთისმშობელი ართავდა ძაფს და მისგან უნდა მოქსოვილიყო კრეტსაბმელი, ასევე ღმრთისმშობლის წიაღში დაირთო და მოიქსოვა მაცხოვრის კაცებრივი სხეული. ეს ურთიერთკავშირი იძებნება ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილ საკითხავებში: „სისხლთაგან შენთა ღებული პორფირი, ღვთივგვამოვანთა ხორცთა მეუფისათა, მოიქსოვა, უხრწნელო, საშოსა შინა შენსა [ანდრია კრიტელი. 2007: გალობა Ѳ]. წმ. პავლე მოციქული ტაძრის კრეტსაბმელს მაცხოვრის ხორცად სახელდებს და მრავალფეროვან სიმბოლურ წახნაგებს ერწყმის: „რომელ-იგი განგვიახლა ჩუენ გზაѧ ახალი და ცხოველი კრეტსაბმელით მით, ესე იგი არს ხორცითა მისთაѧთა" (ებრ. 10, 19-20). სწორედ უფლის საიდუმლოებებთან მიახლების საშუალებას იძლევა კრეტსაბმელი თავისი სიმბოლური მნიშვნელობით. იგი მთელი ღვთისმსახურებისას სხვადასხვა დროს მონაწილეობს ერთიანი ისტორიული მოვლენის – ქრისტეს შობიდან ვიდრე აღდგომამდე – სულიერი გადმოცემის პროცესში.

ყველაზე ადრეული გამოსახულებიანი კრეტსაბმელი, რომელიც ეკუთვნოდა წმ. სოფიის ტაძარს კონსტანტინოპოლში, თარიღდება VI ს-ის I მეოთხედით. მისი მხოლოდ აღწერილობა შემორჩა პავლე სილენციარიოსის პოემაში [სილენციარიოსი პ. 1994: 93]. თხზულებიდან ვგებულობთ, რომ წმ. სოფიის ტაძრის კრეტსაბმელები მხოლოდ სალხინებელს ფარავდა და არა მთლიანად საკურთხეველს. ირკვევა ისიც, რომ ისინი მრავალსახიანი ქსოვილი იყო, რომლის მოსაქსოვად ოქროსა და აბრეშუმის მრავალფერი ძაფები გამოიყენებოდა[12]. აქ ნახსენებ სამიდან მთავარ კრეტსაბმელზე ადრებიზანტიური იკონოგრაფიული სქემა – მაცხოვრის მიერ მოციქულთათვის წმინდა წერილის გადაცემის კომპოზიცია – "Traditio legis", მაცხოვრის სასწაულები, ტაძრის ფასადები და ინტერიერებია დატანილი. დანარჩენი ორის ზედაპირს კი უფლისა და დედა ღმრთისმშობლის მიერ იმპერატორისა და დედოფლის – იუსტინიანესა და თეოდორას დალოცვის სცენები იკავებს, რაც მათი მოღვაწეობის განდიდების თემას უსვამს

[12] უნდა აღინიშნოს, რომ ადრეულ კრეტსაბმელთაგან არც ერთი არაა ნაქარგი. ყველა მათგანზე კომპოზიცია, რთულიც კი, დაზგაზე ნაქსოვია. სავარაუდოდ, ეს უნდა უკავშირდებოდეს იერუსალიმის ტაძრის კრეტსაბმელს, რომელიც სწორედ ამ ტექნიკით იყო შესრულებული.

ხაზს. ეს სცენები სპეციფიკურია დედაქალაქური ძეგლებისათვის [Иерусалимская А. 1988: 14]. ამ გვერდითი არეების ხასიათის კარგად წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს ეგვიპტური კრეტსაბმელები: ქსოვილები პეტრესა და დანიელის გამოსახულებებით[13] [Иерусалимская А. 1988: 8-19]. ორივეზე წმინდანთა სამარტვილეებია მოცემული.

ძალიან საინტერესო მასალას გვაწვდის კლივლენდის მუზეუმში (აშშ, ოჰაიოს შტატი) დაცული ადრეული – VI ს-ის კოპტური კრეტსაბმელები. მათგან ერთ-ერთზე (სურ. 9) ქრისტიანულ სიმბოლოებთან ერთად (ქრისტეს მონოგრამა, ჩიტები და ა.შ) სამი მავედრებელი ფიგურაა გამოსახული (სავარაუდოდ, *სამი ყრმა სახმილსა შინა*). მდიდრულად შემკულ მეორე ქსოვილზე (საინვ. № 1967.144) ცენტრალური კომპოზიცია „ღმრთისმშობლის დიდებაა" [Pelikan J. 1990: 16; Rutschowscaya M. 1990: 135-137] http://www.clevelandart.org], ხოლო მის თავზე – „მაცხოვრის ამაღლება" (სურ. 10). ეს ორი კომპოზიცია მოციქულთა ნახევარფიგურებითაა შემოზღუდული. სამუზეუმო სივრცეში მას ლიტურგიკულ ქსოვილად არ მოიხსენებენ, თუმცა, თავისი ზომით (178,7x110,5სმ), ფორმით, თემატიკით ის კრეტსაბმელი უნდა იყოს [Матвеева Ю. 2011:126]. ბენაკის მუზეუმში ინახება ქსოვილი, რომელზეც ორ სვეტზე დამყარებული თაღის ქვეშ ორი ფიგურაა მავედრებელი ჟესტით (სურ. 11).

ამრიგად, დადიანისეული კრეტსაბმელის მთელ ზედაპირზე ფართოდ გაშლილი სიმბოლურ-დოგმატური ხასიათის კომპოზიცია ნათლად ასურათებს ძველსა და ახალ აღთქმებს შორის არსებულ კავშირს და ერთიანად წარმოგვიჩენს უბიწოდ ჩასახვის, განკაცების, მსხვერპლისა და მეორედ მოსვლის თემებს. უქრობელი, ღვთაებრივი ნათლის სიმბოლოდ მოაზრებულ ოქრას ფონზე აქ გამოსახული კომპოზიცია საკურთხევლის აფსიდის მოხატულობის პროგრამას ეხმიანება და საყოველთაო ეკლესიის – ზეციური და მიწიერი ეკლესიების გამაერთიანებლის ხატს ქმნის. ბუნებრივია, რომ კრეტსაბმელზე „იესეს ხის", ანუ მაცხოვრის ხორციელი შობის გამოსახვა და ამ ღერძის გარშემო სოტეროლოგიური იდეის მხატვრული ხორცშესხმა მნიშვნელოვნად გამოკვეთს კრეტსაბმელის საკრალურ ფუნქციას. ეს კი მის დამკვეთსა და შემსრულებელს საკმაოდ კარგად გააზრებული ჰქონდათ.

[13] აქ გამოსახულია საყდარზე დაბრძანებული მაცხოვარი წიგნით ხელში, რომელიც უნდა გადასცეს მისკენ დახრილ პეტრეს. აქ კომპოზიცია ერთიანია და ფიგურები თაღებით არ არის გამოყოფილი.

Nino Giorgobiani

The Georgian National Museum
3 Rustavelli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: giorgobianinino@gmail.com

Dadiani's Veil of the Royal Door

Summary

So called Dadiani's veil (which was donated by that family) of the Royal Door with depiction of "Tree of Jesus" is of special interest from the point of view of its iconographical program which has diversity standpoint. The subject of this article is kept in the embroidery and textile (cloth) department of the Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts. The presumable date of its making is the period between 1704-1711 years.

A genealogical tree of Our Saviour is only one component part of this rich iconographical theme of veil of the Royal Door. Manifold composition of a temple, its clearness and decoration gets deeper symbolic meaning. To understand its meaning and presentation of its detailed function stresses an essential meaning of the Veil of the Royal Door starting from the old Testament, New Testament and in the Christian art. At the same time, examination of origin of the "Tree of Jesus" theme, literary sources and its artistic forms reveals their ideal unity.

A veil of the Royal Door, participates in the whole process of spiritual transmission of united historical phenomenon from Christ's birth till his resurrection during different divine services. Its function in divine service illustrates entirety of a liturgy. It is an organic part of a soteriological divine service from the birth till resurrection. Vivid, mysterious relation of a veil of the Royal Door with presenting in a temple person creates unity of heavenly and terrestrial churches.

Scientific study of the Dadiani's Veil of the Royal Doors from artistic and paradigmal understanding makes us speculate that depiction on the veil of the Royal Door of the theme "Tree of Jesus" quite differently is not a casual fact and both clien and performer comprehended this deep symbolic unity.

ბიბლიოგრაფია

ანდრია კესარია-კაბადუკიელი. *თარგმანებაჲ იოვანეს გამოცხადებისაჲ.*

ანდრია კრიტელი. 2007: *დიდი კანონი.* თბილისი (რედ. გ. კოპლატაძე).

***ახალი აღთქმაჲ.* 2008:** მეცნიერულად დადგენილი ტექსტი წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელთა რედაქციებისა. თბილისი.

აფციაური თ. 2005: გრიგოლ *ნოსელის „მოსეს ცხოვრება" და მისი ძველი ქართული თარგმანი.* დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა-სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

ბარათაშვილი გ., ბერელაშვილი ე., კეცხოველი მ., მელიქიშვილი ი., ნადარაია ნ., სულხანიშვილი ე. 2011: *ქართული ნაქარგობა.* თბილისი.

ბუბუტეიშვილი ლ. 2006: საღვთისმშობლო სიმბოლიკა ძლისპირებში. *კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა.* №11. თბილისი (რედ-ბი: ი. მილორავა, გ. ბენაშვილი, ნ. სულავა).

ბურჭულაძე ნ. 1990: უბისის ხატების ერთი ჯგუფის იდეური პროგრამა. *ხელოვნება.* №12. გვ. 31-46. თბილისი (რედ. ნ. გურაბანიძე).

ბურჭულაძე ნ. 2006: *უბისის მონასტრის ხატები და კედლის მხატვრობა, მე-14ს.* თბილისი.

გიორგობიანი ნ. 2003: ქართული კრეტსაბმელები. *„მოყვასი", ალავერდის ეპარქიის ჟურნალი.* №10. გვ. 21-23. თბილისი (რედ. თ. გაბისონია).

დიდებულიძე მ. 2006: „ძირი იესესი" ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძარში. *Academia.* ტ. 6-7. გვ. 41-49. თბილისი (რედ. ა. კლდიაშვილი).

იაკობის აპოკალიფსი. 1991: *საღვთისმეტყველო კრებული. I.* გვ. 230-246. თბილისი (რედ. ნ. პაპუაშვილი).

კეცხოველი მ. 2001: კრეტსაბმელი (აღსავლის კარის ფარდა). *ნარკვევები.* VII. გვ. 85-93. თბილისი (რედ-ბი: ნ. ლომოური, გ. მარსაგიშვილი).

***მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები.* 1978:** I-III. თბილისი.

ნევმირებული ძილისპირნი. 1982: *ძველი ქართული მწერლობის ძეგლები.* III. თბილისი.

ორბელიანი ს.ს. 1966: *ქართული ლექსიკონი.* I. თბილისი.

სილენციარიოსი პ. 1994: ეკფრასისი წმინდა სოფიას ტაძრისა. *ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია (IVს. – VIIს—ის პირველი ნახევარი).* I. გვ. 97-128. თბილისი (რედ. ლ. კვირიკაშვილი).

სხირტლაძე ზ. 1985: *საბერეების ფრესკული წარწერები.* თბილისი.

სხირტლაძე ზ. 2008: *ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა (თელოვანის ჯვარპატიოსანი).* თბილისი.

სხირტლაძე ზ. 2009: *ოთხთაეკლესიის ფრესკები.* თბილისი.

ჩუბინაშვილი დ. 1984: *ქართულ-რუსული ლექსიკონი.* თბილისი.

წმ. იოანე ოქროპირი. 1996: *თარგანებაჲ მათეს სახარებისაჲ.* ნ. II. თბილისი.

წმ. იოანე დამასკელი. 1993: სიტყვა ყველაწმინდა ღვთისმშობლის მიძინებისა, ანუ მიცვალებისათვის. *ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია.* II. გვ. 151-157. თბილისი (რედ. ლ. კვირიკაშვილი).

საკითხავი წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ გარდაცვალებისათჳს წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ. 1991: *კლარჯული მრავალთავი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა). გვ. 425-428. თბილისი (რედ. ელ. მეტრეველი).

***ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI სს-ის ხელნაწერების მიხედვით.* 1973:** (გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელ. მეტრეველმა). თბილისი (რედ. ე. მეტრეველი).

ხუსკივაძე ი. 2003: *ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური" მოხატულობანი.* თბილისი.

***Библейская энциклопедия*. 1990:** Москва.

Джанашвили М. 1914: *Каталог предметов церковного музея грузинского духовенства*. Тифлис.

Иерусалимская А. 1988: *Ткани собора св. Софии в Константинополе (В поэме Павла Силенциария). Северное причерноморье и кавказ IV – XVI вв.* Ленинград.

***Сербское шитье XIV-XIX веков. Каталог*. 1973:** Москва.

Матвеева Ю. 2011: Прообразы храмовой завесы и иконография византийских литургических текстильных произведений VI в. *Вісник Харківської державної академії дизайну і мистецтв.* #3. с.122-127. Харків

Убрус. Церковное шитье. История и современность. 2003: *Выпуск #1. с. 32-34. Санкт-Петербург.*

Привалова Е. 1980: *Роспись Тимотесубани*. Тбилиси.

Хускивадзе Л. 1981: *Грузинские Эмали.* Тбилиси.

Милеуниh С. 2001: *Музеј Српске Православне церкве*. Београд.

Milanovic V. 1989: The tree of Jesse in the Byzantine mural painting of the thirteenth and fourteenth centuries (A Contribution to the Research of the Theme). *Zograf.* #20. pp. 48-59

***Treasures of the Monastery of St.Catherine.* 1990:** Athens.

***Treasures of Mount Athos.* 1997:** Thessaloniki.

***The world of the Byzantine museum*. 2005:** Athens.

Pelikan J. 1990: *Imago Dei: the Byzantine apologia for icons.* Prinston.

Rutschowscaya M. 1990: *Coptic Fabrics.* Paris.

http://www.clevelandart.org

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. დადიანისეული კრეტსაბმელი

სურ. 2. დადიანისეული კრეტსაბმელი რესტავრაციამდე

სურ. 3. დადიანისეული კრეტსაბმელი. ქვედა ფრიზი (დეტალი)

სურ. 4. დადიანისეული კრეტსაბმელი. ცენტრალური არე (დეტალი)

სურ. 5. ქეთევანისეული კრეტსაბმელი. 1773 წ.

სურ. 6. გაიანესეული კრეტსაბმელი. 1811 წ.

სურ. 7. კვადრიფოლიუმი შემოქმედიდან. გურია. X ს.

სურ. 8. დაფარნა შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმიდან. XVIII ს.

სურ. 9. კოპტური კრეტსაბმელი ქრისტიანული სიმბოლოებით. კლივ-ლენდის მუზეუმი (აშშ, ოჰაიოს შტატი). 500 წ.

სურ. 10. კოპტური კრეტსაბმელი. ჩვილედი ღმრთისმშობელი. კლივლენდის მუზეუმი (აშშ, ოჰაიოს შტატი). VI ს.

სურ. 11. კრეტსაბმელი ბენაკის მუზეუმიდან (ათენი). V-VI სს.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Dadiani's Veil of the Royal Door

Fig. 2. Dadiani's Veil of the Royal Door before restoration

Fig. 3. Dadiani's Veil of the Royal Door a lower detail

Fig. 4. Dadiani's Veil of the Royal Door. Central part

Fig. 5. Qetevani's Veil of the Royal Door. 1773 BC.

Fig. 6. Gaiane's Veil of the Royal Door. 1811 BC.

Fig. 7. Quatrefoil from Shemokmedi. Guria (West Georgia). 10th c.

Fig. 8. Aer from the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts

Fig. 9. Coptic Veil of the Royal Door with Christian symbolic the Cliveland Museum. USA, Ohaio state. 500 BC.

Fig. 10. Coptic Veil of the Royal Door. The Virgin and Child. 6th c.

Fig. 11. The Veil of the Royal Door from the Athens Benaki Museum. 5th-6th cc.

სურ. 1 **Fig.**

სურ. 2 **Fig.**

სურ. 3 **Fig.**

სურ. 4 **Fig.**

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.



სურ. 11 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 431- 446
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 431- 446

ხელოვნებათმცოდნეობა

ეკა ბერელაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: kato_009@yahoo.com

ახალი მასალა XVII საუკუნის ნაქარგობის ისტორიიდან

„აჰა ქალწულმან მუცლად
იღოს და შვეს ძე და უწოდიან
სახელი მისი ემმანოილ"
(ესაია 7.14).

მხატვრული ქარგულობა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი ძველი დარგია, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ხალხთა ყოფასა და ადგილობრივ ტრადიციებთან. ქარგულობაში ვლინდება ხალხთა მხატვრული გემოვნება, სამეურნეო, ტექნოლოგიური და მატერიალური განვითარების დონე. ამ დარგს ჩვენშიც უძველესი ისტორია აქვს. შუა საუკუნეების საქართველოში, ბიზანტიის მსგავსად, იქმნებოდა ნაქარგობის მაღალმხატვრული ქმნილებები, რომელთა შორის განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებითა და ოსტატობით გამოირჩევა საეკლესიო ნივთები (დაფარნები, გარდამოხსნები, კრეტსაბმელები) და სასულიერო პირთა შესამოსელი.

მიუხედავად მეცნიერთა გარკვეული ინტერესისა, მხატვრული ქარგულობა ნაკლებადაა შესწავლილი [ბერელაშვილი ე. 2007: 118; ბარათაშვილი გ., ბერელაშვილი ე. ... 2011: 298]. შუა საუკუნეების ქართული ნაქარგობა მნიშვნელოვანწილად გვეხმარება აღვადგინოთ ამ დარგის განვითარების საერთო სურათი. ჩვენამდე მოღწეული საეკლესიო შესამოსელი გვიანფეოდალურ ხანას მიეკუთვნება. მათზე წარმოდგენილი კომპოზიციებითა და შემკულობით (ორნამენტი, მარგალიტი და ძვირფასი ქვები) ქარგულობა ასახავს ეპოქის მხატვრულ-კულტურულ თავისებურებებს. გვიანი შუა საუკუნეები – XVI-XVIII სს. ქართული კულტურის ისტორიაში მისი გამოცოცხლება-წინსვლითაა ცნობილი, რომელიც, ბუნებრივია, ქართულ საეკლესიო ნაქარგობაშიც აისახა. ის, უმთავრესად, ისტორიულ მემკვიდრეობას ემყარებოდა, პარალელურად კი ითვისებდა და ეროვნულ ნიადაგზე ამუშავებდა აღმოსავლური და დასავლური კულტურების მიღწევებს,ამავე დროს, სათანადო გავლენას ახდენდა მეზობელი ხალხე-

ბის კულტურაზე [საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1973: 357].

ნაქარგობა მრავალფეროვანი კოლექციებითაა წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურში, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი მიტრების კოლექციას უჭირავს. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში შემორჩენილია 25 მიტრა. მათ შორის გვხვდება როგორც ორიგინალური, ასევე რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ძლიერი ზეგავლენითა და მიბაძვით შესრულებული მიტრები. კოლექციის უადრესი მიტრა დათარიღებულია XVI ს-ის მეორე ნახევრითა და XVII ს-ის დასაწყისით.

მიტრა — მღვდელმთავართა თავსაბურავი ბიბლიურ წინასწარმეტყველებს უკავშირდება. კერძოდ კი, მღვდელმთავართა დადგინება და მათი შემოსვის წესი მოსე წინასწარმეტყველისგან იღებს სათავეს (ებრ. 8. 5). პირველად მანვე დაუწესა მიტრა ებრაელთა მღვდლებს თავსაბურავად, მაგრამ რამდენადაც მისმა მასალამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, იმდროინდელი მიტრის ფორმის წარმოდგენა დღეს შეუძლებელია. „დაბადების" მოკლე ტექსტი მხოლოდ მიტრის მასალაზე მიგვანიშნებს, ფორმასა და სხვა დეტალებს კი საერთოდ არ ეხება, მაშინ, როდესაც წმინდა წერილი დაწვრილებით აღწერს მღვდელმთავრის შესამოსელის ყოველ დეტალსა და მათი დამზადების წესს: „და ჰქმნა პეტალი ოქროჲსა წმიდაჲ და ჰსწახნაგო მას ზედა წახნაგებად ბეჭდისად სიწმიდე უფლისა. და დასდვა იგი ჯიაკინთსა ქუეშე გრეხილსა და იყოს მიტრასა ზედა, პირსა ზედა მიტრისასა იყოს. და იყოს შუბლსა ზედა აჰრონისასა და აღიხუნეს აჰრონ ცოდვანი წმიდათანი, რაოდენნიცა განწმიდნენ ძეთა ისრაჱლისათა, ყოველი მოსაცმელი წმიდათა მათთა, და იყოს შუბლსა ზედა აჰრონისსა სამარადისოდ მითუალულად მათთჳს წინაშე უფლისა". (გამოს. 28. 36-38). ქრისტიანული ტრადიციით, მიტრა სიმბოლურად ჯვარცმული მაცხოვრის ეკლის გვირგვინს აღნიშნავს. მისი ფორმა დაფუძნებულია საიმპერატორო გვირგვინზე. ამასთან, იგი ნიშანია „მეუფე მეუფეთასი", ანუ ქრისტესი [Лазарев В. 1970: 252-3]. თავდაპირველად, მიტრის ტარების უფლებით მხოლოდ ალექსანდრიის პატრიარქი სარგებლობდა. 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, მიტრის ტარება საყოველთაო გახდა როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებში [Jonstone P. 1967: 15]. ქართული სამღვდელმთავრო შესამოსელი და შესაბამისად, თავსაბურავიც მიუყვება აღმოსავლურქრისტიანულ ტრადიციას, მაგრამ, იმავდროულად, შემოქმედებითად იაზრებს მის დეკორსა თუ იკონოგრაფიულ სქემებს. წინამდებარე წერილში განხილული იქნება მიტრის ერთ-ერთი საინტერესო, თვითმყოფადი ნიმუში, რომელიც იქცევს ყურადღებას თავისი გამორჩეული ფორმითა და სახვითი სისტემით.

ცილინდრული ფორმის მიტრის (სხმ/ნ*№ 4456; ზომა: 22x17 სმ; მასალა: დიბა, ვერცხლი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი, აბრეშუმი, ზეზი, იაგუნდი, ლალი, საფირონი, ფირუზი, ამეთვისტო, მინა, მარგალიტი) ცაზე, წრეში, მოთავსებული ქრისტე მღვდელმთავრის ნახევარფიგურაა წარმოდგენილი (სურ. 1). ცაზე ასევე დამაგრებულია ფერადი ქვებით შემკული ლი-

* საქართველოს შალვა ამირანაშვილს სახელობის ხელოვნების მუზეუმი. ნაქარგობის ფონდი.

თონის ორი სალტე. მიტრას ქვემოთ მოვლებული აქვს ყავისფერი აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც მორთულია ოქროთი დაფერილი ვერცხლმკედით მოქარგული სტილიზებული მცენარეული ორნამენტით. მიტრის ძირს შემოუყვება სხვადასხვა ფერის მინით გაწყობილი ლითონის სალტე, რომლის ფრაგმენტები ანჯამებით ებმის ერთმანეთს. მიტრის ცილინდრულ ნაწილზე წარმოდგენილია ხარების კომპოზიცია: წინა მხარეს, უზურგო სკამის წინ, ფეხზე მდგომი ღვთისმშობელია (სამი მეოთხედით) ნართით ხელში. მას მარცხენა ხელი ძირს აქვს დაშვებული, მაფორიუმით „შებოჭილი" მარჯვენა ხელის მტევანი კი მაყურებლისკენაა მიმართული[1]. ღვთისმშობლის ზემოთ აწეული მარჯვენა ხელი გაშლილი ხელისგულით, ჩვეულებრივ, გამოხატავს მის გაოცებას [Покровский Н. 1890: 9]. ღვთიმშობლის მოპირდაპირე მხარეს მახარებელი გაბრიელ მთავარანგელოზია წარმოდგენილი. მას ერთი ფეხი წინ აქვს გადადგმული, მეორე კი თითქოს ჰაერში აქვს გაშეშებული. მისი სხეულის მოძრაობა ნაკარნახევია სცენის შინაარსით. მიტრაზე არსებული სვეტების გარეთ, ორივე მხარეს, ვერტიკალურად განთავსებული ორ-ორი ქერუბინია. მიტრის წინა და უკანა მხარეს არსებული ღია არეების შესავსებად გამოყენებულია ტრაპეციას მორგებული ნაქარგობის ფრაგმენტები ტეტრამორფებისა და ვარსკვლავა (სამფურცლა, ოთხფურცლა და რვაფურცლა) ყვავილების გამოსახულებებით. წყვილად წარმოდგენილ ტეტრამორფებს ერთმანეთისაკენ მიმართული და პროფილში გამოსახული ადამიანთა სახეები აქვთ უკან გადავარცხნილი შავი თმით. ეს მიტრა მოხსენიებული აქვთ კონდაკოვსა და ბაქრაძეს. ნივთი მათს დროს გელათის მონასტრის საგანძურში ინახებოდა, საიდანაც გადმოიტანეს ხელოვნების მუზეუმში. ავტორები მიტრას მოკლე აღწერილობით XVII სს-ით ათარიღებენ. სხვა კვლევა ამ მიტრასთან დაკავშირებით დღემდე არ ჩატარებულა [Кондаков Н., Бакрадзе Д. 1890: 38]. წინამდებარე წერილში პირველად წარმოვადგენთ ჩვენი კვლევის შედეგებს. მხატვრულ – სტილური და იკონოგრაფიული ანალიზის საფუძველზე განვსაზღვრავთ მიტრის ისტორიულ მნიშვნელობასა და მის თავისებურებას.

განსახილველ მიტრას ანალოგი არა აქვს ქართულ მასალაში. იგი გამოირჩევა როგორც ფორმით, ასევე მასზე გამოსახული „ხარების" კომპოზიციით. არც მისი ცის გაფორმებაა ტრადიციული. მიტრის ცაზე, უმთავრესად, გამოისახება მაცხოვრის სიმბოლო – ჯვარი[2]. ჯვარი, თავისთავად, ქრისტეს სიმბოლოა და მის გამოსახულებებს ქრისტიანულ ხელოვნებაში ხშირად ენაცვლება. განსახილველ მიტრაზე ჯვრის ადგილი დაიკავა მაცხოვრის გამოსახულებამ: მიტრის ცის შუაგულში, მრგვალ მედალიონში, ვერცხლის თმით მოსითვულ მიწარზე, მაცხოვარი მღვდელმთავრის ნახევარფიგურაა გამოსახული, ვინაიდან ცა უფლის სამყოფლად მოიაზრება: *„ზეცას არს საყდარი მისი"* (ფს. 10. 4), *„უფალმა ცაში დაიდგა ტახტი და მეუფება მისი ფლობს ყოველივეს"* (ფს. 102. 19), – ვკითხულობთ

[1] ასეთი იკონოგრაფიული ტიპი სათავეს იღებს VIII-IX სს-ის კაპადოკიის კედლის მხატვრობაში [ჭიჭინაძე ი. 2004: 115].

[2] სხმ/ნ № № 3839, 4455, 4457, 4461, 4893, 4911, 4890 მოგვიანებით, როდესაც რუსული გავლენა მატულობს, მიტრების ცაზე მინანქრის მედალიონებს ათავსებენ. თუმცა, არც ამ შემთხვევებშია უარყოფილი ცაზე ჯვრის გამოსახვა.

ფსალმუნში[3]. თავსაბურავის იკონოგრაფია აზუსტებს პატრიარქ არსენიოსის ერთ-ერთი მხარდამჭერის სიტყვებს, რომ ქრისტე არის ეკლესიის თავი, ხოლო პატრიარქი მისი სახე [Warren T., Woodfin. 2003: 16]. მაცხოვრის თავს ჯვრული შარავანდი ამშვენებს. მას მოსავს ოქროსფერი ჰიმატიონი და ვერცხლისფერი კვართი. ოსტატი ორფერი სამოსით მის ორბუნებოვნებას უსვამს ხაზს. მართლმადიდებლური საქრისტიანოს ხელოვნებაში მაცხოვრის ოქროსფერი სამოსი მისი მეუფებისა და დიდების ხაზგასმაა. მხრებზე დაფენილი წაბლისფერი თმა შესრულებულია ყავისფერი ზეზით, რისი ანალოგიც ქართულ ნაქარგობაში აქამდე არსად შეგვხვედრია (ტრადიციულად, თმა-წვერი და სახის ნაკვთები აბრეშუმის ძაფით იქარგებოდა)[4]. მაცხოვრის ანალოგიური იკონოგრაფიული სახე ტიპურია, ზოგადად, XVII ს-ის ხელოვნებისათვის [Маясова Н. 2004: 433; The Splendour of Heaven ... 2001: 142] და ტრადიციულია ოლარ-ომოფორებისა და ენქერების მორთულობისთვის.[5] აქედან გამომდინარე, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ მიტრისთვის გამოყენებული და წრეში მოთავსებული „მაცხოვარი ყოვლისმპყრობელი" ადრე რომელიმე ენქერზე ან ოლარზე იყო გამოსახული.

მიტრის შემქმნელი ოსტატი არ არღვევს მიტრებისათვის საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ იკონოგრაფიულ პროგრამას, კერძოდ კი, „მიწაზე" განკაცებული უფლის მიწიერი ცხოვრების ამსახველი კომპოზიციების გამოსახვის ტრადიციას. ეს იკონოგრაფიული პროგრამა ყველა მიტრაზე სხვადასხვა კომპოზიციითაა წარმოდგენილი [ბერელაშვილი ე. 2007: 118]. განსახილველი მიტრის გვერდებზე, ყავისფერი აბრეშუმის ქსოვილით აღნიშნულ „მიწაზე"[6], ოსტატი მაცხოვრის განკაცების დასაწყისის აღმნიშვნელ კომპოზიციას — „ხარებას" განათავსებს. ცაზე კი მაცხოვრის ნახევარფიგურის გამოსახვით მისი ღვთაებრიობის, ყოვლისმპყრობელობის იდეას უსვამს ხაზს. მიტრის გვერდებზე წარმოდგენილი „ხარება", რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მიტრებისათვის საკმაოდ უჩვეულო კომპოზიციაა.

„ხარების" იკონოგრაფიას, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ხელოვნების სხვადასხვა დარგში, საფუძვლად უდევს ლუკას სახარება (ლუკა 1. 26-39). „ხარების" დღესასწაულის ძირითადი იკონოგრაფიული პრინციპები უკვე V ს-ში ყალიბდება. მიტრაზე წარმოდგენილია „ხარების" იკონოგრაფიულ გამოსახულებათა ერთ-ერთი ვარიანტი — „ღვთისმშობელი პალატებში" ხელსაქმით ხელში, სადაც მას გაბრიელ მთავარანგელოზი ეცხადება: მარცხნივ — მარიამი ნართით ხელში, მარჯვნივ – მთავარანგელოზი გაბრიელი კვერთხით. ეს კომპოზიცია გრიგოლ ღვთისმეტყველის აპოკრიფული ტექსტითაა ნაკარნახევი[7].

---

[3] მიტრის ცაზე მაცხოვრის ნახევარფიგურის ანალოგიური გამოსახულებებია მიტრაზე *Dionysiou-ს მონასტრიდან. XVII ს.* [Treasures of mount Athos.1997: il. 11,7] *და მიტრაზე პატმოსის წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტრიდან. XVI/XVII სს.* [Jonstone P. 1967: il.16].

[4] სხმ/ნ № № 2649, 3758, 3837,111, 2227, 779.

[5] სხმ/ნ № № 1361, 79, 3792, 1717, 2883, 2904, 2949, 3678, 2946, 207, 3667.

[6] ყავისფერი მიწის სიმბოლოა [Cooper F. 1986: 50].

[7] ღვთისმშობლის ხელსაქმით გამოსახვის მაგალითები გვაქვს მარიამისეულ (1632-1862 წწ.) ომოფორზე; ამავე პერიოდის ბერძნულ საბუხარებზე სტავრონიკიტას მონასტრიდან (XVII ს.) [Theocharis M. 1972: 91]; მინიატიურულ მხატვრობაში, ანჩისხატის გულანის „ხარების" სცენაში (XVII ს-ის II ნახევარი) [Девдариани Ф. 1978: 88].

მთავარანგელოზი მაშინ შედის მარიამთან, როდესაც ის ძოწეულით ფარდას ქსოვს იერუსალიმის ტაძრისთვის. ეს ფარდა სიმბოლოა ხორცშესხმული იესო ქრისტესი, რომელიც „იქსოვება" ღვთისმშობლის წიაღში მისი სისხლითვე ისევე, როგორც ფარდა ძოწეულის ნართით [Покровский Н. 1890: 676]. „ხარების" იკონოგრაფიაში წმ. მარიამი სართავით ხელში ერთ-ერთი ადრეული და გავრცელებული ვერსიაა, რომლის უადრესი მაგალითები VI-VII სს-ით თარიღდება [Покровский Н. 1890: 676]. ხარების ეს იკონოგრაფიული ვერსია ტრადიციულია პალეოლოგოსთა ხელოვნებისათვისაც [ჩიხლაძე ნ., გაგოშიძე გ., 2006:109]. ხარების კომპოზიციაში ღვთისმშობლის ხელსაქმით გამოსახვა განსაკუთრებით XVII ს-ში გავრცელდა [Покровский Н. 1890: 29].

მიტრის კომპოზიციაში ღმრთისმშობელს აქვს ოდნავ მოგრძო სახის ოვალი „მძიმე" ნიკაპითა და დაბალი, სქელი კისრით, წითელი ძაფით მინიშნებული პატარა ტუჩებით, ფართო თვალების ნუშისებური ჭრილით, ოდნავ მორკალული წარბებით, ამავე ფერის წვრილი ხაზით გამოყვანილი ცხვირის კონტურით. ფართო, „მძიმე" მაფორიუმი მთლიანად უფარავს სხეულს ისე, რომ ფეხები საერთოდ არ უჩანს. ქალწული მარიამი თითქოს გაშეშებულია. მისი სხეული მოკლებულია ყოველგვარ პლასტიკურობას. ღვთისმშობლის მშვიდი გამომეტყველება უფლის ნებისადმი მორჩილებას გამოხატავს. ღვთისმშობლის მაფორიუმი, ისევე, როგორც მის ზურგს უკან მდგარი ტახტი, „ძვირფასი ქვებითაა" მორთული. მახარებელ ანგელოზსაც მასიური სახე აქვს: სახის ნაკვთები და გამოსახვის მანერა მსგავსია ღვთისმშობლისა. მხარზე დაფენილი აქვს წაბლისფერი თმა. მისი სხეული, განსხვავებით ღვთისმშობლისაგან, უფრო მოძრავი და დინამიკურია, რაშიც მას წინ გადადგმული ნაბიჯი „ეხმარება", თუმცა, გაშლილი ფრთები ჰაერშია გაშეშებული. ანგელოზს მარცხენა ხელში სამფურცლა ყვავილი (შროშანი) უჭირავს, მარჯვენა კი ზემოთ აქვს აღმართული, კურთხევის ნიშნად. ორივე ფიგურის სახისა და სხეულის ფორმათა დამუშავების ხასიათი სტილურ სიახლოვეს ამჟღავნებს XVII ს-ის ქართული ნაქარგობის არაერთ ძეგლთან (დაფარნათა კომპლექტი სვეტიცხოვლიდან, მარიამ დედოფლის დიდი და მცირე ომოფორები, მარიამ დედოფლისეული დაფარნა და ენქერები, გიორგი XI-ის ენქერი)[8].

ანგელოზის წინ მდგარ ორყურიან ლარნაკში შროშანია მოთავსებული[9] (სურ. 2). საქართველოში შროშანი „ხარების" კომპოზიციაში XVI ს-დან შემოდის[10]. ქრისტიანულ ხელოვნებაში შროშანის სიმბოლური მნიშვნელობა ძალზე ვრცელია: იგი სიწმინდის, უმანკოების, ღმრთისმშობლის სიმბოლოა, ნიშანი „აღდგომისა" და „ამაღლებისა". ღეროდ აღმართული შროშანი ღვთიური აზრის გამოხატულებაა [Cooper F. 1986: 90]. იგი, სხვა

[8] მასალა დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში.

[9] შროშანის ლარნაკსა და ანგელოზის ხელში ერთდროული გამოსახვის მაგალითი გვაქვს 1756 წლით დათარიღებულ სომხურ კრეტსაბმელზე [Сокровишя Ечмиадзина. 1984]

[10] ხობის ჭედური კარედი ხატი. XVII ს., ბობნევის მხატვრობა. XVIIს., პაპუა მაღალაძის კაპელის მოხატულობა. XVII ს, XVII ს-ის ფერწერული კარედი ხატი. გელათიდან. ილ. 568. [Чубинашвили Г. 1959: ილ. 568; ფირალიშვილი ო. 1952: ტაბ. IX; გელათი 900. 2007: ილ. 226]. ხელოვნების მუზეუმში დაცული საკოსი. სხმ/ნ № 1364, საბუხარები №№ სხმ/ნ102; 3490; 3491; 2226; 2230; 1974; ომოფორი. სხმ/ნ № 1446; სამღვდელმთავრო სარტყლის ჭედური ბალთა სხმ/ნ№ 3758.

ყვავილების ანალოგიურად, სიმბოლოა ზეციური სამოთხისა, სულთა საბინადროსი. ყვავილი, ზოგადად, მაცხოვრის ეპითეტია: „შენ რომელმან გამოიღე ყვავილი იგი განმასულებელი კიდეთა სოფლისაჲთა, ღირსო, უბიწოო მშობელო" [ნევმირებულნი ძლისპირნი. 1982: 885]. მიტრაზე წარმოდგენილ შროშანის გამოსახულებაში რამდენიმე სიმბოლური მნიშვნელობაა გაერთიანებული: შროშანი მინიშნებაა ყრმის უბიწო ჩასახვისა. იმავდროულად, ის ღვთისმშობლის სიწმინდის, თავად მაცხოვრის, მისი აღდგომისა და ამაღლების წინასწარ უწყების სიმბოლოა (სამფურცლა ყვავილი კი მიგვანიშნებს სამებასა და სამ საღვთისმეტყველო სათნოებაზე: სარწმუნოებაზე, სასოებასა და სიყვარულზე) [ბარათაშვილი გ. 2003: 71]. „ხარებაში" მთავარანგელოზისა და ღვთისშობლის შარავანდის აქეთ-იქით განაწილებულია განმარტებითი ასომთავრული წარწერები. სიტყვაში — *„ყოვლად წმიდა"*, სადაც ბოლო *„ა"* მხედრულითაა შესრულებული[11]. თითოეული ფიგურა მოთავსებულია ორ სვეტს შორის. ქრისტიანულ იკონოგრაფიაში სვეტი მრავალმხრივი სიმბოლიზმითაა დატვირთული. იგი ბიბლიაში გადატანითი მნიშვნელობით მოიხსენიება როგორც ეკლესიის, ასევე მაცხოვრის აღსანიშნავად (გამოცხ. 10. 1). ცის სეგმენტიდან გამომავალი სხივები სვეტის გარეთაა გამოსახული, ხოლო ღვთისმშობლის თავზე გადმომავალი სულიწმინდა, რომელსაც მტრედის სახე აქვს, „არღვევს" სვეტის კაპიტელს[12]. ბიზანტიური ძეგლების „ხარების" კომპოზიციაში, თავდაპირველად, არა უადრეს XI ს-სა, სულიწმინდის გამოსახულება ზეციდან მომავალი სხივების სახით ჩნდება, ხოლო შემდეგ ამ სხივებში უკვე სულიწმინდა მტრედის სახით გამოისახება, რომელიც XVI, განსაკუთრებით კი XVII ს-ში ხდება „ხარების" სცენის განუყრელი დეტალი[13]. როგორც ითქვა, მიტრაზე არსებული სვეტების გარეთ, ორივე მხარეს, ვერტიკალურად განთავსებული ორ-ორი ქერუბინია, რომლებიც უფალმა სამოთხის დარაჯებად დაადგინა (დაბ. 3. 24). ქერუბინთა შორის კი სამ-სამი რვაქიმიანი ვარსკვლავია ამოქარგული. ვარსკვლავები აქ ოსტატმა, როგორც ჩანს, მაცხოვრის მოვლინების შესახებ წინასწარი უწყების ნიშნად მოათავსა (მათე 2. 9; გამოცხ. 22. 16; ფს. 148. 1-3). რიცხვ რვას დამატებითი სიმბოლური დატვირთვაც აქვს. იგი მეორედ მოსვლასთანაა დაკავშირებული (მათე. 25. 31). რიცხვი რვა კოდია წარღვნას გადარჩენილი მართალი ნოეს შთამომავალთა, რადგან ბიბლიურ წარღვნას „ცოტანი, რვა სული გადაურჩა". რვა შვილი ჰყავდა იესეს, დავითის მამას (1 მეფ. 16. 10-11). რვაქიმიანი ვარსკვლავი ნიშანია მომავალი მარადიული ნეტარებისა. რვა, ქრისტიანული სახისმეტყველებით, მერვე, ანუ განკითხვის დღის — უფლის მეორედ მოსვლის სიმბოლოა. გარდა ამისა, ვარდულების მოტივი ხშირად (ოთხფურცლიანი, რვაფურცლიანი) გამოიყენებოდა ჯვრის აზრობრივი მნიშვნელობითა და მის სანაცვლოდ. ვარდულები ჩვენს საკვლევ მიტრაზე ჯვრების სინონიმადაა წარმოდგენილი. ვარდულის ამგვარი სე-

[11] XVII ს-დან ჩნდება ასომთავრულში შერეული მხედრულით შესრულებული ასოები ჭედურობაში. [საყვარელიძე თ. 1976: 88].ასეთივე მაგალითები გვაქვს ამავე პერიოდის ნაქარგობაშიც [ბარათაშვილი გ. 2000: 118; ბარათაშვილი გ. 2003: 73]

[12] ანალოგიური შემთხვევაა უბისის კარედ ხატზე. XVI ს. [საყვარელიძე თ., ალიბეგაშვილი გ. 1980: ტაბ. 45].

[13] ბუგეულის კედლის მხატვრობა, აწყურის, თორმეტი დღესასწაულის, ცაიშის, უბისის, გელათის ჭედური ხატები; ფერწერული კარედი ხატი გელათიდან. [Покровский Н. 1890: 30; Cristiani a'oriente…. 1999: tab: 43, 69, 112, 147].

მანტიკური გაგების არაერთი მაგალითი გვაქვს ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე [მაჩაბელი კ. 2007: 38]. საეკლესიო მხატვრულ ნაქარგობაში ჯვრული ფორმის ვარსკვლავი მიანიშნებს იარაღს, რომლითაც იესო ქრისტემ იხსნა კაცობრიობა[14]. მაცხოვრის შობისას ბეთლემის თავზე აღმობრწყინებული რვაქიმიანი ვარსკვლავი გზას უჩვენებდა მოგვებს. როგორც ვარსკვლავის ქიმები, ასევეა მაცხოვრის შობა და ჯვარცმა ერთმანეთთანაა დაკავშირებული [Schulz H. 1965: 37]. ა. გრაბარის აზრით, ვარსკვლავი სიმბოლური განსახიერებაა ღმერთის განსხეულების სასწაულისა [Grabar. A. 1958: 60-61]. განკაცებული მნათობი – იესო ქრისტე ასოცირებულია მზესთან, მთვარესთან, ცისკრის ვარსკვლავთან [ინწკირველი ც. 1990: 153]. მაცხოვარი მღვდელმთავრის მეუფება – მიტრის ცაზე დაკავშირებულია ასევე ხარების სახარებისეულ ტექსტთან, ვინაიდან ახალ აღთქმაში ლაპარაკია ქრისტე მღვდელმთავრის ზეციურ სიდიადეზე, რომელიც ღირსებითა და ძალაუფლებით უპირატესია ყოველგვარ მიწიერზე. ლუკას სახარებაში მთავარანგელოზი გაბრიელი მარიამს მისი შვილის მომავალ დიდებას აუწყებს (ლუკა 1. 32-33).

მიტრაზე მაცხოვრის გამოსახულება, ისე, როგორც კომპოზიციის ყველა დეტალი, მოკალმულია სხმული მარგალიტით. სხვა გამოსახულებებთან შედარებით უხვადაა შემკობილი მარგალიტით ღვთისმშობლის გამოსახულება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დედაღვთისას ღვთაებრიობასა და სიწმინდეს. ქრისტიანულ სიმბოლიკაში მარგალიტი საღვთო, განწმენდილი აზროვნების, მისი უცვლელობის, მუდმივობის სიმბოლოა. ანტონ პირველი მას ასე განმარტავს: *„ძიება იგი უსასყიდლოსა მის მარგალიტისა არს უდიდესი ხმევა სიბრძნისა ფილოსოფოსობასა შინა უსაღმრთესსა, ვითარმედ მაძიებელი იქმს. თვის შორის წარდგინებასა ნივთთა ყოველთასა უსავსეს და უწულილეს განყოფით და განსჯის თითოეულსა მათსა და გებადსა და დადგრომასა აღმოაჩინებს"* [ღვთისმეტყველება: 558]. აქ ავტორი, უწინარეს ყოვლისა, ეყრდნობა სახარებას, სადაც ეს „უსასყიდლო მარგალიტი" სიმბოლოა სასუფევლისა: *„მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებნ კეთილთა მარგალიტთა"* (მათე 13. 45). ამიტომაც დაერქვა წმინდა მამათა კრებულს „მარგალიტი".

სხმული მარგალიტის მარცვლები დაცილებულია ერთმანეთს კვანძების მეშვეობით. ბმულადი ყოველი მარცვლის შემდეგაა გაკეთებული. მარგალიტის შადის[15] ჩამაგრების ასეთი ხერხი ესთეტიკურად მეტად შთამბეჭდავია, რამდენადაც იგი გამოსახულებას სიმსუბუქესა და დინამიკურობას ანიჭებს. XVI ს-დან შესამჩნევად გახშირდა ნაქარგ ნივთებზე მარგალიტის გამოყენება კონტურების გასაფორმებლად[16], რაც სრულიად ცვლის კონტურების ხასიათს და აქრობს ნაქარგობის მსგავსებას ხატებთან. ცხადია, კონტურებისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო წვრილი მარგალიტი, ხოლო შარავანდებისათვის — შედარებით მსხვილი [Калинина Е. 1929: 148; Маясова Н. 1960: 58]. მიტრის „ცაზე" წარმოდგენილი მაცხოვრის ნახევარფიგურა ლითონის პეტალებისაგან შედგენილ ორმაგ

[14] საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული საბუხარები. სხმ/ნ № № 2570, 102, 2230, 2226

[15] შადა — ძაფზე ასხმული მარგალიტი, ანუ შარადი [ჩუბინაშვილი ნ. 1961: 1390].

[16] სხმ/ნ № № № 3938; 3677; 3689; 3837; 4389 ; 3673; 3674; 3738; 4392; 2208; 2209.მარგალიტის კვალი ამჩნევია მარიამ დედოფლისეულ ენქერს. სხმ/ნ № 3667, თუმცა, ახლა აღარაა შემორჩენილი მარგალიტი.

წრეშია მოთავსებული. ამჯერად სხვადასხვა ფერის ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვით გაფორმებული (ფირუზი, გრანატი, იაგუნდი, ამეთვისტო, საფირონი). ორი წრე მაცხოვრის ორბუნებოვნების ნიშანია [Cooper F. 1986: 25]. ძვირფასი ქვებით კი, განსაკუთრებით XVII ს-დან, ხშირად იმკობა საეკლესიო შესამოსელი[17] და, მათ შორის, მიტრები, რამდენადაც „თვალნი პატიოსანნი ღვთის თვალად დასახულ ციურ ხომლთა საყოველთაოდ ცნობილი სიმბოლოებია" [ინწკირველი ც. 1990: 149]. რაც შეეხება წრეს, გეომეტრიულ ფორმათა შორის წრე ყველაზე სრულყოფილი უნივერსალური სიმბოლოა. დაუსაბამობის, უსასრულობის გამო ღმერთი წრესაა შედარებული: „რომლის ცენტრი ყველგანაა, გარშემოწერილობა კი – არსად" [Cooper F. 1986:99]. მარადისობით მოსილი მაცხოვრის ნახევარფიგურა სამოთხის წიაღშია ჩართული, რაზეც მიანიშნებს სახიანი აბრეშუმის ქსოვილი, რომლითაც ლითონის წრეთაშორისი არეა შევსებული, ქსოვილზე სამოთხის მიმანიშნებელი მცენარეული სახეები (ოთხფურცლა ყვავილები) იკითხება. ყვავილებს შორის მაცხოვრის გამოსახვით ოსტატი თითქოს ეხმიანება ბასილი კესარიელის სიტყვებს: *„მიგაწიო სასუფევლად, შეგიყვანო მწუანოდანსა სამოთხისასა, დაგუსუა ტაბლასა ზეცისასა"* [ბასილი კესარიელი. 1955: 141]. ყვავილი მაცხოვრის ერთ-ერთი ეპითეტია: *„და გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესესსა, და ყუავილი ძირისაგან აღმოვიდეს"* [Чубинашвили Н. 1972: 95]. ახალ აღთქმაში სასუფეველი ღმრთისა და სასუფეველი ცათა გაიგივებულია (მათე 28. 18).

მიტრაზე დაცული ნაქარგობის კოლორიტი ერთიანი და ჰარმონიულია, ორი ფერის (ოქროსა და ვერცხლისფერის) შეხამებით შექმნილი. მიწარი ვერცხლისფერია, გამოსახულებები კი – ოქროსფერი. ოქრო მიტრის მხატვრულ ეფექტში წინა მხარესაა წამოწეული და თითქოს ღვთაებრივი ნათლის იდეით აერთიანებს მიტრაზე წარმოდგენილ გამოსახულებებს, როგორც მხატვრულად და აზრობრივად, ასევე სიმბოლურად. ოქროსფერითვეა შესრულებული ნართი ღვთისმშობლის ხელში, რომელიც, ჩვეულებრივ, ძოწისფრით გამოისახება. როგორც ყველა საეკლესიო დანიშნულების ნივთში, ფერი აქაც ქრისტიანულ სიმბოლიზმს ემყარება. ცთომილი მზის სიმბოლო – ოქრო ქრისტიანობაში განკაცებული მნათობის, ღმერთკაცი ქრისტეს ატრიბუტია [ინწკირველი ც. 1990: 152]. ძე ღვთისა — „დიდების ნათება", „სამყაროს მეუფე" ამ ცნებებს ყველაზე მეტად შეესატყვისება ოქროსფერი – ფერი სამეუფეო და სამღვდელმთავრო დიდებისა. გარდა ამისა, ოქრო ქალწულებრივი სიწმინდის სიმბოლოა (ფსალ. 44. 10, 14). ბიზანტიელებისათვის ოქრო იყო ჭეშმარიტების, დიდების, ღვთაებრივი ენერგიის სიმბოლო. ოქრო სინათლისა და უხრწნადობის მუდმივი მეტაფორაა [Аверинцев С. 1973: 45]. უფალი იესო ქრისტე არის „სინათლე სინათლისაგან". რადგან თვით ქრისტემ თქვა თავისთავზე – „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ" (იოანე 8. 12). ამიტომ ოქრო "მყარი სიმბოლოა ჭეშმარიტების" [Настольная книга священнослужителя. 1983: 149]. ოქრო ყველაზე ახლო და პირდაპირი სიმბოლოა ღვთაებრივი ნათლისა, თვით თავისი არაპიგმენტური, ლითონური ბუნებითაც: პრიალი, მაქსიმალური

[17] წარწერიდან ვიგებთ რომ მარიამ დედოფალს „თვალითა და მარგალიტითა შეუმკია ომოფორი და რუისის ხატისთვის შეუწირია თუმცა ამჟამად თვალ-მარგალიტი აღარ არის ომოფორზე სხმ/ნ 1360.

შუქმნათობა, ცხადია, ყველაზე პირდაპირი მინიშნებაა უფალზე. ამიტომაც გამოიყენებოდა ოქრო შარავანდებსა და ფონზე ზეციური საუფლოს აღსანიშნავად [დიდებულიძე. მ. 2007: 98]. თავშეკავებული ფერადოვნება მხოლოდ მიტრის გვერდებზე გამოსახული ტეტრამორფების მწვანე ფრთებსა და ყვავილებს შეაქვთ. „მწვანე სემანტიკურად სულიწმინდის, უფლის ცხოველმყოფელობის, სიცოცხლის, სიყმაწვილის, ახალი სიცოცხლის ფერია. *„და ვითარმედ იგი არის მომცემელი ყოველთა საზრდელისაი, რამეთუ ყოველივე თესლი და მყოფი მწვანისფერ იქმნების* და *კუალად გამოაცხადებს"* [ჩიქოვანი ნ. 1978:17].

მიტრის ნაქარგობის მიწარი ვერცხლის თმითაა მოსითვული, გამოსახულებები (ღვთისმშობელი, მთავარანგელოზი, ქერუბინები, სვეტები, მაცხოვარი, ყვავილები) – ოქროს თმით, სახეები და ხელები, კი, ქართული ტრადიციის მიხედვით – ზეზით. ზეზის გამოყენება სხეულის შეუმოსავი ნაწილების მოსაქარგავად საყოველთაო ხდება XVII ს-ში[18]. მიტრაზე ნაქარგობა, ძირითადად, ნამაგრი სითვის, „თევზიფხურის" ტექნიკითაა შესრულებული. „კალათურით" ამოქარგული სვეტები, თითქოს მარმარილოთია შემკობილი.

მიტრის შესამკობად გამოყენებული თვალბუდეები არაერთგვაროვანია. ისინი სხვადასხვა ფორმის ქვებზეა „მორგებული", რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია მიტრის დასათარიღებლად, როგორც რენე შმერლინგი აღნიშნავს, XVI-XVII სს-ში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ფორმისა და ზომის თვალბუდეები. ამ პერიოდისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია თითქმის გრაფიკული ხასიათის ბუდეები მინიმალურად გამოვლენილი ფორმებით ან ენერგიულად მომრგვალებული „პარკის" ფორმით. ბუდის კონუსურობაც ტიპურია ამ დროისათვის. „ხშირ შემთხვევაში ბუდეები იმეორებენ ქვის ფორმას, მიჰყვებიან მის არასწორ ნახატს" [Шмерлинг Р. 1933-34: 357].

განსახილველ მიტრას სწორი, ცილინდრული, „ცის" მიმართულებით ოდნავ გაფართოებული ფორმა აქვს[19]. საბუხარებისათვის დამახასიათებელი ტრაპეციის ფორმა, რომელზეც შესრულებულია „ხარების" კომპოზიცია, ეჭვს არ ტოვებს, რომ საკვლევი მიტრის ნაქარგობა თავდაპირველად სწორედ საბუხარებისათვის იყო განკუთვნილი. ათორმეტი საუფლო დღესასწაულთაგანი – „ხარება" საეკლესიო ქარგულობაში ყველაზე ხშირად საბუხარებზე გამოისახებოდა [მელიქიშვილი ი. 1996: 131; Post-Byzantium: The Greek renaissance. 2002: il. 47, 49; Treasures of mount athos. 1997: il.11, 16, 17, 21, Jonstone P. 1967: il. 20, 21, 22, 23, 25 ,27; ΙΕΡΑ ΚΕΙΜΗΛΙΑ ΤΟΥ ΠΑΝΑ–ΓΟΥ ΤΑΦΟΥ. 2006. il. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8; Маясова Н. 2004: ил. 77, 78, 146; Greece at the Benaki Museum. 1997: il. 503, 504, 505, 507; Patmos les tresors du monas-

[18] მარიამ დედოფლისეული ენქერი (1632-1680 წწ.) ენქერები წილკნიდან; თეიმურაზ მუხრან – ბატონის ენქერი; მარიამ დედოფლისეული დიდი ომოფორი; თუთას დაფარნები; „ლელას" საბუხარები და ა.შ.

[19] ანალოგიური ფორმა აქვს მიტრას Dionysiou-ის მონასტრიდან. XVIIს. ასეთი ფორმის მიტრები მიეკუთვნება დაბალცილინდრიან მიტრებს, რომლებიც, როგორც ჩანს, მომდინარეობს ბერთა თავსარქმელებისაგან. მაგალითები შემონახულია მრავალ მონასტერსა და მუზეუმში [Treasures of mount Athos. 1997: ill. 11, 7; Greece at the benaki museum. 1997: ill. 513; 518 ; Patmos les tresors du monastere. 1988: ill. 24-25; 26-27; Sinai treasures of the monastery ekdotike. 1990: ill. 11 ; Post-Byzantium: The greek renaissance. 2002 : ill. 45; Cristiani a'oriente…. 1999: tab: 115; 116; Маясова Н. А. "2004:il.97].

tere. 1988: il. 23; Warren T. Woodfin 2012: 98,107].

მიტრა შედგენილია საეკლესიო დანიშნულების მხატვრული ქარგულობისა და ჭედურობის სხვადასხვა ფრაგმენტით[20].

XVIII-XIX სს-ში გახშირებულია ნაქარგი ნივთებისათვის ადრინდელი ქარგულობის ცალკეული დეტალების გამოყენება. რასაც, როგორც ჩანს, ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა განაპირობებდა. თუმცა, უფრო ადრეც ხდებოდა დაძველებული ნივთის გადაკეთება ან რესტავრირება სხვა ნივთების ნაწილებით [კეცხოველი მ. 2000: 99]. მაგალითად, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული ყოფილა ქოშის პირებისგან შედგენილი დაფარნა[21] (შემორჩენილია ძველი ფოტო). გვხვდება სხვა ნივთებისგან შეკერილი ენქერები, ომოფორი, საკოსი, სამოსის ქსოვილისაგან შედგენილი საბუხარები და ა.შ.[22] მიტრისთვის საჭირო ფორმის მისაცემად, საბუხარების გარდა, ოსტატმა გამოიყენა საეკლესიო დანიშნულების სხვა ნივთების დეტალებიც. მიტრის წინა და უკანა მხარეს არსებული ღია არეები შევსებულია ტრაპეციას მორგებული ძველი ნაქარგობის ფრაგმენტებით. თითოეული ფრაგმენტი ორ ნაწილადაა გაყოფილი „კალათურით" შესრულებული ოქრომკედის ზოლით, რომლის ორივე მხარეს გამოსახულია თითო ტეტრამორფი და ვარსკვლავა (სამფურცლა, ოთხფურცლა და რვაფურცლა) ყვავილები. პროფილში გამოსახული ტეტრამორფები კი საეკლესიო ნაქარგობაში ჩნდება არაუადრეს XVI ს-სა[23] და ფართოდ ვრცელდება მომდევნო პერიოდშიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „საბუხარების" მიწარი ვერცხლის თმითაა მოსითვული, ზემოთ აღწერილი ფრაგმენტების მიწარი კი — ოქროს თმით, მიტრის შემადგენელ ნაწილებს შორის იოლად შესამჩნევია გამოყენებული მასალის სხვადასხვაგვარობა და შემსრულებლის განსხვავებული ხელი. ამდენად, სრულიად აშკარაა, რომ ისინი სხვადასხვა პიროვნების მიერ და სხვადასხვა პერიოდშია შესრულებული. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ოსტატს მიტრის „შეკოწიწება" განსხვავებული მზა მასალისგან უწევდა, მან კარგად იცოდა მიტრისთვის შემუშავებული იკონოგრაფიული პროგრამები, რომელიც არ დაარღვია და მიტრის ცაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადრინდელი ნაქარგობის ნიმუში მაცხოვრის ნახევარფიგურით მომგებიანად გამოიყენა.

მიტრაზე არ გვხვდება არც ერთი შემთხვევითი დეტალი. ავტორმა აზრობრივად და კომპოზიციურად გაამთლიანა ნაქარგობის უკვე არსებუ-

---

[20] მიტრას რესტავრაცია ჩაუტარა მ. პაპიძემ, რესტავრაციამდე მიტრას ახლდა ლითონის ექვსი ქერუბინი. ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის აღწერილობიდან კი ირკვევა, რომ მიტრაზე მათი რაოდენობა რვა იყო, როგორც ჩანს, ისინი რაღაც სხვა ნივთიდანაა გადმოტანილი. მიტრის ძირითად ნაწილზე დამაგრებული ყოფილა ლითონის ვარდულები, ასევე ლითონის სამი ჯვარი. როგორც ირკვევა, ეს ნივთები იყო გვიანდელი შეწირულობა. რამდენადაც აღნიშნული ნივთები არღვევდა თავდაპირველად არსებულ იკონოგრაფიულ სქემას და იწვევდა მის გადატვირთვას. მიტრის პირვანდელი სახის შენარჩუნების მიზნით სარესტავრაციო საბჭოზე რესტავრატორი და ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდის თანამშრომლები მივიდნენ დასკვნამდე, რომ რესტავრაციის შემდგომ მიტრაზე ეს ნივთები აღარ დამაგრებულიყო.

[21] ცნობილმა ქართველმა მწერალმა და ხელოვნებათმცოდნე ირ. სონღულაშვილმა დაფარნა დაშალა და ქოშის პირებს თავდაპირველი სახე დაუბრუნა. რომელიც ხელოვნების მუზეუმის საინვენტარო წიგნში გატარებულია სხმ/ნ № 2596.

[22] სხმ/ნ №№ 1697, 210, 1362,1364,138, 139, 2077, 2570, 2572, 2650, 3628, 311.

[23] სხმ/ნ №№ 3677, 3689,4389, 3673, 3674, 3738, 4392, 2208, 3386.

ლი სხვადასხვა დეტალი და მოგვცა ხელოვნების სრულყოფილი ნიმუში, რომელშიც ჭარბობს ტრადიციული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები (ზეზი, ფიგურათა სახისა და სხეულის ფორმათა დამუშავების თავისებურება, კოლორიტი). თუმცა გვხვდება დასავლეთ-ევროპული ხელოვნებიდან შემოსული სიახლეც შროშანის სახით.

განხილული მიტრა ასახავს გვიანფეოდალური ხანის ქართულ ხელოვნებასა და, საკუთრივ, ნაქარგობაში დამკვიდრებულ ტენდენციებს. XVI ს-ის დასასრულიდან XVII ს-ის ჩათვლით საეკლესიო დანიშნულების ქართულ ქარგულობაში შესამჩნევია მდიდრული და „მბრწყინავი" მასალით გატაცება. ამ პერიოდის ნაქარგობაში ფიგურები მოკლებულია ინდივიდუალობას, პლასტიკურობას, ნახატი მშრალია, სქემატური, პოზასა და მოძრაობაში იგრძნობა პირობითობა, სამოსიც სქემატურადაა შესრულებული, ნაოჭები, უმთავრესად, პარალელურად გავლებული ხაზებითაა გადმოცემული, რომელიც სხეულის ზოგადი ფორმების მოყვანილობას გამოხატავს. XVII ს-ში, სრულიად გარკვეული ისტორიული და კულტურული ვითარების გამო (განსაკუთრებით კი, კათოლიკე მისიონერების ჩამოსვლასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებით), საქართველოში გზა ეხსნება ევროპულ სამყაროს. ევროპული მოტივები იჭრება ქართულ მწერლობაში, ევროპული ელემენტები და დეტალები ჩნდება ქართულ ხელოვნებაშიც [Чубинашвили Г. 1959: 643; ალიბეგაშვილი გ., საყვარელიძე თ. 1980: 14]. მათ შორის, ნაქარგობაშიც[24] (მაგ., შროშანი). თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთ მოყვანილ მტკიცებულებებსა და პარალელურ მასალას, მიტრის შემადგენელი ნაწილების მხატვრულ-იკონოგრაფიული ნიშნები თანხვდება XVII ს-ის ნაქარგობის სტილს. სამწუხაროდ, მიტრაზე არაა საქტიტორო წარწერა, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია თითოეული ნივთის დასათარიღებლად, მისი შექმნის ადგილის განსაზღვრისა და ისტორიის აღსადგენად. ჩვენთვის ცნობილ ნივთთაგან კომპოზიციური გადაწყვეტით მიტრის „ხარებასთან" ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს მარიამ დედოფლისეული დიდი ომოფორის „ხარება" (სურ. 3). სადაც მახარებელ ანგელოზსა და მარიამს შორის დგას ანალოგიური ორყურა ლარნაკი შროშანებით.

მარიამ დადიანი (1632–1682 წწ.) ლევან II დადიანის და, როსტომ მეფის მეუღლე, შემდგომ – ვახტანგ V შაჰნავაზის მეორე ცოლი. მისი ხელშეწყობითა და უშუალო მონაწილეობით აიგო და შეკეთდა მრავალი ეკლესია-მონასტერი, გადაიწერა „ქართლის ცხოვრება" [ქართლის ცხოვრება. 1973: 373; 336; Кондаков Н., Бакрадзе Д. 1890: 171]. დედოფლები ხშირად სწირავდნენ ეკლესიას სრულ სამღვდელმთავრო შესამოსელს, რისი დასტურია ვახტანგ V-ის თანამეცხედრე როდამის ომოფორზე დაცული საქტიტორო წარწერა, რომელშიც ჩამოთვლილია: „ომოფორი, ოლარი, საბეჭური, საბუხარები, ენქერი და ყოველივე იარაღი, ასევე შეკერილი ფილონი და სტიხარი", რომლებიც დედოფალმა წილკნის ღვთისმშობელს შესწირა. თუმცა, აქ ჩამოთვლილ ნივთთაგან ჩვენამდე მხოლოდ ომოფორმა მოაღწია. სრულიად რეალურია, რომ ისეთ ღვაწლმოსილ, ქართული კულტურის მოამაგე ქალბატონს, როგორიც მარიამ დედოფალია, სრული შესამოსელიც შეეწირა ეკლესიისთვის. მით უმეტეს, რომ მარიამ

[24] სხმ/ნ № № 1364, 102, 3490, 3491, 2226, 2230, 1974, 4291.

დედოფლის მიერ შენაწირი არაერთი ნივთი ინახება ხელოვნების მუზეუმში: გარდამოხსნა, დიდი და მცირე ომოფორები, დაფარნები და ოთხი ენქერი. სრულ შესამოსელში აუცილებლად იქნებოდა საბუხარებიც, რომლებიც, ჩვენი აზრით, მოგვიანებით საკვლევი მიტრის შესაქმნელად გამოიყენეს. საქარგავ მასალად გამოყენებული ოქროსა და ვერცხლის თმის სიჭარბით მიტრა ძლიერ ჰგავს მარიამ დედოფლის მიერ შეწირულ მცირე ომოფორს. არაა საფუძველს მოკლებული, რომ მიტრის ცაზე არსებული მაცხოვრის გამოსახულებაც მარიამ დედოფლისეულივე სხვა ნივთიდან აეღოთ, ვინაიდან სწორედ მაცხოვრის ანალოგიური გამოსახულებაა დაცული მარიამისეულ ენქერებსა და დაფარნაზე[25]. უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი დაფარნა (სხმ/ნ № 2948), რომელიღაც სხვა ნივთის კუთვნილი მაცხოვრის ნახევარფიგურითაა მორთული. ხელოვნების მუზეუმში დაცული მარიამ დედოფლის გარდამოხსნა ძველი მიწარიდან ამოჭრილია და გადატანილია მწვანე ხავერდის ახალ ქსოვილზე[26]. მარიამისეული მცირე ომოფორიდან კი კისრის ადგილი, სადაც, როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვეულებრივ მაცხოვარს გამოსახავენ, ამჟამად ამოჭრილია და ერთი შეხედვითაც ჩანს ერთმანეთზე უხეშად გადაკერებული ომოფორის კალთები. კომპოზიციური აგება, ფერადოვნება, შერჩეული საქარგავი მასალა ჩამოთვლილი ნივთების უდავო კავშირზე მიუთითებს.

მიტრის ქარგულობა შესრულების მანერით, სტილით, მხატრულ-ტექნიკური ხერხებით (ოქროსა და ვერცხლის თმის უხვად გამოყენება, მიწარის მთლიანად დაფარვა ნაქარგობით, ფერადი აქცენტებისათვის ზეზის ხმარება და ა.შ.) ქართლში შექმნილ ნიმუშებთან („თუთას დაფარნები", ენქერი სვეტიცხოვლიდან, თეიმურაზ მუხრან-ბატონის ენქერები, გიორგი XI–ის ენქერი.) პოულობს ანალოგებს [ბარათაშვილი გ. 2003: 76].

ამდენად, ზემოთქმულის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაქარგობა XVII ს-შია შექმნილი და ქართლის რეგიონს, კერძოდ, მარიამ დადიანის სახელს უკავშირდება. მით უფრო, რომ ქართლში ნაქარგობის კერების არსებობაზე უკვე გამოთქმულია არგუმენტირებული მოსაზრება [ბარათაშვილი გ. 2003: 76]. მართალია, ჩვენ არანაირი ხელმოსაჭიდი ფაქტი არ გაგვაჩნია, რაიმე მოსაზრება გამოვთქვათ მიტრის „ავტორის" – შემდგენლის შესახებ, მაგრამ ერთი რამ ცხადია, უცნობი ოსტატის მზრუნველმა ხელმა მოახერხა ჟამთა სიავისაგან არა მარტო გადაერჩინა ნაქარგობის უნიკალური ნიმუშები, არამედ მათგან შეექმნა ხელოვნების სრულიად ახალი ნიმუში, მიტრა, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული ნაქარგობის ერთ-ერთი საინტერესო და ესთეტიკურად მეტად მიმზიდველი ქმნილებაა.

---

[25] სხმ/ნ № № 1357, 1360, 2948, 3566, 208, 301, 3416, 3667.

[26] სხმ/ნ № № 3667, 2948, 3416.

Eka Berelashvili

The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of fine Arts
1 L. Gudiashvili St. 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: kato_009@yahoo.com

New Materials Concerning the History of the 17th Century Georgian Embroidery

Summary

The Georgian National Museum has a rich collection of embroidered works among which the collection of mitres holds an important place.

The mitre under discussion is characterized by original compositional structure as well by an iconographic program.The ``Annunciation`` is a quite unusual subject for mitres. At the top is an encircled depiction of Christ as Great High Priest. The mitre is composed of various fragments of embroidery for ecclesiastic purposes and details were carried out by chasing. On the mitre it is easy to observe the heterogeneity of the material used and different handwritings. It is obvious that they were made by different masters, and even at different times.Thus, in spite of the fact that a master had to collect various pieces of embroidered vestments, he was well aware of the iconographic programmes elaborated for mitres.

The mitre in question reflects the trends established in Georgian art and embroidery in the Late Feudal epoch. The embroidery of the mitre, by its style, artistic and technical means such as use of gold and silver threads in abundance, covering of the entire ground with embroidery, application of bullions, etc., has analogies with samples created in Kartli. We can only suppose that the embroidery is linked with the 17th century and with Kartli region, and privately with the name of Mariam Dadiani. Moreover, the well-grounded fact about existence of centres of embroidery in Kartli has an argumented opinion.

ბიბლიოგრაფია

ალიბეგაშვილი გ., საყვარელიძე თ. 1980: *ქედური და ფერწერული ხატები.* თბილისი.

***ახალი აღთქმა.* 2007:** თბილისი.

ბარათაშვილი. გ. 2000: ბატონიშვილ თამარის დაფარნის იკონოგრაფიული თავისებურებანი. *ნარკვევები.* ტ. VI. გვ. 111-119. თბილისი (რედ-ბი: ნ.ლომოური, გ. მარსაგიშვილი).

ბარათაშვილი გ. 2003: დაფარნათა კომპლექტი სვეტიცხოვლიდან. *ნარკვევები.* ტ. VIII. გვ. 68-77. თბილისი (რედ-ბი: ნ. ლომოური, გ. მარსაგიშვილი).

ბარათაშვილი გ., ბერელაშვილი ე., კეცხოველი მ., მელიქიშვილი ი., ნადარაია ნ., სულხანიშვილი ე. 2011: *ქართული ნაქარგობა.* თბილისი.

ბასილი კესარიელი. 1955: *სინანულთათვის. „მამათა სწავლანი".* თბილისი.

ბერელაშვილი ე. 2007: მღვდელმთავარ მიტროფანეს მიტრა. *საქართველოს სიძველენი.* №10 გვ. 118-134. თბილისი (რედ-ბი: ნ. ვაჩეიშვილი, ი. ხუსკივაძე).

***გელათი. 900.* 2007:** თბილისი.

დიდებულიძე მ. 2007: ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის XIII ს-ის დამდეგის მოხატულობის ფერადოვნება. *საქართველოს სიძველენი. № 11.* გვ. 78-104. თბილისი (რედ-ბი: ნ. ვაჩეიშვილი, ი. ხუსკივაძე).

ინწკირველი ც. 1990: ქრისტიანული მოტივები ვეფხისტყაოსანში. *განთიადი.* №7. გვ. 149-172. თბილისი (რედ. რ. ჭეიშვილი).

კეცხოველი მ. 2000: ზოგიერთი საკითხი ქართული საეკლესიო ნაქარგობის ისტორიიდან. *ნარკვევები.* ტ. VI. გვ. 93-103. თბილისი (რედ-ბი: ნ. ლომოური, გ. მარსაგიშვილი).

მაჩაბელი კ. 2007: დმანისის ახლადაღმოჩენილი ქვაჯვარა. *საქართველოს სიძველენი.* №10. გვ. 7-46. თბილისი (რედ-ბი: ნ. ვაჩეიშვილი, ი. ხუსკივაძე).

მელიქიშვილი ი. 1996: ზუგდიდის მუზეუმში დაცული საბუხარის გადათარიღებისათვის. *ნარკვევები ტ. II. გვ. 130-135. თბილისი* (რედ-ბი: ნ. ლომოური, გ. ყიფიანი).

***ნევმირებულნი ძლისპირნი.* 1982:** თბილისი.

***საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* 1973**: ტ. V. თბილისი.

საყვარელიძე თ., 1976: ანჩის კარედი ხატი. *საბჭოთა ხელოვნება. №5.* გვ. 77-91. თბილისი (რედ. თ. ჭილაძე).

საყვარელიძე; თ., ალიბეგაშვილი გ. 1980: *ქართული ჭედური და ფერწერული ხატები.* თბილისი.

ფირალიშვილი ო. 1952: *ბობნევის მოხატულობა და რეალისტური ტენდენციის შესახებ XVII ს-ის ქართულ მხატვრობაში.* თბილისი.

***ქართლის ცხოვრება.* 1973:** თბილისი.

***ღვთისმეტყველება.* 1997:** თბილისი.

ჩიქოვანი ნ. 1978: *ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკისათვის „იოვანეს გამოცხადებასა და მისი თარგმანების" მიხედვით.* თბილისი.

ჩიხლაძე ნ., გაგოშიძე გ. 2006: *დირბის ღმრთისმშობლის მიძინების მონასტერი.* თბილისი

ჩუბინაშვილი ნ. 1961: *ქართული ლექსიკონი.* თბილისი.

***ძველი აღთქმა.* 1884:** ტფილისი.

ჭიჭინაძე ი. 2004: *მოქვის ოთხთავის გაფორმების მხატვრული პრინციპები.* თბილისი.

Аверинцев С. 1973: Золото в системе символов ранневизантийской культуры. *Византия, южние славяне и древная русь западная европа.* Сборник статей в честь В. Н. Лазарева. Москва.

Девдариани Ф. 1978: «Иллюстрации Мастера Саба в Анчисхатском Гулани и связь их с группой памятников Монументальной живописи второй половины 17 века». *მაცნე.* # 4. გვ. 87-96. თბილისი (რედ. გ.მელიქიშვილი).

Калинина Е. 1929: *Техника древнерусского шитья и некоторые способы решения художественных задач. Русское искусство XVII века.* Ленинград.

Кондаков Н., Бакрадзе Д. 1890: *Опись памятников древности в некоторых*

храмах и монастырях Грузии. Петербург.

Лазарев В. 1970: *Ковалевская роспись и проблема южнославянских связей в русской живописи XIV века. Русская средневековая живопись*. Москва.

Маясова Н. **1960:** *Мастерская художественного шитья князей Старицких*. Загорск.

Маясова Н. **2004:** *Древнерусское лицевое шитье*. Каталог. Москва.

***Настолъная книга свяшеннослужителя*. 1983:** т. 4. Москва.

Покровский Н. 1890: *Эвангелие в памятниках иконографии преимушественно византиских и русских. ВКН*. (труды 8 арх. сьездов в Москве). Москва.

***Сокровиша Ечмиадзина*. 1984.**

Шмерлинг Р. 1933-34: „Оправы Камней на памятниках чеканки бывшего Музея древне-грузинское искусство. სსმ. ,. PVIII. с. 339-360. Тбилиси.

Чубинашвили Г. 1959: *Грузинское чеканное искусство*. Тбилиси.

Чубинашвили Н. 1972: *Хандиси* (проблема рельефа на примере одной группы грузинских стел последней четверти 5 века 6 и первой половины 7 века). Тбилиси.

Cooper F. C. 1986: *Lexikon alter Symbole*. Leipzig.

***Cristiani a`oriente spiritualita, arte e potere nell`europa post Byzantina*. 1999:** Electa.

Grabar. A. 1958: *Les ampoules de Terre Seinte*. Paris.

***Greece at the Benaki Museum. Benaki museum*. 1997:** Athens.

Jonstone P. 1967: *Byzantine tradition in church embroidery*. London.

Patmos les tresors du monastere. 1988: Athens.

Post-Byzantium: The Greek renaissance. 15th-18thCentury Treasures from the Byzantine & christian Museum. 2002: Athens.

Schulz H .J. 1965: *Die Byzantinische Liturgie*. Freiburg.

***Siani treasures of the monastery ekdotike*. 1990**: Athenon.

The Splendour of Heaven Sacred treasures from Byzantine collections and Muzeums in Greece. 2001: Athens.

Theocharis M. 1972: *Stavronikita Monastery Embroideries*. Athens.

***Treasures of Maunt athos*. 1997**: Thessaloniki .

Warren T. Woodfin. 2003: *It's All About the Hat: Costume, Imperial Authority, and the Transformation of Byzantine Liturgical Dress*. . unpublished paper given at Princeton University.

Warren T. Woodfin 2012: *The Embodied icon. Liturgical vestments and sacramental power in Byzantium*. Oxford university press. published in the United States by University press. INC., New York.

ΙΕΡΑ ΚΕΙΜΗΛΙΑ ΤΟΥ ΠΑΝΑΓΟΥ ΤΑΦΟΥ. 2006: ΑΦΗΝΑ

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. მაცხოვრის გამოსახულება მიტრის ცაზე
სურ. 2. მახარებელი მთავარანგელოზი
სურ. 3. „ხარება" მარიამ დედოფლისეულ ომოფორზე

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Mitre.Christ as Great High Priest
Fig. 2. Mitre.Annunciation angel
Fig. 3. Annunciation on the omophorion of Queen Mariam

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია V (50-B), 2014, 447- 463
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences V (50-B), 2014, 447- 463

ლილი გიორგობიანი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
რუსთაველის გამზირი 11, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: lili_giorgobiani@yahoo.com

აბსტრაქტული აზროვნება თანამედროვე ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაში

როგორც XX ს-ის გამოცდილებამ დაადასტურა, აბსტრაქტულმა აზროვნებამ გლობალურად მოიცვა XX ს-ის ხელოვნება. იგი ტოლფასოვნად გამოვლინდა საგნობრივსა და არასაგნობრივ ხელოვნებაში. ამიტომ წარმოიშვა აბსტრაქტულობის ორი გაგება: ერთ შემთხვევაში აბსტრაქციონიზმი აბსტრაქციონისტულ (ანუ უსაგნო) ხელოვნებას ნიშნავს, მეორე შემთხვევაში კი იგი უფრო ფართო მნიშვნელობისაა და გულისხმობს ყველა იმ მხატვრულ მიმდინარეობას, რომლებიც თემის აბსტრაჰირების, ფორმის სუბიექტური ინტერპრეტაციის საფუძველზე იქმნება, ე.ი., გარკვეულწილად – საგნობრივ ხელოვნებას.

საზოგადოდ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიმოხილვაში აბსტრაქტული აზროვნება არ ნიშნავს ისეთ უპირატეს გეზს, რომლის გამო რომელიმე მხატვრის შემოქმედება იმთავითვე ხარისხიან შემოქმედებადაა აღქმული. როცა ჩვენ აბსტრაქტულს ვახსენებთ, მასში უფრო ფართო მნიშვნელობას ვდებთ (როგორც, საზოგადოდ, მიღებულია) და არ ვგულისხმობთ, ვიწრო გაგებით, მხოლოდ აბსტრაქტულ ქანდაკებას. კერძოდ, ჩვენ ვეხებით სახვითი ხელოვნებისთვის დამახასიათებელ ერთ ზოგად, იმ მთავარ ესთეტიკურ ფაქტორს, რასაც ხან მხატვრულ აზროვნებას უწოდებენ, ხან – მხატვრულ განზოგადებას, ხან – დეკორატიულ საწყისს, ხან კი – აბსტრაქტულ აზროვნებას.

ამ ტერმინით აღვნიშნავთ ყოველივე ისეთ საწყისს, რაც ადამიანის მხოლოდ შინაგანი ხედვით აღიქმება და რეალურად უშუალოდ არ ჩანს. აგრეთვე იმას, რაც იმდენად განზოგადებულია, რომ სინამდვილის ცალკეულ საგნებს კონკრეტული მოცემულობით (სახეობრიობით) ვეღარ ვცნობთ მასში და, ამასთანავე, ისეთ მხატვრულ მოვლენებს, რომელთაც მხოლოდ მხატვრობაში აქვს ადგილი და სინამდვილეში არ არსებობს (საზოგადოდ კი, არ არსებობს მხატვრული მეთოდი, თუნდაც ყველაზე მეტად ნატურალისტური, რომელსაც მხატვრული განზოგადების ელემენტი არ გააჩნია, ვინაიდან არ არსებობს პირობითობის არაშემცველი მხატვრობა საერთოდ, ხოლო „ფორმალისტური" იმთავითვე აბსტრაქტულია, ახალი ესთეტიკური „საგანია" სინამდვილის მიმართ). ეს რომ ასე არ იყოს, აბსტრაქტული აზროვნების შესაძლებელი საშუალება საერთოდ არ აღმოჩნდებოდა სახვით ხელოვნებაში. აქედან გამომდინარე, ადამი-

ანი რომ განზოგადებულად აზროვნებს, არ ნიშნავს, რომ ყოველთვის, მაინცდამაინც, ხარისხიანად აზროვნებს, ე.ი. აბსტრაქტული აზროვნება საშუალებაა ესთეტიკური განცდის საყოველთაო დამაჯერებლობით გამოხატვისა და წარმატებას ასეთ აზროვნებაში მხოლოდ ისინი აღწევენ, ვისაც ჭეშმარიტად გააჩნია საყოველთაოდ დამაინტერესებელი შინაგანი სამყარო. თუ ასეთი გაგებით მივიღებთ აბსტრაქტულობის ცნებას, რა თქმა უნდა, იგი ნებისმიერი მხატვრისთვის მისასწრაფი ამოცანაა. მით უმეტეს, რომ ჩვენ არ ვეხებით, ზოგადად, აბსტრაქტული აზროვნების ისეთ მხარეს, რომელიც ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიასა და ხელოვნების თეორიაშიც ადამიანის თვითგაუცხოების ფორმად წარმოგვიდგება. ჩვენ არც იმაზე ვლაპარაკობთ, რომ თვითგაუცხოებად ინტერპრეტირებული აბსტრაქტული ხელოვნება ადამიანის ყოფიერებისა და იდეალის კრიზისიდან გამომდინარეობს. ეს ზედმიწევნით რთული პრობლემებია და ჩვენს ამოცანაში არ შედის ამ პრობლემებზე ზერელედ საუბარი. ჩვენ ისეთ აბსტრაქტულობაზე ვსაუბრობთ, რომელიც, მიუხედავად გაუცხოების ელემენტებისა, დადებით ასპექტებსაც შეიცავს, კერძოდ, სინამდვილის ცნების გაფართოების ასპექტს, როდესაც სინამდვილისეულ ფიზიკურ ზედაპირს ემატება ადამიანის შინაგანი სინამდვილე. თუ ასეთი გაგებითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ აბსტრაქტულობის ფენომენი, მაშინ იგი მისასწრაფი ხდება ხელოვანისთვის. მით უმეტეს, რომ აბსტრაქტული აზროვნების საშუალებით ხდება არა მარტო გაუცხოება, არამედ დაფარულ, უხილავ სინამდვილესთან მიახლოებაც.

აქედან გამომდინარე, გასაგებია ქართველ მხატვართა და, კერძოდ, მოქანდაკეთა მისწრაფება, მასალისეულად, ე.ი. პლასტიკურად განახორციელონ აბსტრაქტული აზროვნება. ჩვენი ამოცანაა კონკრეტული მაგალითების საფუძველზე განჭვრიტოთ, თუ როგორ განვითარდა აბსტრაქტული აზროვნება თანამედროვე ქართული პლასტიკური ხელოვნების სხვადასხვა ეტაპზე.

თანამედროვე პლასტიკაზე საუბრისას, უპირველესად, ვგულისხმობთ XX ს-ის მრგვალ ქანდაკებას. რომელიც შუა საუკუნეებში, რელიგიური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ვერ ჩამოყალიბდა და რის გამოც წარმოიქმნა რელიეფური ქანდაკების პრინციპი. გამოეყო თუ არა საქართველოში სკულპტურულობის გაგება საკრალურ ნაგებობას და, საზოგადოდ, მის დანიშნულებას, იმთავითვე შეიქმნა ქართული, ავტონომიური, სახის მქონე და ოდენ ესთეტიკური პრინციპის გამომსახველი მრგვალი ქანდაკება. მართალია, ეს გვიან მოხდა, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ქართული რელიეფის მჭიდრო კავშირი ქრისტიანულ ეკლესიასთან არ წარმოშობს ჩვენში პლასტიკური აზროვნების დანაკლისს.

შემოქმედებითად „ცარიელი“ ისტორიული პერიოდები, რა თქმა უნდა, თავისებურ ნაკლს ქმნიან ქართული ხელოვნების განვითარების პროცესში, მაგრამ დრამატული ისტორია თავისებურ გამართლებას სძენს ამ სიცარიელეთა დაგვიანებით შევსების ფაქტორს. ამითვე აიხსნება ახალი პერიოდის ქანდაკებაში ისეთი ტენდენციების არსებობა, რომლებიც თანადროული არაა: ვთქვათ, ანტიკურ-ბერძნული და რენესანსული ტენდენციები ან ბაროკოს დამახასიათებელი ნიშნები თანამედროვე ხელოვნებაში. თუმცა, ცალკეულ (საუკეთესო) შემთხვევებში, ზემოთ ხსენებული დრამატიზმის წყალობით, ეს ნიშნები იმდენად ტრანსფორმირებულია,

რომ თანამედროვე მნიშვნელობას იძენს (ვალენტინ თოფურიძის, ნიკოლოზ კანდელაკის, თამარ აბაკელიას შემოქმედებაში). ფაქტობრივად, XX ს-ის დასაწყისში მრგვალი ქანდაკების ჩამოყალიბება საქართველოში უკავშირდება ევროპული მხატვრული ორიენტაციის აღდგენას.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული მრგვალი ქანდაკების ტრადიცია შესანიშნავი საყოველთაობით გამოირჩევა, ისევე, როგორც მეცნიერება ან, თუნდაც, ფილოსოფია. რამდენადაც შესაძლებელია ვიხმაროთ ტერმინი *ქართული მეცნიერება*, შესაძლებელი უნდა იყოს ქართული ზოგადი აზროვნების დაფიქსირებაც და, ამასთან დაკავშირებით, ქართული პლასტიკური აზროვნების აღნიშვნაც. ქართულად ასეთ დარგებად შეიძლება ჩაითვალოს ზოგადი აზროვნების ის უნარი, რომელიც ქართველებს იმთავითვე განუვითარდათ სხვადასხვა კულტურასთან (როგორც დასავლეთთან, ასევე აღმოსავლეთთან) ურთიერთობისას. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ქართული ზოგადი აზროვნების ის ტიპი, რომელიც უძველეს პერიოდში ბერძნულ კულტურასთან ურთიერთობისას გამოვლინდა. შემდგომ ამ გეზმა თავისი ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა ბიზანტიის კულტურასთან ურთიერთობისას, ხოლო უფრო მოგვიანებით რუსეთისა და, საზოგადოდ, ევროპის კულტურასთან ურთიერთობისას განმტკიცდა. აქედან გამომდინარე, ქართულ ხელოვნებაში, ალბათ, არ უნდა ვეძებდეთ ევროპული აზროვნებისგან მეტისმეტად განსხვავებულ ფორმებს, რადგან საქართველო ისტორიულად არა მხოლოდ ნაზიარებია ევროპულ კულტურას, არამედ ამ უკანასკნელის თავისებური წარმომადგენელიცაა.

საქართველოში სახვითი აბსტრაქტული აზროვნება XX ს-ის დასაწყისშივე გამოვლინდა. მოდერნიზმის მამამთავრებს: პიკასოს, მატისს, მოდილიანს, სუტინს, ბრანკუსის, ჯაკომეტის ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შექმნილი ნეოპრიმიტივისტული ნაწარმოებები, როცა ნიკო ფიროსმანმა თავისი ნაივური დეფორმაციის მხატვრული სისტემა შეიმუშავა. ფიროსმანი საქართველოში ახალი მხატვრული ეპოქის ფუძემდებელია.

უშუალოდ აბსტრაქტული ძიებების პირველი წარმომადგენელი საქართველოში დავით კაკაბაძე იყო. იგი კუბისტური აბსტრაქციონიზმის ერთ-ერთი პიონერია ევროპაში. დავით კაკაბაძემ მრავალმხრივად განავითარა აბსტრაქტული აზროვნება. იგი, უმთავრესად, ფერმწერი იყო, მაგრამ არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი სკულპტურული პოლიქრომული ქანდაკება, სახელწოდებით "z" (1925წ.) — მეორე სახელი — „განგმირული თევზი" (სურ. 1), რომელიც, უდავოდ, წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ დაგვიანებული პერიოდის შემდგომი ფორმალური გამომხატველობებისა საქართველოში (ხსენებული ქანდაკება აბსტრაქტული ხელოვნების სიმბოლოდ აღიარეს). ასევე აღსანიშნავია მისი 20-იანი წლების პლასტიკური, და არა ფერწერული საშუალებებით, კერძოდ, სხვადასხვა მყარი მასალის თანაფარდობით სიბრტყობრივ-მოცულობითი ფორმის ძიებები. ამ ნამუშევრებში ფერწერული მხარე მხოლოდ ნაწილობრივ ელემენტად იქცა მასალის პლასტიკური გააზრების პარალელურად. შედეგად მხატვარმა მიიღო ფერისა და პლასტიკურ-სივრცობრივი ფორმის თავისებური სინთეზი. ამიტომ ამ ნამუშევრების განხილვა პლასტიკური პრინციპითაცაა შესაძლებელი. მით უმეტეს, რომ ფერი, როგორც სააზროვნო საშუალება, არაა წამყვანი და ყოველთვის „ხელთქმნილი" მეთოდით განხორციელებული. იგი თავისთავად შერჩეულ მასალას ახასიათებს. თუ თამამი ნათქ-

ვამი არ იქნება, ეს ნამუშევრები ერთგვარი „სურათული ქანდაკებებივით" იკითხებიან. ვგულისხმობთ ბარელიეფის ტიპის მასალისეულ (უმთავრესად, მეტალის) ამობურცულობებს „ლინზური ტიპის" მის კომპოზიციებში, ე.ი. თითქოს ეს კომპოზიციები „ბრტყელი ქანდაკებებია", ანუ „სურათული ქანდაკებები". ამ მეთოდს უფრო კოლაჟურ პრინციპად მიიჩნევენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ, თანამედროვე გაგებით, ქანდაკების ელემენტი არაა ამ ნამუშევრებში. ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, რომ ეს კომპოზიციები მაინცდამაინც ქანდაკების ნიმუშებია (ისევე, როგორც შემდგომ პერიოდში ავთო ვარაზისა და თემო ჯაფარიძის პოპარტული ნამუშევრები არაა ტრადიციული გაგებით ქანდაკებები, არამედ ორიგინალურად გააზრებული პოპარტია, რომელიც შეიძლება პოპარტიც კი აღარაა და უფრო კოლაჟებია, რადგან მათში მოცულობა კონკრეტული საგნის გარეშე ავტონომიურად, მაგრამ ერთგვარად პოპ-არტის პრინციპის ელემენტით მონაწილეობს). დავით კაკაბაძის ხსენებული ნამუშევრები აბსტრაქტული ქანდაკების პრინციპის სიბრტყეზე განვითარების ნიმუშებია. ამიტომ დავუკავშირეთ ისინი სიბრტყეზე მოცულობით აზროვნებას. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას კი არ აქვს, ეს ნაწარმოებები ქანდაკებებია თუ არა, არამედ უფრო იმას, რომ ავანგარდული ხელოვნება და, კერძოდ, დავით კაკაბაძე ეძებდა სიბრტყისა და მოცულობის თავისებურ სინთეზს, რაც მოცულობათა ახლებური გააზრების გარეშე შეუძლებელი იყო.

დავით კაკაბაძის პლასტიკური აზროვნების შეფასების კრიტერიუმი ავანგარდული ხელოვნების პრინციპებიდან გამომდინარეობს. უკვე XX ს-ის 20-იან წლებში თანაარსებობენ ხელოვნების შეფასების ალტერნატიული კრიტერიუმები. ამ პერიოდიდან მარტო სამი შემოქმედი რომ გამოვყოთ — დავით კაკაბაძე, იაკობ ნიკოლაძე და ნიკოლოზ კანდელაკი — სამი განსხვავებული შეფასების კრიტერიუმის არსებობას შევნიშნავთ. ამ გარემოებას ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ შემდგომ განსხვავებულ მხატვრულ მეთოდთა ისეთი სიმრავლე წარმოიშვა, რომ საყოველთაო მხატვრული კრიტერიუმის არსებობა შეუძლებელი შეიქმნა — დღევანდელ ხელოვნებაში რამდენი შემოქმედებითი ინდივიდუალობაც ჩანს, ფაქტობრივად, იმდენი შეფასების კრიტერიუმი არსებობს. რაც შეეხება თანამედროვე პლასტიკური ხელოვნების ფუძემდებლებს - იაკობ ნიკოლაძესა და ნიკოლოზ კანდელაკს, 20-30-იან წლებში მათ ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ პლასტიკურ მიმართულებებს ჩაუყარეს საფუძველი: პარიზში (კერძოდ, როდენის სკოლაში) განსწავლული იაკობ ნიკოლაძე ამკვიდრებს იმპრესიონისტულ პლასტიკურ ძიებებს, მაშინ, როდესაც აკადემიურ ესთეტიკურ ფასეულებებზე აღზრდილი ნიკოლოზ კანდელაკი უფრო მონოლითური ქანდაკეობრივი საწყისის ტრადიციას უყრის საფუძველს.

სამწუხაროდ, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების შემდეგ (1930-იანი წლებიდან 50-იანი წლების მეორე ნახევრამდე) საქართველოში ყალბი სოც-რეალისტური პროპაგანდისტული მხატვრული გეზი გაბატონდა. რამდენადაც სოც-რეალიზმი პროპაგანდული ხასიათისა იყო, იმდენად ყველაზე იოლად გასაგებ მხატვრულ მეთოდს ეფუძნებოდა იგი — ეს იყო აკადემიური რეალიზმი. თავისუფალი მხატვრული ხედვა იკრძალებოდა, თითქმის ნულამდე იყო დაყვანილი ინდივიდუალური თვითგამოხატვის შესაძლებლობა. 50-იანი წლების პირველ ნახევარში გამოჩნდნენ მოქანდაკეები (ეროდიონ ოქროპირიძე, თეიმურაზ ასათიანი, ბორის ციბა-

ძე, ფარნაოზ მზარეულაშვილი, ბიძინა ავალიშვილი, ანთიმოზ გორგაძე, გურამ კორძახია), რომლებიც თითქოს დაცილდნენ სოცრეალიზმის პროგრამას, მაგრამ ფორმალურად მაინც რეალიზმის ფარგლებში ეძებდნენ ინდივიდუალურ თვითგამოხატვას. ისევე, როგორც შემდგომ პერიოდში ამ გეზის გამგრძელებელი მოქანდაკეები, რომლებიც ან ვერ მივიდნენ ავანგარდულ პრინციპებამდე, ან არ იზიარებდნენ საერთოდ ავანგარდიზმს და ისევ მხატვრულად დატვირთული (და არა სოცრეალისტურ) რეალისტური მანერით ეძებდნენ ინდივიდუალურ თვითგამოვლენას. იმის გამო, რომ ისინი, ნებსით თუ უნებლიეთ, რეალიზმის მკაცრ ჩარჩოში რჩებიან, ნოვატორიზმს მოკლებულნი არიან. ამიტომ მათი ინდივიდუალურობა მხოლოდ შესრულების რეალისტური მანერის მეშვეობით გამოიხატება.

აზროვნების პროგრესულობის მხრივ, თუ დროის ფაქტორს მივიღებთ მხედველობაში, იაკობ ნიკოლაძის შემოქმედება გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე გვიანი პერიოდის რეალისტებისა, რადგან ნიკოლაძესთან თავი იჩინა ისეთმა მდიდრულმა და თანამედროვეობას თანხვედრილმა მხატვრულ მიმდინარეობათა მნიშვნელოვანმა საწყისებმა, როგორებიცაა: იმპრესიონისტული, იმპრესიონისტულ – რომანტიკული და აბსტრაქტულ – ექსპრესიონისტულიც კი. მაგალითად, „ჩახრუხაძის" პორტრეტში (სურ. 2) რეალისტურისა და აბსტრაქტული აზროვნების სინთეზი უფრო გაბედული და მოწინავე ჩანს, ვიდრე გვიანი პერიოდის რეალისტების შემოქმედებაში. კერძოდ, ამ პორტრეტში თავი იჩინა, თუ როგორი უნარი აქვს მოქანდაკეს პლასტიკური აქსესუარები გამსჭვალოს მხატვრული სახის მნიშვნელობის გაძლიერების მიზნით. პორტრეტში ყოველივე, პედესტალის სტრუქტურაც კი, აგრეთვე თავზე თმის ნაცვლად შექმნილი ტალღისებური მოცულობითი ფორმაც (თავსაბურავი) სახის მედიტაციური გამომხატველობის გამდიდრებას ემსახურება. ამ ნამუშევარში, გარდა *ღრმა ფსიქოლოგიური განწყობის შექმნის უნარისა, მოქანდაკემ გამოავლინა შემთხვევითის მხატვრული მოწესრიგებულობის პრინციპად ქცევისა და ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის პლასტიკური ფორმების მიზნობრივი შექმნის უნარი.* ეს მომენტი აღნიშვნის ღირსი იმითაა, რომ ფორმალური ძიებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას შეიცავს. რაც შეეხება *მოწესრიგებულობის* ფაქტორს, ვგულისხმობთ შემთხვევას, რომელიც აუცილებელ მხატვრულ პრინციპად აქცია იაკობ ნიკოლაძემ. როგორც გადმოცემენ, ჩახრუხაძის პორტრეტის შექმნისას, ერთ-ერთი სეანსის დასასრულ, მოქანდაკემ სველი ჩვარი დატოვა პორტრეტის თავზე. როდესაც იგი კვლავ დაუბრუნდა სამუშაოს, უცებ ჩვარში პორტრეტის სახის სისრულისთვის აუცილებელი „ფორმა-ელემენტი" დაინახა. მან დაუფიქრებლად გამოძერწა თმის ნაცვლად ჩვრით ნაკარნახევი ტალღისებური, აბსტრაქტული ფორმა. საქმე ისაა, რომ აბსტრაქტული აზროვნებისთვის არამზადმყოფი მხატვარი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაინახავდა ასეთ ძნელად შესამჩნევ „კარნახს". ფაქტობრივად, ეს „კარნახი" კი არაა საგნის მხარიდან, არამედ მხატვრის აღმოჩენა. ასეთი მიგნებები მეტად დამახასიათებელია ავანგარდული ხელოვნებისთვის.

ისევე, როგორც *შემთხვევითობის* პრინციპი, *ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის პლასტიკური ფორმების მიზნობრივი შეთანხმების უნარიც სხვა არაფერია თუ არა აბსტრაქტული აზროვნების თავისებური გამოვლენის ფაქტორი.* კერძოდ, პორტრეტის პედესტალში გეომეტრიული ოთხკუთხედისა და მომრგვალებული, სფეროსებრი ფორმების ურთ-

იერთკავშირისას კამერული ანსამბლი და ამ ანსამბლის ორგანულ ფორმასთან (ე.ი. პორტრეტთან) დაკავშირება, პორტრეტის ჩვენი ნებით არა პორტრეტად, არამედ სილუეტურ ფორმად წაკითხვის შემთხვევაში, ერთ მთლიან აბსტრაქტულ სტრუქტურად აღიქმება. საინტერესოა, რომ ასეთი წინააღმდეგობრივი ფორმების ერთანსამბლურობა მიზნობრივად აინტერესებდა ავანგარდული ქანდაკების ერთ-ერთ პიონერს – ბრანკუსს. ის კიდევ უფრო საინტერესოა, თუ როგორ შეურწყა ნიკოლაძემ ამ ნამუშევარში აბსტრაქტული აზროვნება პორტრეტულ (რეალისტურ) ამოცანას. ასე რომ, შეიძლება ითქვას, მოქანდაკემ ამ ნამუშევრის სტრუქტურული ასპექტით აბსტრაქტული ქანდაკების საწყისი ელემენტი დაამკვიდრა საქართველოში.

ამ ფაქტის გარდა გვინდა აქვე გავიხსენოთ 60-იანი წლების მოქანდაკე ვიქტორ ჭუმბურიძის „ალექსანდრე რატიანის პორტრეტი" (სურ. 3). ის რამდენიმე ასპექტით იქცევს ყურადღებას. ყველაზე საინტერესო, ვფიქრობთ, ისაა, რომ ამ ნამუშევარში, ალბათ, პირველად და თვალსაჩინოდ გამომჟღავნდა ფერის პლასტიკურ მოცულობაში ჩართვის პრინციპი. ასევე საგულისხმოა თავად პორტრეტის, როგორც მხატვრული ფორმის ხასიათი. იგი ერთგვარად ენათესავება ეგვიპტური ყაიდის დახვეწილობას – ნაკვთიდან ნაკვთზე ნატიფი გადასვლები, მხატვრული სახის სახასიათო ნიშნების ზუსტად განზოგადება ამაზე მეტყველებს. როცა ყოველივე ამას ფერი (შავი ანგობა) ემატება, მით უმეტეს, წარმოიშობა „მოდერნული" ასპექტით ეგვიპტური ფერადი პლასტიკის ასოციაცია. საინტერესოა კურიოზი, რომელიც ამ ქანდაკებასთანაა დაკავშირებული. მას ჩვენ მხოლოდ იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ეს სახასიათო მხატვრული ელემენტის სახით გამომჟღავნდა პორტრეტში: როგორც გადმოცემით ვიცით, გამომწვარი თიხის ფორმა რამდენიმე ნაწილად დაიმტვრა. ხელოვანმა გაიაზრა ამ ნაწილების შეკავშირების შესაძლებლობა ავანგარდული ხელოვნების პრინციპით და ფერადოვან ფორმაზე მოთეთრო შტრიხებად ქცეული შეკავშირების ზოლები მხატვრული ექსპრესიულობით აამეტყველა. ამით მან რეალური ფორმებისა და აბსტრაქტული აზროვნების თავისებურ სინთეზს მიაღწია და გამოავლინა შემთხვევითისა და ქაოტურის მხატვრული მოწესრიგებულობის პრინციპად ქცევის უნარი. ასეთი იღბლიანი მიღწევები არც ისე ბევრია ავანგარდულ ხელოვნებაში, თუმცა კი, ცდები მრავალია.

ქართულმა სახვითმა აზროვნებამ სწორედ 60-იან წლებში შეიძინა ახალი დინამიკა. ალბათ, არაა საეჭვო, რომ ჩვენი ეპოქის განუმეორებლობას ნოვატორები უფრო გამოხატავენ, ვიდრე ტრადიციული პლასტიკური გეზის გამგრძელებლები, რადგან ისინი სწორედ იმ ფაქტორებს აქცევენ ყურადღებას, რომლითაც ჩვენი ეპოქა განსხვავდება ყველა დანარჩენსგან. ამ მიმართულების ხელოვანები გამოეყვნენ ტრადიციული რეალიზმის გეზს და შექმნეს სუბიექტური ნიშნით აღბეჭდილი პლასტიკური გამომსახველობა. რეალიზმს ისინი მიმართავენ არა როგორც ერთადერთსა და აუცილებელ მიმდინარეობას ხელოვნებაში, არამედ, როგორც თვითგამოხატვისთვის საჭირო სუბიექტური ინტერპრეტაციის ერთ-ერთ საშუალებას. ის მხატვრული პრობლემები (ფორმალური ამოცანები), რომლებიც 20-იანი წლების შემდგომ მათ მიერ ამ ეტაპზე პირველად და გაბედულად დაისვა, მართალია, რამდენადმე დაგვიანებული იყო საერთო, გლობალური მასშტაბით, მაგრამ, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, უდავოდ, ნოვატორული იყო. ისეთი მოქანდაკეები, როგორებიც არიან:

გულდა კალაძე, ალექსანდრე რატიანი, სანდრო რაზმაძე, კარლო გრიგოლია, ელგუჯა ამაშუკელი, მერაბ ბერძენიშვილი, გოგი ოჩიაური, ვახტანგ ონიანი, გურამ ქაჯაია, ჯუნა მიქატაძე, ჯემალ შანშიაშვილი, ვაჟა მელიქიშვილი, ვიქტორ ჭუმბურიძე, ავთანდილ მჭედლიშვილი, თენგიზ კიკალიშვილი, გიორგი შხვაცაბაია პლასტიკური ძიებებით შეეცადნენ ჭეშმარიტი ხელოვნების პრინციპების ჩამოყალიბებასა და განხორციელებას. ამ პერიოდიდან ქართულ ხელოვნებაში თუ რაიმეა საინტერესო, იგი, უდავოდ, თავისუფალი აზროვნების პრინციპითაა შექმნილი. მას შემდეგ თავისუფლების მოპოვების ძალისხმევა თანდათან მატულობს.

თითოეულმა ამ მოქანდაკემ საკუთარი მხატვრული მეთოდი შეიმუშავა, რომელიც დაეფუძნა განზოგადების, ხანდახან რთული აზრით დატვირთული დეკორატივიზმის პრინციპს. განზოგადება და დეკორატივიზმის პრინციპი ამ შემთხვევაში გულისხმობს სხვადასხვა ხასიათის პირობით-დეკორატიულ პლასტიკურ მეთოდს, რომელიც ამ პერიოდის თბილისელ მოქანდაკეთა სახასიათო მხატვრულ გეზად იქცა. თითოეული მათგანის შემოქმედებაში ექსპრესიულობა და პირობითი დეკორატივიზმი ინდივიდუალურად განხორციელდა. მაგალითად, მერაბ ბერძენიშვილის ექსპრესიონისტული სისტემა (სპეციფიკური დეფორმაცია) სავსებით არ ჰგავს ელგუჯა ამაშუკელის ან ჯუნა მიქატაძის, ან თენგიზ კიკალიშვილის ექსპრესიონისტულ მხატვრულ მეთოდებს (სურ. 4-7). ამ მოქანდაკეებმა, სხვებთან ერთად, შექმნეს ინდივიდუალისტური ექსპრესიულობის „თბილისური პრინციპი". ეს თაობა ფორმის პირობითი განზოგადების გზაზე არ მივიდა აბსტრაქტულ ხელოვნებამდე, ცალკეული შემთხვევების გარდა, რომელთა საილუსტრაციოდ გამოდგება გოგი ოჩიაურის, კუბისტური მანერით მოგვიანებით შესრულებული ქალის ტრანსფორმირებული ფიგურა (სურ. 8), მაგრამ სწორედ მათს შემოქმედებაში ჩაისახა ამ გეზის წარმოშობის მოთხოვნა. მათს ნაწარმოებებში აბსტრაქტული აზროვნება პირობითი დეკორატივიზმისა და მხატვრული სახის ხასიათის შესაქმნელად საჭირო ზომიერი დეფორმაციის დონეზე გამომჟღავნდა. ზოგჯერ დეფორმაცია პრიმიტივიზმამდეა მისული და შორ ასოციაციას წარმოშობს არქაულ პლასტიკურ ხელოვნებასთან. მაგალითად, მოქანდაკე ვაჟა მელიქიშვილის ავანგარდული ძიებები ეფუძნება ფორმის აბსტრაჰირების მეთოდს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გვიანდელი „აიეტი" (სურ. 9), სადაც ჩანს, თუ რა ღრმად ესმოდა ავტორს არქაული პრიმიტივისტული ხელოვნება. „აიეტში" მხედარი მეფეც არის და, ამასთანავე, ველური წარმართიც. იგი არაა გამსჭვალული ვაჟკაცობის ან რაინდობის გამომხატველი პლასტიკური ნიშნებით. ეს ნამუშევარი შეიძლება ჩაითვალოს „ინტელექტუალური პრიმიტივიზმის" ნიმუშად.

პრიმიტივისტული ფორმისადმი სწრაფვა 60-იან წლებში ფორმალური ფაქტორითაც გამოვლინდა და თემატიკის გაგებითაც, რაც განსაკუთრებით მონუმენტურ პლასტიკაში გამომჟღავნდა. იგივე ეროვნული სული გამოვლინდა სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათის ძეგლებშიც. მონუმენტალიზმის განვითარება ქალაქში ძეგლების დადგმის მოთხოვნას დაემთხვა. ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ 50-იანი წლების მიწურულს ვახტანგ გორგასლის ძეგლის დასადგმელად გამოცხადებული კონკურსი. კონკურსში ელგუჯა ამაშუკელის ძეგლს მიენიჭა პრემია. ისტორიული თემატიკის ახლებურმა გააზრებამ თავი იჩინა არა მხოლოდ ვახტანგ გორგასლის პრემირებულ ძეგლში, არამედ კონკურსში მონაწ-

ილე თითოეული მოქანდაკის ესკიზურ ნამუშევარში. კონკურსში კი ბევრი სკულპტორი მონაწილეობდა [Беридзе В., Езерская Н. 1975:304-305]. ელგუჯა ამაშუკელის ესკიზში ეტაპობრივი სიახლე გამოვლინდა როგორც თემატიკის, ასევე ფორმის თვალსაზრისით, რომელიც სინამდვილის პირდაპირ ასახვას აღარ გულისხმობდა და მისი სიმბოლური ინტერპრეტაციის პრინციპს ახორციელებდა (სურ. 10). სიმბოლურობა ზედმიწევნით ზოგადი სიტყვაა. ვახტანგ გორგასლის ძეგლში მას თავისებური იერი აქვს. ამ იერში საყურადღებოა თანამედროვე პირობით აზროვნებაში მოცემული არქაულობის განცდა – მხედრის ცხენზე ჯდომა მითოლოგიურად პირობითია. იგი, კერძოდ, არ მოგვაგონებს უშუალოდ ქართული ან რომელიმე კულტურის მხატვრულ ინტერპრეტაციას. მიუხედავად ამისა, ძალიან ზოგადად, მხედრის პოზა შეიძლება მივაკუთვნოთ იმ პირობითობებს ან ხასიათს, რომლებიც ძველ ცივილიზაციებს ახასიათებდა, მათ შორის, ეგვიპტურ პლასტიკას ან უფრო მეტად – ასირიულ ხელოვნებას. მხედრის პოზის ამგვარმა პირობითობამ განაპირობა მისი ფორმის ხასიათიც – ექსპრესიული დეკორატივიზმით ინტერპრირებული სახე გმირი-მეფე რაინდის სიმბოლოს შექმნის ცდითაა ნაკარნახევი. ასეთი თანამედროვე და არქაული განცდა გამართლებულია იმით, რომ ძეგლი ისტორიულ პირს ეძღვნება. შემდგომი პერიოდის მოქანდაკეთა ძიებებში (70-იან, უფრო კი, 80-90-იან წლებში) ისტორიული თემა, ძირითადად, ქრება და არქაულობის განცდა ანონიმური სახეებით გადმოიცემა. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ამაშუკელის ძეგლი თავისებური ეტაპობრივი შემზადებაა თემისგან თავისუფალი, ნეოპრიმიტივისტული პლასტიკისთვის.

აბსტრაქტული ფორმების ძიების თვალსაზრისით, 50-60-იანი წლების თაობიდან ყველაზე შორს კარლო გრიგოლია წავიდა. იგი არ დაკმაყოფილდა რეალისტური ფორმების პირობით-ექსპრესიული შეცვლით და ჩამოყალიბებული აბსტრაქტული სისტემის მქონე გეზი აირჩია, კერძოდ, არქეტიპული ფორმებით აზროვნების პრინციპი, რაც დაეფუძნა პლასტიკური საწყისის მნიშვნელობას და, რითაც მან, ფაქტობრივად, ახალ ესთეტიკურ აზროვნებას ჩაუყარა საფუძველი. ავანგარდისტ მოქანდაკე, ბრანკუსის მსგავსად, გრიგოლიაც უარყოფს მოცულობის თიხით ძერწვის ტექნიკას, რადგან თვლის, რომ ასეთი მეთოდი ქანდაკების უმთავრესი ხასიათიდან გადახვევაა. იგი ჭეშმარიტ ქანდაკებად მხოლოდ ისეთს მიიჩნევს, რომელიც უშუალოდ მასალისგანაა გამოკვეთილი. მისი ენერგიული, ზოგადი ხასიათის ფორმები გეომეტრიულად სადა აგებულების პლასტიკურ მეთოდს ეფუძნება. კერძოდ, იგი ქმნის კვერცხისებრი, ანუ სავსე, სხეულებრივი, ელიფსური ფორმების კომბინაციებს, მაგალითად, „მოცულობითი ფორმა“, „რიტმული ფორმა”, „დინამიკური ფორმა” (სურ. 11-13) და სხვ. მოქანდაკე ამ კომპოზიციებში მასალის სიმკვრივისა და ფორმიდან ფორმაზე გადასვლის უჩვეულობის ხარჯზე აბსტრაქტულობისა და სიურრეალიზმის თავისებურ სინთეზს აღწევს.

საზოგადოდ, ულტრააბსტრაქტულ ფორმებსა და არქაულ ხელოვნებას შორის ნათესაობის აღმოჩენა ჭირს, მაგრამ იგი მაინც არსებობს წმინდა გააზრების კვალობაზე და არა პირდაპირი, ფიზიკური მსგავსების მიხედვით. განსხვავება თანამედროვე მოქანდაკისა (გრიგოლია) და არქაიკოსი ხელოვანის მხატვრულ მეთოდებს შორის ნაყოფიერების თემასთან დაკავშირებით მარტივზე მარტივია. არქაიკოსი მხატვარი ნაყოფიერების თემას წარმართული რელიგიური მრწამსის საფუძველზე მიმართვდა. მისთვის

ნაყოფიერების თემაზე შექმნილი პლასტიკური ნაწარმოები მხოლოდ ხელოვნება არ იყო, არამედ – კერპი. თანამედროვე მხატვარი კი სექსუალურ თემას ინდივიდუალურ-ინტელექტუალური განზრახვის საფუძველზე მიმართავს. მის მიერ ამ თემის არჩევანში ორი გასათვალისწინებელი ფაქტორი მონაწილეობს: ერთი *წმინდა მხატვრულია,* მეორე კი – *ფილოსოფიური.* პირველი ფაქტორი თანამედროვე მხატვრობის ტენდენციას გულისხმობს, კერძოდ, რომელიმე მოვლენა ელემენტარული ლაკონიზმით უნდა გადმოიცეს, ე.ი. ცხოვრებისეული მოვლენის ელემენტარული ფორმით გამოხატვის საშუალებით ხელოვანი აღწევს მოცულობის ძირითად პრინციპს, საერთოდ, მოცულობითობის საწყისს. ეს უკანასკნელი, როგორც ვიცით, მარტივი გეომეტრიული ფორმების (ოვალი, ელიფსი, ცილინდრი, ოთხკუთხედი და ა.შ.) საშუალებით რეალიზდება. *ფილოსოფიური* ფაქტორი კი ისაა, რომ თანამედროვე მხატვარი თავისუფლად მოაზროვნე ადამიანის მსგავსად, იზიარებს ფროიდის შეხედულებას ადამიანში სექსუალური საწყისის პირველადობის შესახებ. იგი ამ შემთხვევაში გვევლინება როგორც ყოფიერების ინდივიდუალური ინტერპრეტატორი. კარლო გრიგოლიას ფორმალური ძიებები, უთუოდ, ეტაპობრივია, ზოგადად, ქართულ პლასტიკურ აზროვნებაში და, ამდენად, გასათვალისწინებელია თანამედროვე მოქანდაკეებისთვის. შეიძლება, დავით კაკაბაძის აბსტრაქტული ქანდაკება არ იყოს გრიგოლიასთვის რაიმე საწყისი, მაგრამ, ზოგადად, ქართული პლასტიკის ისტორიული განვითარების ასპექტით, კაკაბაძის აბსტრაქტული გეზი გრიგოლიას შემოქმედებაში განსხვავებული ხასიათით გაგრძელდა აბსტრაქტულობის თვალსაზრისით.

შემდგომი თაობების (70-80-90-იანი წლების) მოქანდაკეებმა სხვადასხვა მხატვრული მიმართულება განავითარეს საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ისინი სხვადასხვა ფორმით იზიარებენ რეალისტური სკულპტურის პრინციპებს, ძირითადად, მაინც აბსტრაქტულ აზროვნებას ამკვიდრებენ. ქმნიან აბსტრაქციებს ან აბსტრაჰირებულ ფიგურებს. უფრო კონკრეტულად კი, გამოიკვეთა ტენდენცია მოქანდაკის აზროვნებით დატვირთული პლასტიკური ფორმის შექმნისა. ამ მიმართულების მხატვრებისთვის დამახასიათებელია სითამამე მოცულობასთან დამოკიდებულებისას, თეორიული კონცეფციურობა, თავისებური ემოციურ-ფილოსოფიური პოეტიკა და ა.შ. უფრო მეტიც, ისინი აბსოლუტურად თავისუფლად არჩევენ მასალას და ასევე თავისუფლად არღვევენ სავსე მოცულობის მქონე პლასტიკის ტრადიციას, საჭირო შემთხვევაში, საერთოდ უარს ამბობენ მოცულობაზე. შეიძლება ითქვას, ახალგაზრდა მოქანდაკეები თავიანთი ძიებებით ეხებიან ყველა იმ ტენდენციას, უკიდურესად ფორმალისტურსა და რეალისტურსაც, რომლებიც მსოფლიო ავანგარდულ ქანდაკებაში შეიმჩნევა. არის ცდა გამოყენებულ იქნას პლასტიკურად არატრადიციული მასალები, რომლებიც პოპარტიდან ან დიზაინიდანაა ნასესხები (სხვადასხვა ტიპის მეტალი, პლასტიკატი, ცელოლოიდური ნაწარმი, ხე, მინა და ა.შ.). დრო გვიჩვენებს, რამდენად სერიოზულ მიღწევებს შემოგვთავაზებენ ისინი ასეთი თავისუფალი გზით.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ცალკეული ერის მიერ თანამედროვე ხელოვნების საყოველთაო მნიშვნელობის არმიღების შემთხვევაში, მოცემული ერის კულტურა იზოლაციაში მოექცეოდა და ოდესღაც მიღწეული მხატვრული სისტემისა და მეთოდის მუდმივად გამეორებით იქნებოდა განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, ქართულ მხატვრულ კულტურას არ ემუქრება

ეროვნული მხატვრული მენტალობის დაკარგვა საყოველთაო ავანგარდული ხელოვნების პრინციპების ქართულ სინამდვილეში დამკვიდრების შემთხვევაში. მას შემდეგ, რაც საქართველოში ხელოვნება გათავისუფლდა ყოველგვარი ცენზურისაგან, მოქანდაკეებმა მთელი სიბეჯითით აითვისეს ევროპული გამოცდილება. შეიქმნა საფრთხე, რომ ქართველი მოქანდაკეები დაკარგავდნენ თვითმყოფადობას და ეროვნული მხატვრული მიღწევების მექანიკური ვარირებით შემოიფარგლებოდნენ, მაგრამ დრომ XX ს-ის ბოლო პერიოდის ხელოვანთაგან თანდათანობით გამოჰყო ინდივიდუალური მხატვრული ხედვისა და თვითმყოფადობის მქონე მოქანდაკეები: რეზო ხასია, როლანდ ნაროუშვილი, ნოდარ თოფურია, ჯემალ ბჟალავა, გია ჯაფარიძე, გენო ზაქარაია, ლევან მხეიძე, ლევან ჩლაიძე, ავთანდილ მონასერიძე, ძმები ვალერი და ჯუმბერ ჯიქიები, ნეველი ჯიქია, ჯონი გოგაბერიშვილი, მარინე ივანიშვილი. უფრო ახალგაზრდებს შორის კი — გიორგი ტყაბლაძე, ზაზა ლეჟავა, თენგიზ აბრამიშვილი, ლევან სალუქვაძე და სხვ. მათი შემოქმედებითი თვითმყოფადობა საინტერესოა იმ მხრივ, რომ მრავალფეროვან მხატვრულ ძიებათა შედეგებით გამოირჩევიან. ამ თვალსაზრისით ფორმის ინტერპრეტაცია თუ ზოგჯერ სავსე მოცულობის პრინციპს ეფუძნება, სხვა შემთხვევაში ვხვდებით „ფორმანაკლულობის", „დალეულობის", „შევიწროების" მეთოდს ან რთული მეტაფორული ფორმებით სახოვან აზროვნებას (სურ. 14-15).

მეტაფორულ აბსტრაქტულ აზროვნებაზე საუბრისას ტერმინს — *აბსტრაქტული* ფართო მნიშვნელობით ვხმარობთ, ვიდრე წმინდა აბსტრაქციონიზმისთვის სახასიათო რეალობისგან აბსოლუტურად განყენებული ფორმებით აზროვნების თვალსაზრისით. მეტაფორული პლასტიკური აზროვნება ფიგურატიული უფროა, ვიდრე არაფიგურატიული. ის თავისებური, პოსტაბსტრაქტული ხასიათით გამოირჩევა და აბსტრაჰირებული რეალური ფორმებით რთული მეტაფორული შინაარსის გამომხატველია. მეტაფორული აბსტრაქტული პლასტიკური აზროვნება განსაკუთრებით სახასიათო XX ს-ის ბოლო პერიოდის ქართულ პლასტიკაში გახდა, როდესაც გაჩნდა მოთხოვნა გადააზრებული და შეჯამებული ყოფილიყო მოდერნიზმისა და ავანგარდიზმის ექსპერიმენტები და მიღწევები. სწორედ ამ ტენდენციამ გამოიწვია ხელოვანთა შემოქმედებაში მრავალსისტემურობა და მრავალგეზიანობა. უფრო მეტიც, ხშირად ერთი და იგივე მოქანდაკე სხვადასხვა მხატვრული მეთოდით მუშაობს.

ამ თაობიდან ყურადღებას შევაჩერებთ სამ მოქანდაკეზე: გია ჯაფარიძეზე, ჯემალ ბჟალავასა და ნოდარ თოფურიაზე. ამ მოქანდაკეების შემოქმედებას იმიტომ არ განვიხილავთ, რომ მათ გამოვყოფთ ამ პერიოდის მოქანდაკეებისგან. ყურადღებას ვამახვილებთ იმიტომ, მათს ნამუშევრებში თვალსაჩინოდ გამოვლინდა მეტაფორული აბსტრაქტული აზროვნება.

XX ს-ის ბოლო ოცწლეულის სახასიათო პლასტიკური აზროვნება ჩანს გია ჯაფარიძის შემოქმედებაში. მის ნამუშევრებში პოსტაბსტრაქციონიზმისთვის ნიშანდობლივმა ფიგურატივიზმმა იჩინა თავი. იგი რეალისტური პლასტიკური მეთოდითაც მუშაობს და მეტაფორული აბსტრაქტული აზროვნების მიმართულებითაც. ეს უკანასკნელი ტენდენცია მის ნამუშევრებში, ფორმის უკიდურესი ლაკონიზმის გამო, ემბლემატური სიმბოლიზმის ხაზით გაიაზრება. სქელი მავთულის სიმსხვილემდე დაყვანილი ადამიანის პლასტიკურ ფიგურებში ირმის რქების მოტივის ხშირი გამოყენება აბსტრაქტულ მითო-

სურობას ქმნის (სურ. 16). შემთხვევითი არაა, რომ ბოლო ათწლეულებში გია ჯაფარიძემ არაერთი ემბლემა შექმნა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებისა თუ პრიზისთვის.

სხვა, არანაკლები რთული, გეზით წარმართა თავისი პლასტიკური აზროვნება მოქანდაკე ჯემალ ბჟალავამ. იგი ცდილობს ადამიანის სახით ისეთი აბსტრაქტული ფორმა შექმნას, რომელიც, საზოგადოდ, ადამიანურობის პოზიციიდან რაიმე ისეთს გამოხატავს, რაც დაფარულია და თვალით, როგორც რეალური რამ, არც ჩანს. ძირითადი ხერხი, რომელსაც იგი ამის მისაღწევად მიმართავს, *აბსტრაქტულ-ნაივური* დისპროპორციაა. საინტერესოა, რომ იგი ამ მეთოდს ახორციელებს არა თვალსაჩინო აბსტრაქციის გზით, არამედ აბსტრაქტული აზროვნების მხოლოდ მინიშნებით. საქმე ისაა, რომ გარკვეულ პორტრეტებში (სურ. 17) მოქანდაკე ისეთი ორგანული ტიპის დისპროპორციას მიმართავს, რომ ცდილობს ჭეშმარიტი ნაივობის შთაბეჭდილება შექმნას, მაგრამ ამ ტიპის ნაივობა, აბსტრაქტული აზროვნების გარეშე, მიუღწეველი უნდა იყოს, ე.ი. აბსტრაქტული ამოცანით მოქანდაკე ათვალსაჩინოებს მხატვრულ პრიმატს და მის მიღმა ფარავს აბსტრაქტულს. ეს თავისებურება სწორედ შინაგნობის, ღრმა ფსიქოლოგიურობის, ჯერ გამოუხატავის წარმოჩენის ინდივიდუალური ცდაა.

რთული შინაგანი განწყობილება-ემოციის გონებამახვილური საშუალებით გამოხატვის ამოცანით დატვირთა თავისი შემოქმედება მოქანდაკე ნოდარ თოფურიამ. რთული აზრის გამოხატვას იგი ცდილობს მაშინაც კი, როცა მაინცდამაინც აბსტრაქტულ საშუალებებს არ იყენებს და რეალური ფორმებით (ცხადია, განზოგადებულად და არა კონკრეტული მიდგომით) ქმნის ნაწარმოებს. ხშირად პლასტიკური ფორმები ხელოვანის ნებით და ცდით, გონებამახვილური მოტივისა და ფორმის კომპოზიციის სტრუქტურის წყალობით, საიდუმლოს შემცველებია. ერთ-ერთი ასეთი მაღალმხატვრული ნაწარმოებია „ფერისცვალება" (სურ. 18). რა შინაარსობრივი ინტერპრეტაციაც არ უნდა ჩადოს მოქანდაკემ ამ ორიგინალურ კომპოზიციაში, მაყურებელი მასში ხედავს იმ პლასტიკურ საიდუმლოს, რომლის ინტერპრეტირებაც შეუძლებელია. ცხენის ორი რეალური, შესაცნობი ფიგურა გონებამახვილური ხერხითაა დაკავშირებული როგორც ანარეკლი. ცხენის თითოეული ფიგურა ცალ-ცალკე რომ გვენახა, ალბათ, არ გამოიწვევდა აღქმის განსაკუთრებულ თავისებურებას და სწორედ აქ ჩანს, თუ რაოდენი ძალა აქვს ფორმის აბსტრაქტულად გააზრებას. ცხენის ფიგურათა ჩლიქებით ერთმანეთზე დგომა, როგორც საკმაოდ ორიგინალური კომპოზიციური ხერხი, მთლიანად ცვლის ნაწარმოების აღქმის აზრს. ეს არც არის ცხენები და, შეიძლება ითქვას, ეს ფიგურები რომ სწორედ ცხენები არიან არც ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან მთავარ პლასტიკურ აზრს თითოეული ცხენის სკულპტურული ხარისხი და ღირსება კი არ ქმნის, არამედ ცხენების უცნაური ურთიერთობის მნიშვნელობა (ირიბად და მეორეხარისხოვნად, რა თქმა უნდა, ცხენების პლასტიკური ხასიათიც თავის მნიშვნელოვან როლს ასრულებს). ამ ურთიერთობას კი, უთუოდ, არ გააჩნია მატერიალურობა, ე.ი. კომპოზიციაში წინა პლანზე წამოწეულია ცოცხალ, მატერიალურ არსებათა მატერიის არამქონე ურთიერთობა, ანუ ის ესთეტიკური განუსაზღვრელობა, რომელსაც მოქანდაკე მატერიათა ალოგიკური კავშირით ქმნის. ამიტომაც, რადგან ნაწარმოებში აბსტრაქტული გააზრება უფრო მთავარია, იგი პოეტურ მეტაფორად და ქმნილებად გვევლინება.

აზრის მეტაფორული გამოსახვის მიზნით მოქანდაკე ზოგჯერ უკიდურესად ამარტივებს ფორმის პლასტიკურ დატვირთვას. თითქოს მიზნად დაუსახავს ყველაზე ძუნწი ფორმალური საშუალებით გამოხატოს ფილოსოფიური პოეტიკა. კომპოზიციაში „კარი" (სურ. 19) მთელი ფორმალური მონაცემი აზრის გამოხატვას უფრო ემსახურება, ვიდრე პლასტიკური ხერხით ემოციის შექმნას. ამ შემთხვევაში მინიმალური პლასტიკური მონაცემი მეტაფორული და კონცეპტუალურია. ასეთივეა კომპოზიცია „ჩრდილი" (სურ. 20), სადაც ნათლად ჩანს რთული აზრისა და ემოციის აბსტრაქტული ფორმალობით გამოსახვის ამოცანა. აზრის გამომხატველი პლასტიკის თვალსაზრისით, თოფურიას შემოქმედება ეტაპობრივად უნდა ჩაითვალოს ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაში, რომლის შეფასების კრიტერიუმი უნდა გამომდინარეობდეს იმ ფორმალურ ნიშანთა წყობიდან, რომელიც მის ქანდაკებებს ახასიათებს.

როგორც დავინახეთ, ბევრი რამ შეიცვალა ბოლო პერიოდის ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში. უპირველეს ყოვლისა, შეიცვალა მოქანდაკის ფორმასთან დამოკიდებულება. თანამედროვე მოქანდაკე თვლის, რომ სკულპტურულ ნაწარმოებში მხატვრულ ინფორმაციას ფორმის გამომსახველობა უფრო იძლევა, ვიდრე თემა. ამიტომ მან ფორმა გაათავისუფლა თხრობითი, შინაარსობრივი დატვირთვისგან და ფორმის ხასიათზე გაამახვილა ყურადღება. აქედან გამომდინარე, გაჩნდა აბსტრაქტული პლასტიკური გამომსახველობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე მხატვარი თავის წარმოსახვას, ინსტიქტის სპონტანურ გამოსახვას, აბსტრაქტულ ინტელექტუალიზმსა და ფილოსოფიზმს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე სინამდვილის რეალისტურ ხედვას. შეიძლება ითქვას, წარმოსახვის თავისუფლება და ამ თავისუფლების ინტელექტუალურ — ფილოსოფიური სისტემიზირება ძირითადი მიზანია ავანგარდისტი მხატვრისთვის, მაგრამ, მიუხედავად უკიდურესი ინდივიდუალიზმისა და, საერთოდ, ჩვენი ეპოქის მხატვრული მიმართულებების სიჭრელისა, მაინც არსებობს ზოგიერთი რამ, რაც აერთიანებთ თანამედროვე მხატვრულ მიმართულებებს. ეს ზოგიერთი გამაერთიანებელი რამ სხვადასხვა მხატვრული ფაქტორის სახით გამოვლინდა ავანგარდიზმში. ერთი მხრივ, თუ ისინი ეპოქის საერთო ესთეტიკურ ნიშნებად შეიძლება ჩაითვალოს, მეორე მხრივ, ცალკეული შემოქმედი ინდივიდისთვის განკერძოებული და ავტონომიური გამომხატველობის საშუალებებიცაა. ეს ფაქტორებია: მიდრეკილება აბსტრაქტული, განზოგადებული აზროვნებისკენ, ხაზგასმით ორიგინალური მხატვრული ხერხების ძიება, სინამდვილის იდეალიზების საპირისპიროდ სინამდვილის კრიტიკა, ჭარბი განზოგადების გამო ბუნდოვანი შინაარსის მქონე ფორმის ძიება, მიდრეკილება თვითანალიზის შემცველი სამეტყველო ენისკენ და სხვ.

დაბოლოს, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქართული პლასტიკური ხელოვნება დღესაც, ისევე, როგორც წარსულში, უაღრესად დინამიკურ, მაძიებლურ პროცესში იმყოფება. მისი დღევანდელი მდგომარეობა, უდავოდ, მეტყველებს პლასტიკური აზროვნების სიცოცხლისუნარიანობაზე, რომელიც დიდი სააზროვნო მასალაა მკვლევრებისა და კრიტიკოსებისთვის.

Lili Giorgobiani

The Georgian National Museum, Dimitry Shevardnadze National Gallery
11, Rustaveli ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: lili_giorgobiani@yahoo.com

Abstract Thinking in Modern Georgian Art

Summery

In our review, abstract thinking does not mean such preferential rout that gives solid reason to judge about the work of a certain artist. When we mention abstract, we give in it wider meaning (as it is generally accepted) and do not imply narrow understanding of an abstract sculpture only. Namely, we touch one common fact that is characteristic to fine arts, the main aesthetic factor that sometimes is referred as artistic thinking, or artistic generalization, or even decorative foundation or-abstract thinking.

So we use this term to denote any foundation, that can be perceived through a human's internal vision and is not immediately visible in reality. Also, anything that is so much generalized that we cannot recognize particular objects of concrete definition, also denotes events of art that take place in painting only and does not actually exist, particularly we talk about the way of abstraction, that in spite of estrangement elements, contains positive aspects as well. Namely, extension aspect of reality concept, when actual physical surface is presented in combination with a human's internal reality. If we can also imagine abstract phenomenon from this point of view, then it becomes aspiring to an artist, especially if we consider the fact that abstract thinking does not only lead to estrangement, bat also approaches hidden, invisible reality.

It was also underlined that abstract thinking had globally penetrated in the 20th century art- that it was equally revealed in objective and non-objective art. Therefore it gave way to origination of two understandings of abstractionism: on one occasion abstractionism means abstract, non-objective art, and in the other it has wider meaning and implies all art movements that were created by means of abstracting of concept, on the basis of subjective interpretation of forms, that is, to some extend – objective art. Consequently, it gives clear understanding of Georgian painters', particularly sculptors' aspiration, to implement abstract thinking objectively and plastically.

Our task is to presume (on the bases of concrete examples), how abstract thinking was developed on different stages of modern Georgian plastic art-starting from the founder of round sculpture - Iakob Nikoladze, and how it was continued by generation of the 60s based on free aesthetic thinking, where attention was paid to Karlo Grigoria, as a pioneer of abstract sculpture and to the further

period (70s and 90s)-the conceptualists of.At that time a tendency of creating plastic physical forms, that carried a sculptor's way of thinking, was revealed as well as boldness in relationship of volume became a characteristic feature, theoretical conceptualism, emotional-philosophic poetry and etc. We have outlined three sculptores from that generation – Gia Japaridze, Nodar Topuria and Jemal Bzalava. Deserved recognition was given to David Kakabadze, as a founder of abstract thinking in Georgia.

And as a conclusion of our review it should be said that modern Georgian plastic art today, as well as in past years, is in extremely dynamic, searching process – its current position unambiguously shows plastic thinking sustainability that supplies researchers and critics with good material for interpretation.

ბიბლიოგრაფია

შანიძე ლ. 1975: *ქართული საბჭოთა ქანდაკება*. თბილისი.

ჰერბერტ რ. 1998: მოდერნისტული ქანდაკების მოკლე ისტორია. *„სპექტრი“*. №1. გვ. 6-21. თბილისი (რედ. ირ. ყიფშიძე).

Беридзе В., Езерская Н. 1975: *Искусство советской Грузии. 1921-1970.* Москва.

Валериус В. 1973: *Прогрессивная скульптура XX века, проблемы и тенденции.* Москва.

Рейнгардт А. 1980: *Модернизм, анализ и критика основных направлений.* Москва.

Read R. 1933: *Art now. An introduction to the theorem of modern painting and sculpture.* London.

Howell A. 1957: *The meaning and purpose of Art*. England.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. პოლიქრომიული ქანდაკება **Z** (განგმირული თევზი). 1925 წ. დავით კაკაბაძე

სურ. 2. ჩახრუხაძის პორტრეტი. 1944 წ. იაკობ ნიკოლაძე

სურ. 3. ალექსანდრე რატიანის პორტრეტი (გამომწვარი თიხა). 1960 წ. ვიქტორ ჭუმბურიძე

სურ. 4. მედეა. 1970 წ. მერაბ ბერძენიშვილი

სურ. 5. ფიროსმანი. 1987 წ. ელგუჯა ამაშუკელი

სურ. 6. გალაქტიონ ტაბიძე. 1980-იანი წლების დასაწყისი. ჯუნა მიქატაძე

სურ. 7. კონსტანტინე გამსახურდია. 1985 წ. თენგიზ კიკალიშვილი

სურ. 8. ქალის ტრანსფორმირებული ფიგურა. 1990 წ. გოგი ოჩიაური
სურ. 9. მეფე აიეტი. 1985-1993 წწ. ვაჟა მელიქიშვილი
სურ. 10. ვახტანგ გორგასალი. 1957-1967 წწ. ელგუჯა ამაშუკელი
სურ. 11. მოცულობითი ფორმა. 1958 წ. კარლო გრიგოლია
სურ. 12. რიტმული ფორმა. 1985 წ. კარლო გრიგოლია
სურ. 13. დინამიკური ფორმა. 1988 წ. კარლო გრიგოლია
სურ. 14. გარდასახვა. 1999 წ. როლანდ ნაროუშვილი
სურ. 15. ზარი. 2002 წ. ჯონი გოგაბერიშვილი
სურ. 16. ქალის ფიგურა. 2005 წ. გია ჯაფარიძე
სურ. 17. პორტრეტი. 1995 წ. ჯემალ ბჟალავა
სურ. 18. ფერისცვალება. 1983 წ. ნოდარ თოფურია
სურ. 19. კარი. 1985 წ. ნოდარ თოფურია
სურ. 20. ჩრდილი. 1985 წ. ნოდარ თოფურია

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Polychromic sculpture(stabbed fish). 1925. David Kakabadze
Fig. 2. Portrait of Chakhrukadze. 1944. Iakob Nikoladze
Fig. 3. Portrait of Aleksandre Ratiani (oven baked clay).1960. Victor Chumburidze
Fig. 4. Medea. 1970. Merab Berdzenishvili
Fig. 5. Phirosmani. 1987. Elgudja Amashukeli
Fig. 6. Galaktion Tabidze. Beginning of 1980 s. Juna Mikatadze
Fig. 7. KonstantineGamsakhurdia. 1985. Tengiz Kikalishvili
Fig. 8. Woman's transformed figure. 1990. Gogi Ochiauri
Fig. 9. King Aieti. 1985-1993 . Vazha Melikishvili
Fig. 10. Vakhtang Gorgasali. 1957-1967. Elguja Amashukeli
Fig. 11. Capacitance form. 1958. Karlo Grigoria
Fig. 12. Ritmic form. 1985. Karlo Grigoria
Fig. 13. Dinamic form. 1988. Karlo Grigoria
Fig. 14. Transformation. 1999. Roland Naroushvili
Fig. 15. Bell. 2002. John Gogaberishvili
Fig. 16. Woman's figure. 2005. Gia Japaridze
Fig. 17. Portrait.1995. Jemal Bzhalava
Fig. 18. Transformation. 1983. Nodar Topuria
Fig. 19. Door. 1985. Nodar Topuria
Fig. 20. Shadow. 1985. Nodar Topuria



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**

სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**

სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**

სურ. 7 **Fig.**

სურ. 8 **Fig.**

სურ. 9 **Fig.**

სურ. 10 **Fig.**



სურ. 11 **Fig.**





სურ. 12 **Fig.** სურ. 13 **Fig.** სურ. 14 **Fig.** სურ. 15 **Fig.**

სურ. 16 **Fig.** სურ. 17 **Fig.** სურ. 18 **Fig.**



სურ. 19 **Fig.** სურ. 20 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 464-468
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 464-468

სამუზეუმო საქმე

მანანა ალფენიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: alpenidzem@yahoo.com

ზოგიერთი ცნობა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკის შექმნის შესახებ*

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკა საქართველოში არსებულ ბიბლიოთეკათაგან ერთ-ერთი გამორჩეულია, რადგან აქ დაცულია მრავალი ძველი, უნიკალური წიგნი თუ პერიოდული გამოცემა. მათი თავმოყრა და აქ დაუნჯება ბიბლიოთეკის არაერთი თაობის თანამშრომელთა შრომის შედეგია. როგორც ცნობილია, ხელოვნების მუზეუმი მემკვიდრეა კულტურისა და ხელოვნების ისტორიის მუზეუმ „*მეტეხისა*“ (1939-1950 წწ.). ის კი, თავის მხრივ, დაარსდა საქართველოს ეროვნული გალერეისა (*სეგი*. 1920-1932 წწ.) და ცენტრალური სახვითი ხელოვნების მუზეუმის (1932-1939 წწ.) ბაზაზე. ამ ორი კულტურული დაწესებულების მთელი ქონება მათს კუთვნილ წიგნებთან ერთად 1939 წელს გადაიტანეს კულტურისა და ხელოვნების ისტორიის ახალდაარსებულ მუზეუმ „*მეტეხისათვის*“ გამოყოფილ მეტეხის ციხის შენობაში (სურ. 1). ჯერ კიდევ 1935 წელს, მუზეუმის ქონების ინვენტარიზაციისას, აღირიცხა ბიბლიოთეკის წიგნები. სწორედ მაშინ შეადგინეს უკვე არსებული წიგნების ფონდის საინვენტარიზაციო წიგნი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა, *სეგის* დამაარსებელ დიმიტრი შევარდნაძის მთავარი მიზანი იყო საქართველოში სამხატვრო პროფილის მუზეუმის შექმნა, მაგრამ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა *სეგში* სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაფუძნებასაც. ამას ცხადყოფს ის, რომ მუზეუმის თითქმის დაარსებისთანავე, 1921 წელს, *სეგში* შეიქმნა სამხატვრო-სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც 5 ათას ტომს შეიცავდა. ამის შესახებ გვაუწყებს ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერთა-მემუარულ ფონდში დაცული დიმიტრი შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი ერთი საარქივო მასალა: «В 1921 г. в мае месяце при галерее создавшаяся художественная библиотека заключающая 5 тысяч томов художественных издании преимущественно иностранного издательства» [ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერთა-მემუარული ფონდი. მუზეუმი „*მეტეხი*“. წიგნი № 53. 1935-1938 წწ.]. ამით, ფაქტობრივად, დასაბამი მიეცა ხელოვნების ამჟამინდელი მუზეუმის უნიკალურ ბიბლიოთეკას.

---

* ამ სტატიის I ვერსია დაიბეჭდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის „მოამბეში“ [სვანიძე-ჩანტლაძე ს., ჩხარტიშვილი ი. 2011].

დიმიტრი შევარდნაძე ყოველთვის გამორჩეულად მოიხსენიებდა პავლე თუმანიშვილისაგან შეძენილ ბიბლიოთეკას, რომელიც ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისათვის ალექსანდრე სარაჯიშვილის ქვრივის მიერ საჩუქრად გადმოცემულ ბიბლიოთეკასთან ერთად ეროვნული გალერეის ბიბლიოთეკის შექმნის საფუძვლად მიაჩნდა და რომელიც დღეს მთელი ფონდის ძირითადი ნაწილია.

XX ს-ის 20-იან წლებში ბიბლიოთეკის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო წიგნები აღმოსავლური ხელოვნების შესახებ, რომლებიც საქართველოს სახკომსაბჭომ დიმიტრი შევარდნაძის რეკომენდაციით გერმანიიდან გამოიწერა. ასეთი ზრუნვა ბიბლიოთეკის მოწყობაზე განპირობებული იყო დიმიტრი შევარდნაძის სურვილით, რომ *სეგი* ქცეულიყო საქართველოში ხელოვნების სამეცნიერო შესწავლის ცენტრად.

1950 წელს მუზეუმ „*მეტეხის*“ ბაზაზე დაარსდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმი (სურ. 2). ცხადია, ახალშექმნილ მუზეუმს გადაეცა წინამორბედი დაწესებულებების ბიბლიოთეკებიც. ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა, მისი იმჟამინდელი გამგის, გიორგი ნათიძის, ხელმძღვანელობით გააგრძელეს ბიბლიოთეკის შევსება-გამდიდრების ტრადიცია. სისტემატურად ხდებოდა ჟურნალ-გაზეთების გამოწერა. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიასთან, ლენინგრადის ერმიტაჟსა და გამომცემლობა «Международная книга»-სთან შეთანხმების შედეგად ბიბლიოთეკა ივსებოდა ახალი მრავალენოვანი გამოცემებით. გარდა ამისა, გამოწერილი იყო სსრკ-ში გამომავალი ყველა მხატვრულ-სამეცნიერო წიგნი თუ პერიოდული გამოცემა. ლიტერატურას იღებდნენ გაცვლითი წესითაც ან იძენდნენ კერძო პირებისაგან. ამ მხრივ საყურადღებოა გიორგი ნათიძის განცხადება. იგი სთხოვს ზემდგომ ორგანოებს ბაზარზე ან კერძო პირებისაგან ლიტერატურის შესაძენად ყოველთვიური თანხის გამოყოფას [ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერთა-მემუარული ფონდი. მუზეუმი „*მეტეხი*”. წიგნი № 54. 1934-1938 წწ.]. სავარაუდოდ, ალბათ, ამ გზითაც შეივსო ბიბლიოთეკის ფონდი არაერთი იშვიათი გამოცემით. ბიბლიოთეკა გამდიდრდა ცნობილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების ფონდებითაც. ასე რომ, ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკა უკვე იმ დროისათვის იყო მრავალენოვანი, მრავალდარგობრივი (არქიტექტურა, არქეოლოგია, ისტორია, მხატვრობა, რელიგია, თეატრი, მუსიკა და ა. შ.) და რაოდენობრივადაც სოლიდური წიგნსაცავი. დღეს კი აქ უკვე დაცულია 70 ათასამდე ნაბეჭდი ერთეული. ვრცელია მათი გამოცემის ქრონოლოგიური დიაპაზონიც. მათგან ყველაზე ადრეული თარიღდება XVI ს-ით (ლუთერისეული ბიბლია გერმანულ ენაზე). უდიდესი საუნჯეა მინიატიურებით შემკული XVII-XVIII სს-ის ხელნაწერი ლოცვანი და სახარება, რომლებიც საჭიროებენ დაუყოვნებლივ რესტავრაციას. თუმცა, ისინი მნიშვნელოვანია შინაარსობრივ-თემატური თუ ისტორიული თვალსაზრისითაც. ბიბლიოთეკის ერთგვარი სიამაყეა ქართული კულტურისა და მუზეუმის ბიბლიოთეკის მოამაგეთა – შალვა ამირანაშვილის, ბორის კუფტინის, ლეონიდ მაცულევიჩის, დიმიტრი გორდეევის, ტარასი კანდელაკის, ნატალია სასნოვსკაიას ფონდები (სურ. 3), სადაც მრავალი უნიკალური გამოცემაა დავანებული. ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილია საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გამოცემული მასალაც, რომელშიც ხალხური შემოქმედების რუდუნებით შეგროვებული მარგალიტებია თავმოყრილი.

ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკის მრავალწლიანი არსებობის მიუხედავად, სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს მისი ფონდების ანოტირებული ნაბეჭდი თუ ელექტრონული კატალოგი, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია XXI ს-ში საბიბლიოთეკო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვა. მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამ მიმართულებით მუშაობის დაწყება და დღეისათვის უკვე შექმნილია ფონდებში არსებული ინგლისურენოვანი გამოცემების ელექტრონული კატალოგი. ამჟამად კი მუშავდება საერთო ფონდის ელექტრონული კატალოგი. ვფიქრობთ, ამით ხელი შეეწყობა ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკის უნიკალური ფონდების პოპულარიზაციას,ა ამასთანავე, დაინტერესებულ მკვლევართ და მოსწავლე-ახალგაზრდობას, რომელთა რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მიეცემათ საშუალება ამ კატალოგის, როგორც ერთგვარი გზამკვლევის, მეშვეობით უფრო ადვილად მოიძიონ მათთვის აუცილებელი სამეცნიერო ლიტერატურა.

MUSEOLOGY

Manana Alpenidze

The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili, Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St. 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: alpenidzem@yahoo.com

Some References Concerning the Foundation of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts Library

Summary

The library funds of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts by virtue of its number and significance can unquestionably be ranked among the finest libraries in Georgia. The intending web-catalogue of the initial funds (The catalogue of the English editions has already been completed) cannot fail to prove of interest and facilitate assistance as well as it will serve as a guide to not a few rarities.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს ეროვნული მუზეუმი. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერთა-მემუარული ფონდი. მუზეუმი „*მეტეხი*“. წიგნი №№53, 54. 1934-1938 წწ.

სვანაძე-ჩანტლაძე ს., ჩხარტიშვილი ი. 2011: საქართველოს ეროვნული მუზეუმის საინფორმაციო სტრუქტურების კვლევისათვის. *სემმ.* ტ. II. გვ. 495-500. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ 1. მუზეუმი „მეტეხი”

სურ. 2. ხელოვნების მუზეუმი

სურ. 3. მარჯვნივ – შალვა ამირანაშვილი, მარცხნივ – გიორგი ნათიძე

LLIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Museum “Metechi”

Fig. 2. Museum of Fine Arts

Fig. 3. On the right – Shalva Amiranashvili, on the left – Giorgi Natidze



სურ 1 Fig.



სურ 2 Fig.

სურ 3 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 469-493
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 469-493

სამუზეუმო საქმე

თემურ შარიქაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
რუსთაველის გამზირი, 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: temurishariqadze@gmail.com

მემორიალური ექსპონატების კვლევისათვის (მეორე ნაწილი)*

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ისტორიული ძეგლების მოვლა-შენარჩუნება ყოველთვის იყო ცივილიზებული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი და საზრუნავი.

ქართველი ხალხი, რომელიც საუკუნეები განმავლობაში აგებდა შესანიშნავ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, იმავდროულად, სათუთად უფრთხილდებოდა კულტურულ მონაპოვარს, პასუხისმგებლობით იცავდა და იცავს სულიერ ღირებულებებს, რაც გვახსენებს ერის წარსულსა და მის დიდებულ მოღვაწეებს.

წერილის მეორე ნაწილში წარმოვადგენთ საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ფონდებში დაცულ ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენელთა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებს კატალოგის სახით. კატალოგის სპეციფიკისა და, იმავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა ამ ნივთების მფლობელთა ბიოგრაფიის შეხსენება, წერილის ამ ნაწილშივეა მოცემული მათი მცირე ბიოგრაფიული მონაცემები. აქვეა მათი ნაქონი ნივთების შესახებ დამატებითი ინფორმაცია და საკატალოგო ნომრებიც. მრავალფეროვანი თემატიკით გამორჩეული მემორიალური ექსპონატების უმრავლესობა (ფაიფურის ჭურჭელი, ქალის სამკაულები, ხელსაქმის ნიმუშები, საოჯახო ფოტოალბომები) მეფე ერეკლე II-ის შთამომავალთა (დარეჯან დედოფალი, გიორგი XII, თეკლა, გრიგოლ და ირაკლი ბატონიშვილები, ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზინსკაია, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი) ნაქონია.

მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმეთ აგრეთვე ქართველ არისტოკრატთა, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა საგვარეულო, პირადსა და საოჯახო ნივთებს, სამკაულებს, ასევე სხვადასხვა სფეროში მიღწეული წარმატებისათვის ისტორიულსა და ღირსშესანიშნავ მოვლენებთან დაკავშირებით მიღებულ საჩუქრებს, რომლებიც მუზეუმში შემოტანილია მათ მიერ ან ოჯახის წევრთა კეთილი განზრახვით, რათა წინაპართა განვლილი ცხოვრების ამ ერთგვარი „მეტყველი“ მატიანის თანაზიარი გამხდარი-

* წერილის პირველი ნაწილი გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჟურნალ მოამბეში 2013 წელს [შარიქაძე თ. 2013: მემორიალური ექსპონატების კვლევისათვის. სემმ. IV (49-B). გვ. 307-335. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე)].

ყო შემდგომი თაობები. მართლაცდა, მუზეუმში დაცულ ყოველ ნივთს საკუთარი ისტორია აქვს. მათი მეშვეობით თითქოს წარსული ცოცხლდება. მათ მრავალ განსაცდელს გაუძლეს. სხვადასხვა სოციალური წარმოშობის ოჯახში დაუნჯებულმა რელიქვიებმა დღეს უკვე ისტორიული, მხატვრული და სამუზეუმო მემორიალური ნივთების მნიშვნელობა და ღირებულება შეიძინა. მემორიალური ექსპონატების წარმოჩენა საწინდარია არა მხოლოდ მათს მფლობელთა სახელების გახსენებისა, არამედ ეს მოწოდებაცაა, არ დავივიწყოთ და ყოველთვის გვახსოვდეს მათი ამაგი და დამსახურება, მისაბაძად რომ გამოადგება ყველა თაობას.

ანასტასია ბატონიშვილი
(1763-1838)

მეფე ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ასული, რევაზ გიორგის ძე ქსნის ერისთავის მეუღლე. ჰყავდათ ხუთი შვილი: ბიძინა (1800-1876 წწ.), შალვა (გარდ. 1894 წწ.), იასე (გარდ. 1911 წწ.), გიორგი (1812-1891 წწ.), თამარი (ცოლად ჰყავდა შერმაზან აფხაზს. მათი ვაჟი ნიკოლოზი იყო ილია ჭავჭავაძის დის-ნინოს მეუღლე). ანასტასია 1825 წლიდან ცხოვრობდა პეტერბურგში. დაკრძალულია პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში.

მუზეუმში სამკაულის შემომტან ივდით ივანეს ძე მაყაშვილის გადმოცემით, სამკაული ეკუთვნოდა მის წინაპარს, ანასტასია ერეკლეს ასულს.

სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟის სპეციალისტების დასკვნით, ყელსაბამი ირანული ხელოსნობის ნიმუშია, თუმცა, შესაძლებლად მიიჩნევენ მის დამზადებას თბილისშიც (სურ. 1).

ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე
(1798-1868)

ერეკლე მეფისა და დარეჯან დედოფლის შვილიშვილი (მარიამ და მალხაზ ანდრონიკაშვილების ვაჟი), სოლომონ II-ის დისშვილი, ქართველ დიდგვაროვანთა ღირსეული წარმომადგენელი, გამოჩენილი მხედართმთავარი და გამოცდილი ადმინისტრატორი, რუსეთის არმიის სიმამაცით გამორჩეული გენერალი.

იგი ბავშვობიდანვე დაინტერესდა სამხედრო საქმით. ახალგაზრდობა რუსეთში გაატარა. 1817 წელს შეიყვანეს პეტერბურგის ლაიბგვარდიის ცხენოსანთა ლეგიონში, მსახურობდა რუსეთის ცხენოსანთა და ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში. პირველი საბრძოლო ნათლობა რუსეთ-ირანის (1826-1828 წწ.) ომში მიიღო. ელისავეტპოლთან, ერევანთან, ახალქალაქსა და ახალციხესთან წარმატებით ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისათვის გადაეცა წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი. (1828-1829 წწ.). რუსეთ-თურქეთის ომში კი ერზერუმისა და ბეიბურთის ბრძოლების გმირად აღიარეს. თბილისის სამხედრო გუბერნატორად ყოფნის დროს (1849-1856 წწ.) დაღესტანში დროულად ალაგმა მოთარეშეთა ბანდები. ყირიმის ომში (1853-1856 წწ.) ახალციხესთან, ნიგოითთან, ჩოლოქთან, ბაშ-კადიკლართან მიღწეული წარმატებებიც მის სახელს უკავშირდება, რაც

გამოიხატა მისთვის წმ. გიორგის III, წმ. ვლადიმერის IV, წმ. ანას II, წმ. სტანისლავის I ხარისხის ორდენების გადაცემით. რუსეთის არმიაში სამსახურის 50 წლის თავთან დაკავშირებით ივანე ანდრონიკაშვილს კავალერიის გენერლის წოდება მიენიჭა.

სიცოცხლის ბოლო წლები მან მშობლიურ სოფელში – გურჯაანის რ-ნის სოფ. ქოდალოში გაატარა, მოაშენა მსხვილფეხა საქონელი, ცხენები, ევროპიდან გამოიწერა გაუმჯობესებული გუთანი, სალეწი მანქანა, დაიწყო ვენახის დამუშავება, ღვინის დაყენება, ხელი მიჰყო მეაბრეშუმეობას.

თავისი ერთადერთი ვაჟის, არჩილის, ბაშ-კადიკლართან უდროოდ დაღუპვის გამო სულიერად დათრგუნული ივ. ანდრონიკაშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა 1868 წლის, 19 სექტემბერს. დაკრძალულია სოფ. ქოდალოში (სურ. 2).

ანტონ II კათალიკოსი
(1764-1827)

ანტონ II, ერისკაცობაში თეიმურაზ ბატონიშვილი, ერეკლე მეფისა და დარეჯან დედოფლის ძე, აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელი კათალიკოს-პატრიარქი, რომელსაც დაბადებიდან 250 წელი შეუსრულდა. მონაწილეობდა 1783 წელი გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებაში. 1784 წელს ხელდასმულ იქნა მღვდელმთავრად ცარსკოე სელოს კარის ეკლესიაში, შემდეგ ნინოწმინდის ეპისკოპოსად აკურთხეს, 1788 წელი მცხეთის სამღვდელოების კრებამ კათალიკოსად აირჩია და ეწოდა ანტონ II. 23 წლის განმავლობაში მწყემსავდა საქართველოს ეკლესიას. თითქმის მთელი ქონება სვეტიცხოვლის ტაძარს შესწირა. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ ანტონ II პეტერბურგში მიიწვიეს და ჩამოაშორეს საეკლესიო მოღვაწეობას. ანტონ II გარდაიცვალა ნიჟნი-ნოვგოროდში (სურ. 3).

ბაბუნიძე იოსებ გრიგოლის ძე

ცნობილი ქართველი მეღვინე და მრეწველი, კიევში ვაჭრობდა კახური ღვინით, მონაწილეობდა გამოფენებში. 1892 წლის აგვისტოში მას სპირტიანი სასმელების გამოფენაზე ვენახების მოშენებისათვის გადაეცა ოქროს მედალი და დიპლომი. მის მიერ წარმოებულმა კახურმა ღვინომ საპატიო დიპლომი დაიმსახურა.

ტროსტი მუზეუმში შემოიტანა ი. ბაბუნიძის ქალიშვილმა ოლღამ (სურ. 4).

ბაგრატიონ-გრუზინსკაია ეკატერინე
(1872-1917)

მეფე ერეკლე II-ის შვილთაშვილი, ირაკლი ბატონიშვილისა და თამარ ჭავჭავაძის ქალიშვილი. წლების განმავლობაში ცხოვრობდა ევროპაში (შვეიცარია, დრეზდენი, რომი, ვენეცია, პარიზი). სწავლობდა პარიზის კათოლიკური ეკლესიის ქალთა სკოლაში, სორბონის უნივერსიტეტის

ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ ენებს. თბილისში დაბრუნების შემდეგ, 1896 წელს, ცოლად გაჰყვა ივანე რატიშვილს (ზამთრის სასახლის, მუზეუმების განძეულობათა და ისტორიული ძეგლების დაცვის მთავარი კომენდანტი). შეეძინათ ქალ-ვაჟი. ეკატერინე დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში.

წარმოდგენილი საოჯახო ნივთები — ისტორიულ-მხატვრული ღირებულების ფაიფურის ჭურჭელი, სამკაულები, ხელსაქმის შესანიშნავი ნიმუშები[1] მუზეუმში შემოიტანა ივანე რატიშვილმა (სურ. 5-12).

გაიოზ რექტორი
(1746-1821)

ქართველი მეცნიერი, მწერალი, პედაგოგი, მთარგმნელი, დიპლომატი. დაამთავრა თბილისის სემინარია და მოსკოვის სასულიერო აკადემია. ფლობდა რუსულ, ლათინურ, ბერძნულ ენებს. თბილისში დააარსა კერძო სკოლა, ხელმძღვანელობდა თბილისის სასულიერო სემინარიას. იყო ერეკლე მეფისა და ანტონ I-ის მიერ თელავში, ერეკლეს სასახლეში, დაარსებული ფილოსოფიური სემინარიის პირველი რექტორი (1782-1783 წწ.). მონაწილეობდა გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებული კომისიის მუშაობაში. დააარსა მოზდოკის ეპარქია, იყო სარატოვისა და პენზის ეპისკოპოსი, ასტრახანისა და სტავროპოლის მთავარეპისკოპოსი.

მის კალამს ეკუთვნის — „საზღუარი ღრამმატიკისა“, „კიტაიის სიბრძნე“, თარგმნა არტილერიის საკითხების კრებული, „სამხედრო ტიბიკონი“, „სამხედრო არტიკული“, თალესის, პითაგორეს, დემოკრიტეს, სოკრატესა და სხვათა ბიოგრაფიები. 1796-1800 წწ-ში მოზდოკში, საკუთარი სახსრებით გამართულ სტამბაში, დაბეჭდა „ქართული გრამატიკა“, ანბანი, ლოცვანი და სხვ. (სურ. 13, 14).

გალაიბა იაკობი
(1859-1919)

ერევნის კლასიკური პროგიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის იუნკერთა სასწავლებელში. მსახურობდა ალექსანდროპოლის, ყირიმის, ელისავეტპოლის, ერევნის, კავკასიის ფეხოსანთა ბატალიონებსა და აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთისა (1877-1878 წწ.) და რუსეთ-იაპონიის (1904-1905 წწ.) ომებში.

გამოჩენილი გმირობისათვის დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით. გენერალი ი.გ. გალაიბა გარდაიცვალა 1919 წელს თბილისში.

იაკობ გალაიბას ქალიშვილ ევგენია მეღრაბოვას გადმოცემით, მამამისი დაუჯილდოებიათ მედლით 1877-1878 წლების რუსეთ-თურქე-

[1] გერბი (სურ. 5) მოქარგულია ქართველი მონაზვნების მიერ. იგი თავდაპირველად ეკუთვნოდა ერეკლე მეფის ძის, ალექსანდრეს მეუღლე მარიამს, შემდეგ მათი ვაჟის, ირაკლი ბატონიშვილის, მეუღლე თამარ ჭავჭავაძეს, რომელმაც უსახსოვრა ქალიშვილ ეკატერინეს. მასზე ამოქარგულია დავით წინასწარმეტყველის ქნარი, უფლის კვართი, თვითმპყრობელობის სფერო და ქნარი, გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, წმ. გიორგი, სასწორი, სამეფო მანტია და გვირგვინი.

თის ომში გამოჩენილი მამაცობისათვის. მიმდინარე წელს შეუსრულდა დაბადებიდან 155, გარდაცვალებიდან – 95 წელი (სურ. 15).

დადეშქელიანის ოჯახი

მუზეუმში შემოტანილი სარტყელი, შემომტან მ. ფოფხაძის გადმოცემით, ეკუთვნოდა სვანეთის თავად, დადეშქელიანის მეუღლეს (?),რომლისგანაც მ. ფოფხაძის პაპას, მღვდელ გიორგი ფოფხაძეს შეუძენია XIX ს-ის დასასრულს 12 აბაზად (სურ. 16).

დადეშქელიანი კონსტანტინე (მურზაყან) ციოყის (მიხეილის) ძე (1826-1858)

სვანეთის დადეშქელიანთა საგვარეულოს უკანასკნელი მთავარი (1842-1857 წწ.), რომელმაც 1857 წელს მოკლა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინი (1801-1857 წწ.). სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, იგი დახვრიტეს 1858 წლის 5 ნოემბერს.

ნივთები მუზეუმს შემოსწირა მისმა ქალიშვილმა მარიამ დადეშქელიანმა (სურ. 17).

დადიანი კონსტანტინე (1819-1889)

სამეგრელოს მთავარ ლევან V დადიანის ძე, საზოგადო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი. მონაწილეობდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ, ასევე ყირიმისა (1877-1878 წწ.) და რუსეთ-თურქეთის ომებში. დაბადებიდან აღინიშნება 195, გარდაცვალებიდან-125 წელი (სურ. 18).

დადიანი სალომე დავითის ასული (1848-1913)

სამეგრელოს მთავრის – დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილი. 1868 წლის 18 მაისს დაქორწინდა პრინც აშილ მიურატზე (1847-1895 წწ.). შეეძინათ ორი ვაჟი – ლუსიენ შარლ დავია მიურატი, ნაპოლეონ ლუი აშილ მიურატი და ქალიშვილი ანტუანეტა კატერინა მიურატი.

ზუგდიდის მაზრაში სალომე დადიანმა დედათა სკოლას გამოუყო მიწის ნაკვეთი და შესწირა ასაშენებელი ფული, თავის სახლში სამი დიდი ოთახი დაუთმო სამრევლო-საეკლესიო სკოლას, ყოველწლიურად შეჰქონდა 200-200 მანეთი ოცი ხელმოკლე მოსწავლის უფასოდ აღსაზრდელად.

მშობლების კოლექცია საგრძნობლად გამდიდრდა აშილის მიერ საფრანგეთიდან ჩამოტანილი ძვირფასი ნივთებით (სურ. 19).

ერისთავი რაფიელ დავითის ძე
(1824-1901)

ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი. სწავლობდა თელავის სამაზრო სასწავლებელში, შუამთის მონასტერში, თბილისის კეთილშობილთა გიმნაზიაში. სხვადასხვა წელს მუშაობდა კავკასიის საცენზურო კომიტეტში, თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში თარჯიმნად. კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში, ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლედ, სამხედრო გუბერნატორის საგანგებო მინდობილობათა უფროს მოხელედ, ზუგდიდის მაზრის უფროსად, სამეგრელოს თავად-აზნაურთა უფლებების გამსინჯველი კომისიის მოხელედ და სამმართველოს საბჭოს წევრად.

1846 წლიდან რუსულ პრესაში იბეჭდებოდა მისი ლექსები და მოთხრობები, დრამატული ნაწარმოებები, პუბლიცისტიკა, მიმოხილვები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები და გამოკვლევები საქართველოს ყველა კუთხის შესახებ. იყო ქართული პროფესიული თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვოდევილის ჟანრის დამამკვიდრებელი ქართულ დრამატურგიაში. დიდი წვლილი შეიტანა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის ეთნოგრაფიული განყოფილების ჩამოყალიბებისა და კავკასიის მუზეუმის დაარსება-განვითარების საქმეში.

1855 წელს მუზეუმის დირექტორმა ვ.ა. სოლოგუბმა რაფიელ ერისთავი მუზეუმში სამუშაოდ მიიწვია. ერისთავმა სისტემაში მოიყვანა სამუზეუმო ექსპონატები, დააზუსტა მათი სახელწოდებები, შეაჯერა ფონდების, შემოიღო საკატალოგო წიგნი. ახალდაარსებულ მუზეუმს პირადად შემოსწირა არაერთი ექსპონატი. გამოსცა მცენარეთა და ცხოველთა შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი. გარკვეულ პერიოდში ასრულებდა მუზეუმის მდივნის, ზედამხედველის მოვალეობებსაც. დაბადებიდან შეუსრულდა 190 წელი (სურ. 20)[2].

ერისთავი სოფიო ლევანის ასული
(1859-1930)

კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწის, გენერალ-ადიუტანტისა და კავალერიის გენერლის, ლევან ივანეს ძე მელიქიშვილისა და ალექსანდრა მამუკას ასულ ორბელიანის ქალიშვილი. სოფიო დაქორწინდა ერეკლეს შვილთაშვილზე, ზაქარია გიორგის ძე ერისთავზე (1844-1912 წწ.), რომელმაც საკუთარი ხარჯებით ოძისში გახსნილ სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლას შესწირა დიდი სახლი და მამულები. ცოლ-ქმარი ნაყოფიერ საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. მიმდინარე წელს აღინიშნება, სოფიო ერისთავის დაბადებიდან 155 წელი (სურ. 21)[3].

---

[2] სინი რაფიელ ერისთავს უჩუქებია თავის ძმის-კოტესათვის. მუზეუმში შემოვიდა შვილიშვილების ოჯახიდან.

[3] საშაქრე ზაქარია ერისთავის მიერ მეუღლისადმი მირთმეული საქორწინო საჩუქარია.

ვორონცოვ-დაშკოვი ალექსანდრე
(1881-1938)

1905-1915 წლებში კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ივანეს ძე ვორონ-ცოვ-დაშკოვის ვაჟი, გრაფი, ჰუსართა პოლკის ლაიბგვარდიის პოლკოვნი-კი. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XIX ს-ის განმავლობაში კავკასიაში განვითარებული რთული ისტორიული მოვლენების დროს. 1916 წელს ცო-ლად შეირთო ანა ილიას ასული ჭავჭავაძე (1891-1941 წწ.) (სურ. 22).

ზისერმანი კარლ ლვოვის ძე

სტავროპოლის გუბერნიის აზნაური. 1859 წლიდან იყო კავკასიის მე-ფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სასამართლო დეპარტამენტის თანამშრომელი, ამიერკავკასიის ქალთა სასწავლებლის საბჭოს საქმეთა მმართველი, ამიერკავკასიის სამიჯნო პალატის მდივანი. 1867 წლიდან აირჩიეს გამგეობის, თბილისის გუბერნიის ხიდების მშენებლობისა კომი-სიის და ქ. თბილისის საზღვრების დამდგენი სპეციალური კომისიის წევ-რად. ხელმძღვანელობდა კავკასიაში ცხენსაშენის მომწყობ კომისიების. 1874 წელს დაინიშნა თბილისის გუბერნატორის კანცელარიის გამგედ, 1876 წელს – სტავროპოლის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორად, 1882 წელს კი – გუბერნატორად (სურ. 23).

თეკლა ბატონიშვილი
(1776-1846)

ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის უმცროსი ქალიშვილი. ქართუ-ლი მწერლობის მოტრფიალე, საღმრთო წერილის ზედმიწევნით მცოდნე, დიდად განათლებული, შესანიშნავი დიასახლისი, კარგი დედა, გულ-მოწყალე და ღარიბების შემწე. მეფეს განსაკუთრებით უყვარდა მკვირცხ-ლი და მარჯვე თეკლა, რომელსაც პატარაობიდანვე იტაცებდა ცხენზე ჯდომა, ნადირობა, მამაკაცური ვარჯიშობანი, მამაკაცის ტანსაცმლით სიარული, საომარი იარაღი. მეფემ სიყვარულით შეარქვა „თეკლა ბიჭი“.

თეკლასა და ვახტანგ დიმიტრის ძე ჯამბაკურ-ორბელიანს (1769-1812 წწ.) ჰყავდათ სამი ვაჟი – ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგი. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის თეკლა და მისი შვილები გადაა-სახლეს კალუგასა და ორენბურგში. თეკლა ბატონიშვილი დაკრძალულია სვეტიცხოველში, მამის გვერდით (სურ. 24, 25)[4].

[4] ბეჭდის უკანასკნელ მფლობელ თინათინ ჯანდიერის ცნობით, ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილ-ჭავჭავაძეს იგი გადაუცია თავისი დისშვილის-ნინო დიმიტრის ასულ სტაროსელსკაია-შალიკაშვილისათვის, რომელმაც შემდეგ უსახსოვრა თავის ქალიშვილ თამარ იოსების ასულ შალიკაშვილს, ამ უკანასკნელმა კი – თავის დას, თინათინ ჯანდიერს. საკერავი მანქანა მუზეუმში შემოიტანა ელისაბედ მიხეილის ასულ ბაგრატიონ-მუხრანს-კაიამ (თეკლე ბატონიშვილის შვილთაშვილის შვილიშვილი, მე-5 თაობა), რომლის ოჯახში წლების განმავლობაში ინახებოდა თეკლა ბატონიშვილის ნაქონი რელიკვია.

ირაკლი ბატონიშვილი
(1827-1882)

ალექსანდრე ბატონიშვილის ძე, ერეკლე მეფის შვილიშვილი, გიორგი XII-ის ძმისშვილი.

დაიბადა ერევანში. დედამისი მარიამი იყო ერევნის გავლენიანი მელიქის, ისააკ აღამელიანის ასული.

1834 წელს, რუსეთის ხელმწიფის ბრძანებით, დედასთან ერთად გადაასახლეს პეტერბურგში. სწავლობდა ცარსკოე სელოს სასწავლებელში, პეტერბურგის კადეტთა კორპუსში. ერეკლე ვერ შეეგუა სამხედრო ცხოვრებას და ისევ საქართველოში დაბრუნდა.

1862-1864 წლებში ხელმძღვანელობდა წერა-კითხვის კომიტეტს, რომელიც მეთვალყურეობდა მთაწმინდასა და ავლაბარში მოქმედ ქართულ სკოლებს.

1867 წელს დაქორწინდა ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილზე — თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძეზე (1852-1935 წწ). შეეძინათ ორი ქალიშვილი — ეკატერინე და ელისაბედი.

ირაკლი ბატონიშვილი გარდაიცვალა 55 წლის ასაკში. დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში.

ირაკლი ბატონიშვილის ნივთები შემოიტანა მისმა სიძემ ივანე რატიშვილმა (სურ. 26, 27).

კოსტავა ქრისტეფორე ივანეს ძე
(გარდ. 1913 წ.)

ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, მერაბ კოსტავას, ბაბუა, ქუთაისში მოღვაწე მეღვინე-მრეწველი, რომელსაც იქ საკუთარი რესტორანი ჰქონდა. 1906 წელს დაქორწინდა ეკატერინე ნუცუბიძეზე. მათი ერთი ვაჟი ივანე (1910-1965 წწ.) იყო ოლღა ვლადიმერის ასულ ბატონიშვილის დემურიას მეუღლე, მეორე — ცნობილი ქართველი მსახიობი გრიგოლ კოსტავა (სურ. 28)[5].

მუხრან-ბატონი ქეთევან კონსტანტინეს ასული
(1744-1808)

ვახტანგის მეუღლე, ერეკლე მეფისა და ქეთევან გიორგის ასულ მხეიძის (პირველი ცოლი) რძალი. 16 წლის ვახტანგი და 13 წლის ქეთევანი შეუღლდნენ 1758 წელს. ვახტანგი გარდაიცვალა 18 წლის ასაკში. როცა მეფე ერეკლესა და დარეჯან დედოფალს 1762 წელს შეეძინათ ვაჟი, ქეთევანის თხოვნით, მას დაარქვეს ვახტანგი (ალმასხანი). დაბადებიდან შეუსრულდა 270 წელი (სურ. 29).

[5] გვირგვინი მუზეუმში შემოიტანა ოლღა დემურიამ.

ნაპოლეონ I ბონაპარტი
(1769-1821)

საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, იმპერატორი (1804-1815 წწ.). 1793 წელს ინგლისელებისგან ალყაშემორტყმული ტულონის გათავისუფლებისათვის 24 წლის ოფიცერს მიანიჭეს ბრიგადის გენერლის წოდება. იბრძოდა იტალიაში. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაინიშნა პირველ კონსულად (1799-1804 წწ.). მის მიერ წარმოებული ომები ევროპაში ბატონობისათვის ქვეყანას საშიშროებას უმზადებდა. გადამდგარმა ნაპოლეონმა აღიდგინა ძალაუფლება, მაგრამ ვატერლოოს ბრძოლაში (1815 წ.) მარცხის შემდეგ წმ. ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა 1821 წლის 5 მაისს. 1840 წლიდან იმპერატორის ნეშტი გადმოასვენეს პარიზის ინვალიდთა სასახლეში. დაბადებიდან შეუსრულდა 245 წელი (სურ. 30).

სონღულაშვილი (ალექსიძე) ალექსანდრე (ალექსი) გიორგის ძე
(1874-1934)

ქართული ცეკვების საუკეთესო შემსრულებელი. ბავშვობიდანვე ცეკვავდა ეზოებში, თავშეყრის ადგილებში. მთაწმინდის უბნის ფალავანმა 1895 წლის პარიზის გამოფენაზე მიიღო ჯილდო. მან იქ გაიცნო ფრანგი მწერალი ჟ. მურიე. ნიჭიერმა ახალგაზრდამ ქართული ქორეოგრაფია მაღალ მწვერვალზე აიყვანა იმ დროს, როცა უმრავლესობა ევროპულ ცეკვებს ეუფლებოდა, ქართული კი სამარცხვინოდ მიაჩნდათ. 1902 წელს მან გახსნა პირველი ქართული ქორეოგრაფიული სტუდია. ამხანაგებმა თბილისის ოპერის თეატრის პირველი ქართველი მოცეკვავე მონათლეს ალექსიძის ფსევდონიმით. მისი მოსწავლეები იყვნენ ილიკო სუხიშვილი, ანტონ ჩიხლაძე, შიო ჩირაძე, ნიკოლოზ სიხარულიძე, იოსებ ქავთარაძე, დავით ჩიკვაიძე, მიხეილ სულხანიშვილი და სხვები. მიმდინარე წელს აღინიშნება დაბადებიდან 140, გარდაცვალებიდან-80 წელი (სურ. 31).

ქეთევან დედოფალი
(1573-1624)

აშოთან მუხრან-ბატონის ასული, კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის ძის, დავით I-ის, მეუღლე, თეიმურაზ I-ის (1589-1663 წწ.) დედა, საქართველოს სიყვარულისა და მამა-პაპათა სარწმუნოების, ქალური თავმოყვარეობისა და სისპეტაკის დაცვისათვის სასტიკად დასჯილი გვირგვინოსანი მანდილოსანი.

ერთგული და თავდადებული ქეთევანის ოჯახს უგულო შაჰმა საშინელი განაჩენი გამოუტანა: შვილიშვილები ალექსანდრე და ლევანი დაუსაჭურისა, ქეთევანს თავზე გავარვარებული ჭურჭელი დაადეს, მარწუხებით ხორცი დაუგლიჯეს, გააშიშვლეს, დაუწვეს და მოგლიჯეს მკერდი. მან, ქრისტიანად დაბადებულმა და თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულმა არ გაცვალა თავისი ტანჯული ქვეყნის სარწმუნოება მაჰმადიანობაზე და სპარსეთში 12 წლიანი ტყვეობის თავზე, 1624 წლის 24 სექტემბერს, სი-

ცოცხლე მოწამეობრივი სიკვდილით დაასრულა. აიკრძალა ცხედრის დაკრძალვაც. დედოფლის წმინდა ნაწილები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოხვდა, მათ შორის, საქართველოშიც. ქართულმა ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა. მისმა ვაჟმა – პოეტმა თეიმურაზ I-მა, დედას მიუძღვნა პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“. გარდაცვალებიდან აღინიშნება 390 წელი (სურ. 32)[6].

ღლონტი მიხეილ ალექსანდრეს ძე

კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში. რუსეთ-იაპონიის ომში მძიმედ დაიჭრა, მაგრამ უარი არ უთქვამს საბრძოლო ოპერაციების გაგრძელებაზე. მკურნალობის შემდეგ გაიგზავნა ტამბოვის გუბერნიაში ჯარების უფროსად. შაქრიანი დიაბეტით დაავადებული გარდაიცვალა ნათესავთან ხარკოვში. 1919 წელს მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო წმ. სტანისლავის II და წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენებით, ოქროს იარაღით «За храбрость». მიღებული ჰქონდა საჩუქრები საზოგადოებისა და კერძო პირებისაგან (სურ. 33-35).

ყავრიშვილი კონსტანტინე იოსების ძე

საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების მონაწილე და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი წევრი. მისი უშუალო მონაწილეობით სოფელ დიდ თონეთში გაიხსნა სკოლა, რომელსაც წლების განმავლობაში არ აკლებდა მზრუნველობას. სკოლას შესწირა ხუთი თუმანი და საკუთარი ტყიდან უფასოდ გამოუყო ხის მასალა (სურ. 36).

ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე
(1811-1887)

ქართველი საზოგადო მოღვაწე. მსახურობდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში, თარგმნიდა და აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი თავმჯდომარე, თბილისის ქალაქის თავი, სათავადაზნაურო ბანკის, ქართული დრამატული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი. მოითხოვა ეგზარქოს პავლეს საქართველოდან გაძევება ქართველი ერის დაწყევლის გამო, რისთვისაც სტავროპოლში გადაასახლეს. 1887 წლის 24 ოქტომბერს ჯალათებმა ვერაგულად მოკლეს. დ. ყიფიანის ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო აკაკი წერეთელმა მას „საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებული“ უწოდა და მის ხსოვნას ლექსი „განთიადი“ მიუძღვნა (სურ. 37)[7].

---

[6] მუზეუმში შემომტან იოსებ ივანეს ძე ტაბლიაშვილის გადმოცემით, ყუთი ქეთევან დედოფლის ნაქონი ყოფილა. ეს ინფორმაცია დაადასტურა ი. ტაბლიაშვილის ძმისშვილმა, აწ გარდაცვლილმა სოფიო გიორგის ასულ ტაბლიაშვილმა.

[7] სამკერდე ნიშანი მიძღვნილია დიმიტრი ყიფიანის დაბადების 100 წლის თავისადმი. ის

ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე
(1786-1846)

ქართველი პოეტი, გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა და იზრდებოდა პეტერბურგში, იმპერატორის კარზე, მონათლა ეკატერინე II-მ. პაჟთა კორპუსის დამთავრების შემდეგ ალ. ჭავჭავაძე მსახურობდა ლაიბგვარდიის ჰუსართა ლეგიონში, მარკიზ პაულუჩის ადიუტანტად საქართველოში, მონაწილეობდა 1812 წლის კახეთის აჯანყებაში, 1813-1814 წლებში ბარკლაი-დე-ტოლთან ერთად — ფრანგების წინააღმდეგ ომში. 1825 წელს დაინიშნა ნიჟნი ნოვგოროდის პოლკის მეთაურად.

რუსეთ-სპარსეთის ომის დროს (1826-1828 წწ) ბაიაზეთის ციხესიმაგრის აღებისათვის დაჯილდოვდა წმ. ანას I ხარისხის ორდენით. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის მცირე ხნით გადაასახლეს კოსტრომის გუბერნიაში. 1843 წელს წარმატებით დაასრულა ექსპედიცია შამილის წინააღმდეგ.

ალ. ჭავჭავაძის ოჯახი თბილისში ევროპული განათლების ცენტრი იყო, სადაც იკრიბებოდნენ იმდროინდელი თბილისის მაღალი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები.

მის პატრიოტულ ლექსებში ჩანს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული სევდა. თარგმანებით (რასინი, კორნელი, ვოლტერი, ჰიუგო, პუშკინი) გაამდიდრა ქართული ნათარგმნი მწერლობა.

ალ. ჭავჭავაძე დაიღუპა ტრაგიკულად — მეფისნაცვალ ვორონცოვთან წვეულებაზე მიმავალი ეტლიდან გადმოვარდა. დაკრძალეს შუამთის მონასტერში, საგვარეულო აკლდამაში (სურ. 38)[8].

ჯამბაკურ-ორბელიანი მარიამ ვახტანგის ასული
(1852-1941)

ერეკლე მეფისა და დარეჯან დედოფლის უმცროსი ქალიშვილის — თეკლა ბატონიშვილის შვილიშვილი, პოეტ ვახტანგ ორბელიანის ასული. განათლებულმა და ქველმოქმედებით ცნობილმა ქალბატონმა მეუღლესთან — ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანთან ერთად ლამისყანაში გახსნა სკოლა გლეხების ბავშვებისათვის. მის მიერ თბილისიდან მოწვეული ექიმები ყოველ კვირა დღეს უფასოდ მკურნალობდნენ ლამისყანელ ავადმყოფებს. დააარსა ქართველ დედათა სკოლა, მოაწყო მოხუცებულ და ავადმყოფ მასწავლებელ ქალთა თავშესაფარი, იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი და წევრი, სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტისა და მასწავლებელთა საზოგადოების ხელმძღვანელი, ვაჟთა პირველი სათავადაზნაურო დაწყებითი სკოლის გამგე.

მუზეუმს გადმოსცა კაუნასში მცხოვრებმა თადარიგის პოლკოვნიკმა, კოლექციონერმა ალექსანდრე სიმონის ძე ფურმანოვმა (უცხოვრია თბილისშიც).

[8] ალექსანდრე ჭავჭავაძის სათუთუნის ზედაპირზე გამოსახულია ალ. ჭავჭავაძის მიერ 1828 წლის 24 აგვისტოს ბაიაზეთის ციხესიმაგრის აღების საბრძოლო მომენტი.

დიდია მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის საუნივერსიტეტო ღვაწლი. იგი, ივანე ჯავახიშვილის ერთგული თანამებრძოლი, წლების განმავლობაში ეწეოდა ლიტერატურულსა და მთარგმნელობით საქმიანობას. საკუთარი ხარჯით არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა გააგზავნა რუსეთისა თუ ევროპის სასწავლებლებში (სურ. 39-52)[9].

MUSEOLOGY

Temur Sharikadze

The Georgian National Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: temurishariqadze@gmail.com

For Studyng of Memoriable Exhibits (Part Two)

Summary

In the second part of the article we joined the things which belonged to Bagrationi family and which are kept in the depositories of the Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Muzeum as well as things belonging to members of Georgian aristocratic society, famous public figures,private and family objects, jewelery, gifts that were received for achived successes or which were connected with historical and outstanding events. All those relics have their past, they have their historical, artistic and memoriable meaning and value.

Memoriable things have various themes. Worth of mentioning are porcelain plates and dishes, wemen's jewelery, wonderful pieces of needlework, family sketch-books which belonged to off-springs of Erekle II-king of Karlt-Kakheti: there are photos of Queen Darejan, Tekla-daughter of Erekle II, Giorgi XII, Princess Grigol and Irakli, Ekaterine Bagration-Gruzinskaya, Mariam Jambakur-Orbeliani.

Short biographical notices are attached to photos as well as facts reflecting famous people's activities. Their remembrance will always be an example of Georgian patriots' activity for future generations.

[9] სინი დამზადებულია საფრანგეთში მარიამ ორბელიანის შეკვეთით (სურ. 40). მარაოს შესამკობად დახარჯულია 1 გრ-მდე ოქროს ფხვნილი და 5 გრ-მდე ოქრო. მარიამ ორბელიანს მარაო უჩუქებია თავის ძმისშვილ ანასტასია ორბელიანისათვის (ივ. ჯავახიშვილის მეუღლე) (სურ. 45).
ქოლგის ტარის შესამკობად გამოყენებულია 7 გრმ-მდე ოქრო (სურ. 46).
გერბზე ამოქარგულია დროშა, კოშკი, ხმალი, ფარისმტვირთველი ორი ლომი, სამეფო მანტია და გვირგვინი (სურ. 48).

1. ანასტასია ბატონიშვილის ყელსაბამი
XVIII-XIX სს.
ოქრო, მინანქარი. L – 41.5 სმ
საინვ. № 43-86/1

2. ივანე ანდრონიკაშვილის თეფში (სინი)
XIX ს.
ვერცხლი. D – 38 სმ
საინვ. № 90-987/1

3. ანტონ II კათალიკოსის (თეიმურაზ ბატონიშვილი) საეპისკოპოსო ტახტი
XVIII-XIX სს.
ხე, ლითონი, საღებავი, ქსოვილი
H – 124 სმ, სიგანე – 70 სმ, დასაჯდომის H – 40 სმ
საინვ. № დ-269

4. იოსებ ბაბუნიძის ტროსტი
XIX ს.
ხე, ვერცხლის ფირფიტები, სევადა, სპილოს ძვალი. L – 88 სმ
საინვ. № 114-67/1

5. ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას ფინჯანი და ლამბაქი, 1890 წელს იტალიაში გადაღებული ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზ-ინსკაიას ფოტოსურათით.

XIX-XX სს.

ფაიფური, ოქრო. ფინჯნის H – 8 სმ, პირის D – 7.5 სმ

საინვ. № 37-1942/1-2

6. ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას თეფშები (საქორწინო მზითვის ნაწილი)

XIX ს. საფრანგეთი. დამღა: "LIMOGES, M. RE-DON".

ფაიფური, ოქრო. D – 15.5 სმ, 21.5 სმ, 24.5 სმ

საინვ. № 37-42/4, 6, 8

7. ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას ფინჯანი და ლამბაქი (საქორწინო მზითვის ნაწილი)

XIX ს. საფრანგეთი

ფაიფური, ოქრო

ფინჯნის H – 5.5 სმ, D – 10 სმ

ლამბაქის D – 8 სმ

საინვ. № 5-44/1-2

8. ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას ლანგარი (საქორწინო მზითვის ნაწილი)

XIX ს. საფრანგეთი

ფაიფური, ოქრო. L – 50 სმ, სიგანე – 34.5 სმ

საინვ. № 43-49/1

9. ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას ჯამი

XIX ს. ჩინეთი

ფაიფური, საღებავი.

H – 13.5 სმ, პირის D – 30 სმ

საინვ. № 14-43/1



10. ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას ცხვირსახოცები ამოქარგული სამეფო გვირგვინითა და მონოგრამით – "CG"
XIX ს. საფრანგეთი
ქსოვილი (აბრეშუმი). 34x34 სმ
საინვ. № 14-43/4-5

11. ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას კუთვნილი საქართველოს გერბი
XIX ს. საქართველო
ქსოვილი. 34x34 სმ
საინვ. № 32-40

12. ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას მზის ქოლგა სოკო
XIX ს. საფრანგეთი
ხე, ქსოვილი, ლითონი, მინა
საინვ. № 16-62/1

13. გაიოზ რექტორის პირსახოცი
XVIII-XIX სს-ის მიჯნა
ქსოვილი. L – 236 სმ, სიგანე – 84 სმ
საინვ. № 4-47/584

14. გაიოზ რექტორის ჯვარი
XIX ს.
ხე, მოოქრული ვერცხლი, ფირუზი. 11x9.6 სმ
საინვ. № 3-47/583

15. იაკობ გალაიბას მედალი წარწერით: «НЕ НАМ, НЕ НАМ, А ИМЕНИ ТВОЕМУ»
1877-1878 წწ. რუსეთი
ბრინჯაო. D – 2.5 სმ
საინვ. № 31-971/2

16. სარტყელი დადეშქელიანის ოჯახიდან
XIX-XX სს.
ქსოვილი (შალი). 290x22 სმ
საინვ. №№ 5-43; 5-43/1

17. კონსტანტინე დადეშქელიანის ჩოხა და ახალუხი
XIX ს. საქართველო
ქსოვილი
საინვ. № 13-24/1-2

18. კონსტანტინე დადიანის ჭიქა
XIX ს. საქართველო
ვერცხლი. H – 9 სმ, პირის D – 8 სმ, ძირის D – 7.5 სმ
საინვ. №71-65/1

19. სალომე დადიანის მარაო სტილიზებული გვირგვინითა და ოქროსფერი მონოგრამით – „სალომე“
XIX ს.
ქსოვილი. გარშემოწერილობა – 68 სმ
საინვ. №13-56/10

20. რაფიელ ერისთავის სინი
რ. ერისთავის მონოგრამით

XVIII ს. რუსეთი

ვერცხლი. 38x9 სმ

საინვ. № 16-986/1

21. სოფიო ერისთავის საშაქრე
სოფიო ერისთავის პორტრეტით

XIX ს.

ფაიფური, ოქრო. პირის D – 7.5 სმ
ძირის D – 11 სმ, H – 9 სმ

საინვ. № 137-1980/1

22. ვორონცოვ-დაშკოვის საათი წარწერით:
«4 сентября, 1911 г. А. Воронцов-Дашков»

XIX ს.

ვერცხლი. D – 4.7

საინვ. № 29-59/1

23. კარლ ზისერმანის აზარფეშა წარწერით:
«К. Л. Зиссерману, Алла-Верди, 1880-1875»

XIX ს.

ვერცხლი. L – 35 სმ, თასის D – 10 სმ

საინვ. № 18-1971/1

24. თეკლა ბატონიშვილის ბეჭედი
ოქრო, ფირუზი. წონა – 4.02 გრ.
საინვ. № 4-57/1

25. თეკლა ბატონიშვილის საკერავი ხელის მანქანა
XVIII-XIX სს-ის მიჯნა. ინგლისი
ლითონი. L – 32 სმ, H – 25 სმ
საინვ. № 132-98/1

26. ირაკლი ბატონიშვილის საქაღალდე
ოქროსფერი სამეფო გვირგვინის გამოსახულებითა და წარწერით – „ერეკლე“
XIX ს.
ტყავი, ქსოვილი, ლითონი. 32x5 სმ
საინვ. № 37-42/12

27. ირაკლი ბატონიშვილის ბეჭედი (საბეჭდავი) ლითონზე ამოკაწრული სამეფო გვირგვინითა და სახელით – „ერეკლე“
XIX ს.
ხე, ლითონი. L – 9.5 სმ
საინვ. № 14-43/3

28. ქრისტეფორე კოსტავას სამგლოვიარო გვირგვინი წარწერით: „ქ. ქუთაისის პურ-ღვინის ვაჭრებისაგან ძვირფასს დაუვიწყარს ამხანაგს ქრისტეფორე კოსტავას, 1913 წ. 17. XI“

XX ს. საქართველო

ვერცხლი

საინვ. № 63-76/1

29. ქეთევან მუხრან-ბატონის კანდელი წარწერით: „სისხლისა დათხევითა ძისა ღვთისა ხორცქმნილისა შემძინებელ ღვაწლით შემოსილო უძლეველო დიდო მოწამეო მხედარო უფლისა გიორგი მე შენმან მსასოებელმან და მხევალმან მუხრანის ბატონის კონსტანტინეს ასულმან და სძალმან მეფის ირაკლისამან ქეთევან შემოგწირე წელსა ჩღპთ“

XVIII-XIX სს-ის მიჯნა. საქართველო

ვერცხლი. H — 24 სმ

საინვ. № 9-30/26

30. ნაპოლეონ I ბონაპარტის საფერფლე ნაპოლეონ I-ისა და მისი მეუღლის, ჟოზეფინა ბოარნეს, გამოსახულებით

XVIII-XIX სს.საფრანგეთი. დამღა: “FRANCE PORCELAINE DE LUXE, F.D”

ფაიფური. 12.5x5 სმ

საინვ. № 82-86/1

31. ალექსანდრე სონღულაშვილის მედალი ფრანგული წარწერით: "REPUBLIQUE FRANCAISE, EXPOSITION HIPPIQUE ET ETHNOGRAPHIQUE RUSSE, PARIS 1896"

XIX ს. საფრანგეთი

ბრინჯაო. D – 5 სმ

საინვ. № 9-67/1

32. ქეთევან დედოფლის ყუთი

XVI-XVII სს. ? აღმოსავლური ნაკეთობა

ხე, საღებავი. H – 16 სმ, D – 29 სმ

საინვ. № 23-55/1

33. მიხეილ ღლონტის სათუთუნე ამოკაწრული ხელმოწერებით, ოქროს მონოგრამითა – «М.А.Г» და სამახსოვრო წარწერით: «Корнету Михаилу Александровичу Глонти, Товарищы Волынцы на добрую память, 1888 г»

XIX ს.

ვერცხლი, ოქრო. 11x8.5 სმ

საინვ. № 70-65/18

34. მიხეილ ღლონტის ადრესი (დაფა) სამახსოვრო წაარწერით: «Многоуважаемому Михаилу Александровичу Глонти, от Дамь кавказскаго кавалерийскаго дивизиона»

XIX ს.

ვერცხლი. 12x5 სმ

საინვ. № 70-965/20

35. მიხეილ ღლონტის ადრესი (დაფა) სამახსოვრო წარწერით: «На добрую память Дорогому командиру Михаилу Александровичу Глонти от любящих и преданных Кавказцев, кавказскии дивизион, 25/IX-1910, 25/II-1914»

XIX ს.

ვერცხლი. 30x19 სმ

საინვ. № 70-65/19

36. კონსტანტინე ყავრიშვილის დურბინდი

XIX ს.

ლითონი, მინა, ტყავი. 10.5x0.5 სმ

საინვ. № 30-979/1

37. დიმიტრი ყიფიანის სამკერდე ნიშანი წარწერით: „ქ.შ.წ.გ.ს.ქ.გ. VI/II 1911 წ. ქუთაისი“

XIX ს.

ვერცხლი. D – 3 სმ

საინვ. № 26-1966/1

38. ალექსანდრე ჭავჭავაძის ჯიბის სათუთუნე
XIX ს.
პაპიემაშე, ლაქი, საღებავი. D — 4.5 სმ
საინვ. № 108-11/1

39. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის თავსაბურავი
XIX ს.
ქსოვილი. 65x65 სმ
საინვ. № 43-57/3



40. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის სინი (სადილის სერვიზის ნაწილი), ვენზელით — „მარიამ".
XIX ს. საფრანგეთი
ფაიფური, საღებავი.
L — 29.5 სმ, სიგანე — 22 სმ
საინვ. № 38-66/1

41. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის საწვნე თავსახურით
XIX ს. საფრანგეთი
ფაიფური, საღებავი.
L — 14 სმ, სიგანე — 10 სმ, H — 10 სმ
საინვ. № 38-66/18

42. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის სამდოგვე თავსახურითა და კოვზით

XIX ს. საფრანგეთი

ფაიფური, საღებავი.
სამფოგვის ძირის D – 6 სმ, H – 12 სმ

თეფშის D – 10 სმ

საინვ. № 38-66/22

43. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის სინი

XVIII-XIX სს-ის მიჯნა. ინგლისი (ვეჯვუდის ფაიფურის ქარხანა)

ფაიფური, საღებავი. L – 39 სმ, სიგანე – 31 სმ

საინვ. №38-66/7

44. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის სინი

XVIII-XIX სს. ინგლისი (ვეჯვუდის ფაიფურის ქარხანა

ფაიფური, საღებავი. L – 39 სმ, სიგანე – 32 სმ

საინვ. № 38-66/8

45. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მარაო (დასაკეცი)

XIX ს. საფრანგეთი. მხატვარი ანტუან ვატო

ქაღალდი, სადაფი, ოქრო, საღებავი. L – 27 სმ

საინვ. № 74-64/2

46. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ქოლგა

XIX ს. საფრანგეთი

ქსოვილი, ხე, ოქრო. L – 61.5 სმ

საინვ. № 74-64/1

47. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მარაო (დასაკეცი)
XIX ს. საფრანგეთი
ქსოვილი, ძვალი
L – 36 სმ, გარშემოწერილობა – 105 სმ
საინვ. №43-57/1

48. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის გერბი
XIX ს. საქართველო
ქსოვილი. 59x9 სმ
საინვ. № 43-57/7

49. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ნარდის დასაკეცი სადგარი
XIX ს.
ხე, ძვალი. 64x43 სმ
საინვ. № 10-49/1

50. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის სარკის ბუდე
XIX ს. აღმოსავლური ნაკეთობა
ხე, ძვალი. 13x9 სმ
საინვ. № 10-49/2

51. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ჭიქა და ლამბაქი
XIX ს.
ვერცხლი, მინანქარი, ოქრო, საღებავი
ჭიქის H – 11სმ, პირის D – 5.5 სმ
ლამბაქის D – 12 სმ
საინვ. № 8-21/1-2

52. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მაქმანი
XIX ს. ევროპა
ქსოვილი (აბრეშუმი) 380x55 სმ
საინვ. № 43-57/5

ქრონიკა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის „მოამბის” 2014 წლის გამოცემაში წარმოგიდგენთ 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის ოქტომბრის ჩათვლით მუზეუმის მიერ ორგანიზებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენების, საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო კონფერენციებისა და ექსპედიციების, აგრეთვე მუზეუმის თანამშრომელთა ავტორობით გამოცემული წიგნების, კატალოგების, ნაშრომების ნუსხას.

ადგილობრივი გამოფენები

№	გამოფენა	ჩატარების ადგილი	თარიღი
1	ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა	შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	02-05.10.2013
2	„არტისტერიუმი 2013”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	04-14.10.2013
3	გივი თოიძის საიუბილეო გამოფენა	შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	08.10-03.11.2013
4	ფოტოგამოფენა „ქართული მელანქოლიის ანატომია”	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	14.10-14.11.2013
5	დმანისში აღმოჩენილი მეხუთე თავის ქალის პრეზენტაცია და გამოფენა	ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	18.10.2013
6	გამოფენა „კვალი-პრომეთე-ამირანი”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	22-10.11.2013
7	„დაუჭრელი ისტორიები”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	12-22.11.2013
8	„მემკვიდრეობა”	შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	14-24.11.2013
9	„მთვარის მუზეუმი”	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	19.11-19.12.2013

10	„რეალური სივრცე. კონცეპტუალური სივრცე – 90-იანი წლების გერმანული ფოტოგრაფია”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	20.11-10.12.2013
11	შალვა მატუაშვილის ნამუშევრების გამოფენა	შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	28.11-16.12.2013
12	„დამოკიდებულება”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	12.12-22.12.2013
13	„გახსოვდეს ათასი წვრილმანი”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	15-23.12.2013
14	„ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა”	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	18.12.2013-19.01.2014
15	„ლეიდენი, ისტორიის ფურცლები”	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	19.12.2013-19.01.2013
16	„დაკარგული ტექნოლოგიების კვალდაკვალ – ტიხროვანი მინანქარი”	ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	23.12.2013
17	„ძველი ქართული მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი”	შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	24.12.2013-24.03.2014
18	ფოტოსკოლის სტუდენტთა სადიპლომო ნამუშევრების გამოფენა	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	25.12.2013-05.01.2014
19	„დასავლეთ ევროპის ფერწერა-ექვთიმე თაყაიშვილის საგანძურიდან”	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	26.12.2013-30.03.2014
20	„საქართველოს არქეოლოგია ძვ.წ. VIII ათასწლეულიდან ახ.წ. IV საუკუნემდე”	ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	27.12.2013
21	„ეგზისტენციალური ხილვები – სულის სიშიშვლე”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	14-24.01.2014
22	ზაირა ნადირაშვილის პერსონალური გამოფენა	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	22.01-01.02.2014

23	„ელეგია”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	24-10.01.2014
24	„მუზეუმი ექსპოზიციის მიღმა”	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	07-14.02.2014
25	„სასრული უსასრულოში – უსასრულო სასრულში”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	14-22.02.2014
26	„განცდა”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	20.02-10.03.2014
27	„რელიეფური ფერწერა”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	24.02-02.03.2014
28	„მექსიკის ხელოვნება – აღქმის მრავალფეროვნე-ბა”	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	28.02-01.05.2014
29	„ბალკანეთის ხელნაწერთა მემკვიდრეობა”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	04-14.03.2014
30	„Deep River”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	15-30.03.2014
31	„თავისუფლება”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	19-28.03.2014
32	რომან მახარაძის ნამუ-შევრების პერსონალური გამოფენა	შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	28.03-11.04.2014
33	„ტრანსრეალიზმი”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	04-25.04.2014
34	„ზეობა”	შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	14-30.04.2014
35	„ბავშვები”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	15-21.04.2014
36	ფოტოგამოფენა „ამერი-კული დასავლეთი”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	23-30.04.2014

37	ფოტოფესტივალი „ქოლ-გა”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	02-09.05.2014
38	„ბრაზილიის მშრალი გული”	შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	03-10.05.2014
39	„2013 წელი ფოტოებით”	შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	03-10.05.2014
40	„თანამედროვე ხელოვნება და მუზეუმი”	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	15.05-30.08.2014
41	გიზელა ვარგა სინაის ფერწერა „მოგზაური დღიური”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	16-26.05.2014
42	რადიშ თორდიას პერსონალური გამოფენა	შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	19.05-19.06.2014
43	„ჩვენ აქ ვართ”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	27-30.05.2014
44	„არნო ფიშერის ფო-ტოგრაფია”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	31.05-30.06.2014
45	„ბოხოხიანი კაცი”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	03-13.06.2014
46	„სადგური”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	29.06-07.07.2014
47	ფოტოგამოფენა - 30 წელი ტიმ სევერინის ექსპერიმენ-ტის - „იასონის მოგზაურობის” შემდეგ	ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	01-10.07.2014
48	„თანამედროვე ქართული გრაფიკა”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	09-19.07.2014
49	„დაკარგული ისტორია-მეხსიერება რეპრესირე-ბული ქალების შესახებ”	სიღნაღის მუზეუმი	16.07-16.08.2014
50	ვიტორიო სელა სვანეთის მუზეუმში	სვანეთის ისტორიისა და ეთ-ნოგრაფიის მუზეუმი	24.07-24.09.2014

51	„მარად უკვდავი სიყვარ-ული”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	05-10.09.2014
52	„ანთროპოლოგიური თვლემა”	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	10-16.09.2014
53	ვაჟა მოსულიშვილის ნამუშევრების გამოფენა	სიღნაღის მუზეუმი	17.09-31.10.2014
54	გიორგი როინიშვილის ნამუშევრების გამოფენა	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	18-28.09.2014
55	„საქართველოს დამფუძნე-ბელი კრება: პოლიტიკური ბრძოლის ქრონიკა”	ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	20-30.09.2014
56	გია ბუღაძის პერსონალუ-რი გამოფენა VICTIMA-II	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	25.09-12.10.2014
57	დიმიტრი ერმაკოვი	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	26.09-18.10.2014
58	„ბერტა ფონ ზუტნერი გორდში“	ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	03-16.10.2014
59	„გზაჯვარედინზე”, ლევან ჭოღოშვილი, დარეჯან ბერეკაშვილი	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	11-16.2014
60	მიხეილ იაშვილის ნამუშევრების გამოფენა	შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	17-30.10.2014
61	„შეხვედრა ფიროსმანთან”	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა; ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	21.10-03.11.2014

საერთაშორისო გამოფენები

№	გამოფენა	ჩატარების ადგილი	თარიღი
1	დიმიტრი ერმაკოვის არქივის ფოტოგამოფენა ნიდერლანდებში	ნიდერლანდების ფოტოგრაფიის მუზეუმი (როტერდამი, ჰოლანდია)	14.07-31.08.2014
2	ღვინის კულტურა- საქართველოს კულტურის დღეები გერმანიაში	ევროპული კულტურის მუზეუმი (ბერლინი, გერმანია)	01.08-05.10.2014
3	დროის სიღრმიდან	საგამოფენო პავილიონი (იტალია, რიმინი)	24-30.08.2014

ექსპედიციები

№	დასახელება/ დამფინანსებელი კომპანია	თარიღი	ადგილი	ხელმძღვანელი
1	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“	17-19.01.2014	თბილისი, სამგორის რ-ნი. დაზვერვითი სამუშაოები	მ. აბრამიშვილი
2	შპს „ნიუ ჰოსპიტალი“	07-10.02.2014	თბილისი, კრწანისის ქ. №12. დაზვერვითი სამუშაოები	დ. მინდორაშვილი
3	გარე კახეთის (ჭაჭუნას აღკვეთილი) გეოლოგიურ-პალეონტოლოგიური სადაზ-ვერვო ექსპედიცია	28.02-09.03.2014	დედოფლისწყარო, გარე კახეთი (ჭაჭუნას აღკვეთილი)	რ. ჩაგელიშვილი მ. ბუხსიანიძე
4	გადაჭრილი გორა	01-17.04.2014	მარნეულის მუნიცი-პალიტეტი, სოფელი იმირი	მ. ჯალაბაძე
5	ფ/პ მურმან ტაბატაძე	08-10.04.2014	თბილისი, დიდი დიღომი. დაზვერვითი სამუშაოები	მ. აბრამიშვილი
6	სს „საქართველოს სახელმ-წიფო ელექტროსისტემა“	11.04-16.05.2014	ქსანი-სტეფანწმინდის საპროექტო კორი-დორი. დაზვერვითი სამუშაოები	გ. გოგოჭური
7	შპს „აბანო №7“	23.04-01.05.2014	თბილისი. გრიშაშვი-ლის ქ. №11	ვ. სადრაძე

8	სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია SCPX	29.05-11.06.2014	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. ხაიში. საცდელი შურფებით ტერიტორიის შემოწმება	ბ. მურვანიძე
9	დმანისის საერთაშორისო ექსპედიცია	25.06-16.09.2014	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი პატარა დმანისი	დ. ლორთქიფანიძე
10	სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია SCPX	01.07-14.07.2014	წალკის ისტორიული გზის დაზვერვითი სამუშაოები	გ. ნარიმანიშვილი
11	საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და მელბურნის უნივერსიტეტის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია ჭობარეთში	09-17.07.2014	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭობარეთი	კ. კახიანი ა. საგონა
12	ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია	05.07-15.09. 2014	იმერეთი, ვანი	ნ. მათიაშვილი
13	სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“	15.07-19.07.2014	გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტები, დაზვერვითი სამუშაოები	გ. მინდიაშვილი
14	ხაიშის არქეოლოგიური ექსპედიცია	29.05-07.06.2014	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ხაიში	ბ. მურვანიძე
15	ნოქალაქევის საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია	26.06-26.07.2014	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოქალაქევი, ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასა	ნ. მურღულია
16	არმაზციხე-ბაგინეთის არქეოლოგიური ექსპედიცია	23.07-27.08.2014	მცხეთა, არმაზციხე-ბაგინეთი,	ვ. ნიკოლაიშვილი
17	დოლოჭოპის მე-5 საუკუნის ბაზილიკის არქეოლოგიური სამუშაოები	25.07-30.08.2014	კახეთი, ყვარელი	ნ. ბახტაძე
18	სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია SCPX	11.08-16.09.2014	ახალციხე, თურქეთის საზღვარი, ორჭოსანი, საცდელი შურფებით ტერიტორიის შემოწმება	ირ. ღამბაშიძე დ. მინდორაშვილი
19	ორჭოსნის არქეოლოგიური ექსპედიცია	11.08-07.09.2014	ადიგენის მუნიციპალიტეტი	ირ. ღამბაშიძე დ. მინდორაშვილი

20	საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილების ერთობლივი საერთაშორისო ექსპედიცია	12.08-08.10.2014	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნახიდური (ყოფილი არუხლო)	გ. მირცხულავა ს. ჰანსენი
21	ცაგერის მუნიციპალიტეტის ააიპ ისტორიული მუზეუმი	13.08-23.08.2014	ცაგერი, ცხეთა-დეხვირი	ნ. სულავა
22	ცაგერის მუნიციპალიტეტის ააიპ ისტორიული მუზეუმი	13.08-23.08.2014	ცაგერი, დეხვირის ციხე, ახვლედიანების გორა. დაზვერვითი სამუშაოები	რ. ისაკაძე
23	გერმანიის სამეცნიერო ფონ-დი, საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ფონდი საყდრი-სის არქეოლოგიური ექსპედიცია	01.09-21.10.2014	ბოლნისის რ-ნი, დაბა კაზრეთი. ბალიჭი-ძეძვების ნამოსახ-ლარი	ირ. ღამბაშიძე თ. შტოლნერი
24	სსიპ საქართველოს კულტუ-რული მემკვიდრეობის დაც-ვის ეროვნული სააგენტო	03.09-21.10.2014	მცხეთა, არმაზისხევი	გ. ნარიმანიშ-ვილი
25	ლეჩხუმის (ცხეთა-დეხ-ვირის) არქეოლოგიური ექსპედიცია	10-20.08.2014	ლეჩხუმი	ნ. სულავა
26	ჭიათურის ქვის ხანის შემს-წავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია	10.09-15.10.2014	ჭიათურა ჭერულის ეხი, სამელე კლდე	თ. მეშველიანი
27	გადაჭრილი გორა	14.10-04.11.2014	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფელი იმირი	მ. ჯალაბაძე

წიგნები, კატალოგები, ბროშურები, პერიოდული გამოცემები

№	ავტორი	სახელწოდება	გამომცემლობა/ სტამბა	წელი
1	ოთარ ჯაფარიძე	ბრინჯაოს ინდუსტრიისათვის უძველეს საქართველოში	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	2013

2	მ. ძნელაძე, ნ. სანადირაძე, თ. ქართველიშვილი გ. კალანდია	ექვთიმე თაყაიშვილი 150 (კატალოგი)	სტამბა „სეზანი“	2013
3	ლ. წიწუაშვილი	ქართველ ებრაელთა კულ-ტურული მემკვიდრეობა (კატალოგი)	სტამბა „სეზანი”	2013
4	მ. თავაძე	თბილისის ისტორიის მუ-ზეუმის 100 წლის ისტორია (კატალოგი)	სტამბა „სეზანი”	2013
5	მთ. რედ. ზ. თვალ-ჭრელიძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე		2014
6	გ. გამყრელიძე	საქართველოს რომაული პერიოდის არქეოლოგია (ქარ-თულსა და ინგლისურ ენებზე)	იხ. ელ-ვერსია: http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/40056	2014
7	ი. მენთეშაშვილი	Власть и герой. Наполеон Бонапарт	„პრეპრინტი”	2014
8	ნ. გობეჯიშვილი	სამარხთა კონსტრუქცია და დაკრძალვის წესი კოლხური და ყობანური კულტურების მიხედვით	გამომცემლობა „მწიგნობარი“	2014
9	ვ. სადრაძე, მ. ძნელაძე, ელ. ღლიღვაშვილი, თ. ხოხობაშვილი	ძველი ქართული აბანოები	სტამბა „სეზანი“	2014
10	მ. ძნელაძე	თბილისის კლდისუბნის წმინ-და გიორგის ეკლესია. თბილი-სის ეკლესიების ბედი (I ტომი)	გამომცემლობა „სა-ქართველოს მაცნე“	2014
11	მ. ძნელაძე, მ. იზორია, ვ. ჩიხლაძე, ა. გოგოლაძე	თბილისის წმიდა ორმოც სე-ბასტიელ მოწამეთა ეკლესია. თბილისის ეკლესიების ბედი (II ტომი)	გამომცემლობა „სა-ქართველოს მაცნე“	2014
12	ლ. წიწუაშვილი, ე. ბუბულაშვილი	ახალგაზრდების ინტელე-ქტუალური და სულიერი განვითარებისათვის	სრულიად საქა-რთველოს კათო-ლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი	2014
13	ლ. ფანცხავა, ნ. ლორთ-ქიფანიძე, მ. პატარიძე, რ. ქოჩქიანი, ნ. კიტოვანი, დ. გოგაშვილი, მ. ხიზანიშვილი	სვანეთის მუზეუმი (კატალოგი)	სტამბა ,,სეზანი''	2014

14	ნ. სულავა, თ.აღაპიშვილი, მ. პატარიძე, რ. ჩაგელიშვილი, მ. ბუხსიანიძე, დ. გოგაშვილი, ი. ქორიძე, ნ. კირთაძე, ნ. სურმავა, თ. ხელაია, თ. კალანდია	მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ალბომი)	სტამბა ,,სეზანი''	2014
15	L. Mamatsashvili, H. Maes	DIMITRI ERMAKOV– Photographer and Collector	Printed in Bulgaria by Janet-45 Print and Publishing	2014
16	მ. ალფენიძე	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ინგლისურენოვანი გამოცემების კატალოგი	იხ. ელ-ვერსია: http://museum.ge/index.php?lang_id=-GEO&sec_id=95&info_id=12771	2014
17	მთ. რედ. დ. ლორთქიფანიძე	ჟურნალი „მუზეუმი" ქართულ ენაზე (II ნომერი)	სტამბა „სეზანი"	2014
18	დავით მინდორაშვილი	საქართველოს არქეოლოგია, ტ.I, ადრეული შუასაუკუნეები, (სახელმძღვანელო)	ბათუმის შოთა რუთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	2014
19	მთ. რედ. დ. ლორთქიფანიძე	ჟურნალი „მუზეუმი" ინგლისურ ენაზე (I ნომერი) 2014	სტამბა „სეზანი"	2014
20	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	ქართულენოვანი ბროშურა	სტამბა „ფავორიტ +"	2014
21	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	გზამკვლევი მუზეუმების შესახებ ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე	სტამბა „ფავორიტ +"	2014

სამეცნიერო კონფერენციები, სესიები, საჯარო ლექციები, სხდომები

№	მომხსენებელი/თემა	ჩატარების ადგილი	თარიღი
1	Punctum Contra Punctum II – საჯარო ლექციათა ციკლი: გ. ამოროსის ლექცია	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	6.09.2013
2	Punctum Contra Punctum II – საჯარო ლექციათა ციკლი: დისკუსია ნამუშევრების შესახებ	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	7.09.2013, 13.09.2013

3	Punctum Contra Punctum II – საჯარო ლექ-ციათა ციკლი: ს. ტობინის ლექცია	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	10.09.2013
4	Punctum Contra Punctum II – საჯარო ლექციათა ციკლი: „ჩემი გამოცდილება ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (MOMA, NEW-YORK) – რ. ტუკი	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	14.09.2013
5	საერთაშორისო კონფერენცია ,,სამხრეთ კავკასიის როლი ადამიანის ადრეულ ევოლუციასა და განსახლებაში - რეფუ-გიუმი, გზაჯვარედინი თუ ხანგრძლივი საცხოვრებელი ადგილი?!"	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	16.10.2013-20.10.2013
6	ლექცია „სამყარო, ადამიანი და ტვინი"- ზ. კოკაია, გ. დვალი, დ. ლორთქიფანიძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	20.11.2013
7	სამეცნიერო კონფერენცია „ინფლამა-ცია, ნეიროდეგენერაცია და ღეროვანი უჯრედები"	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	21.11.2013
8	საერთაშორისო კონფერენცია „მუზეუმები კონტექსტში: მუზეუმების ქსელის შექმნა და ურთიერთობა საზოგადოებასთან"	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია/	25-28.11.2013
9	„იუდაიზმი მსოფლიო ხელოვნებაში და ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა" – ლ. წიწუაშვილი	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	16.01.2014
10	არქეოლოგიური საუბრები პროფ. იულონ გაგოშიძესთან	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	6.02-20.03.2014
11	ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლის თავისადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი: „ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა" – მ. მიქელაძე	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	7.02.201
12	ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლის თავისადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი: „ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი" ნ. ჩიხლაძე	შ. ამირანაშვილის სახელო-ბის ხელოვნების მუზეუმი	13.02.2014
13	ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლის თავისადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი: „არის თუ არა საქართველო კულ-ტურული ვაზისა და ხორბლის სამშობლო?! – ნ. რუსიშვილი.	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	20.02.2014
14	ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლის თავისადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი: „ქართული ცივილიზაციის სათ-ავეებთან (ენეოლითიდან გვიან ბრინჯაოს ხანამდე)" – ზ. მახარაძე	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	27.02.2014

15	ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლის თავისადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი: „განძი ვანის ნაქალაქარიდან და საქართველო წელთაღრიცხვათა მიჯნაზე" – დ. ახვლედიანი	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	6.03.2014
16	ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლის თავისადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი: „უძველესი თბილისი და არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შედეგები"- მ. აბრამიშვილი	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	13.03.2014
17	ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლის თავისადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი: „ანტიკური პერიოდის არტეფაქტები და მათი კავშირი შუა საუკუნეების ტიხროვანი მინანქრის ტექტნოლოგიასთან" – ე. მაღრაძე	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	20.03.2014
18	სხდომა-კონფერენცია „არქეოლოგიური ოთხშაბათობები"- საქართველოს პრეისტორიული ხანის სამთო წარმოების იარაღები (კვლევის პერსპექტივები და მსოფლიო გამოცდილება) – ქ. თამაზაშვილი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	26.03.2014
19	სხდომა-კონფერენცია „არქეოლოგიური ოთხშაბათობები" – კოლხური ყობანული კულტურების სამარხთა კონსტრუქცია და დაკრძალვის წესი – ნ. გობეჯიშვილი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	26.03.2014
20	სხდომა-კონფერენცია „არქეოლოგიური ოთხშაბათობები" - „ყობანის სამაროვანი და მისი კულტურული გარემო – გ. ბედიანაშვილი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	26.03.2014
21	ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლის თავისადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი: „ძველი საქართველო და ანტიკური სამყარო" – დ. კაჭარავა	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	27.03.2014
22	ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლის თავისადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი: „საქართველოს არქეოლოგია და რელიგიური რწმენა-წარმოდგენები ქრისტიანობის შემოსვლამდე" – ნ. ლორთქიფანიძე	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	3.04.2014
23	სხდომა-კონფერენცია „არქეოლოგიური ოთხშაბათობები": ბერლინის მუზეუმში დაცული იშვიათი ქართული მონეტის ატრიბუციისათვის – მ. პატარიძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	16.04.2014

24	სხდომა-კონფერენცია „არქეოლოგიური ოთხშაბათობები": ზოგიერთი სიახლე არუხლო I-ის ნამოსახლარზე – გ. მირცხულავა, გ.ჩიქოვანი, ჯ. აბულაძე, დ. ჟვანია	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	23.04.2014
25	სხდომა-კონფერენცია „არქეოლოგიური ოთხშაბათობები": ახალი მონაცემები ძველი თბილისის საფორტიფიკაციო სისტემის შესახებ – მ. ძნელაძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	23.04.2014
26	სხდომა-კონფერენცია „არქეოლოგიური ოთხშაბათობები": არაბულენოვანი წარწერა ძველი თბილისის ,,დიღმის კარიდან" – გ. ნარიმანიშვილი, მ. ძნელაძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	23.04.2014
27	სხდომა-კონფერენცია „არქეოლოგიური ოთხშაბათობები": ძვალზე დამზადებული ბარისებური იარაღი არუხლო I-ის ნამოსახლარიდან – დ. ჟვანია, ჯ. აბულაძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	23.04.2014
28	ლექცია „ფოტოგრაფია –არსი და მისია" – ნ. წულუკიძე	დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	23.04.2014
29	საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრის 2013 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სესია: არქეოლოგიის ცენტრის 2013 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები – ზ. მახარაძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	28.04.2014
30	არქეოლოგური გათხრები არმაზციხე-ბაგინეთზე - ვ. ნიკოლაიშვილი, გ. გიუნაშვილი, გ. მანჯგალაძე, ან. სიხარულიძე, ლ. ფავლენიშვილი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	28.04.2014
31	საველე სამუშაოები დედოფლის გორაზე (ქარელის რ-ნი). მ. ჯალაბაძე, იულ. გაგოშიძე, ელ. როვა	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	28.04.2014
32	დოღლაურის სამაროვანი – იულ. გაგოშიძე, თ. ჭანიშვილი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	28.04.2014
33	არქეოლოგიური გათხრები თრელიგორეზზე – მ. აბრამიშვილი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	28.04.2014
34	საველე კვლევა-ძიება სავანეთის ქედზე – დ. სულხანიშვილი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	28.04.2014
35	არქეოლოგიური გათხრები „ძველ თბილისში" – მ. ძნელაძე, ვ. სადრაძე, ვ. ჩიხლაძე, ელ. ღლიღვაშვილი, ირ. ანჩაბაძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	28.04.2014

36	არქეოლოგიური სამუშაოები ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე – დ. ბერიკაშვილი, გ. მახარაძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	28.04.2014
37	დაზვერვები მთიულეთის არაგვისა და თერგის სათავეებში – გ. გოგოჭური	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	28.04.2014
38	ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე კვლევა-ძიების შედეგები – ამ. კახიძე, თ. ფარტენაძე, ნ. ძნელაძე, მ. თურმანიძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	29.04.2014
39	ახალი აღმოჩენები სოფ. კაპანდიდში – ამ. კახიძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	29.04.2014
40	გონიო-აფსაროსში წარმოებული არ-ქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. – შ. მამულაძე, მ. ხალვაში, თ. შალიკაძე, ნ. სურმანიძე, კ. ქამადაძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	29.04.2014
41	არქეოლოგიური გათხრები სოფ. მახოში – თ. შალიკაძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	29.04.2014
42	ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფ. მახვილაურში – ნ. ძნელაძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	29.04.2014
43	ქუთაისის ექსპედიციის კვლევის შედეგე-ბი – ომ. ლანჩავა, რ. ისაკაძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	29.04.2014
44	არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქა-ლაქარის ქვედა ტერასაზე – ნ. მათიაშვილი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	29.04.2014
45	არქეოლოგიური სამუშაოები კოლხეთის დაბლობზე – რ. პაპუაშვილი, ლ. ჯიქია	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	29.04.2014
46	არქეოლოგიური გათხრები ხიხანის ციხეზე – დ. მინდორაშვილი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	29.04.2014
47	წყალტუბოს ქვის ხანის ექსპედიციის მუშაობის შედეგები (საწურბლიას მღვიმე) – თ. მეშველიანი, ნ. ჯაყელი, რ. პინჰასი, ან. ბელფერ-კოენი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	30.04.2014
48	ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (ბავრა-აბლარისა და ფარავნის ეხი) – ან. მგელაძე, კ. შატენიე, მ. გაბუნია, თ. აღაპიშვილი, ერ. ქორიძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	30.04.2014
49	ნარლი-დარის (მარნეულის მუნიცი-პალიტეტი) პალეოლითური ძეგლის კვლევის შედეგები – დ. ჟვანია	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	30.04.2014

50	არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები არუხლოს გორაზე – გ. მირცხულავა, ს. ჰანსენი, კ. ბასტერტ-ლამპრისი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	30.04.2014
51	არქეოლოგიური გათხრები გადაჭრილ გორაზე (მარნეულის რ-ნი) – მ. ჯალაბაძე, კ.ჰამონი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	30.04.2014
52	არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჭობარეთის გორაზე – კ. კახიანი, ან. საგონა, გ. ბედიანაშვილი, ელ. ყვავაძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	30.04.2014
53	გათხრები საყდრისის უძველეს ოქროს მაღაროსა და ბალიჭი-ძეძვების ნამოსახლარზე – ირ. ღამბაშიძე, თ. შტოლნერი, გ. გოგოჭური, ბ. მურვანიძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	30.04.2014
54	ლექციათა ციკლი „კონცეპტუალური ხელოვნება და არტსისტემა" — ნ. გედევანიშვილი	დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	10.05.2014-24.05.2014
55	მოხსენება „ხობის მონასტრის არქეოლოგიისათვის"- რ.პაპუაშვილი, გ.ჩიტაია	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	3.06.2014
56	,,ევროპული კვლევები: მიკროსამყარო, ნეიროიმუნოლოგია და კულტურული მემკვიდრეობა"	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	1.07.2014
57	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები, მწვანე ეკონომიკის მართვა"	სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი	15.07.2014
58	სამუშაო შეხვედრა ვანის ნაქალაქარის ინტერდისციპლინარული შესწავლის შესახებ	ო. ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი	17.07.2014
59	ბრიტანელ არქეოლოგ მაიკლ ვიკერსისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	5.09.2014
60	ICOM/ICAMT-ის მე-40 საერთაშორისო კონფერენცია	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	22.09.2014
61	საერთაშორისო კონფერენცია „მსოფლიო მემკვიდრეობა და მდგრადი განვითარება"	სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი	24.09.2014-25.09.2014
62	ლექცია „მულტიკულტურული საქართველო და ებრაული კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში" – ლ. წიწუაშვილი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	13.10.2014

ღონისძიებები, პრეზენტაციები

№	დასახელება	ჩატარების ადგილი	თარიღი
1	„ქართული არქეოლოგიური მისია ქუვეითში”	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	04.10.2013
2	დმანისის აღმოჩენა ჟურნალ Science-ის გარეკანზე	ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	18.10.2013
3	კახური ბარაქის დაბრუნება გიორგი-წმინდის კარმიდამოში	გ.ჩიტაიას სახელობის ეთ-ნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ	09.11.2013
4	ხალხური რეწვის გაკვეთილების დასკვნითი ღონისძიება	გ.ჩიტაიას სახელობის ეთ-ნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ	24.11.2013
5	პრეზენტაცია წიგნისა „ქართული მატე-რიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი”	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	12.11.2013
6	ფილმის - „კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის კვალდაკვალ - ინგუშეთი” ჩვენება	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	18.12.2013
7	„დაკარგული ტექნოლოგიების კვალდაკ-ვალ – ტიხროვანი მინანქარი”	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	23.12.2013
8	„საქართველო-იტალიის ერთობლივი არქეოლოგიური პროექტები”	ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	23.01.2014
9	შეხვედრა მხატვარ გია ეძგვერაძესთან	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	20.02.2014
10	ხალხური რეწვის გაკვეთილები 2014	გ.ჩიტაიას სახელობის ეთ-ნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ	05.04.2014
11	პრეზენტაცია პროექტისა „ვისწავლოთ გერმანული ენა მუზეუმში”	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	08.04.2014
12	ლუის ბუნუელის ფილმ „დავიწყებულების” ჩვენება და შეხვედრა ხელოვნებათმცოდ-ნეობის დოქტორ გ. გვახარიასთან (გამოფე-ნის - „მექსიკის ხელოვნება-აღქმის მრავალ-ფეროვნება” ფარგლებში)	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	22.04.2014
13	მუზეუმის facebook-ის გვერდის მეგობრების დღე	ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	24.04.2014
14	საქართველოს ეროვნული მუზეუმის წლიური ანგარიში	დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა	15.05.2014
15	ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში	საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალი ყველა მუზეუმი	01.06.2014

16	გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში	ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	05.06.2014
17	როტშილდის ფონდის წარმომადგენ-ლების ვიზიტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში	ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	16.06.2014
18	უკრაინის ხელოვნების ეროვნული მუზე-უმის სპეციალისტების სამუშაო ვიზიტი	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	16-21.06.2014
19	ვანის ნაქალაქარის ინტერდისციპლინ-არული კვლევის პრეზენტაცია	ო.ლორთქიფანიძის სახე-ლობის ვანის არქეოლოგი-ური მუზეუმ-ნაკრძალი	16.07.2014
20	ციალა ჩართოლანის 80 წლის იუბილე-სადმი მიძღვნილი ღონისძიება	სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი	03.08.2014
21	მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე	საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალი ყველა მუზეუმი	12.08.2014
22	ხალხური რეწვის გაკვეთილები 2014	გ.ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ	06.09.2014
23	ონტოფოს გაცოცხლებული სახლის პრეზენტაცია	გ.ჩიტაიას სახელობის ეთ-ნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ	28.09.2014
24	საქართველოს ეროვნული მუზეუმის და National Geographic- საქართველოს ერთობლივი ღონისძიება	ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	13.09.2014

დისერტაციები
დოქტორის აკადემიური ხარისხი

№	სახელი/გვარი	თემის დასახელება	წელი
1	ნიკოლოზ გობეჯიშვილი	კოლხური და ყობანური კულტურების ურთი-ერთმიმართების საკითხი სამარხ-კონსტრუქ-ციათა და დაკრძალვის წესის მიხედვით	2014
2	მარიამ მჭედლიშვილი	არქეოლოგიური ბრინჯაოს კოროზიული დაზიანების მექანიზმი და საკონსერვაციო მეთოდოლოგია	2014
3	გულიკო კვანტიძე	ეთნოგრაფიული სურათები XVII-XVIII სს-ის საქართველოს ისტორიიდან	2014

საგანმანათლებლო პროგრამები

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

- „საბრძოლო იარაღის ისტორია”
- „წარმოიდგინე წარჩინებული კოლხი ქალი”
- „ისტორიის ლაბირინთი”,
- „დამოუკიდებლობის წლები”
- „მონეტები და მათი ისტორია”
- „ბუნების მრავალფეროვნება”
- გამოფენის – „აღმოსავლეთის კოლექციის ახალი სიცოცხლე” თანმხლები პროგრამა
- „როგორ დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ხელნაწერსა და ნაბეჭდ წიგნებს“
- „მითოლოგიური პერსონაჟები არქეოლოგიურ საგანძურში – დიონისე”
- „მითოლოგიური პერსონაჟები არქეოლოგიურ საგანძურში – აქტეონი“
- „შეფიცულები”
- „დამოუკიდებლობის წლები”
- „როგორ ცხოვრობდნენ ქართველები”
- „აღმოაჩინე ცხოველთა გამოსახულებები არქეოლოგიურ საგანძურში”
- „დაკარგული თაობა”
- „საქალაქო თვითმმართველობის ისტორია”
- „საშობაო ტრადიციები საქართველოში”
- ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლის თავისადმი მიძღვნილი გამოფენის თანმხლებ ლექციათა ციკლი
- შეხვედრა ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის წევრებთან
- შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან
- არასამთავრობო ორგანიზაციების „ახალგაზრდები ევროპული მომავლისათვის“ და „საქართველოს აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაცია“ - ოკუპაციის საგამოფენო დარბაზის მონახულება და კინოჩვენება სტუდენტებისთვის
- მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი (18 მაისი) მიძღვნილი ღონისძიებები
- სემინარი გერმანული ენის მასწავლებლებისათვის – „ვისწავლოთ გერმანული მუზეუმში“
- ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი (1 ივნისი) მიძღვნილი ღონისძიებები
- გარემოს დაცვის საერთაშორისო დღისადმი (5 ივნისი) მიძღვნილი ღონისძიებები
- საქართველოს ეროვნული მუზეუმის საზაფხულო სკოლა
- ლექციები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში
- „ახალი წლის დღესასწაული ძველად საქართველოში”

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

- „ თავსატეხის საიდუმლო” - ნ. ფიროსმანის ერთ-ერთი ნამუშევრის მაგალითზე
- „აღმოაჩინე პოეზია მხატვრობაში” - ლ. გუდიაშვილის შემოქმედების მაგალითზე
- „ხელოვნება და საშობაო ტრადიციები“
- „ლეიდენი და ჰოლანდიური მხატვრობა“
- „იმერეთი დედაჩემი“ - დ. კაკაბაძის ნამუშევრის მაგალითზე
- „დასავლეთევროპული მხატვრობის შედევრები“
- „მექსიკის ხელოვნება: აღქმის მრავალფეროვნება“
- საჯარო ლექციათა ციკლი ,,კონცეპტუალური ხელოვნება და არტსისტემა”
- მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი (18 მაისი) მიძღვნილი საგანმანათ-ლებლო ღონისძიებები ბავშვებისათვის
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე (1 ივნისი) ეროვნულ გალერეაში
- პროექტის - „ვისწავლოთ გერმანული ენა მუზეუმში“ პრეზენტაცია
- საშობაო პროგრამა ბავშვებისათვის
- „ფიროსმანის ფერები“

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ

- ხალხური რეწვის გაკვეთილები
- „სახალისო არქეოლოგია”
- „საუბრები ეკოლოგიაზე”
- „პრეისტორიული ტექნოლოგიები”

იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი

- „XIX საუკუნის მრავალეთნიკური თბილისი”
- „... და აღმოცენდა თბილისი”
- „ვაშენებთ სახლს”
- „საქართველოს ბრწინვალე მეფეები“

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი

- „წმინდა გიორგის სახე ხელოვნებასა და ლიტერატურაში”
- „სამკაულის ხელოვნება ანტიკური ხანიდან დღემდე”
- „ქართული საგალობლები“

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი

- საგანმანათლებლო დეპარტამენტის ტრენინგი ადგილობრივი თანამშრომ-ლებისათვის „სამუზეუმო პედაგოგიკა“

დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი

- „დმანისის საერთაშორისო პალეოანთროპოლოგიური საველე სკოლა”

ანა ვერულაშვილი
ნატალია დავლიანიძე
მაგდა გოგოლაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
ელ-ფოსტა: info@museum.ge

პარმენ (ნაპო) ზაქარაია – 100

პარმენ ზაქარაიას, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, წელს 100 წელი შეუსრულდებოდა.

პარმენ ზაქარაია ან ბატონი ნაპო, როგორც მას ოჯახის წევრები, მეგობრები და თანამშრომლები მიმართავდნენ, დაიბადა მარტვილის რ-ნის სოფელ ნაჯახოვოში 1914 წლის 24 აგვისტოს სახალხო მკურნალ ფარნაოზ ზაქარაიას ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა. ამიტომ იგი თბილისში გადავიდა ძმასთან, ცნობილ ქირურგ ეფრემ ზაქარაიასთან სწავლის გასაგრძელებლად. ეფრემი საოცრად ნიჭიერი და განათლებული ყოფილა, მეგობრების ფართო წრე ჰყავდა. მასთან, შინ, იკრიბებოდნენ ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები: კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი, გოგლა ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, შალვა ნუცუბიძე, არნოლდ ჩიქობავა და სხვ. ბატონი ნაპო ხშირად იხსენებდა მათ და ყვებოდა მათი საუბრებისა თუ შეკრებების შესახებ.

სკოლის დამთავრების შემდეგ ბატონი ნაპო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას. ლექტორებს შორის გამოირჩეოდნენ არქიტექტორი ანატოლი კალგინი და ჰენრიხ პრინევსკი - აკვარელისტი, სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი. ორივე საქართველოსა და მის კულტურაზე უზომოდ შეყვარებული პიროვნებები იყვნენ და სტუდენტებსაც გადასცემდნენ ამ დიდ სიყვარულს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ არქიტექტორის ადგილი არ მოიძებნა და ბატონმა ნაპომ ხელოვნების ისტორიის შესწავლა გადაწყვიტა, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი შემდგომი ცხოვრება და მოღვაწეობა.

1941 წელს ბატონი ნაპო ზაქარაია მუშაობას იწყებს საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, რომლის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი გახლდათ აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი, რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლომდე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიებდა.

მეორე სამამულო ომი მძვინვარებდა და საქართველოს საზღვრებთანაც იმატა საშიშროებამ. გადაწყდა საზღვრისპირა ძეგლების სასწრაფო აზომვა-დაფიქსირება, რათა მოსალოდნელი ბრძოლების დროს მათი დანგრევის შემთხვევაში ანაზომები მაინც დარჩენილიყო. ბატონი ნაპო ინსტიტუტის სხვა ახალგაზრდა თანამშრომლებთან ერთად მრავალ ექსპედიციაში მონაწილეობდა. იგი ხშირად იხსენებდა იმ რთულ დროს, როდესაც შიმშილი, უტრანსპორტობა, ღამის გათევა – ყველაფერი პრობლემა იყო.

ბატონი ნაპო საოცრად მშრომელი, მოწესრიგებული და მიზანდასახული პიროვნება გახლდათ. მიუხედავად ასეთი რთული ექსპედიციებისა, იგი მაინც ახერხებდა საკვალიფიკაციო თემის დამუშავებას – ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის გუმბათოვანი ტაძრის შესწავლას. 1947 წელს მან

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხი მოიპოვა. შემდეგ ის იწყებს მუშაობას თბილისის თეატრალურ ინსტიტუტსა და სამხატვრო აკადემიაში, მოგვიანებით კი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე, სადაც სტუდენტებს მსოფლიოსა და ქართული ხელოვნების ისტორიას უკითხავს. აქ მოღვაწე ლექტორები და ბევრი მისი სტუდენტიც შემდგომ ცნობილი მსახიობები, მხატვრები და არქიტექტორები გახდნენ. წლების განმავლობაში ეს ურთიერთობა მეგობრობასა და ახლობლობაში გადაიზარდა. ბატონი ნაპო მონაწილე და გულშემატკივარი იყო მათი ყოველი წარმატებისა. იგი აქტიურად იყო ჩაბმული ამ ინსტიტუტების ცხოვრებაში.

1948 წელს გადაწყდა საქართველოში არსებულ ციხესიმაგრეთა აღრიცხვა და აზომვა. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს ამის რესურსი არ გააჩნდა და ბატონმა გიორგი ჩუბინაშვილმა გადაწყვიტა, ამ საქმის მოგვარებაში ჩართულიყო აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. ბატონი ნაპო ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაიყვანეს. შეიქმნა ჯგუფი, რომელშიც მასთან ერთად შედიოდა გრაფიკოსი და არქიტექტორი ვ. წილოსანი, არქიტექტორი ს. ბოლქვაძე და მხატვარ-ფოტოგრაფი ვ. თულაშვილი. გადაწყდა, რომ ექსპედიცია თავდაპირველად შიდა ქართლის ძეგლებს შეისწავლიდა. აღნიშნულმა ჯგუფმა შიდა ქართლის თითქმის ყველა ხეობის ძეგლების უმრავლესობა აღწერა და აზომა, რაც საფუძვლად დაედო არაერთ სტატიასა და ნაშრომს, ხოლო ანანურის ანსამბლს სპეციალური მონოგრაფიაც მიეძღვნა.

ქართლის ციხესიმაგრეებს კახეთისა და საქართველოს სხვა რეგიონების ძეგლებიც მოჰყვა, რომელთა შესწავლის შედეგი იყო 1959 წელს დაცული მისი სადოქტორო დისერტაცია.

XX ს-ის 60-იან წლებში სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში დღის წესრიგში დადგა საქართველოს ისტორიისა და მატერიალური კულტურის გამოფენის მოწყობა. გამოფენისათვის მასალა, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებიდან იყო მოპოვებული. საჭირო გახდა დასავლეთ საქართველოში დიდი მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება, რათა საგამოფენო მასალა სრული ყოფილიყო. როგორც ბატონი ნაპო ამბობდა, „ფუძის ყივილი“ მიბიძგებდა დასავლეთ საქართველოშიც მემუშავაო.

მანამდე იგი მონაწილეობდა ურბნისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, ხელმძღვანელობდა კახეთის სამეფოს დედაქალაქ გრემის გათხრებს (აკად. ნიკო ბერძენიშვილის საერთო ხელმძღვანელობით). ნაპო ზაქარაიას მეთაურობით გაითხარა და რესტავრაცია ჩაუტარდა გიორგი სააკაძის რეზიდენციას სოფელ ნოსტეში.

ბატონი ნაპოს უდიდესი სურვილი იყო ეგრისის დედაქალაქ არქეოპოლის-ნოქალაქევის არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული შესწავლა, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობდა, აცნობიერებდა რა ამ საქმის სირთულესა და მნიშვნელობას, გადაწყვიტა ჯერ ჭაქვინჯა, შუხუთი და გუდავა მოესინჯა. ამ ძეგლებზე იგი ცნობილ არქეოლოგ ვ. ლექვინაძესთან ერთად მუშაობდა. პარალელურად კი ისინი აგროვებდნენ მასალას ნოქალაქევის შესახებ.

1973 წელს მისი სურვილი ახდა. იგი დაინიშნა ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელად და ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას სიცოცხლის ბოლომდე ასრულებდა. გათხრებმა შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლები და საინტერესო არქეოლოგიური მასალა გამოავლინა. თავდაპირველად, ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, მ. ზამთარაძე, მ. იაშვილი და სხვ. წლების განმავლობაში ნოქალაქევის ექსპედიცი-

ის შემადგენლობა გაიზარდა. ეჭვგარეშეა, რომ ბატონი ნაპოს დაუოკებელი ენერგიის, გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის გარეშე ექსპედიციას არ ექნებოდა არც ის მასშტაბები და არც ის მნიშვნელოვანი შედეგები, რაც ამ გათხრებმა მოგვცა. პირველ წლებში დაფინანსება ძალზე მწირი იყო, რის გამოც ბატონ ნაპოს სხვადასხვა დონის სიძნელეთა დაძლევა უხდებოდა სახსრების მოსაპოვებლად. მან შესანიშნავად შეძლო საქმეში ჩაერთო იმდროინდელი ცხაკაიის (სენაკის) რაიონის ხელმძღვანელობა, რომლებიც მას ეხმარებოდნენ წლების განმავლობაში მრავალი საექსპედიციო და საორგანიზაციო საკითხის მოგვარებაში. ექსპედიციის წარმატებებთან ერთად თანდათან იზრდებოდა ძეგლზე სტუმრებისა და თუ დამთვალიერებლების რაოდენობა. ხშირად ბატონი ნაპო თავადვე უწევდა მათ ექსკურსიამძღოლობას, ეამაყებოდა ნოქალაქევის პოპულარობა, უზომოდ უხაროდა, თუ ვინმე დაინტერესდებოდა საქართველოთი და მისი წარსულით.

1975 წელს იგი აირჩიეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგედ, მაგრამ ნოქალაქევში მუშაობა არ შეუწყვეტია და ბოლომდე დარჩა მუზეუმის მოსიყვარულედ და გულშემატკივრად.

ფართო დიაპაზონის მკვლევარს, ცხადია, მარტო ნოქალაქევის გათხრები არ აკმაყოფილებდა. იგი აუცილებლად მიიჩნევდა „ნოქალაქევის ქვეყნის“ შესწავლასაც. აბედათში, კოტიანეთში, შხეფში, ნოჯიხევში, ნაჯახავოში გაითხარა და შესწავლილ იქნა არაერთი საფორტიფიკაციო, საცხოვრებელი და საკულტო ძეგლი. საველე სამუშაოების პარალელურად იგი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ყოველი ძეგლის ფუნდამენტურ გამოკვლევას. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნოქალაქევის ფონდში შემონახულია მის მიერ შექმნილი ფოტოარქივი და სხვადასხვა ძეგლის ანაზომები. ზოგიერთი ძეგლი დღეს აღარ არსებობს და მხოლოდ მათი საშუალებითაა შემორჩენილი.

ბატონი ნაპო 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 47 მონოგრაფიის ავტორია. მათგან გვინდა გამოვყოთ ნოქალაქევის გათხრებისადმი მიძღვნილი სამტომეული და „ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს-ის ბოლომდე“. ეს უკანასკნელი მან მიუძღვნა თავისი მასწავლებლის – აკად. გიორგი ჩუბინაშვილის ხსოვნას. ეს ნიშანდობლივია, რადგან მას არასოდეს ავიწყდებოდა სხვისი ღვაწლი და ამაგი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონოგრაფია სამაგიდო წიგნი გახდა საქართველოსა და ხელოვნების ისტორიებით დაინტერესებული ყველა პირისთვის.

ბატონი ნაპოს უდიდესი დამსახურებაა მისი უშუალო ხელმძღვანელობით წარმოებული საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები. მას ხშირად ნახავდით ველზე რესტავრატორებსა და მუშებთან ერთად. იგი მაგალითის მიმცემი იყო ექსპედიციის წევრებისთვის. დილიდანვე შემოივლიდა ყველა უბანს, დაგეგმავდა სამუშაოებს. ამის გამო ექსპედიციის ყველა წევრმა ზუსტად იცოდა საკუთარი ფუნქცია-მოვალეობა. თითოეულ ჩვენგანს უკვირდა მისი ენერგია, რომელიც ჭარმაგ ასაკშიც კი შემორჩა. ის იყო ძალიან მომთხოვნი ექსპედიციის წევრებისა და, უწინარესად, საკუთარი თავის მიმართ. მიუხედავად გარეგნული სიმკაცრისა, საოცრად გულისხმიერი ადამიანი იყო. არ გვახსენდება შემთხვევა, როცა რაიმე პრობლემა იყო, თუნდაც პირადული, მისთვის მიგვემართა და მის გადაწყვეტაში არ დაგვხმარებოდა.

ცალკე უნდა გამოვყოთ ბატონი ნაპოს დამოკიდებულება ახალგაზრდებისა და თანამშრომლებისადმი. ექსპედიციაში მუდამ იყვნენ მისი სტუდენტები ან ახალგაზრდა თანამშრომლები, რომლებიც უსასყიდლოდ გვეხმარებოდ-

ნენ საველე არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებაში და სამომავლოდ, პროფესიადაც ეს დარგი აირჩიეს.

მის ხელში გაიარა სხვადასხვა თაობის არაერთმა ღირსეულმა მუზეუმელმა. დიდია ბატონი ნაპოს დამსახურება მათს პროფესიულ წვრთნაში. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბატონმა ნაპომ შეძლო მეტად საჭირო მისიის შესრულება და საქართველოს მუზეუმის მისდამი დაქვემდებარებული სამეცნიერო უჯრედის ახალგაზრდა თანამშრომლები აქტიურად ჩააბა სამეცნიერო მუშაობაში, შეარჩია მათთვის საკვალიფიკაციო თემები, ხელმძღვანელობდა მათ დისერტაციების მომზადებასა და დაცვაში, რაც ღვაწლმოსილი მეცნიერის მაღალ სამეცნიერო კულტურასა და კვალიფიკაციური სამუზეუმო კადრების მომზადების საქმისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომაზე მეტყველებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბატონი ნაპო ზაქარაიას ძალისხმევა ქართული კულტურის ძეგლთა დაცვა-გადარჩენის საქმეში. იგი აქტიურად იყო ჩართული ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოსა და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საქმიანობაში.

ბატონ ნაპოს 1973 წელს მიენიჭა მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1994 წელს გადაეცა ღირსების ორდენი, 1998 წელს – მედალი „არქიტექტურაში დიდი ღვაწლისათვის“, 1988 წელს კი იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

სასიხარულოა, რომ ნოქალაქევში დღესაც წარმატებით მიმდინარეობს არქეოლოგიური კვლევები, რომელსაც მისი მოსწავლეები და ბატონი ნაპოს გარდაცვალების შემდგომ საქართველოს მუზეუმში მოსული ახალგაზრდა თაობის არქეოლოგები საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აგრძელებენ.

ნოქალაქევში ფუნქციონირებს არქეოლოგიური მუზეუმი, რომელიც თავის დროზე ბატონმა ნაპომ დააარსა. მუზეუმი ამჟამად მის სახელს ატარებს.

ვიმედოვნებთ, რომ ახალი აღმოჩენები და სამეცნიერო წარმატებები მომავალშიც მრავლად იქნება – ბატონი ნაპოს სურვილიც ხომ ეს იყო.

ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრები:

მერი ზამთარაძე, თამილა კაპანაძე, დავით ლომიტაშვილი,
ბესიკ ლორთქიფანიძე

აბესალომ ვეკუა
(1925-2014)

გულისტკივილით ვიხსენებ ბატონ აბესალომ ვეკუას, რომელიც იყო დიდი პიროვნება და მეცნიერი, ადამიანი, რომელსაც შეეძლო მეგობრობა, ერთგულება, გასაჭირში გვერდში დგომა. იგი ყოველთვის მზად იყო, სხვას დახმარებოდა, მიუხედავად იმისა, ჰქონდა ამის საშუალება, დრო თუ არა. იყო ძალზე პუნქტუალური, ორგანიზებული, საქმის ერთგული, საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნი. ასე შემიძლია მოკლედ აღვნიშნო ბატონი აბესალომის პიროვნული თვისებები, ადამიანისა, რომელიც დღეს ძალიან გვაკლია ყველას.

ბატონ აბესალომს უზომოდ უყვარდა თავისი საქმე – პალეონტოლოგია. იყო ამ დარგის მაღალი პროფესიონალი – საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ყოველთვის თვალწინ წარმომიდგება ბატონი აბესალომი, თავის ოთახში სამუშაო მაგიდასთან მჯდომი, წიგნებით გარშემორტყმული, ხელში პრეისტორიული ხანის ძვლის ნიმუშით...

ბატონ აბესალომს (მე მას მეგობრულად აბიოს ვეძახდი) პირველად 1959 წელს შევხვდი წონას მღვიმის არქეოლოგიური გათხრების დროს, რომელიც ქვის ხანის ცნობილი ძეგლია. მე მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსზე ვსწავლობდი არქეოლოგიის სპეციალობით. ბატონი აბესალომი კი მაშინ უკვე გამოცდილი მკვლევარი და პალეონტოლოგიაში დახელოვნებული პრაქტიკოსი მეცნიერი იყო. ველზე ყოფნისას ყოველთვის გაკვირვებული ვრჩებოდი, როდესაც ბატონი აბესალომი გათხრის დროს ფენაში მიკვლეულ, ჯერ კიდევ ნოტიო მიწით დაფარულ, ცხოველთა განამარხებულ ძვალს ნახვისთანავე სწორად განსაზღვრავდა და იმ ცხოველსაც დაასახელებდა, რომელსაც ეს ძვალი განეკუთვნებოდა. ამის გამო ჩემი გაოცების პასუხად ხშირად უთქვამს: „..მეც ის მიკვირს, არქეოლოგები, როგორ ხვდებით ქვის ნაწარმის ნახვისთანავე ლამელაა ის თუ ანატკეცი, საფხეკია თუ სახოკი".

ადგილი სოფ. წონასთან, სადაც ჩვენ ვიყავით დაბანაკებულნი, ზღვის დონიდან 2150 მ სიმაღლეზე მდებარეობს და დაუსახლებელ, სუბალპურ ზონას განეკუთვნება. გოგონებს, ღამე კარვებში შეყუჟულებს, ცოტა შიში შეგვიპყრობდა ხოლმე, მაგრამ მაინც იმედიანად ვიყავით, რადგან ვიცოდით, რომ ჩვენ გვერდით ბატონი აბესალომი იყო, რომელიც არაფერს გაგვიჭირვებდა.

ბატონ აბესალომთან ჩემი შემდეგი საქმიანი შეხვედრა XX ს-ის 60-იან წლებში იმერეთში, ჭიათურის რაიონში, კარსტული მღვიმეების კვლევისას მოხდა. მე მაშინ მდ. ჯრუჭულის ხეობაში პალეოლითური ხანის ძეგლს – სამერცხლე კლდის მღვიმეს ვიკვლევდი. ბატონი აბესალომი დიდად მეხმარებოდა ფაუნისტური მასალის განსაზღვრისას. მისი მზრუნველობითა და ხელშეწყობით სამერცხლე კლდის მღვიმის შესახებ სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისას არ გამჭირვებია ფაუნისტური მასალის სათანადოდ წარმოჩენა.

1973-1990 წლებში, როდესაც ქ. ქუთაისთან ახლოს, მდ. წყალწითელის ხეობაში, საკაჟიისა და ორთვალა მღვიმეებში, ვაწარმოებდი არქეოლოგიურ

სამუშაოებს, ბატონი აბესალომი მაშინაც გვერდით მედგა. იგი მღვიმეებში მიკვლეულ პალეონტოლოგიურ მასალას სწავლობდა.

არ დამავიწყდება, თუ რა დიდი სიხარულით შეხვდა საკაჟიაში ნეანდერტალელი ადამიანის ძვლოვანი ნაშთების აღმოჩენას. ყველა ზემოჩამოთვლილი მღვიმეების ზედა და შუაპალეოლითური ფენებიდან პალეონტოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაპოვრების შესახებ სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ჟურნალებში ქართულ, რუსულსა და ევროპულ ენებზე ბატონ აბესალომთან თანაავტორობით გამოქვეყნებული მაქვს სამეცნიერო ნაშრომები. ცნობილია, რომ საქართველოს მღვიმეებში პალეოლითელი ადამიანის ძვლოვანი ნაშთების მიკვლევა დიდი იშვიათობაა. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო ის აღტაცება, რაც გამოხატა ბატონმა აბესალომმა საკაჟიის მღვიმის ზედაპალეოლითურ ფენაში ამ ბოლო წლებში ჰომოსაპიენსის ნაშთების მიკვლევის გამო. ამ მონაპოვრების შესახებ გამოქვეყნებული სტატია – „ახალი ანთროპოლოგიური აღმოჩენა საკაჟიას მღვიმეში" (საქართველოს ეროვნული მუზეუმი. საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია. მაცნე №4. 2012) ბოლო წლებში გამოქვეყნებული ერთ-ერთი ჩვენი ერთობლივი ნაშრომია.

ვერც ვიხსენებ ქვის ხანის ძეგლების შემსწავლელ ვერც ერთ არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომლის მუშაობაშიც არ მონაწილეობდა ბატონი აბესალომი.

დღემდე საქართველოს მღვიმეებში მიკვლეული მეოთხეული პერიოდის თითქმის მთელი ფაუნისტური მასალა ბატონი აბესალომის ხელშია გავლილი. სწორედ ცხოველთა სახეების განსაზღვრის შედეგადაა შესაძლებელი იმ ბუნებრივი გარემო პირობების აღდგენა, რომელშიც არსებობა უხდებოდათ ჩვენს შორეულ წინაპრებს.

ჩვენი თანამშრომლობის ყველაზე ხანგრძლივი და თანაც ბოლო პერიოდი, რომელიც დაიწყო 1991 წელს, დმანისის ადრეპალეოლითურ ძეგლზე მუშაობის წლებია.

დმანისში – მსოფლიოში უკვე კარგად ცნობილი Homo erectus-ების ადგილსაპოვებელზე დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მიკვლეულ მასალას ოც წელზე მეტ ხანს ერთობლივად ვიკვლევდით. მე, როგორც არქეოლოგი, ჩვენი შორეული წინაპრების ქვის უძველეს იარაღ-ხელსაწყოებს (ქვის ინდუსტრიას) ვსწავლობდი, ბატონი აბესალომი კი პალეონტოლოგიურსა და ანთროპოლოგიურ მონაპოვრებს იკვლევდა ჩვენს ცნობილ მეცნიერებთან ერთად.

დმანისის ადრეპალეოლითურ სადგომზე ბატონი აბესალომისა და ჩვენი გუნდის მიერ წარმოებული ერთობლივი კვლევა-ძიების შედეგები ასახულია სხვადასხვა პუბლიკაციასა და სამეცნიერო პროექტებში, საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე, ასევე საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებებისას წაკითხულ მოხსენებებში, გამოფენებში. ისინი მთავრობის ჯილდოებითაცაა აღნიშნული.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დმანისის ადრეპალეოლითური სადგომის წარმატებულ ერთობლივ კვლევაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ბატონ აბესალომს უკავია.

წელს დმანისის ექსპედიციამ მის გარეშე პირველად აწარმოა საველე სამუშაოები. სამწუხაროდ, ბევრჯერ მოგვაკლდება ბატონ აბესალომის ცოდნა და გამოცდილება საქართველოს ძველი ქვის ხანის ძეგლების კვლევის საქმეში. მე ამ დანაკლისს უკვე ვგრძნობ.

ბატონ აბესალომ ვეკუასადმი დიდი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით გამსჭვალული სიამოვნებით ვიხსენებ მასთან ერთად განვლილ შემოქმედებით პერიოდს.

პროფესორი მედეა ნიორაძე

თინათინ კერესელიძე
(1933-2014)

2014 წლის 28 იანვარს მუზეუმის თანამშრომელთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი მეცნიერი, კოლეგა, მეგობარი თინათინ კერესელიძე.

იგი გამორჩეული თვისებებით იყო დაჯილდოებული: პიროვნული ხიბლი, ერთგულება ადამიანებისა და საქმისადმი, ნიჭიერება, გონიერება, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, დაკისრებული მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, დახვეწილი იუმორი უხვად ჰქონდა მიმადლებული. ქალბატონი თინათინი ყველას ქომაგი გახლდათ. არავის აძლევდა ვინმეს დაჩაგვრის უფლებას. თავის აზრს პირდაპირ, დაუფარავად გამოთქვამდა და, უმეტესწილად, სასურველ შედეგსაც აღწევდა. შეძლებისდაგვარად, ყველას თანაუგრძნობდა, ეხმარებოდა მატერიალურად თუ სასარგებლო რჩევით. ბუნებით ნამდვილი ლიდერი იყო. ამიტომ, ძალაუნებურად, მისი გავლენის ქვეშ ვექცეოდით. კოლეგები და მეგობრები მის აზრს მუდამ ვუწევდით ანგარიშს. იუმორის ნიჭით გამორჩეულ, აწ განსვენებულ, პროფესორ დურმიშხან ცინცაძის მიერ ხუმრობით შერქმეული სახელი „მარშალი“ სიცოცხლის ბოლომდე შერჩა.

თინათინ კერესელიძე ცნობილი პიროვნებების — პეტრე კერესელიძისა და ანეტა ბაქრაძის ოჯახში დაიბადა 1933 წელს. ინტელიგენტურ გარემოში გაიზარდა და სათანადო განათლებაც მიიღო. სკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1958 წელს წარჩინებული დიპლომით იგი სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი გახდა.

ქალბატონმა თინათინმა 50 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იღვაწა მუზეუმში, წარმატებით განვლო შრომითი გზა ლაბორანტიდან უფროს მეცნიერ თანამშრომლამდე და ფონდის კურატორამდე. ბოლო დროს მას ეკავა მეცნიერ-კონსულტანტის თანამდებობა. მუზეუმში მოღვაწეობის წლები იყო თინათინ კერესელიძის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ხანა. მუზეუმში საქმიანობის განმავლობაში მან თანამშრომელთა განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა.

მუზეუმში მოსვლისთანავე მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო გახდა შუა საუკუნეების საქართველოს ხელოსნობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი — ძვლის ნივთების წარმოება. მან გულდასმით შეისწავლა მუზეუმის შუა საუკუნეების ფონდებში დაცული ძვლისგან დამზადებული მასალა და კვლევის შედეგები წარმოადგინა მონოგრაფიაში „ძვლის ნივთების კატალოგი“ (1978 წ.). მასში განხი-

ლულია ძვლის ნივთებთან დაკავშირებული საკითხები: დათარიღება, სახელოსნოები, სამუშაო იარაღი, მხატვრული დამუშავების ხერხები და სხვ. ეს კატალოგი სამაგიდო წიგნი გახდა საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიით დაინტერესებული პირებისთვის. ამავე თემაზე მან ჯერ კიდევ 1972 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

მოგვიანებით გაფართოვდა თინათინ კერესელიძის სამეცნიერო კვლევის სფერო. მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის სხვადასხვა დარგს — ქართული ავეჯისა და თიხის ჭურჭლის წარმოებას. იყო ერთი მონოგრაფიისა და 30-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი, მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტების დამუშავებასა და მუზეუმის სამეცნიერო სესიების მუშაობაში.

თინათინ კერესელიძე სამეცნიერო კვლევების პარალელურად აქტიურად ეწეოდა საფონდო საქმიანობას. წლების განმავლობაში იყო შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების დმანისისა და განჯისკარის ფონდების მცველი, შემდეგ — კურატორი. მან კოლოსალური შრომა გასწია ამ ფონდების კერამიკის მასალის კატალოგის შესადგენად. ასევე გამორჩეულ აქტიურობას იჩენდა შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ამსახველი ექსპოზიციის მომზადების დროსაც.

სამეცნიერო და სამუზეუმო საქმიანობის პარალელურად თინათინ კერესელიძე წლების განმავლობაში იყო პ. ზაქარაიას, ლ. ჭილაშვილის, ნ. ბახტაძისა და რ. დოლაბერიძის ხელმძღვანელობით ჩატარებული საველე-არქეოლოგიური ექსპედიციების (ურბნისი, სამშვილდე, არეში, ძველი გავაზი, ნეკრესი, თუშეთი) მუდმივი წევრი.

თავისი ცხოვრების თანამგზავრთან, ცნობილ მეცნიერ, აკადემიკოს ირაკლი ღუდუშაურთან ერთად მან სანაქებო ოჯახი შექმნა, გაზარდა სამი შვილი: ქალიშვილი ირინე — ექიმი ენდოკრინოლოგი და ტყუპი ვაჟები, ნუკრი და თამაზი — ინჟინრები. ექვსი შვილიშვილის გაზრდაშიც აქტიურად მონაწილეობდა.

თინათინ კერესელიძე თავისი მოღვაწეობითა და ცხოვრების წესით ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან და ნათელი კვალი დატოვა ახლობლებისა და კოლეგების გულებში.

კოლეგები და მეგობრები

იზოლდა (ზოტო) ჩხარტიშვილი
(1936-2014)

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელთა რიგებს გამოაკლდა მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტი იზოლდა (ზოტო) ჩხარტიშვილი.

იზოლდა ჩხარტიშვილი დაიბადა 20. 12. 1936 წელს ქ. ფოთში. 1955 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1961 წლიდან მუშაობა დაიწყო აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის რელიგიის ისტორიის განყოფილებაში მეცნიერ-თანამშრომლად.

მუზეუმში მოსვლისთანავე იგი აქტიურად ჩაება განყოფილების სამეცნიერო კვლევითსა და საექსპედიციო საქმიანობაში.

1962-1985 წლებში რელიგიის ისტორიის განყოფილებამ ყოველწლიური სამეცნიერო ექსპედიციები განახორციელა საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაში შემორჩენილი მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი ძეგლების, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გამოვლენის, დაფიქსირებისა და სამეცნიერო შესწავლის მიზნით. ქალბატონმა იზოლდამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ რთულსა და საპასუხისმგებლო საქმეში.

განყოფილება ყოველ წელს გამოსცემდა სამეცნიერო კრებულს — „რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში“, რომელშიც იზოლდა ჩხარტიშვილის საინტერესო სტატიებია დასტამბული.

1975-2006 წლებში ქალბატონი იზოლდა მუზეუმის სწავლული მდივანია. ეს პერიოდი მის ცხოვრებაში განსაკუთრებით მრავალფეროვანი და საინტერესო მოვლენებით გამოირჩეოდა. სამუზეუმო ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და შესაშური მონდომებითა და გულისხმიერებით ასრულებდა მასზე დაკისრებულ არცთუ იოლ მოვალეობას.

სწავლული მდივნის თანამდებობაზე მუშაობას წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო საქმიანობას. მისი ინტერესის სფერო იყო საზოგადოებრივი აზრის ისტორიის კვლევა XIX ს-ის საქართველოში. ამ თემაზე 1984 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე ნაშრომი, ამათგან, ორი მონოგრაფიაა.

2008 წლიდან იზოლდა ჩხარტიშვილი მუზეუმის სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფის კურატორია. ამავე წელს იგი აირჩიეს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან არსებული ბიბლიოთეკების დირექტორთა სათათბიროს წევრად. 2013 წლიდან გარდაცვალებამდე ასრულებდა მუზეუმის

მეცნიერ-კონსულტანტის მოვალეობას.

ახლობელ-მეგობართა და კოლეგების თვალით დანახული ზოტო არაორდინარული პიროვნება იყო. ტრადიციული ქართული ოჯახის ინტელექტუალურ გარემოში აღზრდილი, თავადაც რაფინირებული ინტელიგენტი, იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც თავიანთი ნამოღვაწარით თვითონვე ქმნიან საკუთარ ბიოგრაფიას და საზოგადოების ცხოვრებაში ნათელ კვალს ტოვებენ. წიგნიერება, ცოდნისკენ სწრაფვის მრავალმხრივი უნარი, განათლების მაღალი დონე, ადამიანებთან ურთიერთობის იშვიათი ნიჭი განსაკუთრებულ ხიბლს მატებდა მას. ყოველთვის გამორჩეულად აინტერესებდა ადამიანის ფენომენი, მისი ინტელექტი. ამიტომ მისი სამეგობრო წრე ფართო, ასაკით შეუზღუდავი და მრავალფეროვანი იყო. ადამიანებისადმი კეთილგანწყობით გაჯერებული პატივისცემის დიდი უნარი გააჩნდა. მისთვის მიუღებელი იყო ცუდის, უარყოფითის გულში ჩატოვება. მიმტევებლობაც შეეძლო და თანადგომაც.

მეგობრები და კოლეგები ზოტოს გამგებ, მანუგეშებელ ადამიანად აღიქვამდნენ, რომელიც საჭირო შემთხვევაში უკან არ იხევდა და ყოველთვის საკუთარი გულის კარნახით მოქმედებდა. მისგან სითბოსა და თანაგრძნობას მოელოდნენ და მას უშურველად იღებდნენ არა მხოლოდ ახლობლები, არამედ რიგითი ნაცნობებიც. სხვისი სატკივრის გაზიარება-გათავისება ჩვეულებრივ მოვალეობად მიაჩნდა, სიკეთეს დაუყვედრებლად, უხმაუროდ აკეთებდა.

თავისი ცხოვრება დამსახურებულ ექიმს, მიხეილ კობეშავიძეს, დაუკავშირა, რომლის ადრე დაობლებულ ორ ვაჟიშვილს უდედობა არ აგრძნობინა და ქვეყანას ღირსეულ მოქალაქეებად აღუზარდა.

ზოტოს ყოველდღიური ცხოვრების წესი თითქოსდა არაფრით გამოირჩეოდა ჩვეულებრივი ყოფიერებისაგან - შრომობდა, განიცდიდა, უყვარდა, უხაროდა ან სწყინდა. სინამდვილეში კი თავისი ფაქიზი ბუნებით, მგრძნობიარე გულით, სიცოცხლის სიყვარულით ყველასგან განსხვავებულ, განუმეორებელ, თავისთავად პიროვნებად რჩებოდა.

როგორც ზოგადად ყველა ადამიანის, ისე მის ცხოვრებაში ალბათ, ბევრი რამ იცვლებოდა, ხან იძენდა, ხანაც კარგავდა ან გასცემდა, მაგრამ, რაც ღვთით ბოძებული ჰქონდა — თანდაყოლილი ნიჭი თუ განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, პიროვნული თვისებები არასდროს უკვალოდ არ ქრებოდა.

პოეტური სულის ადამიანი პოეზიისადმი ფაქიზი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. პოეზიის სიყვარული გენეტიკურად მოსდგამდა. მისი ბებია ცნობილი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე საფო მგელაძე ბრძანდებოდა, რომლის გზას ღირსეულად აგრძელებდა მისი ქალიშვილი — ზოტოს დედა, პოეტი შუშანა მგელაძე. ამ გამორჩეულ ადამიანებს ხშირად სტუმრობდნენ ქართველი მწერლები და პოეტები, რასაც ოჯახის ცხოვრებაში განსაკუთრებული მუხტი შეჰქონდა.

ზოტო მთელი არსებით, განცდა-განწყობით პოეზიაში ჩაღრმავებული, ლექსით გამოწვეულ საკუთარ ემოციებს სხვებსაც გადასცემდა, რასაც ძალდაუტანებლად, ბუნებრივად აკეთებდა და ეს იმიტომ, რომ ლექსის მსმენელამდე მიტანის დიდი კულტურა ჰქონდა. ზედმიწევნით იცნობდა ქართული და რუსული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს, ბევრი ზეპირად იცოდა. მეგობართა წრეში მის მიერ წაკითხული ლექსები ყოველთვის სათანადო სიტუაციას ესადაგებოდა და

დამსწრეთა შესაბამის განწყობას ბადებდა.

ძნელია შეეგუო ადამიანის გარდაცვალებას, მაგრამ ეს გრძნობა განსაკუთრებით მძაფრდება მაშინ, როდესაც კარგავ ახლობელს, რომელიც წლების განმავლობაში შენი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრე და თანაზიარი იყო. ადამიანის ამქვეყნიდან წასვლასთან ერთად მის მიერ განვლილი ცხოვრების ნაწილი წარსულში იძირება და თანდათან ფერმკრთალდება, მაგრამ რჩება მთავარი — მასთან დაკავშირებული მოგონებები, რითაც ის სამუდამო ადგილს იმკვიდრებს ახლობელ-მეგობართა ცხოვრებაში. ვემშვიდობებით ჩვენს ზოტოს უდიდესი მწუხარებითა და გულისტკივილით.

კოლეგები და მეგობრები

ნოე (ბაჩანა) აფხაზავა
(1945-2014)

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და მთელმა ქართველმა საისტორიო საზოგადოებამ კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა – ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შუა საუკუნეების კავკასიის ისტორიის გამოჩენილი სპეციალისტი, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, არქეოლოგი ნოე (ბაჩანა) აფხაზავა.

ნოე აფხაზავას მიერ განვლილ ცხოვრების გზას თვალს თუ გავადევნებთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება უანგაროდ შეალია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და მიღებული სამეცნიერო დასკვნების მშობელი ქვეყნის მომავალი წინსვლის სამსახურში ჩაყენებას. განსაკუთრებით დასაფასებელია ნოე აფხაზავას ორმოცდახუთწლიანი მოღვაწეობა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში: მან წარუშლელი კვალი დატოვა ამ უძველესსა და საქვეყნოდ ცნობილ სამეცნიერო დაწესებულებაში ქართველოლოგიური მიმართულების კვლევების განვითარების, აქ დაუნჯებული სამუზეუმო ფასეულობების დაცვისა და საქვეყნოდ წარმოჩენის საქმეში.

ნოე აფხაზავა დაიბადა 1945 წელს ქ. თბილისში, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერ-გეოგრაფოსის, ილია აფხაზავას ოჯახში. 1969 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ნიჭიერი ახალგაზრდა მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. სწორედ ამ სამეცნიერო დაწესებულებაში, იმჟამად იქ მოღვაწე ცნობილ მეცნიერთა მაგალითზე და შემდგომ მათთან თანამშრომლობით, ძალზე სწრაფად მოხდა ბატონ ნოეს ჩამოყალიბება შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტად. იგი XX ს-ის 70-იანი წლებიდან გვევლინება სახელმწიფო მუზეუმის უაღრესად საინტერესო და შედეგიანი არქეოლოგიური ექსპედიციების ხელმძღვანელად ისტორიულ შიდა ქართლში, ახალგორის რაიონში. მის მიერ ჩატარებული საველე სამუშაოები გამოირჩეოდა დეტალიზაციით სიზუსტითა და სკრუპულოზური დოკუმენტირებით. მას მიღებული ინფორმაციის თეორიულ განზოგადებაზე დაყრდნობით, მეტად შორსმიმავალი, დამაჯერებელი, ხშირად საქართველოს ისტორიის საკვანძო მომენტების ახსნისთვის ფრიად ღირებული დასკვნები გამოჰქონდა. არჩეული სამეცნიერო პრობლემებისადმი პატიოსანი დამოკიდებულებითა და დიდი შრომისმოყვარეობით აღბეჭდილი

ძალისხმევის შედეგად, მან არაერთი საეტაპო მნიშვნელობის სამეცნიერო ნაშრომი შემატა ქართულსა და, ზოგადად, კავკასიის მედიევისტიკას.

ნოე აფხაზავას დანატოვარი ბეჭდვითი მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ადრეული შუა საუკუნეების ქართული სამარხეული ძეგლების ნივთიერი ატრიბუციის ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები — „ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა“, „ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში“. ამ სოლიდური, ერთი შეხედვით, დეტალიზაციით დატვირთული ნაშრომების გაცნობის შემდეგ მკითხველისათვის გაცილებით იოლად აღსაქმელი ხდება აღნიშნული ეპოქის საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ ეთნიკურ-კონფესიური ვითარების მრავალი უმნიშვნელოვანესი საკითხი. ეს ნაშრომები დიდი ხანია ადრეული შუა საუკუნეების მატერიალური კულტურით დაინტერესებულ სპეციალისტთათვის სამაგიდო წიგნებად გადაიქცა. არქეოლოგიური მემკვიდრეობის ძეგლების ისტორიულ ჭრილში ინტერპრეტაციის, მათი მეშვეობით შუა საუკუნეების უაღრესად საყურადღებო და ამჟამადაც აქტუალური პოლიტიკურ-კულტურული მოვლენების საფუძვლების წარმოჩენის შესანიშნავი ნიმუშებია ბატონ ნოეს მონოგრაფიები, მიძღვნილი აფხაზი და ოსი ეთნოსების წარმომადგენლებით დასახლებულ ქართულ ისტორიულ პროვინციებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევებისადმი: „ოსური საკითხი“, „ადრეული ეპოქის აფხაზეთის ეთნიკური სიტუაცია“ და სხვ. ამ ნაშრომებში ნოე აფხაზავა, ერთი მხრივ, დიდი შემართებით იბრძოდა მავანთა მიერ კავკასიის ხალხების კულტურათა ისტორიული ფესვების მკვეთრი დისტანცირების სურვილის წინააღმდეგ, თუმცა, არავის პატიობდა ცრუმეცნიერულ, მათ შორის, არქეოლოგიურ „არგუმენტებზე“ დაყრდნობით საქართველოს ტერიტორიის ამჟამად მკვიდრი ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის ოდითგანვე ავთენტურ მოსახლეობად გამოცხადების მცდელობას სეპარატისტული განწყობის გასაღვივებლად.

ნოე აფხაზავა, თავად უაღრესად კეთილშობილი და მრავალმხრივ ერუდირებული პიროვნება, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამეცნიერო ეთიკის კოდექსისა და კომპეტენციის ნორმებს, შეურიგებელი იყო მეცნიერებაში არაკეთილსინდისიერების უმცირესი გამოვლინების მიმართაც კი. მეორე მხრივ, ბატონი ნოე მუდამ კეთილგანწყობილი იყო უმცროსი კოლეგებისა და დამწყები ისტორიკოსების მიმართ, უშურველად უზიარებდა მათ თავის დიდ გამოცდილებას და ხელს უწყობდა პროფესიულ დაოსტატებაში.

უკომპრომისო, პატრიოტი მოქალაქის, შესანიშნავი მეცნიერისა და მეგობრის — ნოე აფხაზავას სახელს არასდროს დაივიწყებენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლები და სრულიად საქართველოს საისტორიო საზოგადოება.

პროფესორი ნოდარ ბახტაძე

მარიამ (მარი) ლორია
(1926-2014)

2014 წელს გარდაიცვალა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკის აქამდე შეუცვლელი, ყველასათვის საყვარელი თანამშრომელი მარი ლორია.

თითქმის ნახევარი საუკუნე ეს ადამიანი თანამონაწილე იყო თითოეული ჩვენგანის სამუზეუმო თუ სამეცნიერო საქმიანობისა. მომსახურების უდიდესი პასუხისმგებლობით აღჭურვილი, შეიძლება ითქვას, თითოეული მუზეუმელის მეგობარი გახლდათ.

არ მახსოვს, რომ მას ვერ შეესრულებინოს ან გადაედოს ჩვენთვის საჭირო წიგნის მოთხოვნა, განურჩევლად იმისა, იყო წიგნის მოსაძიებლად აუცილებელი პირობები მუზეუმში თუ არა. ამასთან დაკავშირებით გავიხსენებ XX ს-ის 90-იანი წლების გაუსაძლისსა და ავბედით დღეებს: სიცივე, უშუქობა. მარი, ქათქათა თეთრ ხალათში გამოწყობილი, მოწესრიგებული დადის სამკითხველო დარბაზსა და წიგნების საცავს შორის ეზოს გავლით ჩვენი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. არც ერთი სიტყვა, თუნდაც მინიშნება, წუხილი, რომ წიგნის საცავში ცივა, თაროზე ასასვლელად კარგი განათებაა საჭირო, მისგან არავის გაუგია. მარი ამ სირთულეებს არაფრად აგდებდა, რადგან თავის საყვარელ საქმეს ემსახურებოდა. მზად იყო ხელი გაემართა ნებისმიერი ადამიანისთვის, მუზეუმელი იქნებოდა ეს თუ უცხო. დიდი გულისყურით ეკიდებოდა ახალგაზრდებს. თუ საჭირო წიგნი ჩვენთან არ იყო, სხვა ბიბლიოთეკიდან გამოითხოვდა და იშოვიდა. ამას კი ბუნებრივად და მშვიდად აკეთებდა. მორწმუნე მარი თავისუფალი იყო ცრურწმენისა და ფანატიზმისაგან. ყოველთვის ცდილობდა, საქმით დაემტკიცებინა, რომ ქრისტიანულ ზნეობას ალტერნატივა არა აქვს. მარის თვალს არ გამოეპარებოდა იოტისოდენა დარღვევაც კი მკითხველის მხრიდან და, თუ ეს სერიოზულ სახეს იღებდა, იგი შეუვალი და მტკიცე იყო.

მახსოვს, მარი შევახვედრე ბრიტანეთის ბიბლიოთეკის კავკასიური და ქართული განყოფილების თანამშრომელს, წარმოშობით ქართველს. ლაპარაკი ეხებოდა თანამედროვე ევროპულ საბიბლიოთეკო სისტემას. მარიმ მაშინვე გამოთქვა მზადყოფნა: ახალგაზრდები გაეცნობიან ევროპულ საბიბლიოთეკო წესს და ჩვენც შევითვისებთო. სტუმარი აღფრთოვანებით უყურებდა და მითხრა: აი, მარად ახალგაზრდა და პროგრესული ადამიანიო.

შრომის წიგნაკის მშრალ ჩამონათვალში ჩანს, რომ მარი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. დარწმუნებული ვარ, ის ისეთივე კარგი მასწავლებელი იქნებოდა, როგორი ბიბლიოთეკარიც იყო.

თინათინ ქუთელია

ციცინო ჩხეიძე
(1933 – 2014)

საქართველოს ხელოვნების მუზეუმს კიდევ ერთი თანამშრომელი გამოაკლდა. გარდაიცვალა ციცინო ჩხეიძე – ქალბატონი, რომელიც 58 წელი ემსახურებოდა სამუზეუმო საქმეს.

ციცინო ჩხეიძე დაიბადა და გაიზარდა ცნობილი პედაგოგების ოჯახში, რამაც დიდად განაპირობა მისი მომავალი პროფესია – ისტორიკოსობა. მუზეუმში მოვიდა სამუშაოდ სრულიად ახალგაზრდა – 23 წლის და გაიარა მუზეუმელისათვის აუცილებელი ყველა სამსახურეობრივი საფეხური: მუშაობა დაიწყო დარბაზების ზედამხედველად, მალევე გადაიყვანეს ექსკურსიამძღოლად, იყო უფლისციხის ფონდის მცველი, ძველი ქართული ხელოვნების აღრიცხვის სექტორის გამგე, 1995 წლიდან კი – მუზეუმის დაცვა-აღრიცხვის განყოფილების გამგე.

ქალბატონი ციცინო ხელოვნების მუზეუმს ხანგრძლივად ემსახურა. ამ ხნის განმავლობაში მან არაერთი წინადადება და მიწვევა მიიღო სხვა დაწესებულებებისაგან, მაგრამ მუზეუმი და სამუზეუმო საქმიანობა მისთვის შეუცვლელი აღმოჩნდა. მუზეუმი, მისივე სიტყვებით, ოჯახი იყო, რომელზეც ადამიანმა განუხრელად უნდა იზრუნოს. სწორედ ამ რწმენით უერთგულა მან საყვარელ მუზეუმს, რაც მისთვის 2001 წელს საპატიო ჯილდოს – ღირსების მედლის გადაცემით აღინიშნა.

ყველას მიმართ კეთილგანწყობილსა და დაუზარელს, მას წილად ხვდა ბედნიერება, რუდუნებით დაეცვა და აღერიცხა მუზეუმში დაუნჯებული საქართველოს განძი. ამასთან, იყო მონაწილე და ორგანიზატორთა ჯგუფის წევრი ხელოვნების მუზეუმში მოწყობილი არაერთი გამოფენისა. ბუნებით მორიდებულ ადამიანს, არ უყვარდა თავისი ნაღვაწის წარმოჩენა (ერთადერთი, რითაც დაუფარავად ამაყობდა, მისი გვარი იყო – ეამაყებოდა, რომ ჩხეიძეთა შთამომავალი გახლდათ). მას, ყოველთვის მხნესა და ენერგიულს, ბოლო წლებში „შემოეპარა“ ავადმყოფობა, თუმცა, ცდილობდა, არ შეემჩნია.

სამაგალითო იყო მისი ურთიერთობა და დამოკიდებულება მეუღლის არქიტექტორ ვახტანგ ვარდოსანიძის, შვილის – პაატას, რძლისა და შვილიშვილის მიმართ.

წავიდა ადამიანი, რომელმაც დიდი შრომა გასწია და თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის სისხლსავსე და მრავალმხრივ საინტერესო ცხოვრებაში.

კოლეგები

ვაჟა ვარაზაშვილი
(1945-2014)

საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელთა რიგებს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გამოაკლდა ცნობილი არქეოლოგი, გურჯაანის ფონდსაცავის კურატორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ბატონი ვაჟა ვარაზაშვილი.

იგი დაიბადა 1945 წლის 13 აგვისტოს გურჯაანის რაიონის სოფელ ჯიმითში. საშუალო სკოლის დათავრების მომდევნო, 1964-1967 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიაში. დემობილიზაციის შემდეგ მან მუშაობა დაიწყო ქ. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ხოლო 1969-1975 წლებში პარალელურად სწავლობდა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. ეს ის პერიოდია, როდესაც კახეთის რეგიონში პროფ. კიაზო ფიცხელაურის ხელმძღვანელობით განხორციელდა საყოველთაოდ ცნობილი არქეოლოგიური აღმოჩენები და ფართოდ გაიშალა საერთაშორისო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა.

კახეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არქეოლოგიურ კვლევათა მნიშვნელობა და პერსპექტიულობა მხედველობიდან არ გამორჩენია საზრიან ახალგაზრდას და, მიუხედავად სხვა მაცთუნებელი სამსახურეობრივი შემოთავაზებისა, ბატონმა ვაჟამ უყოყმანოდ შეიცვალა სამუშაო პროფილი და თავისი პროფესიული კარიერა ქართულ არქეოლოგიას დაუკავშირა.

1972 წელს მან მუშაობა დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მუშად. საექსპედიციო და სამეცნიერო წრთობის მიღების შესაბამისად, ექსპედიციის ხელმძღვანელის რეკომენდაციით ბატონი ვაჟა ხდება ექსპედიციის უფროსი ლაბორანტი (1973- 1975 წწ.), ხოლო 1975-1983 წლებში იკავებს უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის, 1983 წლიდან კი – მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას.

ახალგაზრდული ენერგიით, საქმისადმი ერთგულებით, პრინციპულობითა და ერთგვარი შეუპოვრობითაც კი ბატონი ვაჟა გახდა კახეთის მუდმივმოქმედი, საერთაშორისო სტანდარტების მქონე ექსპედიციის ძირითადი დასაყრდენი. საველე არქეოლოგიური სამუშაოების პარალელურად იგი აქტიურად ჩაება სამეცნიერო მუშაობაში – მონაწილეობდა რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო სესიებსა და სიმპო-

ზიუმებში, პერიოდულად აქვეყნებდა ნაშრომებს, რომლებიც, ძირითადად, ეძღვნებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო და ადრეული მეტალურგიული კულტურის მატარებელი უძველესი საზოგადოებების ყოფისა და სამეურნეო საქმიანობის პრობლემებს.

სამეცნიერო მიზანმიმართულებამ, გამორჩეულმა შრომისმოყვარეობამ, ანალიტიკური აზროვნებისა და საკვლევ პრობლემებში ჩაწვდომის უნარმა ვაჟა ვარაზაშვილს საშუალება მისცა, მოეხდინა თავისი სამეცნიერო პოტენციალის სათანადო რეალიზაცია და 1987 წელს ქ. ლენინგრადში დაიცვა დისერტაცია: „ადრესამიწათმოქმედო კულტურა იორ-ალაზნის აუზში“. მოგვიანებით, წარმატებულად დაცული დისერტაცია საფუძვლად დაედო მის მონოგრაფიას — „ადრესამიწათმოქმედო კულტურა იორ-ალაზნის აუზში“ (1992 წ.).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდი ასევე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ბატონი ვაჟას შემოქმედებით ცხოვრებაში. მას, შესაბამისი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილს, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ახალგაზრდა თაობასთან მუშაობა. იგი შინაარსიანი ლექციებით სტუდენტ ახალგაზრდობას უზიარებდა ქართული კულტურული მემკვიდრეობის დიდ მნიშვნელობას ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციათა კონტექსტში, აწრთობდა და აყენებდა მათ ამ დიდი მემკვიდრეობის ქომაგთა და შემსწავლელთა რიგებში. სტუდენტებთან მუშაობის დროს, მათი საყვარელი მასწავლებელი იყო უშუალო, მაგრამ, ამავე დროს, მომთხოვნი და პრინციპული.

ვაჟა ვარაზაშვილმა, მისთვის დამახასიათებელი გამორჩეული შრომისმოყვარეობისა და მიზანდასახულობის წყალობით, უდავოდ, წარმატებით განვლო პროფესიული კარიერის არცთუ იოლი გზა და პირადი ღირსებით, გამოკვეთილი კეთილშობილებითა და თავმდაბლობით საერთო აღიარება მოიპოვა.

ბატონი ვაჟას პიროვნული სახე, მისი სამეცნიერო და სამუზეუმო საქმიანობა შესამჩნევ კვალად დარჩება ქართულ საისტორიო საზოგადოებაში.

კოლეგები და მოწაფეები

გურამ ნემსაძე
(1930-2014)

სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებას გამოაკლდა გამორჩეული და ღირსეული არქეოლოგი გურამ ნემსაძე.

იგი დაიბადა 1930 წელს ქ. თბილისში, ძველი თაობის ექიმების ოჯახში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

1954 წელს მუშაობა დაიწყო სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებაში უფროს ლაბორანტად, მოგვიანებით – მეცნიერ თანამშრომლად. მუზეუმში მოსვლისთანავე იგი შეუდგა თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კუფტინის მასალის მოწესრიგებას, დამუშავებასა და საინვენტარიზაციოდ მომზადებას, რასაც ბრწყინვალედ გაართვა თავი.

წლების განმავლობაში გურამ ნემსაძე მონაწილეობდა სხვადასხვა ექსპედიციაში – ურბნისში, ითხვისსა და შულავერში. ყველგან თავს იჩენდა, როგორც ფრთხილი, დაკვირვებული და მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერი. აგრეთვე მუშაობდა ქვემო ქართლის-ზღუდერის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, სადაც მან გამოავლინა არმაზისხევის ტიპის ობიექტი – იბერიის ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი, რომელიც მისი სამეცნიერო ინტერესების ძირითად საგნად იქცა. 1967 წელს გურამ ნემსაძე დაინიშნა არქეოლოგიური განყოფილების ექსპედიციების III ფონდის მცველად, სადაც თავს იყრიდა ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა.

წლების განმავლობაში იყო შეუცვლელი დამხმარე ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილისა ძვირფასი ლითონების ფონდში. იგი განსაკუთრებული სიფაქიზითა და სიყვარულით ეპყრობოდა არქეოლოგიურ სიძველეებს, მონაწილეობდა 1961 წლის არქეოლოგიური ექსპოზიციის მომზადებაში.

აღსანიშნავია 1971 წელს მისი მონაწილეობა ლენინგრადში გამართულ ირანის სახელმწიფოს 2500 წლის თავისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმში, სადაც წაიკითხა ბრწყინვალე მოხსენება «Погребения Иберской знати из Згудери». მისი კვლევები დაკავშირებული იყო ანტიკურ ხანასთან. აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო ანგარიშები და შრომები, მათ შორის, თანაავტორებთან ერთად ინგლისურსა და ქართულ ენებზე სამეცნიერო გამოკვლევა „საგანძური ზღუდერიდან". გურამ ნემსაძის გამოკვლევები მხოლოდ არქეოლოგიას არ ეხებოდა. მან ისტორიულ-ფილოსოფიურ

ჟურნალში გამოაქვეყნა მეტად საინტერესო კვლევა „ვეფხისტყაოსნის" ერთ სტროფში სიტყვა „აბჯრის" შესახებ.

ბატონი ლალი ჯავახიშვილის აზრით, უაღრესად ერუდირებული გურამ ნემსაძის ერთადერთი ნაკლი იყო ზედმეტი მეცნიერული სიფრთხილე და თავისი შესაძლებლობების შეუფასებლობა.

გ. ნემსაძე მუზეუმში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია მუზეუმის საიუბილეო ვერცხლის მედლით.

იგი ძველი თბილისის მოტრფიალე გახლდათ, იუმორით სავსე, მხიარული, უაღრესად პატიოსანი, მეგობრების მოყვარული, წესიერი, თავმდაბალი და გულკეთილი ადამიანი.

ასეთი იყო გურამ ნემსაძე (ნემსიკა) და ასეთად დარჩება მეგობრებისა და თანამშრომლების გულში.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს
მუზეუმის არქეოლოგები

ლამარა ჟორჟიკაშვილი
(1933-2014)

2014 წლის 3 სექტემბერს გარდაიცვალა მუზეუმის უფროსი თაობის თანამშრომელი ლამარა ჟორჟიკაშვილი, ჟორჟი, როგორც მას მისი მეგობრები, მუზეუმელი არქეოლოგები, ვეძახდით.

ლამარა ჟორჟიკაშვილი დაიბადა 1933 წლის 28 მაისს ქ. თბილისში. 1951 წელს დაამთავრა თბილისის მე-14 საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1957 წელს. ამავე წლის, სექტემბერში ლამარა ჟორჟიკაშვილმა დაიწყო მუშაობა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებაში უფროს ლაბორანტად. 1960 წელს გადაყვანილ იქნა უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. მუზეუმში მუშაობის დაწყებისთანავე იგი აქტიურად ჩაება სამეცნიერო და სამუზეუმო საქმიანობაში, მონაწილეობდა 1959-61 წლებში ახალი არქეოლოგიური გამოფენის მოწყობაშიც.

1957 წლიდან ლამარა ჟორჟიკაშვილი იყო ურბნისის, ყვირილის ხეობის, შულავერის, ნოსირ-მუხურჩისა და ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციების წევრი. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ლამარა ჟორჟიკაშვილის მუშაობა მუზეუმის ფონდებში, სადაც ის ახდენდა არქეოლოგიური მასალის გატარება-შეჯერებას. საქართველოს მუზეუმში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი დააჯილდოვეს მუზეუმის საიუბილეო ვერცხლის მედლით.

1974 წელს ლამარა ჟორჟიკაშვილმა ბატონ ელგუჯა გოგაძესთან ერთად გამოაქვეყნა ნაშრომი «Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы».

სანდო მეგობარი, კეთილშობილი, გულისხმიერი და მუდამ მეგობრების გვერდში მდგომი ემახსოვრებათ მუზეუმის არქეოლოგებს ჟორჟი – ლამარა ჟორჟიკაშვილი.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს
მუზეუმის არქეოლოგები

სარჩევი
CONTENTS

ანდრია აფაქიძე — 100 7

არქეოლოგია
ARCHAEOLOGY

გიორგი გოგოჭური, ირმა ბერძენიშვილი
ტახის/ღორის კულტი ქართულ არქეოლოგიასა და ეთნოკულტურაში 10
George Gogochuri, Irma Berdzenishvili
Boar/Pig Cult in Georgian Archaeology and Ethnic Culture

ნინო ჩხარტიშვილი
ბრინჯაოს მრგვალი ბალთები 38
Nino Chkhartishvili
Round Bronze Buckles

დავით ლომიტაშვილი, ნინო ქებულაძე, ნიკოლოზ მურღულია, ანა თვარაძე
ახალი აღმოჩენა ნოქალაქევიდან..... 52
David Lomitashvili, Nino Kebuladze, Nikoloz Murgulia, Ana Tvaradze
New Discovery from Nokalakevi

ნანა მათიაშვილი
კოლხური თეთრის ელინისტურ ხანაში მიმოქცევის საკითხისათვის.... 67
Nana Matiashvili
For Circulation of Colchian Tetri in the Hellenistic Period

ნაზი ხუნდაძე, ლალი ახალაია
უფლისციხის სარკისებურზედაპირიანი ჭურჭელი 77
Nazi Khundadze, Lali Akhalaia
Smooth Surfaced Vessels from Uplistsikhe

ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ მურღულია
სვანეთი ბიზანტია-სასანიანთა სპარსეთის ურთიერთობაში
V-VI საუკუნეებში 95
Besik Lortkifanidze, Nikoloz Murgulia
Svaneti in Relationship with Byzantium and Sassanian Iran in the 5th-6th cc

გიორგი მახარაძე, დავით ბერიკაშვილი
არქეოლოგიური გათხრები თხოთის მთაზე 117
George Makharadze, David Berikashvili
Archaeolgoical Excavations Conducted on Tkhoti Mountain St. Nino's Church

ზურაბ თვალჭრელიძე, ნოდარ ბახტაძე, ჯიმშერ ჩხვიმიანი, თენგიზ მეშველიანი
ქვემო ქართლში მიკვლეული შუა საუკუნეების ქართული საცხოვრებლის

უცნობი სახეობა 128
Zurab Tvalchrelidze, Nodar bakhtadze, Jimsher Chkhvimiani, Tengiz Meshveliani
An Unknown Type of Georgian Middle Ages Dwelling Found in Kvemo Kartli

მარგალიტა ჩემიან†, ია ახვლედიანი, იზოლდა კახნიაშვილი, ზურაბ ოქროსცვარიძე, გივი ინანიშვილი
საქართველოში აღმოჩენილი შუა საუკუნეების ირანის მხატვრული კერამიკის წარმომავლობის საკითხისათვის 159
Margalita Chemia †, Ia Akhvlediani, Izolda kakhniashvili, Zurab Oqroscvaridze, Givi Inanishvili
The Origin of Medieval Iranian Ornamental Ceramics Found in Georgia

ნუმიზმატიკა
NUMISMATICS

მედეა შეროზია
ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი სოფელ პატარა მეჯვრისხევიდან 172
Medea Sherozia
Imitation of Alexander of Macedon's Stater from Village Patara Mejvriskhevi

მედეა წოწელია
დედოფალ ბურანის დრაქმა 183
Medea Tsotselia
Queen Buran's Drachm

მედეა წოწელია, მარიამ ქორიძე
კონდოულის განძი 195
Medea Tsotselia, Mariam Qoridze
The Kondouli Hoard

თინათინ ქუთელია, ციალა ღვაბერიძე
ინჩხურის განძი 212
Tinatin Kutelia, Tsiala Ghvaberidze
The Inchkhuri Hoard

მაია პატარიძე
ბერლინის მუზეუმში დაცული იშვიათი ქართული მონეტის ატრიბუციისათვის 219
Maia Pataridze
For the Attribution of the Rare Georgian Coin Preserved in the Berlin Museum

თინათინ ქუთელია
XVIII საუკუნის სპილენძის ფულის განძები 228
Tinatin Kutelia
The 18th Century Copper Coin Hoards

გლიპტიკა
GLYPTICS

ქეთევან ჯავახიშვილი
არქეოლოგიური კომპლექსი სოფელ თოკიდან 235
Qetevan Javakhishvili
Archaeological Complex from Village Toki

ეთნოგრაფია/ეთნოლოგია
ETHNOGRAPHY/ETHNOLOGY

ირაკლი ბაქრაძე
საბრძოლო ლახტები ხმლისებურ-ჭვირული დეკორით 239
Irakli Bakradze
Fighting Maces with Saber-Openwork Decoration

მარინე ბოკუჩავა
არამარკირებული რუსული ჭურჭელი..... 259
Marine Bokuchava
Unmarked Russian Dishes (Based on materials of fund)

თამარ გელაძე
ქიზიყის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან 269
Tamar Geladze
From History of Economic Life of Kiziki

ცისანა კაკაბაძე
დასავლეთ საქართველოს ხელოსანთა რწმენა-წარმოდგენები 282
Tsisana kakabadze
Belief-Ideas of West Georgian Handicraftsmen

ისტორია
HYSTORY

მარინე ბულეიშვილი
ოსი ხალხი და საქართველო 291
Marine Buleishvili
Ossetian People and Georgia

ოთარ ჯანელიძე
კახეთის 1802 წლის პროტესტი და პოლიტიკური შეფასებები 300
Otar Janelidze
The 1802 Year Political Protest in Kakheti

ქეთევან მუშკუდიანი, მანანა ხიზანიშვილი
კავკასიის ფლორა – ფაუნის მკვლევარი პოლონელი ნატურალისტი
ლუდვიგ მლოკოსევიჩი 313
Ketevan Mushkudiani, Manana Khizanishvili
Ludwig Mlokosevich – Pole naturalist, Researcher of Caucasian Flora and Fauna

ხელოვნებათმცოდნეობა
ART CRITICISM

ერმილე მაღრაძე
ვანის ნაქალაქარში გამოვლენილი საოქრომჭედლო ხელსაწყო – კოლხური ხუფი 323
Ermile Magradze
Manifesting of the Early Antique Goldsmith Workshop in Site of Ancient Vani on the Example of "Colchian Cover"

იულონ გაგოშიძე, გიორგი გაგოშიძე
ვერცხლის თასი ჭერმისხევიდან 341
Iulon Gagoshidze, George Gagoshidze
Silver Bowl from Chermiskhevi

ირმა მამასახლისი
ერთაწმინდის ეკლესიის სიძველეები (შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგანძურიდან) 351
Irma Mamasakhlisi
Antiquities of Ertatsminda Church (From the Treasury of the Shalva Amiranashvili Museum of the Fine Arts)

ირინა გუგუნავა
დერვიშის ატრიბუტი – ქაშქული (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან) 366
Irina Gugunava
Dervish Attribute- Kashkul (From the Collection of the Georgian National Museum)

ნათია ძიგუა, ირინა გუგუნავა
შუა საუკუნეების ისლამური ლითონმქანდაკებლობის კვლევა (ტექნოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური თავისებურებანი) 373
Natia Dzigua, Irina Gugunava
Research of Medieval Islamic Metalwork (Technological and Stylistic Peculiarities)

ნათია დემურიშვილი
არდებილის ჩინახანეს ფაიფური საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (დამატებითი ცნობები) 399
Natia Demurishvili
Chīnī-khāneh porcelain of Ardabil in the Georgian National Museum (Revisited)

ნინო გიორგობიანი
დადიანისეული კრეტსაბმელი 412

Nino Giorgobiani
Dadiani's Veil of the Royal Door
ეკა ბერელაშვილი
ახალი მასალა XVII საუკუნის ნაქარგობის ისტორიიდან..... 431
Eka Berelashvili
New Materials Concerning the History of the 17th Century Georgian Embroidery

ლილი გიორგობიანი
აბსტრაქტული აზროვნება თანამედროვე ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაში..... 447
Lili Giorgobiani
Abstract Thinking in Modern Georgian Art

სამუზეუმო საქმე
MUSEOLOGY

მანანა ალფენიძე
ზოგიერთი ცნობა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკის შექმნის შესახებ..... 464
Manana Alfenidze
Some References Concerning the Foundation of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts Library

თემურ შარიქაძე
მემორიალური ექსპონატების კვლევისათვის (მეორე ნაწილი) 469
Temur Sharikadze
For Studyng of Memoriable Exhibits (Part Two)

ქრონიკა..... 494

მოგონებები
MEMORIES

პარმენ (ნაპო) ზაქარაია -100 513
აბესალომ ვეკუა 517
თინათინ კერესელიძე 519
იზოლდა (ზოტო) ჩხარტიშვილი..... 521
ნოე (ბაჩანა) აფხაზავა 524
მარიამ (მარი) ლორია..... 526
ციცინო ჩხეიძე..... 527
ვაჟა ვარაზაშვილი..... 528
გურამ ნემსაძე..... 530
ლამარა ჟორჟიკაშვილი 532

შემოკლებათა განმარტება

ან. – ანაწერი

აჟ – არქეოლოგიური ჟურნალი (აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი)

აღ. – აღწერილობა

ბამშ – ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმის შრომები

გეორგიკა – ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

გიემ – გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

გფ – განძების ფონდი

გფ – გლიპტიკის ფონდი

ენიმკის „მოამბე” – ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის კრებული

ეს. – წინასწარმეტყველება ესაიასი

თსუშ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები

იბერია-კოლხეთი – ჟურნალი საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდების არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

კაეფ –კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა

კაეშ – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები

კაძ – კავთისხევის არქეოლოგიური ძიებანი

მაე – მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია

„მაცნე“ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

ममम – გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

„მოამბე“ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი

მსკა – მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის

მსკი – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

მსმკი – მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის

მცხეთა – მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები

ნაკვ. – ნაკვეთი

ნარკვევები – შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები

საინვ. – საინვენტარო

სდსძ – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები

სებ – საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სემ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სემმ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის „მოამბე”

სეცსა – საქართველოს ეროვნული ცენტრალური საისტორიო არქივი

სიემ – სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი

სმ – საისტორიო მოამბე

სმა – საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

სმამ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“

სსმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

სსმა – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქივი

სსმბპფ – სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ბურჟუაზიული პერიოდის დოკუმენტური ფონდი

სსმმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“

სსუ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სუია – საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი

სჯიმ – სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი

სხსმა – საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქივი

სხსმ – საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

სხმსს (მთ) – შ.ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები

ფ. – ფონდი

ფსაძ – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები

ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ.ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრის ჟურნალი

ძმ – „ძეგლის მეგობარი“

ქსიმ – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმი

ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

ქძ – ქართული მონეტების ძირითადი ფონდი

ქც – ქართლის ცხოვრება

ციმ – ვარლამ მახარობლიძის სახელობის ცაგერის ისტორიული მუზეუმი

შესაქმ. – შესაქმე

ხეც — ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

АГСП – Античные государства Северного Причерноморья

АКАК – Акты, собранные Кавказской археографической комиссией

АН – Академия наук

ВДИ – Вестник древней истории

ГИМ– Государственный Исторический Музей г. Москва

Д. – Дело

ИАНАССР – Известия Академии наук Азербайджанской ССР

ЗКОРГО – Записки казкаского отдела русского географического общества

КК – Кавказский календарь

КОИРГО – Кавказскии отдел императорского русского географичесского общества

КСИА – Краткие сообщения института археологии СССР

КСИИМК – Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института истории материальной культуры АН СССР

КСХ – Кавказское сельское хозяйство

МАК – Материалы по археологии Кавказа

МАР – Материалы по археологии России

МИА – Материалы и исследования по археологии СССР. Институт археологии АН СССР

МИЭБГКЗК – Материалы по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края

МСЭ – Малая советская энциклопедия

НЭ - Нумизматика и эпиграфика

ОП – Опись

ПАИ – Полевые археологические

иследования (Краткие сообшения)

ПАК – Проблемы античной культуры

РГАСПИ – Российский государственный архив социально-политической истории

СА – Советская археология

САИ – Свод археологических источников.

САНГ – Сообщения Академии Наук Грузии

СМОМПК – Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа

СЭ – Советская этнография

ТАИЯЛИ – Труды Абхазского института языка, литературы и истории

ТОНГЭ – Труди отдела нумизматики государственного Эрмитажа

Ф. – Фонд

ЦГАА – Центральный государственный архив Абхазии

ЦГИАР – Центральный государственный исторический архив России

ANS – The American Numismatic Society

ANS, MN – The American Numismatic Society, museum notes

AMITEM – Ancient Mining in Turkey and the Eastern Mediteranean

AJA – American Journal of Archaeology

AS – Anatolian studies. Journal of the British Institute of Archaeology at Ankara

BSA – The annual of the British School of Athens

BCH – Bulletin de Correspondance Hellenique

EAA – Enciclopedia dell'Arte Antica

GNM – Georgian National Museum

JGM – Simon Janashia Georgian Museum

JNSI – The Journal of the Numismatic Society of India

KIPaul – Der Kleine Pauly – Lexikon der Antike

KSHM – Kutaisi State History Museum

MLM – Martvili Local Museum

LIMC – Lexicon Iconographicum Mythologiae Classicae

NC – The Numismatic Chronicle

NCM – National Center of Manuscripts

S-JHM – Samtskhe-Javakheti History Museum

SMHE – Svaneti Museum Of History and Ethnography

ST.IR – Studia Iranica

THESCRA – Thesaurus Cultus et Rituum Antiquorum

TSHM – Tsageri History Museum

REGC – Revue des etudes Georgiennes et Caucasiennes

PBF – Prehistorische Bronze Funde

კოორდინატორი ნინო დათუნაშვილი
Coordinater Nino Datunashvili

სტილისტ-რედაქტორი ნინო ნადარაია
Editor Nino Nadaraia

მთარგმნელი მედეა წოწელია
Translator Medea Tsotselia

კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი: ირაკლი დევდარიანი, ირაკლი ხუციშვილი.
Computer and graphic design: Irakli Devdariani, Irakli Khutsishvili.

ტექნიკური ჯგუფი: ცისნამი გაბოძე, ქეთევან სახვაძე, სალომე სვანაძე
Technical stuff: Tsisnami Gabodze, Ketevan Sakhvadze, Salome Svanadze

ISSN 1512-1895